მ. ბ. სააკაძვილი, ა. ჯ. ბელაძვილი

საქართველოს მედიცინის ისტორია

ტომი III

საქმეიდგამი
თბ ლისი
19[illegible]6

მთავარი რედაქტორი—მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. გ. მამამთავრიშვილი.**

მთავარი რედაქტორის მოადგილე—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ს. ახვლედიანი.**

სარედაქციო კოლეგიის წევრები: სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. პ. წულუკიძე;** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ყ. ულენტი;** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ა. მელიქიშვილი;** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ტ. მენთეშაშვილი;** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ვ. კვიტაშვილი;** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ვ. ნ. გაბაშვილი.**

ქართული მედიცინა
V—XVIII
საუკუნეებში

წიგნი 1

წინასიტყვაობა

1957 წელს სრულდება ორმოცი წელი მას შემდეგ, რაც გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მიაღწია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებს სოციალიზმის აშენების საქმეში და დღეს ძლევამოსილად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, მედიცინა დაყენებულ იქნა მშრომელთა ფართო მასების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა, მასზე ზრუნვა სახელმწიფომ იკისრა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განვლილ პერიოდში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მზრუნველობის შედეგად, მედიცინამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის სფეროში. გრანდიოზულად გაიზარდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. პროფილაქტიკურ მიმართულებას დიდი გასაქანი მიეცა, რაც, როგორც ცნობილია, საბჭოთა მედიცინის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს.

ჩვენში ყოველწლიურად იზრდება თანხები, რომელსაც სახელმწიფო ხარჯავს ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე. ასე მაგალითად, თუ 1955 წელს ამ საქმისათვის გამოყოფილი იყო 30,3 მილიარდი მანეთი, 1956 წელს გამოყოფილია 4,7 მილიარდი მანეთით მეტი, ე. ი. 35 მილიარდი მანეთი.

ჩვენს ქვეყანაში, მიღწეული საერთო წარმატებების შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 16300 ათასი ადამიანით გაიზარდა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა. თუ ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას შევადარებთ წარსულს, ვნახავთ, რომ საბჭოთა კავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა, დაახლოებით, ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მეფისდროინდელ რუსეთში.

არნახულად გაიზარდა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო პერსონალის მომზადების საქმე. 1941 წ. პირველი იანვრისათვის საბჭოთა კავშირში მუშაობდა 140,8 ათასი ექიმი, ხოლო 1955 წლის პირველი ივლისისათვის კი 299 ათასი ექიმი. რაც შეეხება საშუალო სამედიცინო განათლებას

მქონე მუშაკებს—1941 წლის პირველი იანვრისათვის მათი რიცხვი უდრიდა 393,2 ათასს, ხოლო 1955 წლის პირველი ივლისისათვის კი 731,1 ათასს[1].

საბჭოთა მედიცინას გააჩნია უდიდესი წარმატებები მეცნიერული მუშაობის სფეროში.

საბჭოთა კავშირში, მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, არსებობს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემია, რომელიც მედიცინის დარგში საბჭოთა მეცნიერული აზროვნების უდიდეს ცენტრს წარმოადგენს. მის ინსტიტუტებში, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სათანადო ინსტიტუტებში, აუარაცხელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სამედიცინო ინსტიტუტების კლინიკებში და კათედრებზე, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების და სხვა სამედიცინო დაწესებულებების მთელ ქსელში უდიდესი მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, დიდი წარმატებები მოიპოვეს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, არსებობს უმაღლესი სამედიცინო განათლების კერა—თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

1922/23 წლიდან მოყოლებული, 1956 წლის ჩათვლით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა მოამზადა და გამოუშვა 11985 ექიმი, 2532 სტომატოლოგი და 1519 პროვიზორი, ე. ი. სულ 16036 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო დარგის მუშაკი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დაცულია 173 სადოქტორო და 686 საკანდიდატო დისერტაცია.

სამედიცინო ინსტიტუტთან ერთად, საქართველოში არსებობს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების საქმეში. ამავე დროს, ეს ინსტიტუტი წარმოადგენს საბჭოთა საქართველოში მედიცინის დარგში სამეცნიერო მუშაობის მეტად მნიშვნელოვან კერას.

აღნიშნულ ინსტიტუტებთან ერთად, ჩვენში არსებობს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ისინი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მედიცინის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

ყველა ეს ინსტიტუტი თავის მუშაობას უქვემდებარებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და უშუალო მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის მუშაობაში.

საქართველოს მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლები არჩეული არიან საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად და წევრ-კორესპონდენტებად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში არსებობს ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც თავის შემადგენლობაში აერთიანებს სხვადასხვა სამედიცინო დარგში მომუშავე რამდენიმე სამეცნიერო-კვლევით

---

1 იხ. „სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობა". სტატისტიკური კრებული, სახელგამი 1956 წ. გვ. 194.

ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტებში წარმოებს ნაყოფიერი შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობა თანამედროვე მედიცინის აქტუალურ საკითხებზე.

საბჭოთა საქართველოში მედიცინის დარგში მიღწეული წარმატებები განუყოფელია და ორგანულად შერწყმულია იმ წარმატებებთან, რომლებიც გააჩნია საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა მედიცინის, ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემის მუშაკების, თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყნის სამედიცინო დარგის ურიცხვი არმიის წინაშე აყენებს ამოცანას, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს და განვითარდეს ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, კიდევ უფრო ფართო გაქანება მიეცეს სამკურნალო და პროფილაქტიკურ საქმიანობას, ამაღლდეს სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა, პრაქტიკაში დანერგილ იქნას სამედიცინო მეცნიერების უახლესი მიღწევები.

უდიდესი ამოცანებია დასახული საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა კავშირში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მედიცინის, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმის განვითარება ეპოქალური მოვლენაა. საბჭოთა მედიცინის ისტორია მშობლიური მედიცინის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და იგი გულდასმით შესწავლას საჭიროებს. ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირში ფართოდაა გაშლილი მუშაობა. უკვე გამოქვეყნებულია საფუძვლიანი გამოკვლევები და მონოგრაფიები, დასტამბულია მრავალი სტატია საბჭოთა მედიცინის და ჯანმრთელობის დაცვის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. გაცხოველებული და ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქში, მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკებში. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენს რესპუბლიკაშიც წარმოებს გარკვეული მუშაობა და უნდა ვიფიქროთ, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც დაიწერება საბჭოთა საქართველოში მედიცინის და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ისტორია.

საბჭოთა ეპოქის ცხოვრების და კულტურის ისტორიის შესწავლასთან ერთად, მეცნიერები ჩვენი ხალხების წარსულს, მათი ძველი კულტურის ისტორიასაც სწავლობენ.

წარსულში მრავალი ისტორიული ქარტეხილისა და უმძიმეს ვითარებათა მიუხედავად, საბჭოთა კავშირში გაერთიანებულმა ხალხებმა, საუკუნეების მანძილზე, არა მარტო დაიცვეს თავისი ფიზიკური არსებობა, მშობლიური მიწა-წყალი, ენა და, საერთოდ, თავისი ეროვნული სახე, არამედ შემოინახეს თავიანთი კულტურა.

ხალხის კულტურულ მონაპოვართა განუყრელ ნაწილს მისი მედიცინაც წარმოადგენს.

საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოქვეყნებულია მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების მედიცინის წარსულის შესახებ. მთელ რიგ მოძმე რესპუბლიკებში გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეეხება მთლიანად მედიცინის ან მისი ცალკეული დარგების ისტორიას, როგორც საბჭოთა ხანაში, ისე რევოლუციამდელ პერიოდ-

ში[1]. არსებული მასალა ცხადად მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი ისტორიული კულტურის შემქმნელი და მატარებელი არიან, ხოლო ამ ისტორიულ კულტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც მათ მედიცინის დარგშიც მოიპოვეს.

ქართველმა ხალხმა, უხსოვარი დროიდან, უაღრესად მდიდარი სამედიცინო კულტურა შექმნა.

მიუხედავად ამისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, ქართველი ხალხის ისტორიული მონაპოვარი მედიცინის დარგში სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ნათქვამი, რასაკვირველია, იმასროდი ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები არავის არ გადაუდგამს. არა, ქართველი ხალხის ამ საგანძურს თავისი მოტრფიალენი და მეურვეები ჰყავდა.

ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI და იმ დროის განსწავლულმა ადამიანებმა მოჰკიდეს ხელი ქართული სამედიცინო ხელნაწერების შეგროვებისა და დამუშავების საქმეს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, აგრეთვე, პეტერბურგსა და მოსკოვში ჩასულ განსწავლულ ქართველთა (იოანე ბატონიშვილი და სხვ.) მოღვაწეობა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არა ერთმა ენთუზიასტმა დაიწყო ქართული სამედიცინო ხელნაწერების შეგროვება. ასე მაგალითად, ექიმმა ბახუტა შვილმა ქართულ გაზეთებში განცხადებაც კი გამოაქვეყნა თხოვნით, რომ მისთვის მიეწოდებინათ აღნიშნული ხასიათის ხელნაწერები.

ანალოგიურ ცდებს, ქართული სამედიცინო წარსულის შესწავლის მიზნით, ადგილი ქონდა ექ. დ. ერისთავის და სხვ. მხრივ.

ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ძველი ქართული მედიცინის შესახებ სტატიებიც დაიბეჭდა.

1857 წელს ნ. ბერძენოვმა «Кавказский календарь»-ში გამოაქვეყნა სტატია ქართული მედიცინის შესახებ. როგორც ჩანს, ქართული მედიცინის წარსულით დაინტერესებული ყოფილა დანიელ ჭონქაძე. მას ნ. ბერძენოვისათვის შესასწავლად გადაუცია ძველი სამედიცინო ხელნაწერი. ამავე საკითხზე 1901 წელს გამოაქვეყნა წერილი ი. ალხაზიშვილმა. უნდა აღინიშნოს ექ. იაშვილის ღვაწლი ქართული სამედიცინო ხელნაწერების შეგროვება-შესწავლის საქმეში. ცალკეული წერილების გარდა, მან 1905 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომი: «Медицина в Закавказском крае», რომელიც, ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, იმ დროს თვალსაჩინო ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამის გარდა, უფრო ადრე, ი. გძელიევის ხელის მოწერით დასტამბული იყო წერილი იმ ხალხური სამკურნალო ხერხების შესახებ, რომელთაც ქართველები წარსულში მიმართავდნენ ყვავილის დროს.

ს. მამალაძემ გამოაქვეყნა წერილი ჭრილობების მკურნალობის დროს ქართულ ხალხურ მედიცინაში ხმარებული საშუალებების შესახებ და სხვ.

---

[1] იხ. Д. М. Российский—«История отечественной медицины и здравоохранения»—Библиография под редакцией Б. Д. Петрова. Медгиз, 1956 г.

ამ საქმის დიდი გულშემატკივარნი—ენტუზიასტები სხვა ეროვნების ექიმთა წრიდანაც გამოჩნდნენ. საერთოდ ძველი ქართული მედიცინის, განსაკუთრებით კი ქართული ხალხური მედიცინის შესწავლას, მათ დიდი მონდომებით და სიყვარულით მოჰკიდეს ხელი და ამ მიმართულებით ძალიან სასარგებლო საქმე გააკეთეს, რითაც დიდი ამაგი დადეს ქართველი ხალხის კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროს.

ასე მაგალითად, ი. პ ა ნ ტ ი უ ხ ო ვ მ ა გამოაქვეყნა მთელი რიგი გამოკვლევები ქართული მედიცინის სხვადასხვა საკითხებზე. ი. პანტიუხოვის შრომებთან ერთად, აღსანიშნავია ქართული მედიცინის საკითხებზე რუსულ ენაზე დასტამბული ი. მ ი ნ კ ე ვ ი ჩ ი ს საფუძვლიანი შრომები. ქართულ ხალხურ სამკურნალო საშუალებებს შეეხება ა. შ უ რ ი გ ი ნ ი ს და ნ. ლ ო პ ა ტ ი ნ ი ს წერილები. ქართული ხალხური მედიცინის საკითხებს უძღვნა თავისი წერილი მ. ს კ ო რ ო ვ მ ა; ზოგიერთი დაავადების საწინააღმდეგოდ ხმარებულ ხალხურ საშუალებებს შეეხება რ ე ი ნ გ ა რ დ ტ ი ს ნაშრომი; ა. ე ი ზ ე ს ე რ მ ა ნ მ ა, თავის წერილში „ათი წელი კავკასიაში“, სპეციალური ადგილი დაუთმო იმ ღონისძიებებს, რომელთაც დაავადების დროს მიმართავდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი.

ქართული მედიცინის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს, მეტნაკლებად, შეეხო ქართველ ისტორიკოსთა, ლიტერატურის მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი. განსაკუთრებით დიდი ამაგი მიუძღვის ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ქართული მედიცინის ისტორიით. იგი თავის შრომებში არაერთხელ შეეხო ქართული მედიცინის ისტორიის სხვადასხვა საკითხს, ხოლო საქართველოში ინჰალაციური და ბალნეოლოგიური მკურნალობის ისტორიას მიუძღვნა მოცულობით პატარა, მაგრამ მეტად ფასოვანი და საინტერესო სპეციალური შრომა. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ მხცოვან მეცნიერს სპეციალური გამოკვლევა ჰქონდა შესრულებული საქართველოს მედიცინის ისტორიის შესახებ. მას ამ თემაზე სხვადასხვა ადგილას მოხსენებებიც კი გაუკეთებია, მაგრამ თვით შრომა თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია და მისი მიკვლევა დღემდე ვერ მოხერხდა.

საქართველოს მედიცინის ისტორიის შესახებ პატარა შრომა გამოაქვეყნა აგრეთვე ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მ. გარდა ამისა, ხელნაწერის სახით შემონახულია ამ საკითხზე მისი უფრო ვრცელი ნაშრომი.

როგორც ჩანს, ზაქარია ჭიჭინაძეს ბევრი ძველი სამედიცინო ხელნაწერი უნახავს, ბევრი მათგანიდან უსარგებლია კიდეც ზემოაღნიშნული ნაშრომის დაწერის დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი სამედიცინო ხელნაწერები, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს ზ. ჭიჭინაძე, ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის და არც არაფერი ვიცით, თუ რა ბედი ეწვია მათ.

ზ. ჭიჭინაძის მიერ ნახული ძველი ქართული სამედიცინო ხასიათის ხელნაწერებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული ორიგინალური, ხოლო მეორე ნაწილი კი თარგმნილი ნაწარმოებები ყოფილა.

მისი თქმით, ქართულ ენაზე თარგმნილ სამედიცინო ხელნაწერებს შორის ყოფილა ჯალინოზის (გალენის) და ბაღრატის (ანუ ჰიპოკრატეს) ნაწარმოებები.

ქართულ ორიგინალურ სამედიცინო ხელნაწერებს შორის ის ასახელებს ისეთებსაც, რომლებიც დაცულია და ზოგი მათგანი ამჟამად დასტამბულიც

არის, მაგრამ მის მიერ ნახული ხელნაწერების ერთი ნაწილი კი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ასე მაგალითად, იგი აღწერს ზაქარია მამიდაშვილის კარაბადინს (ამ კარაბადინის რამდენიმე ეგზემპლარი ნახული აქვს ზ. ჭიჭინაძეს), რომელიც ეხებოდა ისეთ ნერვულ დაავადებებს, როგორიცაა თავის ტკივილი და მისი გარკვეული სახე—შაკიკი, თავბრუხვევა, უძილობა, დამბლა და სხვ. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი, შინაგანი ორგანოების დაავადებანი, ჭრილობები, მოტეხილობანი და სხვ. ეს კარაბადინი, ავტორის თქმით, მეთორმეტე, ან მეცამეტე საუკუნეში უნდა ყოფილიყო დაწერილი.

ამის შემდეგ, ზაქარია ჭიჭინაძე ასახელებს მის მიერ ნახულ ბაგრატ ბატონიშვილის კარაბადინს, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნის ძეგლი უნდა ყოფილიყო. მას უნახავს იმავე ხანის მეორე ქართული კარაბადინი, რომელიც როსტომ ექიმის კარაბადინის სახელწოდებით ყოფილა ცნობილი. მისი ავტორი როსტომ ექიმი, ბაგრატ ბატონიშვილის მიმდევარი, გამოჩენილი მკურნალი ყოფილა.

ზაქარია ჭიჭინაძეს მიუკვლევია, აგრეთვე, ე. წ. გრიგოლ ექიმის კარაბადინისათვის. გრიგოლ ექიმს ეს ნაწარმოები ძველი ქართული სამედიცინო წიგნების მიხედვით დაუწერია XVI საუკუნეში. აღნიშნული კარაბადინიდან ზ. ჭიჭინაძეს მოტანილი აქვს შემდეგი მეტად საინტერესო ადგილი: „ექიმობა ორი არს, ერთი მეცნიერება და მეორე მეცნიერების მოხმარება“. ეს ადგილი გვაფიქრებინებს, რომ გრიგოლ ექიმისათვის ცნობილი ყოფილა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და ბუნებისმეტყველის, მედიცინაში განსწავლული პიროვნების ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს შეხედულებები და მისი ეპოქის სამედიცინო ხელნაწერები.

დიდად საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის ცნობა ანტონ ექიმის კარაბადინის შესახებ. ანტონ ექიმი XVI საუკუნეში კარის ექიმი ყოფილა, მას საექიმო სკოლაც დაუარსებია და კარაბადინი შეუდგენია.

ზ. ჭიჭინაძე წერს: „ანტონ ექიმისაგან შედგენილი კარაბადინი მე ვნახე 1878 წელს, შუამთის მონასტერში, რომელსაც სათაურად ეწერა—„კარაბადიმი მართალი და ჭეშმარიტი სხვათა ძველთა კარაბადიმებიდან ზედდამატებით გადმოწერილი და შევსებული კახეთის მეფის ალექსანდრეს კარის მკურნალ ექიმის ანტონისაგან“. კარაბადინის ბოლოში მიწერილი ყოფილა: „გადაიწერა ესე მართალი და ჭეშმარიტი „კარაბადიმი“ კახეთის შუამთის მონასტერს, ხელითა უღირსის წიგნობრის 1753 წ. ეს კარაბადიმი ერთ ქართველ ბერს ჰქონდა, მან მე ჩუქებით, ან სყიდვით არ მომცა, ბერი შემდეგ კახეთიდამ იერუსალიმს წავიდა, წიგნი თან წაიღო თუ კახეთში დასტოვა ამისი არა ვიცი რა“.

ზ. ჭიჭინაძეს უნდა ქონდეს ნახული აგრეთვე ე. წ. ზურაბ ექიმის კარაბადინი. ზურაბ ექიმს, ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, უნდა ეცხოვრა და სამედიცინო ასპარეზზე ემოღვაწნა მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულსა და 1650 წელს შუა.

ზ. ჭიჭინაძე ლაპარაკობს მეორე ზურაბ ექიმის შესახებაც, რომელიც უფრო მოგვიანებით ცხოვრობდა.

ჩვენს ავტორს უნახავს, აგრეთვე, კარაბადინი, რომელიც XVII საუკუნის უნდა ყოფილიყო. იგი დაყოფილი ყოფილა ორმოც თავად. იმ დროისათვის, როდესაც კარაბადინი ზ. ჭიჭინაძის ხელში მოხვდა, მას პირველი ხუთი თავი კლებია. ზ. ჭიჭინაძეს ნახული ქონია, აგრეთვე, ქართული ხელნაწერი, რომელსაც „მაჯის მკურნალობა“ ეწოდებოდა და სხვ.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დასახელებული კარაბადინების შესახებ რაიმე გარკვეული მოსაზრების გამოთქმა, ცხადია, შეუძლებელია, ვიდრე ისინი მიკვლეული და სათანადოდ შესწავლილი არ იქნება.

ჩვენამდე მოღწეული მთელი რიგი სამედიცინო ხელნაწერების შეგროვებასა და შემონახვაში დიდი როლი შეასრულა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ. მის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ეს მეტად მადლიანი საქმე. დიდი ილიას ინიციატივით შექმნილმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ძველი ქართული ხელნაწერების და მათ შორის საექიმო ხელნაწერების შეგროვება. აღნიშნული საზოგადოების მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულმა მუშაობამ დიდი სამსახური გაუწია ქართული მედიცინის წარსულის შესწავლის საქმეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების არნახული პირობები.

საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას ეხლა უკვე ხელი მოჰკიდეს მძლავრმა სამეცნიერო კოლექტივებმა. ძველი ქართული ხელნაწერების გამოვლინება, შეკრება და შესწავლა, არქეოლოგიური ძიებანი, მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენა-დაცვა და სხვ. სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა.

ყურადღება მიექცა, აგრეთვე, საქართველოს მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმესაც. ამ დარგში დიდი ენტუზიაზმით მუშაობდა ექიმი ვ ლ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, რომელმაც შეისწავლა და გამოსცა ქართულ ენაზე არსებული სამედიცინო ხასიათის სამი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი: „უსწორო კარაბადინი“, „წიგნი სააქიმოი“ და „იადიგარ დაუდი“. ამასთან ერთად, გამოცემულ ტექსტებს მან დაურთო ნარკვევი ქართული მედიცინის ისტორიის შესახებ. მანვე ქართულიდან რუსულად თარგმნა „წიგნი სააქიმოი“. ეს უკანასკნელი ჯერ გამოცემული არ არის. თავის დროზე ის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფ. კ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ხელის შეწყობით შეძენილ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის მიერ და აღნიშნულ კათედრაზე ინახება. ექ. ვ ლ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ მ ა დიდი სამსახური გაუწია ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლას.

ქართული მედიცინის ისტორიის, კერძოდ, ჩვენში მორფოლოგიის და ფიზიოლოგიის განვითარების ისტორიის საკითხებით დიდად არის დაინტერესებული და ამ სფეროში სპეციალურ მუშაობასაც ეწევა აკადემიკოსი ი ვ ა ნ ე ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი. 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს—„კუნთოვანისა და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“ აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა სპეციალური თავი დაურთო შემდეგი სახელწოდებით: „ფიზიოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია“. ეს დამატება შემდეგ ნაწილებს შეიცავს:

1. ანატომია-ფიზიოლოგიის განვითარება უძველესი დროიდან მეცნიერებათა აღორძინების ეპოქამდე (მე-15 საუკუნემდე).

2. ანატომია-ფიზიოლოგიის განვითარება ევროპაში მეცნიერებათა აღორძინების ეპოქიდან XX საუკუნემდე.

3. ფიზიოლოგიის განვითარება სეჩენოვამდე.

4. რუსული ფიზიოლოგიის სკოლები (სეჩენოვის, პავლოვისა და ვედენსკის) და მათი დამსახურება ზოგადი ფიზიოლოგიის განვითარებაში.

5. ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები საქართველოში ძველი დროიდან მე-20 საუკუნემდე.

მედიცინის ისტორიის საკითხებზე შესრულდა სადისერტაციო შრომები თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში: ინსტიტუტის ქირურგიის კათედრაზე (გამგე—სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ა. პ. წ ულ უ კ ი ძ ე) ი. ი. ნ ი ქ ო ბ ა ძ ი ს მიერ შესრულებულია და 1953 წელს დაცულია სადოქტორო დისერტაცია თემაზე — «Материалы по истории хирургии в Грузии». ამავე ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრაზე (გამგე—პროფ. ნ. გ. ხ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი) შესრულდა მ. ს. შ ე ნ გ ე ლ ი ა ს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ნარკვევები ოფთალმოლოგიის ისტორიიდან საქართველოში“ (დისერტაცია დაცულია 1953 წელს და შემდეგ, ახალი მასალის დამატებით, დასტამბულიც არის). საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს პროფ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (დირექტორი—სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ა. დ. ზ ურ ა ბ ა შ ვ ი ლ ი) სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის კონსულტაციით შესრულდა მ. თ. წ ო წ ო რ ი ა ს საკანდიდატო დისერტაცია—„მასალები ფსიქიატრიის ისტორიისათვის საქართველოში უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე“ (დისერტაცია დაცულია 1953 წელს) და სხვ.

მთელმა რიგმა სხვა ავტორებმა ქართულ და რუსულ ენაზე გამოაქვეყნეს ნაშრომები საქართველოს მედიცინის ისტორიის საკითხებზე. ასე, მაგალითად, გამოქვეყნებული არის გ. ზ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი ს წერილი, პ. მ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომი და სხვ.—აღნიშნული ხასიათის შრომების სრული სია დართული აქვს მეორე წიგნს.

1943 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მედიცინის ისტორიის კათედრა, ხოლო 1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტთან შეიქმნა ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილება.

კათედრასა და განყოფილებაში მედიცინის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე მუშაობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს მედიცინის ისტორიის დაწერის საქმეს. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ საქართველოს მედიცინის ისტორიის მთელ რიგ პრინციპულ, ზოგადი ხასიათის საკითხების გამოკვლევა-დადგენასთან ერთად, საჭირო იყო სათანადო მუშაობის წარმოება მედიცინის ცალკეული დარგების ისტორიის შესწავლის მიზნითაც.

გარდა ამისა, საჭირო გახდა ქართული მედიცინის ისტორიის შესახებ წარსულში გამოქვეყნებული მასალის შესწავლა. გამოირკვა, რომ მასალა ბევრ შემთხვევაში ფასოვანი და საინტერესოა.

ამასთან ერთად, გვხვდება ისეთი ცალკეული შრომები საქართველოს მედიცინის ისტორიის შესახებ, სადაც ადგილი აქვს ისტორიული სინამდვილის ნებით თუ უნებლიე დამახინჯებებს. ამ შრომებში ქართული მედიცინა გამოცხადებული არის ამა თუ იმ ხალხის მედიცინის უბრალო განმეორებად, ანდა სხვადასხვა ხალხების მედიცინის ეკლექტურ შენაჯამად. უარყოფილი ანდა უგულვებელყოფილი არის ქართული მედიცინის დამახასიათებელი თავისებურებები, მისი ორიგინალური ხასიათი, განუყრელი კავშირი ქართველი ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან, მის მაღალ კულტურასთან, ფილოსოფიასა და სამეცნიერო აზროვნებასთან. ასეთი პოზიცია ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია, არაფრით არ არის გამართლებული და სრული კატეგორიულობით უნდა იქნეს უარყოფილი.

რასაკვირველია, მრავალსაუკუნოებრივი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობის პროცესში, მედიცინის სფეროშიც ადგილი ქონდა ურთიერთგავლენას. ამიტომ სრულიად ნორმალურია, რომ ამ გავლენის კვალს საქართველოს მედიცინაშიც ვპოულობთ. თავის მხრივ კი ქართულ მედიცინის გავლენა, ბევრ შემთხვევაში მეტად შორს მიმავალი და ღრმა, მკვეთრად მოჩანს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მედიცინაში. ჩვენ ამ საკითხის ძიება, წინამდებარე წიგნის შექმნის პროცესში, ამოცანად არ დაგვისახავს, თუმცა მომავალში ეს მეტად საინტერესო და ფრიადმნიშვნელოვანი საკითხი სპეციალური კვლევის საგნად გვაქვს წარმოდგენილი.

მასალით სარგებლობის და მისი განხილვის დროს, ჩვენ ამა თუ იმ ხელნაწერს ვიღებდით ისე, როგორც იგი დათარიღებული არის მისი გამომცემლის მიერ, ანდა, როგორც იგი წარმოდგენილია მუზეუმებსა და არქივებში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საკუთრივ სამედიცინო ხასიათის ხელნაწერების ტექსტების ნაწილი როგორც გამოცემული, ისე გამოუცემელი, უსათუოდ მოითხოვს შემდგომ კრიტიკულ შესწავლას, მათი ავტორების, დათარიღების დაზუსტებას და სხვა სახის სამუშაოს ისტორიულ-ფილოლოგიურ ჭრილში. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდეს, ჩვენ თავს ნება მივეცით გვესაუბრა მასალით იმ სახით, როგორც იგი დღეისათვის არის წარმოდგენილი. აღნიშნულ მასალაში მოცემული სამედიცინო იდეები, შეხედულებები, დაავადებათა გაგება-მკურნალობა ჩვენი შესწავლის საგნად გავხადეთ. ტექსტებზე მომავალი სამეცნიერო კელევა, რასაკვირველია, მთელ რიგ საკითხებს ახალ შუქს მოფენს, მაგრამ ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მასალა, ძირითადში, მაინც დარჩება. ამის საფუძველს ის გარემოებაც იძლევა, რომ დროის და შინაარსის მხრივ, ჩვენს მიერ განხილული მასალა, ძირითადში, ემთხვევა კრიტიკულად შესწავლილ და მეცნიერულად დადგენილ არასამედიცინო ხასიათის წერილობით ძეგლებში არსებულ მცარე, მაგრამ მეტად სარწმუნო სამედიცინო ხასიათის ცნობებს.

ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით ნათარგმნ ძეგლებსაც, რომლებიც ქართველი ხალხის მეცნიერული ინტერესების, ქართული სამედიცინო და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარების ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრაზე მათი არსებობის მანძილზე (ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილება არსებობდა 1950 წლამდე) შესრულებული იყო სხვადასხვა ხასიათის შრომები საქართველოს მედიცინის ისტორიიდან. ეს შრომები მოსმენილი და განხილულია აღნიშნული განყოფილების და კათედრის გაერთიანებულ სხდომებზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი დასტამბულიც არის. ცალკეულ საკითხების დამუშავებაში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღეს მედიცინის ისტორიის კათედრის და ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა, ასპირანტებმა და მომაგრებულმა ექიმებმა: კ. გ ე გ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა, ბ. გ ვ ე ტ ა ძ ე მ, ნ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე მ, ე. ს ე ბ ი ს კ ვ ე რ ა ძ ე მ, ც. ჩ ხ ე ი ძ ე მ, ნ. ც ო მ ა ი ა მ, ი. ჭ ი ბ ო შ ვ ი ლ მ ა და სხვებმა.

ამასთან ერთად, აღნიშნულ განყოფილებაში და კათედრაზე შესრულებულია ათზე მეტი სადისერტაციო ნაშრომი (მათი უმრავლესობა უკვე დაცული არის), რომლებშიც გაშუქებულია საქართველოს მედიცინის ისტორიის სხვადასხვა საკითხი. ამ ნაშრომთაგან, ერთი ნაწილი შეეხება საქართველოს მედიცინის ისტორიის საბჭოთა პერიოდს, ნაწილი კი, ნაწილობრივ ან მთლიანად, ეხება საქართველოს მედიცინის წარსულს.

სადისერტაციო შრომების ერთი ნაწილი შესრულებულია კათედრისა და განყოფილების თანამშრომლების და ასპირანტების, ხოლო მეორე ნაწილი კი კათედრაზე სამეცნიერო მუშაობის მიზნით მომაგრებულ ექიმების მიერ.

წიგნში მოთავსებული ორი თავი: „ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები“ და „შინაგანი სნეულებანი“, მთლიანად ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების ყოფილ ასპირანტს ექიმ ბ ა ა დ ე რ ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ს-ძ ე რ ა ჭ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ს.

საქართველოს მედიცინის ისტორიის შესწავლის პროცესში როგორც ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებას, ისე მედიცინის ისტორიის კათედრას დიდი დახმარება აღმოუჩინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ. სხვადასხვა საკითხებზე მეტად ძვირფასი და ავტორიტეტული კონსულტაციით დახმარება გაგვიწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის განყოფილებებმა და წყაროთა პუბლიკაციის კომისიამ. დიდი დახმარება გაგვიწიეს, აგრეთვე, საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა და არქეოლოგიურმა განყოფილებებმა.

ლენინგრადში დაცულ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებით სარგებლობის საქმეში ყოველმხრივ ხელი შეგვიწყო ქ. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებამ.

თავის დროზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის კათედრის მიერ, მომზადებული და 1950 წელს გამოცემული იქნა ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი". ძველი ქართული მედიცინის ამ ძვირფასი ძეგლის გამოცემაში განყოფილებისა და კათედრის თხოვნით მონაწილეობა მიიღეს პროფ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ და დოც. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა მ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ამაგი, რომელიც ზაზა ფანასკერტელის „საექიმო წიგნის" გამოცემაში მიუძღვის პროფ. ილია აბულაძეს. მისმა დაუღალავმა და ნაყოფიერმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი აღნიშნული წიგნის გამოცემას.

ვლ. კოტეტიშვილის მიერ გამოცემულ ძველი ქართული მედიცინის ზემოთ-დასახელებულ წერილობით ძეგლებთან ერთად, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი" ფართოდ არის გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში.

შესავალის ის ნაწილი, რომელიც კარაბადინის საკითხს შეეხება, ორიგინალში წაკითხული იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წ ე რ ე თ ლ ი ს მიერ, რომელმაც ამ საკითხზე დაუზარებლად და გულისხმიერად დიდად მნიშვნელოვანი კონსულტაცია გაგვიწია.

წიგნის მესამე თავს, რომელიც შეეხება საქართველოში ძველად არსებულ წარმოდგენებს ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ, ორიგინალში გაეცნო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი-კ ო მ ა ხ ი ძ ე.

წიგნში წარმოდგენილი სამედიცინო ხასიათის არქეოლოგიური მასალის განხილვის დროს დახმარება გაგვიწია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, არქეოლოგმა ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე მ, ხოლო ექსპონატების ფოტოგადაღების დროს—არქეოლოგმა გ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ მ ა.

გარკვეული მიზეზების გამო ჩვენი ნაშრომის მესამე ტომი, რომელიც შეეხება ქართული მედიცინის ისტორიას V—XVIII საუკუნეებში, ორ წიგნად არის გაყოფილი. მეორე წიგნს დართული აქვს სახელების და საგნობრივი საძიებელი. იქვე არის დართული შრომაზე მუშაობის დროს გამოყენებული ლიტერატურის სრული სია. ციტატის ანდა ამა თუ იმ ავტორის აზრის უშუალოდ მოტანის შემთხვევაში, წყარო ტექსტშივეა მითითებული.

წიგნში დაბეჭდილი ზოგიერთი სურათი ამოღებულია სხვადასხვა გამოცემებიდან—სავარცხლების სურათი ბ. ა. კუფტინის წიგნიდან («Археологические раскопки в Триалети», I, 1941, Тбилиси), ზაზა ფანასკერტელის სურათი—ყინწვისის ფრესკის ასლი, ვახტანგ VI ანდერძი და კალამის სურათი ამოღებულია ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან" (1950). უშუალოდ ექსპონატებიდან გადაღებული ზოგიერთი სურათი უფრო ადრე სხვა ავტორთა შრომებში იყო გამოქვეყნებული.

საქართველოს მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციის, წყაროების, სხვადასხვა ზოგად და პრინციპულ საკითხებზე საუბარი იქნება პირველ ტომში.

ვბედავთ და მკითხველის სამსჯავროს წინაშე გამოგვაქვს შრომა, რომელიც შეეხება ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს— ქართული მედიცინის ისტორიას V—XVIII საუკუნეებში. ვიცით, რომ ნაშრომს ნაკლიც აღმოაჩნდება და ვიმედოვნებთ, რომ პირუთვნელი, პრინციპული და საქმიანი კრიტიკა დაგვეხმარება ამ ნაკლის გამოსწორებაში.

შესავალი

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში გაერთიანებულ უძველესი ისტორიის მქონე ხალხთა რიცხვს ეკუთვნის.

მან ისტორიულ ვითარებათა შედეგად, სხვა ხალხებთან და ტომებთან მრავალმხრივი ურთიერთობის, გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ურთიერთდახმარების, თანამშრომლობისა და მტრებთან ბრძოლის პირობებში, შორეულ წარსულშივე მიაღწია განვითარების მაღალ საფეხურს წარმოება—ხელოსნობის, სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მხრივ. თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა მაღალი კულტურა: მდიდარი ლიტერატურა, ხუროთმოძღვრების ძეგლები, ჭედური ხელოვნებისა და კედლის მხატვრობის იშვიათი ნიმუშები, განავითარა მეცნიერების მთელი რიგი დარგები და მათ შორის მედიცინა.

საქართველოს მედიცინის უძველესი ხანის შესახებ წერილობითი ცნობები ნაკლებ შემოინახა, მაგრამ, არსებულ წერილობით წყაროებთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ ნივთიერი კულტურის ძეგლებს, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მონაცემებს, საშუალება გვეძლევა მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ საქართველოს მედიცინის ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩო.

ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული მასალის მიხედვით საქართველოს მედიცინის სათავეები ქართველი ხალხის ეთნიკური ჩამოყალიბების დროიდან შეინიშნება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრებისა და სამედიცინო ქმედების კვალი ქართველი ხალხის ეთნიკურად ჩამოყალიბების ბევრად უფრო ადრინდელი პერიოდიდან არის დარჩენილი.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარმოებული სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალის განხილვის საფუძველზე გამოირკვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ხანაში უცხოვრია.

ცნობილია, რომ ქვის ხანის ადამიანი საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად უმთავრესად ქვის იარაღებს იყენებდა. მეტ-ნაკლებად დამუშავებული სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ქვის იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის ნაპოვნი. პირველყოფილი ადამიანი მათი საშუალებით თხრიდა მცენარის ბოლქვებს, ამუშავებდა ნაყოფს და სხვ. საარსებო საშუალებათა ძიების დროს პირველყოფილი ადამიანი ხვდებოდა ისეთ მცენარეებს, რომელთა მიღებას შეეძლო გამოეწვია გულის რევა, ტკივილის დაყუჩება, შეკრულობა და სხვა. შემდეგში, უკვე, ამგვარი დაკვირვების საფუძველზე მცენარეები გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამკურნალო მიზნით. ხოლო როცა ადამიანმა, მის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, მცენარეებთან ერთად ხორცეული საკვებიც გამოიყენა, იგი თანდათანობით ცხოველურ სამყაროსაც

გაეცნო; ახლა მცენარეულს ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებიც მიემატა.

უკანასკნელ წლებში მიკელეული ზედა პალეოლითის სადგომი გამოქვაბულები (დევისხვრელი, საკაჟია, მღვიმევი, ძევრი და სხვ.) და იქ მოპოვებული უფრო დიფერენცირებული და მრავალფეროვანი ინვენტარი (ქვის იარაღებს გარდა, ძვლის სადგისები, „სათხრელი ჯოხი" რქის წვერით, რომელიც პირველი შემთხვევაა პალეოლითში). იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის წინაპარს წინ გადაუდგამს ნაბიჯი შრომისა და ბრძოლის იარაღების კეთებაში და, მაშასადამე, თვით საკუთარი თავის ადამიანად ქცევის პროცესშიც.

საკაჟიას გამოქვაბულში მოპოვებული მასალებით დადასტურებულია, რომ ქვის ხანის ადამიანი ცხოველის ძვლის ტვინისა და ჭონისაგან უკვე ამზადებდა მალამოს და კანის დასარბილებელ საშუალებებს[1].

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლეულობის მსგავსად ადამიანმა ადრევე დაიწყო სამკურნალო მიზნით ქვის გამოყენება.

ბუნებასთან ურთიერთობაში პირველყოფილმა ადამიანმა მრავალმხრივი გამოცდილება მიიღო. ასეთ გამოცდილებას ადამიანთა კოლექტივი ღებულობდა, შემდეგ ამ გამოცდილების მატარებელი ცალკეული პირები ხდებიან. როგორც ჩანს, ასეთი პირები თავდაპირველად ქალები ყოფილან; ქალი იყო ოჯახისა და გვარის უფროსი და მასვე ეკისრებოდა ზრუნვა სნეულსა და დავრდომილზე.

შემთხვევითი არ არის, როგორც ამას სამართლიანად მიუთითებენ მედიცინის ისტორიკოსები[2], რომ მითებსა და ხალხურ ეპოსში მკურნალად უმთავრესად ქალია გამოყვანილი: ეგვიპტეში ეს არის „ყოველისმძლე" პოლიდამნა, საბერძნეთში—„ოქროსთმიანი" აგამედა, ჩეხეთში—„ბრძენი" კაზა, კიევის რუსეთში—ილია მურომეცის მკურნალი მარინა, საქართველოში—„გრძნეული" მედეა. მართალია, ეს თქმულებები მატრიარქატზე გვიან არის შექმნილი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მათში ხალხის გენიამ სწორად ასახა ქალის, როგორც პირველი მკურნალის, როლი.

სამეურნეო საქმიანობაში წამყვანმა როლმა ქალი იმდროინდელი გამოცდილებისა და ცოდნის მატარებელი და გამომყენებელი გახადა.

ანალოგიური მასალები მოწმობს, რომ მატრიარქატის ხანაში ქალი უშუალოდ მონაწილეობდა მიწის დამუშავებაში. ამის ანარეკლი ენას აქამდე შემორჩა, გავიხსენოთ მაგალითად, სიტყვა „გუთნისდედა" და სხვ.

იმ ხანაში მიწათმოქმედების განვითარებას ადასტურებს გათხრების დროს საქართველოს ტერიტორიაზე (ანაკლია) ნეოლითურ ფენებში მარცვლეული მცენარეების ნაშთების აღმოჩენა[3].

---

[1] გ. ნორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, გამომც. „ტექნიკა და შრომა". თბილისი, 1953, გვ. 56, 59 და სხვ.

მისივე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, თბილისი, 1938.

მისივე, ქვის ხანის ადამიანები. ზედაპალეოლითი, თბილისი 1948, გვ. 23

[2] Бородулин, Ф. Р. Лекции по истории медицины. лекция II. Медгиз, Москва, 1954, გვ. 7.

[3] ნ. ხოშტარია, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. „საქ სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", ტ. V, № 2, გვ. 208—210.

III ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლა მომხდარა. ეს ის ხანაა, როცა ადამიანი ქვის იარაღების წარმოებიდან ჯერ სპილენძის ჭედვაზე გადასულა, ხოლო შემდეგ ბრინჯაოს დამზადებაზე. ამას ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობებიც. დამტკიცებულია, რომ ლითონის დამუშავების თავის დროისათვის მაღალ დონეს ნიადაგი მოუმზადებია საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს წარმოებისათვის. რომ ჩვენში ბრინჯაოს კულტურა სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენებულა და განვითარებულა[1].

არქეოლოგები ფიქრობენ, რომ მდინარე რიონის ზემომდინარების ტერიტორიაზე არსებულ ლითონის საბადოებიდან იმდენ მადანს იღებდნენ, რომ იგი მეზობელ ადგილებშიც გაქონდათ[2]. ამავე დროს დიდი გაქანება მიეცა ლითონის ნაწარმის დამზადებას. კოლხეთში, რაჭაში და საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები, თოხები, შუბის წვერები, სასოფლო-სამეურნეო და ბრძოლის სხვადასხვაგვარი იარაღები, მრავალფეროვანი სამკაულები მაჩვენებელია საქართველოს ტერიტორიაზე იმ ხანად მეტალურგიული საქმიანობის განვითარებისა[3].

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ ადგილებში ჩატარებული გათხრების დროს ნაპოვნი იყო ბრინჯაოს რგოლებიც. სპეციალისტების დასკვნით ბრინჯაოს რგოლები, რომლებიც II ათასწლეულს მიეკუთვნებიან, მონეტის დანიშნულებას ასრულებდნენ. მაშასადამე, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე II ათასწლეულში ადგილი ჰქონია აღებ-მიცემობასაც და ამისათვის სპეციალური ნიშნებიც ჰქონიათ შემოღებული.

ცნობილია, რომ ასეთი რგოლები მეორე ათასწლეულის ბოლოს ხმარებაში ყოფილა ეგვიპტეშიც; ჩინეთში პირველ ათასწლეულში ჯარიმას სპილენძიდან გაკეთებული რგოლების სახით ახდევინებდნენ[4].

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის საქართველოში ხდება პატრიარქატის შემდგომი განმტკიცება. ძირითად საზოგადოებრივ ერთეულს ამ პერიოდისათვის წარმოადგენს ტომი, რომელიც გვარებზე გაბატონებული ორგანიზაცია ხდება. საწარმოო საშუალებათა თავმოყრა, სიმდიდრის დაგროვება, საძოვრების დაუფლება, სხვადასხვა გვარებსა და ტომებს შორის ბრძოლის მიზეზი ხდება[5].

საქართველოს ტერიტორიაზე—თრიალეთში, ქართლში (ტყვიავი), წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის გვარებისა და ტომების მხედარმთავრებისა და ბელადების ყორღანული სამარხები და იქ მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები მოწმობს, რომ ამ ხანებში უკვე დაწყებულია საგვარეულო არისტოკრატიის ჩამოყალიბების პროცესი.

---

[1] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья. Ленинград, 1949, გვ. 43 და სხვა.

[2] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები. საბჭოთა საქართველოში. თბილისი, 1952, გვ. 54.

[3] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", ტ. 49, 1953, გვ. 198—200.

[4] გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", XV-B. თბილისი, 1948, გვ. 4,19.

[5] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 45.

თრიალეთის ყორღნებში ნაპოვნი, გამოსახულებებით კედელშემკული ჭედური ვერცხლის დიდი სასმისი, ფირუზისა და სარდიონის ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს თასი, ცხენ-ირმის ოქროს ქანდაკება, ვერცხლის შუბის პირი, სატევრის პირი, ოსტატობით შესრულებული კერამიკული ნაწარმი და სხვა ნაშთები ცხადყოფენ თრიალეთის მეჯოგე-მიწათმოქმედი ტომების სოციალურ და ეკონომიურ-კულტურულ დაწინაურებას[1].

ფრ. ენგელსი, ახასიათებს რა საზოგადოების განვითარების ამ საფეხურს, აღნიშნავს, რომ „მეჯოგე ტომები გამოეთიშნენ ბარბაროსების დანარჩენ მასას: ეს იყო შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. მეჯოგე ტომების მიერ ნაწარმოები საარსებო საშუალებანი არა მარტო უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა ბარბაროსებისა, არამედ უფრო სხვანაირიც. მათ, დანარჩენებთან შედარებით, გაცილებით მეტი რაოდენობით ჰქონდათ არა მარტო რძე, რძის პროდუქტები და ხორცი, არამედ აგრეთვე ტყავეულობა, მატყლი, თიეთიკი და ნართი და ქსოვილი, რომელიც ნედლი მასალის რაოდენობის გადიდებასთან ერთად თანდათან მატულობდა"[2].

არქეოლოგიური გათხრების დროს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეცხოველეობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ინვენტარი[3], რომელიც შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, სოფლის მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის დაწინაურების მაჩვენებელი უნდა იყოს (ტაბ. II, 1).

მეჯოგეობაზე გადასვლამ ახალი ბიძგი მისცა მედიცინის განვითარებას პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში. მწყემსებში განსაკუთრებით ქირურგიული საქმე განვითარებულა[4]. მწყემსი საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევდა მოშინაურებულ ცხოველებს, მაგალითად, დოლის დროს და სხვასე ყოფილა საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც.

ამ პერიოდისათვის (შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანა) ქართველ ტომებს უკვე გაეჩნდათ თავისი ეთნიკური ინდივიდუალობა.

ისტორიული საბუთების, პირველ რიგში ძველაღმოსავლური წყაროების, შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველი ტომები ძირითადად ახლანდელ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ. თუმცა

---

[1] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 79, 137 და სხვ.

მისიეე, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში. თბილისი, 1942.

[2] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. წიგნში: კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, სახელგამი, თბილისი, 1950, გვ. 371.

[3] მათ შორის აღსანიშნავია: სადღვებლები, საწურავები და მესაქონლეობისათვის საჭირო სხვა საგნები. ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმში.

ჰეროდოტე აღნიშნავდა, რომ სკვითები ცხიმს ცხენის რძისაგან ამზადებდნენ, ხის ღრუიან ჭურჭელში რხევის საშუალებით. პიპოკრატეს დაწვრილებით აქვს აღწერილი კარაქის შედღვების ის წესი, რომელიც სკვითებმა იცოდნენ (ცხენის რძის შედღვება ხის ჭურჭელში). მას აღნიშნული აქვს, რომ სკვითები კარაქს ჰო ბუტირონს უწოდებენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ბრინჯაოს ხანის სადღვებლების აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე იმას მოწმობს, რომ კარაქის დამზადებას უკვე ბრინჯაოს ხანაში ჰქონია ადგილი. იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია", წ. პირველი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 1951, გვ. 457.

[4] Ф. Р. Бородулин, დასახელებული ნაშრომი.



მათი ნაწილი გაფანტული იყო მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილშიც (მუშქებისა და ტაბალების მსხვილი გაერთიანებანი)[1].

არქეოლოგიური მონაცემები წერილობით წყაროებსა და ენთოგრაფიულ მასალასთან ერთად, მოწმობს, რომ ქართველ ტომებს წინა აზიის აყვავების ხანაში მეტად განვითარებული კულტურა ჰქონიათ—„საქართველოს მიწა-წყალზე ამ სამიათას ხუთასი წლის წინ არსებულა მაღალი კულტურის ადგილობრივი კერა, თანადროული ხეთური იმპერიისა (მცირე აზიაში) და მიუანის სამეფოსი (შუა ეფრატზე)...“[2]

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ტომები სხვა ხალხებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდნენ წინა აზიის უძველესი კულტურის შექმნაში, რომელიც სხვადასხვა დროს გაბატონებული ამა თუ იმ ტომის სახელით შევიდა ისტორიაში.

ქართველ ტომებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ხეთურ-ხურიტულ-ურარტულ ხალხებთან, ასურელებთან და უფრო დაშორებულ კულტურულ ქვეყნებთან.

ეს ურთიერთობა დროთა ვითარებაში მეტ-ნაკლები ინტენსიობით დიდხანს ცოცხლობდა.

ძველი აღმოსავლეთის მაღალი კულტურის მქონე ქვეყნებთან ურთიერთობას, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს მედიცინის განვითარებისთვისაც.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებულ II ათასწლეულის შუა წლების მასალის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის საქართველოში გარკვეული ყურადღება ექცეოდა ზოგიერთი ჰიგიენური წესების შესრულებასაც. საკმარისია დავასახელოთ ბეშთაშენის გზასთან (თრიალეთი) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ჰიგიენური დანიშნულების ისეთი საჭირო ნივთი, როგორიც არის ბრინჯაოსაგან დამზადებული სავარცხელი (II ათასწლეული).[3] საქართველოს ტერიტორიაზე ნახული იყო აგრეთვე ძვლისაგან გაკეთებული სავარცხლები, რომლებიც ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში (ტაბ. II, 2).

ამავე პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი იყო ნეშტრისებრი ბრინჯაოს დანები, ჩქიფები (პინცეტები), სისხლის გამოსაშვები იარაღები და სხვ. (ტაბ. I). ამ საგნების შესწავლა საფუძველს იძლევა, ისინი სამედიცინო დანიშნულების იარაღებად მივიჩნიოთ. შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი ქირურგიულ პრაქტიკაშიც ყოფილიყო გამოყენებული. საერთოდ ბრინჯაოს დანის გამოყენება ოპერაციების ჩასატარებლად იმავე ხანის წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონთა კრებულში ვკითხულობთ: „215. თუ ექიმი ვისმეზე ბრინჯაოს დანით მძიმე განკვეთის საშუალებით განკურნავს (ამ) ადამიანს, ან ბრინჯაოს დანით ვისმე თვალიდან ჩხინტის ამოღებით განკურნავს ამ ადამიანის თვალს, იგი მიიღებს ათ სეკელ ვერცხლს“.

---

[1] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Глава II, Тбилиси, 1954.

[2] ბ. ა. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში. თბილისი 1949, გვ. 5.

[3] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, стр. 281, 339.

„218. თუ ექიმი ვინმეზე ბრინჯაოს დანით მძიმე განკვეთის გაკეთებისას მიაყენებს სიკვდილს (ამ) ადამიანს, ან ვისიმე თვალიდან ბრინჯაოს დანით ჩხინტის ამოღებისას დაუზიანებს თვალს (ამ) ადამიანს, მაშინ მას უნდა მოეკვეთოს ხელები“.

“219. თუ ექიმი მუშქენუს მონაზე ბრინჯაოს დანით მძიმე განკვეთის გაკეთებით მიაყენებს მას სიკვდილს,იგი ვალდებულია მისცეს მონაში მონა“.

„220. თუ იგი ბრინჯაოს დანით მისი თვალიდან ჩხინტის ამოღებისას დაუზიანებს მას თვალს, ვალდებულია გადაიხადოს ფულით მისი ღირებულების ნახევარი“[1].

II და განსაკუთრებით I ათასწლეულში საქართველოში ქირურგიული საქმის განვითარებას არქეოლოგიურ გათხრების დროს მოპოებული ძვლოვანი მასალაც ადასტურებს. ადამიანის ძვლოვანი ჩონჩხის რენტგენოპალეოპათოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე დადგენილი იქნა აღნიშნულ პერიოდში ზოგიერთი ქირურგიული დაავადების მკურნალობის ფაქტები[2].

გამოირკვა, რომ IX—X და უფრო ადრეულ საუკუნეებშიც (ძვ. წ. აღ.)[3] მკურნალობის მიზნით თავის ქალას ტრეპანაციას აკეთებდნენ. თავისთავად ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ იმ დროისათვის ქირურგიული ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდხანს იყო შემორჩენილი თავის ქალას ტრეპანაციის წესი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ დაზიანებულ ადგილას ქალას ბურღავდნენ სანახით (ტრეპანი) და შემდეგ ფხეკის საშუალებით ჭრიდნენ თავის ქალას. ფხეკდნენ ე. წ. ხოწით (სკალპელი)... იგი ორნაირი ფორმისაა. პირველის დანიშნულებაა ზევიდან ქალას ძვლის თანდათანობით ფხეკა, მეორესი კი—უკვე ამონაჭერი ძვლის მახვილი კიდეების მობლაგვა, ანუ მოქლიბვა, რის გამოც ძვლის მოქლიბული პირები აღარ დააზიანებს მაგარ, რბილსა და საცრისმაგვარ გარსებს, როდესაც ტვინი ფეთქვას იწყებს ჭრილში[4].

ძნელია იმის მტკიცება, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი თავის ქალები სწორედ ამ წესით იყოს ტრეპანირებული, მაგრამ არც ეს არის გამორიცხული. აღნიშნული მით უფრო საფიქრებელია, რომ სანახისა (ტრეპანი) და ხოწის (სკალპელი) მსგავსი ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღები ნახულია საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს, II—I ათასწლეულის სამარხებში.

---

[1] ბაბილონის მეფის ხამურაპის კანონები. მთარგმნელები ელ. აბაშიძე-რუსია და ალ. რუსია. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1934. გვ. 65, 66.

[2] პ. ფირფილაშვილი, სამთავროს სამაროვანში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ძვლთა სისტემის დაავადების შესწავლისათვის. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ ტ. XV, № 8.

[3] თარიღები დადგენილია არქეოლოგ ალ. კალანდაძის მიერ.

[4] გ. თევზორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930, გვ. 98. ხალხურ მედიცინაში ტრეპანაციის წარმოების შესახებ აღსანიშნავია პროფ. სპ. ს. ვირსალაძისა და პანტიუხოვის წერილები.

მნიშვნელოვანია თვით ის ფაქტიც, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი და გამოყენებული ტრეპანაცია, როგორც სამკურნალო მეთოდი.

თავის ქალას ტრეპანაციას უმთავრესად ეპილეფსიური კრუნჩხვებისა და ზოგიერთი ფსიქიკური აშლილობის დროს მიმართავდნენ, რადგან ამ დაავადებათა მიზეზად თავის ქალას ღრუში „მავნე სულის" ჩასახლება იყო მიჩნეული და ფიქრობდნენ, რომ ტრეპანაციის დროს ეს „მავნე სული" თავის ქალადან გამოიდევნებოდა და ავადმყოფი განიკურნებოდა.

თუ საქმის ვითარებას არსებითად შევხედავთ, დავინახავთ, რომ ეპილეფსიური კრუნჩხვებისა და ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს აღნიშნულ სამკურნალო დახმარებას ცალკეულ შემთხვევებში შეეძლო გარკვეულად გაეუმჯობესებინა ავადმყოფის მდგომარეობა. მაგალითად, თუ ეპილეფსიური კრუნჩხვები, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა და სხვა მსგავსი მოვლენები ქალასშიდა წნევის მომატებასთან იყო დაკავშირებული, ტრეპანაციის შედეგად ავადმყოფი შვებას იგრძნობდა. ან, თუ იგივე ეპილეფსიური კრუნჩხვები და სხვ მოვლენები გამოწვეული იქნებოდა თავის ტვინის გარსებში განვითარებული შეხორცებითი ცვლილებებით ან დაზიანებული ძვლის ზედდაწოლით და ტრეპანაციის ადგილი დაემთხვეოდა აღნიშნულ ფოკუსს, შეიძლება ავადმყოფი სრულიადაც განკურნებულიყო. მიღებულ შედეგს კი „მავნე სულის გამოდევნას" მიაწერდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ შემთხვევითი განკურნების ფაქტებმა მისცა საფუძველი იმ დროის ადამიანს აღნიშნული სამკურნალო ჩარევა ეწარმოებინა.

ცხადია, უმეტეს შემთხვევაში დამთხვევა არ მოხდებოდა და ავადმყოფი ვერ განიკურნებოდა, რასაც, ისევ „მავნე სულის" გამოუდევნელობით ახსნიდნენ.

ტრეპანაციის შედეგად გაკეთებული ხვრელის ფორმა, კიდეების სისადავე და მისი დამუშავების ნიშნები მოწმობს, რომ იმ დროისათვის ქირურგიული საქმიანობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა და ტრეპანაცია ქირურგიის განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება ყოფილა [1].

მსგავსი მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ გარდა ტრეპანაციისა, იმავე ეპოქაში სხვა ხასიათის ქირურგიული დახმარების გაწევაც წარმოებდა. მცხეთაში, სამთავროს სამაროვანში ნაპოვნი იდაყვის ძვალი (№ 1600[1]), მხრის ძვალი (№ 2916) და სხვ., რომლებიც მოტეხილი ყოფილა და საბოლოო კორძით შეხორცებულა, იმის მაჩვენებელია, რომ ძვლის ფრაგმენტები სათანადოდ ყოფილა დაყენებული და მოტეხილობის მკურნალობა კარგად ჩატარებიათ[2] (ტაბ. III).

საქართველოში მედიცინის განვითარების გარკვეული ანარეკლია მოცემული ქართული მითოლოგიის უდიდეს ძეგლში „ამირანში", რომლის შექმნას უძველეს დროს მიაკუთვნებენ.

მართალია, ამ ძეგლმა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ცვლილება განიცადა, მაგრამ მისი ძირითადი სიუჟეტური ბირთვი, რომელიც ამჟამად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, ნაკლებ შეცვლილა. საქართვე-

---

[1] საინვენტარო ნომერი.

[2] ბ. ფირფილაშვილი, დასახელებული ნაშრომი.

ლოს ყველა კუთხეში—ქართლ-კახეთში, იმერეთსა და მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოსა და სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და აფხაზეთში, ოსეთში—და საქართველოდან სხვა ქვეყნებში გავრცელების შემდეგაც კი „ამირანის“ ყველა ვარიანტებში გვხვდება ბალახით ან რაიმე სხვა ნივთიერი საშუალებით ადამიანის გაცოცხლების ამბავი:

„მზეთუნახავმაც იმისთანა ბალახი მოჰგლიჯა, მძუსვა-მოუსვა ამირანს და გააცოცხლა“[1].

ქართულმა ფოლკლორმა, სხვა ქვეყნების ზეპირსიტყვიერების მსგავსად, გაცოცხლების სხვადასხვა სახეები იცის, რაც ქართული ხალხური მედიცინის მიერ მოპოვებულ და სამკურნალო საქმიანობაში ხმარებულ საშუალებათა ზღაპრულ გაზვიადებას უნდა წარმოადგენდეს.

უკვე ამ ხანებში და შეიძლება უფრო ადრეც ქართველ ტომებში გავრცელებული ყოფილა გარკვეული წარმოდგენები ადამიანის ზოგიერთი ორგანოების მოქმედების შესახებ. მაგალითად, არსებობდა წარმოდგენა, რომ თვალიდან ხდება სინათლის გამოშუქება და მხედველობა ამ გზით ხორციელდება. ამას ადასტურებს ენობრივი მასალაც, კერძოდ სიტყვების „მზერა“-ს და „მზე“-ს ურთიერთკავშირი.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა მნათობ-ღვთაებათა შვიდეულის შემადგენლობისა და მათი სახელების განხილვის დროს გამოარკვია, რომ „მზე“ პირველადი სრული ფორმის ბოლოშეკვეცილი სახე უნდა იყოს. შეუკვეცავი კი „მზერა“ იქნებოდა[2]. სიტყვა „მზის“ ბოლოკვეცილი და სრული ფორმა არამარტო სამწერლობო ქართულში ყოფილა დაცული, არამედ ჭანურ, მეგრულ, სვანურ ენებშიც. გამოდის, რომ მზე და მხედველობა ერთი და იმავე სიტყვით—„მზერა“ აღინიშნებოდა.

აკად. ნ. მარი პირდაპირ მიუთითებს, რომ სიტყვა „მზე“, რომელსაც საერთო ფუძე აქვს ზმნა „მზერასთან“, მნათობის გარდა თვალსაც ნიშნავდაო[3].

მზისა და თვალის ურთიერთობის შესახებ ცნობები ქართულ ენთოგრაფიულ წყაროებშიც გვხვდება. მაგალითად, „მზის-თვალი“,[4] რომელიც მცხუნვარე, პაპანაქება მზის მნიშვნელობითაც იხმარება.

„მზის თვალი“ ავდრიანობის საწინააღმდეგო „ლაზარობის“ ქართლ-კახურ ვარიანტშიც არის დაცული:

„აღარ გვინდა ცის ნამი, ღმერთო მოგვე მზის თვალი“[5].

სვანური დაფიცების ფორმულებში თვალი მზის მნიშვნელობით არის ხმარებული. მაგალითად, „შენმა მზემ“ კი არ იტყვის სვანი, არამედ „შენმა თვალებმა“, „ჩემმა თვალებმა“[6].

ცნობილია, რომ ძველ ქართულში, როგორც ამას სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, „მზინვა“, შემდეგ „ბზინვა“-დ ქცეული, შუქის გამოკრთომა-გამოღებას, გამოშუქებას და ლაპლაპს ეწოდებოდა.

---

[1] „მიჯაჭვული ამირანი“. პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1947.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, თბილისი, 1951, გვ. 127.

[3] Н. Марр, Китайский язык и палеонтология речи. Изб. работы, IV, გვ. 101—102.

[4] ვ. ბერიძე, სიტყვის-ყონა ინგრულ და რაჭულ თქმათა, 1912, გვ. 55.

[5] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. (ღვთაება ბარ-ბარ-ბაბარ), საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბილისი, 1941, გვ. 55.

[6] იქვე, გვ. 56.

1



2

თავისი დებულების დასამტკიცებლად აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ბერძნულადაც გამოსხივებისა და ლაპლაპის აღმნიშვნელად იხმარება „სტილბო“, და მნათობ მერკურის ძველ ბერძნულად „სტილბონ“ ერქვა და ისინი ერთიმეორესთან უნდა იყვნენ დაკავშირებული.

იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ „მზირა“ თავდაპირველად მზის სახელი კი არა, არამედ გამონათების თვისების ზოგადი გამომხატველი იყო და იგი შეიძლება სხვა მნათობებსაც შერქმეოდა, აკად. ივ. ჯავახიშვილს მოყავს ყაბარდოულ-ჩერქეზული სახელები მთვარისა და ადგენს მათ მსგავსებას მზის ძველ ქართულ გავრცობილ სახელთან „მზირა“.

რადგან გამოშუქება, სინათლის გავრცელება მზის თვისებას შეადგენს და ასეთივე თვისების მატარებლად თვალიც იყო მიჩნეული[1], ამიტომ მზეს და თვალს ერთი სიტყვით („მზირა“) აღნიშნავდნენ. ეს უკანასკნელი შემდეგ მხედველობის-მზერის აღმნიშვნელი გახდა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მხედველობა მხოლოდ სინათლის პირობებშია შესაძლებელი. სინათლე თვალის ადექვატური გამაღიზიანებელია. სინათლის ერთადერთ წყაროს თავდაპირველად მზე წარმოადგენდა. ახლა უკვე ცნობილია, რომ თვალი ყველაზე კარგად მზის სინათლეზე ხედავს, რაც იმას მოწმობს, რომ მხედველობის აპარატმა ხანგრძლივი ევოლუციური პროცესი გაიარა, რომ შეჰგუებოდა ბუნებრივი განათების პირობებში საგნების უკეთ დანახვას.

ქართველი ტომების უძველესი წარმოდგენა თვალიდან სინათლის გამოსხივების შესახებ ლექსიკაშიც არის არეკლილი. მაგალითად, დაბრმავების მნიშვნელობით ხალხში დღესაც იხმარება: „ჩაუქრა თვალში ჩინი“, „თვალის სინათლე დაეკარგა“, „თვალის ჩინი წაერთვა“ და სხვ.

ახლა ვიკითხოთ: ეს „ჩინი“ რაღა შუაშია და რა საერთო აქვს თვალთან?

აღმოჩნდა, რომ „ჩინი“ იგივე „ჩენა“ ყოფილა. „ჩენა“ მხედველობის სიმკვეთრის ხარისხის გამომხატველი სიტყვა იყო.

საბა განმარტავს, რომ „ჩენა არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს“.

ე. ი. „თვალის ჩინი წამერთვა“ ისტორიულადაც მხედველობის დაკარგვას ნიშნავდა. „ჩინი“-„ჩენა“ მრავალ სიტყვაში შევიდა ფუძედ, სადაც დანახვასთან გვაქვს საქმე. აი ზოგიერთი მათგანი. „აღმოჩენა“ ე. ი. დანახვა, „გამოჩენა“, რაც დანახვას გულისხმობს, „გაჩენა“, „ჩინებული“, ე. ი. ყველას მიერ დანახული, შესამჩნევი ანუ გამოჩენილი. უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა ჩინებულმა სხვა მნიშვნელობა მერე მიიღო, მაგრამ წარმოშობით კი დანახვასთან არის კავშირში. თვით სიტყვა წარჩინებულიც კი, რომელიც ახლა სულ სხვა მნიშვნელობის მატარებელია, ჩენისაგან არის ნაწარმოები. ანალოგიურია „გამომზეურებული“, რაც ყველას დასანახად გამოტანას ნიშნავს. წარჩინებულიც ყველას დასანახია.

წარმოდგენილი მასალის განხილვის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ქართველი ხალხი უძველეს ხანაში, სამყაროზე წარმოდგენების შემუშავების დროს, ქმნიდა შეხედულებებს ორგანიზმის ზოგიერთი ფუნქციის შესახებ, რაც განვითარების იმდროინდელ დონეს შეესაბამებოდა.

ანალოგიური წარმოდგენა თვალის ფუნქციის შესახებ გავრცელებული ყოფილა აგრეთვე საბერძნეთშიც.

---

[1] თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილია, რომ თვალის შიგნითა გარსი, რომლის ტემპერატურა 37° უდრის, გახურებული სხეულების მსგავსად, ინფრაწითელ სხივებს გამოყოფს

იპარქოსი ფიქრობდა, რომ თვალიდან გამოდიან სხივები, რომლებიც თავისი ბოლოებით, როგორც ხელებით, ეხებიან გარეშე სხეულებს და გადასცემენ თვალებს საგნის სახეს.

„ქვეყნის მზომელთა“ ანუ გეომეტრების წარმოდგენით თვალებიდან გამოდიან სხივები. მარჯვენა თვალიდან გამოსული სხივები მარცხნივ მიდის, მარცხენა თვალიდან გამოსული კი მარჯვნივ. ამგვარად, ისინი გადაკვეთენ ერთმანეთს რომელიმე საგანთან და ხდება ამ საგნის დანახვა.

თვალიდან სინათლის გამოსვლის შესახებ დაახლოებით ასევე ფიქრობდნენ ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი და სხვები [1].

მზისა და თვალის თვისებათა ასეთი გაგების სინათლეზე უკვე სხვაგვარად მოჩანს ღვთაება ბარბარეს ერთ-ერთი ფუნქცია, რაც თვალის სინათლის დაცვაში ან, პირიქით, მხედველობის დაზიანებაში გამოიხატება.

როგორც ცნობილია, ღვთაება ბარბარე მზის კულტს უკავშირდება. ამავე დროს ბარბარეს კულტში მოცემულია ადამიანის თვალისა და მზის ურთიერთობაც.

მზე, როგორც სინათლის წყარო, თვალთა შუქის გამჩენია, მეორე მხრივ მზის ბრწყინვალება, სიცხოველე თვალებს აზიანებს — „თვალს სჭრის“, მზის ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება ღვთაება ბარბარეს ერთ-ერთი ფუნქციის—თვალის სინათლის დაცვა-დავსებაშიც იჩენს თავს[2].

საკითხის განხილვის დასაწყისში დაყენებული იყო კითხვა: თუ რა მსგავსი ნიშნებით შეიძლებოდა მზესა და თვალს ერთნაირი სახელი რქმეოდა. როგორც გამოირკვა, ეს მსგავსი ნიშანი ყოფილა გამოსხივება, გამონათება, რომელიც მზეს ახასიათებს და იმდროინდელი შეხედულებით თვალსაც მიეწერებოდა. მაგრამ ირკვევა, რომ გარდა ამ ნიშნისა, თვალსა და მზეს შოოის სხვა მხრივაც ყოფილა დანახული მსგავსება, ეს მსგავსება მზისა და თვალის სიმრგვალეში მდგომარეობს.

მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მზეს ბარბა ანუ ბორბალიც უნდა რქმეოდა სიმრგვალის გამო. შემდეგში მრგვალ სხეულებს ბორბალი ეწოდა.

თვალს ამ ნიშნითაც აქვს მსგავსება მზესთან. ენაში შემორჩენილია გამოთქმები, რომლებშიც „თვალი“ ბორბალის მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, ურმის ბორბალის მაგივრად იტყვიან: „ურმის თვალი“, წისქვილის ბორბლის მნიშვნელობით ამბობენ: „წისქვილის თვალი“ და სხვ. როგორც ჩანს, ბორბალ-ბირბილ-ბარბოლ ასახავს მნათობის, მზის სხივოსნობას ნათებას და მის გარეგან სახეს—სიმრგვალეს. ამიტომ იყო გამოთქმული მეცნიერებაში სრულიად სავარაუდებელი მოსაზრება, რომ მზის ღვთაება ბარბალეს შესაწირავი საგნები უეჭველად მრგვალი უნდა ყოფილიყო[3].

მედიცინის განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეორე ათასწლეულის შუა წლებში, როგორც ვნახეთ, უშუალოდ დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის წარმატებასთან.

---

[1] ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“. ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. გორგაძემ, ტფილისი, 1914 გვ. 75.

[2] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[3] იქვე, გვ. 46.

მეორე ათასწლეულის დასასრულსა და პირველი ათასწლეულის დასაწყისში ქართველი ტომები კიდევ უფრო გაძლიერებულან, როგორც ეკონომიურად და პოლიტიკურად, ისე კულტურულად. უკვე ამ პერიოდში დადასტურებულია სახნავი იარაღებისა და მიწათმოქმედებისათვის საჭირო სხვა ინვენტარის გაჩენა[1]. სამთავროს სამარეანის VIII—VI საუკუნეების ერთ-ერთ სამარხში[2] და ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ნაპოვნი კევრის ნაშთები[3] მოწმობენ, რომ ამ დროისათვის მემინდვრეობა საკმაოდ ყოფილა დაწინაურებული.

მემინდვრეობასა და მებაღეობა-მევენახეობასთან ერთად კიდევ უფრო მეტად განვითარებულა მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა[4]; გაცხოველებულა შინა და საგარეო ალებ-მიცემა.

არქეოლოგიური მასალით დადასტურებულია, რომ საქართველოს მოსახლეობაში იმ ხანებში ქონებრივი უთანასწორობა არსებობდა. წარმოების განვითარების მხრივ ეს ის დრო იყო, „...როცა ადამიანთა განსაზღვრულ კლასს საშუალება მიეცა, სამიწათმოქმედო შრომის უაღრესად უხეშ ფორმებზე დაყრდნობით, შეექმნა ერთგვარი ნაჭარბი, როცა ეს ნაჭარბი მონობის უაღრესად ღატაკური არსებობისათვის აბსოლუტურ საჭიროებას არ წარმოადგენდა და იგი მონათმფლობელის ხელში გადადიოდა...“[5]

რკინის დამუშავებაზე გადასვლამ კიდევ უფრო დააჩქარა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება და სოციალური დიფერენციაციის პროცესი.

ცნობილია, რომ ტერიტორია, სადაც ქართველი ტომები, მუშქები და ტაბალები ცხოვრობდნენ, რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრი იყო.

სუხუმის მთაზე, დაბლა გომში და სხვ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინებული კერამიკული ნაწარმის მრავალფეროვნება და შესრულების მაღალი ოსტატობა მაჩვენებელია იმისა, რომ ხელოსნობა გამოჰყოფია მიწათმოქმედებას და ცალკე დარგად განვითარებულა[6].

იმავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში ისეთ მაღალ დონეზე ასულა სელის ქსოვილების წარმოება, რომ კოლხური სელის ნაწარმი საექსპორტო საგანი გამხდარა. კოლხური სელის ნაწარმს ეგვიპტურთან ერთად მსოფლიო ბაზარზე დიდი გასავალი ჰქონდა: სელისაგან ამზადებდნენ ტანსაცმელს, იყენებდნენ მეთევზეობაში (ბადეების ქსოვა), ქსოვდნენ აფრებს და სხვ. ქსოვილების წარმოების არსებობას ადასტურებს აგრეთვე დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი საქსოვი დაზგა. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია აგრეთვე მარილსახდელი სარეწების ნაშთების აღმოჩენა დასავლეთ საქართველოში (ძვ. წ. აღ. I ათასწლეული)[7].

---

1 ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 49, 1953, გვ. 199—200.

2 ტ. ჩუბინიშვილი, მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XIII, № 1, 1951, გვ. 61—67.

3 გ. ლომოთიძე, წინაპართა ნაკვლევი, თბილისი, 1953, გვ. 121.

4 ნ. ხოშტარია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 208—210.

5 ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ. თხზ. მეოთხე-გამოცემა, ტ. 29. გვ. 563.

6 ალ. კალანდაძე, სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, 1954 წ.
Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, ტ. II 1950, გვ. 78.

7 Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очемчирского порта в Абхазии. «Материалы по истории Абхазии», вып. XV, 1939, сборник I.

ფრ. ენგელსი, ახასიათებს რა საზოგადოების განვითარების აღნიშნულ პერიოდს, წერს: „ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა, უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში, ...სიმდიდრე სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ როგორც სიმდიდრე ცალკეული პირებისა; ფეიქრობასა, ლითონის დამუშავებასა და ხელოსნობის სხვა დარგებში, რომელნიც სულ უფრო და უფრო განცალკევებული ხდებოდნენ ერთმანეთისაგან, თანდათან მზარდი მოცულობით ვითარდებოდა პროდუქტების დამზადების მრავალფეროვნება და დახელოვნება; მიწათმოქმედება ხორბალთან, ჰოტოვან მცენარეებთან და ხილთან ერთად ახლა ზეთსაც და ღვინოსაც იძლეოდა, რომელთა დამზადება ადამიანმა უკვე ისწავლა. ასეთი სხვადასხვაგვარი საქმიანობის შესრულება ერთსა და იმავე პირს უკვე აღარ შეეძლო; მოხდა შრომის მეორე დიდი დანაწილება: ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას. წარმოებისა და მასთან ერთად შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის გამო მატულობდა ადამიანის სამუშაო ძალის მნიშვნელობა; მონობა, რომელიც განვითარების წინა საფეხურზე ჯერ მხოლოდ წარმოშობის პროცესში იყო და სპორადულ ხასიათს ატარებდა, ახლა საზოგადოებრივი სისტემის არსებითი შემადგენელი ნაწილი ხდება"[1];

საქართველოს მედიცინის განვითარების დონე I ათასწლეულში წინა პერიოდთან შედარებით უფრო ამაღლდა. აღმავლობა დაკავშირებული იყო იმ ეკონომიურ და კულტურულ გაძლიერებასთან, რასაც აღნიშნულ ხანაში იბერიისა და კოლხეთის სამეფოებმა მიაღწიეს.

კოლხეთის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ცნობები მოიპოვება ალექსანდრიული პერიოდის ავტორის აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკაში" [2].

მართალია, თქმულებაში ბევრი რამ საქართველოს შესახებ გაზვიადებულად არის წარმოდგენილი, მაგრამ მასში მაინც შეინიშნება ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყნის ცხოვრების სინამდვილის ანარეკლი.

ამ თქმულების მიხედვით, კოლხეთის სამეფო ქალაქი ეა მდიდარი და კეთილმოწყობილი ყოფილა. იქ მდგარა ხუროთმოძღვრულ წესზე ნაგები სასახლეები, მაღალი კოშკები. სასახლეებს შემოვლებული ჰქონდა სპილენძის ბურჯები, მწყობრი სვეტები, მთელი არემარე დაბურული იყო ბოვლილი ვაზით [3]. მიწას სპილენძისაგან ნაჭედი გუთნით ხნავდნენ, რომელშიც „სპილენძის ჩლიქებიან" ხარებს აბამდნენ. კოლხეთში მესაქონლეობის, კერძოდ ცხვრის მოშენების ფართო გავრცელების შესახებ ცნობები ბიზანტიელ მწერლებსაც მოეძებნებათ[4]. მათი ცნობით, კოლხეთიდან ბერძნებს სხვა საქონელთან ერთად ტყავიც გაჰქონდათ.

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. წიგნში: კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, სახელგამი, თბილისი, 1950; გვ. 374—375.

2 აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა", ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ. სახელგამი, თბილისი, 1948.

3 „როცა იაზონი და მისი მხლებლები აიეტის სასახლესთან მივიდნენ,... ისინი გააოცა მეფის სასახლის გალავანმა, ფართო ჭიშკრებმა და სვეტებმა, რომლებიც მწკრივზე იყვნენ აღმართულნი კედლების გარშემო. სასახლის თავზე, სპილენძის ქონგურებზე, ქვის კოშკი იდგა". ა. როდოსელი, „არგონავტიკა", გვ. 116.

4 ა. როდოსელი აღნიშნავს, რომ, როცა იაზონი და მისი თანამგზავრნი აიეტის სასახლის ეზოში შესული დაინახეს, მონებს „შიშისაგან თითისტრები ხელიდან გაუვარდათ". („არგონავტიკა" გვ. 117), მაშასადამე, ისინი ორთავ ადენენ.

928

84

მეცხვარეობის განვითარებას საქართველოში სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

ქვეყნის შიგნით მომხდარ ცვლილებებთან ერთად მედიცინის მდგომარეობაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა საქართველოს ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან.

VII—VI საუკუნეებში (ძვ. წელთაღრიცხვით) საქართველოს მეზობლად მდებარე სამხრეთ ქვეყნების მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

ერთ დროს ძლიერი სამეფო, მაღალი კულტურის ქვეყანა ურარტუ და ასურეთი მიდიელებმა დაამხეს; ხოლო შემდეგ, VI საუკუნეში, მიდიელების ბატონობა სპარსეთმა დასცა. სპარსეთმა ბოლოს ბაბილონიც დაიმორჩილა და უძლიერესი სახელმწიფო შექმნა.

ამავე ხანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა პირველ აზიაშიც. მცირე აზიაში ბერძენი ტომები გადმოსახლდნენ და ახალი ქალაქები დააარსეს. მაშინ იყო დაარსებული ცნობილი მილეთიც, რომელმაც სახელი გაითქვა არამარტო თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით (იგი ინდოეთიდან მომავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა), არამედ საგანმანათლებლო-კულტურული მუშაობითაც. მილეთი იმ დროისათვის ცნობილი იყო თავისი მეცნიერული და ფილოსოფიური ძალებით.

მეზობელ ხალხებთან საქართველოს კულტურულ ურთიერთობას უნდა მოწმობდეს ყუბანში, ზუბოვის ყორღანში ნაპოვნი ირმის თავებით შემკობილი ვერცხლის თასი, დაახლოებით I ათასწლეულის შუა ხანებისა, რომელსაც აწერია: „ვარ აპოლონ წინამძღვრისა, რომელიც ფაზისშია".

მაღალი კულტურის მქონე ქვეყნებთან მეზობლობას, რასაკვირველია, მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოსათვის, ისევე როგორც ამ ქვეყნებისათვის საქართველოსთან ურთიერთობას.

ბერძნებისა და სხვა მეზობელი ხალხების ინტერესი საქართველოსადმი მარტო სავაჭრო ურთიერთობის დამყარებით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ ხალხებს, ვაჭრობასთან ერთად, აინტერესებდა საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსები, წარმოებისა და მიწათმოქმედების მიღწევებისა და კულტურულ მონაპოვართა გაცნობა.

ვაჭრობა ამ მხრივ საუკეთესო ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა. ამ მიზანს ემსახურებოდა, ალბათ, შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნული ახალშენების დაარსება ძვ. წ. მე-8 საუკუნიდან.

ამ ხანაში საქართველოსადმი განსაკუთრებულ ინტერესს საბერძნეთი იჩენდა, რამაც მკაფიო გამოხატულება არგონავტების თქმულებაშიც ჰპოვა.

წარმატებები ლითონის დამუშავების, ოქროს მოპოვების და მეცხოველეობის დარგში, რომელიც იმ ხანად ქართველ ტომებს გააჩნდა, საფუძველს იძლეოდა არგონავტების ლაშქრობის ამბავის გასაგებად სხვადასხვაგვარი შეხედულება გამოთქმულიყო.

ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (66 წელი ძველი წელთაღრიცხვით—24 წელი ახალი წელთაღრიცხვით), თვლიდა, რომ თქმულება არგონავტების ლაშქრობის შესახებ ისტორიულ ამბავს ასახავს და ლაშქრობა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის: ოქროს, ვერცხლის, რკინის მადნის ხელში ჩასაგდებად უნდა ყოფილიყო მოწყობილი[1].

---

[1] Латышев, В. В. SC, т. I, в. 1, стр. 95, 130.

ისტორიკოსი ხარაქს პერგამელი (II ს. ახ. წ. აღ.) ამტკიცებდა, რომ ხომალდ „არგოთი“ ლაშქრობა მოწყობილი იყო ტყავზე დაწერილი ოქროთდამწერლობის წესის გასატაცებლად[1].

ამ საკითხის შესახებ საყურადღებო ცნობა გვხვდება X საუკუნის ძეგლში, რომელიც „სვიდას ლექსიკონის“ სახელით არის ცნობილი. აქ ვკითხულობთ; „საწმისი: ოქროს ბეწვიანი საწმისი, რომელიც იაზონმა და არგონავტებმა მოიპოვეს, როდესაც შავი ზღვით კოლხეთში მივიდნენ; მოიპოვეს აგრეთვე მედეა, მეფე აიეტის ქალიშვილი. ეს ისე კი არ იყო, როგორც პოეტურად არის გადმოცემული, არამედ ეს იყო ტყავზე დაწერილი წიგნი, რომელშიც ის ეწერა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ქიმიის საშუალებით ოქრო. ცხადია, მაშინდელი ხალხი ამ ტყავს ოქროსას უწოდებდა, მისგან მიღებული შედეგის გამო“[2].

დაახლოებით ასეთივე მოსაზრება იყო გამოთქმული ამ უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში, რომლის მიხედვით არგონავტების ლაშქრობა ოქროს მოპოვების რთული ტექნოლოგიური პროცესების სახელმწიფოებრივი საიდუმლოების გასახსნელად უნდა ყოფილიყო მოწყობილი[3].

არსებობს აზრი, რომ აღნიშნული ლაშქრობის მიზანს ცხვრის ტყავზე დაწერილი საზღვაო-სამიმოსელო გზების რუკების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა[4].

გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ „ოქროს საწმისის“ ამბავი უნდა ეხებოდეს ძველი ქართული ჯიშის ცხვარს, რომლის მატყლი მეტად მაღალი ღირსებისა იყო.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი ა. ურუშაძე, იმოწმებს რა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას ქართველი ტომების როლის შესახებ მადნეულობის დამუშავების საქმეში, თარგმანისადმი წამძღვარებულ შესავალში წერს: „ყველაზე უფრო სარწმუნოდ ის მოსაზრება უნდა ჩაითვალოს, რომლის მიხედვითაც არგონავტების თქმულება ქართველ ტომთა დასაელური გაერთიანების, კოლხეთის, ძირითად საქმესთან, სამთამადნო საქმესთან, არის დაკავშირებული“[5].

ვფიქრობთ საფუძველს მოკლებული არ იქნება იმის დაშვება, რომ კოლხეთში მოსული არგონავტების ყურადღება მედიცინასაც უნდა მიეპყრო, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა.

I ათასწლეულში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში საკმაოდ განვითარებულა ქირურგია, შემუშავებული ყოფილა სამკურნალო მცე-

---

[1] Латышев, В. В. SC, იხ. ჟურნალი ВДИ, 1948, № 1, გვ. 378.

[2] „სვიდას ლექსიკონი“, იხ. „გეორგიკა“, ტ. IV. ნაკვეთი 2, თარგმანი და განმარტებები ხიმონ ყაუხჩიშვილისა. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1952, გვ. 317.

[3] ვ. სიჭინავა, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან. „რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, III, 1953 გვ. 91

[4] ისტორიული გეოგრაფიის ცნობილი მკვლევარი კარლ რიტერი წერდა: „კარტოგრაფიულის ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი, ბევრად უფრო ადრე, ხმარებაში ყოფილა კოლხიდელთა მოგზაურ ვაჭართა შორის“, იხ. ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის, შედგენილი და გამოცემული ალ. ჭყონიას მიერ. თბილისი, 1890, გვ. 124.

[5] აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, გვ. 16.

ნარეების შეგროვების, შენახვისა და წამლის მომზადების გარკვეული წესები. ფსევდო პლუტარქის ცნობით, მედეა პრომეთეს ბალახს აგროვებდა, სრესავდა და ისე ხმარობდა[1].

აპოლონიოს როდოსელის გადმოცემით პრომეთეს ბალახი პირველად აღმოცენდა პრომეთეს სისხლისაგან, რომელიც გაუმაძღარმა არწივმა კავკასიონის ფერდობებზე დაღვარა. იგივე ავტორი ამ მცენარეს შემდეგნაირად აღწერს: „ღერო ორ. თითო წყრთის ოდენა, შტოდ იყოფა, რომლებზედაც ფერით კორიკიოსის ზაფრანის მსგავსი ყვავილია გაშლილი. მიწაში გაშვებული ფესვი კი ახლად გაჭრილ ხორცსა ჰგავს. მისი წვენი მთა'ში ნაზარდი წიფლის შავი სითხის ფერია"[2]. ამ მცენარის წვენი მედეას უკუნეთ ღამეში კასპიურ ნიჟარაში მოუგროვებია. აღსანიშნავია, რომ გათხრების დროს I ათასწლეულის სამარხებში ნაპოვნი იყო არაერთი ნიჟარა, რომლებიც, არქეოლოგების აზრით შესაძლებელია წამლის ჭურჭლადაც იხმარებოდა. ამ მოსაზრებას აპოლონიოს როდოსელის ცნობა გარკვეულ დადასტურებას აძლევს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბნელ ღამეში პრომეთეს ბალახის წვენის შეგროვება ნესად იყო მიღებული—იგი, ალბათ, დღის სინათლეზე თავის მოქმედების ძალას კარგავდა და კასპიურ ნიჟარაში შენახვა ამიტომ ხდებოდა. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ „ღამე", „ნიჟარა" და სხვა მსგავსი მომენტები მაგიური მნიშვნელობისაც იყოს.

წამლის დამზადებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნედლეულის შეგროვებისა და დამუშავების წესების დაცვას. მაგალითად, კამა, რომელიც ძხედველობის სისუსტის სამკურნალოდ იყო მიღებული, უნდა მოგროვებულიყო მხოლოდ მაშინ, როცა მცენარის ზრდა-განვითარება დამთავრებოდა. შემდეგ მას ახმობდნენ მზეზე, ურეკდნენ თაფლს და ამზადებდნენ მალამოს[3].

აღსანიშნავია, რომ კამის წყალი[4] ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მედიცინაში XVIII საუკუნემდეც კი.

წამალთმკეთებლობის განვითარებასა და ტექნოლოგიურ მრავალფეროვნებას მოწმობს ერთი და იგივე სამკურნალ-წამლო ნედლეულის სხვადასხვა ნაწილების გამოყენება. იმავე კამისაგან, მხედველობის სისუსტის სამკურნალო წამლის დასამზადებლად, სხვა წესიც ყოფილა შემუშავებული. ეს უკანასკნელი მდგომარეობდა იმაში, რომ აგროვებდნენ მცენარიდან გამოსულ წვეთებს და თესლს. წვენს ღებულობდნენ კამის ფესვების გადაკვეთითაც, ყლორტების გამოღების პერიოდში[5].

წარმოდგენილი მასალა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ I ათასწლეულში საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა წამალთმკეთებ-

---

[1] «На Кавказе растет трава, называемая Промифеевой; по расказу того же Клеанфа Мидия, собирая и растирая её, употребляла...» იხ. SC. т. I, B. II. გვ. 501.

[2] აპ. როდოსელი, „არგონავტიკა", გვ. 136.

[3] «... от этого сока облегчается слабость зрения. Самый же сок собирается во время полного развития стебля растения и высушивается на солнце; из него, с примесью меда, составляется мазь.» პლინიუსი, «Historia naturalis», იხ. «Изв. древ. греч. и римск. писателей о Кавказе». შედგენილი და თარგმნილი კ. განის მიერ. თბილისი, 1884,

[4] კამის წყალი—Aq. Foeniculi.

[5] «Самый лучший же сок из него (კამისაგან) получают в Иберии, приготовляя его из выступающих из растений капель и свежих семян; но добывают его также из корней, надрезывая их в то время, когда они начинают пускать ростки». პლინიუსის დასახ. წიგნიდან, გვ. 112.

ლობა. მცენარის თითქმის ყველა ნაწილების—ფოთლის, ღეროს, ფესვის, ყვავილის—გამოყენება წამლისათვის მხოლოდ მრავალი წლების დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად შეიძლებოდა გამხდარიყო ცნობილი. ყურადღებას იქცევს აგრეთვე წამლის სახეთა მრავალფეროვნება. წყაროებში გვხვდება კანზე წასასმელი (გარეგანი), დასალევი (შინაგანი), შესასუნთქი საშუალებანი. დანიშნულების მიხედვით ზოგი ძილმომგვრელია, ზოგი ძალის მიმცემი, ნაწილი კიდევ კოსმეტიკური მიზნით გამოიყენებოდა. ცალკე ჯგუფს შეადგენდა მომშხამავი საშუალებანი, რომლებიც სხვადასხვა მიზნით იხმარებოდა, მათ შორის ზოგი სამხედრო-სამომარი საჭიროებისათვის და სხვ[1].

სამკურნალო მცენარეების გამოვლინებას და გამოყენებას ხელს უწყობდა საქართველოს მდიდარი ფლორა, რომელიც ცნობილი იყო შორს, საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

მთელი რიგი უცხოელი ავტორები აღნიშნავენ, რომ კოლხეთში სისხლის დენის საწინააღმდეგოდ იხმარებოდა მცენარის Lathyrus Clymenum წვენი, მენსტრუალური ციკლის აშლის დროს Paeonia officinalis და corallina, იყენებდნენ ბელადონას, ძილმომგვრელად—მანდრაგორას და სხვა მრავალს[2].

სამკურნალო მცენარეებით არანაკლებ მდიდარი ყოფილა იბერია. კამის საუკეთესო წვენს, პლინიუსის ცნობით, იბერიაში ღებულობდნენ. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ზამბახის ყველაზე კარგი ფესვი იზრდება კოლხეთში, მდინარე ფაზისთან[3].

სამკურნალო საქმიანობის გავრცელებისა და წამალთმკეთებლობის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ წამლების შესანახი სპეციალური ყუთის შემოღება. პოლონიოს როდოსელი აღნიშნავს, რომ „მედეა წამოიჭრა და იმ ყუთისაკენ გაექანა, რომელშიაც სხვადასხვაგვარი წამალი ეწყო, ზოგი განმკურნებელი და ზოგიც მომაკვდინებელი"[4].

ასეთივე დანიშნულების ყუთი შეიძლება ჰქონდა მედეას დედასაც—ჰეკატეს და დას—ცირცეას. რადგან წამალთ მზადება ასე გავრცელებული იყო საქართველოში, როგორც ამას უცხოელი ავტორები აღწერენ და ადგილობრივი მასალებიც მოწმობენ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპეციალური დანიშნულების—წამლების შესანახი ყუთის შემოღება ერთეული შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო.

სამკურნალო მიზნით მცენარეების გამოყენება იმ დროს, საერთოდ, გავრცელებული ყოფილა საქართველოში. მედეას დედა ჰეკატე სახელგანთქმული იყო წამლების მომზადებით. მას ზოგიერთი მცენარის სამკურნალო მოქმედებაც გამოუვლენია. მათ შორის აღსანიშნავია ბაია, რომლის სამკურნალო მოქმედება წყაროების მიხედვით ჰეკატეს აღმოუჩენია[5].

---

1 «Соаны употребляют яды для наконечников... удивительно мучат своим запахом даже раненых неотравленными стрелами» იხ. SC, т. I, в. I, стр. 138.

2 Kurt Sprengel—Versuch einer pragmatischen Goschichte der Arzneykund. Erster Theil, Halle, 1821, გვ. 46, 47, და სხვ.

3 «Самый лучший корень косатика (acorus calamus) растет в Колхиде у р. Фазиса». პლინიუსის დასახ. წიგნიდან, გვ. 112.

4 აპ. როდოსელი, „არგონავტიკა", გვ. 134.

5 «Приобретя опытность в составлении смертных ядов, она открыла так называемый аконит». იხ. Латышев, В. В. SC. т. I, В. II, გვ. 464.

როგორც ორფიკული არგონავტიკიდან ირკვევა, ჰეკატეს გაშენებული ჰქონია ბაღი, სადაც სხვა სამკურნალო მცენარეებს შორის „ასფოდელო“-ც[1] ხარობდა. ამ მცენარის გავრცელების ადგილად საქართველო ითელებოდა.

ჰეკატემ მკურნალობა, სამკურნალ-წამლო მცენარეების გარჩევა, შეგროვება და წამლების მომზადების წესები თავის ქალიშვილებს ცირცეას ანუ კირკეს და მედეასაც შეასწავლა, რომლებმაც შემდეგ ბევრად გაუსწრეს ცოდნით თავიანთ დედას და, როგორც უკვე აღნიშნეთ, ცნობილი გახდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც[2].

სხვა მონაცემებთან ერთად ამ ცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განხილულ ხანაშიც მკურნალობის შესწავლა ოჯახში ხდებოდა და სამედიცინო ცოდნის გადაცემა მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მედეას[3] შესახებ.

არ დარჩენილა იმ დროს თითქმის არცერთი უცხოელი ავტორი, რომელიც ცოტად თუ ბევრად არ შეეხებოდა მედეას წამალთმკეთებლობასა და სამკურნალო საქმეში დახელოვნებას. მაშინდელმა საქართველომ, მედეამ და მისმა დამ კირკემ, რომელიც არანაკლებ დახელოვნებული იყო წამალთმკეთებლობაში, ადგილი ჰპოვეს ჯერ კიდევ ჰომეროსის „ოდისეა“-ში.

დიოდორე სიცილიელი, აღწერს რა არგონავტების ლაშქრობის ამბავს, აღნიშნავს, რომ იაზონი, ლაერტი, ატალანტი დაჭრილან და მედეას ისინი მცენარეებისა და მათი ფესვებისაგან შემზადებული წამლით რამდენიმე დღეში განუკურნავს[4].

აპოლონიოს როდოსელის თქმით, მედეა საოცრად იყო დახელოვნებული წამალთმკეთებლობაში. აღსანიშნავია, რომ მის სამკურნალ-წამლო არსენალში ძირითადად ნივთიერი საშუალებანი გვხვდება, მათ შორის მცენარეულიც, თუმცა მისი სამკურნალო ქმედება არ არის თავისუფალი მაგიური მედიცინის

---

[1] სიტყვა „ასფოდელო“-ს ეტიმოლოგია და ამ მცენარესთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ უძველესი ქართული მედიცინის ისტორიისათვისაც, გარკვეულ იქნა პროფ. ვ. ბერაძის მიერ წერილში—„ფილოლოგიური შენიშვნები“, იხ. „ლიტერატურული გაზეთი“ № 26 (988) პარასკევი, 29 ივნისი, 1956 წ.

[2] «Кирка, посвятив себя изучению всевозможных лекарственных зелий, открыла всякого рода свойства и невероятные силы кореньев. Не мало, конечно, она заимствовала у своей матери Екати, но еще больше открыла сама, благодаря своим ревностным исследованиям, так что не оставила другим женщинам возможности превзойти ее в знании лекарственных зелий.» იხ. SC, т. I, B. II, გვ. 464—465

«Про Мидию рассказывают, что она узнала от матери и сестры все свойства зелий...». იქვე, გვ. 465.

[3] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სიტყვა „მედოს“ ბერძნულად ბრძენს, მკურნალობის მცოდნეს და გრძნეულსაც ნიშნავს, ისევე, როგორც „ფარმაკონ“ ერთსა და იმავე დროს წამალსა და ჯადოს გამოხატავდა. სხვათა შორის სვიდას ლექსიკონში ვკითხულობთ: „მედეა-კოლხელი, აიეტის ქალიშვილი, ქალთა შორის უჯადოკრესი; მან უვნებელი გახადა იაზონი, რომელმაც ცეცხლსმფრქვეველი ხარები შეაბა გუთანში და მიწას ხნავდა. იაზონმა ხელში ჩაიგდო ოქროს საწმისიანი მატყლი და წაიყვანა მედეა. ელინები ნავთს ეძახიან მედეას ზეთს“. იხ. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი 2, თარგმანი და განმარტებები სიმონ ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1952, გვ. 320.

[4] «Из числа же героев оказались ранеными Иасон и Лаерт, затем Аталанта и так называемые Феспиады; говорят, что Мидия в несколько дней исцелила их корнями и травами...» იხ. SC, т. I, B. II, გვ. 468.

ელემენტებისაგან. იგი ოსტატურად უკავშირებს ამ ელემენტებს მოქმედი საწყისის მქონე მცენარეულ სამკურნალო საშუალებებს და ამით შეიძლება ერთგვარ შთაგონებითს გავლენას ახდენს ადამიანზე. „პრომეთეს წამლის“ ხმარებამდე ჰეკატეს მოლმობიერება იყო საჭირო ღამის მსხვერპლებით, შემდეგ კი ამ წამლით ვინც სხეულს დაიზელდა, მას თითქოს ვერც მახვილი დასჭრიდა, ვერც მგზნებარე ცეცხლი დააკლებდა რამეს და გასაოცარი გაბედულება და ძალ-ღონე შეემატებოდა. გავიხსენოთ კიდევ ოქროს საწმისის მოდარაჯე გველეშაპის დაძინება ქალაქში. მედეა გველეშაპის დასაძინებლად ძილმომგვრელ წამალს იყენებს, მაგრამ მას ურთავს სიტყვიერ ზემოქმედებას და თქმულების მიხედვით მიზანსაც აღწევს: „გრძნეული მედეა ურჩხულს მიუახლოვდა, მის მოსაჯადოებლად ღმერთთა შორის ყოველისშემძლე ჰიპნოსს[1] საამური ხმით შემწეედ მოუწოდა და ღამით მოხეტიალე დედოფალს, მიწისქვეშეთელ ქალღმერთს[2], შეევედრა საქმისათვის კეთილი დასასრული მიეცა. ჯადოქარ ქალწულს იაზონი შეშინებული მიჰყვებოდა და განცვიფრებით შესცქეროდა მის მოქმედებას. მედეას ჯადოთი მოხიბლულმა გველეშაპმა საზიზღარი ტანი შეარხია და ნაპირზე შეხეთქებულ ზღვის ტალღის მსგავსად ურიცხვ რგოლებად გაიშალა. მონუსხულმა ურჩხულმა საშიშარი თავი მაინც წამოსწია და ცდილობდა მომხდურები საზარელ ყბებში მოექცია; მაგრამ მედეამ ახლად მოკრილ ღვიძლ შტოს ჯადოსნური სიმთხე წასცხო და ლოცვა-ლოცვით თვალებზე მიასხურა. წამლის სუნმა გველეშაპს ძლიერი ძილი მოჰგვარა, საზიზღარი თავი მიწაზე ჩამოუვარდა... მაშინ მედეას მიერ წაქეზებულმა იაზონმა, სანამ ქალწული ურჩხულთან იდგა და განუწყვეტლივ ასხურებდა თავზე ჯადოს, მუხიდან ოქროს საწმისი ჩამოიღო, მედეას ხელი ჩაჰკიდა და არესის დაჩრდილული ქალაკი დასტოვა“[3].

აღსანიშნავია, რომ ძველი ბერძენი ავტორები მაგიურ მედიცინას მედეას და ასევე ჰეკატეს სახელს უკავშირებდნენ. მედეა წარმოდგენილი ყავდათ. როგორც გველეშაპშებმული ეტლით მავალი[4].

ძველბერძნული წყაროების მიხედვით საქართველოში იმ დროისათვის ექიმი, მკურნალობასთან ერთად, წამლისათვის საჭირო ნედლეულსაც აგროვებდა და წამალსაც თვითვე ამზადებდა. აპოლონიოს როდოსელი აღნიშნავს, რომ მედეა „მიჩვეული იყო ღამღამობით ტაძრის მახლობლად გვამებსა და წამლისათვის გამოსადეგ მცენარეთა ირგვლივ ხეტიალს“[5].

რას უნდა ნიშნავდეს, რომ „მედეა მიჩვეული იყო გვამებსა და წამლისათვის გამოსადეგ მცენარეთა ირგვლივ ხეტიალს“? ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ მოყვანილი ცნობა გვამების დასაბალზამებლად საჭირო მცენარეთა შეგროვებას გულისხმობს? თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი შორეული წინაპრები უკვე იცნობდნენ დაბალზამების წესებს. ამასთან დაკავშირე-

---

1 ჰიპნოსი—ძილის ღმერთი.

2 იგულისხმება ქალღმერთი ჰეკატე.

3 აპოლონიოს როდოსელი, დასახელებული წიგნი, გვ. 157.

4 ეს სახე ბუნებრივად გვაგონებს ქართულ სამედიცინო ფოლკლორში „აქიმ დედოფლის“ თამარის (ყამარის) შესახებ შემორჩენილ წარმოდგენას, რომლის მიხედვით თამარს „წყეული (ველი) რაშად ჰყავდა, პირში ლვთისგან ნაკურთხ ლაგამამოდებული, და ზედ მჯდომი დაჰქროდა“ („ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 49) ამ საკითხების შესახებ დაწვრილებით იხილეთ „საქართველოს მედიცინის ისტორია“, ტ. I, II.

5 აპ. როდოსელი „არგონავტიკა“, გვ. 154.

ბით შეიძლება ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში იმ პირს, რომელმაც დაბალზამება იცოდა, კოლხს უწოდებდნენ.

აღსანიშნავია აგრეთვე „ამირანში“ დაცული მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ადამიანის სხეულის დაბალზამებას შეეხება. იქ ნათქვამია, რომ გარდაცვალების შემდეგ ცამცუმს „ათასნაირის ბანგითა გაუსპეტაკეს ნაწლავნი“.

დაბალზამების შესახებ საყურადღებო ცნობა შემდეგი ხანის ქართულ წერილობით წყაროებშიც გვხვდება. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ როდესაც ვახტანგ გორგასალის ბიძა ვარაზ-ბაკური გარდაიცვალა, იგი მურითა და საბრით შემურეს—„და ვითარცა მოიქცეს სპანი იგი ვახტანგისნი და მივიდეს გუამსა ზედა ვარაზ-ბაკურისა, ვახტანგის დედის ძმისასა, იგლოვეს და შემურეს იგი საბრითა და მურითა, და წარსცეს ბარდავად“[1]. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი საბუთები საკითხის გადასაწყვეტად საკმარისად ვერ ჩაითვლება, მაგრამ სრული საფუძველი არსებობს ამ ნიმართულებით კვლევის გასაგრძელებლად.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, საქართველოში სამკურნალო საქმიანობისა და წამალთმკეთებლობის შესახებ ცნობები ანტიკური ხანის თითქმის ყველა უცხოელ მწერალს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს აქვს. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია და იმაზე მიუთითებს, რომ მთელი რიგი ძვირფასი სამკურნალო მცენარეების შეგროვების, დამზადებისა და ხმარების გარკვეული წესები, რომლებიც საქართველოში იცოდნენ, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდ ინტერესს იწვევდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა საჭირო მცენარეების შეგროვებისა და წამლების მომზადების წესების აღწერა, ისიც ისე დაწვრილებით, როგორც ეს ბერძენ და რომაელ ავტორებს აქვთ. თუ ასე დეტალურად იძლევიან ცნობებს, ალბათ იმისათვის, რომ უცნობი სამკურნალო მცენარეები გაეცნოთ თავიანთი ქვეყნისათვის.

ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ არგონავტების ლაშქრობის მოთავის—იაზონისა და მედეას ურთიერთობაში აღნიშნულმა გარემოებამაც ჰპოვა გარკვეული არეკვლა. ცნობილია, რომ იაზონი იონიურ დიალექტზე მკურნალს ნიშნავს. დღემდე არის შემორჩენილი ძველი ბერძნული ბარელიეფი, რომელზეც, როგორც წარწერიდან ირკვევა, გამოსახულია ექიმი იაზონი ავადმყოფის გასინჯვის მომენტში[2].

ამ საკითხზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან მას სათანადო ნაწილში სპეციალური ადგილი აქვს დათმობილი. აქ ჩვენ გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომლის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მედიცინის ისტორიისათვის. მხედველობაში გვაქვს ჩვენში ფართოდ გავრცელებული სამედიცინო ხელნაწერების—კარაბადინის პრობლემა. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი უკვე დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. მის შესახებ მთელი რიგი მოსაზრებები იყო გამოთქმული ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში.

1857 წელს ნ. ბერძენოვმა გამოაქვეყნა წერილი, სათაურით „ქართული მედიცინის შესახებ“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ცნება „კარაბადინის“ მნიშვნელობისა და მისი წარმოშობის გარკვევაც სცადა. ავტორმა სიტ-

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 176.

[2] Т. Мейер-Штейнег, К. Зудгоф.—«История медицины», Москва, 1925, გვ. 55.

ყვა „კარაბადინი“ ორად გაყო და განმარტა, რომ „კარა“ თათრულად შავს ნიშნავს, სიტყვის მეორე ნაწილი კი პიროვნების ან ადგილის სახელი უნდა იყოსო. ნ. ბერძენოვი იქვე დასძენს, რომ ეს სიტყვა შეიძლება წარმოშობილიყო იმავე პირობების გავლენით, როგორც რუსული სიტყვა «чернокнижие»[1].

ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობის შემცველია. თუ მივიღებთ, რომ „კარაბადინი“ ორი ნაწილისაგან შედგება და მისი პირველი ნაწილი შავს ნიშნავს, ხოლო მეორე პიროვნების ან ადგილის სახელია, მაშინ რაღა კავშირი აქვს მას „ჩერნოკნიჟიესთან“, ხოლო თუ ამ უკანასკნელის მსგავსი წიგნია, მაშინ პიროვნება ან ადგილი რაღა შუაშია.

„კარაბადინის“ საკითხით დაინტერესდა აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილი. იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ სიტყვა „კარა“ თათრულად შავს ნიშნავს, ე. თაყაიშვილმა „კარაბადინი“ „чернокнижие“-ს ტიპის წიგნად მიიჩნია. აქედან გამომდინარე იგი ადარებს „საექიმო წიგნს“ და „კარაბადინს“ შინაარსობლივად და რადგანაც „чернокнижие“-ს ქვეშ ისეთი ტიპის წიგნი იგულისხმება, სადაც სამედიცინო ცნებანი არეულია ცრუმორწმუნეობასთან, ამიტომ „კარაბადინს“ ასეთი ტიპის წიგნად სთვლის, ხოლო „საექიმო წიგნს“, თავის შინაარსით, მასალის განაწილებითა და სისტემით, თავის დროის შესაფერის მეცნიერულ ნაწარმოებად მიიჩნევს[2].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კარაბადინის ტიპის წიგნების ასეთი დახასიათება არ დასტურდება. გვაქვს რიგი კარაბადინებისა, რომლებიც თითქმის სრულიად არ განსხვავდებიან საექიმო წიგნებისაგან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ კარაბადინი, როგორც გარკვეული ტიპის სამედიცინო წიგნი თავისუფალია „чернокнижие“-სათვის დამახასიათებელ ელემენტებისაგან.

„კარაბადინსა“ და „ჩერნოკნიჟიეს“ შორის გატარებულმა ანალოგიამ სხვა მკვლევარებიც მიიმხრო, მათ შორის პროფ. ალ. ხახანაშვილი. 1895 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც წერს, რომ კარაბადინი, როგორც ამას სახელწოდების პირველი ნახევარი გვიჩვენებს, არის „ჩერნოკნიჟიე“-ს ტიპის წიგნი, რომელიც წარმოადგენს საექიმო წესებისა და ცრუმორწმუნეობის ნარევს[3].

XX საუკუნის დასაწყისში კარაბადინის პრობლემას ექიმი ა. იაშვილი შეეხო და სიტყვა „კარაბადინი“ უცხოური ენიდან წარმოშობილად მიიჩნია[4].

უკვე ჩვენ დროში, 1936 წელს, კარაბადინის საკითხის გარკვევა სცადა აგრეთვე ექიმმა ლ. კოტეტიშვილმა. მან არც ერთი ზემოაღნიშნული შეხედულება არ გაიზიარა და თავის მხრივ გამოთქვა აზრი, რომ თითქოს ძველი საექიმო ხასიათის ხელნაწერები ორ ჯგუფად გაიყოფა: „პირველი ეს არის საექიმო წიგნები, მეორე—კარაბადინები. საექიმო წიგნები შეიცავენ ვრცლად თუ მოკლედ, ზოგად საექიმო საკითხებს, როგორიც არის ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, დიეტეტიკა. შემდეგ ავადმყოფობებს, მათ კლასიფიკაციას, მკურნალობას. შიგვეა მოცემული წამლების დამზადება და სხვ. კარაბადინები კი შეიცავენ მხოლოდ ავადმყოფობის სახელწოდებას და მის მკურნალობას და წამ-

---

[1] Бердзенов Н. О грузинской медицине. «Кавказский календарь», 1857, стр. 479—480.

[2] Таканшвили Е. Описание рук. «Общ. распрост. грамот. среди грузинского населения», т. 1, часть, 1—4, 1902—1904. стр. 644.

[3] Хаханашвили А. Очерки по истории Грузинской словесности, в. I, Москва, 1895, стр. 308.

[4] Яшвили А., Народная медицина в Закавказском крае, 1904.

ლების დამზადების წესებს"[1]. ცოტა ქვემოთ კოტეტიშვილი განაგრძობს, რომ „კარაბადინი თავისი პირველი მნიშვნელობით საექიმო წიგნი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ საეფთიაქო წიგნი, რომელიც შეიცავდა წამლების დამზადების წესებს, როგორც დღეს ფარმაკოპეა.

შემდეგში ამ წამლების დამზადების წესებს მიუმატეს სახელწოდებანი იმ ავადმყოფობებისა, რომლების წინააღმდეგაც იხმარებოდა ესა თუ ის წამალი. ასე, რომ თანდათან კარაბადინი იქცა მარტივ, პოპულარულ საექიმო წიგნად"[2].

არსებითად, არც ეს მოსაზრება იძლევა ცნება „კარაბადინის" და თვით წიგნის ტიპის აღმოცენების საკითხის გადაწყვეტას. ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ კარაბადინებში მოცემულია არა მარტო დაავადების სახელწოდება და მკურნალობა, როგორც ამას ლ. კოტეტიშვილი ფიქრობდა, არამედ შიგ გვხვდება წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებაზე, ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე. იქვეა აღწერილი ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები, დაავადებათა განსასხვავებელი ნიშნები, მოცემულია დიეტური რჩევა-დარიგებანი და სხვ. ამრიგად, ამ ნიშნით კარაბადინის განსხვავება საექიმო წიგნისაგან არ დასტურდება.

სიტყვა კარაბადინის შესახებ მთელი რიგი მოსაზრებები უცხოელი მკვლევარების მიერაც იყო გამოთქმული. მათ შორის, ზოგიერთი ავტორი იმ აზრს იზიარებდა, რომ „კარაბადინი" სიტყვისაგან „ახრაბადინი" უნდა იყოს წარმომდგარი, რაც წამლების შესახებ ცნობების შემცველ წიგნს ნიშნავს.

ჩვენი აზრით, ცნება „კარაბადინისა" და „კარაბადინის", როგორც წიგნის გარკვეული ტიპის შექმნის საკითხები, ქართული დამწერლობის ისტორიას უნდა უკავშირდებოდეს.

ცნობილია, რომ მთელ რიგ უძველეს ხალხებთან ერთად, ქართველებს უკვე I ათასწლეულში ჰქონდათ დამწერლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" კარგად ცნობილი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთი მამებისაგან დანაწერი კირბები..."[3]

„კირბის" გაგების შესახებ ლიტერატურაში ძველთაგანვე სხვადასხვაგვარი შეხედულება გამოითქვა.

ზოგს კირბები წარწერების შემცველ მაღალ ბოძებად მიაჩნდა. სვიდას ლექსიკონში კირბები განმარტებულია როგორც სამწახნაგა დაფები, რომლებზეც სასულიერო კანონები იწერებოდა[4].

კირბების საკითხს უკანასკნელ წლებში სხვა მკვლევარებიც შეეხნენ და სრულიად სამართლიანად აპ. როდოსელის ცნობა, დაწერილი კირბების შესახებ, ქართული დამწერლობის უკვე I ათასწლეულში არსებობის ფაქტად იქნა მიჩნეული[5].

ასეთივე აზრი იყო გამოთქმული აპ. როდოსელის „არგონავტიკის" მთარგმნელის აკ. ურუშაძის მიერ[6].

---

[1] „წიგნი საექიმოი", გამოცემული ლადო კოტეტიშვილის მიერ, 1936, გვ. XXX—XXXII.
[2] იქვე, გვ. XXXIII.
[3] აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა", გვ. 161.
[4] იქვე, გვ. 229.
[5] მაქს. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. დისერტაცია 1940—1941.
[6] აპ. როდოსელი, „არგონავტიკა", გვ. 228.

მაგრამ, გასარკვევი დარჩა, თუ რას წარმოადგენდა თავდაპირველად კირბები, მართლა ბოძები, დაფები იყო, თუ რაიმე სხვა სახის საწერი მასალა.

ამ სამოიოდე წლის წინ, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიის შესახებ, გამოქვეყნებული იყო საყურადღებო წერილი, სადაც კირბები ანუ იგივე, „კირიბიში" განხილული იყო როგორც ძველი ზანური სიტყვა, რომელიც კრავს ანუ კრავისას ნიშნავს[1].

მაშასადამე, დაწერილი კირბები, რომლის შესახებ აპ. როდოსელი ლაპარაკობს, დაწერილი კრავის ტყავი ყოფილა ანუ კრავის, ცხვრის ტყავზე ნაწერს გულისხმობს. ცნობილია, რომ საამისოდ საქართველოში ნედლეულის საჭირო მარაგიც არსებობდა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული..."[2]

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენებში ცხვრის ტყავისა და წიგნის გამოსახატავად ერთი და იგივე სიტყვა იხმარება.

ხუნძურ ენაზე: ტეჰ—წიგნი, დოს წალულა ბუგო ტეჰ—ის კითხულობს წიგნს, ტაჰ-ალ—ცხვრის ტყავი[3].

ხუნძურ-რუსულ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ტეჰ—(ტაჰ-ალ, ტუჰ-დულ) ნიშნავს ცხვრის ტყავს, წიგნს[4].

ასევეა ჩამანურში: ხოშა, მრავლობითი ხოშმე—ცხვრის ტყავი, წიგნი[5].

ლაკურ ენაში: ლუ ლუტტირალ, ლუტტირდუ, ლუტტირდალ — წიგნი, ცხვრის ტყავი; ტანალ ლუ, კკალი ური—ის კითხულობს წიგნს; ლუ ლიკკან ტტაია—ცხვრისათვის ტყავის გაძრობა; ლუტტირალ ბარდუტ—ცხვრის ტყავის ქურქი[6].

გვაქვს თუ არა ქართულში ცხვრის ტყავის სახელთან დაკავშირებული სიტყვა, რომელიც ამავე დროს წიგნს აღნიშნავს? ასეთ სიტყვად, ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ „კარაბადინი". სიტყვა კარაბადინი, როგორც წიგნის სახელი, ძველი ჭანურ-მეგრულ სიტყვა „კირბი"-დან შეიძლება მომდინარეობდეს. ვიდრე კირბიდან კარაბადინის წარმოშობის საკითხს განვიხილავდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში გვხვდება მწიგნობრობასთან დაკავშირებული მთელი რიგი ისეთი სიტყვები, რომლებიც საწერ მასალად გამოყენებული ნედლეულის—ცხვრის ტყავის სახელიდან—„კირბიდან" ყოფილა წარმოშობილი. ირკვევა, რომ სიტყვა „კარი", რომელიც წიგნის ნაწილს, ცალკე თავს ეწოდება, ცხვრის ტყავის ზანური სახელიდან—კირბიდან უნდა იყოს ნაწარმოები. ის გარემოება, რომ კარი სახლის ნაწილსაც ეწოდება, კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა სიტყვა „კარის" კირბიდან, კრავიდან წარმოშობისათვის. საქმე იმაშია, რომ კარი, როგორც სახლის ნაწილის აღმნიშვნელი, კარავთან ყოფილა დაკავშირებული. არსებობს აზრი, რომ სიტყვა „კარავი" პირველყოფილი გვაროვნული წყობილებიდან

---

[1] ელ. სიჯინავა, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან, „რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტ. შრომები", 1953, გვ. 83.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ 31.

[3] Услар П. К. Этнография Кавказа, III, Аварский язык, Тбилиси, 1883, стр. 190.

[4] Жирков. Аварско-русский словарь. Москва, 1936, стр. 125.

[5] Бокарев, А. А. Очерк грамматики Чамалинского языка, М. Л. 1949, стр. 161.

[6] Услар П. К., Этнография Кавказа, IV, Лакский язык, Тбилиси, 1890, стр. 319.

უნდა იყოს შემორჩენილი. მომთაბარეობასთან დაკავშირებით კარავი უნდა გამ-ხდარიყო სიცხის, წვიმის, სიცივის და ბუნების სხვა მოვლენებისაგან დამფარავი. კარვის გასაკეთებლად კრავის ტყავი უნდა გამოეყენებინათ და მისი სახელიც აქედან ნაწარმოებად მოჩანს. აღსანიშნავია, რომ როცა წვიმა გადაიღებს, იტყვიან ხოლმე „გადიკარა“, ან კიდევ „ისე წვიმს, ჩქარა გადიკარავს“ და სხვ. ე. ი. წვიმა აღარ ჩამოვა. წვიმა კი მაშინ არ ჩამოვიდოდა, როცა გადაიკარვებოდა ანუ კა-რავი დაიდგმებოდა. რადგან თავდაპირველად კრავის ტყავისაგან კეთდებოდა საცხოვრებელი ნაგებობა—კარავი და კრავის ტყავს დასაწერ მასალადაც იყე-ნებდნენ, ამიტომ „კარი“ ერთსა და იმავე დროს წიგნისა და სახლის ნაწილსაც შერჩა სახელად[1].

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ენებში წიგნის ნაწილს კარს უწოდებენ. მაგალითად, ეგვიპტელები წიგნის თავს „რე“-ს, ე. ი. პირს, კარებს, უწოდებდნენ. ბერძნები ნაწერ სვეტს V საუკუნის დამდეგს „დელტოს“ ე. ი. კარს ეძახდნენ. არაბულშიც ასევე თხზულების ნაწილს „ბაბ“ ეწოდება, რაც ქართულად კარს ნიშნავს. საყურადღებოა, რომ არაბები ეტრატის აღსა-ნიშნავად ხმარობდნენ „რაკკ“-ს და „ჯილდ“-ს, რაც ტყავს და შემდეგ წიგნის ნაწილს, ტომსაც ნიშნავდა[2].

ივ. ჯავახიშვილი აქვე დასძენს, რომ კარის წარმოშობისა და დედააზრის გაგება შეუძლებელია, თუ თხზულებასა და წიგნს ძველად ცალ-ცალკე კარებად ნაწერ და ერთად შეკინძულ კრებულად არ წარმოვიდგენთ[3].

რაკი ზემოაღნიშნული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ კარი კირბისა-გან უნდა წარმოებულიყო, გამოდის, რომ თავდაპირველად წიგნი შედგენილი იქნებოდა დაწერილ ცალ-ცალკე ცხვრის ტყავისაგან, ანუ კირბებისაგან და იქ-ნებოდა—კირბი პირველი, კირბი მეორე, მესამე და ა. შ. ანუ კარი პირველი, კარი მეორე, მესამე და ა. შ.[4].

თუ ეს ასეა, მაშინ წიგნს, რომელიც კარებისაგან შედგებოდა, „კარება-დი“ უნდა რქმეოდა, ე. ი. რამდენიმე კარისაგან შექმნილი, დაბადე-ბული. ამ სიტყვაში ფონეტიკურად აღარ ჩანს, ან ნაკლებად ჩანს საწერი მასალის — ცხვრის ტყავის ზანური სახელი კირბი. თავდაპირველად შეიძ-ლება აკინძულ დაწერილ ცხვრის ტყავებს, რომელთაც აპოლონიოს როდოსელი მიუთითებს, უბრალოდ საწერი მასალის სახელი კირბები ეწოდებოდა. იმდროი-სათვის შეიძლება ტყავის ერთ ფურცელზე მრავალ სხვადასხვა რამეს ერთად წერდნენ. შემდეგ უნდა მომხდარიყო ერთგვარი დიფერენციაცია. ერთ ტყავზე ანუ კირბზე მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მსგავს შინაარსს დაწერდნენ. მისგან განსხვავებული კი ცალკე ტყავზე ანუ კირბზე დაიწერებოდა. ასე უნდა გაჩენი-ლიყო წიგნის კარები, რომელიც წიგნის მექანიკურად გაყოფილ ნაწილს კი არ გულისხმობს, არამედ განსხვავებულ შინაარსს, განსხვავებულ ამბავს, ცალკე თავს. როცა გაჩნდა წარმოდგენა წიგნის შემადგენელ ცალკე კარებზე ანუ კირბ-ზე, მაშინ უნდა შეცვლილიყო შედარებით მარტივი დასახელება კირბები სა-ხელწოდება „კარებადი“-თ ანუ „კარბადინი“-ით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაბულ ენაზეც არსებულა სამედიცინო წიგნი, რომლის სახელი „ბუნთა-

[1] ვლ. სიჯინავა, დასახელებული წერილი, გვ. 88—89.
[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 30, 24.
[3] იქვე, გვ. 34.
[4] ვლ. სიჯინავა, დასახ. წერილი, გვ. 87.

ხაბი შააბი", სწორედ კართა კრებულს გამოხატავს („მუნთახაბი" ნიშნავს კრებულს, ხოლო „შააბი"—ნაწილს, კარს)[1].

თუ ის მოსაზრება სწორია, რომ „კირბი—კირიბიში" ცხვრის ტყავს ნიშნავს, რომელზედაც იწერებოდა, მაშინ გასაგები ხდება, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს „ოქროს ვერძის" ადამიანის ენაზე ალაპარაკების ამბავს, რომელიც არგონავტების ლაშქრობაშია მოთხრობილი. ოქროს ვერძი იგივე წიგნია, შედგენილი დაწერილი ცხვრის ტყავებისაგან. იგი იკითხება ანუ ლაპარაკობს[2].

მითის შინაარსის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ისიც გავითვალისწინოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო დაწერილი კირბებში.

აპოლონიოს როდოსელის ცნობის მიხედვით კირბებში წყლისა და ხმელეთის საზღვრები ყოფილა მოგზაურთათვის ჩაწერილი. ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ მითის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია ვერძის მიერ ფრიქსეს მიყვანა შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქ ეაში, კოლხეთის მეფის აიეტის სამფლობელოში. ვერძი, რომელსაც, მითის მიხედვით, ფრიქსე მოჰყავდა და გზას უჩვენებდა, ცხვრის ტყავზე დაწერილი საზღვაო და სხვა სამიმოსვლო გზების აღწერა და მხარეების გასაგნები ნიშნები უნდა ყოფილიყო.

არსებობს ცნობა, რომ ცხვრის ტყავზე დაწერილი იყო ოქროს მოპოვების წესი. უფრო საფიქრებელია კირბებში ხალიბური ფოლადის და წამალთმკეთებლობის საიდუმლოება ყოფილიყო ჩაწერილი. ეს უკანასკნელი ხომ იმდროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის მონაპოვარს წარმოადგენდა და საყოველთაო ინტერესს იწვევდა. მაგრამ, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ყველა ეს უდიდესი მონაპოვარი: სამიმოსვლო გზების რუკები, საუკეთესო ხარისხის ფოლადის გამოდნობის წესი, წამალთმკეთებლობის საიდუმლოება და ოქროს გადამუშავების ტექნოლოგიაც კი ერთად ყოფილიყო თავმოყრილი და დაწერილი ტყავებზე ანუ კირბებზე.

ერთსა და იმავე წიგნში, კირბებში ანუ კარებადში, რომელიც წიგნის მნიშვნელობით გვეელინება, სხვადასხვა სრულიად განსხვავებულ დარგებიდან ცნობების ჩაწერა უძველესი წესი უნდა ყოფილიყო. წიგნის ასეთი ტიპი, მეტნაკლებად შეცვლილი, XIX საუკუნემდე შემორჩა კარაბადინის სახელით. კარაბადინის ტიპის წიგნებში სწორედ ასეა—გვხვდება ცნობები მედიცინიდან, ასტრონომიიდან, ასტროლოგიიდან, მეცხოველეობიდან და სხვ. მათ გვერდით მოცემულია ცნობები ისეთ საკითხებზეც კი, როგორიც არის წებოსა და მელნის გაკეთება, საღებავების მომზადება, ძვლის დალბობა, ხის გაშავება და სხვა.

ამ უძველესი ტრადიციით უნდა აიხსნას, რომ შემდეგ საუკუნეებშიც, როცა კრაბადინი ძირითადად სამედიცინო წიგნად ჩამოყალიბდა, ყველას შეჰქონდა შიგ ახალ-ახალი წამლების, დაავადებების აღწერა, ან სხვა სახის ცნობები.

XVII ს. ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში" აღნიშნავს, რომ ქართველები, როცა ახალ წამალს შეისწავლიან, სწერენ „...მათ ენაზე, ერთნაირ წიგნში, რომელსაც კარაბადინი ჰქვიან"[3].

აღსანიშნავია, რომ მეტყველებაში ეხლაც არის შემორჩენილი გამოთქმა: „ჩემ კარაბადინში ჩავიხედო", ანდა „ჩემ კარაბადინში ეგ არ წერია" და სხვა

---

[1] Яшвили. А. დასახ. წიგნი, გვ. 88.

[2] ჰეკატე მილეთელი (VI ს. ძვ. წ. აღ.) აღნიშნავს, რომ „ოქროს ვერძმა" ლაპარაკი იცოდა.

[3] არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა", თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი მეორე გამოცემა, თბილისი, 1938, გვ. 97.



სასწორი და საწონები.



კოვზები.

ამას იტყვიან, როცა რაიმე კითხვაზე პასუხია გასაცემი, ან რაიმეა გასაკეთებელი და არ იციან, როგორ გაკეთდეს, ანდა არ უნდათ გააკეთონ, რადგან მათ კარაბადინში არ წერია. თვით გამოთქმა ისეთი ხასიათისაა, თითქოს მითითება ან პასუხი კარაბადინში უეჭველად უნდა იყოს მოცემული განუჩევლად კითხვის მნიშვნელობისა. ეს გამოთქმები იქიდან უნდა მომდინარეობდეს, როცა ერთ წიგნში—კარაბადინში—მრავალი სხვადასხვა სახის რამ იწერებოდა. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვიფიქროთ, რომ კირბეტ დაედო საფუძვლად კარაბადინის, ამ თავისებური ენციკლოპედიური ხასიათის წიგნის, წარმოშობას და თვით სახელის—„კარაბადინი"—წარმოებასაც.

ასე წარმოგვიდგება ნაირგვარი ცოდნის შემცველი წერილობითი ძეგლის თავდაპირველი სახელის „კარებადის" ანუ „კარაბადინის" აღმოცენება, რომელიც შემდეგში უკვე უპირატესად სამედიცინო ხასიათის წიგნების სახელად დამკვიდრებულა.

I ათასწლეულში, სამკურნალო საქმის განვითარებასთან ერთად, გარკვეული ცვლილება შეინიშნება საყოფაცხოვრებო ჰიგიენური წესების მხრივაც. ამას გარდა, არსებობს ცნობა, რომ მედეა დიდ მნიშვნელობას აძლევდა სხეულის ვარჯიშს და ურჩევდა იგი ეწარმოებიათ[1].

უკვე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, როგორც არქეოლოგიური ძალალით ირკვევა, ჰიგიენური დანიშნულების ნაგებობანიც არსებულა საქართველოში.

წყალს სამკურნალო მიზნითაც იყენებდნენ. საამისოდ ქვისაგან სპეციალურად ყოფილა გაკეთებული აბაზანები. მათი ნაშთი ბორჯომში ჩატარებული გათხრების დროს იყო აღმოჩენილი. პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი წერს, რომ „ეკატერინეს წყაროს ირგვლივ საკაპტაჟო მუშაობის დროს 1912—1913 წლებში 9 არშინის სიღრმეზე, მდინარის მონაყარისა და ანდეზიტის კლდის ნამტვრევების ქვეშ, აღმოჩენილი იქნა შვიდი უძველესი აბაზანის ნაშთები, რომლებიც წარმოადგენდნენ პატარა აუზებს (ზომით 3 X 1, 5 და 3 X 2 არშინს), გაკეთებულს უხეშად თლილი ქვებისაგან. ამ აბაზანების ზემოდან დალაგებული ტუფისა და რიყის ქვის ფენების მიხედვით, ამ უკანასკნელთა აშენება უნდა მივაკუთვნოთ მეტად შორეულ დროს, არანაკლებ 1000 წლის წინა პერიოდს, ანდა შეიძლება ჩვენი ერის დასაწყისს"[2].

ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნის აბანო აღმოჩენილი იყო 1937—1938 წლებში მცხეთაში ჩატარებული გათხრების დროს. არქეოლოგ ალ. კალანდაძის აზრით ეს შენობა სამკურნალო აბანოთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს (როგორც ავტორი აღნიშნავს, მოსაზრება ჯერ-ჯერობით პრობლემატურია). თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევარი მიუთითებს წყალგაყვანილობის ორ სისტემაზე, რომლითაც აბანო იკვებებოდა, ერთი მათგანი სამკურნალო წყლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი[3].

---

[1] Dictionnaire historique de la Medecine, ტ. II, ფრანკფურტი, 1755, გვ. 170

[2] პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის ხელნაწერი ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამასთან დაკავშირებით იხ. კაპანაძის სტატია „რა დროიდან არის ცნობილი ბორჯომის მინერალური წყლები". ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", № 6, 1954, გვ. 29.

[3] ალ. კალანდაძე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1938 წ. „ენიმკის მოამბე", 4—5, 1939.

მცხეთაში[1] აღმოჩენილი აბანოების შესწავლის დროს სპეციალისტების მიერ გამორკვეული იქნა, თუ როგორი იყო მათი გათბობა, წყალგაყვანილობა და სხვა მოწყობილობანი.

მცხეთაში (არმაზის ციხე) აღმოჩენილ აბანოს ჰქონია ჰიპოკაუსტების საშუალებით გათბობის ტიპიური სისტემა, წყლის საცავი აუზი, ჰიდრავლური ხსნარით ამოლესილი აბაზანა და სხვა.

მასზედ უფრო მოზრდილი ყოფილა არმაზისხევში, იბერიის პიტიახშთა რეზიდენციაში აღმოჩენილი აბანო (სიგრძე 22 მ. და სიგანე 8,8 მეტრი). იგი ყოფილა ორსართულიანი, კრამიტის სახურავიანი შენობა, რომელსაც ჰქონია გასახდელი, საცეცხლე განყოფილება და საბაზანო. აბანოში მოწყობილი ყოფილა თბილი, ცხელი და ცივი წყლის აუზები. თვით აბანოს შენობის გათბობა კედლებში ჩაყოლებული ჰაერის სადენი მილებით ხდებოდა.

სპეციალისტების დასკვნით, არმაზისხევის აბანოს სახით „.....გვაქვს ტიპიური თერმები გათბობის დამახასიათებელი სისტემითა და ძირითადი სადგომებით", რომლებიც „რომის გრანდიოზული თერმებისაგან განსხვავებით, ბევრად მცირე ზომისაა და სადადაც დამუშავებული, მაგრამ, როგორც ბანაობისათვის განკუთვნილი შენობები, ისინი ზუსტად უპასუხებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას"[2].

ამავე პერიოდში ჰიგიენა-სანიტარიის განვითარებასთან ერთად აღმავლობას განიცდიდა სამკურნალო საქმიანობა. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ აქვე, მცხეთაში, სამთავროს სამაროვანის ზოგიერთ სამარხებში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების შუშის ჭურჭელი იყო აღმოჩენილი. ზოგი მათგანი ნელსაცხებლისათვის, ზოგი კიდეე წამლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რასაც მათი სიდიდე და ფორმაც ადასტურებს. ყურადღებას იქცევს აღნიშნული ჭურჭლის დიდი რაოდენობით არსებობა სამარხში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სამარხი, რომელშიც შუშეული იყო ნახული, წამალთმკეთებელს უნდა ეკუთვნოდეს. ყველა ზემოაღნიშნული კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ ხანებში წამალთმკეთებლობის უძველესი ტრადიციები კი არ გამქრალა, არამედ განაგრძობდა არსებობას და განვითარებას პრაქტიკული სამედიცინო საქმიანობის პირობებში წამოჭრილ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით (ტაბ. IV).

აღნიშნულ ხანაში არსებულ სამკურნალო საქმიანობის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ალმადანის თვლიანი ოქროს ბეჭედი. ბეჭდის გემმაზე პროფილში გამოსახულია სათნო სახის მამაკაცი, რომლის მარჯვენა მხართან იწყება და დიაგონალურად გრძელდება კლაკნილ ჯოხზე ორჯერ შემოხვეული გველი. არქეოლოგები სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, რომ ბეჭდის თვალზე ან მკურნალობის ღვთაება უნდა იყოს გამოსახული, ანდა იგი მკურნალს უნდა ეკუთვნოდეს[3] (ტაბ. VI).

---

[1] მცხეთაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ დაწვრილებით იხ. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე—„მცხეთა" ტ. I, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 147.

[2] ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია (ლექციების მოკლე კურსი), თბილისი, 1955, გვ. 29—30.

[3] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 125—126.

65 წელს (ძვ. წ. აღ.) საქართველოს რომაელთა-ლაშქარი მოადგა. რომი, როგორც მონათმფლობელური ქვეყანა, დაინტერესებული იყო მონების შოვნით. ამისათვის მას ესაჭიროებოდა საქართველოს საუღელტეხილო გზების, განსაკუთრებით დარიალის გასაელის ხელში ჩაგდება. ეს იყო ვზა ჩრდილოეთ კავკასიაში ტყვეების შოვნისათვის.

ქართლის ძლიერი სამეფო ადვილად ვერ დაუთმობდა რომის კეისარს თავისი ზრახვები განეხორციელებინა. რომაელთა ლეგიონების წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობა დაირაზმა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად მრავალრიცხოვანობამ საშუალება მისცა რომაელებს ამიერკავკასიაში ფეხი მოეკიდებიათ.

საქართველოს მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა უცხოელთა ბატონობას და ხშირად აჯანყებას აწყობდა. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება იყო ანიკეტის აჯანყება ვესპასიანეს მეფობის წლებში (69—79 წლები). რომის იმპერატორები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი უფლებები საქართველოში მერყეევი იყო და ყოველნაირად ცდილობდნენ ქართლის მეფეებთან „მეგობრული“ ურთიერთობა დაემყარებინათ. უგზავნიდნენ მათ საჩუქრებს და სხვ. ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო ქართველი მეფის ფარსმანის სტუმრად მიწვევა რომში, ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამალით. რომში ქართველ მხედრებს ცხენოსნობის იშვიათი ოსტატობა უჩვენებიათ.

საქართველოს და რომს შორის დამყარებული ურთიერთობის ეს ის პერიოდია, როცა სამედიცინო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა თავისი დროის დიდი ექიმი—კლავდიუს გალენი. ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს ცნობა, თუ როდის გაეცნენ საქართველოში გალენს. მაგრამ წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ როგორც დიდი ბერძენი ექიმი—ჰიპოკრატე [1] (საქართველოში ბაღრატის სახელით ცნობილი), ასევე გალენიც (საქართველოში ჯანაოზის, ჯალენოზის სახელით ცნობილი) ქართველ ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. გალენზე, როგორც საოცარ მკურნალზე, ქართველ ხალხში ლეგენდაც კი შექმნილა.

მეორე-მეოთხე საუკუნეებში ქართველმა ხალხმა შეძლო დამოუკიდებლობა აღედგინა და რომის წინაშე მხოლოდ სამხედრო ვალდებულება იკისრა. დაახლოებით ამ ხანებში ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ამ პერიოდში დაიწყო მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევა და მის წიაღში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა. ამავე დროს ძველი წარმართული სარწმუნოება შეიცვალა ახალი ქრისტიანული სარწმუნოებით, რომელიც ოფიციალურ რელიგიად იქნა გამოცხადებული.

ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გარკვეული გავლენა იქონიეს მედიცინის შემდგომ განვითარებაზეც.

ქრისტიანობის გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მაგიური და სატაძრო მედიცინა და იგი ქრისტიანულ სამოსელში გახვია.

---

[1] უაღრესად საინტერესოა, რომ ჰიპოკრატეს უმოგზაურია კოლხეთში და მის შესახებ სამედიცინო ხასიათის აღწერილობაც შეუდგენია, იხ. SC, T. I, B. I, გვ. 57.

ხალხური მედიცინის ჯანსაღი ნაკადი, რომელიც წმინდა ემპირიულ დაკვირვებებს ემყარებოდა, კვლავაც განაგრძობდა არსებობას და ფაქტების გამრავლებას.

ქართულ ხალხურ მედიცინასთან და მსოფლიო სამედიცინო აზროვნების განვითარებასთან მჭიდრო ურთიერთობაში ვითარდებოდა გარკვეულ მსოფლმხედველობაზე და საბუნებისმეტყველო წარმოდგენებზე დამყარებული ქართული მედიცინის მაგისტრალური ნაკადი, რომელმაც IV—V საუკუნეებში, საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებთან დაკავშირებით, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა და XIX საუკუნემდე საქართველოს მედიცინის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა.

თ ა ვ ი I

საქართველოს მედიცინის განვითარების ძირითადი საფეხურები V—XVIII საუკუნეებში

საქართველოში ფეოდალური ფორმაციის აღმოცენებასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა კულტურისა და მეცნიერების სფეროშიც. ამასთან დაკავშირებით ახალი ვითარება შეიქმნა მედიცინის განვითარებისათვის.

ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის—ფეოდალიზმის—არსებობა, როგორც ცნობილია, XIX საუკუნემდე გაგრძელდა, მაგრამ ამ დიდ ისტორიულ მანძილზე იგი ერთგვაროვანი არ ყოფილა. მის განვითარებას გარკვეული შინაგანი საფეხურები ახასიათებდა. ჯერ იყო, ადრეფეოდალური პერიოდი (IV—IX საუკუნეები), შემდეგ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (X—XIII საუკუნის პირველი ნახევარი) და ბოლოს გვიანფეოდალური პერიოდი (XIII—XVIII საუკუნეები).

ცხადია, განვითარების პერიოდები საქართველოს მედიცინასაც ახასიათებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მიზანს არ შეადგენს საქართველოს მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციის მოცემა. ეს საკითხი სხვა ადგილას იქნება განხილული. აქ კი გვინდა ვაჩვენოთ, თუ როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა საქართველოს მედიცინა ახალი სოციალური ურთიერთობის პირობებში ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, წარმოვადგინოთ ის მთავარი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებდა მას ფეოდალური საქართველოს ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებზე.

საზოგადოებრივი დიფერენციაცია, რომელიც საქართველოში ჯერ-კიდევ სტრაბონის[1] მიერ იყო შენიშნული, IV—V საუკუნისათვის უფრო ღრმა შეიქმნა[2].

ამ ხანებში გაბატონებულ, შეძლებულ ფენებს წარმოადგენდნენ „აზნაურნი დიდებულნი“ და მათთან ერთად მსხვილი სამღვდელოება. დაბალ სოციალურ ფენას შეადგენდა „უაზნონი“ ანუ „წვრილი ერი“, რომელიც ექსპლოატაციას განიცდიდა „აზნაურთა“ და სამღვდელოების მხრივ.

---

[1] «Жители страны делятся также на четыре класса: один из них, считающийся первым, тот, из которого ставят царей, выбирая ближайшего по родству (с прежним царем) и старейшего по летам; второе за ним лицо творит суд и предводительствует войском. Второй класс составляют жрецы, которые ведают также спорные дела с соседями; к третьему классу относятся воины и земледельцы, к четвертому—простонародье, которое служит рабами у царей и доставляет все необходимое для жизни Имущество у них общее по родам; заведует и распоряжается им в каждом роде старейший. Таковы Иверы и их страна». SC, т. I, в. I, зз. 140.

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ს. ჯანაშიას შრომები: ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1935, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბილისი, 1937.

უთანასწორობას იცავდნენ და ექსპლოატაციას ხელს უწყობდნენ ეკლესიის მესვეურნი, რომლებიც „აზნაურ-დიდებულთა“ მონაწილეობითა და მხარდაჭერით, მათივე სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისათვის იარაღად იყენებდნენ ახლად გავრცელებულ სარწმუნოებას; ამავე დროს, ქრისტიანობა, როგორც ოფიციალური სახელმწიფოებრივი რელიგია მეფისა და მის მოკავშირეთა ხელში, მთელი სიმწვავით დაუპირისპირდა წარმართობას. მათ შორის გაჩაღებული ხანგრძლივი ბრძოლა დამღუპველი აღმოჩნდა უძველესი ქართული წარმართული მწერლობისა და ხელოვნების ძეგლებისათვის. მან გავლენა მოახდინა აგრეთვე სატაძრო მედიცინაზეც და სახე შეუცვალა მას.

ახასიათებს რა აღნიშნულ ხანას, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი კ. კეკელიძე წერს, რომ „...ამ პერიოდში ჩვენში ადგილი ჰქონდა გაფთრებულ ბრძოლებს, რომელნიც ულმობლად ნთქავდნენ დამარცხებული მხარის ლიტერატურულ პროდუქციას, ანდა უკეთეს შემთხვევაში, გადაკეთება-გადამუშავების ობიექტად ხდიდნენ მას. ეს ბრძოლები სხვადასხვა ხასიათისა იყო, სახელდობრ:

1. ბრძოლა ტომობრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურულ-ლიტერატურული ჰეგემონიისათვის.

2. სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლა გარეშე მტრებისა და მოძალადეთა წინააღმდეგ, რომლის დროს ლიტერატურული ძეგლებიც იღუპებოდა.

3. ბრძოლა სოციალურ-კლასობრივი: ა) საზოგადოების დაბალი ფენებისა, ფეოდალური და საეკლესიო-სამონასტრო ექსპლოატაციის წინააღმდეგ; ბ) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის; გ) თეთრსა და შავ სამღვდელოებათა შორის.

4. ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურული დამოუკიდებლობისათვის, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მთელ ამ პერიოდს.

5. ბრძოლა წმინდა კონფესიური, დოგმატიკურ-ფილოსოფიური, რომელსაც აწარმოებდა ე. წ. „მართლმადიდებლობა“ წარმართობისა და სხვადასხვა ქრისტიანული სექტის (არიანობა, ნესტორიანობა, ანტიქალკედონიტ-მონოფიზიტობა, პავლიკიანობა), აგრეთვე მაჰმადიანობის წინააღმდეგ“[1].

წინააღმდეგობა არსებობდა აგრეთვე მეფესა და „აზნაურ დიდებულებს“ შორის, რომლებიც ცდილობდნენ ერთმანეთი დაესუსტებინათ და განემტკიცებიათ საკუთარი უფლებები.

ქვეყნის შინაგან მდგომარეობაზე გავლენას ახდენდა საგარეო ურთიერთობაც. მას შემდეგ, რაც V საუკუნეში სპარსეთმა საქართველო თავის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია, კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი აღნიშნულმა წინააღმდეგობამ და მსხვილი სამთავროების მმართველებმა მოახერხეს ცალკე საფეოდალოები შეექმნათ. ამ ხანებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მრავალი ფეოდალური სამთავრო ჩამოყალიბდა და პოლიტიკური ხელისუფლება ფეოდალური კლასის ხელში გადავიდა. როგორც ამბობს ქართველი მემატიანე „...მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“[2].

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1951, გვ. 36.

[2] სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 373.

მიუხედავად ქვეყნის შიგნით შექმნილი არახელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიური ვითარებისა, ქართველმა ხალხმა შეძლო შეენარჩუნებინა და ვანვითარებინა უძველესი კულტურული ტრადიციები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი ქართული ლიტერატურის წარმატება. ✓ ქართულ დამწერლობას შემორჩა ამ ეპოქის ღირსშესანიშნავი ჰაგიოგრაფიული თხზულება — იაკობ ცურტაველის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი"[1], რომელიც მაღალმხატვრული ენით არის დაწერილი.

ქართული მწერლობის აღმავლობა ამ პერიოდში აღნიშნული თხზულებით არ ამოიწურება. უკვე VI საუკუნეში იქმნება ახალი შესანიშნავი ძეგლი „მარტვილობა და მოთმინება ევსტათი მცხეთელისა"[2].

ეს ძეგლები, ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობასთან ერთად, ჩვენს ყურადღებას იქცევენ იმითაც, რომ მათში არაერთი ძვირფასი ცნობაა შემონახული, რომლებიც წარმოდგენას იძლევიან საქართველოს მედიცინის დონის შესახებ განხილულ პერიოდში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მარტვირი ქართველის თხზულება „სინანულისათვის და სიმდაბლისა"[3], რომელიც მეტად საყურადღებო მასალას იძლევა ადამიანის სხეულის ორგანოთა ფუნქციებისა და სასიცოცხლო პროცესების შესახებ იმ დროინდელი წარმოდგენების გათვალისწინებისათვის.

ორიგინალური ქართული თხზულებების შექმნასთან ერთად, ამ დროისათვის ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი ყოფილა საღმრთო წერილი და ჰაგიოგრაფიული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშები.

საინტერესოა, რომ შუშანიკმა, როგორც იაკობ ცურტაველი წერს, „...თანა წარიტანნა ევანგელეი თუისი და წმინდანი იგი წიგნნი მოწამეთანი"[4].

✓ ლიტერატურისა და მწიგნობრობის წარმატებებთან ერთად ამ პერიოდში გაჩაღებული იყო მუშაობა იმ დროისათვის მნიშვნელოვან ფილოსოფიურ საკითხებზე, რასაც ცხადია მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საბუნებისმეტყველო შეხედულებებისა და მედიცინის შემდგომი განვითარებისათვის.

მართალია, წერილობითი ცნობები ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების შესახებ IV საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ უკვე ამ პერიოდში და შემდგომ საუკუნეებში ფილოსოფიური მუშაობა იმდენად განვითარებულა,

---

1 ეს ძეგლი სრული და პირვანდელი სახით ჩვენამდე არ არის მოღწეული. არსებობს მისი რამდენიმე რედაქცია, ზოგი მოკლე და ზოგი ვრცელი. ვრცელი რედაქცია ქართულ ენაზე გამოცემულია მ. სბინინის მიერ 1882 წ. („საქართველოს სამოთხე", გვ. 181—192), ს. გორგაძის მიერ 1917 წ. („იაკობ ხუცესი წამება წმიდისა შუშანიკისი") ილია აბულაძის მიერ 1938 წ. (იაკობ ცურტაველი, „მარტვილობაი შუშანიკისი") და ს. ყუბანეიშვილის მიერ 1946 წ. („ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", ტ. I, გვ. 34—44). ჩვენ ვსარგებლობთ ამ უკანასკნელი გამოცემით.

2 ჩვენ მიერ გამოყენებულია ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული ტექსტი, რომელიც ემყარება (H—341, A—130, 170, 176, H—2121, 1672,2077 და S—3637) ხელნაწერებს. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 44—54.

3 ეს ძეგლი, 1947 წ. გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. ტექსტი გამოცემულია საქ. სახ. მუზეუმში დაცულ A—56 ხელნაწერის საფუძველზე, ა. შანიძის მიერ გამოცემულ სინას მთის ხელნაწერის ნაწყვეტისა და A—625 ხელნაწერის გამოყენებით. იხ. „ლიტერატურული ძიებანი", ტ. III, 1947, გვ. 261—313. იგივე თხზულება 1955 წელს გამოსცა ილია აბულაძემ, იხ. „მამათა სწავლანი", თბილისი, გვ. 166—182.

4 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I შედგენილია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 37.

რომ მისი მიღწევები მარტო ამ ხნის მონაპოვრად არ ჩაითვლება, იგი შედეგი უნდა იყოს დიდი კულტურული და ფილოსოფიური ტრადიციებისა. ცნობილია, რომ უკვე IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში (ფაზისის მახლობლად) არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად განათლებას ღებულობდნენ უცხოეთიდან სპეციალურად სასწავლებლად ჩამოსული პირები. განათლებამიღებული უცხოელები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეწეოდნენ მოღვაწეობას ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. აქ სწავლობდა V საუკუნის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და მოღვაწის პეტრე იბერიელის პაპა—ბაკური, აქვე უნდა ესწავლა პეტრე იბერიელის მასწავლებელს იოანე ლაზს, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ამავე სკოლის მოძღვარი უნდა ყოფილიყო[1].

აღნიშნულ ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში მიუღიათ განათლება ბიზანტიელ ფილოსოფოს ევგენიოსს და შემდეგ მის შვილსაც—გამოჩენილ რიტორს თემისტიოს. ეს უკანასკნელი ოცდამეშვიდე სიტყვაში თავის აღზრდის შესახებ ამბობს, რომ „რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე არა ელინურ ადგილას, აოამედ პონტოს ბოლოში ფაზისის მახლობლად"[2]-ო.

როგორც ჩანს, თემისტიოსისა და მისი მამის ევგენიოსის სწავლა კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო. უცხოელთა ჩამოსვლა ამ სკოლაში, ფილოსოფიური განათლების მიღების მიზნით, ტრადიციად უნდა ყოფილიყო ქცეული. ეს გარემოება იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ აღნიშნულ სკოლაში ფილოსოფიური სწავლების საქმე კარგად ყოფილა დაყენებული და იგი მეზობელი კულტურული ქვეყნების შვილთა მიზიდვის კერადაც კი გამხდარა.

ამ სკოლაში ინტენსიური ფილოსოფიური მუშაობისა და, საერთოდ, ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების შესახებ სხვა ფაქტებიც მეტყველებენ. იგივე თემისტიოსი აღნიშნავს, რომ საქართველოში იმდროისათვის ფილოსოფიური დისკუსიები იმართებოდა. სხვა უცხოური წყაროებიც ადასტურებენ IV საუკ. საქართველოში ფილოსოფიური დისკუსიების ფაქტს და დასძენენ, რომ ამ დისკუსიებზე სახელი გაუთქვამს ბიზანტიის ფილოსოფიურ წრეებში კარგად ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს—ბაკურს.

ტექსტების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში თავის დროზე გამოძახილი ჰქონია სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლებსა და მიმდინარეობათა შორის ბრძოლას. ეს გამოძახილი ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ფილოსოფიური საკითხისადმი საკუთარი პოზიციის განსაზღვრაში გამოიხატებოდა.

საქართველოში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ანალოგიურ დაწესებულებებს ქართველები უცხოეთშიც ქმნიდნენ. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ უცხოეთშიც იწყება ქართველთა მოღვაწეობა. სხვა ქვეყნის შვილებთან ერთად აარსებდნენ მონასტრებს, რომლებიც იმ ხანად კულტურული და სასწავლო ფუნქციის მატარებლებიც იყვნენ. კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა საზღვარგარეთ, დადებით როლს ასრულებდა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვარის მსოფლიო ასპარეზზე გატანისა და, პირიქით, იქიდან ჩვენში შემოტანის საქმეში.

---

1 ს. ყაუხჩიშვილი, პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი—V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", 1955 წლის 7 ივნისი № 68 (6016).

2 ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე", X, 1940.

დიდ ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა პალესტინაში არსებული ქართველთა მონასტერი პეტრე იბერიელის მეთაურობით. ეს მონასტერი იყო ერთ-ერთი კერა V—VI საუკუნეებში, სადაც ბრძოლა ნეოპლატონიზმსა და არისტოტელიზმს შორის განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობდა. ეს იდეოლოგიური ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ურთიერთობასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ ხანად საქართველოსა, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის.

ბიზანტია და სპარსეთი საქართველოს ერთმანეთს ეცილებოდნენ. ბიზანტია ცდილობდა შეენარჩუნებინა საქართველოს მოკავშირული დამოკიდებულება და ერთგულების ნიშნად ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის ვაჟი 12 წლის მურმანოზი (შემდეგ პეტრე იბერიელად ცნობილი) მძევლად წაიყვანა. მას თან აღმზრდელი, ფილოსოფოსი იოანე ლაზი გააყოლეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმავლობის გზაზე მდგომ ბიზანტიასთან ურთიერთობას, ცხადია, დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოსათვის. ბიზანტიის მედიცინა იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი იყო მეზობელი ხალხებისათვის. ბიზანტიაში არსებობდა სამკურნალო დაწესებულებები. უმაღლესი განათლების კერებში სხვა საგნებთან ერთად მედიცინაც ისწავლებოდა. იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ ცნობილი ბიზანტიელი სწავლული ექიმები—ორიბაზი (IV ს.), აეტ ამიდიელი (VI ს.) და სხვები.

პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის ბიზანტიაში ყოფნის პერიოდში მნიშვნელოვან ძვრებს ჰქონდა ადგილი საზოგადოებრივ ურთიერთობაში; მონათმფლობელობა ფეოდალიზმით იცვლებოდა. ძველ და ახალ სოციალურ ფორმაციებს შორის ჭიდილმა გამოხატულება ჰპოვა იდეოლოგიაშიც—გაჩაღდა დავა დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ მიმდინარეობათა შორის.

დიოფიზიტური მიმდინარეობის მომხრედ გამოდიოდა თვით ბიზანტიის იმპერატორი და მასთან დაახლოებული გაბატონებული წრეები. დიოფიზიტური შეხედულებების, როგორც ორთოდოქსალური მიმართულების წინააღმდეგ ილაშქრებენ პალესტინის, სირიის, ეგვიპტის თავის დროისათვის მოწინავე მოღვაწეები, რომლებიც მონოფიზიტურ შეხედულებას ადგნენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იყო მეზობელი მცირე ქვეყნების ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ.

ბიზანტიის იმპერატორის თეოდოს I კარზე შვილად მიღებული ქართლის მეფისწული მურმანოზი, როგორც ჩანს, გარკვეულა შექმნილ ვითარებაში; მას დაუტოვებია სასახლე და თავის მასწავლებელ იოანე ლაზთან ერთად პალესტინაში წასულა.

პალესტინაში პეტრეს ირგვლივ შემოიკრიბნენ მაშინდელი მოწინავე ინტელექტუალური ძალები, რომლებიც მასთან ერთად დიდ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ მუშაობას ეწეოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი პირები: სევერიოს ანტიოქიელი, ზაქარია რიტორი, იოანე რუფუსი, ზაქარია სქოლასტიკოსი და მათთან ერთად ორი ქართველი ფილოსოფოსი იოანე ლაზი და ზაქარია ქართველი.

როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა[1], პეტრე იბერიელს პალესტინაში

[1] Ш. Нуцубидзе. Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, изд. АН ГССР, Тбилиси, 1942.

Э. Хонигман, Петр Ивер и сочинения Пс.-Дионисия Ареопагита. ფრანგულიდან თარგმნილი შალვა ნუცუბიძის მიერ. „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", ტ. 59, თბილისი, 1955, გვ. 1—79.

შეუქმნია მთელი რიგი ფილოსოფიური ნაშრომები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სამუალო საუკუნეების ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარებაში.

პეტრე იბერიელს ფილოსოფიურ ტრაქტატებში გაუტარებია ისეთი აზრები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ და საფუძველს აცლიდნენ იმ დროს გაბატონებულ შეხედულებებს ამქვეყნიურ და ზეციურ სამყაროს რაობაზე.

პეტრე იბერიელის მოღვაწეობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ მხრივაც, რომ იგი სამკურნალო საქმიანობასაც მისდევდა.

IV—V საუკუნეებში ფილოსოფიური მუშაობის გაჩაღებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მედიცინის მსოფლმხედველობითი საფუძვლების შემუშავების საქმეში. ამავე დროს დიდმა ფილოსოფიურმა ტრადიციებმა ხელი შეუწყვეს შემდგომ პერიოდში (XI—XII საუკუნეები) ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინებას და განვითარებას.

საერთო კულტურულმა აღმავლობამ გავლენა იქონია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაზეც. V—VI საუკუნეებში იქმნება შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები: ბოლნისის სიონი, ურბნისის, ბიჭვინთის, ნინოწმინდის ტაძარი და, ბოლოს, VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე აშენდა ცნობილი ძეგლი— მცხეთის „ჯვარი“.

შემთხვევითი არ არის, რომ IV საუკუნეში ქართლში არსებობდა „მხატვართუხუცესისა“ და „ხუროთმოძღვრის“ თანამდებობა[1].

ისტორიული წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ განხილულ პერიოდში სხვა დარგებთან ერთად აღმავლობას განიცდიდა მედიცინაც. განსაკუთრებით დაწინაურებული მოჩანს ქირურგიული საქმე. ქირურგიის განვითარება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხშირ ომებთან, რომლებსაც აწარმოებდა ქართველი ხალხი შემოსეული მტრებისაგან თავდასაცავად.

აღსანიშნავია, რომ უკვე V საუკუნიდან ქირურგიულ პრაქტიკაში შეინიშნება ჭრილობის დამუშავების გარკვეული ელემენტები. არსებობს ცნობები იქის შესახებ, რომ მკურნალობის დროს ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ავადმყოფის საერთო მდგომარეობას.

სამკურნალო საქმის წარმატებასთან ერთად, შემუშავებული ყოფილა გარკვეული წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ. ამ პერიოდის წერილობით ძეგლებში გვხვდება ცნობები თავის ტვინის, გრძნობათა ორგანოების, გულის, ღვიძლის, საშვლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციის შესახებ. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების გამომხატველი ტერმინების დახვეწილობა და სიმრავლე. რაც იმის შესახებ მეტყველებს, რომ მისი შემუშავება მრავალი საუკუნით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

იმ დაავადებებს შორის, რომლებსაც ამ პერიოდში იცნობდნენ, აღსანიშნავია: ციებ-ცხელება. სირსვილი (კანის დაავადება), თვიურის მოშლა, ფსიქიკის აშლილობანი და სხვ. შენიშნული ყოფილა, აგრეთვე, ცხოვრების ცუდი პირობების უარყოფითი გავლენა ორგანიზმზე. დაავადების განვითარებაში ვარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჰავას და სხვა გარემო ფაქტორებს.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი. მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. IV, 1943, გვ. 577—584.

√

მედიცინის განვითარებას, სხვა პირობებთან ერთად, ხელს უწყობდა V საუკუნისათვის დაარსებული სამკურნალო დაწესებულებები, რომელთა გახსნა, ცხადია, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ შესაფერისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის პირობებში.

ამავე ეპოქის წერილობით წყაროებში დარჩენილია მთელი რიგი საყურადღებო ცნობები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ იმდროინდელ საქართველოში.

საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემები გვხვდება IV—VI საუკუნეების მოღვაწეთა ცხოვრების შესახებ შექმნილ ძეგლებში. მათ შორის: ნინოს[1], პეტრე იბერიელის[2], აბიბოს ნეკრესელის[3], დავით გარეჯელის[4], იოანე ზედაძნელის[5], შიოს, ევაგრეს[6] და სხვათა ცხოვრების აღწერილობებში.

აღნიშნული ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ საქართველოს მედიცინის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მონასტრებთან არსებული საგანმანათლებლო კერები, სამკურნალო დაწესებულებები და იქ მოღვაწე სამკურნალო საქმის მცოდნე პირნი.

√ ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად არახელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობებისა, V—VI—VII საუკუნეები, საქართველოს მედიცინის, ისევე როგორც ქართული კულტურისა და მეცნიერების სხვა დარგების ისტორიაში, აღმავლობის ხანაა. მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ეს აღმავლობა მნიშვნელოვნად შეაფერხა. VII საუკუნეში საქართველოს საზღვრებს ახალი დამპყრობელი ძალა მოადგა არაბთა ლაშქრის სახით. დიდი ბრძოლების შემდეგ, 654 წელს, არაბებსა და ქართველებს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად ქართველებმა არაბთა ბატონობა სცნეს და ყოველწლიურად ხარკის გადახდა იკისრეს.

დიდი ხარკის გადახდამ საქართველო ეკონომიურად დაასუსტა. ბარის მოსახლეობა მთაში გაიხიზნა. სოფლის მოსახლეობა გაჩანაგდა. ვაჭრობა-აღებ-მიცემობა შესუსტდა. არაბი მმართველები ცდილობდნენ ერთგული ქვეშევრდომე-

[1] „ნინოს ცხოვრება“ ორ ვარიანტად არის მოღწეული: შატბერდის (X-ს.) და ჭელიშის (XIV). ჩვენ მიერ გამოყენებულია მერმინდელი რედაქცია (იხ. მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, სპბ. 1882, გვ, 119—155) და მეტაფრასტული, (იხ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი 1946, გვ. 216—231).

[2] „პეტრე იბერიელის ცხოვრება“ ორი რედაქციით არსებობს: ერთია ვრცელი და მეორე შემოკლებული. ჩვენ ესარგებლობთ მაკარი მესხის მიერ XIII—XIV საუკუნეებში ზაჭარია ქართველის თხზულებიდან თარგმნილი ტექსტით (დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 1760, ფ. 167—178), რომელიც ერთველად გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, იხ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I, თბილისი, 1946 წ. გვ. 256—272.

[3] „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“, ავტორი უცნობია, ჩვენ მიერ გამოყენებულია არქეტიპული ტექსტი, რომელიც XVIII საუკ. ხელნაწერის (A-130, გვ. 127b—129b) მიხედვით შეავსო და დასახელებულ ქრესტომათიაში შეიტანა ს. ყუბანეიშვილმა. გვ. 167—168.

[4] „დავით გარეჯელის ცხოვრება“, ავტორი უცნობი პირია, იხ. დასახელებული ქრესტომათია, გვ. 163—167.

[5] „იოანე ზედაძნელის ცხოვრება“, ავტორი დადგენილი არ არის, იხ. დასახელებული ქრესტომათია, გვ. 157—159.

[6] „ცხოვრება შიოისი და ევაგრესი“, ავტორი დადგენილი არ არის, იხ. დასახელებული ქრესტომათია, გვ. 159—163.

ბი ადგილობრივ მოსახლეობაშიც გაეჩინათ, ამიტომ, ვინც ისლამის რჯულს მიიღებდა. მას განსაკუთრებულ უპირატესობას აძლევდნენ და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდნენ. ამრიგად, სარწმუნოებრივმა ბრძოლამ სახალხო ხასიათი მიიღო; იმ დროისათვის სხვა სარწმუნოების მიღება სამშობლოს ღალატს ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხი თავგამოდებით იბრძოდა სარწმუნოებრივი ერთიანობის შენარჩუნებისათვის, საკუთარი ინდივიდუალობის შენახვისათვის. ეს იყო ერთ-ერთი მძიმე პერიოდი საქართველოს ისტორიაში.

„ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძუირ-ძუირად ზღვეულნი,...“[1] წერდა ამ ეპოქის შესანიშნავი მწერალი იოანე საბანისძე და, იმ დროის სხვა მოწინავე პატრიოტულ ძალებთან ერთად, ცდილობდა თავისი კალმით მშობლიური ხალხის შემოქმედებითი პოტენციის და თავისუფლებისათვის მებრძოლი სულის შენარჩუნებას.

ქართველი ხალხი არ შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას და განუწყვეტლივ ცდილობდა უცხო ძალისაგან განთავისუფლებულიყო.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ, ეკონომიურმა დაქვეითებამ, შეაფერხა კულტურისა და მეცნიერების განვითარება, მასთან ერთად მედიცინისაც. მაგრამ, როცა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს ვეხებით, ანგარიში უნდა გაუწიოს შემდეგ გარემოებასაც.

ცნობილია, რომ აღნიშნულ ხანაში არაბებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მაღალი კულტურის მქონე მრავალ ხალხთან.

არაბები, ითვისებდნენ რა დაპყრობილი ხალხების კულტურის მიღწევებს, ავითარებდნენ საკუთარ კულტურას და გარკვეული წვლილი შეჰქონდათ საერთო საკაცობრიო კულტურის საგანძურში. ამავე დროს ისინი სხვადასხვა ხალხების კულტურულ მიღწევათა გამავრცელებლის როლშიც გამოდიოდნენ. ასეთი ვითარება, ცხადია, გავლენას ახდენდა ამა თუ იმ ხალხის საკუთარი კულტურისა და მეცნიერების. მათ შორის მედიცინის განვითარებაზეც. ცნობილია, რომ არაბულმა მედიცინამ ღრმა კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში.

ამ დროისათვის არაბული ენის ცოდნა მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევების გაცნობის საშუალებას იძლეოდა, რადგან, მშობლიურთან ერთად, არაბულ ენაზე იწერებოდა, ითარგმნებოდა და ვრცელდებოდა მაღალი კულტურის მქონე ხალხების ფილოსოფიის, ლიტერატურის, ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინის და მეცნიერების სხვა დარგების საუკეთესო ძეგლები.

გამორიცხული არ არის, რომ ქართველ მოღვაწეებსაც შეექმნათ შრომები არაბულ ენაზე, რომლებიც ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

არაბთა ხალიფატში შედიოდა კულტურის ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრები, როგორიც იყო ერაყის მთავარი ქალაქები: ბაღდადი, ბასრა, აგრეთვე ახლანდელი შუა აზიის რესპუბლიკების უძველესი ქალაქები: ბუხარა და სამარყანდი. ეს ქალაქები ცნობილი იყვნენ მდიდარი სავაჭროებით, ათასგვარი ხელოსნებით, მწიგნობრებით, პოეტებით, ფილოსოფოსებით, მეცნიერებით, ექიმებით და სხვ. ბაღდადსა და ბასრაში არსებობდა უმაღლესი განათლების

[1] იოანე საბანისძე, აბო ტფილელის მარტვილობა (VIII ს): „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, ტ. I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ თბილისი, 1946, გვ. 54—71. ეს გამოცემა, ისევე როგორც მასზე აღრინდელი სამი გამოცემა, ემყარება X ს. ხელნაწერს (A—19, 95, გვ. 288b—316b, 1109, ათონ. 57).

სკოლები, რომლებიც ცნობილი იყო მთელს კულტურულ ქვეყნებში. განათლების აღნიშნულ ცენტრებში მედიცინაც ისწავლებოდა.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართველ ხალხს ამ ქალაქებთან ახლო ურთიერთობა ჰქონია. 772 წელს არაბთა ხალიფა ალ-მანსურის გაწვევით ბაღდადში ჩასული ქართლის ერისმთავარი ნერსე. „ერისმთავარი იგი ქართლისაი სახელათ ნერსე, ძე ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაი, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ყამისა სარკინოზთაისა ამირა მუმნისა აბდილაისგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადსა"[1]. ცხადია, ერისთავი მარტოდ არ წავიდოდა ძლიერ მბრძანებელთან და მას თანმხლები პირებიც გაჰყვებოდნენ.

ესეც არ იყოს, არაბთა ხალიფატში შემავალ სხვადასხვა ქვეყნებში ქართველი ტყვეების გაყიდვა იშვიათი არ იყო. საერთოდ, ამ პერიოდში არსებულ ხალხთა დიდ მოძრაობას, უარყოფით მხარეებთან ერთად, თან სდევდა ის დადებითიც, რომ ტერიტორიულად მეტად დაშორებული ხალხები ერთმანეთს ეცნობოდნენ და თავიანთ კულტურულ და მეცნიერულ მონაპოვარს უზიარებდნენ.

ქართველი და არაბი ხალხების კულტურულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშაობა, რომელიც გაჩაღებული იყო პალესტინაში. საბას მონასტერში და სინას მთაზე მოღვაწე ქართველთა შორის. ამ მონასტერში ნახული არაბული ხელნაწერები, რომლებსაც ქართული პაგინაცია აქვთ გაკეთებული, და ქართული ხელნაწერები არაბული ნუმერაციითა და სიტყვებით[2] ჰოწმობს, რომ აღნიშნულ კულტურულ-მწიგნობრულ კერებში მოღვაწე ქართველები ეწეოდნენ არაბული თხზულებების გადმოთარგმნას ქართულ ენაზე და, შეიძლება პირიქითაც, ქართულიდან არაბულადაც თარგმნიდნენ.

აღნიშნული ფაქტები, სხვა ისტორიულ ცნობებთან ერთად, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ქართველი ხალხი ადრევე ეცნობოდა არაბი და არაბთა ხალიფატში შემავალი სხვა ხალხების კულტურულ მიღწევებს.

როგორც განხილული და ჩვენამდე მოღწეული სხვა ისტორიული ცნობები მოწმობენ, კულტურისა და მეცნიერების, მათ შორის მედიცინის განვითარება საქართველოში, მიუხედავად მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისა მთლიანად არ შეწყვეტილა. უცხო დამპყრობლებისაგან თავის დაღწევის შემდეგ მისმა სიცოცხლისუნარიანობამ მთელი ძალით იჩინა თავი X და განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებში.

VIII საუკუნის დასასრულს და IX საუკუნის დასაწყისში, როცა არაბთა პოლიტიკური გავლენა შეიკვეცა, საქართველო საგარეო ურთიერთობის მხრივ ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა. რაც მთავარია, აღნიშნულ ხანაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება ისეთ დონეზე იყო ასული, რომ ძველი პოლიტიკური ფორმები მას უკვე აღარ შეეფერებოდა. ვითარდებოდა მსხვილი სამთავრო-საფეოდალლები (კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის). გამოცოცხლება დაეტყო მეურნეობას, ქვეყანა ეკონომიურად მოღონიერდა, კვლავ აღმავლობა დაეტყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუ-

[1] იოანე საბანისძე, ანა ტფილელს მარტვილობა: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 60.

[2] Марр, Н. Предварительный отчет, стр. 33; Крещение армян, грузин, абхазов Григорием. стр. 136: Пленение Иерусалима персами в 614 г. стр. 8. მოგვყავს აკად. კ. კეკელიძის წიგნიდან „ძველი ქართული მწერლობის ისტორია", ტ. 1, 1951, გვ. 50.

შაობას. სოციალ-ეკონომიური განვითარების საფუძველზე იწყება ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, რომელიც გააფთრებული კლასთა ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. ბრძოლა წარმოებდა მდაბიო მოლაშქრეთა და დიდგვაროვან აზნაურებს შორის, საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის, მეფის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის[1].

IX—X საუკუნეებიდან დაწყებული საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური გაძლიერება საფუძველს უქმნის ქართული ფეოდალური კულტურის აღმავლობას, ბიძგს აძლევს ლიტერატურის, ფილოსოფიის, საისტორიო მწერლობის, მედიცინის, ხუროთმოძღვრების, მუსიკის, მხატვრობის, ჰედური ხელოვნებისა და სხვა დარგების განვითარებას.

X საუკუნეში იწერება ეპოქალური თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა"[2], რომლის ავტორმა მასში შეტანილი საერო მოტივებით ნიადაგი მოუმზადა ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენებასა და განვითარებას.

ამ ძეგლში VIII—IX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესახებ არსებულ მასალასთან ერთად გვხვდება საყურადღებო ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ მედიცინა საქართველოში აღნიშნულ საუკუნეებში კვლავ აღმავლობის გზაზე იდგა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დასახელებულია ზოგიერთი გინეკოლოგიური და სხვა დაავადებანი. ეს თხზულება საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე სამედიცინო საქმიანობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სამხრეთ რაიონების იმდროინდელ სავანეებში.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის" ქართულ ენაზე გადმოღება, რომელიც მეტად საყურადღებო მასალას შეიცავს ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ იმ დროისათვის გავრცელებული წარმოდგენების დასადგენად. აღნიშნული ძეგლი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რამდენად განვითარებული და დახვეწილი იყო ქართული საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ტერმინოლოგია, რომელიც საუკუნიდან საუკუნემდე ქართული ენის ლექსიკური ფონდის ზრდასთან ერთად ივსებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა.

IX—X საუკუნის საქართველოში მაღალ დონეზე მდგარა, აგრეთვე, აღზრდა-განათლების საქმე. იმდროინდელი განათლების მოცულობა მხოლოდ საქრისტიანო სასულიერო მწერლობის ცოდნით არ შემოიფარგლებოდა. განათლებულ ადამიანს „სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა" უნდა სცოდნოდა საფუძვლიანად („კეთილად"), მას უნდა სცოდნოდა როგორც ქართულ, ისე სხვა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 155—186.

[2] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (დაწერილია X-ს.- ჩვენ ვსარგებლობთ ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული ტექსტით, რომელიც XII საუკუნის ხელნაწერს ემყარება. იხ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 98—156. დედნის ფოტოპირი დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის წიგნთსაცავში, A—381).

[3] გრიგოლ ნოსელი, „კაცისა შესაქმისათვის" (X-ს), იხ. მ. ჯანაშვილის „IX—X-ს. მწერლობა", თბილისი, 1891. ვსარგებლობთ აგრეთვე ხელნაწერებით: Q 41, 970.

ენებზე არსებული ლიტერატურა — „მწიგნობრობაცა მრავალთა ენათა“[1], როგორც ამბობს გიორგი მერჩულე.

იმ პერიოდში შეიქმნა „სიბრძნე ბალავარისი“, რომელიც ბუდას შესახებ აღმოსავლური თქმულების ქართულ ვერსიას წარმოადგენს[2].

ლიტერატურის და მეცნიერების აღმავლობასთან ერთად გამოცოცხლებულა და ახალ ვითარებაში განვითარებულა უძველეს დროიდანვე ცნობილი ქართული ხალხური მრავალფეროვანი ხმიერი და საკრავიანი მუსიკა.

X საუკუნეში ნოტირებული ჰიმნებიც შექმნილა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ძველი ქართული სანოტო ნიშნები—ნევმები, განსხვავდებიან როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ სანოტო ნიშნებისაგან. ეს გარემოება ისტორიკოსების მიერ სრულიად სამართლიანად ძველი ქართული მუსიკალური კულტურის ორიგინალობის მაჩვენებლად არის მიჩნეული.

ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორთა შესახებ საინტერესო ცნობა გვხვდება არსენ იყალთოელის ნაწერებში. არსენ იყალთოელი იხსენიებს იოვანე კათალიკოზს და წერს, რომ იგი იყო „კეთილად მორთულ ორღანო ხელოვანთმთავარი“ და „ხმის დამდებელი“[3].

IX—X საუკუნეებში შეიქმნა შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები: შატბერდი, ოშკი, ხახული, ხანძთა, იშხანი, ოპიზა და სხვ.

XI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის მხრივ მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება.

საზოგადოების გარკვეული ნაწილის—წვრილი და მსახურული აზნაურების, ქალაქის მოსახლეობის, ვაჭართა და ხელოსანთა წრეების მხარდაჭერით, დავით აღმაშენებელმა შესძლო საქართველო ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაეერთიანებინა.

საწარმოო ძალთა კიდევ უფრო მეტად განვითარებამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების გაზრდა და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. აღორძინდა და კიდევ უფრო წინ წავიდა სოფლის მეურნეობა და ხელოსნური წარმოება.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ XI—XII საუკუნეებში ხელოსნური ფენა იმდენად გაძლიერებულა, რომ „დარბაზის ერის“ სხდომებს მისი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ საქვეყნო საქმეების განხილვის დროს[4].

მიწათმოქმედების აღმავლობას ხელს უწყობდა სარწყავი არხების გაყვანა. ალაზნის არხი, რომლის სიგრძე 119 კმ უდრიდა, 53000 ჰექტარ მიწას რწყავდა[5].

---

[1] გიორგი მერჩულე. დასახელებული გამოცემა, გვ. 100. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ პ. ინგოროყვას გამოკვლევა „გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, თბილისი, 1954.

[2] ჩვენ ვსარგებლობთ ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული ტექსტით, რომელიც ილია აბულაძის გამოცემის მიხედვით არის დაბეჭდილი. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 275—305.

[3] ანდერძი არსენისი, დაცული სინას მთის ქართულ ხელნაწერებში № 83. იხ. აკად. ნ. მარის «Описание грузинских рукописей Синайского монастыря», 1940 გვ. 203—204.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 241.

[5] აღ. ლოსაბერიძე. ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, „ტექნიკა და შრომა“, 1938, თბილისი, გვ. 193—228.

1202 წელს იყო გაყვანილი 7 კმ სიგრძის წყალსადენი, რომელიც დღე და ღამეში 243 000 ლიტრ წყაროს წყალს იძლეოდა[1].

დიდად გაცხოველებულა ვაჭრობა, ვაჭართა ფენა იმდენად გაძლიერებულა, რომ იგი ანგარიშგასაწევ ძალად ქცეულა.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, იმ პერიოდში საქართველოდან გაჰქონდათ იშვიათი ღირსების ოქროს ქსოვილები, სინდიყი. ხალიჩები, ტანისამოსი, მატყლი, ბამბა, აბრეშუმი და სხვა ნაწარმი. ვაჭრობის გაცხოველებასთან დაკავშირებით შეკეთებული და ახლად ყოფილა გაყვანილი გზები, აუგიათ ხიდები, ფუნდუკები, სადაც მგზავრებს დასვენებასთან ერთად შეეძლოთ სანოვაგეც ეშოვათ.

ხელოსნობისა და ვაჭრობის ზრდა-განვითარებასთან ერთად გამრავლდა დაბები, გაიზარდა და გაშენდა ქალაქები, განვითარდა საქალაქო ცხოვრება, რაც დღის წესრიგში აყენებდა სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების შენობათა აგებას და მოწყობას.

1936—1937 წლებში, საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს, დღანისში აღმოჩენილი იყო XI—XII საუკუნეების ნაქალაქევი, რომელიც მოწყობილი ყოფილა გზებით, აბანოებით, კანალიზაციით, წყალმომარაგების სისტემით და სხვ. აქვე ნახულია არქიტექტურული წესით აგებული საცხოვრებელი სახლები, საკულტო ნაგებობანი, სავაჭრო შენობები, თავდაცვითი ნაგებობანი და სხვ.[2]

XII საუკუნეში საქართველოს ეკონომიკის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ „საკუთრივ საქართველოს (ყმადნაფიცი ქვეყნების გარდა) ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი შემოსავალი 3750000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანებში მცირე აზიის შემოსავალი 2473000 მანეთს, არაბული ერაყისა—22 50000 მანეთს და საკუთრივ სპარსეთის—2153460 მანეთს შეადგენდა. საქართველოს შემოსავლის აღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავალია. ამას გარდა, მას ნატურით დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა“[3].

ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ დაწინაურებას კულტურისა და მეცნიერების აღმავლობაც მოჰყვა.

შეიქმნა ისეთი შესანიშნავი მონუმენტური ნაგებობანი, როგორიცაა ბაგრატის ტაძარი (1002 წ.), სვეტიცხოველი (1010—1029 წლები), ალავერდის ტაძარი (XI ს.), სამთავისი; აშენდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაგებობანი.

„თითქმის საერო მწერლობასთან ერთდროულად“ აღმოცენდა ქართული საერო მინიატურა[4].

სწრაფი ტემპით დაიწყო ფილოსოფიის და მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარება. ფილოსოფიის, მეცნიერების, განათლებისა და მწიგნობრობის აყვავებას დიდად შეუწყო ხელი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნამ.

---

1 შ. ხიდაშელი. სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი (არქეოლოგიური გათხრების ანგარიში), წიგნში: „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 231—264.

2 ლ. მუსხელიშვილი. ღმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). გვ. 319—448.

3 „XI—XII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა“, ალ. ჯავახიშვილის რედაქციით; თბილისი, 1953, გვ. 27.

4 Амиранашвили Ш. История грузинского искусства, Москва. 1950 გვ. 208.

ამ პერიოდში არაერთი ახალი მონასტერი აშენდა და მათთან სემინარიები და აკადემიები გაიხსნა. საკმარისია დავასახელოთ გელათის, იყალთოს, გრემის აკადემიები. „აკადემია იმდროს იყო არა თუ მარტო სასწავლებელი, არამედ სამეცნიერო დაწესებულებაც, სადაც იკრიბებოდნენ სპეციალისტები, მეცნიერების წარმომადგენელნი საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად"[1].

გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა ღიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა გამოჩენილი ქართველი სწავლულნი და ფილოსოფოსნი და შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა. გელათის აკადემიის სახელი მალე ცნობილი გახდა საქართველოს გარეთაც. გელათის აკადემია იქცა „...სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა..."[2].

ამ ეპოქის პოეტი იოანე შავთელი გელათს რომსა და ელადას ადარებს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა:
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა..."[3]

ამ პერიოდში, ქართველი ფილოსოფოსები დედანშივე იკვლევდნენ პლატონის, არისტოტელეს და სხვა ფილოსოფოსთა ტექსტებს და მათ საკუთარ კომენტარებსაც ურთავდნენ[4]. თვით იოანე პეტრიწი დიდად განსწავლული, იშვიათი ერუდიციის მქონე, ღრმა მოაზროვნე ადამიანი იყო. მას ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოებების შექმნასთან ერთად, გადმოუთარგმნია არისტოტელეს ორი თხზულება „ტოპიკა" და „განმარტებისათვის", ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა", პროკლე დიადოხოსის „კავშირნი", რომელსაც დაურთო საკუთარი „განმარტებანი პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის". მასვე ეკუთვნის ორიგინალური შრომები და თარგმანები ისტორიიდან, გრამატიკიდან, ასტრონომიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, პოეტიკიდან და სხვ.

იოანე პეტრიწი მოჩანს, როგორც არა მარტო დიდი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი, არამედ მედიცინასთან ახლო მდგარი და სამედიცინო დარგში განსწავლული ადამიანი.

---

1 ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1948.

2 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", (XII-ს) „ქართლის ცხოვრება", I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 331.

3 იოანე შავთელი, „აბდულ მესია", იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 209.

4 «Грузины в X—XI веках интересовались в области философии теми же вопросами, какие занимали передовые умы тогдашнего христианского мира как на Востоке, так и на Западе, с тем только отличием от других, напр., от европейцев, что тогда грузины отзывались раньше других на наиболее новые течения философской мысли и работали во всеоружии образцовой для своего времени текстуальной критики непосредственно над греческими подлинниками». Н. Марр, «Иоанн Петрицкий грузинский неоплатоник XI—XII вв». об. «Записки восточного отделения Русского археологического общества» т. XIX, 1909, стр. 53.

მედიცინაში იოანე პეტრიწის განსწავლულობისა და მოღვაწეობის განხილვასთან დაკავშირებით არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ შევაჩეროთ შემდეგ გარემოებაზე.

საშუალო საუკუნეების სამედიცინო ლიტერატურიდან სხვა ხელნაწერებს შორის შემორჩენილია ერთი საყურადღებო სამედიცინო ტრაქტატი, რომელიც ტრადიციით სალერნოს სამედიცინო სკოლიდან გამოსულად ითვლება. იგი XI საუკუნეს მიეკუთვნება და იწოდება როგორც „Practica Petrocelli, Petroncelli, Petricelli, Petronii"[1].

როგორც ვხედავთ, წიგნის ავტორი ლათინური ტრანსკრიფციის მიხედვით არის პეტროცელი, პეტრონცელი, პეტრიცელი, პეტრონი. მაგრამ, თუ ვინ არის აღნიშნული ტრაქტატის ავტორი—პეტრიცელი, ამის შესახებ არც თვით წიგნში და არც მის შესახებ დაწერილ, ჩვენთვის ცნობილ, საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში სარწმუნო ცნობები არ მოიპოვება.

XII საუკუნის სალერნოს კოდექსში და შემდეგ უკვე პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის აღწერილობებში „Practica Petricelli" ფსევდონიმიურ ნაწარმოებად ითვლება. ავტორის ვინაობის გარკვევა დასავლეთ ევროპაში არა ერთმა მკვლევარმა სცადა, მაგრამ გარკვეული შედეგი მიღებული არ ყოფილა.

აღნიშნულ საკითხებს შეეხნენ „მედიცინის ისტორიაში" ტ. მეიერ-შტეინეგი და კ. ზუდგოფი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Practica Perticelli" სალერნოს სკოლაში კი არ იყო შექმნილი, არამედ იქ სახელმძღვანელოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული[2].

ავტორის გვარი, როგორც ვხედავთ, პირდაპირ ემთხვევა პეტრიწს. ამ დამთხვევის საფუძველზე მედიც. მეცნ. კანდიდატმა მ. შენგელიამ თავის საკანდიდატო დისერტაციაში „ნარკვევები ოფთალმოლოგიის ისტორიიდან საქართველოში", გამოთქვა აზრი, რომ აღნიშნული ტრაქტატის ავტორი და იოანე პეტრიწი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოსო. დღესდღეობით, ვიდრე იოანე პეტრიწის და „პრაქტიკის" ავტორის იგივეობა საბოლოოდ დადასტურდებოდეს, შეიძლება ვაღიაროთ, რომ „პრაქტიკის" ავტორი პეტრიწონის მონასტერსა და სემინარიასთან დაკავშირებული პიროვნება უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ იოანე პეტრიწს, როგორც ანტონ კათალიკოსი ამბობს, „სამკურნალო წერილნიც" უთარგმნია—„ამან საღვთომან იოანე გარდმოიღო ქართველთა ხმასა ზედა საღმრთოი წერილი და მრავალნი ღვთისმეტყველებითნი და ფილოსოფოსებითნი წერილნი და ეჰგონებ, ვითარმედ სამკურნალონიც წერილნი"[3]. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ შესანიშნავი ფილოსოფიურ-საბუნებისმეტყველო შინაარსის ძეგლი, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათუის კაცისა", რომელიც XI საუკუნის დასასრულს ან XII საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა იყოს თარგმნილი ბერძნულიდან იოანე პეტრიწის მიერ[4].

---

1 Т. Мейер-Штейнег, К, Зудгоф. «История медицины,» Москва, 1925, стр. 182.

2 იქვე.

3 ანტონ კათალიკოსი, „სპეკალი". იხ. კ. კეკელიძის ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი, სახ. უნივერსიტეტის შრომები, I სერია, 1936 წ., გვ. 136.

4 ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათუის კაცისა", ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებელი დაურთო ს. გორგაძემ, თბილისი, 1914.

ამ ძეგლის შესწავლა ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, კერძოდ, სამედიცინო-საბუნებისმეტყველო ხასიათისა, როგორ განვითარებულა წინა საუკუნეებთან შედარებით.

ხელნაწერის აშიებზე დარჩენილი მინაწერები და ზოგიერთი შენიშვნები მ ო წ მ ო ბ ს, რომ „ბუნებისათვის კაცისა", იმ პერიოდის ქართულ სამედიცინო საბუნებისმეტყველო ხასიათის წიგნებთან ერთად, საკმაოდ ყოფილა მკითხველთა შორის გავრცელებული.

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ მთარგმნელი, იოანე პეტრიწი და შემდეგ ქართველი მკითხველები, როგორც აშიებზე გაკეთებული მინაწერებით ირკვევა, დედნის ტექსტს ბრმად კი არ მისდევდნენ, არამედ კრიტიკულად უდგებოდნენ და პირველწყაროებზე დაყრდნობით ასწორებდნენ და შენიშვნებს ურთავდნენ. ამას მოწმობს, კერძოდ, გალენის აზრების გადმოცემასთან დაკავშირებულ ტექსტში შეტანილი ზოგიერთი შენიშვნები[1].

ძველი ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების ისტორიაში, გელათთან ერთად, საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე იყალთოს აკადემიას.

იყალთოს აკადემიას, რომელსაც საქართველოს ფილოსოფიის ისტორიაში კარგად ცნობილი პირი, არსენ იყალთოელად წოდებული, მეთაურობდა, გარკვეული როლი უნდა შეესრულებია მედიცინის განვითარებაშიც.

მთელი რიგი ისტორიული საბუთები მოწმობს, რომ აღნიშნულ აკადემიაში, ისევე როგორც გელათის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში, მეტად ინტენსიური მეცნიერული მუშაობა იყო გაჩაღებული. ამას ადასტურებს თუნდაც ის იდეოლოგიური ჭიდილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გელათისა და იყალთოს აკადემიებს შორის.

იყალთოს აკადემია, არსენ იყალთოელის მეთაურობით, გააფთრებულ იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდა გელათის აკადემიასთან, რომელიც იოანე პეტრიწის მეთაურობით გამოდიოდა.

არსენ იყალთოელი გამოდის როგორც ქრისტიანულ-დოგმატიკური აზროვნების წარმომადგენელი XII საუკუნის საქართველოში და ებრძვის იოანე პეტრიწს, როგორც კულტურისა და განათლების ახალი ნაკადის იდეოლოგს[2].

საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებების პოზიციებიდან იოანე პეტრიწი ილაშქრებდა ოფიციალურად მიღებული სარწმუნოებრივი დოგმების წინააღმდეგ, რისთვისაც მას, როგორც „არისტოტელის მსგავს" ფილოსოფოსს, დევნიან: „თუმცა მე რაიმე თანსიყუარული და შეწევნაი მჩუენებოდა მათგან... ენაიმცა ენისა და გამეწყო და ხედვაიმცა ფილოსოფოსთა განცდისაი მეარისტოტელურა"[3]. მაგრამ, მიუხედავად ქრისტიანული სქოლასტიკის შემოტევისა და იმ გარემოებისა, რომ იოანე პეტრიწს „...ხელს უშლიდნენ განეწყო ქარ-

---

[1] „ბუნებისათუის კაცისა," გვ. XVII—XVIII.

[2] შ. ნუცუბიძე, „განათლება და საგანმანათლებლო იდეები ქართულ რენესანსში".. „მნათობი", № 9—10, 1942, გვ. 203—221. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არსებული იდეოლოგიური ბრძოლის ფართო განხილვა მოცემულია პროფ. შ. ნუცუბიძის მონოგრაფიაში «Руставели и Восточный ренессанс». Тбилиси, 1947.

[3] იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, პროფ. შ. ნუცუბიძისა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1937, გვ. 222.

თული საფილოსოფიო ენა და არისტოტელური ფილოსოფიური ხედვა"[1], იოანე პეტრიწი მაინც ახერხებს თავის შრომებში განავითაროს ისეთი აზრები, რომლებიც საფუძველს ურყევდნენ თეოლოგიური მსოფლმხედველობის ძირითად დებულებებს.

„ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პეტრიწისეული გადაწყვეტა ღვთაებრივი განგების აბსოლუტურობას ზღუდავდა და მის ყოვლისშემძლეობას საფუძველშივე უდებდა საზღვარს"[2].

ფილოსოფიასთან ერთად ვითარდებოდა მეცნიერების დარგები: ასტრონომია, იურისპრუდენცია, ისტორიოგრაფია, მედიცინა და სხვ. აღსანიშნავია ასტრონომიული ობსერვატორიის არსებობა თბილისში XII საუკუნეში. ამ ობსერვატორიაში მომუშავე სწავლულებს უშუალო მონაწილეობა მიუღიათ ახალი, გასწორებული ასტრონომიული ცხრილების შესადგენად გამართულ ყრილობის მუშაობაში[3].

საქართველოში დიდად ყოფილა გავრცელებული ასტრონომიული შინაარსის წიგნები. აკად. მ. ბროსე აღნიშნავს, რომ „ქართველებმა 1233 წელს[4] უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას"[5].

აკადემიებში გაჩაღებულ მუშაობასთან ერთად, გაფართოვდა საერთო განათლების მოცულობა, გაიზარდა სასწავლო საგნების რიცხვი.

როგორც მთელი რიგი გამოკვლევებით ცნობილი გახდა, საქართველოს იმდროინდელ სკოლებსა და აკადემიებში ისწავლებოდა: დიალექტიკა ანუ ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, იურისპრუდენცია, მედიცინა, მუსიკა და სხვა. ასეთი ფართო ცოდნის მიღების შემდეგ იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდები არაიშვიათად საზღვარგარეთ არსებულ ქართველთა ან უცხოელთა კულტურულ ცენტრებსაც ეწვეოდნენ ხოლმე, რასაც, ცხადია, ხელი უნდა შეეწყო მათი ცოდნისა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის. სწავლა-განათლების აღმავლობას მოჰყვა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მომუშავე სპეციალური განათლების მქონე პირების გაჩენა.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ X—XI საუკუნეებისათვის განსაკუთრებით განვითარებულა სამართლის მეცნიერება. ამ დროისათვის საქართველოში ყოფილან სამართლის დარგში მომუშავე სპეციალური პირნი—„მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი"[6], რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს—სახელმწიფო დარბაზის მუშაობაში.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საქართველოში თავის დროისათვის მაღალ დონეზე მდგარა მწიგნობრობა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეექვსე სა-

---

1 იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II. დასახ. გამოცემა, გვ. 222.

2 შ. ხიდაშელი, იოანე პეტრიწი, თბილისი, 1956, გვ. 80.

3 Шлоссер, ф. Всемирная история, т. V. под ред. Н. Чернышевского, СПБ, 1862, стр. 205.

4 1233 წლით არის დათარიღებული დიდი ქართველი მეცნიერის აბუსერიძე ტბელის ასტრონომიულ-კალენდარული ნაშრომი, ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში A-85 ფ. 317—345.

5 M. Brosset, Etudes de chronologie techique, გვ. 33. მოგვყავს კ. კეკელიძის წიგნიდან—„ძველი ქართული მწერლობის ისტორია", ტ. I, 1951, გვ. 310.

6 ბაგრატ V, ოპიზის სიგელი (XI ს.) იხ. „საქართველოს სიძველენი", ტ. II, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1909, გვ. 3.

უკუნეში არსებობდა ეგრისის სამეფო არქივი, სადაც სახელმწიფო წერილობითი საბუთები ინახებოდა[1].

მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია მეფე დავით აღმაშენებელს; წიგნთსაცავები ანუ „საწიგნენნი" ყოფილა მონასტრებშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პერიოდის ქართული საერო ლიტერატურის წარმატება, რომელიც აღმოცენდა მდიდარი და მაღალ საფეხურზე მდგომი სასულიერო მწერლობის ნიადაგზე შესაფერის საზოგადოებრივ განვითარების ვითარებაში, როცა ეკლესიის უფლებანი შეიზღუდა და მისი გავლენა შეირყა.

ამ ეპოქაში შეიქმნა ქართული და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის ისეთი შედევრები, როგორიც არის ჩახრუხაძის „თამარიანი", იოანე შავთელის „აბდულმესიანი" და შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი".

„ვეფხისტყაოსანში" შესანიშნავად აისახა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება. იგი ძვირფას ცნობებს იძლევა საქართველოს ისტორიის და კერძოდ ქართული მედიცინის ისტორიის შესახებ.

ქართული მედიცინის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის „ვეფხისტყაოსანს". ამ შესანიშნავ ქმნილებაში არეკლილია ეპოქისათვის დამახასიათებელი მწყობრი სამედიცინო შეხედულებები და კონცეფციები[2]. მასში ჩვენ ისეთ ცნებებსაც კი ვხვდებით, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არც ერთ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლში ნახული არ არის.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „კალმასობის" ავტორი, იოანე ბატონიშვილი, შოთა რუსთაველს „ბუნების მეცნავს"[3] უწოდებს[4].

ამ ეპოქის წერილობით წყაროებში მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსებისა და მწერლების—ჰომეროსის, ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს, პლატონის, არისტოტელის, პლუტარქის, სოკრატეს, ემპედოკლეს, დიონისეს, პროკლეს, იბნ-სინას, ნიზამის. ფირდოუსის და სხვათა სახელების დასახელება საუკეთესო მაჩვენებელია ინტერესთა ´იმ მასშტაბისა, რომელიც ქართველ ხალხს ჰქონდა იმ დროისათვის.

ეპოქის მრავალი წყარო ადასტურებს, რომ საქართველოში ახალი წარმატებები ყოფილა მოპოვებული მედიცინის დარგშიც.

V და შემდეგ საუკუნეებთან შედარებით საგრძნობლად წინ წასულა წარმოდგენა ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ.

ქართულ წერილობით სამედიცინო ძეგლებთან ერთად ანატომიურ-ფიზიოლოგიური წარმოდგენების გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ჩვენ მიერ უკვე დასახელებულმა გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის", ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა" ქართულ ენაზე

---

1 პროკოფი კესარიელი, იხ. „გეორგიკა" ტ. II, თარგმანი და განმარტებანი ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1934, გვ. 49.

2 ამ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო წერილი აქვს გამოქვეყნებული ექ. ლ. კოტეტიშვილს „სამედიცინო იდეები „ვეფხისტყაოსანში", იხ. ჟურ. „საბჭოთა მედიცინა", 1937, № 11—12.

3 იოანე ბატონიშვილი განსაზღვრავს, რომ ბუნების ისტორია არის „სწავლა ბუნებითთა მყოფთა წარმოებთათვის", იხ. „კალმასობა", ტ. II, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1948, გვ. 10.

4 იქვე, გვ. 184.

გადმოღებამ. საინტერესო ცნობებს შეიცავს სხეულის აგებულებისა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის „ექესთა დღეთაი"[1].

ამ ხანის ძეგლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთი ფიზიოლოგიური პროცესის და ამ პროცესში მონაწილე ორგანოთა ფუნქციის აღწერის სიზუსტე. გამდიდრებული მოჩანს ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინოლოგია.

არჩევდნენ თავისა და ზურგის ტვინის ნაწილებს, ცნობილი ყოფილა თავის ტვინის გარსები, ტვინიდან გამომავალი ზოგიერთი ნერვები. ცალკეა განხილული ზურგის ტვინის ნერვები ანუ ძარღვები, როგორც მაშინ უწოდებდნენ. ცნობილი ყოფილა გულის აგებულების ზოგიერთი დეტალები, მათ შორის გულის გარსები და ნაწილები; დასახელებულია გულიდან გამომავალი და მასში შემავალი ცალკეული მსხვილი სისხლის ძარღვები. გვხვდება ცნობები სუნთქვის სისტემაში შემავალი ორგანოების შესახებ. საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი საჰმლის მომნელებელი არხი, შარდ-სასქესო სისტემის ორგანოები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩონჩხისა და კუნთოვანი სისტემის აღწერილობა, სადაც ცალკეული სწორი შეხედულებებიც არის წარმოდგენილი. საერთოდ ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ არსებული წარმოდგენები შეიძლება ფრ. ენგელსის შემდეგი სიტყვებით დავახასიათოთ: „...ადამიანისა და ცხოველთა ანატომიაში მანამდე ჯერ მხოლოდ ფაქტების შეგროვება და მათი შეძლებისდაგვარად სისტემატიკურად დალაგება შეიძლებოდა. ფიზიოლოგია მხოლოდ მიხვედრილობას წარმოადგენდა, როგორც კი გასცილდებოდნენ თვალსაჩინო მოვლენებს—მაგ., მონელებასა და გამოყოფას; არც შეიძლებოდა ეს სხვანაირად ყოფილიყო, სანამ თვით სისხლის მიმოქცევაც კი არ იყო აღმოჩენილი"[2].

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ანატომიური წარმოდგენები ცხოველებზე ჩატარებულ გამოკვლევებსაც ემყარებოდა.

„...და თუ ვინ გამოსაცდელად ფურცელი დაჰხადოს დაკლულისა პირუტყვისა ზეჰდანისა[3] ესე, რომელ მითქუამს, დაუდასტურდების"[4].

ანატომიურ-ფიზიოლოგიურ წარმოდგენებთან ერთად შემუშავებული ყოფილა გარკვეული შეხედულებანი ადამიანის ნაყოფის ჩასახვისა და განვითარების შესახებ.

მედიცინის და ბუნებისმეტყველების განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყო ქართულ აკადემიებში სხვა დისციპლინებს შორის სამედიცინო-საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას. საამისოდ, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, აკადემიებთან სათანადო სამედიცინო დაწესებულებებიც ყოფილა დაარსებული.

ამ პერიოდისათვის უკვე შესაძლებელია გავარჩიოთ ზოგიერთი პირების განსაკუთრებული დახელოვნება მედიცინის ცალკეულ დარგებში, უმთავრესად ქირურგიაში, შინაგან მედიცინასა და მეან-გინეკოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ

---

1 ბასილი დიდი, „ექესთა დღეთაი". თარგმნილი ბერძნულიდან გ. მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო შ. კახაძემ. იხ. წიგნი „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი II (25), თბილისი, 1946.

2 ფრ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, თბილისი, 1950, გვ. 187—188.

3 ზეჰდანი—საშვილოსნო.

4 „წიგნი საჟეიმოი", გვ. 16.

ამ დარგში დაოსტატებულ პირებს განსაზღვრული სპეციალური სახელწოდებაც ჰქონიათ.

ამავე ეპოქაში შექმნილა შესანიშნავი დამწერლობითი სამედიცინო ძეგლები: XI საუკუნის „უსწორო კარაბადინი", რომლის შექმნას მისი გამომცემელი ექ. კოტეტიშვილი მედიცინის უცნობი მოღვაწის—ქანანელის სახელს უკავშირებს [1], და XIII საუკუნით დათარიღებული „წიგნი სააქიმოი", რომელიც თარგმნილ-გადმოკეთებული უნდა იყოს მედიცინის დარგში მომუშავე უცნობი პირის—ხოჯაყოფილის მიერ[2].

„ესე წიგნი სააქიმოი,—ნათქვამია აღნიშნული ძეგლის დასაწყისში,—ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციჟეს, მუნით ალაფად მოიღეს, ქრისტეს მიერ პატრონი ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ მ ა ნ, მისმან მწიგნობართ უხუცესობამან, პროტოი უპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან კაცმან, გონებაი მოზავმან და საღმრთოითა მსჯავრთა მართლ მსაჯულლმან, და ხელისა მპყრობელმან ულონოთა და ქვრიეთამან, ქართულად მათარგმნინ: მე მიწასა მათსა ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ს ა"[3]

როგორც ამ ძეგლის გამომცემელი აღნიშნავს და თვით ტექსტის გამოკვლევითაც დასტურდება, აღნიშნული სამედიცინო წიგნი არ წარმოადგენს პირდაპირ თარგმანს. სიტყვა „თარგმნა", „თარგმანი" წარსულში სხვა შინაარსის მატარებელი იყო. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ „თარგმანი იგავიანი სიტყვის გაცხადება"[4] არის; „თარგმანება სიტყვის გაცხადებით თქმა"[5] ე. ი. ამოუხსნელი, ძნელად გასაგები სიტყვის გაცხადება ანუ ცხადყოფა.

თვით ძველ სამედიცინო წერილობით ძეგლებში არაერთხელ გვხვდება სიტყვა თარგმნა, სადაც იგი განმარტების, ახსნის მნიშვნელობას გამოხატავს. მაგალითად, „უსწორო კარაბადინში" ნათქვამია: „კარი მაჯუნებისა თარგმანთა და იარაჯთა"[6] ან კიდევ, „თარგმანი გუარიშნთა შექნა"[7]. ამავე ძეგლისადმი დართულ ლექსიკონში მაჯუნი განმარტებულია, როგორც წამლის შედგენილობა, შენაერთობა, შეზავებულობა[8], ხოლო გუარიშ წამალს ეწოდებოდა[9]. იარაჯი ასევე წამლის, კერძოდ, მალამოს აღმნიშვნელად იხმარებოდა[10].

მაშასადამე, გამოდის, რომ „კარი მაჯუნებისა თარგმანთა და იარაჯთა" ნიშნავს წამლების ახსნას, მათი შემადგენლობის განმარტებას, რაც სავსებით გასაგებია.

„წიგნი სააქიმოის" გამომცემელი ექიმი ლ. კოტეტიშვილი სხვა მოსაზრე-

---

1 „უსწორო კარაბადინი", გამოც. ლ. კოტეტიშვილისა, თბილისი, 1940, იხ. ამ წიგნისათვის წამძღვარებული შესავალი, გვ. IV—XXXII. „უსწორო კარაბადინის" ავტორობის საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

2 „წიგნი სააქიმოი", გამოცემა ლ. კოტეტიშვილისა, თბილისი, 1936. იხ. წიგნისადმი დართული გამოკვლევა—„მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე", გვ. XIV—XV.

3 იქვე, გვ. 3.

4 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის-კონა", 1949, გვ. 237.

5 იქვე.

6 „უსწორო კარაბადინი", გვ. 93.

7 იქვე, გვ. 94.

8 იქვე, გვ. 501.

9 იქვე, გვ. 483.

10 იქვე, გვ. 493.

ბებთან ერთად იმოწმებს ერთ ადგილს ამ ძეგლიდან, სადაც სისხლის ძარღვების დატრტიანება მტკვრის განშტოებასთან არის შედარებული—„ამ ძარღვებსა გაყოფა სამი ძარღვისაგან აქვს მოკიდებული, ესე დიდრონი ძარღვნი მტკვარსა ჰგვანან და იგი წვრილნი რუთა“ და სამართლიანად დასძენს, რომ „თარგმანი ძალიან თავისუფალი უნდა იყოს.“[1].

დასახელებული ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ განხილულ ხანაში საქართველოში სამედიცინო ცოდნა საკმაოდ ფართო იყო და მაღალ დონეზე იდგა. ცნობილი ყოფილა მთელ რიგ დაავადებათა სადიაგნოსტიკო ხერხები, დამახასიათებელი ნიშნები და ეპოქისათვის შესაფერისი მკურნალობის საშუალებანი. აღწერილია რიგი ისეთი დაავადებებისა, რომლებიც დღეს თერაპიის, ქირურგიის, ნეეროპათოლოგიის, ფსიქიატრიის, მეან-გინეკოლოგიის, პედიატრიის, ოფთალმოლოგიის, უროლოგიის, ოტო-რინო-ლარინგოლოგიის, სტომატოლოგიის, დერმატოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და მედიცინის სხვა დარგების საგანს შეადგენენ.

ცხადია, ასეთი სახეობრივი დაყოფა აღნიშნულ პერიოდში არ არსებობდა, თუმცა დაავადებათა განხილვის გარკვეული თანმიმდევრობა მაინც იყო დაცული. ასე მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“ ჯერ წარმოდგენილია იმდროისათვის არსებული სადიაგნოსტიკო მეთოდები, შემდეგ ზოგადი ცნობები დაავადების და ჯანმრთელობის გაგების შესახებ, წამლების სახეებისა და გამოყენების შესახებ. აქვეა მოცემული ნაყოფის ჩასახვისა და განვითარების, სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების აღწერილობა. ეს არის, ასე ვთქვათ, წიგნის ზოგადი ნაწილი.

ცალკეა გამოყოფილი ე. წ „კარი ცხროთა“ ანუ მაღალი სიცხით მიმდინარე დაავადებანი. შემდეგ იწყება ახალი განყოფილება, რომელსაც შეიძლება პირობითად კერძო ნაწილი ვუწოდოთ. ამ ნაწილში წარმოდგენილია დაავადებანი, ცნობები მათი განვითარებისა და მიზეზების შესახებ, აღწერილია დამახასიათებელი ნიშნები, ზოგ შემთხვევაში მსგავს დაავადებათა შორის გატარებულია დიფერენციაცია. ყველა შემთხვევაში დაავადების აღწერას მოსდევს სამკურნალო საშუალებათა მომზადებისა და ავადმყოფისათვის მიცემის წესები. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ თითონ ეს ნაწილი გარკვეული ტრადიციული პრინციპით არის შედგენილი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ თავის მიდამოს დაავადებანია განხილული, შემდეგ კისრის, გულმკერდის, მუცლის ღრუს ორგანოების, შარდ-სასქესო სისტემის და ქვემო კიდურების, შემდეგ ტრავმული დაზიანებანი და კანის დაავადებანი.

ყოველივე ამას მოსდევს დიეტეტიკური ცნობები.

„უსწორო კარაბადინისაგან“ რამდენადმე განსხვავდება „წიგნი საქიმოი“. იგი უფრო მკაცრი თანმიმდევრობით არის დაწერილი, ნაგულისხმევია მკითხველის მომზადების დონე და თხრობის მხრივ შედარებით უფრო ლაკონიურია. თითოეული დაავადების აღწერის დროს ავტორი იცავს გარკვეულ წყობას. ჯერ განმარტავს დაავადების სახელწოდებას, შემდეგ მის გამომწვევ მიზეზებს ანუ როგორც თვით უწოდებს „ვითარებას“, რაც შინაარსობლივად თანამედროვე ეტიოპათოგენეზს წაგავს. ამას მოსდევს თვით დაავადების ნიშნების აღწერა, ავტორიც ასე უწოდებს: „ნიშანი“ ამა და ამ სენისა, მაგალითად: „ნიშანი ბუძუითა ტკივილისა“, ან კიდევ, „ნიშანი მისი რაიცა სტომაქისა სიმსივნისა

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. XXIX.

წყლულისაგან იყოს". რაც დაახლოებით დღევანდელ კლინიკურ აღწერილობას შეესაბამება. ნიშნების აღწერის შემდეგ მოცემულია მკურნალობა, მაგალითად; „კურნებაი ძუძუთა ტკივილისა". რაც შეეხება დაავადებათა დალაგების პრინციპს, იგი თითქმის ისეთივეა, როგორც „უსწორო კარაბადინისა". ჯერ თავის, და სახის მიდამოს დაავადებებია განხილული: ტვინის, თვალის, ყურის, ცხვირის, პირის ღრუს ორგანოების, ყელის. შემდეგ ფილტვების, გულის, კუჭის, ღვიძლის, ელენთის, წვრილი და მსხვილი ნაწლავების, თირკმელების, სასქესო ორგანოების, ამას მოსდევს სახსრებისა და კანის დაავადებანი. შემდეგ მაღალი სიცხით მიმდინარე სნეულებანი („ცხროი") და ბოლოს ტრავმული დაზიანებანი.

აღნიშნული ეპოქის სამედიცინო წყაროების გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქართველი ექიმები კარგად ყოფილან აღჭურვილი თავის დროის შესაფერისი სამედიცინო ცოდნით.

„უსწორო კარაბადინის" ავტორის განცხადება, რომ „ესე უსწორო კარაბადინი მრავალგვარად ჭირნახული არის და სნეულიცა მრავალი მოურჩენია, დიდთა სენთაგან დამძიმებული"[1], უნდა შეეხებოდეს როგორც წიგნს, ისე მის ავტორს, რომელიც, დიდი მოკრძალებულობის მიუხედავად, აქა-იქ გვაგრძნობინებს, რომ ესა და ეს წამალი ამა და ამ სნეულების დროს მას უცდია, ანუ როგორც თითონ იტყვის, „გამოცდილია და კარგი".

სამედიცინო ძეგლების შინაარსი გვიჩვენებს, რომ მათი შექმნის დროს ავტორები მარტო საკუთარი სამკურნალო გამოცდილებით არ კმაყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ საკუთარ ცოდნასთან ერთად ფართოდ გამოეყენებინათ როგორც თვით საქართველოს, ისე სხვადასხვა ქვეყნის მედიცინის ეპოქალური მნიშვნელობის მიღწევები. ამით უნდა აიხსნას, რომ დაავადებათა განხილვის დროს, საკუთარ შეხედულებებთან ერთად, მოყვანილია სხვა, თავის დროისათვის ცნობილ ავტორთა სამედიცინო აზრები, სამკურნალო რჩევა-დარიგებანი, ამა თუ იმ რეცეპტის შედგენილობა და სხვა.

XI—XII—XIII საუკუნის ძეგლებში გარდა თალესისა, ჰიპოკრატესა და გალენისა, რომლებიც ადრევე იყვნენ ცნობილი, დასახელებულია შუა საუკუნეების დიდი ტაჯიკი მეცნიერი და ექიმი აბუ-ალი-იბნ-სინა, საქართველოში სინაის-ძედ ცნობილი. მოყვანილია არაბეთის, ინდოეთის, სპარსეთის მედიცინის წარმომადგენელთა საყურადღებო აზრები. მაგალითად, „უსწორო კარაბადინში" ნათქვამია: „ამისათვის თქვეს ი ნ დ ო ე ლ თ ა აქიმთა ვითა კაცსა შენობა, სიმტკიცე და სიმაგრე მუცელი არის..."[2] და სხვ.

„წიგნი საქიმოი"-ში არაერთხელ არის მოყვანილი იბნ-სინას ანუ სინაისძის შეხედულებანი. აი ერთი მათგანი—კუჭის აშლილობის მკურნალობის შესახებ ნათქვამი: „ს ი ნ ა ი ს ძ ე ი ტ ყ ვ ი ს: თუ უდნობისა საჭამადისგან სჭირდეს კურნებაი მისი იგი არს, რომელ ბეჰესა[3] წყალი ანუ ვაშლისა წყალი ცოტაისა ღვინოისა თანა სუმიდეს, რომელ სტომაქი განაძლიერეს. და თუ საჭამადთა არ რიგიანობით ქნილ იყოს ეგრე რომელ შემკვრელი რაიმე ჭამოს საჭამადისა ჭამისა უწინაი, არა ხამს რომელ მუცელი დაილბოს"[4].

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 5.

[2] იქვე, 58

[3] ბეჰე, იგივე ბეჰ—კომში, იხ. „წიგნი საქიმოი", გვ. 304.

[4] „წიგნი საქიმოი", გვ. 174.

არასამედიცინო წყაროების შესწავლა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ მედიცინა საერთო განათლების სისტემაში შედიოდა. ამით უნდა აიხსნას, რომ სამედიცინო საკითხების ცოდნა თავს იჩენს მთელ რიგ არა სამედიცინო ძეგლებში. ამის მაგალითები მრავალია როგორც ჰაგიოგრაფიულ, ისე საერო და საისტორიო მწერლობაში. სამაგალითოდ მოვიყვანთ თამარ მეფის ავადმყოფობის აღწერილობას, სადაც მეტად ლამაზი მხატვრული ენით თანამიმდევრულად და მწყობრად მინიშნებულია ის ცვლილებები, რომელიც ავადმყოფის ორგანიზმში ვითარდებოდა:

„ნაჭარმაგევს გარდმოდგა მეფე თამარ, და მის წინაშე იყუნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი, და იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თუისისანი, და უფროსღა ეკლესიათა და მონასტერთანი, და მუნ დგომასა შინა გამოაჩინდა სენი, გამოოხრებელი ჩვენი, რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა მისზედა. და დიდ-ხანს ფარვიდა, რათა არა-ვინ შეაწუხოს. გარნა ურგებელ იქმნა—რა ჰირი, არა მიმთვალველი კურნებისა, მაშინღა განაცხადა, რამეთუ დედობრივ-მან უძლურება-მან განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავს იდვა შეუმთხვეველად მიშვება აგებულებისა. და აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთ-გულნი-იგი კაცნი, თუ ვითარ უგულებელს-ყვეს ეგ-ოდენი ტკივნეულობა. რამეთუ წარმოიყვანეს კუბოთა ტფილისს, და შემდგომად მცირეთა დღეთა ენებათ და ისწრაფდეს, ჩვეულებისა-ებრ, რათა დასოს განვიდენ. და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად გაძნელდა სენი—იგი უწყალო. და კვალად წარმოიყვანეს აგარათა ციხესა, და უქმ იქმნა მის-ზედა ყოველი ბრძანებათა გამომეძიებელობა მკურნალთა ხელოვნებისა. ამის-თვისცა იყუნეს თვით მუნ და ყოველსა ადგილსა ლიტანიობანი და ღამის-თევანი მიმდემნი, და ცრემლთა დინებანი იხილვებოდეს, მდიდართა და გლახაკთანი, სწორებით. გარნა განჩინებანი წინაღუდგომელი იყო, და დღე-მან იწყო მიდრეკად, და მზე-მან დასვლად, და ჰაერ-მან სხვად ფერად უფერულობა. და ცის-კარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა. ღაწვთა-მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თუალთა მათ ტბა-ებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს. ხელთა-მათ. მსახურებისა-გან გლახაკთასა არა-ოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურებად, და ფერხთა-მათ, მარადის ღვთისა-თვის მაშვრალთა იწყეს შედრეკად, და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად და სხვად ფერად იხილვებოდეს"[1].

წარმოდგენილი მასალები მოწმობენ, რომ განხილულ პერიოდში საქართველოს მედიცინამ განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურმა გაძლიერებამ და კულტურის მიღწევებმა ხელი შეუწყვეს აგრეთვე საზღვარგარეთ არსებულ ქართველთა საგანმანათლებლო კერების მუშაობის განვითარებას, რომლებიც როგორც ეკონომიურად, ისე ინტელექტუალური ძალების მხრივ, ძირითადად, საქართველოზე იყვნენ დამოკიდებული.

ქართველთა მოღვაწეობა უცხოეთში და იქ კულტურის კერების შექმნა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, V საუკუნიდან დაიწყო, X—XI და XII საუკუნეებში საქართველოს შიგნით დაწყებულ აღმავლობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაცხოველებულა.

ქართული მწერლობის ისტორიაში და IX საუკუნისათვის ბიზანტიასთან კულტურულ ურთიერთობის დამყარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უთა-

[1] „ქართლის ცხოვრება", ტ. I, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1897, გვ. 486—487.

მაშია ცნობილი მოღვაწის, ილარიონ ქართველის მიერ წინა აზიის ბითვინიაში ულუმბოს (ოლიმპის) მთაზე დაარსებულ მონასტერს. როგორც „ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან"[1] ირკვევა, აღნიშნული მონასტერი სამკურნალო საქმიანობის კერაც უნდა ყოფილიყო.

X საუკუნეში პალესტინაში დაარსდა ქართველთა ჯვარის მონასტერი, რომელიც XIX საუკუნემდე არსებობდა და პალესტინაში ქართველთა კულტურულ-სამწერლო მოღვაწეობის უმთავრესი ცენტრი იყო.

საქართველოში ფილოსოფიურ-მეცნიერული აზრის და ლიტერატურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა სირიაში, შავ მთაზე არსებულმა განათლების კერამ, სადაც ისეთი განთქმული პიროვნებები მოღვაწეობდნენ, როგორიც იყო ეფრემ მცირე—ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, შესანიშნავი მთარგმნელი და ფილოლოგი. მას ეკუთვნის საკუთარი პუნქტუაციის შემოღება, რომელიც შემდეგ ქართულ მწერლობაში დაკანონდა[2]. მასვე ეკუთვნის ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული შრომები. ეფრემ მცირე საერთოდ დიდ ინტერესს იჩენდა ანტიკური ფილოსოფიისა და მწერლობისადმი. მან თარგმნა იოანე დამასკელის ფილოსოფიური ნაშრომი „წყარო ცოდნისა"[3], რომლის პირველი ნაწილი „დიალექტიკა" არისტოტელეს „ლოგიკაზეა" დამყარებული, ხოლო უკანასკნელი ნაწილი, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა, შეიცავს ბუნებისმეტყველების, ფსიქოლოგიისა და ეთიკის საკითხებს.

ამ წიგნის ქართული თარგმანისათვის ეფრემს წინასიტყვაობაც დაურთავს, რომელშიც იგი საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებების განვითარებასთან ერთად დამასკელის ნაშრომსაც იხილავს.

ასევე დიდად მნიშვნელოვანი და დადებითი როლი შეასრულა გრიგოლ ბაკურიანის მიერ 1083 წელს აშენებულმა პეტრიწონის მონასტერმა (ბულგარეთშია), სადაც მრავალმხრივსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ამ მონასტერთან არსებული სემინარიის პირველი რექტორი, განთქმული ქართველი ფილოსოფოსი და მეცნიერი იოანე პეტრიწი.

უკანასკნელ წლებში მიკვლეული ისტორიული საბუთები მოწმობენ, რომ პეტრიწონის სასწავლებელი XIV საუკუნეშიც განაგრძობდა არსებობას და იქ ქართველი მოძღვარნი მოღვაწეობდნენ[4].

საქართველოს შიგნით დაწყებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და კულტურულმა აღმავლობამ ბიძგი მისცა, აგრეთვე, ათონზე არსებულ ქართ-

---

1 „ილარიონ ქართველის ცხოვრება" პირველად მის თანამედროვეს დაუწერია. იგი შემდეგ მრავალჯერ ყოფილა სხვადასხვა რედაქციით გაკეთებული. ჩვენ ვსარგებლობთ შეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თეოფილე ხუცეს მონაზონის მიერ დაწერილი მეტაფრასტული რედაქციით, რომელიც მას მეფე დავით აღმაშენებლის ბრძანებითა და სურვილით შეუსრულებია. იგი გამოცემულია მ. საბინინის მიერ 1882 წელს. იხ. „საქართველოს სამოთხე". გვ. 371—392. გარდა ამისა, გამოყენებულია მე-13 საუკუნის ტექსტი (Q—762 ხელნაწერი), რომელიც A—558 ხელნაწერის მოშველიებით გამართა ს. ყუბანეიშვილმა და გამოაქვეყნა. იხ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", I, თბილისი, 1946, გვ. 170—177.

2 თ. ჟორდანია ქრონიკები, 1, გვ. 218:

3 ს. გორგაძე, იოანე დამასკელის მთავარი თხზულება „წყარო ცოდნისა" ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1926.

4 ნ. ბერძენიშვილი, „ძლევაი" (რუმინია—ბულგარეთში მოგზაურობიდან), თბილისი, 1949, გვ. 34.

ველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მუშაობას, რომელიც მეათე საუკუნისათვის განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა.

„ათონზე ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში“[1].

ათონის ქართველთა მონასტერში დიდ მეცნიერულ-კულტურულ მუშაობას ეწეოდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ექვთიმე მთაწმინდელის ბიოგრაფი, ახასიათებს რა იოანეს, წერს, რომ იგი იყო „...მხნე, ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და მშვენიერი სიკეთითა და აგებულებითა, რომელიც სიყრმითვან თავისით განსწავლული იყო თავის-უფლისა ხელოვნებათა და გონიერ გონებითა და გულისხმის ყოფითა, მეცნიერი ენისა ელინთასა და სხვათა ენათა ზედმიწევნილობით სწავლული და აღსავსე სიბრძნითა...“[2]

ათონის მონასტერი და მასთან არსებული სამეცნიერო კერა სარწმუნოებრივ-ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად საერო ხასიათის მეცნიერულ, ფილოსოფიურ და პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. იგი მრავალ ახალგაზრდას იზიდავდა საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან. „ათონმა, უეჭველად ახალი პერიოდი შექმნა თავისი განმანახლებელი მუშაობით: 1. ფილოსოფიაში. 2. ენაში. 3. ლიტერატურაში. 4. სამკურნალო მეცნიერებაში. 5. პოლემისტიკაში (ანუ ლიტერატურული პაექრობის დარგში). 6. ისტორიაში. 7. პედაგოგიკაში. 8. კალიგრაფიაში და სხვ.“[3]

აქ, ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ითარგმნა XI საუკუნეში ქართულიდან ბერძნულ ენაზე „სიბრძნე ბალავარისი“ და ამით ქართული ვერსია გახდა სათავე ევროპულ ენებზე არსებული ამ ძეგლის ტექსტებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ათონის ქართველთა მონასტრის მუშაობა არ იფარგლებოდა ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით. მას მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა მეზობელი და შორეული ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების კერებთან და მათ წარმომადგენლებთან.

როგორც ირკვევა, ათონის ქართველთა მონასტერს ურთიერთობა ჰქონია აღმოსავლეთ ევროპის სლავებთან, რომლებიც მდინარე დუნაის, დნესტრის, დნეპრის მიდამოებში შავი ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. არსებობს ცნობა, რომ სლავ ხალხებში ქართული მწერლობის არსებობა ჯერ კიდევ IX—X საუკუნეებში ყოფილა ცნობილი.

იოსებ გენესიოსი თავის საისტორიო შრომაში—„მეფობანი“, თომა სლავის აჯანყების აღწერის დროს აღნიშნავს, რომ აჯანყებაში სხვა ხალხის შვილებთან ერთად აფხაზები და იბერიელებიც მონაწილეობდნენ—„... შექმნა სახელგანთქმული საერთო ჯარი აგარიანთა, ინდთა, ეგვიპტელთა, ასირიელთა, მიდიელთა, აბაზგთა, ჯიქთა, იბერთა, კაბირთა, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და გეტთაგან“[4].

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1, თბილისი, 1951, გვ. 89.

[2] იხ. დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათია“, 1863, გვ. 170.

[3] გ. თავზიშვილი. უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 22—23.

[4] იოსებ გენესიოსი. ქართველების მონაწილეობა თომა სლავის აჯანყებაში. იხ. „გეორგიკა“. ტ. IV, ნაკვეთი 2, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, გვ. 305.

დღეისათვის მოპოვებული საბუთების საფუძველზე ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ქართველების მიერ სლავი ხალხების, კერძოდ, რუსი ხალხის, გაცნობა უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს X საუკუნისა[1]. ეს მოსაზრება უმთავრესად ემყარება იმ ისტორიულ ამბავს, რომელიც შეეხება რუსთა ლაშქრის მიერ X საუკუნეში საქართველოს მეზობელი ქვეყნის—ალბანეთის ქალაქის აღებას. ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც ვოლგა დიდ სანაოსნო გზად იქცა, რუსეთის ვაჭრები და მოლაშქრეები კასპიის ზღვისპირა ქვეყნების ხშირი სტუმრები გახდნენ.

943—944 წლებში იგორის დროს რუსთა ლაშქარი ვოლგის გზით ჩამოსულა კასპიის ზღვაზე, აქედან გემებით აჰყოლია მდინარე მტკვარს და ხელთ უგდია ალბანეთის მთავარი ქალაქი — ბარდავი, სადაც 6 თვე დარჩენილან. ისტორიკოსები ფიქრობენ, და სავსებით დასაშვებია, რომ აქედან მიეღოთ ცნობები ქართველებს რუსი ხალხის შესახებ და აქვე მომხდარიყო ამ ორი ხალხის გაცნობა. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ ქალაქი ბარდავი აღნიშნულ წლებში და მასზე ადრეც, ხან საქართველოს სამეფო საზღვარზე იყო, ხანაც საქართველოს სამეფოში შედიოდა.

რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობის საკითხზე საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე XI საუკუნის ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა ცხოვრების აღწერისას[2].

ამ პერიოდისათვის რუსი და ქართველი ხალხების შეხვედრის პუნქტები კიდევ უფრო გამრავლდა და დაახლოვდა. გარდა ზემოაღნიშნული პუნქტისა (ალბანეთი—ბარდავი), ქართველთა და რუსთა შეხვედრა შეიძლებოდა ბალკანეთის ქვეყნებისა და ბიზანტიის ტერიტორიაზე, სადაც იმ დროისათვის ორივე ხალხის შვილების ყოფნა მრავალი ისტორიული წყაროთი არის დადასტურებული. ცნობილია, რომ X საუკუნისათვის ძლიერი და მაღალი კულტურის მქონე კიევის სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო ასპარეზზე. კიევის, რუსეთსა და ბიზანტიას ამ დროისათვის სამხედრო, პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ.

ბიზანტიასთან ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ძველთაგანვე საქართველოს.

მეორე პუნქტად, სადაც შეიძლებოდა რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შეხვედრა მომხდარიყო, ითვლება კავკასიონის ქედის გადაღმა ხალხების საცხოვრებელი ტერიტორია—ოსთა და ხაზართა სამეფოები, რომლებთანაც როგორც რუსეთს, ისე საქართველოს პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ისტორიული წყაროებით არის დადასტურებული[3].

ამავე ხანებში რუს ხალხთან ერთად ქართველთათვის კარგად ყოფილა ცნობილი სხვა სლავური ტომებიც, მათ შორის ბულგარელები. როგორც უკვე

---

[1] იასე ცინცაძე, ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში XI, XII XIII სს. „ენიმკის მოამბე", IV, 2, თბილისი, 1938 გვ. 73—100.

[2] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" (XI ს.). იხ. „ქართლის ცხოვრება," ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 372—386.

[3] ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. იასე ცინცაძის დასახელებული ნაშრომი.

აღვნიშნეთ, ბულგარეთში ქართველთა მონასტერი და მასთან სემინარიაც არსებობდა.

ათონის ივერიის მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწის—გიორგი ხუცესმონაზონის თხზულებაში „გიორგი ათონელის ცხოვრება", რომელიც 1066—1068 წ. წ. უნდა იყოს დაწერილი, ვკითხულობთ, რომ „...არს მთაწმინდისა პრასტინთა შინა სოფელი ერთი, რომელსა ლივრდია ეწოდების,... ადგილი რაიმე მოქცეული ყურე, ყოვლად უდაბნო, მთანი უღაღ მაღნარნი, და ვჰგონებ თუ არავინ წმიდათაგანი მიმწუთარა მუნ; ხოლო კაცნი მკვიდრ არიან ბორღალნი, რომელთა სკლავ ეწოდების"[1]

როგორც ჩახრუხაძის „თამარიანიდან" ირკვევა, XII საუკუნეში საქართველოსა და რუსეთს შორის სამიმოსვლო გზაც ყოფილა, რომელიც მიემართებოდა დარიალით, ხაზარეთზე და ყივჩაღეთზე, დონზე გადავლით დნეპრამდე, დნეპრით კიევამდე და წყლის გზით, ალბათ, ნოვგოროდამდე[2]. ჩახრუხაძე ამ გზას და სხვა სამიმოსვლო გზებს, რომელთა საშუალებით საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქვეყნებთან, შემდეგნაირად აღწერს:

„ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის, არ ვისი ჰქონდის შესაუარი,
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის, ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი.
წავიდის ხმელსა, იონთა ველსა-მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი,
მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი, სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი"[3].

XII საუკუნეში საქართველოს ურთიერთობა დაუმყარებია სუზდალის რუსეთთან. ამ ეპოქის ისტორიულ და მხატვრულ ძეგლებში ხშირად უკვე პირდაპირ „რუსი" იხსენიება და არა „სლავი", როგორც კრებითი ცნება.

გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის" ცნობილი ადგილი: „რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი"[4].

ამავე ხნის რუსულ წყაროებში გვხვდება ცნობები საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ.

ირკვევა, რომ კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავმა აფხაზეთიდან მოიყვანა თავისი მეორე ცოლი, რომელიც, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, მეფის ასული რუსუდანი უნდა ყოფილიყო[5].

ნ. მ. კარამზინი თავის ცნობილ წიგნში „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიიდან" წერს, რომ „...რუსეთს, ძველი დროიდან კავშირი ჰქონდა ერთმორწმუნე საქართველოსთან: ცნობილია, რომ იზიასლავ I-ს ცოლად ჰყავდა აბასთა თავადის ასული, ხოლო ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟიშვილი სახელოვანი თამარ

---

[1] გიორგი ხუცესმონაზონი, „გიორგი ათონელის ცხოვრება" (XII ს.). იხ. „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები", მ. ჯანაშვილისა და ა. ხახანაშვილის გამოცემა, თბილისი, 1901, გვ. 305—306.

[2] იხ. ამის შესახებ იასე ცინცაძის დასახელებული ნაშრომი.

[3] ჩახრუხაძე, „თამარიანი", იხ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", ტ. II, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, თბილისი, 1949, გვ. 192. სტროფი 46.

[4] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი" სტროფი 968.

[5] იასე ცინცაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 86—87. მოგვყავს რუსული ცნობაც. «В лето 6662 (1154), Посла Изяслав второе сына своего Мьстиславу противу мачесе свой, бебо повез из Обез жену собе цареву дщерь, и срете ю в порозех приведе ю Киеву, а сам иде в Переяславль; Изяслав же поя ю собе жене и учини сватбу.» ეს ცნობა ამოღებულია გამოცემიდან: Летопись по Ипатскому списку, изд. Арх. ком. стр. 322; Летопись по Лаврент. списку, изд. Арх. ком. 1872, стр. 323.

მეფის მეუღლე იყო. ეს კავშირი, რომელიც ერთ დროს დარღვეულ იქნა ბათუს შემოსევის გამო, კვლავ განახლდა...“[1] კიევ-პეჩორის ლავრის ტაძრის მოხატულობასთან დაკავშირებით „კიევ-პეჩორის პატერიკის“ მოთხრობაში ნათქვამია, რომ „...მონასტერში მოვიდნენ ხატმწერლები—ბერძნები და ობეზები“[1].

როგორც ცნობილია, IX—X საუკუნიდან მოყოლებული ძლიერი და მაღალი კულტურის მქონე კიევის სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის კულტურის დაწინაურების საუკეთესო გამოხატულებაა XII საუკუნის შესანიშნავი ძეგლი „თქმულება იგორის ლაშქრობისა“[3]. იმ ხანად სხვა დარგებთან ერთად გარკვეული წარმატებები მოუპოვებია აგრეთვე რუსეთის მედიცინას. ჩვენამდე მოღწეულია 1073 წლით დათარიღებული წყარო: „კრებული სვიატოსლავისა“, სადაც მრავალი საინტერესო ცნობა გვხვდება რუსეთის მედიცინის შესახებ.

რუსი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ტრადიციას უქმად არ ჩაუვლია. მან მთელი ძალით იჩინა თავი შემდეგ საუკუნეებში, როცა გარეშე დამპყრობელთა განუწყვეტელი შემოსევებით შეწუხებული საქართველო მოკავშირეს ეძებდა.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, საქართველოს უძველესი ურთიერთობა მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან XI—XII საუკუნეებში კიდევ უფრო გაცხოველებულა.

ცნობილია, რომ XII საუკუნეში საქართველოს მეზობელ ქვეყანას აზერბაიჯანს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ამ ხანებში შირვანი და არანი განსაკუთრებულ მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა საქართველოსთან.

აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს კეთილმეზობლურმა დამოკიდებულებამ თავისი გამოხატულება ისტორიულ და მხატვრულ თხზულებებშიც პოვა.

ამ ეპოქის დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამის პოემა „ისკანდერნამე“ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების მრავალ მომენტებს შეიცავს.

როგორც ჩანს, ქართველი ხალხი ნიზამის შემოქმედებას ავტორის სიცოცხლეშივე კარგად იცნობდა. ნიზამის პოემების პერსონაჟები არაერთხელ არიან მოხსენებული იმ პერიოდის ქართულ საერო ლიტერატურის მრავალ ძეგლში. ამავე დროს, ნიზამის ზოგიერთი პოემა XII ს. ქართულად ყოფილა ნათარგმნი.

ასეთივე კეთილმეზობლური ურთიერთობა არსებობდა აგრეთვე, საქართველოს და სომხეთს შორის.

ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის უძველესი ტრადიციები ამ პერიოდში კვლავ განაგრძობდა არსებობას და განვითარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განხილულ ეპოქაში, სომხეთში, ისევე როგორც საქართველოში, მაღალ სიმაღლეზე იდგა მედიცინა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნებს შორის ამ მხრივაც უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ასევე ვითარდებოდა ტრადიციული ურთიერთობა ჩინეთთან, ინდოეთთან, ეგვიპტესთან, საბერძნეთთან და სხვა ქვეყნებთან.

[1] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, ძველი დროიდან XIX ს. ნახევრამდე. შეადგინა ვ. შადურმა, თბილისი, 1949, გვ. 14—15.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] „თქმულება იგორის ლაშქრობაზე“, თარგმანი ს. ჩიქოვანისა, 1938.

მთელი რიგი ისტორიული წყაროები, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის ძეგლები მოწმობენ, რომ იმ ხანად საქართველოში ცნობილი ყოფილა აღნიშნული ქვეყნების ცხოვრება, მათი ლიტერატურა, მეცნიერული და კულტურული მიღწევები და სხვ. გავიხსენოთ „ვეფხის ტყაოსნის" ის ადგილი, სადაც რუსთაველი ამბობს:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"[1].

თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, იმ დროს (XI—XII სს.) საქართველოს „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ჩინელნი, და ეგრეთვე სულთანნი ხვარასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი..."[2]

მეზობელ და მთელ რიგ სხვა ხალხთა ენების ცოდნა ქართველი ხალხის შვილებს საშუალებას აძლევდა გაცნობოდნენ ამ ხალხთა მდიდარ ლიტერატურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, ისევე როგორც სხვა ხალხები ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, ხელოვნებას და სხვ.

საქართველოს კულტურის აღმავლობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უშუალოდ იყო დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ გაძლიერებასთან.

რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები, რომლის კლასიკურ დახასიათებას „ბუნების დიალექტიკის" შესავალში ფრიდრიხ ენგელსი იძლევა, საქართველოში უკვე არსებობდა და მან წარმოშვა ბუმბერაზები „...აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, ჭრავალმხრივობითა და განსწავლულობით".[3]

საკმარისია დავასახელოთ ფილოსოფოსნი და მეცნიერნი, როგორიც იყვნენ: მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, პოეტები: რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი, ოქრომქანდაკებელნი—ბექა და ბეშქენ ოპიზარნი, ისტორიკოსები — ლეონტი მროველი, არსენ ბერი, ბასილი ეზოსმოძღვარი, მედიცინიდან შესანიშნავი ძეგლების „უსწორო კარაბადინისა" და „წიგნი საქიმოის" შემქმნელნი.

მკვლევარები გადაჭრით აღნიშნავენ, რომ მოძრაობა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ახალსა და საშუალო საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენდა და რენესანსის სახელით არის ცნობილი, საქართველოში უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი შეძდგომი განვითარება ისტორიულმა ქარტეხილებმა შეაჩერეს[4].

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა შეიცვალა, შეიცვალა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ვითარება. ცვლილება კიდევ უფრო შესამჩნევი შეიქმნა, როცა ლაშა გიორგი გარდაიცვალა და ტახტის მემკვიდრეობა სადავო გახდა.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა საქართველოს საზღვრებს ჯერ ხვარაზმელები და მერე მონღოლთა ურდოები შემოესივნენ. რიცხვმრავალმა

1 შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი". აკადემიური გამოცემა, თბილისი, 1937, სტროფი 854.

2 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი, 1941, გვ. 70—71.

3 ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა", სახელგამი, თბილისი, 1950, გვ. 7.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948, გვ. 302.

მტერმა გატეხა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და აღმოსავლეთ საქართველო დაიმორჩილა.

თათარ-მონღოლთა შემოსევებმა მეტისმეტად შეარყია საქართველოს ეკონომიური ძლიერება, რასაც მოჰყვა კულტურის განვითარების შეფერხება. ატყდა შინაშლილობა და საქართველო ცალკე სამთავროებად დაიშალა.

XIII—XIV საუკუნეებში გლეხობის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ცალკე ქართველ ფეოდალთა მხრივ ყველაფა და ცალკე მონღოლთა ხარკის გადახდა აჩანაგებდა მოსახლეობას. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მეტად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობა. გლეხობა ხოცავდა მემამულე აზნაურებს, სწვავდა და ანგრევდა მათ კარმიდამოს და ქონებას.

ასეთ ვითარებაში მოუხდა ტახტზე ასვლა გიორგი V. ხელსაყრელი საგარეო ვითარების გამოყენებით იმ ხანებში მოხერხდა ზოგიერთი განდგომილი საფეოდალოების შემოერთება.

ხანმოკლე მშვიდობიანობამ დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და კულტურის აღმავლობაზე.

ამ პერიოდში საქართველოს კულტურული მიღწევების მაჩვენებელია ისეთი ძეგლების შექმნა სამართლის დარგში, როგორიც არის—ბექა და აღბუღას „სამართლის წიგნი"[1], „ძეგლის დება"[2] და „ხელმწიფის კარის გარიგება"[3]. გამოცოცხლდა ისტორიოგრაფიაც. ამ დროს დაიწერა ჟამთააღმწერლის შესანიშნავი საისტორიო თხზულება[4], რომელიც იშვიათ ცნობებს შეიცავს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების შესახებ. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სამედიცინო წერილობითი ძეგლი „სამკურნალო წიგნი", რომლის შექმნა XV საუკუნის სახელმწიფო მოღვაწის, ფილოსოფოსისა და მკურნალის ზაზა ფანასკერტელის სახელთან არის დაკავშირებული.[5] ძეგლში შემორჩენილი ცნობები გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან მედიცინის დონის შესახებ XV საუკუნის საქართველოში. გარდა ამისა, აღნიშნულ „სამკურნალო წიგნში" გვხვდება მონაცემები, რომლებიც საქართველოს და სხვა ქვეყნების მედიცინის შიერ წინა საუკუნეებში მოპოვებულ მიღწევებს არეკლავენ. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მტრების მრავალგზის შემოსევებისა, ქვეყნის დარბევისა და თათარ-მონღოლთა ურდოების ხანგრძლივი ბატონობისა, საქართველოს მედიცინა, ისევე როგორც კულტურისა და მეცნიერების სხვა დარგები,

---

[1] ბექა და აღბუღა, სამართლის წიგნი (XIII—XIV). ჩუბინაშვილის გამოც. იხ. ქართული ქრესტომატია, II გამოც. სპბ., 1863, გვ. 208—233.

[2] გიორგი ბრწყინვალე, „ძეგლის დება", თ. ყორდანიას გამოცემა, იხ. ქრონიკები, II, თბილისი, 1897, გვ. 182—183.

[3] ანონიმი, „გარიგება ხელმწიფის კარისა" (XIV—XV). ე. თაყაიშვილის გამოცემა, იხ. „Monumenta Georgica", IV, № 1, თბილისი, 1920.

[4] ჟამთააღმწერლის თხზულება. (XIV). შესულია მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში", ექ. თაყაიშვილის გამოცემა, 1906.

[5] ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი", (კარაბადინი) „საქმედგამი", თბილისი, 1950. ეს კარაბადინი 1945 წელს მიკვლეული იყო ქ. გორკში (ყოფ. ნიჟნი ნოვგოროდი). ამჟამად ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში (ხელნაწერი Q 877). ამასთან დაკავშირებით იხ. თ. ჭყონიას სტატია „გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი", „ლიტერატურული ძიებანი", ტ. IV, 1948, გვ. 255—287. აგრეთვე აღნიშნული გამოცემის შესავალი (გვ. V—XXIV), პირველი ნაწილი ქ. გრიგოლიასი, მეორე ნაწილი ილ. აბულაძისა.

არსებულ შესაძლებლობათა ფარგლებში, განაგრძობდა არსებობას და განვითარებას. ძეგლების შეჯერებით ირკვევა, რომ საქართველოს მედიცინა თავის განვითარებაში მტკიცედ ეყრდნობოდა წინა პერიოდის საკუთარ მონაპოვარს, ამავე დროს ფართოდ იყენებდა როგორც თავისი, ისე სხვა ქვეყნების მედიცინის ახალ მიღწევებს.

„სამკურნალო წიგნის" შესწავლა გვიჩვენებს, რომ XV საუკუნისათვის საქართველოს მედიცინა გამდიდრებულა ცალკეული ახალი წარმოდგენებით ზოგიერთ ორგანოთა აგებულებისა და მოქმედების შესახებ. მოცემული აღწერილობანი შედარებით უფრო დაწვრილებითი ხასიათისაა. ცვლილება აღინიშნება დაავადებათა ნიშნების აღწერილობაშიც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი რიგი ახალი სიმპტომებია შენიშნული და წარმოდგენილი. ამავე დროს შესამჩნევია ახალ სამკურნალო საშუალებათა შემოტანა პრაქტიკაში და სხვ.

ხელნაწერის ამიებზე დარჩენილი მინაწერები მოწმობს, რომ „სამკურნალო წიგნი" პოპულარული იყო და მას ფართოდ იყენებდნენ საექიმო პრაქტიკაში. აი, მაგალითად, ერთი რეცეპტის გასწვრივ, ამიაზე ვკითხულობთ „კარგია", „გამოცდილი" ((ხელნაწერის ფურცელი 281 r), ან კიდევ „ყოვლისა ხუელისათვის გამოცდილი", (ხელნაწერის ფურცელი 281 r). ცოტა უფრო ქვემოთ, ხელნაწერის 326 ფურცელის ამიაზე ერთ-ერთ მკითხველს მიუწერია: „დიაღ მიყვარდა ამ წიგნის კითხვა, თქვენც იკითხეთ, ვინც მწიგნობარი იყოთ, ჭკუას, სიბრძნეს გასწავებსთ". აი, კიდევ ერთი მაგალითი: „გამოცდილია და კარგია" (ხელნაწერის ფურცელი 354r).

რაც შეეხება წიგნის სტრუქტურას დაავადებათა დალაგების მხრივ, იგი არ განსხვავდება უკვე განხილული ძეგლებისაგან. აქ წარმოდგენილია ცნობები თავის ტკივილის, ყელ-ყურ-ცხვირის, გულმკერდის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდ-სასქესო და სხვა ორგანოების დაავადებათა შესახებ.

XVI—XVII საუკუნეებში, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიური და კულტურული გაძლიერება, ასევე საქართველოს მედიცინის წინსვლა კვლავ შეაფერხა გარეშე დამპყრობელთა ახალმა შემოსევამ. უთანასწორო ბრძოლებში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა, მეურნეობა გაპარტახდა, მუშახელი აღარ იყო. საქართველოს მრავალი კუთხე სრულიად გაუკაცრიელდა. ასეთ ვითარებაში კულტურულ-მეცნიერული მუშაობისათვის არავითარი საფუძველი აღარ არსებობდა. ქართველი ხალხის უპირველესი საზრუნავი ამ პერიოდში, ფიზიკური გადარჩენა იყო.

საგრძნობლად შეფერხდა, აგრეთვე, საზღვარგარეთ არსებული ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მუშაობა, რადგან ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველო ვეღარ ასაზრდოებდა მათ ვერც ეკონომიურად და ვერც ინტელექტუალური ძალებით.

მიუხედავად შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობისა, წერა-კითხვის სწავლა და სპეციალური განათლების მიღება ოჯახებში მაინც სწარმოებდა. შექმნილი ვითარების გამო ზოგიერთი ქართველი სახელმწიფო და კულტურის მოღვაწე უცხოეთში გადაიხვეწა. ასეთი ბედი ეწია „იადიგარ დაუდის" სახელით ცნობილ სამედიცინო ძეგლის შემქმნელს, დავით ბატონიშვილს, რომელიც, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, თავის დროისათვის მედიცინის კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო[1].

---

[1] დავით ბატონიშვილი, „იადიგარ დაუდი", ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბილისი, 1938.

აღნიშნული სამედიცინო წერილობითი ძეგლი ჩვენს ყურადღებას იქცევს როგორც მნიშვნელოვანი მასალა XVI საუკუნის საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამკურნალო საშუალებათა მრავალფეროვნებითა და დიეტეტიკური რჩევა-დარიგებებით. აგრეთვე, ბალნეოლოგიური საშუალებების ფართო გამოყენებით. წიგნში განხილულია თითქმის ყველა ორგანოს და სისტემის: ნერვული სისტემის, თვალის, ყელ-ყურ-ცხვირის, პირის ღრუს, კბილების, ფილტვების, ღვიძლის, გულის, კუჭ-ნაწლავის, შარდ-სასქესო სისტემის, კანის დაავადებანი. აღწერილია, აგრეთვე, გველის, ცოფიანი ძაღლის, მორიელის და ფუტკრის ნაკბენის ნიშნები, მკურნალობის საშუალებანი. აქვეა წარმოდგენილი ტრავმულ დაზიანებათა: ჭრილობის, მოტეხილობის მკურნალობის ხერხები. აღწერილია, რომელი სამკურნალ-წამლო საშუალებანი უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნულ შემთხვევებში.

საყურადღებოა აგრეთვე ამ ძეგლში არსებული მასალები სანიტარია-ჰიგიენის შესახებ.

ძეგლის შესწავლით ირკვევა, რომ მის ავტორს საერთო განათლების მიღებასთან ერთად სამკურნალო საქმეც უნდა შეესწავლა. „იადიგარ დაუდში“ მას საკუთარი საექიმო პრაქტიკის დროს მიღებული გამოცდილებაც შეუტანია: „აწე ერთი საექიმო მუხთასარი, ვითამცა და ცოტა და კარგი წიგნი გარდმოვიღო და ყოვლის საექიმოსა წიგნებიდაღმან გამოღებული და გამოკრებული, და ან რაც ბრძენთა და ფილასოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და ან ნათქუამი, სიტყუანი და ან საქმეები იყოს, და ან მე ცოდვილსა და უღირსსა გამეგონოს და გამომეღოს, და ან მრავალჯერ დამეცადოს, ყუელა ამა წიგნშიგა დავსწერო“[1] ეს ცნობა, როგორც ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარი ლ. კოტეტიშვილი აღნიშნავს, იმას ადასტურებს „..რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ ავტორთან, რომელსაც აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და აქვს თავისი გამოგონებული წამლები“[2].

დაახლოებით ამ პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის აღმოცენებასთან დაკავშირებით მკვეთრად იწყო განვითარება მეცნიერებამ და ხელოვნებამ. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გაიხსნა უნივერსიტეტები, აღმავლობა დაეტყო ლიტერატურას და ხელოვნებას, დაიწყო წიგნების ბეჭდვა, ერთიმეორეს მოჰყვა აღმოჩენები ბუნებისმეტყველებაში, მექანიკაში და მეცნიერების სხვა დარგებში. ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა კაცობრიობას ახალი ქვეყნები, ხალხები და კულტურა გააცნო. შეიცვალა წარმოდგენა სამყაროზე. გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ჰელეოცენტრისტულ და გეოცენტრისტულ შეხედულებათა მიმდევრებს შორის. ადამიანი შეუდგა ბუნების მოვლენების შესწავლას ახალი მეთოდებითა და საშუალებებით.

საქართველოს შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა დაიწყო უძველესი ურთიერთობის განახლება რუსეთთან.

ვიდრე საქართველოს და რუსეთის ურთიერთობაზე, ქართველი და რუსი ხალხების დიდ ისტორიულ თანამეგობრობაზე შევჩერდებოდეთ, ვნახოთ, როგორი იყო საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან და რა შედეგი მოჰყვა მას.

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირე-

---

[1] დავით ბატონიშვილი, „იადიგარ დაუდი“, გვ. 97.

[2] „მედიცინა მე-16 საუკუნეში“, იხ. „იადიგარ დაუდი“, გვ. 28.

ბით ევროპის სახელმწიფოები დიდ ინტერესს იჩენენ აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი.

ვიდრე თურქეთი 1453 წელს კონსტანტინეპოლს აიღებდა და აფრიკის შემოვლით ინდოეთისაკენ საზღვაო გზას აღმოაჩენდნენ (1497), ევროპის ქვეყნების ვაჭრობა სპარსეთთან და ინდოეთთან საქართველოზე გავლით წარმოებდა. იტალიის ცნობილ სავაჭრო ქალაქებს—ვენეციასა და გენუას თავისი სავაჭრო წარმომადგენლები ყოლიათ თბილისში.

უკვე XVI საუკუნის დასაწყისში ევროპის სავაჭრო კაპიტალი სპარსეთში შეიჭრა. ამავე დროს ახალი მნიშვნელობა მოიპოვა ვოლგა-კასპიის საზღვაო გზამ. ამ გზაზე ერთერთ სატრანზიტო პუნქტად თბილისიც ითვლებოდა.

კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა, როცა ბიზანტიის ნანგრევებზე თურქეთი გაბატონდა და ხელი შიჰყო ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ დამპყრობლური პოლიტიკის წარმოებას. ასეთ ვითარებაში, კავკასიისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ვატიკანი; იგი მიმართავს კათოლიკე მისიონერების გამოგზავნას საქართველოში.

თავის მხრივ, თურქეთისა და ირანის შემოსევებისაგან თავის დასაცავად, საქართველო მოკავშირეს ეძებდა.

ევროპული ორიენტაციის მქონე ქართველი მეფეები პოლიტიკური მიზნით ხშირად მფარველობას უწევდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მოგზაურებსა და კათოლიკური ეკლესიის მსახურთ.

ამ პერიოდს მიეკუთვნება იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის, ფრანგი მოგზაურის—ჟან შარდენის და სხვა ევროპიელების ჩამოსვლა საქართველოში, რომლებმაც არა ერთი საყურადღებო ცნობა დაგვიტოვეს იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ[1].

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურმა ინტერესებმა კავკასიისაღმი ანარეკლი ჰპოვა ამ ქვეყნების ლიტერატურასა და ხელოვნებაში. არაერთმა ევროპიელმა მწერალმა და კომპოზიტორმა გამოიყენა საქართველოს ისტორიული ამბები თავისი ნაწარმოებების შესაქმნელად.

დაახლოებით ამავე პერიოდში ანდრეი გრიფიუსი (1616—1664) წერს ტრაგედია „ეკატერინე ქართველს", რომელშიაც ქართველი დედოფლის—ქეთევანის ცხოვრებაა ასახული.

ფრანგმა დრამატურგმა პროსპერ ჟოლიო კრიბილონ უფროსმა (1674—1762) იბერიის მეფის ფარსმან პირველის ვაჟის, რადამისტისა და მისი მეუღლის ზენობიას ცხოვრების მიხედვით დაწერა ტრაგედია „რადამისტი და ზენობია", რომელიც კიდევაც დაიდგა საფრანგეთის თეატრებში. ამავე სიუჟეტის გამოყენებით ფრიდრიხ ჰენდელმა (1685—1759) დაწერა ოპერა „რადამისტი", რომელიც იტალიაში იდგმებოდა.

XVI საუკუნეში გახშირდა ქართველების ჩასვლა ევროპის ქვეყნებში. ზოგი სწავლის მისაღებად, ზოგი პოლიტიკური მიზნით, ზოგიც სავაჭროდ მიდიოდა.

XVII ს. დასაწყისში თეიმურაზ I ელჩს რომში ნიკოლოზ ომანის-ძე ჩოლოყაშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია ქართული სტამბის დაარსების საქმეში და ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში, რომელიც 1629 წელს კიდეც დაისტამბა. აქვე დაიბეჭდა ქართული გრამატიკა და სხვა.

[1] არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა", თარგმანი ა. ჭყონიასი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1938. ჟან შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში", თარგმანი ფრანგულიდან ვ. ბარნოვისა, სახელგამი, თბილისი, 1935.

საქართველოს ურთიერთობას ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური თვალსაზრისით გარკვეული შედეგი არ მოჰყოლია. ისტორიული განვითარების და შექმნილი ვითარების შესაბამისად იგი სულ სხვა გზით უნდა წარმართულიყო და წარიმართა კიდეც. ქართველმა ხალხმა თავისი დიდი მოკავშირე რუს ხალხში ნახა. საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა, რუს და სხვა მოძმე ხალხებთან ერთად ბრძოლაში ქართველმა ხალხმა ისტორიულ წარმატებებს მიაღწია. სანამ ამ საკითხზე სიტყვას გავაგრძელებდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის, მიუხედავად ქვეყნის შიგნით შექმნილი არახელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობისა, სისხლისმღვრელი ომებისა და შინაარსლილობისა, შესამჩნევი ხდება მისწრაფება სამეფო-სამთავროების შეკავშირებისაკენ. ამ დროის პროგრესული მოღვაწენი ცდილობენ განამტკიცონ სოფლის მეურნეობა, გამოაცოცხლონ ვაჭრობა და შინამრეწველობა. ამავე დროს, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და მის ირგვლივ მყოფი ქართული კულტურის სხვა მესვეურნი ხელს უწყობენ და ცდილობენ ეროვნულ სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელებასთან ერთად აღადგინონ და მეცნიერების ახალ მიღწევებთან დაკავშირებით განავითარონ უძველესი ტრადიციები კულტურულ-მეცნიერული მუშაობისა საქართველოში.

შეგროვებული და დამუშავებული იქნა ძთელ რიგი მნიშვნელოვანი ლიტერატურული, ფილოსოფიური, საკანონმდებლო, საისტორიო, სამედიცინო, ასტრონომიული უძველესი ხელნაწერები. ამ პერიოდში ყოფილა გადაწერილი XI საუკუნით დათარიღებული ზემოაღნიშნული ხელნაწერი „უსწორო კარაბადინისა". ამ ძეგლის ბოლოში ვკითხულობთ: „ჩვენ საქართველოს გამგებელმა ბატონიშვილმა პატრონმან ვახტანგ, დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხაად და სამყოფად დარბაზ სეფეთა ჩვენთა"[1].

ასევე დიდი შრომა გაუწევია ვახტანგ მეფეს ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის" განახლება-აღდგენაზე. ამ ძეგლის ხელნაწერის მე-62—63 ფურცლებს შორის აღმოჩნდა ბატის ფრთის კალამი და მასთან ერთად წანაწერი, სადაც ნათქვამია, რომ „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინე და შევაკვრეინე სახსრად და სასარგებლოდ კაცთათვინ და სახსრად ყოველთა ქს ტეზ."[2]

ხელნაწერის შესწავლით გამოირკვა, რომ აღნიშნული კარაბადინის დაზიანებული ფურცლები ვახტანგის მონაწილეობით შეუკეთებიათ, აუკინძავთ და ყდაში ჩაუსვამთ. ხელნაწერის მრავალი ფურცლის აშიაზე დარჩენილია ვახტანგის ხელით მინაწერი შენიშვნები ფურცელნაკლულობის შესახებ, აქვეა ზოგიერთი მის მიერ გაკეთებული განმარტებანი და სხვ.

მაგრამ მარტო ძველი სამედიცინო ძეგლების განახლება-გადაწერით როდი ხასიათდება აღნიშნული ხანა. მასთან ერთად იქმნება ახალი სამედიცინო ძეგლებიც. ჩვენამდე მოაღწია ამ პერიოდის რამდენიმე სამედიცინო ხელნაწერმა[3], რომლებიც, მართალია, უმთავრესად საქართველოს მედიცინის მიერ წინა საუკუნეებში მოპოვებულ მონაცემებს ეყრდნობიან, მაგრამ ამავე დროს ხშირად მათგან კიდეც განსხვავდებიან. განსხვავება შეინიშნება სამკურნალო საშუა-

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 470.

[2] ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი", (კარაბადინი), გვ. VI.

[3] ხელნაწერები დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში. იხ. ფონდი H, ხელნაწერები: № 414, გრებული (XVI—XVII ს.).

ლებების მრავალფეროვნებაში; ზოგიერთ დაავადებათა აღწერილობაში ახალი ნიშნები გვხვდება და სხვ.

XVII—XVIII საუკუნის აღნიშნული სამედიცინო ხელნაწერები სხვა წყაროებთან ერთად მოწმობს, რომ საქართველოში დიდ ინტერესს იჩენდნენ მედიცინის და საბუნებისმეტყველო დარგებისადმი.

განხილულ პერიოდში საქართველოს მედიცინა არ ჩამორჩებოდა კულტურისა და მეცნიერების განვითარების დონეს, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა იმ ხანად არსებული საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. მედიცინისა და მეცნიერების სხვა დარგების გარდა, ყურადღება ექცეოდა ასტრონომიის სწავლებას, ასტრონომიული ლიტერატურის გამრავლებას და გავრცელებას.

ვახტანგ VI, საკუთარ ასტრონომიულ ნაშრომების შექმნასთან ერთად, უშუალო მონაწილეობა მიუღია თემურლენგის შვილიშვილის—მე-15 საუკუნის ცნობილი სამარყანდელი ასტრონომის ულუღ-ბეგის ვარსკვლავთა კატალოგის თარგმნის საქმეში. ეს ნაშრომი აკადემიკოს ბარტოლდის დახასიათებით წარმოადგენს შუა საუკუნეების ასტრონომიის უკანასკნელ სიტყვას და უმაღლეს საფეხურს, რომელსაც მიაღწია ასტრონომიამ ტელესკოპის გამოყენებამდე[1].

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1709 წელს თბილისში სტამბის გახსნას[2]. სტამბის გახსნის ინიციატორი ვახტანგთან ერთად ქართველი მოღვაწე ანთიმოზ ივერიელიც ყოფილა[3]. თუმცა როგორც ამ უკანასკნელ წლებში გამოირკვა, საქართველოში სტამბის დაარსებაზე ჯერ კიდევ არჩილ მეფეს უზრუნია და ლითონის ქართული ასოების ჩამოსასხმელად წიგნის ბეჭდვის ცნობილ უნგრელ ოსტატ ტოტფალუშ კიშ მიკლოშისათვის შეკვეთაც მიუცია[4].

სტამბის გახსნა უდიდესი კულტურული ისტორიული მოვლენა იყო. ბან ხელი შეუწყო წიგნების გამრავლებას. ამავე დროს გამოცოცხლდა და გაუმჯო-

---

№ 304, კარაბადინი. (1799 წ.);

№ 1318, კარაბადინი (1790 წ.);

№ 2164, სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა (1782 წ.);

№ 3264, კარაბადინი (XVIII ს.);

№ 3045, კარაბადინი (XVIII ს.);

№ 3197, თიაქრის წამალი (VXII ს.);

№ 1283: 95 შენ. 2, 3. ხელის გახსნა (XVIII ს.);

№ 1283: 95 შენ. 2. სამკურნალო რჩევა-დარიგებანი (XVIII—ს.);

Q № 198 ფრაგმენტი კარაბადინიდან, XVIII ს.);

№ 562, კარაბადინი, (XVII—ს.);

№ 827, რეცეპტერა, (XVII—XVIII ს.);

№ 719, კარაბადინი, (XVIII ს.);

№ 916, კარაბადინი, (XVII ს.);

ფონდი A № 760, კარაბადინი (1785 წ.);

№ 769, —„—(XVIII ს.),

[1] Бартольд. «Культура мусульманства», II, 1918, გვ. 94.

[2] ჯ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955.

[3] გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, ჟურ. „დროშა“ № 2, 1951, მისივე, ბესიკ გაბაშვილი, ...ასში, „ლიტერატურული გაზეთი“ 1955, 29 ივნისი, № 26 (988).

[4] ნ. ჩიქოვანი. არჩილ მეფე და ქართული სტამბა, ჟურნ. „დროშა“ № 7, 1955.

ბესდა სასკოლო საქმე, იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები, გაიხსნა სემინარიები, მოეწყო წიგნთსაცავები, გაფართოვდა ლიტერატორთა წრე, იმდროინდელ მწერლობაში შეიჭრა ახალი ენობრივი ნაკადი—ხალხური ენა, რომელიც ცდილობდა გაერღვია არქაული ენის ჩარჩოები. სასწავლო წიგნებს ახლა ხუცურის ნაცვლად მხედრულით ბეჭდავდნენ, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ სწავლა-განათლება ახალი გზით უნდა წასულიყო[1].

ვახტანგ VI „სწავლული კაცები" მოუწვევია საისტორიო კრებულის—„ქართლის ცხოვრების" შესავსებად[2]. აღსანიშნავია ვახტანგის მიერ ჩატარებული მუშაობა სამართლის წიგნთა შესადგენად. განსაკუთრებით საყურადღებოა პროზის შესანიშნავი ოსტატის, ლექსიკოგრაფისა და მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა. მისი შრომები, კერძოდ ქართული ლექსიკონი, ძვირფას ცნობებს გვაწვდის მედიცინის ისტორიისათვისაც.

ამ პერიოდის ლიტერატურულ მუშაობიდან აღსანიშნავია აგრეთვე თეიმურაზ II პოეტური მემკვიდრეობა, „ქილილა და დამანას" თარგმნა და გამოცემა და სხვ.

ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა, აგრეთვე, ვახტანგის შვილი—ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული გეოგრაფიული მეცნიერების აღორძინება საქართველოში.

ვახუშტის ცნობილი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"[3] საყურადღებო ცნობებს შეიცავს საქართველოს მინერალური წყლების გავრცელებისა და საადგილო ადგილების დახასიათების შესახებ. იგი საქართველოს წყლების აღწერის დროს სამკურნალო წყაროებსაც არ ივიწყებს: „... კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი. ცივნი გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი სენთანი,..."[4].

ფარავნის ტბის მახლობლად ვახუშტი ასახელებს წყაროს, „რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცონცვილ, მოადნობს სმითა,..."[5].

გარდა სამკურნალო წყლების აღწერისა, აღნიშნული წიგნები საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის საინტერესო სხვა ცნობებსაც შეიცავს. მაგალითად, ჯავის მიდამოების გეოგრაფიული დახასიათებისას ვახუშტი სწერს, რომ „ლიახვის გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი, და უდის სუნი ფრიად ძნელი, რომელ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილას[6] სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა"[7].

ეს ცნობები სხვა მასალებთან ერთად ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ საქართველოს მედიცინა XVII—XVIII საუკუნეებში, ისევე როგორც წარსულში, ფართოდ იყენებდა ბალნეოლოგიურ საშუალებებს და კლიმატურ ფაქტორებს სამკურნალო მიზნით.

---

1 ქ. შარაშიძე ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში იხ. მასალების კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში", თბილისი, 1937.

2 ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი..., 1945, გვ. 321—326.

3 ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.

4 ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", დასახ. გამოცემა, გვ. 31.

5 იქვე, გვ. 43.

6 ინთილა—კუპის მოშლილობა. იხ. ამ წიგნისადმი დართული ლექსიკონი, გვ. 257.

7 იქვე, გვ. 77.

ვახუშტის დაინტერესება საქართველოს ბუნების ამ მხარეებით შემთხვევითი არ ყოფილა. იგი დიდ ყურადღებას იჩენდა საერთო ბუნებისმეცოდნეობისადმი და განსაკუთრებით ზოგიერთი საბუნებისმეტყველო დარგისადმი. მას თავისი ხელით გადაუღია „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნა, შეკრებული მეფის ვახტანგისაგან“.

როგორც დავინახეთ, აღნიშნულ პერიოდში საზოგადოების მოწინავე ნაწილის მხარდაჭერით წამოწყებული იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მაგრამ კარგად წამოწყებულ კულტურულ საქმიანობას ქვეყნის მერყევი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები ფართო განვითარების საშუალებას არ აძლევდა.

რაც დრო გადიოდა, ქართველი ხალხი და მისი შორსმჭვრეტელი მოღვაწენი სულ მეტად ცდილობდნენ რუსეთთან მჭიდრად დაკავშირებას [1].

მეფე ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში წავიდა დახმარებისათვის. ამალაში შედიოდნენ იმდროინდელი საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები: პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერები, პოეტები, მწიგნობრები და სხვა პირები, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს პეტრე I დროინდელი რუსეთის წარმატებები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს დიდი ხნის ურთიერთობა, ჯერ კიდევ XV საუკუნეში განახლდა. უკვე აღნიშნულ ხანაში კახეთის მეფემ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. იმ დროისათვის მოსკოვის რუსეთი დიდ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში. რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას ქართველი ხალხი იმედის თვალით შეაცქეროდა. XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა, რასაც ხელი შეუწყო ქართული კოლონიის გაჩენამ ქოსკოვში. ეს კოლონია კიდევ უფრო გაიზარდა, როცა მოსკოვში ვახტანგი და მისი ამალა ჩავიდა.

რუსეთისადმი გაზრდილი ინტერესით უნდა აიხსნას ცნობების შეტანა XVIII საუკუნის ქართულ გეოგრაფიულ ხელნაწერებში რუსეთის ზოგიერთი ქალაქების გრძედებისა და განედების (პარალელებისა და მერიდიანების) შესახებ. მაგალითად, „მოსკო 63,2/55, 10“, „ამთარხანი 82.20/40,20“[2].

რუსეთთან ურთიერთობის უძველესი ტრადიციების აღდგენას მეტად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის.

1732—1737 წლებში მოსკოვში ყოფნის დროს ვახტანგ VI, როგორც ცნობილია, ქართული სახელმძღვანელოებიც დაუბეჭდია და საგანმანათლებლო მუშაობა გაუჩაღებია. ვახტანგი რუსეთში თან წაღებულ ქართული კულტურის მეტად მნიშვნელოვან ძეგლებს და სხვა ხელნაწერებს ამუშავებდა, კინძავდა და ბეჭდავდა. შექმნილ ვითარებაში ეს იყო ერთგვარი გამოსავალი ქართული კულტურის სიძველეთა გადარჩენისა. მათ შორის, როგორც უკანასკნელ წლებში გამოირკვა, ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლიც გადარჩა განადგურებას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. იხ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი I, თბილისი, 1944.

[2] ხელნაწერი S-161. მოგვყავს ქ. შარაშიძის წიგნიდან: „ქართული სტამბის ისტორია“.

ამ დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხის შვილების ჩასვლა რუსეთში არაიშვიათი გახდა. ისინი დაუახლოვდნენ რუს ხალხს, ეცნობოდნენ რუსულ კულტურას, ლიტერატურას და სხვ.

რუსულ სკოლებში, განსაკუთრებით მოსკოვის სლოვენურ-ლათინურ აკადემიაში და პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიასა და აკადემიაში განათლებას იღებდნენ ქართველი სასულიერო და საერო პირნი[1], რომელნიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ აღმზრდელი ქვეყნის კულტურულ კერებთან.

ეს ის პერიოდია რუსეთის ისტორიაში, როცა ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური გაძლიერების საფუძველზე რუსეთის კულტურა და მეცნიერების მთელი რიგი დარგები, მათ შორის მედიცინა, აღმავლობას განიცდიდა. გაიხსნა ახალი სამკურნალო დაწესებულებები, მათთან სამედიცინო სკოლები. 1755 წელს გენიალური რუსი მეცნიერის მიხეილ ვასილის-ძე ლომონოსოვის ინიციატივით დაარსდა მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც 1764 წლიდან სამედიცინო ფაკულტეტიც გაიხსნა. გაფართოვდა სამედიცინო კადრების მომზადება. 1798 წელს, პეტერბურგში, ყალიბდება სამედიცინო-ქირურგიული აკადემია. ამ ხანებში სამედიცინო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ რუსეთის მედიცინის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენელნი, როგორიც იყვნენ: ს. გ. ზიბელინი (1735—1802), ნ. მ. ამბოდიკ-მაქსიმოვიჩი (1744—1812), დ. ა. სამოილოვიჩი (1745—1805), კ. ი. შჩეპინი (1728—1770) და სხვ.

აღნიშნულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა შემდეგ პერიოდში დიდი როლი ითამაშეს ქართველ ექიმთა მომზადების საქმეშიც.

მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთში ჩასული ქართველები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ახლო მდგარა კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებთან.

ზოგიერთი მათგანის შესახებ შემორჩენილია ცნობები მოსკოვისა და პეტერბურგის „უწყებაში"[2].

1762—1767 წლების „უწყებაში" იხსენიებიან სტუდენტები: სიმონ და ლევან სოლოლაშვილები, მოწაფე ქალი — ბატონიშვილი მარიამ ლეონტის-ასული და სხვა პირები.

ამ დროისათვის სახელმწიფო სკოლები საქართველოშიც არსებობდა. 1755 წელს თბილისში სემინარია გაიხსნა, ხოლო 1762 წელს სემინარია თელავშიც დაარსდა. თბილისისა და თელავის სემინარიებში მრავალი თავის დროისათვის ცნობილი პირი მოღვაწეობდა, მათ შორის დავით რექტორი, ანტონ I, ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზი, რომელიც როგორც იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, „იყო აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღვთისმეტყველოსა სწავლასა შინა, ზედმიწევნილი რუსულისა ენისა, იცოდა ლათინური და სომხური წერილი. ამან თარგმნა რუსთა ენისაგან სხვადასხვა წერილნი ქართულსა ენასა ზედა, რომელ იტყვიან ვიდრე სამასამდინ წიგნსა გარდმოღებულსა საღმრთოთა წერილთა... ამან თვისსა ყოფასა შინა ასწავა

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, სახელგამი, 1951, გვ. 64—65.

[2] ი. ლორთქიფანიძე, „მოსკოვის და პეტერბურგის „უწყებათა" 1762—1767 წლების ცნობები ქართველების და საქართველოს შესახებ". „საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", X—B, 1940, გვ. 167—175.

მეფისა ძეთა ფილოსოფია, განმართა თელავსა შინა სკოლაი და განსწავლნა მუნცა მრავალნი და სხვანიცა"[1].

აღნიშნულ სემინარიებში სწავლა-აღზრდის საქმე თავის დროის კვალობაზე კარგად ყოფილა დაყენებული. ამის შესახებ საგულისხმო ცნობები გვხვდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში", სადაც აღწერილია, თუ როგორ მოხდა პეტერბურგში ჩასული იონა ხელაშვილის გამოცდა სამონასტრო სკოლაში. იონა ხელაშვილს თელავის სემინარია ჰქონდა დამთავრებული და პეტერბურგში რუსული ენის შესწავლა მოუსურვებია. იგი გამოსცადეს „საფილოსოფოსთა სწავლათა კითხვა-მიგებით" და იონას პასუხით კმაყოფილ რუს მიტროპოლიტს უთქვამს: „ბერი არს სწავლული თვისსა ენასა ზედა,... ბერო მიკვირს მე ესე, რომელ თქვენშიაც ყოფილა მეცნიერებისა სწავლა, და გაქებენ მოძღვარნი ჩვენნი"[2].

ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ქართველი და რუსი ხალხი გაეცნო ერთმანეთს. ქართველი ხალხისათვის ნათელი გახდა რუსი ხალხის კეთილგანწყობილება საქართველოსადმი. XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე სრულიად მომწიფებული იყო რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხი. 1801 წლის აქტით რუსეთთან საქართველოს შეერთება ოფიციალურად იქნა გამოცხადებული.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველო განვითარების ახალ გზას დაადგა. ახალი გზით წავიდა ქართული კულტურისა და მეცნიერების, კერძოდ, მედიცინის განვითარებაც.

ქართველი მეცნიერები და ექიმები რუსეთისა და სხვა ქვეყნების ახალ მეცნიერულ მიღწევებს, მათ შორის მედიცინის დარგში მოპოვებულ წარმატებებსაც გაეცნენ. ამასთან, დარწმუნდნენ, რომ იმ ისტორიული ქარტეხილების შედეგად, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა, საქართველოს მედიცინა XVIII საუკუნისათვის ისეთი მკვეთრი აღმავლობით აღარ ხასიათდებოდა, როგორც წარსულში. მაგრამ, საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მედიცინას გარკვეული მიღწევები ამ პერიოდშიც ჰქონდა, რის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

როგორც XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, საქართველოს მედიცინაში დაიწყო კრიტიკული გადასინჯვა იმ ნონაპოვრისა, რომელიც მას წარსულში გააჩნდა.

აღნიშნული მდგომარეობა კარგად არის ასახული იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში"[3], სადაც მთელი სიმწვავით არის ნაჩვენები ძველი მედიცინის ნაკლოვანებანი და მოცემულია მედიცინის დანიშნულებისა და სამედიცინო

---

[1] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1948, გვ. 191.

[2] იქვე, გვ. 160.

[3] კ. გეგელაშვილი, სამედიცინო ცნობები იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში", მოხსენებულია მედიცინის ისტორიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე (იხ. ოქმი № 8, 1949 წ. 16 აპრილი).

ცოდნის მოცულობის ახალი განსაზღვრა. ქართველი მეცნიერები და ექიმები ძალიან ბევრს მუშაობდნენ და რუსეთისა და ევროპის ქვეყნების მედიცინის ახალ მიღწევებს ნერგავდნენ ქართულ მედიცინაში. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში მოღვაწე ქართველთა ჯგუფი, რომელსაც იოანე ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ ვაიოზ არქიმანდრიტი, იოანე სიდამონიძე (სიდამონოვი), ვასილ ჭილაძე და სხვები.

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული იოანე ბატონიშვილის კოლექციის შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნული ჯგუფის წევრების და უშუალოდ იოანე ბატონიშვილის მონაწილეობით შედგენილი და გადმოთარგმნილი ყოფილა სამედიცინო კრებულები, სადაც რუსეთის, აგრეთვე გერმანიის, ინგლისის, შვეიცის და ევროპის სხვა ქვეყნების მედიცინის ზოგიერთი მონაპოვარიც შეუტანიათ[1]. შეუდგენიათ რამდენიმე რეცეპტურის წიგნი, სადაც ძველი ქართული წამლების ნუსხებთან ერთად რუსული და ლათინური რეცეპტებიც არის წარმოდგენილი[2].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ხანის სპეციალური სამედიცინო ტრაქტატი, სადაც მხოლოდ ჰიგიენისა და პროფილაქტიკის ზოგადი საკითხებია განხილული[3].

გარდა აღნიშნული კრებულებისა, სადაც მრავალი სხვადასხვა დაავადება და მათი მკურნალობა არის აღწერილი, გადმოთარგმნილი ყოფილა აგრეთვე ცალკეულ დაავადებათა შესახებ დაწერილი მონოგრაფიული ტიპის ნაშრომებიც. მაგალითად, „განმსჯელობაითვის ყვითლისა ამერიკულისა საოფლისა“[4], „საქმითი ჰსჯა სურავანდის სნეულობისათვის“[5], „ისტორია და საექიმო დარიგე-

---

[1] „კარაბადინი“ (240 ფურცელი), № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან. დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

„კარაბადინი“ (275 ფურცელი), № 166, იმავე ფონდიდან.

„სამკურნალო კაცისა“ (130 ფურცელი), № 59, იმავე ფონდიდან.

„კარაბადინი“ (88 ფურცელი), E 44. ინახება სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

„აქიმობის წიგნი ანბანური“ (32 ფურცელი), E 105, ინახება იმავე განყოფილებაში.

„კარაბადინი“ (499 ფურცელი), K 13, ინახება იმავე განყოფილებაში.

[2] „წამალთ სახელნი ლათინური, ქართული და თათრული“ (83 ფურცელი), № 173, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან.

„სამკურნალო რეცეპტები“ (88 ფურცელი), № 176, იმავე ფონდიდან.

„ლათინური რეცეპტები“ (7 ფურცელი), № 114, იმავე ფონდიდან.

[3] „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“, ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 2164, ავტორი არ ჩანს. ხელნაწერი იოანე ბატონიშვილის კოლექციაში ირიცხება.

[4] ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იოანე ბატონიშვილის ფონდი № 74.

[5] იქვე, № 186.

ბა ხოლერაზედ"[1], „წყალმანკის უწყებულება და მისი მორჩენა ვითარითა სახითა ჯერ არს"[2], „ნერვებისა და დამპლის საოფლისათვის"[3] და სხვ.

საქართველოში ამ დროისათვის ეცნობიან მიკროსკოპს, ახალ აღმოჩენებს ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში, დარვინამდელ ევოლუციურ იდეებს და სხვ., რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მედიცინის შემდგომი განვითარებისათვის.

---

1 ხელნაწერი № 149, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 იქვე, № 134.

3 იქვე, № 63.

თ ა ვ ი II

ზოგად-ბიოლოგიურ შეხედულებათა განვითარების საკითხისათვის

ფეოდალური ხანის საქართველოში არსებული ზოგად-ბიოლოგიური შეხედულებანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული და გადახლართული იმდროინდელ მსოფლგაგებასთან. ეს წარმოდგენები თავისი მოცულობისა და მრავალმხრივობის გამო, ცხადია, ამ წიგნში მთლიანად ვერ პოვებს ადგილს. ჩვენ, მხოლოდ ზოგიერთი საკითხის გარკვევას შევეცდებით.

სამყაროს აგებულების შესახებ ქართველი ხალხის უძველეს წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიწას, წყალს, ქარს, ცეცხლს, მნათობებს, მათ შორის მზეს, რომელიც სიმხურვალის წყაროდ ითვლებოდა. ქართველი ხალხის ეს უძველესი წარმოდგენები ორგანულად შევიდა სამყაროს აგებულების შესახებ შემდეგში შემუშავებულ მსოფლმხედველობაში, რომლის ქვაკუთხედს ოთხი ნივთი, ოთხი კავშირი შეადგენდა. ამ წარმოდგენებმა თავი იჩინეს აგრეთვე ჰუმორალურ თეორიაში.

ჰუმორალური თეორიის შექმნა, როგორც ცნობილია, დიდი ბერძენი ექიმის ჰიპოკრატეს (V—IV სს. ძვ. წ. აღ.) სახელთან არის დაკავშირებული. მის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა ძველ ბერძენთა შეხედულებანი, რომლის მიხედვით სამყაროს პირველ საწყისად აღიარებული იყო მატერია. თალესისათვის (VII—VI სს. ძვ. წ. აღ.) ეს იყო წყალი, ანაქსიმანდრესთვის (VII—VI სს. ძვ. წ. აღ.)—„განუსაზღვრელი მატერია“, „აპეირონი“, ანაქსიმენესთვის (VI ს. ძვ. წ. აღ.)—ჰაერი[1], ჰერაკლიტესთვის (VI—V სს. ძვ. წ. აღ.) ცეცხლი, ზოგისათვის — მიწა, დემოკრიტესთვის (V—IV სს. ძვ. წ. აღ.) — ატომები. ემპედოკლემ (V ს. ძვ. წ. აღ.) წყალი, ჰაერი და ცეცხლი აღიარა სამყაროს პირველსაწყისად. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმორალური თეორიის ცალკეული ელემენტები ჰიპოკრატემდე ბევრად უფრო ადრე მრავალი უძველესი ხალხის მედიცინაში იყო ცნობილი. მათ შორის ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტის, აგრეთვე წინა აზიის ხალხთა მედიცინაში. ასევე, გულუბრყვილო მატერიალისტების მთელი რიგი შეხედულებანი ენათესავებოდა აღმოსავლეთის ხალხების ზოგიერთ ფილოსოფიურ მოძღვრებას. მაგრამ, ყოველივე ეს, ცხადია იმას არ ნიშნავს, რომ ჰიპოკრატეს არავითარი ღვაწლი არ მიუძღოდეს ჰუმორალური თეორიის შექმნაში. მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ცალკეული წარმოდგენები ოთხი ძირითადი ელემენტის შესახებ, სისტემაში მოიყვანა და ჯანმრთელობისა და დაავადების გაგების გარკვეული სამედიცინო კონცეფცია ჩამოაყალიბა. ამასთან, საჭიროა ითქვას, რომ ჰუმორალური თეორია სხვადასხვა ქვეყანაში ყალიბდებოდა და იცვლებოდა თვით ქვეყნის ისტორიული ვითარებისა და ხალხის საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად. ასე მოხდა საქართველოშიც. ძველი

[1] ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა“, სახელგამი, თბილისი, 1950, გვ. 150.

ქართული ძირითადი სამედიცინო შეხედულებანი განუყრელად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის უძველეს მსოფლგაგებასა და მის საფუძველზე აღმოცენებულ ზოგად-ბიოლოგიურ წარმოდგენებთან. ეს პრობლემა „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ შესაბამის ნაწილში სპეციალურად იქნება განხილული, აქ კი, მკითხველის ყურადღებას, მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე შევაჩერებთ.

ძველ ქართულ მედიცინაში, მაღალი სიცხით მიმდინარე დაავადებებს საერთო სახელით — „ცხრო“ აღნიშნავდნენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ ქართულში სიტყვა ცხრო ეპის სახელს უნდა უკავშირდებოდეს[1].

გამოჩენილ მკვლევარს იქვე მოჰყავს ლეგური ენობრივი მასალა და უცილობლად ამტკიცებს ცხროსა და ციებ-ცხელების სახელის მზის სახელთან კავშირს. იგი მიუთითებს, რომ, მაგალითად, ხუნძურად ცხროს და ციებ-ცხელებას ეწოდება ბაყულ უნთი. ბაყ-მზის სახელია, ხოლო უნთი ავადმყოფობას ნიშნავს. ანალოგიური ურთიერთობა აღინიშნება ღუმუქურში, არჭულში და სხვა ენებში[2].

ძველ საქართველოს მედიცინაში „ცხროს“ ქვეშ გაერთიანებული იყო დაავადებანი, რომელთა მიმდინარეობაში წამყვან ნიშნად სწორედ მაღალი სიცხე, ცხელება ითვლებოდა.

ქართულ ლექსიკაში არეკლილია აგრეთვე სამყაროს სხვა ელემენტების, კერძოდ წყლისა და ჰაერის, როგორც სიცოცხლის საწყისის გაგება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სიტყვები: „ფშა“ და „ფშვა“.

საბა განმარტავს, რომ „ფშა“ არის „მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“[3]. „ფშვა“ კი ძველ ქართულში სუნის ანუ სულის გამოღებას ნიშნავდა. არსებობს აგრეთვე ზმნა „ფშვინვა“, რაც „მძინარისაგან სულის ბერვას“ ანუ სუნთქვას გამოხატავს.

ამ სიტყვებს თავის დროზე, სხვა საკითხების გარკვევასთან დაკავშირებით, აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და მასალის ურთიერთშედარების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ფშისა“ და „ფშანის“ ცნების ძირითად მნიშვნელობას მიწიდან გამომდინარეობა, მდინარის გამოჟონვა შეადგენდა და გამომდინარის აღმნიშვნელი იყო. ამ გარემოების გათვალისწინებით ივ. ჯავახიშვილმა „ფშა“ ეტიომოლოგიურად დაუკავშირა „ფშვას“, რაც აგრეთვე გამოცემას, გამოღებას ნიშნავდა, მხოლოდ სუნისას ან სულისას, ასე რომ „ფშანი“ გამოცემულ წყალს აღნიშნავდა, ხოლო „ფშვა“ და „ფშვინვა“—სულის გამოღებასა და სუნთქვას.[5]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1950, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 197.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, გვ. 696.

[4] იქვე.

[5] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, თბილისი, გვ. 37.

„ფშვა“ და „ფშვინვა“ სიტყვებს შორის ნათესაობა დანახულია მხოლოდ იმაში, რომ ისინი მოქმედებას—გამოსვლას, გამოლებას აღნიშნავენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე მარტო გამოსვლაზე არ უნდა იყოს დაყვანილი. ამას გვიკარნახებს ის გარემოებაც, რომ „ფშანი“ მცენარის მიერ ამოხეთქილ ბარტყს, ნერგსაც ეწოდება. ფშანი კი მისი ცხოველმყოფელობის გამოვლინებაა. გარდა ამისა, სიტყვა „შუმინვარი“, რომელიც ძველ ქართულ თარგმანებში, კერძოდ დაბადებაში გვხვდება, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, სულიერს, ცხოველს ნიშნავდა. თუ ამ მონაცემებს ჩავუკვირდებით, დაეინახავთ, რომ „ფშვინვა“ ანუ სუნთქვაც, რომელიც ჰაერთან არის დაკავშირებული, ცხოველმყოფელობის გამოვლინებაა. „ფშანსა“ და ფშვას“ თუ ამ გზებით მივუდგებით, მათ ნათესაობას ორ რამეში დავინახავთ: ერთი ის, რომ ორივე მოქმედებას—გამოლება, გამოცემას აღნიშნავენ, ე. ი. მოძრაობას, და მეორე, ის რომ, ორივე სიცოცხლეს, ცხოველმყოფელობას გამოხატავენ. მოძრაობისა და სიცოცხლის ასეთი დაკავშირება ერთი მხრივ წყალთან და მეორე მხრივ ჰაერთან კიდევ უფრო საგულისხმოა. ეს გარემოება მეტ საფუძველს აძლევს ჩვენ მოსაზრებას იმ მხრივ, რომ „ფშვას“, ე. ი. სუნთქვას და „ფშანს“, ე. ი. წყალს არა მარტო მოძრაობა აქვს საერთო, არამედ ისიც, რომ ჰაერი, რომელიც სუნთქვასთან არის დაკავშირებული, და წყალი—ორივე სიცოცხლის აუცილებელი ელემენტებია. სწორედ მოძრაობა ითვლებოდა სიცოცხლის მაჩვენებლად. ყოველივე ამას სუნთქვასთან ის კავშირი აქვს, რომ, როდესაც ცოცხალი ორგანიზმის ყოველგვარი მოძრაობა შეჩერდება (ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოძრაობის ხილული ფორმები), სუნთქვა რჩება სიცოცხლის მანიშნებელი. გავიხსენოთ სიკვდილის დადგენის უძველესი წესი: ადამიანს პირთან მიუვრიტინას ანუ სარკეს მიუტანდნენ. თუ იგი დაიორთქლებოდა ე. ი. ადამიანი სუნთქავდა, იგი ცოცხალი იყო, საწინააღმდეგო შემთხვევაში სიკვდილი საეჭვოდ აღარ ითვლებოდა.

სიკვდილის დადგენის ეს წესი ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც გვხვდება. ძველ სამედიცინო წყაროებში, კერძოდ „იადიგარ დაუდში“ ეს წესი შემდეგნაირად არის აღწერილი: „მოიტანე ერთი მიუვრიტინა და ზედ პირთან დაუშვირე, და თუ პირმან მიუვრიტინა მოაორთქლიანა, რომე ამა მიუვრიტინაშიგა კაცი აღარ გამოჩნდეს, იცოდი ესე კაცი ცოცხალი არის, და თუ მიუვრიტინა ვერ მოაორთქლიანა და მკვდარი არის“.[1]

მართალია, სიკვდილ-სიცოცხლის დასადგენად დღეს სხვა უფრო ზუსტი წესები არსებობს, მაგრამ ამ წესს თავისი მნიშვნელობა არც დღეისათვის დაუკარგავს, ხოლო ის ფაქტი, რომ სიცოცხლის დასადგენად მარტო სუნთქვითი მოძრაობის მიხედვით მსჯელობდნენ, იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ეს ცნებები და წარმოდგენები უძველეს ხანაში იქმნებოდნენ, როცა ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის განმასხვავებელი სხვა ნიშანი, გარდა მოძრაობისა, არ გააჩნდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჰუმორალური თეორიის თანახმად სამყაროს ერთ-ერთი ელემენტის, წყლის, შესაბამისი კომპონენტი ორგანიზმში სიგრილე იყო და მის არსებობას სუნთქვას უკავშირებდნენ.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ ყაბარდოულად სულს, სულიერებას, სიცოცხლეს, ცხოველურ ძალას „ფსე“ ეწოდებოდა; ხოლო წყალს, მდინარეს, წყაროს—„ფსე“[2].

---

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 268.

2 Яковлев, Н. Материалы для кабардинского словаря I, გვ. 79. მოგვყავს ივ. ჯავახიშვილის აღნიშნულ წიგნიდან.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ქართულ ზღაპრებში უკვდავებას სწორედ წყალს უკავშირებდნენ, მას მიაწერდნენ გამაცოცხლებელ და ცხოველმყოფლობის მომნიჭებელ თვისებებს. შეიძლება წყლის ასეთ წარმოსახვაში ქართველი ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის ზოგიერთი მხარე იყოს გარკვეულად არეკლილი, რის შესახებ თავის ადგილას გვექნება საუბარი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ნაცარსა და ნახშირს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართულ ხალხურ მედიცინაში.[1] ნახშირი ხომ უშუალოდ ცეცხლთან არის დაკავშირებული. ამ სიტყვის ძირის სვანურ შიხ-ე-სთან შედარებამ ცხადყო, რომ „წვის" წარმოდგენაა შიგ ჩამარხული: ნახშირი (ნაშხირი)—ნაწვი[2].

ქართულ ენაში დარჩენილია აგრეთვე მთელი რიგი ისეთი გამოთქმები და დაავადებათა სახელები, სადაც სიტყვა „ქარი" არის შესული. მაგალითად, „წითელი ქარი", „თიაქარი", „ფერდის ქარი", იტყვიან აგრეთვე „მუხლებში ქარი გამიჩნდა", „ფერდში ქარი გამიდგა", „მუხლს ქარი ამოვაღებინე", „ქარებისაგან არის დახუთული" და სხვ. შეხედულებას ქარის შესახებ ძველ საქართველოს მედიცინაში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ქარი ადამიანის წარმოდგენაში ქროლვას, დაბერვას, ბერვას, გულისხმობდა. ამის შესახებ საყურადღებო მონაცემები გვხვდება ქართულ სამედიცინო წყაროებში. ზოგიერთი დაავადების სახელი უშუალოდ არის დაკავშირებული აღნიშნულ წარმოდგენასთან ქარის შესახებ. მაგალითისათვის ავიღოთ „თიაქარი".

სიტყვა თიაქარში ორი ნაწილი უნდა გავარჩიოთ: პირველი ნახევარი თია და მეორე ნაწილი ქარი.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ „თია" არ არის მარტო სიტყვა თიაქარში შემავალი. „თია" სხვა დაავადებათა აღმნიშვნელ სიტყვებშიც შედის, მაგალითად „თიადორა" და სხვ. უნდა ვიფიქროთ, რომ თია ამა თუ იმ დაავადების წამყვან ძირითად ნიშანს გამოხატავდა, რაც დაავადებათა სახელწოდებაშიც აირეკლა.

რა შეიძლება იყოს მსგავსი ნიშანი თიაქარსა და თიადორას შორის? ამ ორ ერთმანეთისაგან მეტად დაშორებულ ავადმყოფობათა საერთო ნიშანი არის გამობურთვა, გამობერვა, ანუ მომრგვალო შემაღლების გაჩენა.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში" აღწერილია რამდენიმე მეტად განსხვავებული დაავადება, რომელთა ნიშნები „თია"-ს აღნიშნული გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს: „...რომე მკერდზედა თია გამოჩნდეს"[3]... ან კიდევ „...თია გამოჩნდეს ყელზე და სხუას ადგილსა"[4]. შეიძლება აქ ლაპარაკი იყოს ფარისებრი ჯირკვლის გადიდების დროს მიღებულ გამობურთვაზე, ან შეიძლება თიადორაზეა ლაპარაკი და მეორე ნაწილი დორა ამ სიტყვას იმ პერიოდისათვის არ ქონდეს. ყოველ შემთხვევაში, რომელი დაავადებაც არ უნდა იყოს, ჩვენ მიერ დაყენებული საკითხისათვის ამას პრინციპული მნიშვნელობა

---

[1] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი, 1953, გვ. 9.

[2] გარკვევა ეკუთვნის პროფ. ვ. თოფურიას. მოგვყავს პროფ. არნ. ჩიქობავას წიგნიდან— ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 229.

[3] „სამკურნალო წიგნი", გვ. 322.

[4] იქვე.



ვახტანგ VI ანდერძი
(ავტოგრაფი და მისი კალამი).

არ აქვს. მთავარი ის არის, რომ თია თიაქარს კი არ ნიშნავს, არამედ გამობერილობას.

ზემოაღნიშნულ ძეგლში გვხვდება სხვა ცნობაც, რომელიც ჩვენ მოსაზრებას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის.

„თია იმას ქუიან, რომ ტყავსა და ხორცსა შუა იყოს მრგვალი და გორვიდეს“[1]. როგორც ცნობილია, თიაქრის დროს უპირველესი შესამჩნევი სწორედ გამობერილობაა. ეტყობა, თიაქარს ამ თვალსაჩინო ნიშნის—გამობერილობის მიხედვით შეერქვა სახელი, რომლის ერთი ნაწილი თია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამობერილობას ნიშნავდა და მეორე ნაწილი ქარიც ამასვე გულისხმობდა.

გამობერილობის განვითარება რომ ქარის შესახებ არსებულ წარმოდგენაში იყო მოქცეული, ამას სხვა მონაცემებიც ადასტურებს. მაგალითად, ზოგიერთ დაავადებათა დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა „ქარიანი საჭმლის“ მიღება. მაგალითად, თიაქრის დროს ავადმყოფს ურჩევდნენ „რაც ქარიანი საჭმელი იყოს, ყველასაგან იფარეზოს“[2]. ან კიდევ — „რაცა ქარიანი ხილი იყოს. ყველასგან იფარეზოს“[3] ქარიან საჭმელად ითვლებოდა ისეთი საკვები, რომელიც მუცლის შებერილობას გამოიწვევდა.

ქარის შესახებ არსებული შეხედულება, ცხადია, ამით არ ამოიწურება.

ექ. ლ. კოტეტიშვილს „იადიგარ დაუდში“ მოჰყავს ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერზე დართული ტექსტის ფრაგმენტი,[4] სადაც მეტად საყურადღებო მსჯელობაა წარმოდგენილი ქარის გაგების შესახებ. ამ ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ თითქოს ქვეყნად ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სხვადასხვა თვისების ქარი არსებობდეს. ერთი მხურვალეა და მეორე გრილი. ეს ორი ქარი ერთმანეთთან წონასწორობაშია, რომ სიმხურვალე ან სიგრილე არ გაბატონდეს. თუ წონასწორობა დაირღვა, ორგანიზმი სნეულდება. „ვინაიდან ორი ქარი აღავსებს ყოველსა ცალიერსა ჰაერთათანა მყოფლობითა, ეგრევე ყოველი ნაყოფი მიწისა, გინა ხისა, ანუ ხორცი ყოვლისა სულიერისა, ამა ჰაერთა და ქართანა დაიბადებიან და მათთანა აღიზარდებიან.

ორწილად გაყოფილ არს ბუნება ყოვლისა, ქვეყანას ზედა ამოჩინებულისა, მხურვალე და ცხელისა ქარისა მოყვასი და განმაძლიერებელი, და გრილი და ცივი ქარისა მოყვასი და განმაძლიერებელი.

ყოველ გონიერ ხელმწიფის ნება ესე არს, რათა არა აღშფოთდეს ქვეყანა მისი, და არცა განიყვნენ ლაშქარნი ორად ვნებად ურთიერთ არს. და ეგრეთვე გულსა ასოთა ხელმწიფეთა ნებავს ამა ორთა ქართა სწორებით ყოფა, ამიტომ თუ ერთი უმეტეს განძლიერდეს, შური იძიოს მეორესა ზედა, მხურვალმან, გინა თუ გრილმან.

ტკივილი ასოთა და დაბადებათა სენთა აქედან არის, თუ ამ ორ ქართაგან ერთ-ერთი იმატებს.

თუ ცხელი განძლიერდა, ჩაიკრება ცივი ქარის ადგილზე, და აგრეთვე თუ ცივი განძლიერდა, ჩაიკრება ცხელი ქარის ადგილზე“.[5]

ამავე ტექსტში გამოთქმულია ერთი მეტად საყურადღებო აზრი, რომელ-

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 321.

[2] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 349.

[3] იქვე, გვ. 358.

[4] ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. ფონდი H, № 343.

[5] „იადიგარ დაუდი“, გვ. 10—11.

შიც სიცოცხლის გაგების არსი არის ჩაქსოვილი: „... ამა ორთა ქართა ბრძოლისაგან მოიშალოს ყოველი ასო კაცისა სამსახურებასა გულისა, და ბოლოს ქმნს გულის ხელმწიფებაცა გათავდეს“[1].

როგორც ტექსტიდან ირკვევა, ადამიანის ყოველი „ასოს“ ანუ ნაწილის თუ ორგანოს მოქმედება ამ ორი ქარის ბრძოლის შედეგად თანდათანობით ირღვევა. მაშასადამე, ორგანიზმში განუწყვეტლივ ადგილი აქვს ორი ძალის ერთმანეთის საპირისპირო მოქმედებას, რასაც საბოლოოდ ორგანიზმის გაცვეთა მოსდევს. ეხება რა ორი ქარის არსებობის შესახებ ზემოთმოყვანილ წარმოდგენას, ივ. ბერიტაშვილი აღნიშნავს, რომ „ასეთი წარმოდგენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ავადმყოფობის წარმოშობაზე უახლოვდება ზოგიერთი დაავადების დღევანდელ გაგებას, მაგალითად, სხეულის დაავადება ქსოვილებში ასიმილაციურ და დისიმილაციურ პროცესთა შორის წონასწორობის დარღვევის გამო, ანდა თავის ტვინში აგზნებისა და შეკავების პროცესთა შორის წონასწორობის დარღვევის გამო“[2].

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ V საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში უკვე გავრცელებული იყო კარგად ჩამოყალიბებული ზოგად-ბიოლოგიურ-საბუნებისმეტყველო შეხედულებანი, რომელთა მიხედვით სიმყაროს და სიცოცხლის საწყისად მიჩნეული იყო უკვე არა ცალკეული ელემენტები, არამედ ოთხივე ნივთი: წყალი, ჰაერი, მიწა და ცეცხლი: „ასი მსოფლებრივი არს ნაწილი ყოვლად უმცირესი სხეულთა თანაშეჯისაი. არიან უკუე ასონი ოთხ: ქუეყანაი, წყალი, აირი, ცეცხლი,...“[3].

იოანე პეტრიწი თავის „განმარტებაში“ ოთხი ელემენტის შესახებ აღნიშნავს, რომ „არა რომელი ამათ ოთხთა ჰპოვო უზადო და უზიარებელ ერთი ერთისაგან. რამეთუ ქვეყანასაცა შორის იხილვების ც ე ც ხ ლ ი, ვითა ქუაბ და რკინასა, და ცეცხლსაცა შორის ნაწილი ქ ვ ე ყ ა ნ ი ს ა ი, და ესთავე ა ი რ ს ა და წ ყ ა ლ ს ა ც ა...“[4] იქვე ამ ოთხი ელემენტის ცვალებადობას ეხება და შენიშნავს: „და კუალად ოთხნიცა ესე ასონი ნაწილებით იქმნებიან და იხრწნებიან და არა ყოვლობით; რამეთუ ნაწილი იხრწნა ც ე ც ხ ლ ი ს ა ი და გაქუეყნდა. დაივსო რაი მის შორის სიმხურვალე; და ნაწილი იხრწნა წ ყ ლ ი ს ა ი, გაჰაერდა რაი დაადგო თვისი სიგრილე; და აგრეთვე ნაწილი იხრწნა ა ი რ ი ს ა ი და არა ყოვლობაი, დაადგო რაი თვისი სიმხურვალე“[5].

ეს ოთხი ნივთი ითვლებოდა ყოველი ცოცხალისა და არაცოცხალის არსებობის საფუძვლად. მათ უკავშირებდნენ მცენარეებისა და ცხოველების ზრდა-განვითარებას: „და ყოველი ფერი დაბადებული რაცა არის კაცი და პირუტყვი და რაცა მიწით ამოვა ხე და ანუ ბალახი და თუ ნერგი ყოველსა ესე ოთხი ბუნებანი ზრდიან რომელ ქარი, სიცხე, მიწა და წყალი“[6].

---

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 11.

2 ივ. ბერიტაშვილი, კუნთოვანისა და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია, თბილისი, 1955, გვ. 360.

3 ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 15.

4 იოანე პეტრიწი, შრომები, II, პროფ. შ. ნუცუბიძის და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1937, გვ. 12.

5 იქვე, გვ. 119.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 46.

ადამიანის სხეულიც ამ ოთხი ელემენტისაგან შემდგარად ითვლებოდა. ადამიანი შედგება ოთხი ელემენტისაგან, ვკითხულობთ „იადიგარ დაუდში"—წყლისაგან, ცეცხლისაგან, ქარისაგან და მიწისაგან[1]. თითოეული ამ ნივთთაგანი გარკვეული თვისებების მატარებლად იყო მიჩნეული: „ქარი მხურვალია და სიცხე ხმელი და მიწა გრილი და წყალი ნედლი მათგან იზრდებიან ოთხნიენ კუთხენი ქვეყნისანი"[2].

აღნიშნული ზოგად-ბიოლოგიურ-საბუნებისმეტყველო შეხედულებები ედო საფუძვლად ორგანიზმის, სიცოცხლის გაგებას.

ექიმებსა და ფილოსოფოსებს შორის ამ მხრივ სადავო არა ყოფილა რა. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგად-ბიოლოგიური შეხედულებანი სიცოცხლისა და ორგანიზმის გაგებაში მთლიანად ეთანხმებოდა და ემყარებოდა აღნიშნულ მსოფლმხედველობას. „წიგნი სააქიმოიში" ნათქვამია, რომ „...აქიმნი და ფილოსოფოსნი ერთნია, და მათ შუა საცილობელი არა არს, რომელი იტყვიან ვითა კაცი ამა ოთხთა ბუნებაითა არსნი არიან წყლისა, ცეცხლისა, ჰაერისა და მიწისაგან"[3].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ შეხედულებებს ემყარებოდა არა მარტო სიცოცხლისა და ორგანიზმის, არამედ ჯანმრთელობისა და დაავადების გაგებაც. XVII—XIX საუკუნემდე.

ცხადია, რომ ძველად შემუშავებული, როგორც ზოგად-ბიოლოგიური შეხედულებანი, ისე მათზე დაყრდნობილი გარკვეული სამედიცინო წარმოდგენანი ისტორიულად ვითარდებოდა და იცვლებოდა. ის დადებითი, რაც ქართულ მედიცინას ძველთაგანვე ჰქონდა მოპოვებული, რასაკვირველია, ზემოქმედებას ახდენდა სხვა ქვეყნების მედიცინაზე, ხოლო ქართული მედიცინა, თავის მხრივ, სხვა ხალხთა მონაპოვარსა და დადებით გამოცდილებას იყენებდა.

XVIII საუკუნისათვის არსებითად ახალ შეხედულებებს ვხვდებით ქართულ წყაროებში სიცოცხლეზე, ადამიანის წარმოშობაზე და საერთოდ სამყაროს აგებულებაზე. ძველი და ახალი შეხედულებების დაპირისპირება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში, კარგად არის ასახული იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში"[4].

იოანეს ძველი შეხედულებების მატარებლად გამოყვანილი ჰყავს სასულიერო პირი მირზა. ახალი, თავის დროისათვის მოწინავე საბუნებისმეტყველო იდეების გამომხატველად კი იოანე, რომლის სახით თვით „კალმასობის" ავტორი ლაპარაკობს. მირზასა და იოანეს შორის იმართება დიალოგი. მირზა ეკითხება იოანეს: „ესეც იცით, რომელნიც კაცნი სხვადასხვა პირუტყვად შეიცვალნენ თავისის ცუდის ყოფაქცევით, რომელნიც ჯერ არ იყვნენ ქვეყანაზედ გაჩენილნი." იოანე უპასუხებს, რომ „ჩვენ ეგ არ გვისწავლიაო". მაშინ მირზა დაიწყებს მოყოლას, თუ როგორ „შეიცვალენ" ზოგიერთი ადამიანები ცხოველებად. იოანეს სასაცილოდ არ ჰყოფნის მირზას ნათქვამი, მაგრამ მაინც აცლის სათქმელის დამთავრებას და შემდეგ ეკითხება: „ბატონო მირზავ, რადგან კაცნი პირუტყვებად შეიცვალნენ, მიბრძანეთ, პირუტყვნიც შეიცვალნენ კაცად თუ არა".

---

1 „იადიგარ დაუდი", გვ. 229—230.

2 „უსწორო კარაბადინი", გვ. 46.

3 „წიგნი სააქიმოი", გვ. 15.

4 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციათ. თბილისი, 1948, გვ. 10—15.

მირზა უპასუხებს: „ეს არ მომხდარა, რომ პირუტყვი კაცად შეცვლილიყოს და ეს კი ქმნილა, დევთა რომ ეძახიან ხალხნი, ესენი მთის დიდროანის ბრიყვთა ხალხთაგან წარმოებდენ ესრეთ". შემდეგ მირზა აღნიშნავს, რომ „ზოგთ რქა ებათ, ზოგთ ძუა, ზოგთ კლანჭები."

როგორც ჩანს, ლაპარაკია რუდიმენტული ორგანოების შესახებ, მაგრამ მირზას არ ესმის ამ მოვლენის არსი. იოანე არ ეშვება მირზას და ახალ ახალ შეკითხვებს აძლევს: „იოანე: ერთი რომელიმე პირუტყვი შეცვლილა სხვა პირუტყვად, უკეთუ არა.

მირზა: არ შეცვლილა კი ერთი პირუტყვი მეორე პირუტყვად...

იოანე: ნერგთა და მდელოთა შორის არა რაიმე შეიცვალნენ სხვაგვარ რაიმედ?"

ამ კითხვაზე მირზა სწორ პასუხს გასცემს: „ეგ გვარი ხელოვნებით შესაძლებელია სხვაგვარ შეცვალება, ვითარცა ნამყენი და სხვანი," მაგრამ შემდეგ ისევ გადაუხვევს.

იოანე მაინც არ ეშვება და კვლავ ეკითხება: „თევზთა და ზღვის ცხოველთა შორისაც მომხდარა რომ სხვაგვარად შეცვლილიყვნენ. მირზა: ეგ არ მახსოვს სწორად,..."

იოანე, როგორც ახალ მეცნიერულ მონაცემებს გაცნობილი პირი, დაეცინის მირზას და დიალოგის ბოლოს, მადლობის ნაცვლად, ასე ეტყვის: „ზღაპარში გამომადგება სათქმელად".

იოანესათვის ცნობილია, რომ რაც კი ბუნებაში არსებობს, ყველაფერი განვითარების შედეგია. ბუნებაში იოანე სამ სამეფოს არჩევს: „ყოველნი მყოფნი ცხოველნი და უცხოველონი ბურთსა ზედა ქვეყნისა ჩვენისასა არიან სამ სახედ განყოფილნი, სამ სამეფოდ წოდებულნი: პირველი — სამეფოდ ცხოველთა, მეორე — სამეფოდ მცენარეთა და მესამე — სამეფოდ მადანთა და სხვათა მიწათა შინა მყოფთა ნივთებთა ზედა. ხოლო თვითეულნი უკვე ამათ სამეფოთაგაანი კვალად განიყოფებიან მრავალთა დიდთა და მცირეთა ნაწილთა ზეღა, წოდებულთა ხარისხებად. და ხარისხიანი ესე განიყოფებიან გვარებთა ზედა; ხოლო გვარნი უკვე განიყოფებიან სახეთა ზედა"[1].

ცხოველთა სამეფოში განიხილებოდა: „სამეფოსა ცხოველთასა თვის ეყვიან შემდგომნი ესე: კაცნი, ოთხფეხნი ცხოველნი, ზღვის ცხოველნი, მფრინველნი, ამფაბინნი, ანუ ხმელზედაც და წყალშიაც მცხოვრებნი ცხოველნი, თევზნი, ქვეწარმავალნი, ქვემძრომნი, ქვემცურავნი, ყოველის გვარის მწერნი და ჭიაჭუანი. ესენი შეადგენენ საკუთართა ხარისხთა სამეფოსა შინა ცხოველთასა"[2].

მცენარეთა სამეფოში განიხილებოდა: „მცენარენი იწოდებიან ხედ, ბუჩქად, ბუძგნარად, მდელოდ ანუ ბალახად, შამბად, ჩალად, ლერწმად, ყვავილად, სოკოდ, ხავსად, ჩებოდ, რეზინად, ანუ კალამდრამთა საწმენდ ხილად და სხვანი ესე ვითარნი თვის ეყვიან სამეფოსა მცენარეთასა."[3]. „ხოლო მესამედ სამეფოდ ვსდებთ მიწათა, ქვათა, თვით წარმოებულთა მარილთა, მინერალთა, ანუ ძვირფასთა თვალთა, მეტალთა ანუ მადანთაგან გამოდნობილთა ნივთებთა, ნავთთა,

---

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, დასახელებული გამოცემა, გვ. 11.

[2] იქვე.

[3] იქვე.

კუპრთა, ფისთა და სხვათა ესე გვართა ნივთებთა, მიწიდგან და მადანთაგან გამოღებულთა; და სხვათა ესე გვართა, რომელნიც არიან ყოველნი ზემო პირსა ზედა ქვეყნისა სიმრგვალისა ჩვენისა, არა მექონნი ცხოველობისა სულისა,...“ [1]

ახალი საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელება, როგორც აღვნიშნეთ, ძველ შეხედულებებთან ბრძოლის პირობებში ხდებოდა. ეს ბრძოლა, კიდევ დიდხანს, თითქმის XIX საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა. შემდეგ კი, ქართული საბუნებისმეტყველო და სამედიცინო აზრის განვითარება იმდროისათვის უახლეს მეცნიერული მონაპოვარის საფუძველზე წარიმართა.

---

1 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, გვ. 11.

თ ა ვ ი III

წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ

ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანოების მოქმედების შესახებ თავისებური, ეპოქისათვის დამახასიათებელი წარმოდგენები საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული. როგორც წყაროების შესწავლით ირკვევა, უკვე V—VI საუკუნეებიდან შეინიშნება ამ წარმოდგენების სისტემაში მოყვანა და ახალი, შედარებით უფრო მართებული, შეხედულებების შექმნა.

აღნიშნული შეხედულებების შემუშავების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებისა და სამკურნალო დაწესებულებების არსებობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ IV ს. კოლხეთის აკადემიაში სხვა დარგებთან ერთად შესაძლებელია მედიცინაც ისწავლებოდა. ყოველ შემთხვევაში უმაღლესი განათლების კერის არსებობას და V საუკუნეში სამკურნალო დაწესებულებების გახსნას არ შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონოდა მედიცინისა და სამედიცინო დარგების განვითარებისათვის. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ უკვე V—VI საუკუნეებიდან არამარტო ანატომიურ-ფიზიოლოგიური ხასიათის ტერმინები გვხვდება, არამედ გარკვეულად ჩამოყალიბებული წარმოდგენებიც ცალკეული ორგანოების ან მათი სისტემების შესახებ.

V საუკუნის ცნობილი თხზულება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომლის მაღალმხატვრული ენა და ოსტატურად გაშლილი კომპოზიცია მანამდე არსებულ დიდ სამწერლობო ტრადიციებზე მეტყველებს, მთელ რიგ ჩვენთვის საინტერესო ტერმინებს შეიცავს, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაწილებს და ორგანოებს შეეხება, მაგალითად: „გული“, „თმა“, „თუალი“, „ყბა“, „ზურგი“, „ქედი“, „ძუძუ“, „ძუალი“, „პირი“, „ხელი“[1]. საგულისხმოა, რომ ყველა ეს სიტყვები იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც დღეს იხმარება.

ეს ცნობები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იაკობ ცურტაველისათვის, როგორც ირკვევა, უცხო არ უნდა ყოფილიყო სამკურნალო საქმიანობა.

---

[1] იაკობ ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა. გამოცემა ილია აბულაძისა, ტფილისი, 1938.

რა თქმა უნდა, აღნიშნული სიტყვები აქ სპეციალური მნიშვნელობით არ არის ნახმარი, მაგრამ იგი მაჩვენებელია იმისა, რომ ქართულ ენას ამ დროისათვის უკვე გააჩნდა ადამიანის სხეულის ნაწილებისა და ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინები, სიტყვის არსებობა კი ამ სიტყვით აღნიშნულ საგნის ცოდნასაც გულისხმობდა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ V საუკუნიდან მომდინარე, ამ სიტყვათა გარკვეული ნაწილი თავისივე მნიშვნელობით აქამდე დარჩა ლექსიკაში.

მსგავსი სიტყვები და ცნებები უფრო უხვად არის წარმოდგენილი VI საუკუნის ძეგლში—უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში". ამ თხზულებაში, გარდა უკვე მოხსენებული ცნებებისა, გვხვდება: „გონება", „ნაღუელი", „ნერწყვი", „ყურიმალი", „შუბლი", „საშო" და სხვ.[1]

ამავე ძეგლში გვხვდება ზოგიერთი ორგანოების ფუნქციის მართებული დახასიათება. მაგალითად, მხედველობის ორგანოდ მიჩნეული იყო თვალი, ხოლო სმენისად—ყური.

„თუალმან იხილა და ყურსა არა ესმა..."[2] ეს ცნობა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ წარმართული ხანის საქართველოში თვალს, როგორც ირკვევა, „მზერა" ან „მზირა" ეწოდებოდა და მის ნაცვლად აქ უკვე თვალი იხმარება.

V—VI საუკუნეებში და, როგორც ჩანს, შემდეგშიც, კისრის მნიშვნელობით „ქედს" იტყოდნენ: „... სცეს მახვილითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰკუეთეს თავი მისი"[3].

VI—VII საუკუნეებიდან მოყოლებული ორგანიზმის ცალკეული სისტემები შედარებით უფრო სრულად არის აღწერილი. ორგანოთა მოქმედების შორის დანახულია ურთიერთობა, შემჩნეულია, თუ რომელი ორგანო რა ფუნქციას ასრულებს, შემდეგ როგორ გრძელდება დაწყებული პროცესი ერთი ორგანოდან შეორეში და სხვ. ამ ხანაში მთავარ ორგანოებად მიჩნეული იყო ტვინი და გული.

„ცნობა და გონება", ანუ ტვინი „ყოვლისა გუამისა" ანუ მთელი სხეულის „გამგებლად" ითვლებოდა: „ვერცა ყოველნივე ასონი შემძლებელ არიედ წინააღდგომად ცნობასა და გონებასა მათსა, რ ო მ ე ლ ა რ ს გ ა ნ მ გ ებ ე ლ ყ ო ვ ლ ი ს ა გ უ ა მ ი ს ა,..."[4]

ტვინის ფუნქციაზე, ზოგიერთი მაშინდელი წარმოდგენების დახასიათებისათვის, მნიშვნელოვანია აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ გრძნობათა ორგანოების მიერ მიღებული გაღიზიანებანი ტვინს გადაეცემა. ტვინი განხილულია, როგორც „ყოველის საცნობელი".

---

[1] ანონიმი, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა. წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946.

[2] იქვე, გვ. 54.

[3] იქვე.

[4] მარტვირი ქართველი, სინანულისათვის და სიმდაბლისა. „ლიტერატურული ძიებანი", III. 1947, გვ. 299. ხაზი ჩვენია.

„ისმენენ ყურნი გარეშეთა სიტყუათა და მისცემენ ცნობასა გონებასა. და საყნოსელნი იყნოსენ რომლისაისვე და აცნობებენ ტვინსა და ყოვლისა საცნობელსა“

მეტად საყურადღებოა ამავე ხანაში არსებული წარმოდგენები საჴმლის ბონელებისა და ამ პროცესში მონაწილე ორგანოების ფუნქციის შესახებ. ირკვევა, რომ „საზრდელი“ ანუ საკვები ჯერ პირის ღრუში უნდა მოხვდეს. კბილები მას „გასცოხნიან“ ანუ დაღეჭავენ, სასა შეიგრძნობს საკვების გემოს—„სასა გემოსა იხილავს“, ხორხი დაღეჭილ საკვებს პირიდან სტომაქისაკენ გაატარებს და შინაგან ორგანოებში დაიწყება მისი გადამუშავება. სტომაქი ანუ კუჭი მიღებულ საკვებს „მოიდნობს“—მოინელებს: ორგანიზმისათვის ვარგის ნაწილს ღვიძლს მიაწვდის, ხოლო უვარგისი, ნარჩენი ნაწილი, გადადის ნაწლავებში და მათი საშუალებით ხდება გარეთ გამოყოფა.

ღვიძლი მიღებულ საკვებს გადაამუშავებს, „სიპოხესა“ და „ძალსა საზრდელისასა“ გადასცემს სისხლს. სისხლი მიიტანს მას გულში და გული „განუყოფს სისხლსა მას ცხოველობისასა“ ყოველ ორგანოს. ეს პროცესი მთლიანად შემდეგნაირად არის აღწერილი: „...მისცემენ საზრდელსა პირსა, და კბილნი განსცოხნიან, და სასაი გემოსა იხილავს, და ხორხი[1] შთააბნევს სტომაქად... სტომაქი მოიდნობს საჴმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მათ ღუიძლისათა და ნაწლევნი შეიწყნარებენ რუეთა შინა მათთა ნივთთა მათ უშუერთა და გარყვნილთა და მიერ გასთხევენ. და არს იგი საძაგელ და საწყინელ; ხოლო არავე დაეყენებიან ამას უშუერისა და საწუნელისა მსახურებისა-გან თავხედობით. და სიპოხესა მას და ძალსა საზრდელისასა ღუიძლი განუყოფს სიმხურვალეთა სისხლისათა და მიუძღუანებს გულად, მეუფისა მას ასოთაისად. და გული განუყოფს სისხლსა მას ცხოველობისა ყოველთა ნესტუთა გუამისათა...“[2].

ამ წარმოდგენების სიმარტივისა და სქემატურობის მიუხედავად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ადამიანის არსებობა მთლიანად ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებშია დანახული და არა რაიმე სხვა გარეშე ძალაში.

მსგავსი წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების შესახებ შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც გვხვდება.

VIII საუკუნეში ცნობილი ყოფილა, თუ რა გადამწყვეტი და მთავარი ვნიშვნელობა აქვს აქტიურ ყურადღებას მოსმენილის შესაცნობად. რომ მოსმენილი შეიძლება არ გადაიქცეს ცნობიერად, თუ გონება მომზადებული არ არის მოსმენილის მისაღებად: „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელი თქუენნი და უფროისღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქვენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა,...“[3]

---

[1] დასახელებულია საყლაპავი მილის მნიშვნელობით.

[2] იქვე, გვ. 299—300.

[3] იოანე საბანის-ძე, „აბო ტფილელის მარტვილობა“. წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 56.

გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა, მოყვანილი ადგილი ინტერესს იწვევს ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინებითაც. მაგალითად, „სასმენელნი“, მე-8 საუკუნემდე და მის შემდეგაც გვხვდება სმენის ორგანოს მნიშვნელობით[1]. „ყურნი გულისა“ ყურადღების მნიშვნელობით არის ნახმარი. ქართულ ენაში ახლაც იხმარება „გულისყურით“ მოსმენა. ეს იმდროინდელი წარმოდგენის ნაშთი უნდა იყოს, როცა ფიქრობდნენ, რომ გული შეგრძნებაში მონაწილეობს. გავიხსენოთ გამოთქმა „უგულო კაცი“, უგრძნობელის მნიშვნელობით რომ იხმარება და სხვ.[2]

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ამავე საუკუნის ძეგლში თვალის ისეთი ნაწილის დასახელება, როგორიც არის გუგა. „...ჰხედვიდეს გუგაითა თუალისაითა,...“[3].

VI—VII საუკუნეებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასა მიჩნეული იყო გემოს შეგრძნების ადგილად. ასეთივე წარმოდგენა არსებობდა მე-8 საუკუნეშიც.

მთელი რიგი წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინები საუკუნიდან საუკუნემდე მრავლდებოდა, ივსებოდა და კითარდებოდა. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ მათ იყენებდნენ და ეს აძლევდა მათ გამძლეობას.

X საუკუნისათვის წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ არსებითად შევსილა და გაფართოებულა. ამ ეპოქის საბუნებისმეტყველო-სამედიცინო და სხვა წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ცნობების სიუხვე საშუალებას იძლევა ორგანოთა თითოეული სისტემა ცალ-ცალკე იქნეს განხილული.

ძვალ-კუნთოვანი სისტემა

X საუკუნით დათარიღებულ წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ძვალოვან ჩონჩხს განიხილავდნენ როგორც სხეულის საყრდენს და მას ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნების ფუნქციას მიაწერდნენ.

ფიქრობდნენ, რომ ძვლების ერთმანეთთან შენაწევრება-შესახსრება „ლარების“ ანუ კუნთების საშუალებით ხორციელდება. მთლიანად კი ძვალ-კუნთოვანი სისტემა მოძრაობის აპარატად ითვლებოდა: „...ძოუალნი ესე მაგარნი და ხმელნი და შეიძუნეს ნოტიითა ხორცთაითა და იქმნნეს შედგმოუელ და შენაწევრებოული ერთი ერთსა და შეძორწოუილ ლარითა. და ამის გამო შეიერთა და

---

[1] სტეფანე მტბევარი, გობრონის წამება, დასახელებული გამოცემა, გვ. 81.

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით 1938 წელს, „ჭანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ აკაღ. არნოლდ ჩიქობავა წერდა: „ქართულში გულ-ფუძე მთელ რიგ რთულ ფუძეებსა და გამოთქმებს აწარმოებს“. „ქართულის მიხედვითაც ცხადია, რომ გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ—ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების ამთვისებლად; ერთი სიტყვით, მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს—სიცოცხლის მატარებელი გულია!

ჩანს, ძველი ადამიანის ყურადღება ადრე მიიპყრო ამ ორგანომ, რომლის საქმიანობა ისე მნიშვნელოვანი იყო და თვალსაჩინო“. იხ. აგრეთვე ა. ფრანგიშვილის ნაშრომი: „გულ“ სიტყვის და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ ფსიქოლოგია, III, თბილისი, 1945, გვ. 449—493.

[3] იოანე საბანის-ძე, „აბო ტფილელის მარტვილობა“. იგივე წიგნი, გვ. 68.

განსროულდა და დადგა განსწორებოული ძლიერნი და იქმნნეს ძოუალნი იგი ხმელნი და მაგარნი მტვირთელ ხორცთა მათ მძიმეთა"[1].

ამავე დროს კუნთოვანი სისტემის ფუნქციაში შედიოდა სხეულის ყველა ნაწილების მოძრაობა, გარკვეული მოქმედების წარმოება და მუშაობის შესრულება. „...შეძერწოული ლართაგან მრავალთა ამის გამო იქმნნეს ღონენი ხელთანი და მრავალ სახენი მსახურებანი მისნი შოუენიერნი.

ყოველთა ღონეთა შინა და მის გამო იქმნა ძრვაი ხელისაი და მიმოდრეკაი თავისაი და საქმე ღაწოუთაი და დაწოუხვაი და ახილვაი თოუალთაი და სხოუანიცა ძრვანი ითგთანი, ლართაგან რომელნი შეიოქვებიან და განიმარტებიან"[2], ე. ი. სხეულის სხვადასხვა ნაწილები შეძერწილნი აიარნ ლართაგან ანუ-კუნთებისაგან. კუნთები აძლევენ ხელებს ძალღონეს და მათი მონაწილეობით ხორციელდება ხელების მრავალფეროვანი მოქმედება. აგრეთვე კუნთებზეა დამოკიდებული თავის მოძრაობა—„მიმოდრეკა", „ღაწვების" (ღაწვი ლოყას ნიშნავს, მაგრამ აქ ყბის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი) მოძრაობა, თვალების დახუქვა და გახელა, ანუ ქუთუთოების მოძრაობა და სხვ. ცნობილი ყოფილა, რომ კუნთების მეერ შესრულებული მოძრაობა ანუ ყოველგვარი მოქმედება მათი შეკუმშვით და გაშლით ხორციელდება („შეიოქვებიან და განიმარტებიან"). თვით ძვალ-კუნთოვანი სისტემის მოქმედებას ანუ „ძრვას" კი თავის ტვინის ძარღვებს და აპკს უკავშირებდნენ. ამ ურთიერთობის გარეშე სხეულის მოძრაობა შეუძლებლად მიაჩნდათ. „ხოლო ძირი ლართაი მოძრაობისაი აპკაი არს თავისაი". წიგნში „ბუნებისათვის კაცისა" ვკითხულობთ, რომ „...მიდრეკისა დასაბამ ვინაი-მე ტუინებრივი ძარღუი, რომელი გარდაჰვლის საშუალ ოდენ თავსა და უკანით კერძოი ტუინი, რომელი ამის ძარღუისავე არს ნაწილი;"[3].

XI საუკუნეში ადამიანის ჩონჩხში 280 ძვალს ითვლიდნენ. მათ შორის არჩევდნენ გულმკერდის, სახის, ზემო კიდურების, ხერხემლის, ქვემო კიდურების ძვლებს და სხვ.

„... კაცისა ტანშიგა ორას ოთხმოცი ძვალი არის. ამისგან ორმოცდახუთი ძვალი თავისა, ხელისა, და პირის სახეშიგა არის. სამი თავისა კეფაშიგა, ორი პირშიგა. ოცდა თორმეტი კბილი. ოცდათურამეტი გულის ბირთა და მკერდსა. ექუსი ორთავე მხართა შუა, ორი ბეჭი, ორი სათაგვე, ოროლი მკლავისა, ორისავე ხელისა ნებსა და თითებშიგა ორმოცდა ექუსი. თორმეტი ზურგის მძივი. ორსავე გვერდისა ოცდა ოთხი. ორი ბარკლისა, შუა ძვალი, ორი თეძო, საჯდომისა რვა. ჩერანისა და კუნთებშიგან სამსამი, ფერხთა და ტერფთა და ჩონჩხთა ძიგა ორმოცდა ექუსი"[4].

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით ძნელია მთლიანად იმის გათვალისწინება, თუ რომელ ძვლებზეა სახელდობრ აქ ლაპარაკი, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია მისი გამორკვევა.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ სხეულის აგებულების აღწერის წესი განსხვავდებოდა თანამედროვე ანატომიური აღწერისაგან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ძველად, ძვლების, კუნთების საერთო რაოდენობას ერთად

---

[1] გრიგოლ ნოსელი, „კაცისა შესაქმისათვის": გამოცემა მ. ჯანაშვილისა, თბილისი, 1891 გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 97—98.

[3] „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 118.

[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 34.

აღნიშნავდნენ და არა ცალ-ცალკე, როგორც ახლა. მაგალითად, თანამედროვე აღწერილობის მიხედვით, ქვემო კიდურზე იტყვიან, რომ მის შემადგენლობაში შედის: ბარძაყი, კვირისტავი და კანჭი, რომელიც დიდსა და მცირე წვივს შეიცავს. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ასევეა მეორე მხარეზეც. ძველად კი იმავე ქვემო კიდურს ასე აღწერდნენ: ორი ბარძაყის ძვალი, ორი კვირისტავი და ოთხი კანჭის ძვალი, ე. ი. სხეულის მარჯვენა და მარცხენა ნახევარის ძვალთა რაოდენობა ერთად იყო მოცემული.

ამ პრინციპის გათვალისწინების შემდეგ შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ, ადამიანის ჩონჩხის რომელი ძვლებია წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილ აღწერილობაში. კბილების რაოდენობა (32) სწორად არის დასახელებული. სცოდნიათ აგრეთვე ბეჭის ძვალი (2), მხრის ძვალი (2), რომელსაც „სათაგვეს“ უწოდებდნენ. ეს სახელი ორთავა კუნთის იმდროინდელი სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები. ორთავა კუნთი ანუ „სათაგვე“ სწორედ მხრის ძვალზე ძევს. „ოროლი მკლავისა“, ე. ი. ორი მარჯვნივ და ორი მარცხნივ, იდაყვისა და სხივის ძვლებს შეეხება, რადგან „მკლავი“ იდაყვის სახსრის ქვემო ნაწილს ეწოდებოდა[1]. ხერხემლის მალებიდან აქ დასახელებული თორმეტი „ზურგის მძივი“ გულმკერდის მალებს უნდა გულისხმობდეს, რომელთა რიცხვი, მართლაც, 12 უდრის. არჩევდნენ აგრეთვე 24 ნეკნს, ე. ი. 12-ერთ მხარეზე და 12-მეორეზე (ნეკნებს გვერდის ძვლებსაც უწოდებდნენ). ცნობილი ყოფილა ორი ბარძაყის ძვალი („ორი ბარკლისა“), ერთი მარჯვნივ და ერთი მარცხნივ. შემდეგ, მენჯის ძვლებს შორის არჩევდნენ—ორ თეძოს ძვალს, საჯდომ ძვლებს და „შუა ძვალს“, რომლის ქვეშ შეიძლება გავის ძვალი იგულისხმებოდეს.

რას უნდა ნიშნავდეს „ჩერანისა და კუნთებშიგან სამსამი“. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ჩერანი წვივის გნდე“[2], ხოლო „გნდე“ მისავე განმარტებით არის „გარეგანი კუთხე მახვილისა“[3], გამოდის, რომ ჩერანი წვივის კუთხეს ნიშნავს. თუ ეს ასეა, შეიძლება „ჩერანისა და კუნთებშიგან სამსამი“ გავიგოთ როგორც კვირისტავი, დიდი და მცირე წვივის ძვლები—3 მარცხნივ და 3 მარჯვნივ ანუ „სამსამი“.

შემდეგ საუკუნეებში, სახელდობრ XIII საუკუნეში, შეხედულება ძვალოვანი ჩონჩხის დანიშნულების შესახებ არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ ცნობები მის აგებულებაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი.

ფორმის, სიგრძისა და სიმსხოს მიხედვით არჩევდნენ: მრგვალ, ნახევრად მრგვალ, გრძელ, მოკლე, მსხვილ და წვრილ ძვლებს: „...ძუალი მრავალ ფერი არს, მეტად ქაცთა. ზოგი მრგვალია და ზოგი ნახევარ მრგვალი, და ზოგი გრძელი არს და ზოგი მოკლე, ზოგი სხვილი არს და ზოგი წვრილი“.[4]

ცნობილი ყოფილა აგრეთვე, რომ ხერხემლის სვეტი ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ზურგის ძვალი“, შესახსრებული მალებისაგან („მძივები“) არის შემდგარი. ხერხემლის სვეტში არჩევდნენ „ყელის“, „ზურგის“, „მუცლის მძივებს“. თანამედროვე დაყოფის მიხედვით „ყელის მძივები“ კისრის მალებს შეესაბამება, „ზურგისა“ გულ-მკერდისას, „მუცლისა“ კიდევ წელისას.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი, 1949.

[2] იქვე, გვ. 818.

[3] იქვე, გვ. 119.

[4] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 19.

ყელის, ზურგისა და მუცლის „მძივებს“ ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ ფორმისა და ხვრელის სიდიდის მიხედვით. სხვა მალებთან შედარებით უმცირესად და დიდი ხვრელის მქონედ „ყელის მძივები“ ითვლებოდა, ხოლო „ზურგისა“ და „მუცლის მძივებ“ კი უფრო მსხვილად, მაგრამ პატარა ხვრელის მქონედ იყო მიჩნეული.

კისრის მალებს შორის განარჩევდნენ მე-7 მალას, რომელსაც ახლა წარზიდულ მალას უწოდებენ. „სამკურნალო წიგნში“ ვკითხულობთ, რომ „...კაცისა კისერი რომე დაილევის, ორი ძუალია იქი-მაღლა კისერსა და ზურგის ძუალსა შუა; ყოველსა კაცსა მაღლად ეჩუენების ისი ძუალი“[1]: აღნიშნული მალას მდებარეობის ცოდნას დიდ პრაქტიკულ ღირებულებას ანიჭებდნენ.

როგორც ირკვევა, საკმაოდ ზუსტად სცოდნიათ მალების რაოდენობა. სულ ითვლიდნენ 24 „მძივს“ ანუ მალას, მათ შორის: „ყელისა“—7, „ზურგისა“—12 და „მუცლისა“—5.

„ზურგისა მძივნი ათორმეტნია, და ყელისაგან უფროისნი და უძლიერესნია, და მისი ხურელი უვიწრესია ყელისა მძივისა ხურელთაგან, და თაჰიგაჰისა მძივი ხუთნია და უფროსნია ზურგისა მძივთაგან. და ხურელი მისი უვიწრესია ზურგისა მძივისა ხურელისაგან. და ესე ყუელა ოცდა ოთხი მძივი არს ერთმანეთსა თან მოკიდებული მაგრად და მიწყით“[2].

განვიხილოთ თუ როგორი იყო წარმოდგენები ამავე ხანაში გულმკერდის ჩონჩხის შესახებ. გულმკერდის ჩონჩხიდან კარგად იცნობდნენ ნეკნებს, რომელთაც „წიბოს ძვალს“ უწოდებდნენ. არჩევდნენ 24 „წიბოს ძვალს“ ანუ ნეკნს. სცოდნიათ, რომ მათ შორის 14 ნეკნი, ე. ი. შვიდი მარჯვნივ და შვიდი მარცხნივ, ერთი ბოლოთი ხერხემლის მალებს, ხოლო მეორეთი მკერდის ძვალს უკავშირდება. დანარჩენი 10 ნეკნი, ე. ი. ხუთი ერთ მხარეზე და ხუთი მეორეზე, მხოლოდ ერთი ბოლოთი უკავშირდება ხერხემლის მალებს.

„წიბონი ძუალნი ოცდა ოთხნი, ზოგი მათგან მოკლე და ზოგი გრძელი. თოთხმეტი მათ თანა იგი არს რომელ თავი მათი მარჯვენით და მარცხენით მოკიდებული არს ზურგის ძვლისა მძივთა და სხვა თავი მათი მკერდისა ძუალსა მოკიდებული, და ათი ძუალი იგი არს რომელ მათი თავი ზურგისა ძუალისად მოკიდებული არს, და სხვაი თავი მათი არს რომელ შუა ძუალსა ჰკიდავს“[3].

„წიბოს ძვალს“ ანუ ნეკნს თავისი მოყვანილობის მიხედვით მშვილდს ადარებდნენ. ნეკნის მშვილდისებური ფორმის დანიშნულებას შინაგანი ორგანოების დაცვაში ხედავდნენ.

„და ღმერთსა ესე ძუალი მრუდათ დაუბადებია, არს ვითა მშილდი, მით რომელ ესე ძუალნი მუცლისა შიგან მყოფთათვის მცველია,...“[4].

ორივე ქვემო კიდურში ერთად განიხილავდნენ ორი ბარძაყის, ოთხი წვივის, ოთხი კოჭის, ორი ქუსლის, 6 ტერფის და 30 ფეხის თითების ძვალს.

ზემო კიდურის ძვლების რაოდენობისა და დასახელების მხრივ XIII საუკუნეში წინა ხანასთან შედარებით რაიმე განსხვავება არ შეინიშნება.

საინტერესო ცნობები გვხვდება თავის ქალას აგებულებისა და ფორმის მნიშვნელობის შესახებ. კეფის ძვალი სხვა ძვლებს შორის უმაგრესად ითვლე-

---

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 339—340.

[2] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 18.

[3] იქვე, გვ. 18,19.

[4] იქვე, გვ. 19.





ბოდა. თავის ქალას სიმრგვალის შესახებ ფიქრობდნენ, რომ ასეთი ფორმა უფრო უკეთ დაიცავს მას გარეშე გავლენისაგანო. „...კიფაი პირველ შეიკვრის და ტანისა ძუალთა ყოველთაგან იგი უმაგრესი არს და მიწასა შინა უგვიანე დალპების, და ღმერთსა მით მაგრად დაუბადებია რომელ კარგი ასო არს, სხუათა ასოთა მცველი ფათერაკისაგან, და ესე მით არს რომელ მრგუალად დაბადებული არს რომელ მრგუალი უფრო დაცული იქნების ფათერაკისაგან"[1].

საყურადღებო ცნობები გვხვდება აგრეთვე ქვედა ყბისა და ცხავის ძვლის შესახებ. ქვედა ყბას იმდროისათვის „ზარნიხის" ანუ „ზანახის"[2] ძვალსაც უწოდებდნენ. ქვედა ყბაზე ორ პატარა ნაპირს არჩევდნენ, რაც შეიძლება ქვედა ყბის ძვლის გვირგვინისებრ და სასახსრე მორჩებს გულისხმობდეს. ცნობილი ყოფილა, რომ ამ „ნაპირებით" ხდება ქვედა ყბის შესახსრება თავის ქალას სათანადო ფოსოებთან.

„და სხვაი ძუალი ზანახისაი არს, და ორ პატარად არს, და ორი ნაპირი მისი თავისა კეფასა თანა მოკიდებული არს,..."[3].

ქვედა ყბის მთავარ დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ იგი ღეჭვაში მონაწილეობს.

ცხავის ძვალს „ცხავის მაგვარს" უწოდებდნენ. მასზე აღნიშნავდნენ სხვადასხვა ფორმის და სიდიდის ხვრელებს. იმდროინდელი წარმოდგენით, ცხავის ძვლის დანიშნულება იყო დაეცვა ტვინი, ძლიერი სუნთქვის დროს ჰაერის ტალღის კვეთების მავნე ზეგავლენისაგან. ხვრელების საშუალებით კი თითქოს უნდა განხორციელებულიყო კავშირი ტვინსა და ცხვირის ღრუს შორის.

„...ამა ხურელთა[4] ქვეშე ორი ძუალი სხვაი არს რომელ გახურეტილ არს, და ზოგი ამა ხურელთა მართალი არს ზოგი მრუდი, და ესე ხურელნი აშორებენ ტვინსა თავისასა მით რომელ სულთქმამდინ გრილი ჰაერი ცხუირთაით არ ეცეს ტვინსა და არა ავნოს"[5].

იმავე ხანის არასამედიცინო წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ადამიანის ჩონჩხის ნაწილების აღნიშნული ანატომიური დასახელებანი საკმაოდ ვავრცელებული ყოფილა. მაგალითად, „ამირანდარეჯანიანში" რამდენჯერმე გვხვდება: ზურგის ძვალი, თეძოს ძვალი, მხარი, მკერდი, ზურგის მძივი, ბეჭი და სხვ. მოგვყავს მასალა ზოგიერთი მათგანის შესახებ.

ზურგის ძვალი. „ჯიმშერ ჯირითი ჰკრა და გული გაუხვრიტა და ზ ურ გ ის ძ ვ ალ ი[6] მოსტეხა და იქით გავლო"[7].

თეძოსა თავი. „...ჰკრა მანცა მარცხენასა მ ხ ა რ ს ა და მარჯვენასა თ ე ძ ო ს ა თ ა ვ ს ა დაასუა და მოკლა იგიცა და წავიდა"[8].

---

1 „წიგნი სააქიმოი", გვ. 17—18.

2 ზანახ არაბულად ნიკაპი, აქედან „ზანახისა"—ნიკაპისა, ანუ ქვედა ყბა. იხ. „წიგნი სააქიმოი", გვ. 309.

3 „წიგნი სააქიმოი", გვ. 18.

4 ლაპარაკია ცხვირის უკანა გასავლებზე.

5 „წიგნი სააქიმო", გვ. 19.

6 ხაზი აქაც და შემდეგაც ჩვენია.

7 „ამირანდარეჯანიანი", იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II. შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 127.

8 იქვე, გვ. 61.

მკერდი. „...დაჰკრა მ კ ე რ დ ს ა, გაჰკუეთნა პოლოტიკნი რკინისანი, ჯავშანი და ჯაჭუი, და მ კ ე რ დ ს ა დიდი შეჰკუეთა"[1].

მხარი. „...ამიღო უნაგირთაგან და ქუეყანასა დამკრა და მ ხ ა რ ი მომტეხა"[2].

შემდეგი საუკუნეების წერილობით წყაროებში დაწვრილებითი ცნობები ადამიანის ჩონჩხის აგებულების შესახებ ნაკლებ შემორჩა, მაგრამ ირკვევა, რომ XV—XVI საუკუნეებიდან ადგილი აქვს ახალი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინების გაჩენას. ეს ფაქტი იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პერიოდში მანამდე არსებული წარმოდგენები კვლავ ვითარდებოდა და ივსებოდა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინტერესი ადამიანის ანატომიის შესწავლისადმი კი არ შენელებულა, პირიქით, იზრდებოდა. ამას სხვათა შორის, მოწმობს XVII საუკუნის ერთ-ერთ ქართულ სამედიცინო ხელნაწერში აღმოჩენილი სურათი, რომელზეც წარმოდგენილია ფანქრით შესრულებული ადამიანის ჩონჩხი[3].

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის ადამიანის ჩონჩხის აგებულების შესახებ არსებული შეხედულებებისა და ქართული ანატომიური ტერმინოლოგიის გასარკვევად საყურადღებო მასალას იძლევა 1804 წელს ვასილ ჭილაძის და გოდერძი ფირალიშვილის მიერ, იოანე ბატონიშვილის მონაწილეობით თარგმნილი ხელნაწერი—„საფუძველითნი კანონნი ანუ მოკლე-ხელის-მძღვაველობა მხაზველობითისა ხელოვნებისადმი"[4]. მოგვყავს ძვლების აღწერილობა.

ტაბულა VIII

+ შუბლის ზეითა ძვალი ანუ წინა თხემი.
A შუბლის ძვალი.
C კეფის ძვალი.

---

[1] „ამირანდარეჯანიანი", დასახ. გამოცემა, გვ. 42.

[2] იქვე, გვ. 68.

[3] „კარაბადინი" (XVII ს.) ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი Q 562.

[4] ეს წიგნი 1734 წელს გერმანულ ენაზე გამოუცია ნიურნბერგის სამხატვრო აკადემიის რექტორს იოანე-დანიელ პრეისლერს. 1795 წელს რუსულად უთარგმნიათ, ხოლო 1804 წელს პეტერბურგში რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნა დაუწყია ვასილ ჭილაძეს, მაგრამ როგორც ანდერძიდან ირკვევა, გარდაცვალების გამო ვერ დაუმთავრებია; ეს საქმე უკისრია გოდერძი ფირალიშვილს. ძვლებისა და კუნთების სახელთა ქართული შესატყვისობის შერჩევაში იოანე ბატონიშვილსაც მიუღია მონაწილეობა. მოგვყავს იოანე ბატონიშვილის ძიერ დაწერილი წინასიტყვაობა და ანდერძი.

„საფუძველიანი წარმოდგინება და ნათლად ჩუენებაი ანატომიისა მხატვართათვის მოთხრობა იოანე-დანიელისა პრესლერისაგან. ყოველთა მეცნიერთაგან პირველივე შემმეცნებელ არს სინამდვილე ამისა საქმისა, რომელ ანატომის ცოდნაი ძვალთა და მუსკულთა და ეგრეთვე ხორცთა კაცისათა მხატვარსა ვისმე დამხაზუელსა გამოცდილსა აუცილებლად ეხმარების". ფ. 115 r.

ა ნ დ ე რ ძ ი

„დასრულდა ანატომიის აღწერა სახმარად სამხატროისა, აგვისტოსა ა. წელსა ჩუ3, პეტერბუღსა შინა. დარჩა ეს უთარგმნელად ვასილი მათუეიჩს და გოდერძი ფირალოვს ვათარგმნინე ეს ანატომია. და ძვლებისა და ხორცის სახელების პოვნაში შეეწეო მეფის ძე იოანე. და ეს ანატომიაც მეუე გადაეწერე, ქართველთ ერისა და მხატვრობისა მსურველთათვის დაშვერ, რომელ არა თუ მხატრობას, არამედ ღუმიტრიის ხაზებსაც აცნობებს". ფ. 117 v.

E ლოყის ძვალი.
F ზემორე ღაწვი.
G ქვემორე ღაწვი.
H ძვალი ცხვირისა.
I თვალის ხვრელი.
K მძივად ასხმული ძვალნი, სათვალავად 34. რომელ ამათგანსა 7 შვიდსა ეწოდების მძივნი კისრისანი, საშუალთა, 12 ზურგის მძივის ძვალნი, და 5 ეწოდების წელის მძივის ძვალნი, რომელნიცა შეუდგებიან ზურგის მძივსა; 6 ეწოდების ჯვარედინი ძვალნი; და 4 კუდუსუნის ძვალნი.
L მკერდის ძვალი, რომელ არს გულის ფიცარი.
M გულის კოვზი.
N ლავიწი
P ზემო მხარე ანუ ქვემო მხარე ბეკისა
X იღლიის ძვალი, რომელსა ეწოდების ყვავის ცხვირი.
V გვერდი 24, გვერდთა მიერ შემდგარი.
Z მხრის თავის სიღრუვე ანუ რომო.
E მხრის თავი ამავე ძვლისა.
G მხრის ანუ მკლავის ძვალი, გინა პრწკალი.
R იდაყვის ძვალნი, იდაყვისავე სახსარში დაბოლოებულნი გარეთ და შიგნით.
B მაჯის ძვლები. იდაყვზედვე დაბოლოებულნი, პწკლებითურთ.
a დიდი ძვალი მაჯისა.
b მაჯის სახსარი რვის ძვლისაგან შედგმული.
c ხელის ზურგზედ არის ოთხი ძვალი.
d თვინიერ ცერისა ოთხთ თითთა აქუსთ სამი ძუალი.
e ცერსა აქვს ორი ძვალი.
g სიმაღლე წელისა თავისის მძივებით.
h თეძოს თავების ძვალნი.
I მენჯის ძვალი.
K უსახელო ძვალი.
I ადგილი ანუ ბუდე თაბუხის თავისა.
O თავი ბარკლის ძვლისა.
P ძვალი ბარძაყისა.
q კვირისტავი დიდი ლაჯის გარეთ.
r პატარა კვირისტავის ძვალი ლაჯს შიგნით, ანუ სადრეკნი.
f ბარძაყის თავი, რომელიცა მუხლისთავს აბია.
t ჯამი მუხლის თავისა.
U კანჭის წინა დიდი ძვალი.
X დიდი წვივის ძვალი.
y პატარა კანჭის ძვალი.
g ფერდი ანუ ნეკნები შინაგანი და გარეგანი.
g ნეკნები.
g შვიდნი ძვალნი ნეკნებისა.
r ფეხის ზურგი ხუთთა ძვალსა შიგან შედგმული.

b ძვალნი ფეხის თითთანი, რომელ ცერსა მას აქვს ორი ძვალი; და თითთა სამსამნი მსგავსად ჩვეულებისა.

Θ ქუსლის ძვალი.

ტაბულა IX

B. სარქველი ანუ საქოჩრე.
ზურგით კერძო, (ე. ი. ზურგის მხრიდან);
D კეფა.
O ბეჭნი
Q ბეჭის თავი
R ბეჭის ფრთა ქვემოთა
S დასაბამი ანუ საფუძველი ბეჭთა.
T ზევითა გვერდები ბეჭებთან.
V უკანა ლავიწი ბეჭზედ.
f ჯვარედინი ძვალი.
m კუკუხო
n სიმაღლე უკანა ბეჭისა.

თუ წარმოდგენილ აღწერილობას სურათების მიხედვით განვიხილავთ, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ გარდა კვირისტავისა, თითქმის ყველა ძვალი სწორად არის დასახელებული.

ზემოთ უკვე განვიხილეთ, თუ როგორი იყო წარმოდგენები კუნთების შესახებ X საუკუნეში. უნდა აღინიშნოს, რომ XI—XII საუკუნეებში ეს წარმოდგენები მნიშვნელოვნად გაფართოებული მოჩანს. ზოგიერთი განსხვავება კუნთის დასახელებაშიც მომხდარა. თუ X საუკუნეში კუნთი „ლარის“ სახელით გვხვდება, ახლა მის გვერდით ხმარებაში შემოდის „მომზიდველი თაგვნი“[1], „ატალა“[2] და სხვ. გვხვდება აგრეთვე სამოძრაო აპარატის ისეთი მნიშვნელოვანი წარმონაქმნების დასახელება, როგორიც არის: „იოგები“, „მყესები“ და სხვ.

მთლიანად სამოძრაო აპარატი წარმოდგენილი იყო კუნთებით, ნერვებით („წურილნი ძარღუნი“) და მყეს-იოგებით. ფიქრობდნენ, რომ ყველა ეს წარმონაქმნები მტკიცედ იყო სხეულთან და ერთმანეთთან შემტკიცებული და შეკრული („თანაშეზღუდული“) ფასციით, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში ხან „ტენონის“, ხან „შეშაძარღუის“[3] და „ინოის“ სახელწოდებით გვხვდება. ამ ტერმინებს შორის მნიშვნელობის მხრივ დიფერენციაციის გატარება მეტად ძნელდება. სამოძრაო აპარატში განიხილავდნენ აგრეთვე სახსრებს. სახსარი ხან „სადრეკელის“ და ხან „საქციელის“[4] სახელით იხსენიება. სახსრებს ანუ „საქციელს“ ყოფდენ ორ დიდ ჯგუფად. ერთში შედიოდა დიდი სახსრები, მეორეში მცირე სახსრები. ცალკეულ სახსართა დასახელება არ გვხვდება. სულ ითვლიდნენ 508 სახსარს, აქედან 140-ს თავსა და პირში, 18 ყელში, 48 გვერდებში, 14 მკერდში, 8 მხარში, 80 მკლავებში, 8 ხელის მტევანში, 16 ნების ზურგისა, 60 ზემო კიდურის თითებისა, 34 ზურგისა, 4 ზურგსა ზედა, 4 მუხლებში, 8

---

[1] ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, თარგმანი იოანე პეტრიწისა. ს. გორგაძის გამოცემა, თბილისი, 1914, გვ. 19.

[2] „წიგნი საკითხი“, გვ. 26.

[3] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 118. 119.

[4] იქვე.





წვეულებში, 4 ქუსლებში, 4 „ქუსლთა წინა“, 20 თითების ზურგზე, 60 ფეხის თითებში.

ყოველგვარი, როგორც უნებლიე, ისე ნებითი მოძრაობების განხორციელებას „ტუინებრი ძარღუებს“[1] უკავშირებდნენ.

საინტერესო ცნობები გვხვდება კუნთების შესახებ XIII საუკუნით დათარიღებულ წყაროებში. იმ დროისათვის ორგანიზმში 527 კუნთს, ანუ „ატალს“ არჩევდნენ. მათ შორის სცოდნიათ თვალის კუნთები 24, სახის, პირისა და ბაგისა 43, თავის მიდამოსი 23, ენისა 9, „პირსა ქუეშე და ფირტეისა ყიასა და გვერდისა ძირსა 20“[2], კისრის მიდამოსი 6, „ოცდა შვიდი ხელთა შიგან და რვაი მკლავთა შიგან“[3], ხელის მტევნისა 34, ნებისა 36, მკერდისა 107, ზურგისა 48, მუცლისა 8, შარდის ბუშტის პირისა 1 (შეიძლება შარდის ბუშტის სპინქტერი იგულისხმებოდეს), სასქესო ასოსი 4, საჯდომისა 4, „ოცდა ექვსი თეძოთა და ბარკალთა შიგან, და თერამეტი მუხლთა შიგან, და ოცდა რვა წვივთა შიგან და კოჭთა შიგან, და ორმოცდა თორმეტი ფერხთა შიგან....“[4].

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კუნთების რიცხვი დაახლოებით ემთხვევა თანამედროვე მონაცემებს, მაგალითად, ენის კუნთების რაოდენობა (9), მუცლისა (8) და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ კუნთები გარკვეულად არის დაჯგუფებული. გამოყოფილია თავის კუნთები, შემდეგ თვალების, ამას მოსდევს „პირის, ბაგისა და სახისა“, ენისა, პირის ქვემო მიდამოსი, შემდეგ კისრის და ყელისა, მერე ზემო კიდურებისა— ნაწილ-ნაწილ (ხელი, მკლავი, მტევანი, ნები), მკერდის, ზურგის, მუცლის, შარდსასქესო სისტემის—„მათანასა და სამამაცოსა შიგან“, შემდეგ, საჯდომის, თეძოს, ქვემო კიდურებისა ნაწილ-ნაწილ: „ბარკალთა, მუხლთა, წვივთა, კოჭთა, ფერხთა“.

ზემოაღნიშნულ XVIII საუკუნის მხატვრობის შემსწავლელთათვის განკუთვნილ ანატომიის სახელმძღვანელოში ადამიანის ჩონჩხის აღწერის შემდეგ კუნთოვანი სისტემა არის განხილული. დასახელებულია 67 კუნთი, მათი დაწყებისა და მიმაგრების ადგილი და ფუნქცია.

მოგვყავს ცხრილების მიხედვით.

ცხრილი X

1. იწყების თავის სარქველიდამ და დასრულდების წინაკერძოდ წარბთან.
2. მრგუალი, იწყების საფეთქლებიდამ და გავრცელდების ვიდრე თვალის ქუთუთომდე და შეკმუხვით დაეფარების თვალთა.
3. უმაღლესი იწყების ნახევარ სიმრგვლისაგან თავისა და დაუტევებს ძვალსა საფეთქლისასა და გავრცელდება ქვევითა ყბამდე.
4. იწყების ზედა ყბის ძვლიდამ და გავრცელების ესეცა ქვევითა ყბამდე, რომელიცა უმაღლესსა მიშკასა ეზიარების მოძრაობითა.
5. ზეითის ლაშისა, რომელიც გაივლის ცხვირის გვერდით.
6. ქვემო ლაშისა გადმოშვებული ძვალოვან საფუძვლისაგან ქვემორე ლაწვისა.

---

1 „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 118.
2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 27.
3 იქვე.
4 იქვე.

7. ღაწვს აწვება ზემო ყბიდან და დასრულდების ქვემო ყბაზედ და ეძაძ-
რაობს ლაშებთან ამიერ და იმიერ კერძო.

8. ყბისქვეშეთისა, გინა ღაბაბისა იწყების საწოვარის ღაბაბიდან, ანუ ჯირ-
კვალის ადგილიდამ და დასრულდების ქვენა ყბასა ზედა, რომელიცა ქვევით
გარდმოეშვების.

9. იწყების სიმაღლის კეფიდამ და მკერდის ძვლიდამ დასრულდების ყელის
გვერდზედ და მსახურებს მიმოძვრასა თავისასა.

10. ორკეცი ყვავის ცხვირა. იწყება ყვავის ცხვირიდამვე და გაივლის საწო-
ვარის ღაბაბის ქვეშ და დასრულდების ენასა ზედა, ანუ ორქიერისა ძვალისა-
ზედა რომელიცა ქვევით იზიდავს.

11. ყანყრატნი ანუ სასულენი.

12. სისხლმჩქეფარენი და ეგრეთვე გრძნობის ძარღვნი თავისა მიმართნი.

43. ხელის ცერისა სახსრებისა წარმოებს მჯიღის უკანას კერძოდამ.

44. ნეკის უკანა კერძო გაყოლება მაჯამდის, იწყების მაჯისაცე ძვლიდამ.

45. შეწყობილება მაჯისა სალტითურთ.

65. ფეხის გულისა, რომელიცა აბია დიდსა ცერსა ფეხისასა, წარმოდგე-
ბიან იგინი ქუსლითაგან.

66. ფეხის გულისა, რომელიცა აბია დიდსა ცერსა ფერხისასა წარმოდგე-
ბიან იგინი ქუსლთაგანა.

67. შეწყობილება მეორე კოჭს ქვევით.

13. მკერდისანი უდიდესნი იწყებიან გვერდებიდგან, და საშუალ მკერდის
ძვლიდამ, და დასრულდების თავისივე მყარსა ბოლოსა ზედა, მახლობელ ძუძუ-
სა თავსა, ხოლო სიგანით ოთხის თითის დადება განვრცელდების თავს კერძოდ
ლავიწის პწკალამდის, მოძრაობითა თვისითა ჭმუჭვნიან იგინი მხარსა და
მკერდსა.

14. ოდესმე თანასწორ სამად და ოდესმე ოთხად განიწვალებიან; იწყებიან
გულისა კოზიდამ და დასრულდებიან პირამიდიერსა ნაკვეთსა ზედა, ბოქვენის
ძვლამდე, და მსახურებენ აწურვასა მუცლისასა.

15. სამკბილიანი დიდნი (ესე იგი მკერდის ნეკნი), რომელიცა წარმოდგე-
ბის ბეჭის საფუძვლისაგან, და მიიზიდავს კბილებითა თვისითა ქვე დახრით მიშ-
კასა თანა, მოძრაობითა თვისითა გვერდებისადმი, და მარადის ესენი ზე ამზი-
დველობენ.

16. ფერდისა, ფერთხსა ზედა გარდმომავალნი იწყებიან ძარღვიანის კბი-
ლით ნეკნების კბილებიდგან, და რაოდენმე ხორციანი ძარღვნიცა შეერთდებიან
მკერდის ძუალთა, და დასრულდებიან პატარა მუცელსა ზედა, და ესე მიშკნი
ფერდის კერძოდ იქცევიან და მსახურებენ შეწურვასა მუცლისასა.

17. თეთრი ლინია ანუ ხაზი პატარა მუცლისა, იწყების გულის კოზიდგან
და განავრცელდების ვიდრე ბოქვნის ძვლამდე.

ტაბულა XI

18. კისრისა აქეთ მხრისა და იქით მხრისა, და მისვე სამკუთხისა, იწყებენ
ზეითისა ხუთის კისრის ხერხემლიდან და დასრულდებიან კეფასა ზედა; და შე-
ერთდებიან შეერთებულისადმი თავისა მიშკისად, და ესრეთ ზეამზიდველობენ.

19. რთული ანუ შეერთებული.

20. ამამაღლებელისა ბეჭისანი ეწოდების ამათ, დასაწყისსავე თავისთა. თავისათა აქვსთ წინაკერძოით შემაღლებაი, მეორესა, მესამისა და მეოთხის კისრის ხერხემლისადმდე, და დასრულდებიან ზემო კერძოდ ბეჭის კუთხესა ზედა.

21. უგრძელესი ბეჭებისა, იწყების ჯვარედინის ძვლიდამ, და წელის ძვიდამ გამოივლის ყოველთა, გვერდთა ზედა, და დასრულდების ზურგზედან, ესე მსახურებს მოძრაობასა მკერდისასა და ზეაღმზიდველობასა ზურგისასა.

22. მრგვალი და დიდი, გამოივლის ქვემოთის ბეჭის კუთხიდამ, და დასრულდების მკლავის ბრწკალის თავზედა, ხოლო ამას ბეჭი მოძრაობითა თვისითა გამოუტევებენ.

23. ელმად ოთხკუთხიანი სხვათაგან დაფარული.

24. მენჯის თავი, ბოქვნის ძვალსა ზედა, რომელიცა მდებარე არს ზემო კერძოდ რბილის ხორცის ნაწილსა შინა, ხოლო ამას ეწოდების გამომავალი და გარდამავალი მიშკნი.

25. გარეგან ბეჭთა, რომელსაცა აქვს გვერდნი ქვეშე მისისა მდებარენი, ესენი მოძრაობითა თვისითა ბრწკალსა მხრისასა თანა ეძვრიან.

26. უგანიერესი, რომელსა ეწოდება კურტუმის მიშკა. იწყების ესე სარტყელის მძივიდგან და გამოივლის ზემო კერძო ქვენა კუთხის ბეჭისად, და დასრულდების ბეჭის გვერდზედა, და ერთად მრგვალი მიშკა და ბეჭის ძვალი გარეუტევებენ ქვემორე.

ტაბულა XII

27. ბეჭის შუათ იწყების საღორიდამ, და ყოვლისაგან კისრის მძივისა, და ეგრეთვე რვასა წიბოსაგან; გავრცელდების ბეჭსა ზედა და გვერდებსა ზედა და მიადგების მხრის ბრწკალისა თავსა ზედა; და მიშკა ესე მსახურებს მოძრაობასა ბეჭისასა.

ტაბულა XIII

28. ბრწკლიანი; იწყების მხრის თავის ორკუთხიანი მიშკადამ და გამოივლის საშუალ ბრწკლისა ძვალსა ზედა, და დასრულდების შინაგანსა სახსრისა ზედა დიდის იდაყვის ძვლისასა.

29. ორთავიანი. იწყების ორთა თავითა, ბრწკლიანის ძვლის გვერდიდამ, და ქვემო განზიდულ ზეითის თავითგან. დასრულდების მცირესა იდაყვის ძვალსა ზედა, მსახურებს ესე ბრწკლიერსა ძვალსა სახსარითურთ მის იდყავისასა.

30. ზედ გადმოვლებული მკლავზედ, წარმოებს შიგნითის იდაყვის ბრწკალიდამ და დასრულდების თითქმის საშუალო მცირესა იდაყვსად.

31. იღლიისა, იწყების ყვავის ცხვირიდამ და დასრულდების გვერდზედ ბრწკალისა და საშუალშინა კერძოდცა იდაყვისა, მსახურებს ესე აწურვასა ბეჭისასა.

32. ამზიდველი გრძელის იდაყვისა, გამოვალს ბეჭის საფუძვლის საშუალოდგან, და გამოივლის შინაკერძოდ ბრწკალსა და დასრულდების ზემო კერძოდ დასასრულსა ზედა იდაყვისასა.

33. ძუძუსი, ანუ საკუთრად მიშკად წოდებული. იწყების ლავიწიდგან და ბეჭის ქვემოთის წიბოებიდგან და დასრულდების საშუალ ბრწკლიერისა ძვლისა, რომელ არს მხარი, მსახურებს ესე მოძრაობასა და აღებასა მხრისასა.

34. მცირეს იდაყვის ძვლად წოდებულსა, დასაბამი თვისი აქვს საშუალო ბრწკლიერისა ძვლისა გარეგანის კერძოთურთ, და დასრულდების შინა კერძოდ საღიტინებელს ძვალისა პირისპირ დიდის ცერისა.

35. რომელსაცა ეწოდების სახსრიანი, გამოვალს შინა კერძოდ მკლავის ძვალისა, და ბრწკალისაგან, დასრულდების ძვალსა ზედა მაჯისასა, რომელიცა თავსეკვრის მაჩვენებელსა თითსა.

36. მაჯისა; იწყების იქიდამვე, სადა პირველი (ესე იგი შინაგანის მკლავის და ბრწკალის ძვლისაგან) და განიზიდავს ხელსაზედა სახსრიერსა და დაპმუნვლისა თითებისასა, და გარდაეფინების ბოლოთ თვისით სად მაჯასა ზედა.

ტაბულა XIV

37. რომელსაცა უწოდებენ ამზიდველად მკლავსა ზენა კერძოისა; ესე გამოიკვლის მხარს თავიდან, პირველად შეერთდების გრძელსა მას მკლავის ქვენა კერძო ნაკუთლისასა და კიდე მისთანა მოკიდებით გამოიზიდავს გარეგან კერძო იდაყვისა და დასრულდების იდაყვისად ზედა.

38. თითების სახსრებად წოდებული; იწყების მკლავის დიდის ძვლიდან და ბრწკლიდამ, ესე განიზიდავს ქვემოდ იდაყვის ძუალად, და მუნით განზიდული დასრულდების ცერსაზედა.

39. რომელსა ეწოდების გრძელი (ესე იგი მხრისთავიდამ ვიდრე ხელის ზურგამდე). ესე გამოვალს შეერთებულის იდაყვის ძვლიდგან, და დასრულდების სამის კუდით; სალოკსა, შუა თითსა, და მესამესა თითსა ზედა. ხოლო ამასთანავე არის სხვაი მიშკაცა, თითების მიშკად წოდებული. ამასთან შეერთდების იგიცა რომელიცა არა სჩანს ვინაიდგან იგი ამათით დაფარულ არს.

40 ზეითის დიდის ცერისა, რომელიცა ოდესმე ორკეცად მდგომარეობს. იწყების ესე გრძელის მიშკიდამ, რომელიცა არს გარეგან კერძო იდაყვისა, და დასრულდების ცერსა ზედა.

41. შინა კერძოისა იდაყვისასა, დასაბამი თვისი აქვს შინაგანისა მკლავის ბრწკლიდამ, რომელიცა გამოივლის დიდსა იდაყვსა ზედან და დასრულდების თითების ძუალსა ზედა, და მსახურებს ესე სახსართ დრეკასა თითთასა.

42. გარეგან იდაყვისა; იწყების გარეგან კერძო მკლავისა ბრწკალის ძვლიდგან, და დასრულდების მაჯასა ზედა პირისპირ ნეკისა, და შეერთდებისცა პირველსა მას თითების მიშკასა განზიდვითურთ.

ტაბულა XV

46. განიერი ბარძაყისა; იწყების მენჯის თავის ხორციანის ძვლიდგან და შემდგომად მისისა მყისვე სიგანით და ძარღვიანის ბოლოებითა დაჰფარავს ყოველსა ბარკალსა, და მახლობელ მუხლის თავსა დასრულდების, რომელიცა ზოძრაობითა თვისითა მისად ზე ამზიდველობს.

47. განიერი გარეგან კერძო ბარკალისა, იწყების დიდის სადრეკის ძვლიდგან, და დასრულდების ორითა შემდგომითა მიშკებითა კვირისტავსა ზედა მუხლისასა, და თავს ეკვრის ზე აღმზიდველობასა ბარკლისასა.

48. რომელსა ეწოდების სწორე, იწყების შინა კერძოთ კუდუსუნის ძვლიდგან და პირველს კვირისტავსა ზედა დასრულდების.

49. განიერი შინაგან კერძოისა, იწყების მცირე ბარკლის სახსრითგან, გინა სადრეკიდან და პირველთავე ურთიერთ ერთადვე დასრულდებიან.





50. საზარდულისა. იწყების ზენა კერძო ბოქვენის ძვლიდგან და დასრულების შინა კერძოდ კანჭისა, და განიზიდვის ესევე ვიდრე ფეხის ოთხის თითის სახსრადმდე.

51. კანჭისა, იწყების ზენა კერძოდ დიდისა განზიდულისა მიშკიდან და დიდის და მცირეს კანჭის ძვლიდგან. და დასრულდების პირისპირ ფეხის ცერისა, მსახურებს ესე კოჭის მიშკასა, რომელიცა ფეხის სახსარსა ზე აღმზიდველობს.

52. წვივისა პირველი, იწყებს ზემო კერძოს პატარა კანჭის ძვლის დასასრულიდგან, და გარდაეტევებს გარეთ კოჭის გარეგან კერძოდ, და დასრულდების პირისპირ მეორესა ფეხის თითზედა.

53. წვივისა მერე; იწყებს სიმაღლისაგან პატარა კანჭის ძვლისა და შეერთდების ესე პირველსა და დასასრულდებიან კოჭის სახსარსა ზედამ; და მოძრაობითა თვისითა სძურენ სახსართა ფეხისა თითებისათა.

54. რომელსა ეწოდების ორკეცი, განიყოფიან ესენი ორნაწილად, გარეგანად და შინაგანად დასაბამი აქვს ამათ ბარძაყის ძვლითგან. უკანით კერძოდ, და შუაგული ამათ არიან ფრიად ხორციანნი; რომელნიცა ხსენებულ არიან ორს ნაწილად, ერთი უკვე მათგანი არს ძარღვი ანუ კუდი შეერთებული მეორისა თანა, დასრულდებიან უკვე ესენი კოჭისავე სახსარსა ზედა, და იმსახურებიან კუნთითურთ და კოჭის სახსრით ზეაღზიდვითა ფერხთასა.

55. იკრანნაი, რომელ არს კუნთი; იწყებს უკან კერძოთ კანჭის ძვლითგან. და შეერთდების პირველსა მას და ესრეთ დასრულდების საზოგადოდ გინა დაბოლოებით ქუსლის კერძოდ.

56. პროხოდიშჩაია (რომელ არს წვივსა გზასა და ძვალს საშუალ ადგილისა, რომლისა ეწოდების გამტარებელი მიშკა). დასაბამი აქვს ამას უკან კერძოდ დიდის კანჭის ძვლით. და გაივლის ესე შინა კერძო კოჭთა, და მივალს გარემოს ჩონჩხისა სახსარსა ზედა კოჭისასა, ოთხითა ბოლოთი და განიყოფის მუნ, და განზიდვიან იგინი ვიდრე თვით უკანასკნელ სახსრამდე თითისა.

57. მიშკა, რომელსაც ეწოდების გრძელი და ზეამზიდველი ფეხის თითებისა, იწყებს გარეგან კერძო კანჭის ზენა კერძო დიდის ძვლიდგან, პატარა ძვლის გვერდზე; გარდაეტევების მიშკასა კანჭისასა და განყოფებიან ესენი ოთხბოლოდ, რომლითაცა დასრულდებიან ფეხის თითთა ზედა; გარდა ფეხის ცერისა, რომელსა აქვს საკუთარი მიშკა თვისი.

ტაბულა XVI

58. დუმებისა მცირისა და დიდისა. დაიწყებიან კუთხისაგან ბოქვენის ძვალისა ანუ მენჯის თავისაგან და ეგრეთვე ჯვარედინისა და კუკუხოს ძვლიდგან; პირველი ამათგანი მიშკა, დასრულდების დიდის ბარძაყის სადრეკსა ძვალის გვერდზედ მსახურებლად აღმზიდველობისათვის ბარკლისა.

59. ორთავიანი ბარძაყებისა, რომელსაც აქვს დასაბამი უსახელოს ძვლიდგან, გამოიცლის იგი უკანვე რგოლ ბარკალს ძვალთაზედა და დასრულდების პატარას კანჭის ძვალსა ზედა.

60. ძარღვიერი; რომელიცა გამოვალს შიგნითის ლაჯიდან და გამოიცლის უსახელო ძვალსა ზედა, და ერთად უწვრილესისა მიშკითურთ დასრულდების შინაგან კერძო კანჭისა.

61. მიშკა უკან კერძო ბარძაყისა იწყებს პირველიდგანვე ადგილით და ერთად დასრულდებიან კვალად კანსავე ზედა.

62. უწვრილესი; გამოვალს ბოქვენის ძვლის გვერდიდგან და განვლის ბარკლებსა, და დასრულდების ერთსავე შინა ადგილსა ზეაღმზიდველობით ხოლო ესე მიშკა, სამითურთ პირველით მსახურებს სახსართა მიმოდრეკასა ბარკალითასა.

63. სანთავიანი რომელიცა იწყებს ბოქვენის ძვლიდგან და გამოივლის ზეამზიდველს მიშკას გვერდზედა და დასრულდების შინაგან კერძო ბარკლების ძვლისად. და მომსახურეებს ესე სახსართა მიმოძრავასა ბარკალთასა.

64. მუხლის თავის გვერდზე.

აქ ყველა კუნთების აღწერილობა არ არის წარმოდგენილი, აღნიშნულა სახელმძღვანელო მხატვრობის შემსწავლელთათვის იყო განკუთვნილი და ამიტომ უმთავრესად ზერელედ მდებარე კუნთებია აღწერილი.

საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა

საჭმლის მომნელებელ ორგანოთა აღწერილობა და მათი მოქმედების დახასიათება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, VI—VII საუკუნეებიდან გვხვდება. X საუკუნეში განსაკუთრებით საინტერესო ცნობები გვხვდება საყლაპავი მილის, კუჭის, ღვიძლის მდებარეობისა და დანიშნულების შესახებ.

საყლაპავ მილს იმდროისათვის „სადინელი ჭამადთა"[1] ანუ საჭამადის სადინელი ეწოდებოდა. მისი მდებარეობა წარმოდგენილი ჰქონდათ სასულეს მახლობლად, სიგრძით მის ტოლად მიაჩნდათ. სცოდნიათ, რომ საყლაპავ მილსა და სასულეს ერთი საერთო დასაწყისი აქვს, ანუ ერთი გზის ორ გაგრძელებას წარმოადგენენ. როგორც თვით სახელიც („სადინელი ჭამადთა") გვიჩვენებს, მის დანიშნულებას საკვების გატარებაში ხედავდნენ. „სადინელი ჭამადთაი და სოუილისაი მახლობელ არიან ოუირთიერთას შეტყოუიებით. სიგრძით ოუირთიერთას ერთპირად და შთასლვაი იგი პირველად ორთაიე მათ ერთისაგან გზისა არს"[1].

საყლაპავი მილის გაგრძელებად „სტომაქი" ანუ კუჭი ითვლებოდა. მისი მდებარეობა ასეა აღწერილი: „...ადგილი სტომაქისაი არს მახლობლად გოუილისა წინაით კერძოი..."[2].

ფიქრობდნენ, რომ კუჭში ჩასული საკვები იქ დარჩება, ვიდრე მისი მონელება არ მოხდება. შემდეგ მონელებული საკვები თითქოს განსაკუთრებული სადინარით ღვიძლისაკენ მიდის, ხოლო დანარჩენი ნაწილი ნაწლავებისაკენ. ნაწლავებში გადასული ნაწილი ერთბანს ჩერდება, რის გამოც, იმდროინდელი წარმოდგენით, ადამიანს პირუტყვისაგან განსხვავებით განუწყვეტლივ არ აქვს საჭმლის მოთხოვნილება: „...შთაიდის იგი სტომაქად არა დასცხრის ვიდრეს დაადნვის იგი მხოურვალებითა თუისითა ვითა ბრძედმან და მიაკლინის იგი მისადინელთა მათ რომელნი შეოუდგან და განიყვის ყშირი წოულილისაგან და წოულილი იგი მიიწის სადინელთაგან თუისთა ღუიძლად, ხოლო ყშირი იგი განვიდის ადგილთა მათ ვრცელთა ნაწლევად და დაადგრის ჭამადი იგი ყამ რაოდენმე ადგილსა თუისსა, რათა არა მწრაფლ განვიდეს და დაოუცადებლად ოუხმდეს კაცსა ჭამაი და ოუცალო იქმნეს მის გამო მსგავსად პიროუტყოუთა."[3].

---

1 „კაცისა შესაქმისათვის", გვ. 106.

2 იქვე.

3 იქვე. გვ. 108, 109.

ერთ-ერთ მთავარ ორგანოდ, ტვინსა და გულთან ერთად, ღვიძლიც ითვლებოდა. ფიქრობდნენ, რომ კუჭიდან ღვიძლში მისული საჭმელის თხევადი ნაწილი („სინოტივე") სიმხურვალის საშუალებით თანდათანობით სისხლად გადამუშავდება: „და სახმარ არს ღუძლისაგან შეწევნაი საქმითა მხურვალებისაითა. რა შეცვალნეს ნოტიანი იგი მიმავალნი და შექმნეს სისხლად"[1].

შემდეგ წლებში, განსაკუთრებით XI—XII—XIII საუკუნეებში, ცნობები საჭმლის მომნელებელი ორგანოების აგებულებისა და მოქმედების შესახებ შედარებით უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი.

ისე, როგორც VI—VII საუკუნეების წყაროებში, ამ პერიოდში საჭმლის მონელების პროცესში კბილებს საკვების დაღეჭვის ფუნქცია მიეკუთვნებოდა. მაგრამ ახლა უკვე გვაქვს ცნობები კბილების რაოდენობისა და სახეების შესახებ. კბილების მოქმედებას წისქვილის მუშაობას ადარებდნენ „...კაცისა ტანისა წისქვილი... მისი კბილები"[2].

ითვლიდნენ 32 კბილს—16 ზემო ყბაზე და 16 ქვემო ყბაზე. შენიშნული იყო, რომ ზემო და ქვემო კბილები, აგრეთვე უკანა და წინა კბილები ფორმით, სიდიდით და დანიშნულებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამის მიხედვით არჩევდნენ 4 „მომკუეთელ", 4 „მცოხნელ" და 4 „მოფქვა" კბილს[3].

ენის დანიშნულებას საჭმლის მონელების პროცესში იმაში ხედავდნენ, რომ იგი ღეჭვის დროს საკვებს აბრუნებს: „დიდი სახმარობაი აქუს ენასა, რამეთუ შეჰკრებს ვიდრე-მე საზრდელსა და ქუეშე კბილთა შეუყრის, ვითარ იგი ხუმირი ხელთა-მიერ იფქლსა წისქუილად, რამეთუ რომლითა-მე სახითა ენაი ხელ ვიდრე-მე არს ცოხნისა"[4].

იგივე აზრია გატარებული „წიგნი საქიმოიში"—„ენაი ლბილისა ხორცისაგან დაჰბადა აგრე რომელ საუბრისა ჟამსა მორჩილი იყოს, და საჭამადისაგან თუ მანკი რაიმე დარჩეს პირსა შიგან, ენა მას მიაბრუნვებს სითცა სწადდეს, და უენოდ საჭამადი პირსა შიგან საცოხნელად არ დაიბრუნვების...."[5].

წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ენასთან იხსნება „შარიანისა" ანუ არტერიის მსგავსი ძარღვები. ამ ძარღვების დანიშნულება იყო პირის ღრუში მოგტანათ „ბალღამი" ანუ ლორწო, რის შედეგად შენარჩუნებული იქნებოდა ენის სისველე. გარდა ამისა მისი საშუალებით უნდა მომხდარიყო ხმელი, მშრალი საკვების დასველება, რომ დაღეჭილი საკვები ადვილად გადასულიყო საყლაპავ მილში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძარღვები, რომლებზედაც აქ არის ლაპარაკი, იყოს ენის ქვეშა ჯირკვლის სადინარები: „ენასა შიგან ძარღვები გამოაჩინა შარიანისა მსგზავსი, რომელ ამა ძარღუთა თავისაგან სინედლე ბალღამისაი პირსა მეიყრების,... სარგებელი ორი არს მათ ძარღუთა შიგან, ერთი რომელ მიწყით ენა ნედლად იყოს, რომელ თუ ხმელი იყო კაცი ძნელად უბნობს, მეორე რომელ რა კაცი ხმელსა საჭამადსა ჭამდეს, ვითა ხმელი პური და ვითა ხალი ცოხნასა შიგან იგი განედლდების, რომელ ადვილად ჩაინთქმიდეს, რომელ ხმელი ძნელად ჩაინთქმის"[6].

ამ პერიოდისათვის შედარებით უფრო ზუსტი წარმოდგენა შემუშავებულა კუჭის ფორმის, აგებულების, მდებარეობისა და დანიშნულების შესახებ.

[1] „კაცისა შესაქმისათვის", გვ. 109.
[2] „წიგნი საქიმოი", გვ. 18.
[3] იქვე.
[4] „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 111.
[5] „წიგნი საქიმოი", გვ. 25.
[6] იქვე.

კუჭის მდებარეობის ადგილად მკერდის შუა მიდამოა დასახელებული. სცოდნიათ, რომ გასწვრივად იგი ჯერ მარცხნივ და შემდეგ მარჯვნივ იდრიკება. მის მოსაზღვრე ორგანოებად მიჩნეული იყო: ელენთა, გული, ღვიძლი[1].

ირკვევა, რომ კუჭში არჩევდნენ ზოგიერთ სპეციალური დანიშნულების ნაწილებს, რომელსაც საკუთარი დასახელებაც ჰქონდა. ასეთი ნაწილებია: „სტომაქის პირი" ანუ „პირი მუცლისა", როგორც ამას XII საუკუნეში უწოდებდნენ[2], „ბავაბა"[3] და სხვ. „სტომაქის პირის" ანუ „მუცლის პირის" ქვეშ შეიძლება კუჭის შესავალი იგულისხმებოდეს, ხოლო „ბავაბა" კუჭის გასავალი იყოს. აღსანიშნავია, რომ „სტომაქის პირი" ითვლებოდა შიმშილის შეგრძნების ადგილად.

კუჭის ძირითად ფუნქციად მიჩნეული იყო საჭმლის მონელება ანუ „საჭამადისა მოდნობა".

ფიქრობდნენ, რომ კუჭის მოქმედება ოთხი ძალის საშუალებით ხორციელდება. ეს ძალებია: „ძალა მიმზიდველი", რომელიც კუჭისაკენ იზიდავს საკვებს. თუ იგი შესუსტდა, ადამიანს უვითარდება უმადობა; „ძალა შემპყრობელი", რომელიც საკვებს ერთხანს გააჩერებს სტომაქში, რათა მონელების პროცესი ჩათავდეს და მოუნელებელი საკვები არ გადავიდეს ნაწლავებში; მესამე ძალას „შემგბობელი" ეწოდებოდა. მას უკავშირებდნენ საკვების მონელებას („მოდნობას"). თუ „შემგბობელი" ძალა დასუსტდა, საკვები წესიერად არ გადამუშავდება და სტომაქშივე დამჟავდება; მეოთხე ძალას „გამყენებელს" უწოდებდნენ. მას უკავშირებდნენ მონელებული საკვების ნარჩენების გადაგზავნას სტომაქიდან ნაწლავებში. მის დასუსტებას მიაწერდნენ აღნიშნული ფუნქციის დარღვევას[4].

XV საუკუნისათვის გვხვდება წარმოდგენა არა მარტო კუჭის მდებარეობისა და გარეგანი ფორმის შესახებ, არამედ კუჭის კედლის აგებულების, შიგნითა ზედაპირის შესახებაც. მის კედლის შემადგენლობაში არჩევდნენ „ხმელ ძარღვსა" და კუნთოვანს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს სამართლიანად კუჭის კედლის ძირითად შრედ თვლიდნენ.

კუჭის შიგნითა ზედაპირის შესახებ ცნობილი ყოფილა მისი ხაოიანობა და დანაოკება: „...შიგნით კერძი არის კბილედი და მომკიდებელი,..."[5].

კუჭის გაგრძელებად ნაწლავები ითვლებოდა. არჩევდნენ ექვს ნაწლავს, აქედან 3 წვრილ და 3 მსხვილს. „...ყ ვ ე ლ ა ი ე ქ უ ს ნ ი წ ე ლ ნ ი არიან, სამნი მათ თანა რომელ ქვემოითრე არიან უ წ ლ ო ს ნ ი და უ თ ხ ე ლ ე ს ნ ი ა, და ს ა მ ი რ ო მ ე ქ უ ე შ ე თ რ ე არს უფართოესნი და უსქელესნი,..."[6].

წვრილ ნაწლავთა შორის სცოდნიათ „თორმეტთითა" ანუ თორმეტგოჯა ნა-

---

1 „წიგნი საქიმოი", გვ. 22.

2 „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 109.

3 „ბავაბა" არაბულად კარს ნიშნავს. ამ სახელს სწორედ კუჭის იმ ადგილს უწოდებდნენ, რომელიც კუჭიდან მიმავალ შიგთავსს გზას მისცემს.

4 „წიგნი საქიმოი", გვ. 22.

5 „სამკურნალო წიგნი", გვ. 121.

6 „წიგნი საქიმოი", გვ. 23.

წლავი, შემდეგ მისი გაგრძელება, რომელსაც „ამაი საიმ"-ს უწოდებდნენ და მესამე ნაწილი — „ამაი დაყაყ"[1].

თორმეტგოჯა ნაწლავი უშუალოდ კუჭის გაგრძელებად მიაჩნდათ. მას სხვა წვრილი ნაწლავებისაგან იმით ასხვავებდნენ, რომ ჯორჯალი არა აქვს— „...ვითა სხუათა წელთა შიგან სიმრუდე და ნასკვი არ იქნების,..."[2] ხოლო დანარჩენი წვრილი ნაწლავები ჯორჯალზე მიმაგრებულად ითვლებოდა—„იგი დაგრეხილი არს, და შიგან საზრდელი დიდხანს დაზომს..."[3].

წვრილი ნაწლავების გაგრძელებად მიაჩნდათ მსხვილი ნაწლავი, რომელსაც „ფართო წელს" უწოდებდნენ. მსხვილ ნაწლავში თავის მხრივ არჩევდნენ ნაწილებს, მაგალითად „ყოლინჯს", „მართალ წელს" ანუ სწორ ნაწლავს. არსებობს ცნობა ვიფიქროთ, რომ სიგმოიდური კოლინჯი, როგორც გარკვეული ნაწილი მსხვილი ნაწლავისა, ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუმცა იგი დასახელებული არ არის.

სწორი ნაწლავის ზემო საზღვრად „შუა ძვალის" ანუ გავის ძვლის დასაწყისი ითვლებოდა.

მსხვილი ნაწლავის დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ მას უნდა „დაეყოვნებია" შიგთავსი, თორემ ადამიანს ხშირად დასჭირდებოდა გარეთ გასვლა და სხვ.

XV საუკუნეში წარმოდგენა საქმლის მონელების თანამიმდევრობის შესახებ არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ ცვლილება განუცდია წვრილი და მსხვილი ნაწლავების ანატომიურ სახელწოდებებს.

„თორმეტთითა" ნაწლავის გაგრძელებას ამ პერიოდში „მამარხუელი" ნაწლავი ეწოდებოდა, ზოგნი „ნაწლევსა თეთრსა"-ც ეძახდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფიქრობდნენ, რომ თითქოს „მამარხუელ" ნაწლავსა და ღვიძლს შორის სადინარი არსებობდა. ამ სადინარს „მასრიკას" უწოდებდნენ.

მსხვილ ნაწლავში თითქმის ყველა ნაწილებს არჩევდნენ. ყურადღებას იქცევს ბრმა ნაწლავის აღწერა: „...სახელი ჰქუიან ´აური, და მის თუის ჰქუიან ესე სახელი, რომე ერთისა პირის მეტი არ აბია. და არს ესე ნაწლევი ფართო და მოკლე"[4].

ბრმა ნაწლავის გაგრძელებად ითვლებოდა კოლინჯი, რომელიც მარჯვნივ გადაივლის—გარდიგარდმო და მოუხვევს მარცხნივ. შემდეგ მთავრდება „გამართული" ანუ სწორი ნაწლავით[5].

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ მთავარ ორგანოდ ითვლებოდა ღვიძლი. ფორმით მას ერთი კვირის მთვარეს ამსგავსებდნენ. მდებარეობაც დაახლოებით სწორად იყო ცნობილი: „...ადგილი მისი ტანსა შიგან მკერდსა ქუეშეთ ცოტაით უქუემორე არს მარჯვენით კერძო..."[6].

მის მოსაზღვრე ორგანოდ ითვლებოდა კუჭი. ფიქრობდნენ, რომ ღვიძლი სტომაქზე ისეა შემოკრული, როგორც რაიმე საგანი, რომელსაც ადამიანი ზეუჭში დაიჭერს.

---

[1] „წიგნი საკითმოი", გვ. 23.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „სამკურნალო წიგნი", გვ. 274.

[5] იქვე.

[6] „წიგნი საკითმოი", გვ. 20.

ღვიძლი „მხურვალე ორგანოდ“ ითვლებოდა: ღვიძლის მონაწილეობა საჭმლის მონელების პროცესში შემდეგნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: ნაწლავებში გადასული „მოდნობილი“ საკვები უნდა მიეწოვა ღვიძლს ძარღვის საშუალებით, რომელსაც „შიგანისა ძარღვი ღვიძლისანი“[1] ეწოდებოდა. თუ XIII საუკუნემდე ფიქრობდნენ, რომ ღვიძლი ორგანიზმისათვის საჭირო ნაწილს („ძალი საზრდელისა“) უშუალოდ კუჭიდან ღებულობს, ახლა ეს წარმოდგენა შეცვლილა. ახალი შეხედულების მიხედვით, ღვიძლი „ძალსა საზრდელისასა“ კუჭის ნაცვლად სტომაქის მომდევნო ნაწლავიდან ღებულობს. თუ ეს ნაწლავი თორმეტგოჯა ნაწლავად ჩაითვლება, მაშინ დასაშვებია, რომ „შიგანისა ძარღვი ღვიძლისანი“, რომლის საშუალებითაც გადამუშავებული საკვების მიწოვას ვარაუდობდნენ, ნაღვლის საერთო სადინარად მივიჩნიოთ. თუმცა მისი დანიშნულება, როგორც ჩანს, არასწორად ყოფილა გაგებული.

ღვიძლის როლი საჭმლის მონელებაში მარტო აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მას მიაწერდნენ სისხლის შექმნის ფუნქციას. იმ დროინდელი წარმოდგენით, თითქოს ღვიძლს მიღებული გადამუშავებული საკვები თავის მხრივ კიდევ უნდა გარდაექმნა და „საზრდელი“ სისხლის საშუალებით გაენაწილებინა მთელ ორგანიზმში: „ხოლო ოდეს რაი ღუიძლმან მიითუალის მუცლისა-გან აღმრღუეული ვინაივე ბალღამი, მოადნობს ვინაი-მე და თუისად მიიმსგავსებს; რამეთუ სისხლის-სახედ ვინაი-მე აქუს ღვიძლსა თუისი სხეული და სამართლეცა სისხლად გარდააქცევს ბალღამსა. ხოლო სისხლი დაწმნდების ტყირბისა-მიერ და ნაღვლის-შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკუმელთაგან; რამეთუ ტყირბისა მიერ ბრკეებრივი მიიზიდვის მქნელისა მისისა თუისად საზრდელად, ხოლო ნაღვლის-შემწყნარებლისა ბუშტისა-მიერ-დრუმოი, რომელ არს მკბენელობაი, რომელი დარჩომილი იყოს შორის ბალღამთაისა საზრდელისაგან; ხოლო თირკუმელთა-მიერ ფსლებრივი, მკბენარობასავე-თანა ნაშთენსა, რომლისა—თუისცა, ოდეს რაი წმიდა და სახმარ იქმნის სისხლი, საზრდელად ვინაი-მე განეყოფვის სხუათა ყოველთა ნაწილთა სხეულისათა მათ—შორის დათესულთა ძარღუთა—მიერ.

და ესრეთ თუითეული ნაწილი მიიზიდვის და მიიწმობს სისხლსა და იპყრობს და შესცვალებს თუისად ბუნებად და ნამეტნავსა წარავლენს მეზობელთა ნაწილთა საზრდელ და მომმარჯუე მათდა ქმნილსა და ამით სახითა ყოველნი ნაწილნი სისხლისა-გან იზარდებიან და აღორძნდებიან და ჰგიან წარელენითა მათდა მიმართ სისხლისა ღუიძლისაგან“[2].

ეს პროცესი „წიგნი სააქიმოი“-ში შემდეგნაირად არის აღწერილი: „და რაი საჭამად სასუამადი სტომაქსა შიგან ჩავიდეს, ნაღვლისა და ღვიძლისა სიმხურვალე ეცემის, და სტომაქი მას საჭამადსა შეჰბგოლავს და იბრუნებს შიგან, და რაი შებგოლოს რაიცა სტომაქსა შიგან ნამი და სინედლე იყოს ღვიძლი მას მოიზიდავს, ვითა ხეთა ძირი მიწისგან ნამსა მოიზიდავს, და რაი სტომაქისაგან წელიზიდვინ, და ღვიძლი მას ნამსა გაასისხლებს ვითა მისი ხელი არს, და მერმე მას სისხლსა გაჰყოფს საზომისა ებრ და ყოველთა ასოთა გაუყოფს ამისგან არს, რომელ ღვიძლსა ტანისა როჯიკისა მიმცემელი ჰქვიან“[3].

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 20.

[2] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 112.

[3] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 20.

აქვე უნდა განვიხილოთ წარმოდგენები ნაღვლის ბუშტის შესახებ.

ნაღვლის ბუშტს XI—XII საუკუნეებში „სანაღვლეს“ ანუ „ნაღვლის შემწყარებულ ბუშტს“ უწოდებდნენ. თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, რომ მას განიხილავდნენ როგორც ნაღვლის რეზერვუარს — „შემწყნარებელს“. ტოპოგრაფიულად იგი ღვიძლზე უშუალოდ მდებარედ იყო ცნობილი—„ღვიძლისა პირსა მწოლი არს,...“[1] ანატომიურად ნაღვლის ბუშტში „ორ პირს“ არჩევდნენ. ფიქრობდნენ, რომ „ერთი პირით“ ხდება ნაღვლის მიღება ღვიძლისაგან, ხოლო „მეორე პირით“ ნაღვლის „ჩასხმა სტომაქში“. ღვიძლიდან მიღებული ნაღველი განსაკუთრებული თვისების მქონედ ითვლებოდა. იგი „ფიცხია“ და „მხურვალი“. ამიტომ ნაღვლის ბუშტი იმდროინდელი წარმოდგენით, თითქოს აშორებს ღვიძლში მყოფ სისხლს ნაღველს, რათა ამ უკანასკნელმა „სისხლის ბუნება“ არ „დაწუას და არ დააშაოს“.

მეორე მხრივ, ნაღვლის ბუშტიდან ჩავა რა ნაღველი კუჭში, თითქოს ამ გზით უნდა მიეღო მას მონაწილეობა საკვების გადამუშავებაში და მომზადებულ საკმლის გაწმენდა უვარგისი ნაწილებისაგან. ეს გზა და გაგება საკმლის მონელების პროცესში ნაღვლის მონაწილეობისა, სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საკმლის მონელების პროცესში ნაღვლის მონაწილეობა ასე თუ ისე შენიშნული ყოფილა: „ხოლო მწითური ნაღველი თუით თაეის-თუისცა და სხუისა-თუისცა, რამეთუ მოდნობასა თან შეეწევის და მისდრეკს და გზა ექმნების განავალსა და იქმნების ამით ვინაი-მე სახითა საზრდელ ნაწევართა შორის“[2].

XV—XVI საუკუნეების სამედიცინო წერილობითი ძეგლების შესწავლთ ირკვევა, რომ ამ პერიოდში ღვიძლი კვლავ განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც მონაწილეობს საკმლის მონელებასა და სისხლის შექმნაში.

ამ ხანის წყაროებში გვხვდება ზოგიერთი ანატომიური ხასიათის ცნობები ღვიძლის მდებარეობისა და მეზობელ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ. „ადგილი მისი მარჯუენით კერძო“[3], ვკითხულობთ XV საუკუნით დათარიღებულ ძეგლში. ღვიძლის მარჯვნივ მდებარეობა კიდევ უფრო მკაფიოდ არის აღნიშნული XVI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წყაროში, სადაც ნათქვამია, რომ „ღვიძლის საწოლი ალაგი, რომე მარჯუენით გვერდს შუეშეთ არის,...“[4].

ღვიძლის აგებულების შესახებ ვკითხულობთ, რომ „აგებულება ღუიძლისა სისხლისაგან და ძარღუთაგან არის; სისხლი—სქელი, გაყინული მრავალთა ძარღუთა შერეულთა სქელთა“[5].

ზემოდასახელებულ XV საუკუნის ძეგლში ჩვენს ყურადღებას იქცევს ღვიძლის აღწერილობის ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც ამ ორგანოს წილების გარჩევას უნდა შეეხებოდეს. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ „... არიან შიგან მზღუარნი და არიან კიდურნი სამნი: ერთი ღუიძლისა ზედათ და ორნი ქუეშეთ. და კიდური, რომელი ზემოთ არის შემკრებელი, და ადგილი მისი მარჯუენით კერძო—შუა სტომაქსა და ფერცხალთა, პირისპირ გულისა ეზოთა და მუცელისა ფერთხელსა ზემოთ. და არს დადებულ სტომაქსა ზედა“[6].

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 22.

[2] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 123.

[3] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 189.

[4] „იადიგარ დაუდი“, გვ. 393.

[5] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 189.

[6] იქვე.

უნდა ვიფიქროთ, რომ „არიან მზღუარნი“ ღვიძლის ქვედა ზედაპირზე არსებულ ღარებს გამოხატავს, რომელნიც ღვიძლის წილებს გამოყოფენ ანუ საზღვრავენ. „კიდურნი სამნი“ აღნიშნული „მზღუარით“ ანუ ღარებით გამოყოფილ ღვიძლის წილების რაოდენობას უნდა შეეხებოდეს, თუმცა თანამედროვე ანატომიის მიხედვით მათი რიცხვი ოთხს უდრის.

ღვიძლის მოსაზღვრე ორგანოდ მიჩნეული იყო კუჭი, მარჯვენა მხრიდან მოსაზღვრული ითვლებოდა „ფერცხალი“, რაც საბას განმარტებით „გვერდის წიბოს“ ნიშნავს[1].

თუ ზემომოყვანილი ცნობა ღვიძლის აგებულების შესახებ სწორედ არის გაგებული, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ხანაში წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით შეინიშნება ანატომიურ აღწერილობათა უფრო მეტი დეტალურობა, რასაც მანამდე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ან უგულებელყოფილი იყო.

განხილული პერიოდის წყაროებში წინა საუკუნეებისაგან დიდად განსხვავებული წარმოდგენები ღვიძლის ფუნქციის შესახებ არ გვხვდება.

აქვე უნდა განვიხილოთ ელენთის ანატომიისა და დანიშნულების შესახებ არსებული წარმოდგენები, ვინაიდან ამ ორგანოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად საქმლის მონელების პროცესში მონაწილეობა ითვლებოდა: „და ტყირბიცა არა მცირედ შეეწევის მოდნობისა-თუის, რამეთუ მეავე ვიდრე-მე არს და მომხავ ბუნებით, რამეთუ განავალსა და ნამეტნავსა შავისა ბალღამისასა მუცლად შთაამბენეს და დაჰმუხავს მას, და ძალსცემს და მოდნობისა-მიმართ აღსძრავს; ამასვე-თანა გასწმენდს და ღუიძლსაცა, რომლისა-თუისცა და ესე იიჭუნეულების სისხლისა-თუისვე ქმნად“[2].

ვიდრე ელენთის მდებარეობისა და ფუნქციის გაგების საკითხებზე შეეჩერდებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ორგანოს რამდენიმე სახელწოდება იყო ცნობილი. ზოგიერთ წყაროში მას ეწოდება „ტყირპი“ თუ „ტყიობი“[3], ზოგში კიდევ „ფაწალი“[4], „ელენთა“ და სხვ.

XI საუკუნით დათარიღებული ცნობის მიხედვით ელენთა ამ პერიოდში განიხილებოდა როგორც „დამწვარი“ და „უდნობი სისხლის „შეყრის“ ადგილი[5].

შემდეგი საუკუნის წყაროებში ცნობები ამ ორგანოს შესახებ უფრო დაწვრილებით არის წარმოდგენილი და ამავე დროს რამდენადმე განსხვავებულია.

XIII საუკუნეში ელენთა შავი ნაღვლის ანუ „სევდის“ ადგილსამყოფელად ითვლებოდა („სევდისა სახლი არს“)[6], აღწერილია, რომ ელენთა ფორმით ძროხის ენის მსგავსად ბრტყელი და გრძელია. იგი მარცხნივ, „გვერდთა ქუეშეთ“ ანუ როგორც ახლა ვიტყვით, მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში მდებარეობს: „მისი ადგილი მარცხენით კერძო გუერდთა ქუეშეთ იქნების, და გრძელი და ბრტყელი არს, ვითა ზროხისა ენა...“[7].

აღნიშნულ ხანაში არსებობდა წარმოდგენა, რომ თითქოს ელენთას ორი „ძარღუი“ (სადინარი) ჰქონდეს. ფიქრობდნენ, რომ ელენთა ამ ორი სადინარით

1 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1949, გვ. 684.

2 „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 123.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 37.

4 „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 120.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 27.

6 „წიგნი საქიმოი“, გვ. 21.

7 იქვე.

კუჭს უერთდება, რათა ერთი სადინარით კუჭიდან „სევდა“ ჩამოზიდოს და ამით სისხლი დაიცვას უსარგებლო ნალექისაგან („ფიტისაგან“), ხოლო მეორეთი იგივე სევდა სტომაქისაკენ გაგზავნოს მაშინ, როდესაც იგი ცარიელია. მიჩნეული იყო, რომ „სევდის“ გაგზავნა ცარიელ კუჭში მადის აღძვრას იწვევდა: „ერთითა პირითა სევდას ჩამოზიდავს სტომაქით, და მეორეთა პირითა სევდასა სტომაქისა პირისა შიგან ჩაასხავს, ოდეს სტომაქი საჭამადისაგან დაიცალოს და სტომაქსა მოანგებს საჭამადსა და კაცი მით დაიწყებს ჭამასა“[1].

ელენთის შესახებ საყურადღებო მონაცემები გვხვდება აგრეთვე შემდეგი საუკუნეების (XV—XVI) წერილობით სამედიცინო წყაროებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამკურნალო წიგნში“ (XV-ს.) წარმოდგენილი ცნობები ელენთის მდებარეობის, აგებულების, მეზობელ ორგანოებთან ურთიერთობის და ფუნქციის („საქმენი მისნი“) შესახებ. „ადგილი ტყირბისა არის მკერდსა ქუეშე მარცხენით. პირის-პირ ღვიძლისა“[2], ვკითხულობთ აღნიშნულ ძეგლში.

აგებულების მხრივ აღსანიშნავია, რომ ელენთა და ღვიძლი მსგავსი აგებულების ორგანოებად ითვლებოდა. მის შესახებ ნათქვამია, რომ „აგებულობა ტყირბისა სისხლისა თხელისაგან გაყინულისა“[3].

ამ პეროდისათვის წარმოდგენა ელენთის ფუნქციის შესახებ რამდენადმე განსხვავდება წინა საუკუნეების განხილული წარმოდგენებისაგან. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში. თუ მანამდე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფიქრობდნენ, რომ ელენთა ორი სადინარით უკავშირდება კუჭს, საიდანაც „სევდას ამოზიდავს“ და კუჭის დაცარიელების შემთხვევაში კი, პირიქით „სევდას ჩაასხავს“, ახლა, უკვე ახალი წარმოდგენის მიხედვით, ორი სადინარიდან ერთი ღვიძლთან არის დაკავშირებული. ამ სადინარის საშუალებით ელენთამ უნდა მიიღოს „მღრეიე სისხლი“ და „დასწმინდოს“ იგი. რაც შეეხება მის ურთიერთობას მეორე სადინარით კუჭთან, ეს წარმოდგენა ისეთივე დარჩა, როგორიც იყო წინა ხანაში: „და ტყირბისა ორნი საქმენი აქუან თანა: ერთი, რომე შემოკრებს სისხლსა ღუიძლისაგან მღრეიესა, რომელ ჩადის მისკენ და იზარდების მისგან, და დაასუბუქებს სიმრღეიესა და სიმძიმესა სისხლისასა“[4].

გულ-სისხლძარღვთა სისტემა

გულისა და მისგან გამომდინარე „არხების“ შესახებ მთელი რიგი საინტერესო ცნობები გვხვდება. X საუკუნეში გული სიმხურვალის წყაროდ ითვლებოდა. ეს შეხედულება იმის საფუძველზე შემუშავებულა, რომ სიკვდილის დროს გული ჩერდება და ორგანიზმი სიმხურვალეს კარგავს—ცივდება.

„რომელი განეშოვრის სიცოცხლესა მიიქცის საქმე მისი ყინელად და წარვიდის მისგან მხოურვალეაი: ამითცა კუალად ოუწყით ვიდრე სიმხურვალეცა მიზეზი არს სიცოცხლისაი. ხოლო რომელსა იგი მოაკლდეს იგი მკოუდარ იქმნეს და მისითა არსებითა არს სიცოცხლე ცხოველთაი, ხოლო დაწყებაი და პისი ამისი გოული არს, რომლისაგან გამოვლენ ნესტოენი მრავალნი...“[5].

ზემოაღნიშნულის გარდა გულს სხვა ფუნქციასაც მიაწერდნენ. ფიქრობდ-

---

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. 21.

[2] „სამკურნალოპალო წიგნი“, გვ. 239.

[3] იქვე, გვ. 238.

[4] იქვე. გვ. 239.

[5] „ქაბისა შესაქმისათვის“, გვ. 99—100.

ნენ, რომ თითქოს გული ფილტვის გაშლასა და შეკუმშვაში მონაწილეობს.

„და ამისათუის იქმნა ადგილი გოულისაი ოუკოუანა კერძო ფირტუსა და დადგრომითა ძრვისა მისისაითა მოიღოს ფირტოუმან მისა და განაურცის შეწყნარებისათუის ჰაერისა და შეაკირის განსავალთა მათ ნესტოუთა. საშოუმინველსა შინა განსაღებელად ნეშტისა მის დაშთომილისა მისგან“[1].

შედარებით უფრო სრული წარმოდგენები არსებობდა გულის აგებულებისა და მოქმედების შესახებ XIII საუკუნეში. ამ დროისათვის გვხვდება დაწვრილებითი ცნობები გულის მდებარეობის, ფორმის, ნაწილების შესახებ და სხვ. გულის მდებარეობა წარმოდგენილი ჰქონდათ მკერდის უკან, სხეულის მარცხენა მხარეზე. ფორმით „...ერთი თავი მისგან უმსხო იყოს და ერთი უწლოისი“[2].

არსებობს მონაცემები ვიფიქროთ, რომ გულის კედელში არჩევდნენ კუნთოვან შრეს და გარეთა გარსს ანუ გულის პერანგს: „და ტყავი მისი მაჯრის ხორცისაგან არს და ბუდესა მაგარსა შინა არს, რომელ საკნოსაგან მშვიდობით იყოს, და ბუდე მისი ეგეთი არს რომელ გულისა ტყავი მას არ მიხუდეს და ფირტვი მის გარშემო არს,...“[3] როგორც ირკვევა „ბუდეს“ გულის გარეთა გარსს უწოდებდნენ, ხოლო „ტყავს“ თვით კუნთოვან შრეს. მათ შორის სივრცის არსებობა ცნობილი ყოფილა.

გულის ნაწილებს შორის არჩევდნენ ორ ყურს და ორ მუცელს—მარჯვენას. და მარცხენას. თუ გულის რა ანატომიური ნაწილი იგულისხმებოდა „გულის ყურის“ ქვეშ, ამის დადგენა ამ პერიოდის წყაროების მიხედვით არ ხერხდება. შემდეგ საუკუნეებში კი „გულის ყურს“ წინაგულებს უწოდებდნენ. რაც შეეხება „გულის მუცელს“, ეს სახელწოდება გულის პარკუჭების აღმნიშვნელი უნდა. იყოს. არჩევდნენ მარჯვენა და მარცხენა „მუცელს“: გულსა აქვს „... ორი მუცელი, ერთი მარცხნით და ერთი მარჯვნით, და იგი მუცელი რომელი მარჯვენითა არს გასავალი გზა არს შიგან, ერთი რომელ ძარღვი სისხლსა აზიდავს ღვიძლისაგან გულისა კერძი, მეორე იგი ძარღვი, რომელი გულისგან საზრდელსა მისცემს. გული. და იგი მუცელი რომელ მარცხენით იყოს შიგანცა ორი გზაი არს, ერთი ჰაერისათვის, რომელ ფირტვთა ქნევისაგან ანიაებს და გულსა გააგრილებს, მეორე დიდისა ძარღვისა მფეთქელისათვის რომელ ყოველთა შარიანთა ძარღვთა სათავნოა,...“[4].

როგორც მოყვანილი ამონაწერიდან ირკვევა, გულის „მარჯვენა მუცელში“ ჩადის ძარღვი, რომელსაც მიაქვს სისხლი ღვიძლიდან („სისხლსა აზიდავს ღვიძლისაგან“), ხოლო აქედან მეორე ძარღვის საშუალებით გული მისცემს „საზრდელს“.

თუ დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში „გულის მარჯვენა მუცლის“ ქვეშ მარჯვენა წინაგული იგულისხმება. უფრო ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ რას უწოდებდნენ „გულის მარცხენა მუცელს“. ამონაწერიდან ირკვევა, რომ „გულის მარცხენა მუცელში“ ორი გზა არის. ერთი მათგანი არის „დიდისა ძარღვისა მფეთქელისათვის რომელ ყოველთა შარიანთა ძარღვთა სათავნოა“. „შარიანი ძარღვი“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმ სისხლის ძარღვს ეწოდებოდა, რომელსაც ახლა არტერია ეწოდება. გამოდის, რომ „გულის მარცხენა მუცლიდან“ გამოსული დიდი ძარღვი არტერიების სათავე ყოფილა.

1 „კაცისა შესაქმისათვის“, გვ. 106.

2 „წიგნი საქიმოი“, გვ. 20.

3 იქვე.

4 იქვე.

ანუ, როგორც ახლა უწოდებენ აორტა. აორტა სწორედ გულის მარცხენა პარკუჭიდან იწყება, ამიტომ „გულის მარცხენა მუცელი“ მარცხენა პარკუჭის სახელი უნდა იყოს.

განვიხილოთ ეხლა, როგორი წარმოდგენები არსებობდა გულის მუშაობის შესახებ.

გული მიჩნეული იყო ისეთ ორგანოდ, რომელიც ახდენს „მფშვინიერებითი სულისა“ და სისხლის „შეზავებას“. რა არის „მფშვინიერებითი სული“? ფშვინვა“ სუნთქვას ეწოდებოდა, აქედან „მფშვინიერებითი სული“ ანუ სუნთქვის დროს მიღებული ჰაერი. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ აქვე არ შევნიშნავდით, რომ „მფშვინიერებით სულს“ ცხოველმყოფელობით მნიშვნელობას, რაღაც „სასიცოცხლო ძალას“ ანიჭებდნენ.

შეზავებული „მფშვინიერებითი სული“ და სისხლი გულს უნდა გაენაწილებინა. ეს პროცესი წარმოდგენილი ჰქონდათ გარკვეული თანმიმდევრობით: გულისცემის, ანუ გულის „მიდრეკის“ დროს ხდება გულის „ბჭეთა“ და „ეზოთა“ ე. ი. მისგან გამომავალი არტერიების გაღება და დახშვა, ანუ ახლანდელი ენით რომ ვთქვათ პულსაცია: „არამედ შეეხშვიან და განეღებიან მძლაფრად არტერიანი, რომელ არიან გულის ბჭენი,... რომელსა დასაბამი აქუს მიდრეკისა გულისაგან“[1]. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეს უკანასკნელი წინადადება „...რომელსაც დასაბამი აქუს მიდრეკის გულისაგან“. აქედან ირკვევა, რომ არტერიების შეკუმშვა-გაფართოებას ანუ პულსაციას გულის მოქმედებასთან აკავშირებდნენ. გულის მუშაობისაგან მაჯის ცემის დამოკიდებულების შესახებ კიდევ უფრო მკაფიო ცნობა გვხვდება XIII საუკუნის წყაროებში. იქ ნათქვამია: „...იცოდე რომელ მაჯასი გულის ფეთქაი არს.“[2]

ვნახოთ, ახლა, თუ რა ხდება შემდეგ. გული გაფართოების შემდეგ ერთი მხრივ მიიწოვს („მიიწბობს“) „დაწმენდილსა სისხლსა“ „გარემომდებარე ძარღუთაგან“, ხოლო მეორე მხრივ „აირის საცავთაგან მიიღებს ჰაერს „სულსა ცხოველობითსა“.

„დაწმენდილი სისხლი“, იმდროინდელი წარმოდგენით, ღვიძლიდან მოდიოდა. ღვიძლი ითვლებოდა სისხლის შემქმნელად და გამწმენდად. ამიტომ საფიქრებელია, რომ „გარემომდებარე ძარღვი“, რომელსაც ღვიძლიდან „დაწმენდილი სისხლი“ მოაქვს გულში მისი გაფართოების დროს, უნდა იყოს ქვემო ღრუ ვენა. ხოლო „აირის საცავს“ კი სასულეს უწოდებდნენ. სასულეს არ შეუძლია სისამდვილეში გულს ჰაერი მიაწოდოს და ეს შეხედულება, ცხადია, მცდარია.

ყველა ზემოთ წარმოდგენილ ცნობას თუ შევაერთებთ, გამოდის, რომ გულში ერთი მხრივ ღვიძლიდან მოდის „დაწმენდილი სისხლი“ „გარემომდებარე ძარღვით“, რომელიც ქვემო ღრუ ვენად უნდა მივიჩნიოთ, მეორე მხრივ „აირის საცავთაგან“ მოდის ჰაერი და აქ ხდება მათი შერევა. ამგვარად, შეზავებული „ცხოვლებით სული“ და „საზრდელი სისხლი“ გულის შეკუმშვის დროს ორგანიზმში ნაწილდება.

გულის „მარცხენა მუცლიდან“ ანუ პარკუჭიდან გამომავალ „დიდ მფკთქელ ძარღვს“ ანუ აორტას, მიაქვს ძირითადად „ცხოველობითი სული“ და მასთან „შერეული“ სისხლი. რაც შეეხება გულის „მარჯვენა მუცელს“ ანუ პარკუჭს“, იგი თითქოს მისგან გამომავალი სისხლის ძარღვით გზავნის „დაწმენდილ საზრდელ“ სისხლს, რომელსაც „შერეული“ აქვს „ცხოველობითი სული“.

[1] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 114.

[2] „წიგნი საქიმოი“, გვ. 37.

„...რამეთუ ძარღვი საზრდელსა მისცემს ნეოროსა და არტირიათა, არამედ არტირიაი მისცემს ძარღვსა ბუნებითსა სიმხურვალესა და სულსა ცხოველებრივსა. ვინაი არცა არტირიაი არს თუნიერ დაწმენდილისა სისხლისა და არცა ძარღვი-თუნიერ ორთქლებლივისა სულისა"[1].

გასარკვევია, თუ რომელი სისხლის ძარღვები იყო ცნობილი. XI-XII საუკუნეების წყაროებში არსებობს ცნობა გულიდან ოთხი ძარღვის გამოსვლის შესახებ „...ამისაგან ოთხი ძარღვი გამოვა..."[2] ფიქრობდნენ, რომ ორი მათგანი სხეულის ზედა ნაწილისათვის, ხოლო ორი ქვედა ნაწილისათვის იყო განკუთვნილი. დანარჩენი სისხლის ძარღვები ამ ოთხი ძარღვის განშტოებად იყო მიჩნეული. ამ ძარღვებს „მძურელ" ანუ „მცემარე" ძარღვებს უწოდებდნენ. როგორც ჩანს, „მძურელ" ძარღვებს არტერიებს უწოდებდნენ. მათგან განასხვავებდნენ ვენებს, რომელთა შესახებ ნათქვამია, რომ „ისი ძარღვები არცა იძვრის, არცა კვნესის". უმთავრეს ვენებად ითვლებოდა „ბასლიკე" (სალმის ვენა), „კეფალი" (შევარდნის ვენა. შეადარეთ ცეფალიკა), „სალიბ", „აბლეზირა", „კათოლიკე".[3]

სულ ორგანიზმში ორას ათ სისხლის ძარღვს არჩევდნენ. მათ შორის ასორმოცდაათი „მცემარე" ძარღვად იწოდებოდა. ხოლო „ამისგან სამოცი ძარღვი შეკრული არის, ამისთვის რომე ტანშიგან სისხლსა გაჰყოფს და გულსა პირამდი ასოშიგან მიაწევს და მორწყავს. თორმეტი ძარღვი სხვა, თავშიგან შერთებული არის. ვითაც გაიყოფის თეძოთა თავამდისინ, ორი სახე საჯდომამდის მიაწევს და იქით ხუთად გაიყოფის და ისი ხუთად გაყოფილი ყოველსა ასოებსა შიგან წყალსა მიახვევრებს და ზურგამდიცა ესე მიაწევს. და ერთი წილი გულსა პირამდი მიაწევს. და ერთი სხვა გულშიგა შეერთებული არის. ერთი სხვა უკანა ძარღვი ზურგისა მძივამდი და საჯდომამდის მიაწევს და იქით ექუსად გაიყოფის და კიდევ მობრუნდების წურილსა ძარღუებსა შიგან მოაწევს და მას სახელად ბასლიკე და სალიბ ჰქვია და აბლეზირა და საინ და ნალუბადან ჰქვიან,..."[4].

როგორც არსებული წერილობითი სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, მომდევნო ხანაში, კერძოდ XV—XVI საუკუნეებში, წარმოდგენები გულის მდებარეობის, აგებულების და ფუნქციის შესახებ ძირითადად არ შეცვლილა, მაგრამ მცირეოდენი განსხვავება მაინც შეინიშნება. სახელდობრ, XV საუკუნით დათარიღებულ „სამკურნალო წიგნში" გულის მდებარეობისა და აგებულების შესახებ ვკითხულობთ, რომ იგი შედგება „ხორცისაგან, ვითა კუთისა და ძარღვისა ხმელისაგან, და ადგილი მისი არის მარცხენით კერძსა და ჩამოკიდებული ფირტუთა და საბურავი არის ზედა... და ჰგავს აგებულება მისი თესლსა კურტუმისასა ანუ მუხუდოისასა, რომელსა ძირი მისი სქელი და წუერი მისი წურილი.

და კიდური გულისა მიბრუნვებულ არის მარცხენით კერძო, ტყარბისა პირისპირ, და კიდურთა მისთა დასერული არის, და მას შინა ასონი არიან, და გუარნი არიან — ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით"[5].

მოყვანილი აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ გულის მდებარეობა წარმოდგენილი ჰქონდათ მარცხნივ, ფილტვებს შორის. ცნობილი ყოფილა, რომ მას გარედან აკრავს „საბურავი" ანუ გარსი. მოყვანილობის მხრივ ადარებდნენ

---

1 „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 114.

2 „ესწორო კრებაკინი", გვ. 38.

3 იქვე, გვ. 37.

4 იქვე, გვ. 34—35.

5 „სამკურნალო წიგნი", გვ. 169.

მუხუდოს თესლს და აღნიშნავდნენ, რომ გულს აქვს ძირი და წვერი, ანუ, როგორც ახლა იტყვიან, გულს აქვს ფუძე და მწვერვალი.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ გულში არჩევდნენ მარჯვენა და მარცხენა ნაწილებს. ირკვევა, რომ გულის ამ ორ ნაწილში თავის მხრივ კიდევ გამოყოფდნენ ორ ნაწილს: ერთს—მარჯვნივ და ერთს—მარცხნივ. ამ ნაწილებს „გულის ყურს" უწოდებდნენ.

ახლა საკითხავია, გულის რა ნაწილია „გულის ყური"? ეს ის ნაწილია გულისა, რომელსაც თანამედროვე ანატომები აღნიშნავენ. როგორც გულის ყურს, თუ სხვა რამ?

არსებული ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ „გულის ყურის" ქვეშ გულის ის ნაწილი იგულისხმებოდა, რომელსაც ახლა წინაგულს ვეძახით. ამას მოწმობს ის ცნობა, რომლის მიხედვით მარჯვენა გულის ყურში ძარღვის საშუალებით ღვიძლიდან მომავალი სისხლი ჩადის: „...და მას ორნი ყურნი ასხენ, თუითოსა გუარისანი—ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით. მარჯუენით სისხლი დგას და მარცხენით ქარი სიცოცხლისა, დაიარების მას შიგან სისხლი ღუიძლისაგან, რომელი აბია ძარღუი ღუიძლისაგან გულისა ყურსა მარჯვენისასა ღიდითა შედგმულობითა მისითა"[1].

რადგან დადასტურდა, რომ გულის ყურს წინაგულებს უწოდებდნენ, შეშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ წინა საუკუნეების ძეგლებში გულის აღნაგობის აღწერის დროს მოხსენიებული გულის ყურის ქვეშ წინაგულები იგულისხმებოდა.

წარმოდგენა გულის ფუნქციის შესახებ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ შეცვლილა. გვხვდება მხოლოდ რამდენადმე განსხვავებული დასახელებები. მაგალითად, „ცხოველებითი სულს", რომელიც როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, სისხლისა და ფილტვებიდან მიღებულ „ფშვინიერებითი სულის" ნარევს ერქვა, ახლა მას „სიცოცხლის ქარს" უწოდებენ.

„და ძალი მისი და ხასიათი ისი არის, რომე მისგან იძრვის და ძარღუნი მის ძალითა ფეთქენ და მისგან დააფანტვის ქარი სიცოცხლისა ყოველსა ადგილსა ტანისასა"[2].

სისხლის მიმოქცევის წრეების აღწერილობა ძველ ქართულ წყაროებში არ გვხვდება. მაგრამ არსებობს ცნობები, რომლებიც საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სისხლის მიმოქცევის ფაქტი ჯერ კიდევ XI საუკუნეში ყოფილა შენიშნული.

„უსწორო კარაბადინში" მოტეხილობის პკურნალობის შესახებ აღნიშნულია, რომ არტაშანის დადების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა სისხლის მიმოქცევა არ შეწყდეს კიდურში: „და მწოვედ არ უნდა მიკურა. ასრე უნდა, რომე სისხლი შიგ იარებოდეს, თვარა მოვარდების"[3].

ეს ცნობები კარგად მოწმობენ, რომ სისხლის მიმოქცევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სისხლის მიმოქცევის დარღვევას უკავშირებდნენ სხეულის ამა თუ იმ ნაწილის სიკვდილს და სხვ.

იმავე ძეგლიდან ირკვევა, რომ გველის კბენის დროს, შხამის გავრცელებას სისხლის მიმოქცევას მიაწერდნენ. მსგავსი შეხედულებები უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი XV საუკუნის წყაროებში. „სამკურნალო წიგნში" პირდაპირ არის მითითებული, რომ შხამის გავრცელება სისხლის ძარღვებით ხდება.

---

[1] „სამკურნალო წიგნი", გვ. 169.

[2] იქვე.

[3] „უსწორო კარაბადინი", გვ. 389.

„შეკარ ნაკბენსა ზეით კერძო ახლოს, რომე წამალი არ დაიფანტოს ტუინსა და გულსა შიგან და ძარღუთა ტანისათა"[1].

„იადიგარ დაუდში" (XVI ს.) ნათქვამია, რომ გველის ნაკბენი ალაგი „სამართებლითა ამოსჭრან და ამას ეცადნენ, და ამას ეშურონ და ასრე ფიცხლად უნდა ამოსჭრან, რომე ჯერ შხამი ასოთა და ძარღუშიგა არ დაფანტულიყოს"[2]. ეს შეხედულებანი სისხლის მიმოქცევის შესახებ, როგორც ჩანს, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის პროცესში ადამიანის ორგანიზმზე წარმოებულ დაკვირვებებს ემყარებოდა. XVIII საუკუნისათვის, უკვე, ცნობილი გახდა კაპილარების არსებობა და სისხლის ცირკულაცია[3].

სუნთქვის ორგანოთა სისტემა

X საუკუნიდან საყურადღებო ცნობები გვხვდება ფილტვების აგებულებისა და ფუნქციის შესახებ.

ფილტვი ანუ „ფირტვი" იმ ხანად წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც თხელი, ღრუბლისებრი ორგანო. იგი ჰაერის ჭურჭლად მიაჩნდათ. ფიქრობდნენ, რომ ფილტვი ერთი მხრივ დაკავშირებულია ყიასთან, მეორე მხრივ—გულთან. ფილტვის მოქმედება ასე ჰქონდათ წარმოდგენილი: გაშლის, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „განემარტის" დროს ხდება „სოულის შესვლა" ფილტვებში, ხოლო მისი „შემოოქვის" ანუ შეკუმშვის დროს ხდება „სოულის" გამოსვლა.

„ფირტუი აგებოული არს თხელად, ღროუბლის სახედ მრავალ სადინელ შეძერწოულ ყიასა თანა. და რაჟამს მოკრბის და შემოიოქის შეიწრდის სოუილი იგი მას შინა გამოჰკრთის პირისაგან ხოლო რაჟამს განიხსნის და განემარტის, მოზიდვით მოიზიდის არისაგან სოუილი"[4].

XI—XII საუკუნეების წყაროებში წარმოდგენები სუნთქვის ორგანოთა შესახებ უფრო ფართოდ არის მოცემული. აღსანიშნავია, რომ სუნთქვის ორგანოებს შორის განიხილავდნენ ცხვირს, ხორხს და ახლა უკვე ზემო სასუნთქი გზების სახელით ცნობილ სხვა წარმონაქმნებს. მართალია, ზოგი ამ ორგანოთაგანი არასწორად არის გაგებული ფუნქციის მხრივ, მაგრამ ზემოაღნიშნული თანმიმდევრობა მაინც დაცულია. ეს თანმიმდევრობა კი ასეთია: ცხვირის ღრუ, პირის ღრუ, ხორხი, „აერის—საცავი", „სასულე". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „აერის-საცავი", ეწოდებოდა იმ ანატომიურ წარმონაქმნს, რომელიც ახლა „ტრაქეას" სახელით არის ცნობილი. ხოლო „სასულეს" ფილტვს უწოდებდნენ. ცხვირის დანიშნულება დასახელებულ საუკუნეებში წარმოდგენილი ჰქონდათ ისე, თითქოს ცხვირის ღრუ მასში მოთავსებული ცხავისა და „ღრუბლის გვარი" ძვლის საშუალებით იცავს ტვინს სუნთქვის დროს ჰაერის ცივი და მკვეთრი ნაკადის გავლენისაგან. მეორე მხრივ ცნობილი იყო, რომ ცხვირის ღრუდან ჰაერი პირის ღრუში გადადის, შემდეგ უკვე ხორხში.

ხორხში არჩევდნენ სამ ხრტილს და „ხორხის თავს", ეს უკანასკნელი შეიძლება ხორხსარქველის სახელი ყოფილიყო. ხორხიდან ჰაერი „აირის-საცავში" გადადიოდა. „აირის-საცავი" ნუ ახლანდელი სასულე ორგვარი ფუნქციის მატარებლად მიაჩნდათ. ფიქრობდნენ, რომ იგი მონაწილეობს სუნთქვის პრო-

---

1 „სამკურნალო წიგნი", გვ. 351.
2 „იადიგარ დაუდი", გვ. 549.
3 „კარაბადინი", ხელნაწერი № 136. იოანე ბატონიშვილის ფონდიდან.
4 „კაცისა შესაქმისათვის", გვ. 103.

ცესში და ბგერების წარმოქმნაში: „თუით იგი... რომელ არს აირის-საცავი, ხმეებრივთა ვედრე-მე და სულის კუეთათა ორღანო“[1].

„აირის საცავიდან“ ჰაერი ბრონქებში გადადის (ბრონქებს იმდროისათვის ქართულად „ღაჭღაჭს“ უწოდებდნენ). „ღაჭღაჭი“-დან კი ჰაერი ფილტვებში ანუ, როგორც აღვნიშნეთ, „სასულეში“ უნდა ჩასულიყო.

ფილტვების აგებულების შესახებ ნათქვამია, რომ იგი „ნატიფი ხორცისაგან“ არის შექმნილი და „ყიჟილგვარია“, ე. ი. ღრუბლისებრი აგებულებისაა, რათა უფრო მეტი ჰაერი დაიტიოს.

ფილტვის მეზობელ ორგანოდ ითვლებოდა გული, რომელსაც იგი ორივე მხრივ ჰქონდა გარსშემოკრული. „ვითარ იგი ღუიძლსა... გარეშეუცავს მუცელი, ეგრეთვე და სასულეცა საშუალ დაიპყრობს გულსა, მოქენესა მის—მეერთა სულის—კუეთათა-გან განგრილებად.“[2]

ფილტვის მოქმედების შესახებ კი ფიქრობდნენ, რომ „შეღმაკუეთა სულისა“ ანუ შესუნთქვის დროს ზემოაღნიშნული სასუნთქი გზებით გრილი ჰაერი და მასში შემავალი „ცხოველობითი სული“ ფილტვებში ჩადის. აქ იგი ერთბანს შეჩერდება, გაიწმინდება („განატიფდება“) და შემდგომ მარცხენა პარკუჭისაკენ მიემართება. აქ იგი გულს „გააგრილებს“, მასში მყოფ სისხლს შეიზავებს და შემდეგ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გული „შეზავებულ სისხლსა და ცხოველობით სულს“ მთელ ორგანიზმს გაუნაწილებს.

„გამოღმა სულის-კუეთის“, ანუ ამოსუნთქვის დროს, თითქოს, ფილტვები გულის სიმხურვალეს მოიზიდავს და ზემო სასუნთქი გზებით გამოყოფს გარეთ“ „ფირტვი კვამლისაებრ ორთქლსა და მხურვალსა ბუხარსა გულისაგან შეიღებს და ხორხთა მისცემს და პირსა და ცხვირთაგან განუყენებს“.[3]

ცნობილი ყოფილა, რომ სუნთქვის ხანგრძლივად შეჩერებას ორგანიზმის დაღუპვა მოსდევს. მაგრამ თვით ახსნა ამ მოვლენისა არასწორ წარმოდგენებზე იყო დამყარებული. ფიქრობდნენ, რომ თითქოს სუნთქვის შეჩერების შემთხვევაში ფილტვები ვეღარ გააგრილებენ გულს, ანუ ვერ გამოიტანენ მისგან სიმხურვალეს და ადამიანი ამიტომ იღუპება.

„ვიდრე ფირტუსა შინა ჰაერი იყოს კაცი ცოცხალ იქნების და რა შიგან ჰაერი არ იყოს კაცი მოკვდების, მით რომელ მხურვალი ბუხარი გულსა დასწუამს“[4].

მაგალითად, XI—XII საუკუნეებში სუნთქვის შეჩერების ზღვრად მიჩნეული იყო საათის მეათედი ნაწილი—„არცა თუ მეათესა ჟამისა ნაწილსა დათმენად შემძლებელ ვართ, არამედ მოვიშთობით ჩუენ—შორისისა მხურვალებისაგან...“[5]

XV—XVI საუკუნეების წყაროებში ცნობები სუნთქვის ორგანოთა შესახებ შედარებით ნაკლებად არის დარჩენილი, მაგრამ არსებული მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენები ფილტვის აგებულების, მდებარეობისა და ფუნქციის შესახებ არსებითად არ შეცვლილა. აღსანიშნავია მხოლოდ XVI საუკუნის ერთი, საინტერესო ცნობა, რომელიც ლაპარაკობს, რომ „...ყოვლისა სულდგმულისა სული ფირტვშიგა ბრუნავს“[6]. ამ ცნობის მიხედ-

---

[1] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 122.
[2] იქვე.
[3] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 21.
[4] იქვე.
[5] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 120.
[6] „იადიგარ დაუდი“, გვ. 348.

ვით შეუძლებელია რაიმე გადაწყვეტით ითქვას, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი სუნთქვის პროცესი, მაგრამ თავისთავად ეს ცნობა მნიშვნელოვანია და გარკვეული მიხვედრის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში ფილტვის დაავადებების აღწერასთან ერთად გვხვდება ცნობები, რომელიც პლევრის ფურცლებს უნდა შეეხებოდეს. პლევრის ფურცელს „ნეკნების ფარს“ უწოდებდნენ. ცნობილი ყოფილა, რომ მათი რიცხვი ორია, თუმცა ისინი ცალ-ცალკე არ არიან დასახელებული. „ფილტვი ბუნებისა მის მდგომარეობის სრულსა სიმრთელისსა შეხების ნეკნების ფარს. გარნა არ მიკრულ არს მისდამი ამისად შეხედების შიდა გულის განფიცხებისა, შიდა ბჟუალისა და სხეათა შეხდომათა მით, ორნი ესე ნაწილნი შეედულებიან ერთმანეთსა და აროდეს გაშორდებიან“[1].

შარდ-სასქესო ორგანოთა სისტემა

შარდ-სასქესო ორგანოთა შესახებ ცალკეული ცნობები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვხვდება ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში. ფართო წარმოდგენები ამ ორგანოთა აგებულების, მდებარეობისა და დანიშნულების შესახებ უმთავრესად XI საუკუნიდან არის დარჩენილი.

თირკმლების მდებარეობა ზურგის შუა ადგილას ჰქონდათ წარმოდგენილი—„მისი ადგილი ზურგსა შუა არიან...“[2] ცნობილი ყოფილა აგრეთვე ცხიმოვანი გარსის არსებობა ამ ორგანოს ირგვლივ[3]. აღწერილია, რომ თირკმელს ორი ღრუიანი ძარღვი უკავშირდება. ერთი მათგანი, როგორც ირკვევა, არის არტერია, ხოლო მეორე — შარდსაწვეთი.

„...ესე ძარღვნი ორკერძად იქნებიან ეგრე რომელ ერთი შარიანის წუერნი,... და მეორე წუერნი მათანისა ყელთა თანა“[4]. შარიან ძარღვს, როგორც უკვე ითქვა, არტერიას უწოდებდნენ და მისი დასახელება აქ ეკუთ არ იწვევს, ხოლო მეორე ძარღვი რომ ნამდვილად შარდსაწვეთია, ამას ადასტურებს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი ერთი წვერით თირკმელს და მეორე წვერით „მათანისა ყელთა“ უკავშირდება. „მათანას“ კი იმდროისათვის შარდის ბუშტს უწოდებდნენ. ცნობილია, რომ გზა თირკმელსა და შარდის ბუშტს შორის მხოლოდ შარდსაწვეთების სახით არსებობს და ზემომოყვანილ ამონაწერში ამ წარმონაქმნის მესახებ უნდა იყოს ლაპარაკი.

„წიგნი საქიმოი“-ს მიხედვით შარდსადინარს „სარცხვენელის ღარი“ ეწოდებოდა[5].

აღნიშნულ პერიოდში თირკმლებს ორ დანიშნულებას მიაწერდნენ. ერთი, ეს იყო მონაწილეობა შარდის გამოყოფაში, რასაც სისხლის გაწმენდას უკავშირებდნენ[6], ხოლო მეორე „სასქესო თესლის“ შექმნაში. ამ უკანასკნელის წარმოქმნა იმდროისათვის მეტად თავისებურად ჰქონდათ წარმოდგენილი. ფიქრობდნენ, რომ თითქოს კაცის თესლი თავში თხევად მდგომარეობაში იმყოფება

---

[1] „სწ-ელა ერისა სიმრთელისათვის მისისა“ (1782 წ.). ინახება აკად. ს. ყანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H. 2164, ფ. 32v.

[2] „წიგნი საქიმოი“, გვ. 22.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 33.

[4] „წიგნი საქიმოი“, გვ. 22.

[5] იქვე, გვ. 228.

[6] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 123.

და აქედან მოდის თირკმლებში. აქ თირკმლის სიმხურვალე გამოიწვევს თირკმლის ირგვლივ არსებული ცხიმისა და ჩამოსული წყლის ადუღებას. ისინი ერთმანეთში შეერევა და შეიქმნება თესლი, რომელიც მამაკაცის სასქესო ასოში ანუ სარცხვენელში გამოვა[1].

„სარცხვენელი" ანუ მამაკაცის სასქესო ასო ღრუ ორგანოდ მიაჩნდათ. მის შესაბამისად დედაკაცში საშვილოსნოს ყელი ითვლებოდა.

ფიქრობდნენ, რომ სათესლე ჯირკვლები მამაკაცსაც ჰქონდა და დედაკაცსაც. მათ შორის განსხვავებას მხოლოდ აგებულებაში ხედავდნენ. მამაკაცის სასქესო ჯირკვლები აღწერილია როგორც მოგრძო ფორმისა, მას „სუსტი ხორცისაგან" შედგენილად მიიჩნევდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო სასქესო ჯირკვლის აგებულების ტლანქად, ხელით გასინჯვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების გამოხატულება. მამაკაცის სასქესო ჯირკვლებისაგან განსხვავებით დედაკაცისა „მაგარი ხორცისაგან" შემდგარად ითვლებოდა.

საშვილოსნოს ეწოდებოდა „საშვილე", „სამარტვილე", „საყმაწვილე" და XIII საუკუნეში „ზეჰდანიც". თავისი ფორმით საშვილოსნოს შარდის ბუშტს ადარებდნენ. მისი კედელი მკვრივად ითვლებოდა. მდებარეობის ადგილად შარდის ბუშტის უკანა მიდამო იყო მიჩნეული—„ზეჰდანი ვითა მათანაი არს, და მათანაი საწყლე ბუშტი არს, და ტყავი მისიცა მაგარი იქნების, ვითა მათნისაი, და ადგილი მისი მათნასა ქვეშეთ იქნების,..."[2].

საშვილოსნოში გამოყოფდნენ პირს, რომელსაც თევზის პირს ადარებდნენ. საშვილოსნოს ირგვლივ არჩევდნენ ორ გარსს, რომელსაც „ტაბაყას" უწოდებდნენ—„...პირი აქუს ვითა თევზისა, და ორი ტაბაყაი არს შიგნით"[3].

რაც შეეხება შარდის ბუშტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას „მათანას" უწოდებდნენ. არსებობდა მისი სხვა სახელწოდებანიც: „საწყლე ბუშტი" და სხვ. თავისი მოყვანილობით შარდის ბუშტს „ყარულას" ანუ შარდის მოსაგროვებელ ჭურჭელს ადარებდნენ. მისი კედელი მკვრივად იყო მიჩნეული. აღწერილია შარდის ბუშტიდან გამომავალი ერთი ძარღვი, რომელიც შარდის გამომტანად ითვლებოდა. ამ ადგილას ანუ შარდის ბუშტის პირის ახლოს შენიშნული ყოფილა პატარა ხორცოვანი წარმონაქმნი, რომლის დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ მას არ უნდა გამოეშვა შარდი უდროოდ.

„და ოდესცა ეგე ხორცი, ანუ იგი ძარღვი დაუსუსურდნენ, ფსელსა ვერ დაიჭერავენ და უნებლივ კაცისასა გაედინების..."[4].

შესაძლებელია, წარმონაქმნი, რომელზეც აქ არის ლაპარაკი, წინამდებარე ჯირკვალი იყოს.

XV—XVI საუკუნის სამედიცინო წერილობით წყაროებში საინტერესო ცნობები გვხვდება შარდ-სასქესო ორგანოების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავი მონაცემები თირკმლების მდებარეობის, აგებულებისა და ფუნქციის შესახებ გვხვდება XV საუკუნით დათარიღებულ „სამკურნალო წიგნში". აქ აღწერილია, რომ თირკმლები მდებარეობენ ჰიპის პირდაპირ, ხერხემლის ანუ „ზურგის თუალის" ორივე მხარეზე, ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, „და ადგილი

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 33.

[2] „წიგნი საქიმოი", გვ. 15.

[3] იქვე, გვ. 16.

[4] იქვე, გვ. 23.

თირკმლისა შიგნით კერძო და ზურგით კერძო კრავს პირისპირ უპესა[1]. ქუეშეთ—ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით,—და ზურგის ძვალსა."[2]. ამავე წყაროში თირკმელის აგებულების შესახებ ნათქვამია, რომ „აგებულეობა თირკმელთა ხორცისაგან არის შერეული ძარღუთა რათმე ხმელთა, და მას შიგან სისხლი არს მგზავსი წყლისა სითხითა,.. და არის ერთობ ქონიანი..."[3]

გამოდის, რომ თირკმელი შესდგება ხორცისაგან და ძარღვებისაგან, რომლებშიც წყლისმაგვარი სისხლია მოთავსებული. იბადება კითხვა, თუ თირკმლის რომელ ძარღვებზეა აქ ლაპარაკი? ეს შეხედულება, როგორც აღვნიშნეთ, XV საუკუნით არის დათარიღებული და, ცხადია, კაპილარებისაგან შემდგარ თირკმლის გორგლებზე ან საშარდე მილაკებზე წარმოდგენა არ შეიძლება არსებულიყო, რადგან ამ წარმონაქმნების დანახვა მიკროსკოპის გარეშე შეუძლებელია. უფრო დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ცნობა თირკმელში ძარღვების არსებობის შესახებ მცირე ფიალებსა და ჯამებს შეეხებოდეს.

განხილულ პერიოდში ცნობები გვხვდება აგრეთვე შარდსაწვეთებისა და შარდის ბუშტის შესახებ, მაგრამ ეს მონაცემები ძირითადად არ განსხვავდებიან უკვე განხილული წარმოდგენებისაგან.

როგორც XVIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, სასქესო ჯირკვლების არსებობას უკავშირებდნენ სქესობრივი ნიშნების განვითარებას. „...ოდეს მაძაკაცსა სამამაკაცო დაეკვეთოს, დიაცის ბუნება მიეცემის. ამით სცან, რომე ულვაშნი და წვერნი დაკვეთასა მისსათანა აღმოიფხვრას."[4] სქესთა სხვა განმასხვავებელ ნიშნებსაც იცნობდნენ, რომლებიც დღეს მეორად სქესობრივ ნიშნებად ითვლება.

„თუცა მამაკაცი ხარ, წვერი და ულვაში სად არის? თუცა დიაცი ხარ, სადაა შენი თმათა ნათხზავნი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადაა ძლიერება მაჯათა? თუცა ქალი, მშვენიერთა ძუძუთა შემიხვიე; თუცა კაცი ხარ, არა გაქვს სიმხნე ასოთა: თუცა დედათაგანი ხარ, არ ძალგიძს შობა შვილისა."[5]

ნერვული სისტემა

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ თავის ტვინი ძველთაგანვე ორგანიზმის ერთ-ერთ მთავარ ორგანოდ იყო მიჩნეული. ეს წარმოდგენა ტვინის შესახებ თანდათანობით კიდევ უფრო მტკიცდებოდა.

X საუკუნეში ტვინი ორგანიზმის საძირკველად, საფუძვლად ითვლებოდა. მისი მოშლა სხეულის დარღვევის პირობად იყო მიჩნეული. „...ტუინი არს მიზეზი სიცოცხლისაი საქმეი ესე რომელი გამოჩნდის ენებისაგან მისისა რომელი ოდეს იგი ეცეს რაიმე აპკასა ტუინისასა წყლულებაი. მწრაფლ მოიწიის სიკუდილი და არღარა დაშთის ცოცხლებით წყლოულებისა მისგან, რომელ არს იგი საძირკოუელსა რომელსა ზედა აღშენებოულ არიან გოდოლი რა ჟამს მიდრკის საძირკოუელი დაირღვის ზედა კერძოიცა მისი"[6].

---

1 უპე პიპს ეწოდებოდა.

2 „სამკურნალო წიგნი", გვ. 289.

3 იქვე. გვ. 288.

4 სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა", გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 5.

5 იქვე, გვ. 13.

6 „კაცისა შესაქმისათვის", გვ. 98, 99.

ტვინზე, როგორც ორგანიზმის მთავარ და განმგებელ ორგანოზე, წარმოდგენა XI საუკუნეში ასეთივე დარჩა—„ტვინი გვამის ხელმწიფეა. და ცნობა ყოველი მისგან არს"[1]. ამავე ხანაში ტვინის აგებულების შესახებ მიჩნეული იყო, თითქოს ტვინი გახვეული იყოს 7 „ფარდაგში". „ფარდაგი" იმდროინდელ ენაზე გარსს ეწოდებოდა. „ტვინი შვიდსა ფარდასა შიგან არის წახვეული. და პირველად თმაშიგან. მეორე ტყავი. მესამე ხორცი. მეოთხე ძვალი. მეხუთე ძალისა აფსკა აკრავს. მეექვსე ლაბა არის. მეშვიდე ტვინი რომე ძეს"[2], თუ ყველა ჩამოთვლილ წარმონაქმნებს ტვინის დამცველად განვიხილავთ, მაშინ შეიძლება მართლაც ეს შვიდი გარსი დაითვალოს. მაგრამ ამჟამად, რა თქმა უნდა ჩვენი ასეთი სახით წარმოდგენა არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

განვიხილოთ ეხლა, რა „ფარდაგებზეა" აქ ლაპარაკი. თმა და „ტყავი" ანუ კანი თავისთავად ცხადია. რაც შეეხება „ტყავის" შემდეგ დასახელებულ „ხორცს" იგი კანქვეშა ქსოვილს უნდა შეესატყვისებოდეს.

„ძვალისა აფსკა" ამ შემთხვევაში თავის ქალას ძვლებზე გადაკრულ ძვლისაზრდელას უნდა ნიშნავდეს, მართლაც შემდგომ საუკუნეებში „ძვლის აფსკის" ნაცვლად „ძვლის საზრდელა" გვხვდება, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ აქ იგი ტვინის მაგარ გარსის მნიშვნელობით იყოს ნახმარი. დასახელების თანამიმდევრობას თუ გავყვებით, მაშინ „მეექვსე ფარდაგი ლაბა"-ს ქვეშ თავზურგტვინის სითხე უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო „ფარდაგი, რომელშიც ტვინი ძეს", რბილი გარსი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ უკვე XIII საუკუნეში მხოლოდ უშუალოდ ტვინთან დაკავშირებულ ორ გარსს არჩევდნენ: „და იცოდე რომელ ტვინი ბუნებაი გრძელ და ნედლი არს, და იგი ორთა ფარდაგთა შუა კიფასა ქუეშეთ ძეს, ეგრე რომელ ამათ ორთა ფარდაგთან ერთი გარეთ იყოს და ერთი შიგნით, და გარეგანი ფარდაგი რომელ კიფასა ქუეშე მოკიდებული არ იყოს და კიდე განა იყოს ამისათვის რომელ საავნოი უკუაყენოს ტვინისაგან..."[3] როგორც ჩანს, აქ ლაპარაკი უნდა იყოს ტვინის რბილი და მაგარი გარსების შესახებ.

XI—XII—XIII საუკუნეებში ტვინში გამოყოფდნენ „სამ მუცელს" ანუ ნაწილს. არჩევდნენ წინა, შუა და უკანა „მუცელს". წილთა შუა საზღვარზე შეინიშნული ყოფილა არტერიებისა და ვენების არსებობა: „და იცოდე რომელ თავისა ტვინი სამკერძად არს, მაგრა ერთგანით მაგრა მოკიდებულია და მას ბუტენა დიმაღი ჰქუიან. და ამას ბუტენთა შუა წითლები ძარღუები არს ზოგი მფეთქელი, და ზოგი წყნარი"[4].

აღწერილობის მიხედვით, ტვინის წინა მუცელი" დაახლოებით შუბლის წილს შეესაბამება. ის მიაჩნდათ „გრძნობელთა დასაწყისად" ანუ ახლანდელი ენით რომ ვთქვათ, გრძნობად გაღიზიანებათა მიმღებ ადგილად. ფიქრობდნენ, რომ მასთან ნერვებით დაკავშირებულია გრძნობის ორგანოები[5].

ტვინის შუა ნაწილი ანუ „მუცელი" მიჩნეული იყო ცნობიერების, გონიერების, განსჯის ადგილად—„მიიღოს რაი მიმოსიტყვით მან და მიმოსაჯოს წარაელენს მომხსენებლობისად", იქვე, „მეორე ბუტენი... ცნობისა და შეგებისა ად-

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 48.

[3] „წიგნი საკიმოი", გვ. 19.

[4] იქვე.

[5] „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 91.

გილი არს, და ოდეს ამა ბუტენს რაი ჰავი წაეკიდოს კაცი ცნობისაგან იავარ იქ-ნების,...“[1] ე. ი. თუ ტვინის შუა ნაწილი ანუ „მეორე ბუტენი“ („ბუტენი“ არა-ბულად მუცელს ეწოდება) დაზიანდა, ცნობიერება ირღვევა.

მიაჩნდათ, რომ ტვინის უკანა ნაწილი ანუ „უკანაით კერძი მუცელი ტვი-ნისაი“, მეტყველებასა და მოძრაობას განაგებდა[2].

ზოგიერთი წყაროს მიხედვით ტვინის აღნიშნულ ნაწილებს რამდენადმე განსხვავებული ფუნქციები მიეწერება. მაგალითად, „წიგნი საქიმოი“-ს მიხედ-ვით ირკვევა, რომ ტვინის წინა „მუცელი“ ანუ „პირველი ბუტენი“, რომელიც შუბლისაკენ არის, მხედველობას განაგებს. მისგან ორი ძარღვი (ნერვი) მიდის თვალებთან და მხედველობა მათი საშუალებით ხორციელდება. თუ ტვინის აღ-ნიშნული ნაწილი დაზიანდა, ადამიანი დაბრმავდება: „მაგრა პირველი ბუტენი რომელ შუბლისაკე არს მით ორთა ბუტენთაგან უფრო არს, და იგი თუალთა სინათლისა ადგილი არს და სიბნელე და სინათლე მის ბუტენისაგან იქნების,... და ორი ძარღვი ღრუი ამას ბუტენისაგან თვალისა გუგამდინ ჩოკი-დულნია. და სინათლე თვალთა ამა ორთა ძარღუთა შუა შემოვა თუალთა. და იცოდე რომელ კაცისა ტანსა შიგან სხვაი ღრუი ძარღვი არა არს ამა ორთაგან კიდე, და თუ ამას ბუტენსა რაი ჰავი წაეკიდოს თვალი დაბნელდების.“[3]

ამავე ძეგლის მიხედვით ტვინის მეორე ნაწილი ანუ „ბუტენი“, რომელიც შუბლის წილის შემდეგაა, ცნობის ადგილია და მის დაზიანებას შეიძლება მოჰ-ყვეს ეპილეფსია (მტერთა დაცემა), დამბლა (საქთაი), სახის ნერვის დამბლა (ლაყვაი): „და მეორე ბუტენი რომელ მისი მოკიდებული არს, ცნობისა და შეგების ადგილი არს, და ოდეს ამა ბუტენსა რაი ჰავი წაეკიდოს კაცი ცნობი-საგან იავარ იქნების, და მტერთა დაცემა რომელსა ჰქვიან ს ა რ ი ი და ს ა ქ-თ ა ი და ლ ა ყ ვ ა ი გამოჩნდების“[4].

ტვინის მესამე ნაწილი, რომელიც უფრო მცირედ ითვლებოდა, დასწავლი-სა და მოგონების ფუნქციის მატარებლად მიაჩნდათ. „მ ე ს ა მ ე ბ უ ტ ე ნ ი დასწავლისა მოგონებისა ადგილი არს, რომელსა ჰქვიან ს ვ ი ნ დ ი ს ი და ვით იქნების დასწავლაი და ხსენებაი, და მოგონებაი ყველაისი და ესე ბუტენი ყო-ველთა ფაითაი შუა არს, და თუ უმცროოსი არს მათ ორთა ბუტენთაგან, და რაი ამას ბუტენსა რაი ჰავი წაეკიდოს კაცი მოვიწყე იქნების“[5].

აღნიშნული მონაცემები ტვინის ნაწილების ფუნქციის შესახებ ემყარებო-და სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ ტვინის დაზიანების დროს განვითარებულ პათოლოგიურ მოვლენებზე წარმოებულ დაკვირვებას: „ვინაითგან უკუე საგრძ-ნობელთა დასაწყისად და ძირად წინაით—კერძოთა მუცელთა ვიტყვით ტუინი-სათა, ხოლო სიტყუერებისა-თვის—საშუალსა, არამედ მომხსენებლობისათუის—უკუნაი—კერძოსა,—საჭირო არს ჩუენებად, ვითარმედ ესრე სახე არს ესე, რაი-თა არა ვეთნნეთ უტყუად მრწმუნებელნი. რომელნი ამას იტყოდინ, კმასაყო-ფელ აღმოსაჩენელად თუით მათ ნაწილთა მოქმედებისა-გან მიღებად. რამეთუ უკუეთუ წინათა-კერძოთა მუცელთა ტუინისათა რაითავე სახითა ევნოს, საგრძ-

---

1 „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 90, 91.

2 იქვე, გვ. 91.

3 „წიგნი საქიმოი“, გვ. 19.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 19—20.

ნობელნი უკუე დაიცლებიან, ხოლო გონიერებით მერმეცა ჰგიესვე დაცვულ:ად; არამედ თუ რად-მე საშუალსა ოდენ მუცელსა ტუინისასა ევნოს, გაგონებაი მხოლოდ აცთუნებს, ხოლო გრძნობის—საცავნი ჰგიან მცველედ ბუნებითთა გრძნობათა; ხოლო თუ რად-მე წინაითთა და საშუალთა მუცელთა ევნოს, ერთბამად გულის—სიტყუაი და გრძნობაი უწყმდების და განიკუეთების; არამედ თუ რად-მე უკანათამან კერძომან ივნოს, მარტოდ მომხსენებლობაი წყმდების, ხოლო გრძნობასა და გაგონებასა არასადა ევნების (უწყებულ იყავნ, რომელ არა არს აწ ჩუენდა დახუდომით მიდრეკისათუის სიტყუაი). ხოლო თუ რად-მე წინათა-თანა საშუალმან და უკანამან ივნოს რაი, გრძნობაი და გულის-სიტყუაი და მომხსენებლობაი ერთბამად განიხრწნებიან,—რომლისა—თუისცა ყოველივე ცხოველობაი წყმდების."[1]

ნებით და უნებლიე მოძრაობის გამგებლობას მიაწერდნენ ტვინის უკანა ნაწილში შემავალ წარმონაქმნს—ტვინის ძარღვს: „არს უკუე მებრ წინააღრჩევითა, გინათუ მებრ დახუდომით მიდრეკისა დასაბამ ვინაი-მე ტუინებრივი ძარღუი, რომელი გარდაჰვლის საშუალ ოდენ თავსა, და უკანაითა კერძოი ტუინი, რომელი ამას ძარღუისავე არს ნაწილი..."[2].

მოძრაობაში და გრძნობად გაღიზიანებათა მიღებაში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზურგის ტვინის ნერვებს. ზურგის ტვინის ადგილად მიაჩნდათ ხერხემლის არხი ანუ, როგორც იტყოდნენ, „ზურგის ძვალის მძივები".

ხერხემლის სვეტის მალების დაყოფის შესაბამისად ზურგის ტვინში არჩევდნენ: „ყელის" ანუ კისრის, „ზურგის" ანუ გულმკერდის და „მუცლის" ანუ წელის ნაწილებს. გვხვდება ცნობები ზურგის ტვინიდან ხერხემლის მალებს („მძივებს") შორის „ძარღვების" გამოსვლის შესახებ: „და თვითო მძივსა შიგან ორი ხერელი არს, ერთი მარცხნით კერძო და მეორე მარჯვნით კერძოით. და თვითო საქციელისაგან ცოტა ტვინი გამოსრული არს და ძარღვად შექმნილა..."[3]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საქციელი" სახსარს ეწოდებოდა, ხოლო „მძივი" ხერხემლის მალას. და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ მალთა შუა ანუ მალთა შორის არსებულ სახსრის საზღვარზე, სწორედ იქ, სადაც ორი მალის შესახსრებით მალთაშუა ხვრელები წარმოიშვება, გამოდიან „ძარღვები" ანუ ნერვები, ერთი მარჯვნივ და ერთი მარცხნივ. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ზურგის ტვინიდან გამოსული ნერვების შესახებ. ცნობილი ყოფილა აგრეთვე, რომ ზურგის ტვინიდან ოცდათერთმეტი წყვილი ნერვი გამოდის. მათ შორის რვა კისრის ნაწილიდან, თოთხმეტი გულმკერდის და ხუთი წელის ნაწილიდან. მოგვყავს აღნიშნული ნერვების აღწერილობა: „ოცდათერთმეტი წყვილი იგი არს, რომელ მათი სათავნოი ზურგის ძუალთა ტვინისაგან არს, ვითა თვითო წყვილი ყელისა მძივისა ხურელთაგან და ზურგისა მძივთაგან გამოსრული არს და მათ ასოთა შიგან რომელ მძივთა პირისპირ არიან დაიპანტვიან. მათ ყოველთაგან რვაი წყვილი ყელსა შიგან არიან, და თოთხმეტი წყვილი ზურგსა შიგან, და ხუთი წყვილი მუცელსა შიგან,..."[4].

---

[1] „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 91.
[2] იქვე, გვ. 117—118.
[3] „წიგნი სააქიმოი", გვ. 18.
[4] იქვე, გვ. 26.

ზურგის ტვინის აღწერილობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც „წიგნი საქიმოი"-ში არის დაცული: „...იგი რომელ მარტივი არს მაყადსა[1] ზემოით იქნების..."[2].

გამოდის, რომ „მაყადის" ანუ გავის ზემოთა ნაწილი ზურგის ტვინისა „ქარტივია", ხოლო მისი ქვემოთა ნაწილი „არამარტივია". სიტყვა „მარტივი" ამ შემთხვევაში არაშედგენილს, მხოლოობითს უნდა გულისხმობდეს[3]. თუ ეს ასეა, მაშინ ამ ცნობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზურგის ტვინში არა მარტო ზემოაღნიშნულ სამ ნაწილს არჩევდნენ, არამედ გამოჰყოფდნენ აგრეთვე, თანამედროვე ანატომიაში რაშის ძუის სახელით ცნობილ ნაწილს, რომელიც მართლაც „მარტივი" არ არის და წელის, გავის და კუდუსუნის ნერვების კომპლექსს წარმოადგენს.

არსებობდა გარკვეული ნიშნები ნერვის განსასხვავებლად სხვა მსგავსი წარმონაქმნებისაგან. მაგალითად, აღწერილია, რომ მყესისაგან განსხვავებით ნერვი მრგვალია, მგრძნობიარეა და ტვინიდან იწყება, ხოლო მყესი—ბრტყელია, უგრძნობელია და ძვლიდან იწყება: „განეყოფვის უკუე ძარღუთა ტენონი ამით, რომელ ყოველი ძარღუი მგრძნობელობითი არს და მრგუალი და უჩჩოისი, და დასაწყისი და დასაბამი თავის-შორისისა ტუინისა-გან აქუს; ხოლო ტენონსა ძუალთა-გან აქუს დასაწყისი და ძარღუთაისა უფაცხე არს და თუით თუის-შორის უგრძნულ და ოდეს-მე ბრტყელცა."[4]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხეულის თითქმის ყველა ნაწილებისა და ორგანოების მოქმედებას ტვინიდან გამომავალ ძარღვებს უკავშირებდნენ, რომლებსაც „უსისხლო, ხმელ ძარღვებს" უწოდებდნენ. ამით განასხვავებდნენ ეათ სისხლის ძარღვებისაგან.

„...ტვინისაგან ძარღვნი ჩამოვლენ ქვედა ტანშიგა ისი ძარღუნი მისცემენ სრულად ტანსა და ასოებსა ძრვასა."[5].

ვნახოთ, ახლა, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი მათი განაწილება. ფიქრობდნენ, რომ ტვინიდან წამოსული ძარღვები მიდიან თვალში, ყურთან, კბილებთან, ცხვირთან, ენასთან, ბაგეებთან, სტომაქში, გულში, თირკმელში, ზემო და ქვემო კიდურებში.

„...ორნი ძარღუნი თვალშიგან ჩამოვლენ თვალისა სინათლე დახუჭვა და გაღება მისგან იქნების... ორნი ძარღუნი ყურშიგან ჩავლენ... სმენა და გაგონება იქიდაღმე იქნების. ორნი ძარღუნი კბილშიგან და მისა ძირსა თვითო ძარღვი მივა და კბილებსა ის გაამაგრებს. ერთი ძარღვი ცხვირშიგან ჩავა და ორად გაიყოფის. და ტვინი ავსა და კარგსა სულსა იქით შეიტყობს... და ერთი ძარღვი ენაშიგა ჩავა, ერთი ბაგეშიგა ჩავა და საუბარსა აქიდაღმა იტყვის და ბაგე გემოს იქიდაღმე შეიტყობს .ერთი ძარღვი სტომაქშიგა ჩავა, საჭმელსა იქიდაღმა აღნობს. ერთი ძარღვი გულშიგა ჩავა რომე ყოველსა საქმესა მით დაისწავლის, ერთი თირკმელში ჩავა რომე თირკმელმან თესლი აიღოს. ერთი ხელებშიგან ჩავა ორად გაიყოფის, ერთი მარჯვენით ერთი მარცხენით, რომე ხელი რბილსა და მაგარს მით შეიტყობდეს. ერთი ღვიძლშიგან ჩავა რომე, სტომაქისა და ს.ეშლი-

1 „მაყადი" არაბული სიტყვაა და განხილულ პერიოდში საჯდომის ანუ გავის მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ტერმინებთან ერთად.

2 „წიგნი საქიმოი", გვ. 26.

3 ამასთან დაკავშირებით იხილეთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტება. „სიტყვის კონა", 1949, გვ. 355—356.

4 „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 118.

5 „უსწორო კარაბადინი", გვ. 48.

საგან ძალი აიღოს.ერთი ფერდშიგან ჩავა და თეძოშიგან თვითო ფერხშიგან, რომე სიარულს მით დაიწყებს"[1].

ცალკე უნდა აღინიშნოს თავის ტვინის ნერვების შესახებ. როგორც არსებული მონაცემებით ირკვევა, ცნობილი ყოფილა შვიდი წყვილი თავის ტვინის ნერვი: „შვიდი ჯუფთი იგი არს, რომელ მათი სათავნოი თავისა ტვინისაგან არს"[2].

მათ შორის პირველ წყვილად ითვლებოდა ნერვები, რომლებიც „თუალთა შიგან მოკიდებულნია."[3]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხედველობის ნერვების შესახებ, რომლებიც თანამედროვე ანატომიაფიზიოლოგიაში მეორე წყვილად ითვლება. თავის ტვინის მეორე წყვილ ნერვებად მიჩნეული იყო ძარღვები, რომლებიც „თუალთა ფურცელსა შიგან მოკიდებულნია..."[4] თავის ტვინის რომელ ნერვებზეა აქ ლაპარაკი, გადაწყვეტით თქმა ძნელია. შეიძლება თვალის მამოძრავებელ ნერვზე (III წყვილი) იყოს ლაპარაკი. შეიძლება ჭაღისებრი ნერვი (IV წყვილი) იგულისხმებოდეს.

მესამე წყვილის შესახებ ნათქვამია, რომ „მესამე ჯუფთი ყურიმალსა და ცხვირთა და ბაგეთა მოკიდებული არს"[5]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება სამწვერა ნერვს (V წყვილი) და მის ზოგიერთ ტოტს.

დანარჩენი ნერვები ასეა აღწერილი: „მეოთხე ჯუფთი პირსა და ენასა შიგან მოკიდებული არს. მეხუთე ჯუფთი ყურსა, ყელსა და მკერდსა თანა მოკიდებული არს. მეექვსე ჯუფთი მუცლის ალაგთა თანა მოკიდებული არს. მეშვიდე ჯუფთი ენისა და ყელისა ხორცთათანა მოკიდებული არს".[6] ამ აღწერილობათა მიხედვით საკმაოდ ძნელია იმის გარკვევა, თუ თავის ტვინის რომელ ნერვებს შეეხება ეს ცნობები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არასამედიცინო და სამედიცინო წერილობითი წყაროებში ნერვული სისტემისა და კერძოდ, თავის ტვინიდან გამოსული ნერვების შესახებ შემორჩენილი აღწერილობანი, ნაკლებ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ეს ცნობები ჩვენთვის საყურადღებო და ძვირფასია იმ მხრივ, რომ ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესის განხორციელებას აღნიშნულ ნერვული წარმონაქმნების ფუნქციას უკავშირებდნენ.

შემდეგ საუკუნეებში, როგორც წყაროებიდან ირკვევა, წარმოდგენები ნერვული სისტემის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ თითქმის სრულიად არ შეცვლილა. ტვინი კვლავ მთავარ ორგანოდ ითვლებოდა—„იგი არს ხელმწიფედ სრულად ტანისა",[7] მას მიეწერებოდა იგივე ფუნქციები, რაც წინა საუკუნეებში „ცნობა ყველა მისგან არს".

განსხვავება არც ნერვული გზების გავრცელების აღწერილობაში შეინიშნება, ამიტომ მის განხილვაზე აღარ შევჩერდებით.

---

1 „უსწორო კარაბადინი" გვ. 48—49.

2 „წიგნი საქიმოი", გვ. 26.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

7 „სამკურნალო წიგნი", გვ. 4—5.

გრძნობათა ორგანოები

გრძნობათა ორგანოების შესახებ ცნობები უკვე ჩვენამდე მოღწეულ პირველ წერილობით წყაროებში გვხვდება. არჩევდნენ: მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების და შეხების ორგანოებს. არსებული ცნობების მიხედვით იჩკვევა, რომ V საუკუნიდან მოყოლებული მხედველობის ორგანოდ ითვლებოდა თვალი, სმენის ორგანოდ—ყური, ყნოსვის ორგანოდ ცხვირი, გემოვნების შეგრძნების ადგილად მიჩნეული იყო პირის ღრუ, განსაკუთრებით სასა, შეხების ორგანოდ კი კანი და განსაკუთრებით ხელისგულები.

„იცოდე რომელ დამბადებელმან ხუთი ჰისი[1] დაჰბადა ხუთსა ასოსა შინა, რომელ კაცთა სისრულე მაგით იქნების, მით რომელ ძალი ცეცხლისა აქვს და ამა ჰასთა შეძლებულობაი დღისით და სინათლესა შიგან იქმნების და ნატიფობისა მისისა ნიშანი იგი არს, რომელ რაზომობასა შორით შეიტყუებს, და თუალისა ჰისი არს ესე. მ ე ო რ ე ს მ ე ნ ა დ ა შ ე გ ე ბ ა ი არს ხმათაი და იგი ყურისა ჰისი არს და თუალისაგან უმცრო არს, ბუნებაი ქარისა აქვს მას, და მისგან არს რომელი შორით ხმითა მოასმენს ქარი. მ ე ს ა მ ე ყ ნ ო ს ა სურნელისა და მყრალისა, ესე ცხვირისა ჰისი არს, და უქუესია ყურისასა და ბუხარისა ბუნებაი აქვს, და მისგან არს რომელ გაუხდების და ტვინსა მიახვედრებს სულსა,... მ ე ო თ ხ ე ჰ ი ს ი გემოისა შეგებისა არს ტკბილისა და მჟავისა, მწარისა, ფლაშისა და ესე ცნობისა ჰისი არს,... მ ე ხ უ თ ე ჰ ი ს ი შ ე გ ე ბ ა ი არს ლბილისა და მქისისაი, და იგი ხელისა ჰისი არს...“[2].

ეს წარმოდგენები, ცხადია, გრძნობის ორგანოების მოქმედების ნამდვილ ფიზიოლოგიურ არსს არ გამოხატავენ. ეს არც იყო შესაძლებელი მეცნიერების განვითარების იმ საფეხურზე, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სწორად არის შემჩნეული, თუ ორგანიზმის რომელი ორგანო რა სახის გაღიზიანებათა მიღებაში მონაწილეობს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ გრძნობის ორგანოთა ფუნქციის განხორციელებას, როგორც ზემოთ ითქვა, თავის ტვინის მოქმედებას უკავშირებდნენ.

გრძნობის ორგანოებს შორის ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას ,როგორც ჩანს, თვალსა და ყურს უთმობდნენ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ „თვალი“ ამ სახელით გვხვდება უკვე V საუკუნის ძეგლებში და შემდეგ ასევე დარჩა.

XI საუკუნის წყაროებში გვხვდება ცნობები თვალის აგებულების შესახებ. აღწერილია, რომ თვალი გახვეულია „ფარდაგში“ ანუ გარსებში. არჩევდნენ თვალის შვიდ ფარდაგს: გარეთა ფარდაგს „შრჩიკი“ ეწოდებოდა, მის შემდეგს, „სარქა“, მესამეს—„ასთ“, მეოთხეს—„აღალ“, მეხუთეს—„ოთხრ“, მეექვსეს—„ფასალ“ და მეშვიდეს—„ჩავლეჯ“[3].

თუ როგორია თითოეული ეს „ფარდაგი“ ან რა დანიშნულებას მიაწერდნენ მათ, ამის შესახებ ცნობები ამავე ხანის წყაროებში ჯერჯერობით არა გვაქვს.

XIII საუკუნის მასალებში წარმოდგენები თვალის აგებულებისა და მისი ნაწილების დანიშნულების შესახებ, უფრო დაწვრილებით არის მოცემული.

სცოდნიათ, რომ თვალი ჩამჯდარია ძვალოვან თვალბუდეში, რომელიც იცავს მას დაზიანებისაგან. ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, XIII საუკუნეში თვა-

---

[1] ჰისი (არაბულ.)—გრძნობა

[2] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 27.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 35.

ლის შვიდ „ფარდაგს“ ანუ გარსს არჩევდნენ[4]. თვალის გარეთა გარსი აღწერილია, როგორც „...დია თხელი და ფერად თეთრი.“ მის დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ იგი „...ხორცთა მიდამოდ შემაგრებული არს“. ამ „ფარდაგს“ „მოლთაჰამაი“ ეწოდებოდა.

მეორე „ფარდაგი“ აღწერილია, როგორც მაგარი, ფერად თეთრი, რომელიც „სიმაგრედ თეთრსა რქასა ჰგავს.“ მისი დანიშნულების შესახებ ფიქრობდნენ, რომ იგი „...რუტობადი ჯალიდიასა ფათერაკისაგან შეინახავს“. ამ „ფარდაგს“ „ტაბაყაისა ყარინაი“-ს უწოდებდნენ.

მესამე „ფარდაგს“ ყურძნის მარცვალს ადარებდნენ—.....გარეთ დალმა იქნების და შიგნით არა და ფერად თეთრი იქნების“. მისი დანიშნულების შესახებ ნათქვამია, რომ „...რაი კაცმან ბრწყინვალე და ნათელი რაიმე ნახოს, სინათლე თვალთაგან არ დაიპანტოს“. ამ „ფარდაგს“ „ტაბაყაი... ღაბიბაი“-ს უწოდებდნენ. მეოთხე „ფარდაგი“ აღწერილია, როგორც აბლაბუდასავით თხელი და ფერად თეთრი. მის დანიშნულებად მიაჩნდათ მესამე გარსის შენახვა—„საზრდელის“ მიცემა და „რუტობათი ჯალიდის“ სიმაგრისა დაცვა და „მანკის აცილება“. ამ „ფარდაგს“ „ანქაბოთა“ ეწოდებოდა.

მეხუთე „ფარდაგი“, რომელიც „საკვირველად თხელი იქნების „შაბაქაი“-დ იწოდებოდა. მისი დანიშნულების შესახებ ფიქრობდნენ, რომ მან „რუჰიბასარსა, ნიადაგ რუტობათი ჯალიდისათვის შეინახოს და საზრდელისაგანვე მიაცეს რუტობათი ზაჯაჯიასა“[1].

მეექვსე ფარდაგს „ჯალიდია“ ერქვა. ფერად ვარდს ადარებდნენ. მის დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ მან „რუტიბათი ჯალიდი შარიანთა ძარღუთა სიმხურვალისაგან შეინახოს“[2]

მეშვიდე „ფარდაგს“ „სალბია“ ეწოდებოდა. იგი ყველა გარსზე უფრო მაგრად ითვლებოდა. მას უნდა დაემაგრებინა თვალი ადგილზე.

გარსებს გარდა თვალში არჩევდნენ სამ „სინედლეს“. ერთს ეწოდებოდა „ბაიტა“, მეორეს „ჯალიდი“, მესამეს „ზაჯაჯია“.

სინედლე „ბაიტა“-ს კვერცხის ცილას ადარებდნენ. მისი არსებობა წარმოდგენილი ჰქონდათ „რუტობათი ჯალიდის“ წინ. „ჯალიდი“ „სინედლე არს ვითა შუინვარი“. ამ უკანასკნელის შესახებ ნათქვამია, რომ „რუტობათი ჯალიდი თუალის გუგასა შიგან არს ვითა კარკინითა შემრგვალებულსა შუა წინტელი, და ფერად ნათელი და ბრწყინვალე არს,...“[3]. აღწერილობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ „რუტობათი ჯალიდი“ ბროლს ეწოდებოდა.

თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ მეორე „ფარდაგის“ დანიშნულებას ბროლის დაცვაში ხედავდნენ, მეოთხე „ფარდაგს“ ბროლის სიმაგრის დაცვას მიაწერდნენ, ხოლო მეხუთე „ფარდაგს“ კი ბროლის შენახვას.

ვნახოთ ახლა, თუ რას წარმოადგენდა მესმე „სინედლე“, რომელსაც „ზაჯაჯია“ ეწოდებოდა. მის შესახებ ფიქრობდნენ, რომ იგი „სინედლე არს ვითა გამდნარი ჭიქა.“[4]

---

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. 24.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

„წიგნი საქიმოი“-ზე დართულ ლექსიკონში განმარტებულია: „ზაჯაჯი — არაბულად ზუჯაჯ—შუშა—გამდნარი შუშის მაგვარი ბალღამი“[1]. თვით ძეგლის ტექსტში მოცემულია რუტობათი ზუჯაჯის შემდეგი განმარტება: „რუტობათი ზუჯაჯი ჰქვიან, ვითა გამდნარი ჯიქი იქნების და იგი უსქესი და უგრილესი არს ყოველთა ბალღამთაგან, ნიშანი არს სტომაქისა და ტანისა სიგრილისა და ყოლინჯისა“[2].

შესაძლებელია დავუშვათ, რომ თვალის აგებულებაში რუტობათი ზუჯაჯის ქვეშ მინისებრი სხეული იგულისხმებოდა, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იგი განიხილებოდა როგორც „სინედლე“ და მისი გაგება ჰუმორალური თეორიის საფუძვლებზე იყო დამყარებული.

წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ თვალის აგებულება საკმაოდ დაწვრილებით ყოფილა შესწავლილი. ფიქრობენ, რომ XI—XII საუკუნეების საქართველოში „იცნობდნენ მხედველობის ორგანოს სტრუქტურას, ანატომიას, არჩევდნენ 7 გარსს (ფარდაგს).

1. ლორწოვანი გარსი—Conjunctiva,
2. რქოვანი—Cornea,
3. ფერადი გარსი—Iris,
4. ბროლის კაფსულა—Capsula lentis,
5. საკუთრივ სისხლძარღვიანი გარსი—Chorioidea,
6. ბადურა—Retina,
7. სკლერა—Sclera.

თვალის შიგთავსიდან იცნობდნენ:
1) წინა საკანის ნამი, 2) ბროლი და 3) მინისებრი სხეული“[3].

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ თვალი ტვინიდან რამდენიმე „ძარღვს“ ღებულობს. ამ „ძარღვებს“ მიეწერებოდა თვალის ფუნქციის შესრულება, დახუჭვა-გაღება, გუგის რეაქცია და სხვა.

ტვინიდან გამომავალი შვიდი წყვილი ნერვიდან პირველი და მეორე ჯუფთი თვალისათვის განკუთვნილად ითვლებოდა: „პირველი ჯუფთი თვალთა შიგან მოკიდებულნია. მეორე ჯუფთი თუალთა ფურცელსა შიგან მოკიდებულია...“[4].

საინტერესო ცნობა გვხვდება აგრეთვე თვალის გუგის რეაქციის შესახებ, რომელსაც ტვინის წინა ნაწილიდან თვალთან მომავალ ნერვებს უკავშირებდნენ „და ორი ძარღვი ღრუი რომელ წინასა ბუტანისა ტვინისაგან თვალთა ჭოსრული არს, რომელ რუტობათი ჯალიდით დაღმა თუალისა გუგასა შემოჰყვებოდეს, და იგი ფიაი ღრუი ორი სიბნელესა შინა გაფართოვდებიან და სინათლესა შინა დავიწროვდებიან“[5].

ძვალ-კუნთოვანი სისტემის განხილვის დროს უკვე აღნიშნული იყო თვალის კუნთების რაოდენობის (24) შესახებ და აქ აღარ გავიმეორებთ.

თვალის „ფარდაგთა“ ანუ გარსების შესახებ ცნობები გვხვდება აგრეთვე XV—XVI და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც. ისინი ძირითადად არ განსხვავდებიან განხილული მასალისაგან და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. 14.
[2] იქვე.
[3] ვ. შენგელია, ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, საქმედგამი“, თბილისი, 1956, გვ. 67.
[4] „წიგნი საქიმოი“, გვ. 26.
[5] იქვე, გვ. 24.

ვნახოთ, თუ როგორი წარმოდგენები არსებობდა წამწამების, ქუთეთოების, წარბების, ცრემლის და სხვათა შესახებ, რომლებიც თანამედროვე ანატომიაში თვალის დამცველი აპარატის სახელით არის ცნობილი. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მათ, წარსულშიც თვალის დამცველობით ფუნქციას მიაწერდნენ.

XI საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ ძეგლში ვკითხულობთ, რომ „თუ წამწამი არა იყოს მზე და ქარი ჩაუარდების. და წარბი და წამწამი მეშველად არის მისთა ძალითა ხედვიდეს"[1].

ასეთივე შეხედულებები წარბებისა და წამწამების შესახებ გვხვდება XV საუკუნის მასალებშიც. თუმცა ამ შემთხვევაში ეს შეხედულება უფრო ზუსტად არის წარმოდგენილი. „...წარბნი და წამწამნი არიან ღონენი თუალისანი, არა თუ სიმშუენვარისათუი ოდენ არიან დაბადებულნი, არამედ, თუ წარბი არ ასხია, ვერ შეხედავს მზისთუალსა, და ვერცა კარგად შორს დაინახავს. და წამწამი ამისთუის არის დაბადებული, რომე თუალსა ინახავს და მიწასა, მტუერსა, და ბაყლსა არა ჩაუშვებს"[2].

თვალის დამცველობითი მნიშვნელობა მიეწერებოდა აგრეთვე ცრემლს, რომელიც „თვალის წყალის" სახელითაც არის მოხსენებული XI საუკუნის წყაროებში. „თვალისა წყალი წუთხ ქნა, რომე ნიადაგ წმინდა იყოს არა აყროლდეს და სწმენდეს."[3].

განვიხილოთ, თუ როგორი წარმოდგენები არსებობდა თვალის ფუნქციის შესახებ. უპირველესად აღსანიშნავია, რომ მხედველობას თავის ტვინის მოქმედებას უკავშირებდნენ: „კაცის ტვინის შიგნით ორი საქმე არის, ერთი ცნობა, ერთი ჭკუა, ერთი გაგონება, ერთი სინათლე თვალთა."[4].

მხედველობის ცენტრის მდებარეობა მიჩნეული იყო ტვინის წინა ნაწილში„ პ ი რ ვ ე ლ ი ბ უ ტ ე ნ ი რომელ შუბლისაკე არს... იგი თუალითა სინათლისა ადგილი არს და სიბნელე და სინათლე მის ბუტენისაგან იქნების,... ორი ძარღვი ღრუი ამას ბუტენისაგან თვალისა გუგამდინ მოკიდულნია, და სინათლე თვალთა ამა ორთა ძარღუთა შუა შემოვა თუალთა."[5].

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მხედველობის ნერვებზე და ამათ ფუნქციაზეა ლაპარაკი, თუმცა, როგორც ჩანს, მისი გზა ბოლომდე სწორად არ ყოფილა ცნობილი და თვით მხედველობის პროცესიც მეტად მარტივად არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, საყურადღებო ის არის, რომ მხედველობის ფუნქციის განხორციელებაში მთავარი როლი ტვინის გარკვეულ უბანს (ადგილი, რომელიც მხედველობის ცენტროდ ითვლებოდა) მიეწერებოდა, რომლის დაზიანებას მხედველობის დაკარგვას უკავშირებდნენ: „და იცოდე რომელ კაცისა ტანსა შიგან სხვაი ღრუი ძარღვი არა არს ამა ორთაგან კიდე (ლაპარაკია ზემოაღნიშნულ მხედველობის ნერვებზე.—ავტორები), და თუ ამას ბუტენსა რაი ჭავი წაეკიდოს თვალი დაბნელდების"[6].

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 35.

[2] „სამკურნალო წიგნი", გვ. 31.

[3] „უსწორო კარაბადინი", გვ. 35.

[4] იქვე, გვ. 48.

[5] „წიგნი საქიმოი", გვ. 19.

[6] იქვე.

მაშასადამე, თუ ტვინის „ბუტენი“ ანუ „მუცელი“—ნაწილი, რომელთაᲐაც მხედველობის ნერვებია დაკავშირებული, დაზიანდა, ადამიანი კარგავს მხედველობას.

მხედველობის ფუნქციის შესრულებისათვის მნიშვნელოვანი ყოფილა შემდეგი პირობები: „ა) უვნებთა გრძნობის—საცავთა, ბ—გ) ზომიერისა მიდრეკილისა და მიმოხანისა დ) და აერისა წმიდისა და ბრწყინვალისა“[1] არსებობა.

აღნიშნულ ხანაში თვალის ფუნქციის შესახებ საქართველოში ცნობილი იყო იპარხოსის, პლატონის, ეპიკურელების, არისტოტელეს, გალენის, ნემესიოს ემესელის და სხვათა შეხედულებანი.

იპარხოსის აზრით, თვალიდან შარავანდედი (სხივები) გამოდის, ეხება სხეულებს და მათ სახეს თვალებს გადასცემს—„იპპარხოს იტყუის შარავანდედთა—თუალთა-გან განზიდვად და დასასრულსა მათსა, ვითარ რაი ხელით შესახებელისაგან, შეხებად გარეშეთა სხეულთად და ნაცვლის მიღებასა მათსა საწედველთა—მიმართ მიცემად“[2].

„ქვეყნის მზომელთა“ ანუ გეომეტრთა აზრით, თვალებიდან გამოსული სხივები ერთმანეთს გადაკვეთენ დასანახ სხეულთან და ხდება მისი დანახვა: „ხოლო ქუეყანის—მზომელნი კონოთა ვინათა-მე აღსწერენ ერთგან შეერთებისაგან შარავანდედთაისა ქმნილად, რომელნი გამოვლენო თუალთაგან; გამოვლენად უკუე შარავანდედსა მარჯუენისა თვალისა-გან მარცხენისა—მიმართ და მარცხენისა-გან მარჯუენისა—მიმართ, ხოლო ერთგან შემთხუევისა-გან მათსა აღსრულებად კონოისა; ვინაი ერთბამად მრავალთა სახილველთა გარეშეცვად ხედვასა-გან, ხოლო განკრძალულად მათდა ოდენ ჭურეტად, სადაცა ერთგან შეკრბებოდინ შარავანდედნი. ესრეთ უკუე მრავალგზის მხედველნი ქუეყანად ეერ ეიხილავთ მუნ მდებარესა სახმარსა. აღმჭურეტელნი უმეტესად-რე, ვიდრე არა ნიშნი შარავანდედთანი იქმნან მათ ადგილთად, სადა მდებარე იყოს სახმარი; და მაშინღა ხილვასა მისსა შევიმთხუევთ, პირველვე დამწყებელნი განცდად“[3].

ეპიკურელები კი ფიქრობდნენ, რომ „კერპი“ ანუ ხატი (სახე) „შთაიბეჭდებიან თუალთა — მიმართ“[4] არისტოტელე არ იზიარებს ეპიკურელთა აღნიშნულ შეხედულებას და ამბობს, რომ „არა თუ კერპი სხეულოანი, არამედ რომელობაი—შეცვალებით გარემო ჰაერისა საჩინოთა-გან ვიდრე სახელდველთამდის მიიქმნებისო.“[5]

პლატონის აზრით კი თვალებიდან ნათელი გამოდის, რომელიც ეფინება საგნებს და ხდება მათი სახის უკუფენა: „ხოლო პლატონისამებრ—თანცისკროვნებისა-გან რამეთუ თუალთაგან ნათელი ზომიერად გარდადენად ერთტომისა მისისა ჰაერისად, ხოლო სხუაი სხეულთა-გან ნაცვალის—მღებითი“[6].

გალენი არ იზიარებს არც ეპიკურელების და არც არისტოტელეს აზრს და ამბობს, რომ მხედველობა თვალის ნერვისა და ტვინის მეშვეობით ხორციელდება: „ხოლო ღალინოს თანმეხმედ პლატონისდა მხედვარეობისათუის მეშუიდესა ვინაიგე „თანმეხმეობისა“ წიგნსა-შინა იტყუის დამწერელი ესრეთ მიმოთესულსა, ვითარმედ: უკუე თუმცა თუალად მიუვიდოდა ნაწილი ვინაი, გინათუ,

[1] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 81.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 76.
[6] იქვე.

ძალი, გინათუ კერპი, გინათუ რომელობაი ხილვადთა სხეულთაი, არამცა ნახულისა სიდიდე ვაგრძენით, ვითარ მთისა ანუ სხუისა რაისა-მე დიდისა, რამეთუ ესე ზომისა კერპისა შთაჴრად თუალთა ჩუენთად ყოვლით ყოველითურთ უგუჩურება არს, არამედ „სულსა მხედველობითსა“ არ ჰაზრობენ ესეოდენისა ძალისა გამოვლენად და მითუალვად, რაითამცა გარემოუთხია ყოველთა აღჩენილთა. აკლს უკუე გარემოის ჰაერი ესევითარად ორღანოდ ჩუენდა ქმნად, რაოდენსაცა ვხედვიდეთ ჟამსა, რამეთუ ვითარიცა შორის სხეულსა იყოს ძარღუი მხედველობითი, ესეზომსავე ენებად თანამდება გარეშემცველი ჩუენი ჰაერი. არამედ, ანუ თუ ცისკარი მზისაი შეეხო ზედასა კერძსა ჰაერისასა და თანმისცა ყოველსავე ძალი მისი, გინათუ მხედველობითთა ძარღუთა-გან ცისკარი გარდმოფენად არსებისა უკუე მქონებელი სულიერებრივისა, შთაჴრილი უკუე გარემოის მისა მქონებელისა ჰაერისად და პირველსავე შემთხუევასა თანა მისდად შეცვალებისა მქმნელი თანმიცემად, ვიდრე-მე მრავალჟამ გარეშე მქონებელსა თუისა ჰაერსავე ნაცვალსახითა მიითუალვიდეს. ექმნების უკუე ჰაერი ორღანო თუალსა ხილვადთა—მიმართ ცნობისად ესრეთ, ვითარ იგი ტვინსა ძარღვი, რომლისა-თუისცა ვითარ შესაბამი აქუს ტვინსა ძარღუისა—მიმართ, ეგრეთვე აქუს თუალსა ჰაერისა—მიმართ, სულიერქმნილსა რეცა თუ მზეებრივთა ცისკართაგან. გარნა (რომელ) აქუს ჰაერსა სიმარჯუე თანდაახლოებულთა სხეულთა მსგავსებად და თან შეცვალებად მათდა—საუწყო არს ამისა-გან, რამეოუ შეიცვალების მწითურისა ვინაი სადა-მე, გინათუ რომლისა-მე ჴურჴლისად, გინა ვერცხლისა ბრწყინვალისა და გამოკლთოლვით მცენარისა, რომელი შეუძლებდეს გარემოისა მისა ჰაერსა შეცვალებად“[1].

პორფირეს აზრით, მხედველობის მიზეზი არის „სული“, „რამეთუ სულისა-მიერ იპყრობვიან მყოფნი ყოველნი“. „პორფირე ესრეთ იტყუის წიგნსა მესშორის „გრძნობადისასა“, ვითარმედო: არცა კონოი, არცა კერპი, არცა სხვაი რაი-მე არს მიზეზ ხედვისა; არამედ თუით მის სულისა მიმთხუევად ხილვადთა და ცნობად თუით თავით თუისით, რომელ არს სახილველი, რამეთუ სულისა-მიერ იპყრობვიან მყოფნი ყოველნი და არს ყოველი (მყოფი სხუაი არა რაი, ოდენ) სული მპყრობელი სხეულთა მიმოგანყოფილთაი; რამეთუ მგულებელი მისვე და ერთისა ყოველთათუის სიტყუიერისა, რომლისა-თუისცა იტყუის ცნობად თუით თავი თუისი ყოველთა-შორის მყოფთასა“[2].

მხედველობითი პროცესის შესახებ შედარებით უფრო ფართო მსჯელობას ავითარებს ნემესიოს ემესელი. იგი აღნიშნავს, რომ მხედველობის გზით ადამიანი აღიქვამს საგნის ფერს, სიდიდეს, ადგილს, სადაც საგანი ძევს, ფორმას, სიმკვრივეს, ე. ი. საგნის ფიზიკურ მდგომარეობას და სხვ. ემესელი ამ პროცესში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა გრძნობის ორგანოებით მიღებულ შთაბეჭდილებებს, რომლებიც წინ უძღოდნენ დანახვას. მას მიაჩნია, რომ მხედველობის საშუალებით საგნის მხოლოდ გარეგან ნიშნებს აღვიქვამთ. რომ გავიგოთ რას წარმოადგენს თვით საგანი, ამისათვის დანარჩენი გრძნობის ორგანოების მიერ მიღებული შთაბეჭდილებანია საჭირო ანუ ყველა გაღიზიანებათა ერთობლიობა.

„ხოლო ინახვებს მხედვარეობაი მებრ წრფელთა-მიერ წირთა, იგრძნობს ვინაცვე, პირველ სხუათაისა, ფერთა, არამედ მათ-თანვე იუწყებს და ცხებულსა-

[1] „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 76—77.

[2] იქვე, გვ. 77.

ცა სხეულსა,—და სიდიდესა მისსა და ნაკუეთსა; და ადგილსა, თუ სად აყოს, და ხანსა მიმო და რიცხუსა, მიდრეკასა უკუე და დგომასა, და წყლტუსა ვინაივე და ხონდროსა, და წყნარსა და უწყნაროსა, მახუილსა და ბლუგსა, და ერთად შედგომასა: ანუთუ წყლებრივ არს, ანუთუ ქუეყანიერ ვითარ ანუ ნოტიო ანუთუ ხმელ. არამედ საკუთარ საგრძნო მისდა არს ფერი: რამეთუ მხოლოდ მხედველობისა-მიერ ოდენ მივითუალავთ ფერთა და მსწრაფელ უკუე ფერთავე-თანა ცხებულთაცა სხეულთა და ადგილსა, სადა იგი მყოფ იყოს ხილული, და განსაზიდსა საშუალ ხილულისა და მხილველისა. რამეთუ რაოდენთაცა გრძნობათა თანსაჩინო იქმნების სხეული, ამათი მსწრაფლ და სახეცა ერთგან შეტყუების, ვითარ იგი შეხებისა და გემოის—ხილვისად. არამედ ესენი მაშინღა მხოლოდ ოდენ, (ოდეს) თანაერინენ სხეულთა იგრძნობენ მათ მიერ, რომლისა-თუისცა აწ შემდგომადთა—შორის განსაზღვრებადისა ესრეთ. ხოლო მხედველობაი და შორითცა მიითუალავს თუისთა საგრძნოთა. რომლისა—თუისცა საჭიროდცა სიშორისა ცნობაი შეუდგა მხოლოდ მხედველობასა; არამედ სიდიდესა მარტოდ მაშინ ოდენ იუწყებს, რაჟამს საჩინოსა ერთითა მიხედვით გარეშესცვიდეს. ხოლო რომელთაშორის უფროსი იყოს ხილული იგი და არა ერთითა მიხედვითა შეიცვიდეს გარე, ამათ—შორის მხედველობაი მოქენე არს მომხსენებლობისაცა და მიმოგონებისა. რამეთუ ნაწილობით მნახველმან მისმან და არა ერთხელ ჟამისმან, საჭირო არს, რათა სხუისა-გან სხუად მიიმართოს და რომელი შთაუვარდებოდის მებრ მარადის ზედ-მიმართებისა-ებრ გრძნობადი არს; ხოლო პირველ ხილულსა ყოველსავე მომხსენებლობაი დაუმარხავს, ხოლო შეჰკრებს ორთავე მიმოგონებაი—გრძნობადსა და მომხსენებლობითსა. არამედ სიდიდესა ორსაბედ მიიღებს: ოდეს-მე უკუე მარტოი, ხოლო ოდეს-მე მომხსენებლობასა და მიმოგონებასა-თანა. ხოლო რიცხუსა (საჩინოთასა) სამისა და ოთხისა უმეტეს ერთითა მიხედვითა ვერ მნახველ არს და მიდრეკათა და ნაკუეთთა მრავალყურთა არაოდეს მარტოი თუინიერ მომხსენებლობისა და მიმოგონებისა; რამეთუ ვერაი შეუძლებს ხუთსა და ექუსსა და შუიდსა და უმეტესსა თუინიერ მომხსენებლობისა შეკრებად, ეგრეთვე ვერცა ექუსყურთა და შვიდყურთა და მრავალყურთა ნაკუეთთა; და მიდრეკასაცა უკუე, მიმოცვალებით ქმნილსა, რომელი-მე აქუს პირველი, ხოლო რომელიმე შემდგომი,—სადა უკუე პირველი და მეორე და მესამე არიან, ამათ მომხსენებლობაი მხოლოდ დაიცავს. არამედ ზენაი და ქუენაი, და წყნარი და უწყნაროი, და ეგრეთვე ვინაივე ღირღუილოანი და წყლტუი, და მახუილი და ბლგუი—საზიარო შეხებისა და მხედველობისა არიან, ვინაითგან მარტოდ ესენი ოდენ იუწყებენ ადგილსა; ეხმარების მათ და მიმოგონებაიცა, რამეთუ, (რაი) უკუე ერთითა ოდენ მიმართებითა შთაუვარდების გრძნობასა, მხოლოდ მარტოისა ოდენ გრძნობისა საქმე არს, არამედ დაუხშიროს რაი და ამრავალგზისოს, არა მხოლოდ მისი ოდენ, არამედ მომხსენებლობისაიცა მომოგონებისა-თანა—ვითარცა პირველვე იჩუენა. ხოლო ჩჩუილთ საჩინოთა ვიდრე სიღრმემდე მიწევნად ჩვეულა მხედველობაი,—უფროის ხოლო ჰაერსა პირველ ყოველთასა, რამეთუ ყოველსა ყოველითურთ გაიარებს, მეორედ უკუე—წყალსა წმიდასა და წყნარსა, ვინაი თევზთა მცურვალთა მხედველ ვართ, ხოლო უმცირესად ჭიქათა და ამათ ესესახეთა,—ცხად არს, რომელ განათლებულთა და არს ესეცა საკუთარ მათდა. რაითა არ შეაცდუნებდეს ვიეთ-მე, ვინაი სიმხურვალე საქმე და განცდა მხედველობისა არს, ვინაითგან, ოდეს რაი ცეცხლსა ეხედვიდეთ, მსწრაფელ ვიუწყებთ, რომელ მხურვალე არს; ხოლო თუ რად-მე პირველსა მხედველობასა-ზედა აღიყვანონ სიტყუაი, ჰპოო მაშინ, ოდეს პირველ

მხედველობამან იხილა ცეცხლი, რომელ მხოლოდ ფერისა და ნაკუეთთა ჰქონდა მითუალვაი და მოქმედება; ხოლო დაერთო რაი და შემხებლობაიცა, ვცანით, რომელ მხურვალეცა არს, რომელი დაჰმარხა მომხსენებლობამან, მიითუალა რაი შეხებისა—მიერ. ხოლო აწ, ოდეს ვიხილოთ ცეცხლი, ვერა რას სხუასა განვიცდიდით; თუინიერ ნაკვეთისა და ფერისა ცეცხლისაისა; არამედ მიმოგონებაი მიითუალავს ნახულთა-თანა მომხსენებლობისა—მიერ და სიმხურვალესაცა. ვინაი ესევე სიტყვაი და ვაშლსაცა—ზედა: რამეთუ არა მხოლოდ ფერისა და ნაკვეთისა-გან გუარონ იქნების ვაშლი, არამედ სურნელობისა-განცა და გემოის—ხილვითისა რომელობისა; არათუ და ამათნიცა მიითვალნა მხედვარეობამან და განიხილნა, ვითარმედ ვაშლ არს, არამედ სული მომხსენებელობისაი, თვის—შორის კმამყოფელი და დამმარხველი ყნოსისა-გან და გემოის—ხილვისა, რამეთუ, ოდეს რაი იხილოს ვაშლი, ერთბამად ნაკუეთსა და ფერსავე-თანა გაიგონებს და ამათაცა, ხოლო რაჟამს ცვილისა ვაშლი ვაგონოთ ქეშმარიტ ვაშლ ყოფად, არა თუ მხედველობაი არს ცდუნებელ, არამედ მიმოგონებაი. რამე თუ მხედველობამან თვისთა საკუთართა საგრძნოთა-შორის არა იცდუნა, რამეთუ ვინაივე მაშინ ფერი და ნაკუეთი იუწყა.

არამედ სამნი უკუე საგრძნოთანი, ვითარ იგი მხედველობაი და სმენაი და ყნოსაი, გარეგნით და მაშინ, ოდეს არ თანაღერინენ, მიითუალვენ გრძნობადთა საშუალ ჰაერისა; ხოლო გემოის—ხილვაი თუინიერ შეხებისა ვეროდეს აგრძნობს საგრძნობელსა; ხოლო შეხებაი იმრჩობლებს: რამეთუ იგრძნობს მაშინცა, ოდეს რაი მიეახლოს სხეულთა, და არგნისაცა მესაშუალებით იგრძნობს. არამედ ოდეს-მე მხედველობაი მოწმედ მხმარებელი სხუათაცა საგრძნობელთა, რაჟამსა იყოს საჩინოი დახელოვნებული ცდუნებისა—თუის, ვითარ იგი წირთა—ზედა: რამეთუ საქმე წირთა არს ცთუნებაი მხედველობისაი, რომლისა-თუისცა არცა გამოშუერილი არს და არცა უბექმნილი წირთა-შორის, გინა არცა თუ თუით აქუს თავთა-შორის თუისთა ბუნებითი: სადაცა უკუე იყოს სახმარად ცნობისა-თუის უფროის ხოლო შემხებელობაი, არს საჭირო ხმარებად ოდეს-მე უკუე გემოის-ხილვისა და ყნოსი სადცა, ვითარ იგი ვაშლსა ზედა ცვლისასა. ხოლო ოდეს-მე თუით თავით თუისით განცხადებულად წარმოიდგენს აღჩენილთა, ოდეს-მე რაი არა შორით ხედვიდეს: რამეთუ კოშკსა, ოთხყურსა მრგულად ინახვებს შორით. არამედ იცთუნების მიმობნეულისა-გან ნისლისა, გინა თუ კუამლისა, გინა ესევითართა რათმე-მიერ შემამრღუეველთა ხედვისათა; ვინაივე მსგავსად წყალისა მიერ მიდრეკილისა: რამეთუ ზღუასაცა-შინა ნიჩაბსა ვითარ რაი განტეხილსა ხედავს; ეგრეთვე, რაჟამს რაისვე მიერ საჩინოისა ნივთისა განიცდიდეს, ვითარ იგი სარკესა-ზედა და ჭიქასა და სხუათა ესევითართა, გინათუ რაჟამს მოსწრაფედ დრკებოდეს ნახული, რამეთუ თანა-ღიმრღუევის სახედველსა მსწრაფელი მიდრეკაი, ვითარ რაი მრგუალად არ მრგუალთა აღჩენად და ვითარ რაი მდგომარედ—მიდრეკილისა; გინათუ რაჟამს მიმოგონებაი სხუათდა შექცეულ იყოს, ვითარ რაი წარმომღებელი მეუბნედ მოყურისა, ხოლო ეუბნოს რაი და თანაწარ-ჰხდეს მასდა გონებაი მისი სხუათად შექცეულ იყოს; არა არს უკუე არცა ესე ცთომაი მხედველობისაი, არამედ გონებისაი, რამეთუ, რომელი იხილა, მიეწყადაგა, ხოლო გონებამა არა განიხილა მჭადაგებელი"[1].

უკვე XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ წყაროებში გვხვდება ცნობები მხედველობითი პროცესის ოპტიკური კანონე-

[1] „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 79—81.

ბის საფუძველზე გაგების შესახებ. „კალმასობაში“ ცალკე თავი აქვს დათმობილი ოპტიკის იმ საკითხების განხილვას, რომლებიც უშუალოდ მხედველობითი პროცესის გაგებასთან არიან დაკავშირებულნი.

„ანტონი: მიბრძანე, ბერო, თუ რაისა მიზეზისათვის ვერღა დაინახავენ თვალდამდგარნი კაცნი?

ზურაბი: ბატონო ერისთავო, რა დიდი განმარტება უნდა, თვალის კაკლები რომ დაუშრტება კაცსა, რაღას დაინახავს.

ანტონი: შე გიჟო ,ეგ კი ვიცი მაგრამ თუ ვითარისა სახითა ხედავს თვალი ჩვენი და ანუ რაისა მიზეზით მოგვაკლდება ხედვაი, ის მსურს ვისწაო.

იოანე: მაგ ხელოვნების მოსწავლემ უნდა ისწავლოს ოპტიკა.“

შემდეგ იწყება ოპტიკის განმარტება.

„ოპტიკა არის სწავლა, რომელიცა გვიჩვენებს, თუ ვითარითა უკვე სახითა თუალი ჩუენი შემძლებელ არს ხედვად, და განგვიმარტებს ჩუენ მიზეზთა სხუადა სხუა გვართა ცვლილებათა ნათლისა შარავანდედთასა, რომელნიცა ჰორიზონტულისა სახითა ჰაერსა ზედა შემოსვლით მოართმევენ ნივთსა მას, რომელსაც ჩვენ უკვე ვსჰვრეტთ. სწავლაი ესე სახმარ იყოფის სახედველისა ჩუენისა განმარტებისათვის უმრავლესთა გამოცხადებათა ბუნებისათა. და ესე სათანადობს რათა უწყოდეთ, რომელ ოპტიკა არს სიტყუა ბერძნული, რომელიცა საკუთრად ნიშნავს ხელოვნებასა სახედველთათვის. ესე არს ნაწილი შესაწევრებული მათემატიკისა, განსჯისათვის ნათლისა, დასჯილთათვის რომელთამე სახედველთასა სრულებით, და მიზეზთა დამტვრეულთა შარავანდედთასა თუალთა შინა ჭიღებულთა. ე. ი., საგანთა მათთვის, რომელთაც ეჰვრეტთ ჩვენ ნათლად, ანუ ბნელად, ანუ უცხადოდ, დიდად, ანუ მცირედ, ახლოს ანუ შორედ,...

ხედვაი თვალისა არის მიზეზი აერის გამო რომელსა ზედა შევალს სახე ნივთისა მის და მიართმევს თვალსა ჩვენსა, და განვიხილავთ მისაძლოთ. ოდეს მოკლებული ვიქმნებით, სახედველთაგან ოდესცა ვერღა მივიღებთ აერისა გამო მაშინ ვერღა დავინახავთ მას, ვითა ბრმა უკუნსა ღამსა შინა მოარული. მით რამეთუ ვერღა უძლებთ განჭრად აერისა და დანახვად საგანთა. მხედველობისა მიზეზი უკეთ დანახვისათვის არს თვალთა შინა ჩვენსა ძარღვი რომლითაცა არს დამაგრებულ თვალის ბუდეთა შინა ჩვენთა, და უკეთუ იგი მიიღებს წმინდად და მტკიცედ, ნოტიოსა მათ, რომელნიცა წარმოებს ტვინისა ძალით.“[1]

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ „ყური“ V საუკუნიდან მოყოლებული სმენის ორგანოს გამომხატველად იხმარებოდა, თუმცა მის გვერდით იმავე მნიშვნელობით „სასმენელიც“ არსებობდა.

ცნობები ყურის აგებულებისა და ფუნქციის შესახებ შედარებით ნაკლებად გვხვდება.

ყური, ისევე როგორც თვალი, „გრძნობის საცავად“, ანუ გრძნობის ორგანოდ ითვლებოდა.

XIII საუკუნის მასალებში აღწერილია ყურის გარეთა ხვრელი და აღნიშნულია მისი მნიშვნელობაც, თუმცა არასწორად: ყური „...კაცისა ხმაი და სხვათა შორით შეიგნეს და ხურელი მისი მოდრეკით ერთმანერთსა ზედა მით დაჰბადა, რომელ, ქარი და მიწა შიგან არ შევიდოდეს, და მწარე წყალი მით დაჰბადა

[1] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, 2170, ფურცელი 234ч—236ц.

შიგან რომელ, მძრომი არ შეჰლამოდის შიგან შესულასა, მით რომელ მათთვის იგი სიმწარე ნაღველი იქნების და მასვე წამსა მოჰკლავს"[1].

სმენის ფუნქციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის ტვინს უკავშირებდნენ. ამის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ VI—VII საუკუნეების წყაროებში გვხვდება. შემდეგ ხანებში ეს აზრი უფრო მკაფიოდ და განვითარებულად არის ნათქვამი. მაგალითად, XI საუკუნის წყაროების მიხედვით, სმენის ფუნქციის განხორციელებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ტვინიდან ყურთან მისულ ნერვებს: „ჩავიდეს ორი ძარღვი ტვინ. (ე. ი. ორი ძარღვი ჩავიდეს ტვინიდან ყურებში.—ავტორები), — მათი გული ცარიელი არის, გასაგონარი იქით მოვიდეს და რაც ხმა ესმას იმა გზით ტვინსა მივიდეს. მით შეიტყობის ძალი და ხმისა გამოგება"[2].

საყურადღებო ცნობები გვხვდება აგრეთვე სმენის ფუნქციის შესახებ XII საუკუნეში ქართულ ენაზე არსებულ ნემესიოს ემესელის თხზულებაში—„ბუნებისათვის კაცისა", სადაც ვკითხულობთ, რომ „სმენაი ხმათა და ძგერათა არს მეგრძნე: იმეცნევს უკუე ამათსა სიმახვილესა და სიმძიმესა, სიწყლტუესა და ღრღულიანობასა და სიდიდესა"[3]. ამრიგად, სმენა მდგომარეობს ხმის და ბგერათა შეგრძნებაში. სმენის ორგანომ უნდა გაარკვიოს ხმის სიმახვილე და თანაბრობა[4]. ამ ფუნქციების განხორციელება ამ შემთხვევაშიც ტვინისა და სმენის ნერვთან არის დაკავშირებული: „ხოლო ორღანო ამისდა ძარღუნი ტუინით-გამონი ჩჩუილნი და ყურთა გუარისა შემზადებაი,—და უფროის ხოლო ამათი ზრქელტომობაი, რამეთუ სიზრქესა აქუს სიმარჯუე ხმათა და ძგერათა—მიმართ"[5].

აღსანიშნავია, რომ სმენით ფუნქციას შემდგომ საუკუნეებშიც კვლავ ტვინის მოქმედებას უკავშირებდნენ, მაგრამ ცხადია, რომ თვით სმენის პროცესის საფუძვლები უცნობი იყო და თვით ეს ურთიერთკავშირი მხოლოდ წარმოდგენაზე იყო დამყარებული.

გემოვნების შეგრძნების ადგილად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიჩნეული იყო სასის მიდამო, აგრეთვე ენა, განსაკუთრებით მისი წვერი. გემოვნების შეგრძნებას უკავშირებდნენ ამ მიდამოში ტვინიდან მომავალ ძარღვს, რომელსაც ტვინისათვის უნდა გადაეცა მიღებული გაღიზიანება: „...გემოის-ხილვაი... ორღანო მისდა: ენა და ამისი წუერი ვინაივე უფროის, მერმეცა და ამასვე-თანა ზედაკერძო სასისაი, რომელსა-შორის არს ძარღვი, ტვინის-გან შთამომავალი და დაბრყვილებული, რომელი მიუქადაგებს მთავრობითსა („მიუქადაგებს" ე. ი. მიუტანს, გადასცემს „მთავრობითსა" ანუ გამგებელს—ტვინს.—ავტორები) ყოველთასა მისდა შემთხუეულთა"[6].

---

1 „წიგნი საქიმოი", გვ. 24.

2 „უსწორო კარაბადინი", გვ. 36.

3 „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 87.

4 სიწყლტუე—წყლტუ, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს გლუვს, სწორს, ხოლო ღრღულიანობა ნიშნავს ხორკლიანობას. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ხმის მიმართ სიწყლტუე და ღრღულიანობა უნდა გავიგოთ, როგორც თანაბრობა და უთანაბრობა. ე. ი. სმენის ორგანომ უნდა განსაზღვროს ხმა თანაბარია, თუ არათანაბარი.

5 „ბუნებისათვის კაცისა", გვ. 87.

6 იქვე, გვ. 82.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთი წყაროს მიხედვით შეხების შეგრძნების ადგილად ხელის გულები ითვლებოდა. მაგრამ, ამავე დროს გვხვდება ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ ხელისგულების გარდა, შეხების ანუ ტაქტილური შეგრძნების არედ მთელი სხეული იყო მიჩნეული. ხოლო თვით შეგრძნების განხორციელებას სრულიად სამართლიანად ნერვულ სისტემას მიაწერდნენ: „...ყოველთა სხეულთად არს შემხებლობაი, ვინაითგან წინაით-კერძოთა მუცელთა-გან ტუინისათა ვიტყუით გრძნობათა ყოფად? გინა თუ საცხადო არს, რომელ ძარღვი შთამოვლენილი ტუინისაგან განითესვის ყოველთა ნაწილთა-შორის სხეულთასა, რომლისაგანცა შეხებითი გრძნობაი მიექმნების; რამეთუ, ვინაითგან მრავალგზის ეკლისა-მიერ მწყლველნი ფერხისანი მსწრაფლ თმათა თავისთა ვირწმუნებთ, ვითარ მგრძნობელნი ვნებისანი,—შეეწინეს ვინანიმე ამას სიტყუასა ესრეთ, ვითარმედ გრძნობაი ვნებისაი ტვინად აღივლინებისო და ესრეთღა გრძნობად“[1].

ეს აზრი კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული ქვემოთ მოყვანილ ამოხაწერში. საიდანაც ირკვევა, რომ გაღიზიანების მიღება მგრძნობიარე ნერვების თვისებას შეადგენს და სხეულის ყოველ არედან, სადაც კი ისინი ბოლოვდებიან, შესაძლებელია გაღიზიანება ტვინს გადაეცეს.

„...სადაცა ძარღუი მგრძნობელობითი მიერთხას, იგიცა კერძოი გრძნობასა მიითუალავს და იქმნების მგრძნობელ. არა ვინაივე უჯერო იყოს თქუმად, ვინაითგან დასაბამნი ძარღუთანი ტვინისად აღივლინებიან, არათუ თვით იგი ვნებაი, არამედ თანაგრძნობაი ვინაი-მე და მიქადაგებაი ვნებისაი“[2].

რაც შეეხება ხელისგულებს და თითების უკანასკნელ ფალანგებს, ისინი ბრჩნეული იყვნენ ისეთ არეებად, რომლებიც სხეულის სხვა მიდამოებთან შედარებით მეტად არიან დიფერენცირებულნი ტაქტილურ გაღიზიანებათა მიღებაში: „არამედ ყოველი სხეული შეხებისა არს გრძნობის-საცავ, ვითარ პირველვე ითქუა,-და უმეტეს ხოლო ხელთა შიგანი კერძოი და ამათნი უფროის ხოლო თითთა მწუერვალნი: ესენი უკუე ვითარ მეუწყნი უცთომელნი შეხებისა ეტყუელობითისა-თვის გუაქუნნ. რამეთუ არა მხოლოდ თანშესაწევნელად ორღანოდ ოდენ შემოქმედმან შეჰმზადნა ხელნი, არამედ და შემხებელადცა,—ამისთვისცა ტყავი უთხესი მაქუს ჩუენ ხელთაი და ნუნაი მათ ყოველთა შიგნით დაფენილთა და თმათაგან უნაწილო არიან, რათა უმსწრაფლეს შეხებულთა მიითუალვიდენ“[3].

შემდეგი საუკუნეების წერილობითი სამედიცინო წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ შეხების შეგრძნებათა გაგების შესახებ წარმოდგენები ძირითადად არ შეცვლილა. რაც შეეხება ყნოსვით გაღიზიანებათა შეგრძნებას, მის განხორციელებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე თავის ტვინის წინა ნაწილის მოქმედებას უკავშირებდნენ. თვით ყნოსვით გაღიზიანების მიღების ადგილად ცხვირის ღრუ ითვლებოდა, საიდანაც მიღებული გაღიზიანება ნერვების საშუალებით თავის ტვინში გადაეცემოდა.

„...ყნოსაი იქმნების ვინაივე ცხვირთა-მიერ, ხოლო განჰვლის კიდეთამდის წინაით-კერძოთა ტვინის მუცელთა...“[4]

---

[1] „ბერნებისათვის კაცისა“, გვ. 85.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 86—87.

[4] იქვე. გვ. 22.

„წიგნი სააქიმოი"-ში ვკითხულობთ: „...ცხვირი პირისა დამამშუენებელი არს, უმისოდ პირსა სიტურფე არა აქვს, და შიგნით ორი კერძი არს, რომელ მას ძუალსა რომელ შიგანით არს, შიგან სამი სარგებელი არს პირველი იგი რომელ სულისა გზაი არს, მეორე რომელ სიმყრალე და სისურნელე მით შეიგნების, მესამე რომელ რაიცა ჰავი მანკი სქელი და მაგარი არს, და ტვინი ძას გააკიდეგნებს მუნით ჩამოვალს" [1].

როგორც განხილული მასალის მიხედვით ირკვევა, მეხუთედან მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ადამიანის ანატომია აღწერით ხასიათს ატარებდა. იგი უმთავრესად ცხოველთა გაკვეთას ეყარებოდა. თუმცა არსებობს საბუთი ვიფიქროთ, რომ ადამიანის აგებულებას სწავლობდნენ ავრეთვე ქირურგიული ოპერაციების დროს და ადამიანის სხეულის გაკვეთითაც.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველი ექიმებისათვის ცნობილი ყოფილა, რომ დიზენტერიისა და ტუბერკულოზის დროს ნაწლავებსა და ფილტვებში წყლულები ვითარდება. ცნობილი ყოფილა აგრეთვე კუჭისა და სხვა შინაგანი ორგანოების წყლული.

არსებული მონაცემების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ დაავადებათა დროს წყლულის არსებობა გაკვეთის შედეგად უნდა ყოფილიყო ნახული.

XV საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში მუცლის ღრუს ოპერაციებსაც აკეთებდნენ, რომლის დროს, ცხადია, შეიძლებოდა ზოგიერთი შინაგანი ორგანოს დათვალიერება, მათი მდებარეობისა და სხვა ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ წარმოდგენის მიღება და ა. შ.

XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ წყაროებში პირდაპირ არის მითითებული, რომ ანატომია, რომელიც მედიცინას უნდა ემსახურებოდეს, აუცილებლად ადამიანის სხეულის შესწავლაზე უნდა იყოს დამყარებული.

„ანატომია არს სახმარი, თვითეულად ცნობისათვის კაცთა სხეულისა, ასოთა და წევრთა გარეგათა და შინაგანთათვის, და რომელ ანატომია ასწავებს განკვეთასა და გამოშიგვნასა კაცთა სხეულისასა, კერძო კერძოდ შესაბამიერისა ხატითა; იგი განიხილავს ყოველსა უკვე წევრსა შემადგენელსა სხეულისასა თუ ეითარ აღგებულ არს კაცი და ანუ ვითარ ჩარხის სახედ მოძრავნი უკუე ძარღვნი მაცოცხლებელნი, საათის სახედ აღშენებულნი დამოკიდებულნი ერთი მეორესა ზედა; და ამასთან ჰსცნობასცა მიზეზთა მათთა რომელნიცა შემძლებელ არიან დარღვევად, ანუ განმტკიცებად მისა; და უკანასკნელ აჩვენებს, თუ ვითართა მოქმედებათა აწარმოებენ მას შინა შესრულნი სხვადასხვა უკვე სნეულებანი, და მტკივნეულებანი"[2].

რაც შეეხება წარმოდგენებს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ, როგორც დავინახეთ, ისინი სრულიად ამართლებენ იმ განსაზღვრას, რომელიც ენგელსმა მისცა ჰარვეის აღმოჩენამდე არსებულ ფიზიოლოგიას. ფიზიოლოგია ჰარვეიმდე, როგორც ენგელსი იტყვის, მხოლოდ „მიწვედრილობას წარმოადგენდა."

იმ ისტორიულ ვითარებათა გამო, რომლის შესახებ უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ანატომიისა და ფიზიოლოგიის XVII—XVIII საუკუნეების მონაპოვარს

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 25.

[2] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", ფონდი S, 5374, ფ. 233 V.

საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულში და უმთავრესად XIX საუკუნეში ეცნობიან.

XIX საუკუნის დასაწყისის წყაროებში უკვე გვხვდება განსაზღვრება, თუ რას წარმოადგენს ფიზიოლოგია, როგორც გარკვეული სამედიცინო დისციპლინა: „ფიზიოლოღია ანუ ფისიოლოღია, არს ბერძული უკვე ლექსი, გარნა უკვე გვარნი ნაწილთა მკურნალობისა ხელოვნებასა შინა, რომელსა შინა აღწერილ ჰყოფენ თვისებათა ყოველთა ვითა მყართა და მტკიცეთა, ეგრეთვე თხელთა და ლორწოიანთა ნაწილთათვის, შემადგენელთა კაცობრიობითთა სხეულთა, და განსაკუთრებულთა მრთელობათადმი მათისა შედგმულებათა, და მაჩვენებელი მათი, თუ ვითარ თვითეულნი უკვე ნაწილნი ანუ კერძონი მათ შინა განსაზღვრულ არიან... წესთა და ძალთა, (ანუ ჰსჯულთა და ღონიერებათა) რომლითაც იგინი ერთიცა უკვე კერძონი და მეორენიცა ნაცვალგებობით ერთიერთისა თანა მოქმედებენ, და ვითარცა მათ გამო წარმოებს უკვე სხეულთა შინა შემდგომი ლებანი.

ფიზიოლოღია ანუ ხელოვნებაი ბუნებისათვის კაცთასა შედგინებულ ჰყოფს შეურყეველსა საფუძველსა, რომელის-თვისცა დამტკიცებულ ჰყოფენ ყოველნი უკვე მკურნალობისა მცოდნენი"[1].

ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებას შესახებ არსებული შეხედულებანი, მიუხედავად არასიზუსტისა, გარკვეულ საფუძველს წარმოადგენდა დაავადებაში გასარკვევად. მკურნალი ექიმისათვის იგი იყო ერთგვარი საზომი, რომელიც ეხმარებოდა მას დაავადების ადგილის განსაზღვრისა და დიაგნოზის დადგენის დროს.

---

1 იოანე ბატონიშვილი, „ყალმასობა", ფონდი S, 5374 ფ. 233 V—234 r.

თ ა ვ ი IV

ჯანმრთელობა და დაავადება

ფეოდალური ხანის საქართველოს მედიცინა ადამიანის ჯანმრთელობას უმთავრესად ორგანიზმის ოთხი სითხის: სისხლის, ლორწოს, ყვითელი და შავი ნაღველის თანაზომიერ შეზავებას უკავშირებდა. დაავადება განიხილებოდა, როგორც ამ თანაზომიერი შეზავების საწინააღმდეგო მდგომარეობა. მაგრამ ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და დაავადების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე სხვა ფაქტორებს. ამის შესაბამისად, ზემოაღნიშნული წარმოდგენა ჯანმრთელობისა და დაავადების შესახებ დროთა განმავლობაში იცვლებოდა; სხვა შეხედულებების გვერდით მისი ხვედრითი წონა ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა.

ვიდრე ამ შეხედულებების დაწვრილებით განხილვაზე გადავიდოდეთ, ვნახოთ, რა ტერმინებით გამოხატავდნენ აღნიშნულ პერიოდში ჯანმრთელობას და დაავადებას.

V—XVIII საუკუნეების საქართველოში ჯანმრთელობის მნიშვნელობით „სიმრთელე“ იხმარებოდა. ჯანმრთელს „მრთელი“ ეწოდებოდა, ხოლო ავადმყოფის გამოჯანსაღებას კი „განკურნებასთან“ ერთად „გამრთელებას“ უწოდებდნენ. ტერმინები ამ მნიშვნელობით მრავალ სამედიცინო და არასამედიცინო წყაროში გვხვდება.

„შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ, რომ ცემისაგან „დაბძარულ და განსივებულ“ შუშანიკს იაკობ ცურტაველი ეუბნება: „...სალბუნი და წამალი დაგდვა, რაითა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!“[1].

„განკურნებდა ყოველთა მათ სნეულთა,“[2] „განკურნა სნეულებანი მათი“[3].

გაჯანმრთელების მნიშვნელობით ცნება „კურნება“ გვხვდება აგრეთვე „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (VI საუკუნე)—„მრავალნი კურნებანი ყვნა“[4]. „აბოს წამებაში“ (VIII ს.)—„კურნებათა ჩუენ შორის გამოიჩინებითა“[5]. „გობრონის წამებაში“ (X ს.)—„უბრძანო მკურნალსა განკურნებაი შენი მცირედისა მაგისაგან წყლულისა“[6]. გავიხსენოთ შოთა რუსთაველის ცნობილი თქმა: „მას მკურნალმან რაგვარ კურნოს“ და სხვ.

---

[1] იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი, 1946, გვ. 38.

[2] „ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი“ შედგენილი ი. იმნაიშვილის მიერ. გამოცემული ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1948—1949, გვ. 86.

[3] იქვე, გვ. 86.

[4] ანონიმი, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 50.

[5] იოანე საბანის-ძე, „აბოს წამება“, იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 70.

[6] სტეფანე მტბევარი, „გობრონის წამება“ იხ. დასახელებული გამოცემა გვ. 85.

როგორც აღნიშნეთ, განკურნების მნიშვნელობით „გამრთელებაც“ იხმარებოდა, რადგან თვით ჯანმრთელობას „სიმრთელეს“ უწოდებდნენ. მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ (XII ს.) ვკითხულობთ, რომ როცა სეფედავლე და საკარსამიძე შეიბნენ, სეფედავლემ საკარსამიძე ძირს დაანარცხა და მხარი ჩოსტეხა. „ამიღო უნაგირთაგან და ქუეყანასა დამკრა და მხარი მომტეხა. მაგინა და ეგრე მითხრა: თავსა შიშუელსა ხრმალსა რად მკვრიდიო. მერმე მკითხა: გუპირს რამეო? მე მოვახსენე ვითა: მგონი, მხარი მომტეხე მეთქი... წამიყვანა, მკურნალნი დამაყენა ზედა და გამამთელეს.“[1] მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. „ვისრამიანში“ ნათქვამია, რომ „კაცი ზოგჯერ სნეულია, ზოგჯერ მრთელია;“[2].

აღსანიშნავია, რომ ძველ სამედიცინო ძეგლებში სპეციალურად ცალკე თავია გამოყოფილი „ტანის ვითარებაი და შეტყუებაი სიმრთელისაი,“[3] სადაც „სიმრთელის“ გაგება არის მოცემული.

ჯანმრთელობის მნიშვნელობით ცნება „მრთელი“ შემდეგ საუკუნეებშიც დარჩა. ჯერ ისევ სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა, რომ „მრთელი ეს არს შეუმუსრავი, გინა უნაკლებო გინა, უსენო“.[4] ამრიგად, „მრთელი“ უსენოს ანუ არაავადმყოფს, ჯანმრთელს ნიშნავდა.

ცნება „მრთელით“ ორგანიზმის არაავადმყოფური მდგომარეობის აღნიშვნა ჯანმრთელობის გარკვეული გაგების გამომხატველი უნდა იყოს, რაც მთელს, სიმრთელეს, მთელობას ანუ დაურღვევლობას გულისხმობდა.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჯანმრთელობის აღნიშვნას ცნებით „სიმრთელე“ საფუძვლად ედო წარმოდგენა სიცოცხლის შესახებ. მაგრამ ჯერ ვნახოთ, რა ტერმინები იხმარებოდა ავადმყოფობის აღსანიშნავად.

ცნება „მრთელის“ მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გაიოდეს, რომ ავადმყოფობა, დაავადება გაგებული უნდა ყოფილიყო როგორც სიმრთელის საპირისპირო მდგომარეობა, ე. ი. დარღვევა სიმრთელისა. და თუ ეს ასეა, მაშინ ამ შინაარსის გამომხატველი შესაფერისი ცნებაც უნდა არსებობდეს, ან უნდა არსებულიყო.

დაავადების აღსანიშნავად V—XVIII საუკუნეების წყაროებში რამდენიმე განახვავებული ცნება გვხვდება. ასეთებია: „სნეულება“ ანუ „სნება“, „სატკივარი“ ანუ „ტკივილი“, „სალმობა“, „წყლული“, „ჭირი“, „მანკი“, „ავადმყოფობა“ და სხვ.

„შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: „მკვიდრნიცა მის ადგილისანი, სავსენი სენითა.“[5] „განკურნა სნეულებანი მათნი“.[6] თხზულებაში—„წამება ევსტათი მცხეთელისა“ ნათქვამია: „იქნებიან კურნებანი სნეულთანი.“[7] „აბო ტფილელის წამებაში“ ვკითხულობთ, რომ „...მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მისვე დღესა შინა განიკურნებოდეს“[8]. ან კიდევ „...სნეულიცა მრავალი მო-

---

[1] მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, დასახ. გამოცემა, გვ. 68. ხაზი ჩვენია.

[2] „ვისრამიანი“, იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 172. ხაზი ჩვენია.

[3] „წიგნი საკითხი“, გვ. 15.

[4] სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის-კონა“, ს. იორდანიშვილის რედაქციით.

[5] იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, გვ. 41.

[6] „ქართული ოთხთაეის სიმფონია—ლექსიკონი“, შედგენილი ი. იმნაიშვილის მიერ, გამოცემული ა. შანიძის რედაქციით. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1948—1949, გვ. 86.

[7] ანონიმი, „ევსტათი მცხეთელის წამება“, დასახელებული გამოცემა, გვ. 54.

[8] იოანე საბანისძე, „აბოს წამება“. დასახელებული გამოცემა, გვ. 68.

ურჩენია, დიდთა სენთაგან დამძიმებული.“[1] „ხმამაღალ ხმობდეს, იზახდეს: „მოგვშორდეს სალმობანია“[2]. „ესე მანკი—ლაპარაკია მელანქოლიის შესახებ—ზაფრის მორევნისაგან იქნების.“[3] მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი სნების, ჭირისა და მანკის შესახებ: „ჭირი და მანკი სიმრთელესა და ბუნებას მოერევის და გააქცევს სიმრთელესა სნებაი,..“[4]

როგორც უკვე ითქვა, დაავადების მნიშვნელობით ტკივილი, სატკივარიც იხმარებოდა; მაგალითად, XI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში საგანგებოდ გამოყოფილი თავი დასათაურებულია, როგორც „კარი ღვიძლისა ტკივილისა“,[5] ე. ი. ღვიძლის დაავადებისა.

ზოგიერთ სამედიცინო წერილობით ძეგლში ცნება „ავადმყოფობაც“ გვხვდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ძალზე იშვიათად იხმარებოდა და არა ახლანდელი გაგებით. როგორც ჩანს, ცნება „ავადმყოფობის“ ქვეშ მხოლოდ დაავადება კი არ იგულისხმებოდა, არამედ არა კარგად ყოფნა, მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანს რაიმე აწუხებს, ან გამოჯანმრთელების პერიოდშია და ჯერ კიდევ არ არის სრულიად განკურნებული.

„თუ კაცსა ავად ყოფისაგან უძილობა დაერთოს მისგან იქნების რომე ტანშიგა სენი შერჩომოდეს.“[6].

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ცნებები: „სენი“, „ჭირი“, „მანკი“, „სატკივარი“, „ავადმყოფობა“, გარდა წყლულისა (რომლის შესახებ დაწერილებით ცალკე გვექნება ლაპარაკი), თავისი შინაარსით არ გამოხატავს სიმრთელის, ჯანმრთელობის საპირისპირო მდგომარეობას ანუ დარღვევას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცნებებს სახე უნდა ეცვალათ, კერძოდ მხედველობაში გვაქვს ცნება „სენი“, ანუ „სნება“, რომელიც სწორედ სიმრთელის საწინააღმდეგო მდგომარეობის, დაშლა-დარღვევის, გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

სენი და სნება რომ დაავადების აღმნიშვნელი იყო, ეს ცხადია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „საფუძველიან მძიმე ავადმყოფობას სნება ეწოდებოდა, ხოლო ავადმყოფს—სნეული.“[7]

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ სამედიცინო წყაროებში მოიხსენიება რიგი მძიმე დაავადებებია აღწერილი, რომლებიც სენის სახელით არ იხსენიებიან. და პირიქით, აღწერილია მსუბუქი დაავადებანი და იწოდებიან სენად. მაგალითად, კბილის ტკივილი, რომელიც მძიმე ავადმყოფობად არ ჩაითვლება, სენად იწოდება: „და რაცა კბილებშიგა სენი შეექმნების..“[8] მაშინ როცა ისეთი მძიმე

---

1 „უსწორო კარაბადინი“ გვ. 57.

2 შოთა რუსთაველი, „ეეფეხისტყაოსანი“, პ. ინგოროყვას გამოცემა, თბილისი, 1953, სტროფი 1621.

3 „წიგნი საქიმოი“, გვ. 78.

4 იქვე. გვ. 10.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 290.

6 იქვე. გვ. 190.

7 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946, გვ. 64.

8 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 241.

დაავადება, როგორიცაა ტკვინის გარსების ანთება, „მანკის“ სახელით იხსენიება.[1] უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევები არაიშვიათია.

ცნება „სენი“ ანუ „სნება“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, „არაჯანმრთელის“ აღმნიშვნელი და დაავადების გარკვეული გაგების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

„სიმრთელისა“ და „სენის“ მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ იმ მსოფლმხედველობის საფუძველზე შეიძლება, რომლის მიხედვით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ყოველივეს სათავედ და მათ შორის სიცოცხლის საწყისად მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი ითვლებოდა. არსებობდა წარმოდგენა, რომ ეს ოთხი ელემენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნიდა საფუძველს სიცოცხლისა და არსებობისათვის, როცა ისინი ერთმანეთთან შემტკიცებულ-შეკავშირებული არიან. ამის შესახებ მეტად საყურადღებო შეხედულებები გვხვდება გიორგი მონაზონის „ხრონოღრაფში“. „აწ უკვე ოთხთა ვიდრე-მე ნივთათუის, რომელთაგან ბუნებაის ხორციელთა გუამთაი შემტკიცებულ არს, მხურვალისა, ვიტყუი, და ხმელისა, გრილისა და ნოტიისა არსებისა ვინ არა უწყის, ვითარმედ ურთი-ერთას რაი შეირინენ და შეიყვანეს, აქუს მდგომარეობაი და მყოფობაი...“[2].

იქვე, „ესე უკუე თუისითა ძალითა და სიბრძნითა მპყრობელი თანადყოველისაი და დასაბამთაი ყოვლისავე გრძნობადისა არსებისათა დამცველი, რომელი არიან მხურვალე და გრილი, ხმელი და ნოტიაი, ერთად შეჰზავებს და შეერთებულად შენაწევრებად შესრულებულ ჰყოფს ამათ; და არცა ცეცხლი ჰბაძავს გრილს, არცა ნოტიაი წინაგანეწყობის ხმელსა, არამედ ვითარცა რაიმე და მეგობარ არიან ურთი-ერთას და მყოფობისა გუამთაისა დასაბამ არიან“[3].

საბას ლექსიკონში ეკითხულობთ: „ოთხი იგი ასონი: მ ი წ ა, წ ყ ა ლ ი, ჰ ა ი რ ი და ც ე ც ხ ლ ი არიან, ვინათგან ამათ მიერ არს ყოველთა სხეულთა შემტკიცება“.[4] ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ ელემენტებს, სხვა სინონიმებს შორის, „კავშირი“ ეწოდებოდა. „ასო ელადელთა ხმითა ჰქვიან კავშირთა. აჰისთვის ფილასოფოსთა მიერ ასონი სახელედებიან: ც ე ც ხ ლ ს ა, ა ი რ ს ა, წ ყ ა ლ ს ა, და ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა, რამეთუ, ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყუა და სიტყუათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთუე ამა ოთხთა ასოთაგან შეიმზადების და სხეულისაგან კაცი სრული.

ხოლო ამ ოთხთა ასოთა კავშირად სახელსდებენ, ვინათგან მით დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი“[5].

ამ ოთხი ელემენტის შემტკიცება-შეკავშირება, ერთიანობა, იყო საფუძველი ფიზიკური არსებობისა, ამიტომ „სიმრთელე“, რომელიც შემდეგ ჯანმრთე-

---

1 „წიგნი საკიმოი“, გვ. 75.

2 გიორგი მონაზონი, „ხრონოღრაფი“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1920, გვ. 27.

3 იქვე, გვ. 28.

4 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 282.

5 იქვე, გვ. 33.

ლობის აღმნიშვნელი გახდა, თავდაპირველად ფიზიკურ არსებობას გულისხმობდა. სიმრთელის გარეშე არ იყო სიცოცხლე, სიმრთელის დაშლა-დარღვევას სიკვდილი მოსდევდა.

სიცოცხლეგამწარებულ ტარიელს შოთა რუსთაველი შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაღა დავჰყოფ მცირასა;
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნეე, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა!
დ ა მ შ ლ ი ა ნ ჩ ე მ ნ ი კ ა ვ შ ი რ ნ ი, შევრთვივარ სულთა სირასა“[1].

სიმრთელის საფუძველი, თუ ოთხი ელემენტის, კავშირის, მთლიანობაა, მისი საწინააღმდეგო მდგომარეობა, მათი დაშლა-დარღვევაა. ვითარდება სიმრთელის საპირისპირო პროცესი, რომელსაც სიკვდილი მოსდევს. ეს პროცესი ხასიათდება იმით, რომ ოთხი ელემენტის კავშირი, როგორც ვთქვით, ირღვევა, იშლება, იხსნება. ამ ელემენტებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს. რომელიმე მათგანის თვისების დაჭარბებას შემტკიცებულობის დარღვევა მოსდევს: „რაი ურთიერთას განიყვნენ და თავით თუისიდ იხილვებოდის თითოეული, ერთი-ერთას მბრძოლ და დ ა მ ხ ს ნ ე ლ[2] არიან, რამეთუ მხურვალე გრილისა მიერ დაიხსნების და გრილი მხურვალისა მიერ უჩინო იქმნების, და ნოტიაი ხმელისა მიერ განხმების,...“[3].

სიმრთელის გარეშე არ წარმოიდგინებოდა არსებობა,[4] სიცოცხლე. თუ სიცოცხლე უნდა შეეცვალა მის საწინააღმდეგო მდგომარეობას, მაშინ სიმრთელე უნდა დარღვეულიყო, ეს კი შესაძლებელი იქნებოდა ოთხი ელემენტის დახსნით, რაც უმთავრესად ამა თუ იმ დაავადებასთან ან რაიმე ზემოქმედებასთან იქნებოდა დაკავშირებული.

„ს ი მ რ თ ე ლ ი ს ა“ და „ს ნ ე ბ ი ს“ წარმოდგენილ გაგებას სხვა საფუძველიც აქვს.

საბა განმარტავს, რომ „სენად ვიტყვით ყოველთა ქცეულებათა ბუნებისასა“[5]. ქცევა კი არის „ნაშენებთა დარღვევა“.[6] აშკარაა, რომ დაავადების აღმნიშვნელი ცნება „სენი“ სიმრთელის საწინააღმდეგო მდგომარეობას—დარღვევას გამოხატავდა და მის ქვეშ ორგანიზმის გარკვეული მდგომარეობის გაგება იგულისხმებოდა. ამიტომ იყო რომ მკურნალის მოვალეობას დახსნილის გამთელება წარმოადგენდა. „...ძნიად შეზავებისათუის რომელობათაისა და დახსნისათუის

---

[1] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1953, თბილისი, სტროფი 884. ხაზი ჩვენია.

[2] ხაზი ჩვენია.

[3] გიორგი მონაზონი, „ხრონოღრაფი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 27.

[4] საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსულ ენაში განკურნებას исцеление ეწოდება, ანუ გამთელება. თვით მკურნალსაც исцелитель ერქვა, ანუ გამთელებელი. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ეს ცნებები დაავადების იმ გაგებას გულისხმობდეს, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ.

[5] სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1949 წლის გამოცემა, გვ. 597.

[6] იქვე, გვ. 724.

შემტკიცებულობისა სხეულთაისა მკურნალთა და საკურნებელთა მოქენე ვიქმნენით"[1].

უფრო ადრინდელ ძეგლებში დაავადებული პირდაპირ დახსნილად იწოდება: „ყრმაი ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დ ა ხ ს ნ ი ლ ი"[2]. ან კიდევ: „მოართუეს მას დ ა ხ ს ნ ი ლ ი ერთი, რომელ იდვა ცხედარსა ზედა,..."[3].

როგორც ირკვევა, ცნებები „სიმრთელე" და „სენი" დაკავშირებული არიან უძველეს წარმოდგენებთან სამყაროს აგებულებასა და სიცოცხლეზე. ისინი ჯერ-ჯერობით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო შემუშავებული, ვიდრე შეხედულებანი ორგანიზმის ოთხი სითხის შესახებ. შემდეგ, როცა ეს შეხედულებები გავრცელდნენ და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, ამ ცნებებმა თავდაპირველი მნიშვნელობა შეიცვალეს და ჯანმრთელობისა და დაავადების იმ გაგების გამომხატველი გახდნენ, რომელიც აღნიშნული შეხედულებებიდან გამომდინარეობდა.

ამ შეხედულებების მიხედვით, სიცოცხლე და ჯანმრთელობა ოთხი სითხის, წვენის შემცველობაზე და მათ შორის არსებულ წონასწორობაზე არის დაფუძნებული. „აწ ე სისხლისა ვთქვათ და ბ ა ლ ღ მ ი ს ა და ზ ა ფ რ ი ს ა და შ ა ვ ი ს ა ბ ა ლ ღ მ ი ს ა იმათთა გარეგითა და გასწორებითა გაიზარდოს ტანი კაცისა, ყოვლისა დაბადებულისა"[4].

ეს ოთხი სითხე იყო: სისხლი, „ბალღამი" ანუ ლორწო, „ზაფრა" და „სევდა" ანუ ყვითელი და შავი ნაღველი. „იგინი ოთხნია: ერთი სისხლი, მეორე ბალღამი, მესამე ზაფრაი, მეოთხე სევდაი."[5] იქვე ნათქვამია, რომ „...ამათ გარეგათაგან ორფრად არიან: ერთი ბუნებური, და იგი კაცისა ტანსა შიგან სწორ გარეგა იქნების: მეორე არაბუნებური, და იგი კაცისა ტანსა შიგან არ სწორი გამრეველი იქნების,..."[6].

მაშასადამე, აღნიშნულ სითხეთა შორის თუ „სწორი გარეგა" ანუ წონასწორობა—პროპორცია არსებობს, მაშინ ეს იქნება „ბუნებური" ანუ ნორმული მდგომარეობა, ხოლო თუ „კაცისა ტანსა შიგან არ სწორი გამრეველი იქნების" ეს უკვე „არაბუნებური", ანუ პათოლოგიური მდგომარეობაა.

ჯანმრთელობისა და დაავადების ასეთი გაგება კიდევ უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში". იქ ნათქვამია, რომ „...თუ ბუნებანი ესე ოთხნივე ერთმანერთსა შეზავებით და სწორად არიან, მაშინ კაცი მრთლად და კარგად იქნების... და თუ დამეტდების, რომელიმე დაიბადების სენი და სნება, ცხრო და ყოველი მიზეზი იმათგან გამოჩნდების, და ამათგან იქნების სიცოცხლე და სიკუდილი, ჭირი და ლხინი,..."[7].

იქვე: „იცოდით, რა კაცი დაიბადების, ვირე სიკუდილამდი ამა ოთხთა ბუნებათაგან იქცევის და ამათგან იზრდების, და ამათგან ცოცხალა კაცი"[8].

ორგანიზმის ეს ოთხი სითხე სამყაროს ოთხი ნივთის: ქარის, ცეცხლის, წყლისა და მიწის თვისებების მატარებლად ითვლებოდა. XI საუკუნის ერთ-ერთ ძეგლში აღნიშნულია, რომ „ქ ა რ ი მხურვალი და ნედლია და სისხლი მისგან იქ-

---

[1] „ბუნებისათვის კაცისა", დასახელებული გამოცემა, გვ. 15.

[2] „ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი", შედგენილი ი. იმნაიშვილის მიერ, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1948—1949, გვ. 138. ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩვენია, ავტორები.

[3] იქვე, გვ. 138.

[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 46.

[5] „წიგნი საქიმოი", გვ. 13.

[6] იქვე.

[7] „სამკურნალო წიგნი", გვ. 4.

[8] იქვე.

ნების და სული მისგან იძურის. და ცეცხლი მხურვალი და ხმელი არის და ზაფრა არის. მიწა გრილი და ხმელი და შავი ბალღამი. წყალი გრილი და ნედლი და ბალღამი მისგან არის"[1].

შემდეგი საუკუნის ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ შეხედულება ამ ოთხი სითხის თვისებების შესახებ ცვლილებას განიცდიდა. მაგალითად, XIII და XVI საუკუნეების ძეგლებში წარმოდგენილი ამ ოთხი სითხის დახასიათებანი საკმაოდ განსხვავდებიან როგორც ზემოთ მოყვანილი აღწერილობისაგან, ისე ერთმანეთისაგან.

„წიგნი საქიმოიში" ვკითხულობთ, რომ „...ბუნებაი სისხლისა მხურვალი და ნედლი არს ვითა რომელ ჰაერისა ბუნებაი და მისი ადგილი კაცისა ტანსა შიგან ღვიძლი არს. ბალღმისა ბუნებაი გრილი და ნედლი არს ვითა წყლისა ბუნებაი და ადგილი მისი კაცისა შიგან ტყირბი[2] არს. ზაფრისა ბუნებაი მხურვალი და ხმელი არს, ვითა ცეცხლისა ბუნებაი და ადგილი მისი კაცისა ტანსა შიგან ნაღველი არს და ზაფრისა და სევდისა ბუნებაი გრილი და ხმელი არს ვითა მიწასა ბუნებაი და ადგილი მისი კაცისა ტანსა შიგან ელენთი არს"[3].

„იადიგარ დაუდში" ეს ოთხი სითხე სრულიად განსხვავებულად არის დახასიათებული: „წყალი სისხლი არის და სისხლის თაბიათი მხურვალი და ნედლი არის. და ცეცხლი საფრა არის და ამა საფრისა აერი და თაბიათი მხურვალი და ხმელი არის. ქარი ბალღამი არის, ამა ქარისა და ბალღამის აერი და თაბიათი გრილი და ნედლი არის. მიწა სევდა არის და ამა მიწისა და სევდისა აერი და თაბიათი გრილი და ხმელი არის"[4].

იქვე ნათქვამია, რომ „...ყოვლი სენი და ავად ყოფა ამა ოთხისა ნივთისა გარეთ არ არის და სხვაგან ნურც ეძებთ. ამისთვის რომე უსათუოდ და უმიზეზოდ თუ კაცი ავად გახდების, ამის ოთხის ნივთისაგან ერთერთისაგან იქნების: ან სისხლისაგან, ან საფრისაგან, ან ბალღმისაგან და ან სევდისაგან იქნების.

ბოლო რაცა ადამის ტომისა ან თავსა და ან ტანსა ან სენი ან ჭირი მოვა, ყუელა ამ ოთხის ნივთისა ხილთებისაგან იქნების ერთ ერთისაგან"[5].

თითოეული ამ ოთხი ნივთთაგანი გარკვეული თვისებების მატარებლად ითვლებოდა. ჯანმრთელობის დროს მათ სხვა თვისებებს მიაწერდნენ, ხოლო დაავადების დროს სხვას. ამიტომ, რომელი ამ თვისებათაგანიც თავს იჩენდა, იმის მიხედვით განიხილებოდა, უმეტეს შემთხვევაში, დაავადებაც და სამკურნალო მიდგომაც უმთავრესად ამით იყო განსაზღვრული.

სისხლის ბუნებრივ ანუ ნორმულ თვისებებად და ნიშნებად ითვლებოდა წითელი ფერი, ტკბილი გემო, სისხლი არც თხელი და არც სქელი არ უნდა ყოფილიყო, მყრალი სუნი არ უნდა ჰქონოდა, გამოღებული სწრაფად უნდა შეიდედებულიყო: „...სისხლი რომელი ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ სწორად იყოს, არცა თხელი და არცა სქელი, და ფერად დია წითელი იყოს, და

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 46.

[2] ტყირბს აქ შეცდომით უნდა იყოს დასახელებული ფილტვის მაგივრად, რადგან იმავე ძეგლის მიხედვით სიგრილე და სინედლე ორგანიზმში ფილტვზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ტყირბს იმ დროისათვის ელენთასაც უწოდებდნენ და ამიტომ ამ უკანასკნელს იქვე „მიწის ბუნების" მატარებლად აღარ დასახელებდნენ. ჩვეულებრივ სხვადასხვა სტიქიონის თვისებების ერთსა და იმავე ორგანოზე მიწერა არ ხდებოდა.

[3] „წიგნი საქიმოი", გვ. 13.

[4] „იადიგარ დაუდი", გვ. 230.

[5] იქვე.

გემოი ტკბილი იყოს მისი, და რაი უსუნონ მყრალი არ იყოს, და რაი გამოიღონ ადრე გასქელდეს. და რაი სისხლი ესეთი იყოს, სიმრთელისა ნიშანი არს და ტანისა სიძლიერე, და ფერისა და პირისა სიწითლე და სიტურფე"[1].

არაბუნებრივ ანუ დაავადების პირობებში სისხლის დამახასიათებელი თვისებები თითქოს შვიდ ფერად უნდა შეცვლილიყო.

სისხლი თუ გასქელდებოდა და გამუქდებოდა, ეს ღვიძლის სიმხურვალისა და სინედლის ნიშანი იყო. გათხელება და გათეთრება ღვიძლის სიგრილისა და სინედლის მაჩვენებლად ითვლებოდა. გაყვითლება ზაფრის მომატებას ნიშნავდა, ხოლო სიმყრალე—დამპლობას. მლაშე გემოს მიღება ბალღამის დამეტების მაჩვენებელი იყო, ხოლო ქაფიანობა (პერულიანი) ბუნების სინედლისა და ქარიანობისა: „და რაი არ ბუნებური იყოს შვიდ ფერად იქნების: ერთი იგი, რომელი სქელი და ბნელი იყოს, იგი ნიშანი არს ღვიძლისა სიმხურვალისა და სიხმელისა. მეორე რაი დია თხელი იყოს ნიშანი არს ღვიძლისა სიგრილისა და სინედლისა, მესამე რაი თეთრ ფერი იყოს, ნიშანი არს ღვიძლისა და სიგრილისაი. მეოთხე რაი ყვითელ ფერი იყოს, და გემოდ მწარე იყოს ნიშანი არს ზაფრისაი, მეხუთე რაი მყრალი იყოს; ნიშანი არს სისხლისა დამპლობისა. მეექვსე რომელ მლაშე გვარი იყოს გემოდ, ნიშანი არს მლაშისა ბალღჰისა გარევისა მისისა. მეშვიდე რაი პერულიანი იყოს, ნიშანი არს ბუნებისა სინედლისა და ქარიანობისა ფერფერისა"[2].

ბალღამის სწორი გარევის შესახებ სისქის მიხედვით მსჯელობდნენ. ბალღამი არც თხელი და არც სქელი არ უნდა ყოფილიყო: „და რაი ბალღამიანი იყოს, რომელ წესისებრ იყოს, არცა თხელი, არცა სქელი"[3].

მიჩნეული იყო, რომ პათოლოგიის დროს ბალღამი ოთხ ფერად შეიძლება შეიცვალოს. მეავე, მლაშე ან ტკბილი გემო მიიღოს და გასქელდეს: „და ბალღამი რომელი არ ბუნებაური იყოს, ოთხფერი იქნების: ერთი მეავე, და იგი სხუათა ბალღამთაგან უგრილესი და უხმელესი იქნების, ეგეთი ბალღამი ნიშანი არს საჭამადისა არ მოდნობისაი და სტომაქისა და ბუნებისა სიგრილისა. მეორე რაი მლაშე იყოს, სხუათა ბალღამთაგან უხმელესი და უმხურვალესი იქნების, ნიშანი არს ხუელისა და წყურვილისა და ტანის ქავილისა. მესამე რაი ტკბილი იყოს სიმხურვალითა და სინედლითა სხუათა ბალღამთაგან უმეტესი იქნების, ნიშანი მისი სისხლისა მორევნაი და ტანთა სიმხურვალე არს. მეოთხე რ უ ტ ო ბ ა თ ი ზ უ ჯ ა ჯ ი ჰქვიან, ვითა გამდნარი ჭიქაი იქნების და იგი უსქესი და უგრილესი არს ყოველთა ბალღამთაგან, ნიშანი არს სტომაქისა და ტანის სიგრილისა და ყოლინჯისა"[4].

ზაფრის დამახასიათებელ ნიშნებად ბუნებრივ პირობებში მიჩნეული იყო წმინდა ფერი და მწარე გემო. მას უნდა გაეხურებინა სტომაქი, მონაწილეობა მიეღო საკვების მონელებაში და გაეთხელებინა სისხლი: „და ზაფრა რაი ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ ნატიფი იყოს და ფერად წმიდაი, და ნათელი იყოს, და გემოდ მწარე იყოს და ზაფრაი რაი ასეთი იყოს, სტომაქსა ახურვებს და საჭამადთა მოდნობასა უშველის, და წელთა გასწმენდს ნანარ-

---

1. „წიგნი საქიმოი", გვ. 13.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 14.
4. იქვე.

ჩომისა სიგრილისაგან, რომელ შიგან დარჩომილი იყოს. ხორცის ტკივილსა არგებს და სიფხიზლესა მოუმატებს, და ტანსა გაასუბუქებს და სისხლსა გაათხელებს...“[1].

არაბუნებრივ პირობებში ზაფრა ოთხფერად იცვლებოდა: ყვიოლად, კვერცხისგულის ფერად, ყანგირის და „რაი გინდა ფერად“. ამის მიხედვით იცვლებოდა მისი მოქმედებაც: „და ზაფრაი, რომელი არ ბუნებაური იყოს ოთხფერი იქნების: ერთი იგი რომელ ფერყვითლად იყოს, და იგი მისგან იქნების, რომელ სინედლე მასთან გარეულ იყოს, და სიმხურვალე მისი უმცროსი იქნების ბუნებაურისა ზაფრისაგან. ნიშანი მისი იგი არს, რომელ საჷამადსა გუეან მოიდნობდეს, და ასოთა სისუსთისა. მეორე რაი კვერცხისა სიყვითლესა ჰგვანდეს, მისგან არს რომელ სინედლე სქელი ბალღამური ზაფრასა ბუნებაურსა თან გარეულ იყოს, და იგეთი სიმხურვალითა უმცროსი იქნების ყოველთა ფერთა ზაფრათა;... მესამე ფერად რაი გინდა, მისებრი იყოს, და ზაფრი ესე ფერი უფროსი სტომაქისა შიგან იქნების, და მისი შეყრაი უფროი სინედლისა საჷამადისა ჷამისაგან იქნების. ნიშანი მისი იგი არს, რომელ სტომაქი და ღვიძლი უსუსურად ედგეს და ძნელნი მანკნი სხუანი. მეოთხე ყანგარის ფერი იქნების, და ზაფრა რაი ესე ფერი იყოს, დია ჰავი იქნების, და ნიშანი იგი არს მისი, რომელ სხეულისა გასარეველი სტომაქსა შიგან დამწუარი იყოს და ესე სიკუდილისა ნიშანი არს“[2].

უკანასკნელი ჰუმორალური კომპონენტის, სევდის ბუნებრივ ნიშნებად ითვლებოდა: მჟავე გემო, შავი ფერი, მას უკავშირებდნენ მადას, ძვალთა ზრდას და სხვ.

„და სევდაი, რომელ ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ გემო პირსა შიგან სიმჟავისაგან ჰქონდეს, და ყავამი სქელად იყოს და ფერად შავგვრემან გუარი იყოს, ბნელისა სისხლისა მრღვივისა ფერად და სევდა რაი ესე ფერი იყოს, სტომაქსა საჷამადსა მოანებებს და გონებას გაუნათლებს, და კაცთა ძნელთა საქმეთა ზედა გაგულოვნებს, და ტანისა ძუალთა საზრდელი მისგან იქნების, და სისხლსა ტანსა შიგან დაიჭირავს, რომელ ყოველმან ასომან თავისა ნაწილი საზრდელი სისხლისგან აიღონ“[3].

ორგანიზმის არაბუნებრივ მდგომარეობაში, ანუ დაავადების დროს, სევდის შეცვლის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა მჟავე გემო, კუპრივით გუნავება ან ბადრიჯნის ფერის მიღება: „და სევდა. რომელი არ ბუნებაური იყოს, სამფერი იქნების: ერთი იგი არს, რომელი ბუნებაური სევდაი დაიწვას და სიმხურვალისა კერძი იქნების, და გემოდ მჟავე იქნების და გაყოფა ამას სევდასა და ბუნებაურსა სევდასა შუა იგი არს, რომელ ამა სევდასა ზედა მწერი არ დაჯდების. ნიშანი მისი დაშვებაი მიზეჯისა არს და სიშმაგე და მჯდომნი და წყლულნი ძნელნი. მეორე იგი არს, რომელ სევდაი დამწუარ იყოს, ფერად შავი და ელვარი იყოს კუპრივითა, და სული მჟავე ჰქონდეს; და სხუათა ყოველთა სევდათაგან უმხურვალესი და უფიცხესი იქნების: ნიშანი არს ძნელთა მანკთა მომკლველთა,... მესამე რომელ ბადანჯანის ფერი იყოს, სიფიცხე და სიმხურვალე მისი შაგა ორთა ფერთაგან, რომელ ვახსენე უმცროსი იქნების. ნიშანი იგი არს, რო-

[1] „წიგნი საჷიმოი“, გვ. 14.
[2] იქვე.
[3] იქვე.

მელ სიმსივნე იყოს და მანკებაი ეგეთი რომელ ასოთა შიგან დიდ ხან დარჩეს"[1].

ექ. ლ. კოტეტიშვილი, იხილავდა რა ზემოაღნიშნულ შეხედულებებს, აღნიშნავდა, რომ „ქართულ ენაში დღესაც ხმარებაშია თქმები: „ნაღველა გამისკდა", „ნაღველა გამიხეთქა", „სევდიანი კაცი", „სევდა მახრჩობს", „ბალღამი ამოვნთხია", „გესლიანი ანუ ბალღამიანი კაცი", „ძარღვიანი კაცი", „სისხლი გამიშრო", „კაცი გაშრა" და მრავალი სხვ.[2].

აღნიშნულ თვისებებთან ერთად, სისხლი, ზაფრა, ბალღამი და სევდა, როგორც აღვნიშნეთ, სიმხურვალის, სიგრილის, სიხმელისა და სინოტივის მატარებლად ითვლებოდა.

სითხეებთან ერთად ზემოაღნიშნული თვისებები ორგანოებსაც მიეწერებოდა.

„აწ ესე იცოდით რომე ტვინი რბილი და გრილი არის. სტომაქი მხურვალი და ხმელი არის. გული მხურვალი და ფილტური გრილი და ღვიძლი მხურვალი და ტყორპი გრილი, თირკმელი მხურვალე არის, ბუშტი გრილი არის, ყვითელი ზაფრა მხურვალე არის და ხმელი. და შავი ნაღველი გრილი და ხმელი არის"[3].

სიმხურვალე და სიგრილე ანუ სითბო და სინოტივე, როგორც ეს ზოგადად წყაროშია მოხსენებული, ერთმანეთს აწონასწორებენ. სინოტივე საჭიროა, რომ სიმხურვალემ არ დასწვას ორგანიზმი. სიმხურვალე საჭიროა, რომ პირიქით, სინოტივე არ გამეფდეს.

„თუმცა გულის სიხმელე არ იყოს ტვინი სიგრილისაგან დაშავდების, ის ინახავს. თუმცა ნაღველი არ იყოს სტომაქის სიმხურვალე ტანსა გაახმობს და დასწვავს, თუმცა ფილტვის სიგრილე არ იყოს ღვიძლის სიმხურვალე გულს დასწვავს. თუმცა ტყორპი არ იყოს ღვიძლის სიმხურვალე გულს დასწვავს. თუმცა ბუშტი არ იყოს თირკმელთა სიმხურვალე სრულად ტანს დასწვავს"[4].

მსგავსი შეხედულებანი შემდეგი საუკუნის წყაროებშიც არის გატარებული: „იადიგარ დაუდში" ვკითხულობთ: „აწე ესე შვიდი ასო ღმერთმან ზოგი მხურვალი და ხმელი დაბადა, და ზოგი გრილი და ნედლი, ამისთვის რომე ერთმანერთზედა შეზავებული იყოს. და მხურვალმან და ხმელმან ასოებმან გრილსა და ნედლსა ასოებსა მხურვალი და ცხელი ქარი და წყალი მისცეს, და ამის მაგიერად გრილი და ნედლი ქარი და წყალი გამოართვას, და ორნივე ერთმანერთითა იხარებდნენ და მხურვალი და გრილი, ხმელი და ნედლი ერთმანერთშიგა შეზავებული იყოს და კაცისა გული და სტომაქი მით ცოცხალ იყოს"[5].

ჰუმორალური კომპონენტების მსგავსად, ამ ორგანოთა თვისებების შეცვლას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაავადების განვითარებაში: „აწე ესე ასოები თუ მართლად ერთმანერთზედა შეზავებით იყოს, კაციცა მისა სიცოცხლეშიგა მთლად უსენოდ და ემინად და უჭირველად იყოს. და თუ ეს ასოები

---

1 წიგნი საქიმოი", გვ. 14—15.

2 ლ. კოტეტიშვილი,მედიცინა ძველ საქართველოში XVI საუკუნეში, იხ. „იადიგარ დაუდი", გვ. 40.

3 „უსწორო კარაბადინი", გვ. 47.

4 იქვე.

5 „იადიგარ დაუდი", გვ. 228.

ერთმანერთზედა აშლით და ურიგოდ იყოს, კაციცა მუდმად სენიანად და ხაზმუზიანად და სარჯელშიგა იქნების"[1].

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელობის ქვეშ იგულისხმებოდა ოთხი სითხის: სისხლის, ბალღამის, ყვითელი და შავი ნაღველის, აგრეთვე შინაგანი ორგანოების თვისებების სიმხურვალისა და სიგრილის თანაბარი, პროპორციული შეზავება, ხოლო დაავადების ქვეშ მისი საპირისპირო მდგომარეობა.

მაგრამ, თურმე, ეს მუდამ ასე არ ყოფილა. წყაროებში ჯანმრთელობის გაგებასთან დაკავშირებით გვხვდება ერთი მეტად საინტერესო აზრი, რომლის მიხედვით ორგანიზმში სწორი გარევა არასოდეს არ არსებობს, არამედ არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ უახლოვდება სწორ გარევას: „იცოდე, რომელ სწორი ბუნებაი კაცისა ტანსა შიგან არა არს, მაგრამ ბუნებაი იქნების სისწორისაკენ იყოს"[2].

ჯანმრთელობის გაგების ეს პრინციპი გვაგონებს თანამედროვე მედიცინაში არსებულ განსაზღვრას, რომლის მიხედვით ჯანმრთელობა ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა ადამიანის ორგანოები და სისტემები ნორმის ფარგლებშია ან უახლოვდება ნორმას.

ჯანმრთელობისა და დაავადების, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეორიული გაგებისაგან განსხვავებით, არსებობდა პრაქტიკული განსაზღვრა, რომლის მიხედვით ჯანმრთელად ითვლებოდა ადამიანი, თუ ის შრომისუნარმოკლებული არ იყო.

„...სიმრთელისა ნიშანი იგი არს, რომელ ტანი ძლიერად იყოს თავისა საქმესაზედა, და ყოველი ასო დაუკლებლად თავისა საქმესა იქმოდეს, ეგრე რომელ კაცსა რაი მიჰჭირდებოდეს. და ოდეს ტანი გაუსუსურდეს და ასონი თავისა საქმესა ვერ იქმოდენ, და ჭირი გამოაჩნდეს ტანსა, სნებისა ნიშანი არს,..."[3].

როგორც უკვე აღნიშნეთ, XVIII საუკუნემდე საქართველოში ჯანმრთელობის გაგება ოთხი სითხის: სიხსლის, ლორწოს, შავი და ყვითელი ნაღვლის თანაზომიერ გარევას გულისხმობდა, ხოლო თანაზომიერების დარღვევა დაავადებას ნიშნავდა. მაგრამ არსებობს მთელი რიგი მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული გაგების გვერდით სხვა შეხედულებებიც არსებობდა.

შენიშნული ყოფილა, რომ ჰუმორალურ თეორიაზე დაყრდნობით ყოველთვის არ ხერხდება ადამიანის ჯანმრთელობისა და დაავადების ახსნა-გაგება, რომ ამ თეორიიდან გამომდინარე წარმოდგენები ყოველთვის ვერ „მოერგო" პრაქტიკაში, ცხოვრების სინამდვილეში განვითარებულ მოვლენებს. თეორიული შეხედულებები ხშირად არ გამოდგა მათ ასახსნელად. თეორიისა და პრაქტიკის ეს დაშორება, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი ათ და მისი დაძლევაც უცდიათ. ამით აიხსნება, რომ ჰუმორალური თეორიის გვერდით, ისეთი შეხედულებებიც გვხვდება, რომელთა მიხედვით ჯანმრთელობა და დაავადება თავის ტვინის მდგომარეობით არის განსაზღვრული: „თუ კაცისა ტვინი სრულად მთელი იყოს კაციცა მართებული და ჭკვიანი იქნების. თუ კაცის ტვინი ნაკლული იყოს კაციც ნაკლული იქნების, ამისათვის რომე, კაცის კარგად ყოფნა და ავად ყოფნა ყოველი ტვინზე კიდია. ასრე იცოდით თუ კაცს ტვინი სტკივის ყოველი ასო და ტანი სტკივის, თუ ტვინი მთლად არის და სხვა

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 228.
[2] „წიგნი საჟიმოი", გვ. 13.
[3] იქვე, გვ. 28.

ასო რომ სტკივის თავი და ტანი და ყოველი ასო მართლა იქნების იმ ერთის ასოს მეტი რომელიცა სტკივის,..."[1].

მოტანილი ამონაწერი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ უკვე XI საუკუნეში შენიშნული ყოფილა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავის ტვინი ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში და როგორ არის დამოკიდებული ტვინის მდგომარეობაზე დაავადების განვითარება.

თუ ეს შეხედულება ერთგვარად ზოგად ხასიათს ატარებს, XIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში პირდაპირ არის დასახელებული ის დაავადებანი, რომელნიც ტვინის გარკვეული უბნის, სახელდობრ, „მეორე ბუტენის" (დაახლოებით თხემის მიდამოს შეესაბამება) დაზიანებასთან არიან დაკავშირებულნი.

„და მეორე ბუტენი რომელ მის მოკიდებულ არს, ცნობისა და შეგებისა ადგილი არს, და ოდეს ამა ბუტენსა რაი ჰავი წაეკიდოს კაცი ცნობისაგან იაკარ იქნების, და მტერთა დაცემაი... საქთაი და ლაყვაი გამოჩნდების"[2].

მაშასადამე, „მტერთა დაცემას" ანუ ეპილეფსიას, „საქთას" ანუ საერთო ღამბლას და „ლაყვას" ანუ სახის ნერვის დამბლას თავის ტვინის მეორე „ბუტენის" დაზიანებას უკავშირებდნენ. აღნიშნული დაავადებანი მართლაც ნერვული სისტემის დაზიანებასთან არიან დაკავშირებული.

ცნობილი ყოფილა აგრეთვე, რომ ზურგის ტვინის ტრავმულ დაზიანებას შეიძლება მოყვეს შარდის ბუშტის, სწორი ნაწლავის სპინქტერის მოქმედების დარღვევა—შარდის და განავლის შეუკავებლობა.

როგორც ვხედავთ, ჰუმორალური თეორიის დაძლევის მნიშვნელოვან ცდას საქართველოს მედიცინაში ადგილი ჰქონია, უკვე, IX საუკუნეში. იმდროინდელ პირობებში ეს საკმაოდ კანონზომიერი მოვლენა იყო. ეპოქა, რომელიც დოგმატიზმის დაძლევისა და ბუნების მოვლენების სწორად ასახვის ცდით ხასიათდება, ვერ ურიგდებოდა ჰუმორალური თეორიის სიმართლესმოკლებულ, გაყინულ პრინციპებს. საქართველოს მედიცინაში წამოყენებული იქნა ჯანმრთელობისა და დაავადების გაგების სრულიად ახალი პრინციპი, რომლის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, თავის ტვინს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვანმა დებულებამ, ისევე როგორც იმ ხანის სხვა მრავალმა ბრწყინვალე აზრმა, შესაფერისი განვითარება ვერ ჰპოვა და ეს არც შესაძლებელი იყო იმ დროისათვის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი საქართველოს სამედიცინო აზროვნების ეს მონაპოვარი მთლიანად არ მოსპობილა. იგი თავს იჩენს შემდეგ საუკუნეებშიც. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში" ნათქვამია: „რომე კაცსა ბნედა შეექმნების, ისი სენი ტუინშიგა შეიქმნების და ტუინი დაბნდების"[3].

გამოდიოდნენ რა თავის ტვინის მნიშვნელობის ასეთი გაგებიდან, ფიქრობდნენ, რომ ძლიერ ემოციურ გაღიზიანებას: სიხარულს, წყენას, შიშს შეუძლია სხვადასხვაგვარი დაავადება და სიკვდილიც კი გამოიწვიოს: „და მოკუდების კაცი სიხარულითაცა დიდითა და წყენითაცა დიდითა, ამად რომე თუ ერთობ გაეხარებიან გულსა ნამეტნავითა სიხარულითა,.. და აგრეეე ოდესცა შეშინდების გული,..."[4].

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 47.

2 „წიგნი საქიმოი", გვ .19.

3 „სამკურნალო წიგნი", გვ. 5.

4 იქვე, გვ. 170.

ამასთან ერთად ცნობილი ყოფილა, რომ უარყოფით ემოციურ გაღიზიანებას შეუძლია გამოიწვიოს ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება და დაავადების შებრუნებაც კი.

„თუ სნეულსა ასეთი რამე უთხრან რომე ეწყინოს და გულზედ შეანაწყენოს ანუ შეაშინოს, ანუ ასეთი კაცი შეიყუანოს, ან შეეიდეს სნეულსა ზედა, რომე სნეულსა ეწყინოს და ძულდეს, იმისთანა მიზეზიცა სენს ახლად დააბრუნეებს და ეგრევე შეაქცევს. და ამა მიზეზთა მრავალი კაცი მოკუდების"[1].

მსგავსი შეხედულება გვხვდება, აგრეთვე შემდეგი ხანის წყაროებშიც: „§ 12. სულის შფოთიერება; აგებულება გუაჩვევს ჩუენ, რომ არა გვაწუხებდეს რა და მხიარულად ვიყვნეთ და რადგან იშვიათად არის ვინმე რომ ცდილობდეს თავის გულისთქმის დაჭერას, ამისთვის, ვიტყვი მოკლედ, რომ სულის ბალიან აღშფოთება არა მცირედ ავნებს ხორცსა და უფრო მწუხარება და რისხვა და უფრო სნეულთა და ამისთვის ურჩევ რომ სნეულს არ შეატყობინონ ის რაც იმის სულს აღაშფოთებს"[2].

დაავადების განვითარებაში მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე საყოფაცხოვრებო და გარემო პირობებს. საინტერესოა, რომ ცნობები ამის შესახებ უკვე V საუკუნიდან მოიპოვება. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში" წარმოდგენილია ნიშნები ზოგიერთი ისეთი დაავადებისა, რომელთა განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად დასახელებულია არახელსაყრელი გარემო და საყოფაცხოვრებო პირობები: „ყამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალებაი მზისი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსიებულნი და განყვითლებულნი, დაწურტილნი და დამჭნარნი და დამღიერებული, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი"[3].

ჯანმრთელობაზე გარემო პირობების გავლენის შესახებ ცნობები შემდეგი საუკუნეების სამედიცინო და არასამედიცინო წყაროებშიც გვხვდება, სადაც ერთხმად აღიარებულია, რომ გარემო დიდ როლს ასრულებს ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში. „წიგნი სააქიმოიში" აღნიშნულია, რომ „გრილ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უმრთელესნი და უფრო ძლიერნი იქნებიან, და მხურვალი ბუნებისა ქალაქისა კაცნი უფროი უძალოი და ასოი სუსთნი იქნებიან, და უფროის ხმელ ბუნებისაგან შეწუხებულნი იქნებიან. და რომელიცა ქალაქი ზღვასა ახლვიდეს და მისსა მიდამოსა წყალი იყოს მისი სინედლე უფროისი იქნების, და რომელსა ქალაქსა წყალი უმცროი ჰქონდეს მისი ბუნებაი უხმელესია"[4].

ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დაავადების განვითარების საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა შრომის პირობებს, წესიერ და დროულ დასვენებას და სხვ.

„§ 9. მოსვენება და მუშაობა; ვჰგონებ კაცი დაბადებული არის შრომისათვის, ესეც ცხადი არის რომ რომელნიც დილიდამ საღამომდინ მუშაკობენ მაგარნი და მრთელნი არიან, იმათგან უფრო რომელნიც დღეებს ატარებენ მოსვენებით და ამასთან ესეც ვიცით რომ უზომოდ უქმად ჯდომა და წოლა სისხლს გაასქელებს და ბალღმნიანად გახდის კაცს, რომლითაც ხორცი დასუს-

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 145.

[2] „კარაბადინი" (1796 წ.) ინახება ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იოანე ბატონიშვილის ფონდი, N 136, ფ. 13 r.

[3] იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება", დასახელებული გამოცემა, გვ. 41.

[4] „წიგნი სააქიმოი", გვ. 49.

ტდება, გაიბერება, და მერმე მოეშვება და ჩამოლპება. მაგრამ მუშაობაც არ უნდა იყოს დაუსვენებლად, უნდა იყოს შეერთებული ზომიერის დასვენებით, როგორც ვისაც შეეფერება და ან სიყრმითგან რაც ჩვეულება აქვს, ამიტომ რომ ხორციანი და გულიანი მაგარი კაცი ჩქარად მიიღებს სნებას თუ დაასუსტებს თავის თავს მუშაკობით. და რომელსაც აქვს სუსტი და ბალღმიანი სხეული უზომოს უქმობისაგან შეიქმნება მძიმე და მუშაობაში გამოუდეგი, წაიხდენს კუჭსა, ქშენას დაწყებინებს და უკანასკნელ შეიყრის წყალმანკსა.

§ 10. რომელიც ნიადაგ დაუცხრომელად მუშაკობს, არ იქნება რომ არ დასნეულდეს და ამისთვის უნდა, რომ დაისვენოს და პირველივე ღონე მოიცეს საყოფის ძალით და ზომიერის საქმელით. და რომელიც ცუდად ზის, თუმცა დაასუსტებს თვის ხორცს, მაგრამ არც ღირსი არის რომ ეცადოს ვინმე იმის სიმრთელეს, ამისთვის რომ ის დრო დაუკარგავს, რომელიც რომ მუშაობაში სხუათ გამოადგებოდა. ხელოსანთ ხელოსნობისამებრ თვისისა ვალი აქვსთ რომ ერთს ადგილს ისხდეთ, ესე იგი არის მწერალნი, მკერვალნი და სხუანნი ხელოსანნი, ურჩევ რომ უქმეს დღეს გაატარებდეთ მოძრაობით და ითამაშებდნენ ბურთით, სირბილით და სხვებით ამ გუარის შესაფერის თამაშობით და საქმის დღეს რომელშიაც თამაშობა არ შეუძლია მაგარს სასმელს არ დალევდნენ და დალევდნენ წყალს და წყლით გარეულს ღვინოს და თუ სჭამენ ლორს და მარილიანს ხორცს და გამოუმცხვარს ავს პურს და ამგვარს მაგარსა და შემკრავს საქმელს, რომელთაც თუ არ მაგარი კუჭი ვერ მოიდნობდეს.“[1].

დაავადების განვითარებასა და საერთოდ დაავადებათა გავრცელებაში სოციალური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ცნობები გვხვდება XVIII საუკუნის უცნობი ავტორის ხელნაწერში, რომელსაც ეწოდება „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“[2]. მოგვყავს ხელნაწერის „შესავალი“ მთლიანად:

„ვინად მცირე არს ქუეყანასა ამას შიგა ერი იგი ნამდვილ არს, ვითა სჩანს ნაკლულევანება ესე ერისა წარმოებს მრავალთა მიზეზთაგან შევრაცხდი მე თავსა თვისსა ბედნიერად უკეთუ შემეძლოსმცა უკუთქცევა ერთისა უპირველესისა მიზეზისა მათგანისა, რომელითაცა არს ავად კურნება სნეულთა სოფელთა შინა და დაბათა: ამის ერთისადმი იზიდვის ყოველი ჰაზრი ჩემი: არა უკუე წარვალ მე უშორეს არამედ მიმოვიხედავ გარემოს ჩემსა... ორთა უმთავრესთა მიზეზთა შწარმოებელთა სნეულებისათა. ესე იგი არს გემოთ მოყვარებასა და ურიგოსა ცხოვრებასა რომელნიცა მრავალთა სახითა ავნებენ განმრავლებასა ერისასა, გემოთმოყვარება, ანუ წარმდებობა დაადგენს კაცსა მდიდარსა რათა განასხუაოს თავი თვისი სხუათაგან მით და კაცსა საშუალოსა ნაქონებისასა რათა მიჰბაძოს ყოველითურთ მდიდარსა და შთასთესავს მის შორის შიშსა განმრავლებისათვის შვილთასა... ცუდ მედიდებობას ზედა, და ამისთანა აზრებსვე, ვითარ უკეთუ განგიმრავლდებიან შვილნი და ნაქონებსა შენსა განუყოფენ მათ მცირედ მიხუდებისთ და იგინი ვერ იცხოვრებენ ვითა მამაი მათი: ამის მიერ მცირენი იქორწინებენ, გინა დაამცირებს განმრავლებასა ერისასა.

---

[1] „კარაბადინი“ (1796 წ.), ინახება ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. 11v—12r.

[2] ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, 2164.

წარმდებობა ავნებს სხვას გზითა. უწესო ცხოვრება წარმდებობითა ყოველ-ბული დაასუსტებს სიმრთელეს, აღრევს ბალღამთა და განმრავლებას ერისასა ადაბრკოლებს მით.

მერმე ვნება წარმდებობისა არს ვითარმედ მდიდარი ივლტის სოფლისაგან თვისის რათა გამობრწყინდეს ქალაქთა შინა იგი განიმრავლებს მსახურთა და განმრავლება ესე მსახურთა არს მავნებელ განმრავლებისათვის ერისა. პირველი ვინათგან არა აქუსთ მათ კმად თვისი საქმე, რომლითაც შეეჩუევიან უქმსა სიცოცხლესა, და იქმნებიან უღონო სოფლურისა მუშაობისა, რომელსაცა შინა ეშუნენ იგინი და მოკლებულნი ამის ადგილისაგან არღა იქორწინებენ, და ანუ იქორწინებენ ფრიად გვიან, და ესრეთ დაკნინდებიან მსოფლელნი.

უსაქმობა თვით თვისით მოაუძლურებს მათ და შეიყვანს გარდაქცეულსა შინა ცხოვრებასა, რომელიცა უფროს მოაუძლურებს მათ. შვილნი მათნი იქმნებიან მცირედ და სნეულნი, ვერ შემძლენი ტუირთად შრომათ ქუეყნისა მოქმედებისათა.

იგინი რომელნიცა აქცევენ თავსა თვისსა ფრიად რიგიანად, ცდილობენ ზრდილობასა; ცხოვრობენ რაოდენმე სიფრთხილით და შეეჩუევიან ქალაქურსა ცხოვრებასა, ეშინისთ სოფლურისთ მუშაობისა, ამისთვის ჰნებავსთ რათა შეიქმნენ მცირენი მოქალაქენი. და ესე არის სავნებელ განმრავლებისათვის ერისა, ამისათვის კულავად ქუეყნის მოქმედნი უმეტეს ჰშობენ შვილთა... მოქალაქენი და ამათ რიცხუთა შორის უმეტესნი რიცხუნი ჩჩვილთანი კუდებიან ქალაქთა შინა ვითა სოფელთა.

ესრე თუ ვნება იქმნების დედაკაცთათვისცა რომელნიცა არიან მოახლედ: ქალაქის გოგონი ათ და თორმეტ წელ მყოფნი მოჯამაგირედ ვერღა იქნებიან კარგნი სოფლელნი, და უკეთუ მიჰყოფენ რომელნიმე მათგანნი ხელსა სოფლურსა მუშაობასა ცხოვრებისა, მსწრაფლ მოუძლურდებიან მით; და ერთს წელს უკან გამოჩნდებიან სახედ ბებრისად: ხშირად პირველსა ზედა შობასა, რომელსაცა შინა არა აქუსთ მათ ფაქიზი მოვლა, დასნეულდებიან ჭლექითა. ხილითა და უშვილობითა, და ქმართაცა თვისთა მიზეზ ექმნებიან ამისა.

სიფრთხილედ ჯერ არს რათა სიბოროტე ესე უმეტეს არღა განმრავლდეს და არღარა გამოიყენონ სოფლით მსახურნი და არღარა შეაბილწონ ქალაქურისა ქცევითა, ავისა სახეებითა და ავისა ამხანაგებითა.

მრავალ არს უკეთი სათქმელ ამის დიადის საგნისათვის, გარნა არა მნებავს, რათა განვადიდო წიგნი ესე და არა დაუტეველ სხუანი მრავალნი საქმენი, შესაბამნი მკურნალობისანი ყუელაი რაიცა ეჰსთქვი ვითარმე აქამდე, შეადგენენ ნაწილსა მისსა, ვინათგან მიმცემსა ერისა სწავლისასა სიმრთელისათვის მისისა თანა მედუა რათა მეჩუენებინა მიზეზი ვნებისა მისისა. და უკეთეთ მეთქუამცა უმეტესი ეჩუენებოდათ არა შესაბამისად ჩემისა ჰაზრისა. და ამისათვის ვეტევი უკეთ უკანასკნელსა უკეთ მიზეზსა ვნებისასა განმრავლებისა შინა წესისა. ესე იგი არს მას მიზეზსა თუ ვითარ სოფელთა შინა უელიან სნეულთა.

მრავალ გზის უკეთი შევჰსწუხებულ ვარ ამას და თვით ვარ მოწმე რომელ სნეულებანი რომელნიცა თვით თვისით ყოფილან მსუმბუქ კურნებითა შექმნილან სასიკეთენი, რომელსაცა შინა ჰრწმუნებულვარ, რომელ ერთითა ამით მიზეზითა ეგოდენნი იხოცებიან ზემოთქმულებითა და ესე არს თვით უპირველესი საქმე ყურადსაღები მკურნალთა, რომელთაცა თანამდებობისა სახე არს. რომელთ შურებოდნენ დაცვისათვის კაცობრივისა ნათესავისა, რომელნიცა რაოდენცა შესძლებენ მეცადინეობასა, ჩინებულთა ქალაქისა ერთათვის, უსარგე-

ბელესნი ნახევარნი ერნი უბედურად სწყდებიან სოფელთა შინა, ანუ საკუთართა სნეულებითა ანუ შესაყარითა, რომელნიცა რაოდენთამე შინა წელთა გამოჩნდებიან სხუათა და სხუათა შინა სოფელთა, და ჰყოფენ დიადსა გაოხრებასა. ამან სამწუხაროსმან ფიქრმან მაიძულა მე მოცემად ამისა მცირისა წიგნისა ჭათთვის ოდენ, რომელნიცა შორის მყოფნი მკურნალითგან მოკლებულ არიან ყოველისა შეწევნისა: არა ცხად ვჰყოფ მე აქა თვითეულად ჩემსა ჰაზრსა, რომელნიცა ფრიად მდაბიო არს. კმა არს თქმად ვითარად ყოვლითურთ ვეცადე რაითა იყოს იგი ფრიად სასარგებლო, შეძლებისამებრ ჩემისა, და ვიკადრებ იმედოვნებად ვითარმედ უკეთუმცა ვერ ვაჩუენე ყოველი კეთილი რომელიცა შესაძლებელი იყო, გარნა მოვეც უკუე შემეცნება აღსასპობელთათვის მკურნალობათა, რომლისაგანაცა ჰლტოლვად სათანადო არს".

ავტორი ამით არ კმაყოფილდება და დაავადების ხელშემწყობი პირობების და მიზეზების განხილვას სპეციალურ თავს უძღვნის: „რომელთა თუისამე ჭიზეზთა ერის სნეულებისათა".

„§ 1. თუით ხშირნი მიზეზნი სნეულებისანი მსოფლელთა შორის არიან. პირველი ნამეტნავი მუშაკობა გრძლად: ოდესმე მოსუსტდებიან იგინი ყოვლითურთ სნეულებითა და გამოლევითა ღონითა; რომლისაგანცა იშვიათ განიკურნებიან, ხშირად სნეულებენ იგინი ვითარისმე ხურვებისა სნეულებითა, ესე იგი არის ყბაყურა, ბრჭუალთა, გვერდისა და გულის ტკივილითა.

ორი ღონე არის განრომად ამის სნეულებისაგან, ერთი, რომელთ უფრთხოდეთ მიზეზთა შემომღებთა, მათთა, გარნა ხშირად იქმნების იგი მიუცილებლად; მეორე, ვითარმე ოდეს იძულებული ვიქმნებით უზომოსადმი მუშაობისა, მაშინ რაითა განვაზავოთ იგი საგრილებელითა სასმელითა...

ხურვების სნეულობასათვის ვიტყვი მე ქვემო: გამხდრობა თუმცა ფრიად სხუა არს სნეულება მათგან გარნა... მათ მიზეზითა თვისთა, რომელიცა განახმობს ყოველთ წევრსა სნეულისასა .ამისაგან განიკურნენ ვითა ვნახე მე, შრატისა სმითა; და მერმე თბილის აბანოთი, და უკანასკნელი ფურის რძითა ამას სნეულებასა შინა მხურვალნი წამალნი და ნოყიერნი საჭმელნი წარსწყმიდენ.

§ 2. არის მეორე გუარი გამხდრობისა, რომელიცა ნამდვილ შესაძლებელ არს, რათა უწოდოთ ჭეშმარიტს სიგამხდრედ. წარმოებს იგი დიადი სიღარიბისაგან, ნაკლულევანებისაგან საზრდელისა, ავის საჭმლისაგან, ავის საჭმლის და უზომოს მუშაობისაგან...

§ 3. მეორე მიზეზი ჩვეულებიანისა სნეულებისა არს ვითარმედ დაღალულნი ძალიან სიცხეში შეეფარებიან ცივს ადგილს, სადაც მყის დადგების ტენი და შებრუნდება შიგნით და მიერ იწარმოებენ ყელის ტკივილი, გულის ჭირეება ბრჭუალი და გუერდის ტკივილი. ნიადაგ შესაძლებელ არს განრინება სნეულებისა ამისაგან, განძრომითა მიზეზთათა, რომელიცა არს უდიდესი მიზეზი ერთ აღსპობის სნეულებისა. გარნა ოდეს შეხუდეს იგი, ოდესცა იგრძნოს პირველივე ტკივილი, რომელიც იქმნების შემდგომად მრავლის დღის უკან, ჯერარს რა მყის გამოუშუის სისხლი, ჩადგას ფეხი ცხელს წყალში, და ბევრი დალიოს თბილი ჩაი, რომელიც 1 რიცხუში დანიშნული... ესე ხშირად დაინელებენ სნეულებასა, გარნა პირისპირ ამისა, უკეთუ ეცდებიან რომ ოფლი გამოიყუანონ მხურვალის ნივთებით, ფრიად საშიშ არს.

§ 4. მესამე მიზეზი არის ცივი წყალი... დალევენ ძალიან დაღალულნი და გახურებულნი. მიზეზი ესე ეგრეთვე მოქმედებს, ვითა ზემო თქმული. გარნა

ავნი შედგომილებანი უფროს შინა მსწრაფლ და უფიცხესად იწარმოებენ. ერ-ახე მე ამით საშინელი სნეული. ესე იგი არს, ყელის ტკივილი, ძალიანი გულის ჭირება, ბრჭუალი, გაფიცხება ღვიძლისა და ყოველთა მუცელსა შინა მყოფთ წევრთა საშინელად განბერვა, ჰრწყევა, შარდის დადგომა და გამოუთქმელი გულის ყრა.

დიდად საკურველი არს, რომელ მსოფლელთა აქუსთ ჩუელებად ესე საშ-შარი სნეულება, რომელისგანც უფრთხიან თუით თვისთა პირუტყვთა: არაერ-ინ არს მათგანი, რომელნიცა დაღალულ ცხენს მიუშვებს სასმელად, მანამ არ შეა-სუენოს, გარნა თავს თვისსა არა უფრთხის.

§ 5. მეოთხე მიზეზი მოქმედ ყოველთა ზედა კაცთა გარნა უფროს გლეხთა ზედა არს დაუდგრომელობა ჰაერისა (ჰავისა)...

§ 6. მეხუთე მიზეზი, რომლისათვისაც არც კი ფიქრობენ და რომელიცა მართლა არა ფიცხელს აწარმოებს ტკივილსა, გარნა ავნებს ფრიად ფიცხელად: ჩუეულება აქუსთ სოფელთა შინა თითქმის ყველას, რომ კარზედ ჰქონდესთ სა-ნეხუე, რომლისაგანცა დაუცხრომელად აღმოდიან დამპალნი ორთქლნი, რომლი-საცა... აწარმოებს დამპალას სნეულებას: ვინცა შეჩუეულ არიან სუნისა მისისა არღა ეურჩებასთ და არცღა ესმისთ სუნი, გარნა ამით არა დამცირდების მათ შორის მიზეზი სნეულებისა.

§ 7. არიან სოფელნი, თუმცა არა არს სანეხუე გარნა ნაცულად მათსა აქუსთ გუბეები; ესე უფრო საშინელი მიზეზი არის სნეულებისა, რომელსაცა შინა უძ-რავნი წყალნი სიცხეში აღმოუშვებენ თვისსა ორთქლსა უფრო ადვილ და უხუად სანახავსა...

§ 8. მეექუსესა უკუე დავჰსდებ მიზეზად, მთურალობასა, რომელი თუმცა არა აწარმოებს შესაყართა სნეულებათა, გარნა ჰყოფს სხუად და სხუად ყოველ-თვის და ყოველგან.

§ 9. საჭმელიცა იქმნების ესრეთუ ხშირად მიზეზი სნეულებისა ერთათვის.

§ 10. აღრიცხვათა შინა მიზეზთა მსოფლელთა სნეულებათასა, არა სათანა-დო არს დატევებად სახლთა მათთა შენობისა, რომელთაგან უმრავლესნა ანუ არიან ჩრდილთა ქუეშე კლდეთა და გორათსა, ანუ მიწასა შინა გათხრილ. ორივე ესე მდებარეობა ჰყოფს მათ ტენიანად და მათ შინა მცხოვრებთ სნეულ.

§ 11. გლეხკაცის სასმელი ამას ქუეყანასა შინა, პირველი, წმინდა წყალი, მეორე ღვინო. წყალი არს საზოგადოდ სასმელი და ღვინოს დალევს მაშინ რო-დესაც მდიდარის მუშად არის, ან როდესაც ლხინი აქუს.

ჩუენნი წყლები საზოგადოდ არიან კარგნი და მცირე საჭიროება გუაქუს დაწმენდისათვის მათისა. და ვინათგან ღვინონიცა ჩუენნი არა არიან მაწყინარ, ამისათვის აწყინენ იგინი რაოდენობითა და არა ვითარებითა"[1].

დაავადების განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მავნე ჩვევებს. როგორც „წიგნი სააქიმოის" მიხედვით ირკვევა, ცნობილი ყოფილა, რომ ლო-თობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ზოგიერთი ისეთი დაავადების განვითარებას, როგორიც არის ტვინში სისხლის ჩაქცევა, ნერვების სისუსტე და სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებანი.

„ღვინისა სუმისა ჰავნი მანკნი ძნელნი წაეკიდებიან კაცსა ვითა საქთაი და ფე-ლინჯი, და ფაითა სისუსთე და სუბათი, და სარი და თაშანუჯი და სარგაშთანი

[1] „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა". ფონდი H 2164. იხ. თაკი ა. „რომელთა თუისა-მე მიზეზთა ერის სნეულებისათა".

და ლაყვაი და რაშე, და თავის ტკივილი და შაყიყაი და ღვიძლისა სიმსივნე და დუნბულება და დიდროვანი წყლულნი და ასოთა შეკრულობაი, და ეგეთნი სნებანი, რომელ გაყენებაი ხანგრძლად არ ეგებოდეს მისი, და საშიშიცა იყოს"[1].

ამავე ძეგლში ნათქვამია, რომ „სიმთვრალისა ჟამსა სხვაებრ არს, და სარგებელი მისი სავნებელი იქნების მით, რომელ ასოთა გაასუსტებს, და ცნობასა შეშლის და სნებათა ჰავთა მოიყვანს"[2].

ჯანმრთელობაზე ლოთობის მავნე გავლენის შესახებ მრავალი საყურადღებო აზრი არის გამოთქმული უფრო მოგვიანო ხანის წყაროებშიც. XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერ კარაბადინში შემდეგს ვკითხულობთ: „აწ რაცა ღვინისაგან სენი შეიქმნების ამასცა მოგახსენებ, ერთი რომე ყელი გაუსივდების მოუჭირებს. მეორე ნიკრისი, მესამე ფილენჯი, ხელფეხი აუთრთოლდების... ღვიძლისა სნება შექნას. მეოთხე იარაყანი, ისთისყაი, თავის ტკივილი;"[3].

სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ არსებული წარმოდგენების განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ ჯერ კიდევ VI—VII საუკუნეებში ცნობილი ყოფილა ორგანოთა შორის როგორც ანატომიური, ისე ფუნქციური კავშირის არსებობა. ორგანოთა შორის კავშირი და ურთიერთზეგავლენა შეუნიშნავთ აგრეთვე დაავადების შემთხვევაშიც. სცოდნიათ, რომ ერთი რომელიმე ორგანოს დაავადება შეიძლება გავრცელდეს მეორე ორგანოზე, ან გავლენა მოახდინოს მასზე. „და დასნეულდების გული აგრე, ვითა დასნეულდების სხუანი ასონი ტანისანი თვის-თვის მაგიერად ერთმანერთსა ძალითაცა, რომე ერთი ასო დასნეულდეს, მეორესაცა დაასნეულებს მისი სნეულება. და არს ესეცა, რომე გული დასნეულდების ღვიძლისაგანცა და ტუინისაგანცა და სნებათა სტომაქისათაც, და სნებათა ფირტუისათათცა, დასნეულდების სხუათა ასოთა სატკივარისაგან, დასნეულდების ჟამსა სუქათისასა და ჟამსა დაბნედისა ადგილთა ტუინისა სნებათაგან,..."[4].

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ უკვე XI საუკუნისათვის ძველ საქართველოს მედიცინაში არსებობდა წარმოდგენა დაავადების გადადების შესახებ: „თუ ავის ჟამისა ავადმყოფი იყოს, და ყვავილობა და ნაზლა იყოს .. რომელსაცა სახლშიგა ისი იწვეს შენ ნუ დასდგები და ნურცა დასწვები. და რაცა მათ ეჭამოს საჭმელი, მისსა ნაჭამს თქუენ ნუ სჭამთ, თვარემ საშიშარი არის. ნურცა მათითა ჭურჭლითა წყალსა სვამთ, რომლითა სნული სმიდეს. ესე რაცა სენი დაგვიწერია, იმა ავადმყოფისა ნაჭამსა და ნასვამსა ვინცა სჭამს და სვამს მათ გარდაეხვევის"[5].

როგორც ტექსტიდან ირკვევა, შეუნიშნავთ, რომ გადადება შეიძლება მოხდეს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კონტაქტით—მაგალითად, სასმელ-საჭმელის საშუალებით, ავადმყოფის მიერ ნახმარი ჭურჭლით და სხვ. იცნობდნენ გარკვეული ჯგუფის დაავადებებს, რომლებიც გადამდებად ყოფილა მიჩნეული. ასეთ დაავადებად სამართლიანად ითვლებოდა: ავი ჟამი ანუ შავი ჭირი, მღერი, ყვავილი, წითელა, კეთრი, ფილტვის ტუბერკულოზი და სხვ. „წიგნი საჟიმოიში" მითითებულია, რომ „ამა ჭირთა პატრონთაგან,—ლაპარაკია აღნიშ-

[1] „წიგნი საჟიმოი", გვ. 30.

[2] იქვე. გვ. 29.

[3] „კარაბადინი" (XVIII ს.), ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, 3045, გვ. 40.

[4] „სამკურნალო წიგნი", გვ. 169.

[5] „უსწორო კარაბადინი", გვ. 5.

ნულ სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფებზე,—კრძალვით და შორს იყვნენ"[1].

გადამდებ დაავადებას „სახადი", „სარიგო", „ჩამომვლელი", „მოარული" ეწოდებოდა. ამ ცნებების შინაარსობრივი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ცნობილი ყოფილა გადამდები სნეულების ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება. მაგალითად, ცნება „სახადი"-ს მიხედვით ირკვევა, რომ ადამიანს გადამდები დაავადება მეორედ აღარ ემართება, თუ ერთხელ გადაიტანა, იგი უკვე „მოხდილად" ითვლება.

ცნებები: „სარიგო", „ჩამომვლელი" და „მოარული" გამოხატავენ გადამდებ სნეულებათა უმთავრეს თვისებას—გადადებას, გავრცელებას.

ჯანმრთელობის დაცვის და განმტკიცების პირობების შესახებ საყურადღებო ცნობებია წარმოდგენილი ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში". ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენებს ადამიანის ცხოვრებაში და ამბობს რომ „...ზოგნი, რომე მოშაითობენ და საბელსა ზედა გავლენ და ქუე დაწყებენ და იმღერენ და სხუანი, რომე ოცდა ათსა წყართასა საბელზედან გავლენ და ერთსა წყართასა ფიცარსა ზედა ჩაიცამენ და ზედა შევლენ და ემბალოსა სცევენ და შუშპრობენ და ცეცხლსა გაიტანენ და კუერცხსა შესწუენ და ამათი მგზავსი ყუელა ჩუელობით. სათხოსა შიგან კაცი ვნახე, რომე საყივარსა ზედა გარეთ დაღმა გავიდა და საყივრისა თავსა რომე მთუარე იქნების, მთუარესა ზედა თავითა აემართა და ფერხი აღმა ქნა და ფერხითა შუშპარსა იქმოდა. რასაც კაცი დაეჩუევის, ყუელა ადვილად იქნებისა"[2].

დაავადების განხილვის დროს გარკვეული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე, ორგანიზმში მომხდარ მორფოლოგიურ ცვლილებებს.

ჩვენ ზემოთ მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ წყაროებში დაავადების აღმნიშვნელ ცნებებს შორის წყლულიც იხსენიება. ეს ცნება V საუკუნიდან მოყოლებული ძალზე ხშირად გვხვდება. მას ხმარობს იაკობ ცურტაველი „შუშანიკის წამებაში", მარტვილი ქართველი „სინანულისათვის და სიმდაბლისა"-ში. „წყლული" დასახელებულია აგრეთვე „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში", იოანე საბანისძის „აბოს მარტვილობაში", სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებაში", მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში", შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში", „უსწორო კარაბადინში", „წიგნი საქიმოიში", „სამკურნალო წიგნში", „არჩილიანში" და სხვა მრავალ სამედიცინო და არასამედიცინო ძეგლში.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, წყლული დაკოდილს ნიშნავს[3], ხოლო კოდვა ჭრას[4]. თუ ამ განმარტებას გავუვებით, გამოდის, რომ წყლული ანუ დაკოდილი იგივე ჭრილობაა. საკითხავია, ასეთივე გაგებით იხმარებოდა თუ არა სიტყვა „წყლული" ადრინდელ წყაროებში?

„შუშანიკის წამებაში" სიტყვა „წყლული" ჭრილობის მნიშვნელობით ჩანს ნახმარი. ცნება „წყლულის" ასეთი გაგების საფუძველს იძლევა ტრავმის ხასიათი, რომელიც შუშანიკს ვარსქენმა მიაყენა: „...აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას

[1] „წიგნი საქიმოი", გვ. 48.

[2] „სამკურნალო წიგნი". ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი Q, N 877. ფ. 24 r. ხაზი ჩვენია, ავტორები.

[3] „სიტყვის-კონა", გვ. 880.

[4] იქვე, გვ. 306.

თავსა და ჩაჰფლა,..." ე. ი. ჭრილობა მიაყენა. მეორე დღეს ვარსქენმა იკითხა: „წყლულების მისგან ვითარ არს?"[1].

წყლული რომ ჭრილობასაც ნიშნავდა, ამას ადასტურებს აგრეთვე სტეფანე მტბევარის თხზულება—„გობრონის წამების" ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ამირამ, იმისთვის რომ გობრონს სარწმუნოება შეეცვალა, დაშინებას მიმართა. მან ბრძანა მოკლული და დაჭრილი მოძმენი ეჩვენებინათ გობრონისათვის: „ხოლო ამირამან ჰრქუა მონათა თვისთა: წარიყვანეთ ეგე და უჩუენენით მოკლულნი იგი მოყუასნი მისნი, თითო-სახედ დაჭრილნი"[2]. როცა მუქარამ ვერ გასჭრა და გობრონს რწმენა ვერ შეაცვლევინეს, მაშინ დაშინების სხვა ხერხს მიმართეს. გადაწყვიტეს მცირე ჭრილობა მიეყენებინათ გობრონისათვის—„მაშინ წარუპყრეს ქედი მისი და სცეს მახვილითა ორ-გზის ოდენ და წყლეს მცირედ"[3].

„წყვლა" საბას განმარტებით მახვილით დაკოდვას ნიშნავს[4], ხოლო წყვლა იგივე წყლულია. ამას ადასტურებს განხილული თხზულების ის ადგილიც, სადაც ლაპარაკია ამირას დაპირების შესახებ: „...მე უბრძანო მკურნალსა განკურნებაი შენი მცირედისა მაგისაგან წყლულისა..."[5].

მაშასადამე, გობრონი „წყლეს მცირედ" ანუ დაკოდეს, დაჭრეს. ამირა პირდება მკურნალსა ვუბრძანებ და გაგკურნავს წყლულისაგან-ო. აშკარაა, რომ წყლული აქ ჭრილობის მნიშვნელობით არის ნახმარი.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი ვახტანგისა და სინდთა მეფის შერკინებას როცა აღწერს, ამბობს, რომ ვახტანგმა „...სცნა ჰოროლნი სინდთა მეფესა ბეჟსა მარცხენასა. ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და იწყლა წყლულებითა დიდითა, რამეთუ წინათ განავლო წყრთა ერთი"[6]. ვახტანგის ჰოროლის ძგერებით ერთი წყრთის სიღრმე ჭრილობა მიუყენებია სინდთა მეფისათვის. იქვე აღწერილია ვახტანგის დაჭრა შემოსეულ სპარსელებთან ბრძოლაში: „და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა,... და დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად"[7].

„ამირანდარეჯანიანში" ვკითხულობთ: „მე გავმრთელდი წყლულებისაგან და მიბოძვა საბოძვარი"[8]. რაც ნიშნავს იმას, რომ ჭრილობა შეხორცდაო.

გიორგი მონაზონის „ხრონოღრაფში" ნათქვამია, რომ „მოირთხა იაკობ მშვილდი და დასცა ესავ მარჯუენასა ძუძუსა წყლულებითა"[9]. ე. ი. ისარი მარჯვენა ძუძუში მოარტყა და დაჭრა. კიდევ მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. მაგრამ განხილული მასალაც საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ „წყლულის" გაგებაში ჭრილობის გაგებაც მოვაქციოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წყლული და ჭრილობა ტოლი მნიშვნელობის ცნებები იყოს. სხვა მონაცემები ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება. მართალია ჭრილობა წყლულს

---

[1] იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება", დასახელებული გამოცემა, გვ. 37.

[2] სტეფანე მტბევარი, „გობრონის წამება", დასახელებული გამოცემა, გვ. 84.

[3] იქვე.

[4] „სიტყვის-კონა", გვ. 880.

[5] „გობრონის წამება", გვ. 84.

[6] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა", იხ. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1955, გვ. 194.

[7] იქვე, გვ. 202.

[8] მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი", დასახელებული გამოცემა, გვ. 48.

[9] გიორგი მონაზონი „ხრონოღრაფი". ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1920. გვ. 49.

გაგებაში შედის. მაგრამ წყლული უფრო ფართო გაგების ცნებაა. წყლულად იწოდებოდა აგრეთვე გამორწყული მუწუკი ან რაიმე სხვა კანზე გამონაყარი, რომელიც დაირღვეოდა და გამონადენი ექნებოდა.

ცნობილი იყო აგრეთვე შინაგანი ორგანოების წყლული, რაც სრულიადაც არ იყო ჭრილობასთან დაკავშირებული. „უსწორო კარაბადინში" ვკითხულობთ, რომ „ერთფერი ყუანა სხუა არის, რომე ნაწლევნი დაწყლულდეს და ყუანა დაუწყოს...."[1].

ყუანა კუჭ-ნაწლავის ისეთ აშლილობას ეწოდებოდა, რომელიც თავისი ნიშნებით დიზენტერიის ამეამად ცნობილ კლინიკურ სურათს ემსგავსება. ამ დაავადების დროს, როგორც ახლა ცნობილია, ნაწლავების ლორწოვანი გარსი დანეკროზება-დაწყლულებას განიცდის, ანუ პათოლოგ-ანატომიურად ნაწლავის კედლის შიგნითა ზედაპირის მთლიანობა ირღვევა.

ამავე ძეგლში გვხვდება ცნობები თირკმლებისა და შარდის ბუშტის წყლულის შესახებ. „თუ კარულა დაიჭირონ და შიგა ხორცის ნაკვეთივითა რამე ჰყვებოდეს წურილ წურილი და შიგან იარებოდეს, ესე მისი ნიშანი არის რომე თირკმელი დაწყლულებულა"[2].

შარდის ბუშტის წყლულის შესახებ ნათქვამია, რომ „თუ კარულაშიგა, ჰუხუდო რომე დაღერღო, მას ქერქი რომ შემოსძურების, იმისთანა გამოჩნდეს, ნიშანი იყოს, რომე ბუშტი დაწყლულებულა"[3]. როგორც ვხედავთ აღნიშნული დაავადებანი არ არის ტრავმული დაზიანებით გამოწვეული, არამედ საქმე ეხება თირკმელის და შარდის ბუშტის კედლის მთლიანობის დარღვევას—წყლულის გაჩენას.

მსგავსი ცნობები წყლულის შესახებ შემდეგი საუკუნის ძეგლებშიც გვხვდება. ირკვევა, რომ წყლული, თითქმის ყველა ორგანოში შეიძლება განვითარდეს. აღწერილია კანის, თვალის, ყურის, ცხვირის, ენის, კუჭის, ფილტვების, ნაწლავების, საშვილოსნოსა და სხვა ორგანოების წყლულის ნიშნები. არც ერთ შემთხვევაში იგი ჭრილობის მიყენებით არ არის გამოწვეული. მოგვყავს ყველა ამ ორგანოების წყლულის ნიშნების აღწერილობა.

თავის წყლული: „რომელ წყლული თავსა შეყრილ იყოს, რაიცა ხმელი იყოს და მოფხანონ მქისე ტყავი ეხდებოდეს და მერმე ყვითლად მოაჩვენებდეს, და რაიცა ნედლი იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხამლი ყვითელი იყოს"[4]. ამ შემთხვევაში ლაპარაკია თავის მიდამოს კანზე გაჩენილ წყლულების შესახებ.

„სიწყლულე თვალთა", მისი ნიშანი „იგი არს, რომელ დია სტკიოდეს და ფეთქდეს, და თვალისა თეთრსა თეთრი წინტელი გამოაჩნდების..."[5] აღსანიშნავია, რომ ამ დროს შეიძლება ღრუ გაჩენილიყო—„თუ სიღრუე ჰქონდეს არ იკურნების".

ყურის წყლული: „ყურისა სიწყლულე ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების, ანუ სიმსივნისაგან რომელ გასქდეს და სიწყლულე დარჩეს,..."[6] მაშასადამე გასკდება სიმსინე ანუ დაირღვევა მთლიანობა და მივიღებთ წყლულს.

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 325.

[2] იქვე, გვ. 337.

[3] იქვე.

[4] „წიგნი საჭიმოი", გვ. 54.

[5] იქვე, გვ. 107.

[6] იქვე, გვ. 123.

სტომაქის ანუ კუჭის სიწყლულე—„სიმსივნისაგან იქნების რომელ გასჭ-დეს და მაშინ ადგილი წყლულად დარჩეს,...“[1].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ფილტვის ტუბერკულოზს ფილტვის სიწყლულე ეწოდებოდა და მის აღწერილობაში ფილტვზე წყლულის გაჩენა არის აღნიშნული: „ესე მანკი მით ძნელი არს, რომელ ფირტვი დაწყლულღეს. უკვე არ გამრთელდების,...“[2].

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ წყლული ეწოდებოდა მთლიანობის ყოველგვარ დარღვევას, რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული: ჭრილობის მეყენებით, თუ სხვა რაიმე მიზეზით.

მაგრამ წყლულის და სნების გაგებას შორის დიდი განსხვავება არსებობდა. განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ სნების ქვეშ სიცოცხლის, არსებობის საფუძველის—მიწის, წყლის, ცეცხლის და ჰაერის შემტკიცებულობის, სიმრთელის დარღვევა იგულისხმებოდა. ხოლო წყლულის ქვეშ კი სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევა ანუ მორფოლოგიური ცვლილების განვითარება. სნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების მოშლას გამოხატავდა, ხოლო წყლული, ანატომიური ხასიათის პათოლოგიურ ცვლილებას.

ორგანიზმში მომხდარი პათოლოგიური ძვრების ასეთმა გაგებამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაავადებათა სახელწოდებებშიც იჩინა თავი.

არსებობს მთელი რიგი საინტერესო მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ უდგებოდნენ ჯანმრთელობისა და დაავადების მაჩვენებელი ნიშნების შეფასებას. ამ საკითხის განხილვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისა და დაავადების იმდროინდელი გაგების სწორი გაშუქებისათვის.

თანამედროვე მედიცინაში ცნობილი პრინციპია, რომ ზოგიერთი ნიშანი, რომელიც ერთი პირისათვის დაავადების მაჩვენებელია, მეორისათვის შეიძლება ბუნებრივი იყოს, რადგან იგი მეორე პირს შუდამ ჰქონდა თავისი ცხოვრების მანძილზე. ჯანმრთელობისა და დაავადების მაჩვენებელი ნიშნების შეფასებისადმი მსგავსი მიდგომის ელემენტები გვხვდება XI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში.

საქმე ეხება ადამიანის საწოლში მდებარეობას. „თუ სნეული ხელთა კერძო მიდრკებოდეს და ფეხთაკენ ცორვიდეს, ავი არის,“[3] მაგრამ „თუ კულა სიმრთელესა ასრევე მწოლი იყოს, მაშინ ყუელა სიმრთელისა მისისა ნიშანია.“[4].

არსებობს აგრეთვე სხვა ცნობებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ დაავადებას განიხილავდნენ, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობიდან გადახრას.

როგორც განხილული წყაროებიდან გამოირკვა, სამედიცინო თვალსაზრისით ადამიანი ძირითადად ჯანმრთელი ან დაავადებული შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ გარდა ამ ორი, ურთიერთ საწინააღმდეგო მდგომარეობისა, ცნობილი ყოფილა აგრეთვე ისეთი მდგომარეობაც, რომლის დროს ადამიანი არც მთლად ჯანმრთელად ჩაითვლება და არც სნეულად „...და მას ჟამსა, რომელ კაცი არცა მთლად იყოს და არცა სნეულად“[5]. როგორც ცნობილია, ასეთ მდგომარეობას თანამედროვე მედიცინაში მოსაზღვრე მდგომარეობას უწოდებენ.

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 183.

[2] იქვე, გვ. 30.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 18.

[4] იქვე.

[5] „წიგნი. სააქიმოი“, გვ. 11.

განვიხილოთ ეხლა რა და რა სახის დაავადებებს არჩევდნენ და როგორი იყო მათი დაყოფა.

ზოგიერთი წყაროების მიხედვით დაავადებებს ორ ჯგუფად ყოფდნენ. ერთ ჯგუფში შედიოდა თანდაყოლილი ანუ შემკვიდრეობითი და მეორეში შეძენილი დაავადებანი. „უსწორო კარაბადინში“ ნათქვამია, რომ „...სენის გვარი ორი ფერია, ერთი ესე რომე გვარისაგან წაეკიდოს, მისსა გვარსა სჭირვებოდეს, მეორე ესე რომე ანასდათ დაემართოს“[1].

თანდაყოლილ დაავადებებს მიეკუთვნებოდა: ნაადრევად გათეთრება, თანდაყოლილი სიყრუე, სიბრმავე, კეთრი, მელანქოლია, სიკოჭლე, ნიკრისი, ტუბერკულოზი, სიმსივნური დაავადებანი. ეს სნეულებანი უკურნებლად ითვლებოდა. „ათ ფერი სენია რომე კაცსა დაემართების, რომე გვარისაგან გამოჰყვების და დაემართების იმა ათსა სენსა არასათვის არ ეშველების ამისთვის რომე მათთა ჩამომავალთა სჭირვებია და მათი გვარი არის, აწ მათსა შვილსა გამოაჩნდების“[2]. ასეთად ითვლებოდა შემდეგი დაავადებანი: „...უჟამოდ და ადრე გ ა თ ე თ რ ე ბ ა. მ ე ო რ ე შობითგან ს ი ყ რ უ ე. მ ე ს ა მ ე შ ო ბ ი თ გ ა ნ ს ი ბ რ მ ე. მეოთხე ბ ა რ ს ი. მეხუთე ქ ა შ ო ე თ ი ს ა რომე მისსა გუარსა სჭირვებოდეს. მ ე ე ქ უ ს ე გ ა შ მ ა გ ე ბ ა რომელ არს მალიხულია. მეშვიდე სიკოჭლე. მერვე ნ ი ყ ა რ ი ს ი. მეცხრე დიყა. მეათე ვარამი“[3].

„წიგნი საქიმოის“ მიხედვით კი მემკვიდრეობით დაავადებათა ჯგუფში შეტანილია შემდეგი შვიდი სნეულება: „...შვიდი მანკი სხვაი არს რომელ მამისგან დარჩების შვილსა—პირველ ს ი გ ო ნ ჯ ე, მეორე კ ე თ რ ი, მ ე ს ა მ ე დ ი ყ ი ს ა ცხრო, მეოთხე ს ი ლ ი, მეხუთე მ ა ლ ი ხ ო ლ ი ა ი, მეექვსე მ ა ნ ი ა ი, მ ე შ ვ ი დ ე ნ ი კ რ ი ს ი“[4].

„კალმასობის“ მიხედვით ირკვევა, რომ XVIII საუკუნისათვის დაავადებათა ორ დიდ ჯგუფს განარჩევდნენ. ერთ ჯგუფში შედიოდა შინაგანი და მეორეში გარეგანი სნეულებანი. „კაცისა სნეულება ორ გვარია. ერთი შინაგანი, ხოლო მეორე გარეგანი. შინაგანი არს, სიცხითა, სიგრილითა, ხველებითა, ძალითა, უძლურობითა, შეხურვებითა, შინაგანტკივნეულებითა, ცივებითა, საოფლითა და ესე ეითარნი. ხოლო გარეგანნი არიან, რომელნიცა იხილვებიან თვალითა, ესე იგი მოტეხილობითა, დაჭრილობითა, დაგლეჯილობითა, მუწუკითა, და სხუანი, რომელნიცა გარეგან შეემთხვევიან კაცსა; ხოლო განფრთხილება ამა გარეგანთა სნეულებათთვის არს მყუდროდ ცხოვრება გონიერულად მოძრაობა, მარჯვედ ქცევა, და მორიდება მავნებელთა საქმეთა.

შინაგან სნეულების გასაფრთხილებელი არს. ცუდსა ავასა შინა მყოფობა, ნოტიოსა და ჭაობიანსა ადგილსა ცხოვრება. უწმინდურად შენახვა თავისთავისა. გაციებულობა. ურიგოდ ქცევა. არაწმინდებითა და ნაყროვნებით ცხოვრება, მრავლის სასმელის სმა, ცუდისა და წამხდარისა საჭმელთ ჭამა. ბევრისა მხურვალისა ანუ მრავლისა საჭმელისა მიღება. ძლიერად შრომა და დაღალულობა და დაღალულთაგან წყლის შესმა, უბრალოდ მჭავიანთა საჭმელებთა ჭამა. შესაყართა სნეულებათა მოურიდებლობა, აგრეთვე ერთს ადგილს ჯდომა, გან-

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 29. 30.

[3] იქვე.

[4] „წიგნი საქიმოი“, გვ. 48.

სვენებით ყოფნა და არ შექცევა და სიარული; ესე ყოველი უკვე მიზეზნი აღ-ხოცილ ჰყოფენ ჰსწორწონობასა, ანუ ვსთქვათ თანასწორობასა,...“[1].

დაავადებებს ყოფდნენ აგრეთვე პროგნოზის ანუ გამოსავლის მიხედვით. მძიმე სნეულებად ითვლებოდა სიმსივნური დაავადებანი: „...ძნელთა მანკთა მომკვლელთა, ვითა სიგონჯე, რომელსა ჰქვიან არაბულად ჯ დ ო მ ი, და ვითა კ ი რ ჩ ხ ი ნ ი, რომელსაც ჰქვიან ს ა რ ა ტ ა ნ ი და ვითა ტ ა უ ნ ი და ეგეთი სნებანი, რომელ კურნებაი მისი არ ეგების“[2].

დაავადებებს ყოფდნენ მიმდინარეობის ხანგრძლივობის მიხედვითაც. არ-ჩევდნენ გრძელ და მოკლე დაავადებებს. „ასრე იცოდით, რომე სნეულება სხუა და სხუა ფერია, ამას კარგად შეტყობა უნდა. არის ზოგი სნეულობა ერთობ ცი-ცხელი იქნების და არის რომე იმისი ბურანი მესამესა და მეოთხესა დღესა ექ-ნების და სხუა არის, რომე ოცდაერთსა დღესა იყოს,“[3].

დაავადება თუ ორმოც დღეს გადასცილდებოდა, ის ითვლებოდა გრძელ სნეულებად. „და რამანცა სნეულმან ორმოცი დღე გაიაროს აქუიან მას მოკლე სნეულობა, მას გრძელი სნეულობა ჰქუიან“[4].

მოკლე სნეულება „ფიცხელია“, ცხელება „ძლიერი იქნების“, მაგრამ ჩქარა ჩათავდება. მიმდინარეობის აღწერილობის მიხედვით „მოკლე“ სნეულება თანამედროვე „მწვავეს“ შეესაბამება. გრძელი სნეულება კი თანამედროვე „ქრონიკულს“ შეესაბამება. მის დამახასიათებლად ითვლებოდა შემდეგი პიმ-დინარეობა: „ისი სნეულება რომე ხანგრძლად იყოს, მისი ხლატი სქელი და მძიმე იქნების, ამისთუის გუიან ადუღდების და გაგრძელდების სენი“[5].

თვით დაავადების მიმდინარეობაში დაწყებიდან დამთავრებამდე გარკვეულ პერიოდებს გამოყოფდნენ. პროდრომალურ ხანას „პირველი ჟამი“ ანუ „პირ-ველი კერძი“ ეწოდებოდა. ცნობილი ყოფილა, რომ ამ პერიოდში ადამიანს ამა თუ იმ სნეულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჯერ კიდევ არ აქვს. იგი უგუნებოდ არის, არც მრთელი და არც სნეულია. „პ ი რ ვ ე ლ ი კ ე რ ძ ი ესე არის რომე გუნება აეშალოს კაცსა და ჯერეთ გუნებასა ვერა მოსულიყოს და არც არასა ნიშანი გამოჩენილიყოს არასთან არა მართალი“[6].

მეორე პერიოდის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა: გუნების შეცვ-ლა და ტემპერატურის მომატება. მაგრამ სხვა ნიშნები ჯერ კიდევ არ არის „გა-მოცხადებული“. „მეორე კერძი ესე არის, რომე კაცსა გუნება გამოუცვალდეს და ცხლად შეექნას, სამ დღემდი ვერა შეიტყოს რა აქიმმა ვერცა კარულათა და ვერცა მაჯაშითა მართლად ამისთვის რომე ჯერეთ სრულად არა გამოცხადე-ბულა“[7].

---

[1] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ნაწ. I, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელო-ბის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი s 5374, ფ. 239 v.

[2] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 15.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 146.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 145.

[6] იქვე, გვ. 143.

[7] იქვე.

ტემპერატურის მომატებიდან სამი დღის შემდეგ მესამე პერიოდი იწყებოდა. „მესამე კერძი ეს არის, რომე მესამესა დღესა უკანით სნეულმან შეიტყოს, რომე მისი გუნება გამოიცვალოს და სხუაფერად შიქნას. მერმე დაერქვას ამას მესამესა ჟამსა იქნების, სიკუდილი და სიცოცხლე“[2].

მეოთხე პერიოდი ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესების ხანად ითვლებოდა. „მეოთხე კერძი ესე არის სნეულობისა, რომე სენმა მატ.ბა დაიწყოს სნეულობა გაძნელდეს და გაძლიერდეს. ამის სიკეთე და სიკუდილი გათავებულსა მესამესა ჟამსა იქნების, სიკუდილი და სიცოცხლე“[2].

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდებს უმთავრესად ისეთი სნეულებათა მიმდინარეობაში არჩევდნენ, რომლებიც თავიანთი აღწერილობის მიხედვით ძალზე ახლოს დგანან და ემსგავსებიან დღეისათვის ცნობილ ზოგიერთ ინფექციურ სნეულებას. მათ მართლაც ახასიათებს მიმდინარეობის გარკვეული სტადიები, ?აგრამ რასაკვირველია ისინი ნაკლებ შეესაბამებიან ზემოთ განხილულ პერიოდებს.

არსებობდა აგრეთვე წარმოდგენა თანდართული და შებრუნებული დაავადების შესახებ. „უსწორო კარაბადინში“, იქ, სადაც ავადმყოფის გამოკვლევის სქემაა წარმოდგენილი, ერთ-ერთი კითხვა სწორედ თანდართულ დაავადებას შეეხება: „პირველად რომე ჰკითხო მიზეზი სნეულებისა და ტკივილისა. მეორედ თუ სნეულობასა უკანის სხვა რა სენი გ ა ე რ თ ო ს“[3].

შებრუნებულ დაავადებას „შექცეული სნეულება“ ეწოდებოდა. „თუ სნეული გამრთელდეს და ფსელი აღრე არ დაწმდეს როგორცა სიმრთელეშიგან ყოფილა, იცოდი რომე სენი გაგრძელდების და მერმე კიდევე გარე შ ე ა ქ ც ე ვ ს“[4].

დაავადებათა სახელმწარმოებლობა გვიჩვენებს, რომ სნეულებისათვის სახელის შერქმევა სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ზოგი სნეულების სახელი წარმომდგარია იმ ნიშნისაგან, რომელიც დაავადების მიმდინარეობაში წამყვან ნიშნად ითვლებოდა. მაგალითად, კანის დაავადება „ქავანას“[5] სახელი ქავილისაგან უნდა იყოს წარმოებული, რადგან ეს ნიშანი ამ სნეულების მთავარ, დამახასიათებელ ნიშნად იყო მიჩნეული.

მაგალითად, დაავადება დიზენტერიას ძველ საქართველოში „ყვანა“ ეწოდებოდა[6]. ამ სნეულების ძირითად ნიშნად ყვანა, ანუ კუჭის ხშირი მოქმედება ითვლებოდა და ამიტომ, როგორც ჩანს, სახელიც აქედან დაერქვა. ასევე ძირითადი ნიშნის მიხედვით უნდა იყოს ნაწარმოები „წყლითმაკეობა“, რაც მუცლის ღრუში სითხის დაგროვებას გულისხმობს.

ზოგიერთი დაავადების სახელწოდებაში მისი გამომწვევი მიზეზიც არის მოხსენებული. მაგალითად, „ცხრო რომე შიმშილისა და წყურვილისაგან შეიქნას“[7]. „ცხრო რომე შეშინებისა და ნაღულისაგან დაემართების“[8].

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 143.
2 იქვე, გვ. 144.
3 იქვე, გვ. 21, ხაზი ჩვენია.
4 იქვე, გვ. 14, ხაზი ჩვენია.
5 „წიგნი საკეიმოი“, გვ. 259.
6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 5.
7 იქვე, გვ. 139.
8 იქვე, გვ. 118.

გვხვდება დაავადებათა ისეთი სახელწოდებანიც, რომლებიც ორგანიზმში განვითარებულ მორფოლოგიურ ცვლილებებს არეკლავენ. მაგალითად, „სტომაქის სიწყლულე“, „ფილტვის სიწყლულე, „სიმსივნე ღვიძლისა“, „გამოსვლა ზეჰდანისა“ (საშვილოსნოს გამოვარდნა), „მჯდომი“ და სხვ.

უმთავრესად კი, სნეულებათა დასახელება დაავადების ჰუმორალური თეორიის საფუძველზე გაგებას ემყარებოდა: მაგალითად: „მალიხულია“, ანუ მელანქოლია, „სტომაქის ტკივილი სიმხურვალისაგან“, „ცხრო ზაფრისაგან“, „ცხრო სისხლისაგან“ და სხვ.

თ ა ვ ი V

ექიმი და ექიმობა

ექიმისა და ექიმობის ანუ მედიცინის დანიშნულების შესახებ გარკვეული შეხედულებები საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა შემუშავებული. უკვე V საუკუნიდან აღნიშნულ საკითხებზე წერილობითი ცნობებიც მოგვეპოვება.

ირკვევა, რომ ძველ საქართველოში „ექიმის“ რამდენიმე სინონიმი იხმარებოდა. V—VI და შემდეგი ხანის ძეგლებში ექიმის მნიშვნელობით „მკურნალი“ გვხვდება, ხოლო თვით ექიმობას „კურნებას“, „მკურნალობას“ უწოდებდნენ: „...წამალი დაგდვა, რაითა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!“[1] ან კიდევ, „...უბრძანო მკურნალსა განკურნებაი შენი“[2]. „სხეულთა მსწრაფულ განკურნებდა“[3]. „მე კაცი ვარ მკურნალი“[4]. და სხვ.

X—XI საუკუნიდან მოყოლებული „მკურნალის“ გვერდით „აქიმი“ შემოდის ხმარებაში. მაგალითად: „ბევრი აქიმი ასეთი იქნების“, „აქიმი რა სნეულსა ზედა მივიდეს...“[5] „ექიმი ეგეთი ხამს,..“ „ექიმი მისანდობელი არს,..“[6] და სხვ.

ექიმის სინონიმად, როგორც ჩანს „მესნეულე“-ც იხმარებოდა. „სახმარარს რაითა ყოვლად განკრძალული ერთი და ღმრთისმოშიში მონაზონი მ ე ს ნ ე ულ ე დ ც ა განიჩინებოდეს და უძლურთ-მყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს“[7].

მესნეულე ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებშიც არის დასახელებული. XIII საუკუნის შემდეგ ეს სიტყვა შედარებით იშვიათად გვხვდება, ხოლო „მკურნალი“ და „აქიმი“ შემდეგი ხანის წყაროებშიც იხსენიება.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ექიმს „ხორცის მკურნალი“-ც ეწოდებოდა, განსხვავებით „სულის მკურნალი“-საგან, რომელსაც „სულიერ მამას“, „ოძღვარს, უწოდებდნენ. ილარიონ ქართველი, რომელიც სასულიერო პირი იყო, როგორც ჩანს, მკურნალობასაც ეწეოდა და ამიტომ მას „ხორცის მკურნალს“ უწოდებდნენ. სამკურნალოდ მასთან კიდეც დადიოდნენ: „მრავალნი უკუე მო-

---

1 იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, დასახ. გამოცემა, გვ. 38.

2 სტეფანე მტბევარი, „გობრონის წამება“, დასახ. გამოცემა, გვ. 85.

3 გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, დასახ. გამოცემა გვ. 133.

4 „სიბრძნე ბალავარისი“, დასახელებული გამოცემა გვ. 281. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ბერძნულში თარგმნილია, როგორც თერაპევტი.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 5, 20.

6 „წიგნი საქიმოი“, გვ. 9, 10.

7 „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ლ. მუსხელიშვილის რედაქციით. თბილისი, 1939, გვ. 70. ხაზი ჩვენია.

ვიდოდეს მისსა, რომელნიმე სარგებლობისათუის სულისა და რომელიმე კურნებისათუის ხ ო რ ც თ ა ს ა"[1].

„ხორცის მკურნალის" ქვეშ რომ ექიმი იგულისხმებოდა 'და მას „სულის მკურნალისაგან" განასხვავებდნენ, ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება.

„ჯერ-არს ჩუენდა, რაითა ვზრუნვიდეთ მშვიდობისათუის სულთა ჩუენთაისა და ვისწრაფოთ კურნებად წყლულებათა ჩუენთა სულიერთა, ვითარ-ესე მოსწრაფე ვართ კ უ რ ნ ე ბ ა დ ხ ო რ ც თ ა ჩუენთა, რამეთუ წამალი საკურნებელი სულისაი ფრიად უადვილეს და უმარჯუე არს წამალსა ხორცთა წყლულებისასა...."[2].

„წინამძღუარი მკურნალი არს სულთაი; ვითარცა იგი მ კ უ რ ნ ა ლ ს ა ხ ო რ ც თ ა ს ა უხმან წამალნი მრავალფერნი თუითეულისა სენისათუის სხუაი და სხუაი, ეგრეთვე მკურნალსა სულთასა უხმან მრავალფერნი წამალნი საკურნებლად სულთა"[3].

„...არა რას სარგებელ არს მკურნალი სახელით, რომელმან ვერ შეუძლის განდევნად სალმობაი ხ ო რ ც თ ა გ ა ნ,..."[4].

ჩვეულებრივი მკურნალისაგან განასხვავებდნენ „ხელოვან მკურნალს". ხელოვანი მკურნალი, უმთავრესად მეფის, მისი მახლობლების და საერთოდ, მაღალი წრის წარმომადგენელთა დაავადების შემთხვევათა აღწერის დროს არის წყაროებში დასახელებული. „წმინდა ნინოს ცხოვრებაში" ვკითხულობთ, რომ, როდესაც მირიან მეფის მეუღლე, დედოფალი ნანა (IV ს) ავად გამხდარა, მას ხელოვანი მკურნალნი ექიმობდნენ: „მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო, რამე თუ ყოველთა ხ ე ლ ო ვ ა ნ თ ა მ კ უ რ ნ ა ლ თ ა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი..."[5] „სინანული მსგავს არს კაცსა სნეულისა სიკუდიდ მიახლებულსა, რომელმან მოუწოდის მკურნალსა ხელოვანსა და მოძღუარსა. და მეცნიერებით განკურნის და უხარინ"[6] „წამალმან, კეთილად შემზადებულმან მკურნალისა მიერ ხ ე ლ ო ვ ნ ი ს ა, დაჰხსნის სენთა სიმძაფრე,..."[7] „და უკუე-იცვენ ესენი, და განიხილე გონებაი შენი და დაიცევ სული შენი, ვითარცა ბრძენმან და ხ ე ლ ო ვ ა ნ მ ა ნ მ კ უ რ ნ ა ლ მ ა ნ, რომელმან მოჰკუეთის ხორცი დამპალი და განრყუნილი და წამალი დასდვის შემდგომად"[8].

„ხელოვანი მკურნალი" არის მოხსენებული ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფისა და სხვათა ცხოვრების აღწერილობებში. „მეფემან მოიყვანა მ კ უ რ ნ ა-

---

1 თეოფილე ხუცესმონაზონი, „ილარიონ ქართველის ცხოვრება", მ. საბინინის გამოცემა. იხ. „საქართველოს სამოთხე", პეტერბურგი, 1882, გვ. 383, ხაზი აქაც და ქვევითაც ჩვენია.

2 „თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისაი სინანულისათუის", იხ. „მამათა სწავლანი", გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1955, გვ. 80.

3 იქვე, გვ. 81—82.

4 იქვე, გვ. 157.

5 „ქართლის ცხოვრება", I დასახ. გამოცემა. გვ. 104.

6 იოანე ოქროპირი. „სინანულისათუის და ლოცვისა მოუწყინებლად". იხ. „მამათა სწავლანი" X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1955, გვ. 68.

7 იქვე, გვ. 61.

8 იოანე ოქროპირი „შიშისათუის ღმერთისა და სინანულისა". იხ. „მამათა სწავლანი". დასახ. გამოცემა, გვ. 11.

ლ ი ხ ე ლ ო ვ ა ნ ი დაადგინა ზედა სინდთა მეფესა, რათა განიკურნოს წყლულებისაგან,...“[1].

ის გარემოება, რომ ხელოვანი მკურნალი უმთავრესად მეფეს და მის მახლობლებს მკურნალობდა, იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ხელოვანი მკურნალი, ალბათ, სამკურნალო საქმეში დახელოვნებული, დაოსტატებული ექიმის ეპითეტი იყო. გამორიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ „ხელოვანი მკურნალი“, ექიმის რანგზე მიუთითებდეს, ისევე, როგორც XVII—XVIII საუკუნეებში „ექიმბაში“ ექიმთა მეთაურს ნიშნავდა (თავდაპირველად „ექიმბაშს არაფერი საერთო არ ჰქონდა „ექიმბაშის“ იმ გაგებასთან, რომელიც მან მოგვიანებით მიიღო)[2].

გარდა ექიმბაშისა, დასახელებულ პერიოდში, საქართველოში „პირველი ექიმბაშის“ ტიტულიც არსებობდა. სოლომონ მეორის მიერ ანტონ ყარაშვილისადმი გაცემულ მოწმობის წიგნში ვკითხულობთ: „საქართველოს მეფეს თეიმურაზს მოუწვევია თავის სამეფოსა შინა საქართველოს ქალაქსა თბილისსა თავისდა მახლობლად; და მასაც მიეღო პატივითა აზნაურობისასა და განახლებით დამტკიცებისა პაპისა ჩუენისაგან ბოძებულის სიგელისა და მის მთელთა გვაროვნობისათვის ებოძებინა ახალი სიგელი აზნაურობისა და დაედგინებინა წინაშე თვისსა პირველ ე ქ ი მ ბ ა შ ა დ და განევლო ერთგულებით სამსახურით დღენი თვისნი“[3].

უნდა ვიფიქროთ, რომ მეფის კარზე მომუშავე ექიმები ცოდნისა და გაჭოცდილების მიხედვით ხარისხდებოდნენ: ექიმებზე მაღლა იდგა ექიმბაში (აქიმბაში), ხოლო ექიმბაშთა შორის ერთ-ერთ პირს ენიჭებოდა კიდევ უფრო მაღალი წოდება „პირველი ექიმბაშისა“.

აღმავლობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI—XII საუკუნეებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მედიცინაშიც იჩინა თავი. „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა იმდროინდელი ძეგლების მიხედვით ირკვევა, რომ შუთა რუსთაველის ეპოქაში მედიცინის ზოგიერთი დარგის სპეციალიზაცია მომხდარა. „მკურნალი“ იმდროინდელი გაგებით ახლანდელი „თერაპევტის“ მნიშვნელობას ღებულობს, მისი სამოქმედო სფერო ერთგვარად შემოფარგლულია. მაგალითად, მკურნალი ქირურგიულ დაავადებებს არ მკურნალობს, თუ ავადმყოფის მდგომარეობა ისეთია, რომ მას ქირურგთან მისვლამდე საფრთხე არ მოელის. ასევე შემოფარგლულია ქირურგის —„დასტაქარის“ სამოქმედო სფერო. იგი უმთავრესად ქირურგიულ დაავადებებს მკურნალობს. მაგალითად, შარდის შეკავების დროს კათეტერიზაცია ქირურგს უნდა ეწარმოებინა. ეს საექიმო დახმარება „სადასტაქარო საქმედ“ ითვლებოდა.

„და თუ მანკი ამით არ გარვიდეს და ფსელი არ გამოვიდოდეს კურნებაი იგი არს, რომელ ყათატირი სარცხუენელისა ხვრელსა შიგან შეიპყრას რომელ

---

1 „ქართლის ცხოვრება“, I, დასახელებული გამოცემა, გვ. 194. ხაზი ჩვენია, ავტორები.

2 ც. ჩხეიძე. „XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ექიმები“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, 7 ივლისი, № 81 (6185).

3 მოწმობის წიგნი სოლომონ მეორისა ანტონ ყარაევისადმი; ინახება საქ. სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივში, იხ. ფონდი 226, ანაწერი 3, საქმე 8872. ხაზი ჩვენია.

ფსელი გამოვიდეს, და ესე სადასტაქაროი არს..."[1] მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა რომ თუ ქირურგი არ იქნებოდა, საჭიროების შემთხვევაში კათეტერით შარდი არ გამოეღოთ. ასეთ პირობებში, ყოველ ექიმს უნდა შეძლებოდა შარდის გამოღება.

„...მაგრამ რაი დაეჭირვებოდეს ღონესა ძებნა უნდა,..."[2].

მაშასადამე XI—XII საუკუნეებში მედიცინის ზოგიერთი დარგი ცალკე გა მოყოფილა. ამასთან დაკავშირებით ექიმები საერთო სამედიცინო ცოდნასთან ერთად ამა თუ იმ დარგში განსაკუთრებით დახელოვნებას ღებულობდნენ და ამ დარგის სპეციალისტებად იწოდებოდნენ.

„ვეფხისტყაოსანში" „მ კ ურ ნ ა ლ ი" განსხვავებულია „დ ა ს ტ ა ქ რ ი ს ა-გ ა ნ": „მკურნალი და დასტაქარნი წამალსაყე მოგიტანდეს?"[3].

ამავე ეპოქის წყაროებში სრულიად გარკვეულად არის განსაზღვრული სადასტაქარო საქმე: „დასტაქრობისა მეცნიერებაი;... იგი კაცისა ხორცთა, ტყავთა და ძუალთა შინა არს, ვითა გაკუეთა და შეკრვაი, და დადაღვა, გატეხილისა ძუალისა უკუკრვაი, და ამოგდებულისა ჩაგდებაი,..."[4].

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, დასტაქრობის გვერდით ხმარებაში შემოდის სიტყვები: „ჯარაობა" და „ქირურგია" ანუ „ღირურღია". „ღირურღია, ანუ ჯარაობა, არს ნაწილი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა,..."[5]

გარდა მკურნალებისა და დასტაქრებისა, ყოფილან აგრეთვე მეანები. მეანს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა: „მქმელი" ან „ამქმელი დიაცი," „ტატბერი", „ბებია", „დედათ მოურავი" და სხვ.

ზოგიერთი ექიმი განსაკუთრებით დახელოვნებული ყოფილა შარდის ბუშტიდან ქვის გამოღებაში. ასეთ პირს XI საუკუნიდან „მეშირიმე" ეწოდებოდა: „მეშირიმემ გარედაღმა გამოართვას"[6].

ვნახოთ ახლა, ვინ ითვლებოდა მკურნალად ანუ ექიმად, რა შეადგენდა ექიმის მოვალეობას, როგორი უნდა ყოფილიყო იგი, როგორი იყო ექიმის მომზადების დონე, მორალური სახე და სხვ.

როგორც VI—VII საუკუნის ავტორის—მარტვილი ქართველის თხზულებიდან—„სინანულისათვის და სიმდაბლისა" ირკვევა, მკურნალად, მკურნალობაში განსწავლულად ანუ როგორც თვით იტყვის „მეცნიერ მკურნალად" ითვლებოდა ის პირი, ვინც იცოდა ორგანიზმის აგებულება, ორგანოებისა და სხეულის ნაწილების მოქმედება.

ძეგლში ვკითხულობთ, რომ „..შინაგანნი ასონი იქმან ყოველსავე განსწორებულად თითოებითა მით ბუნებრივითა მათითა, ვითარცა იტყუიან მ ე ც ნ ი-

---

[1] „წიგნი საექიმოი", გვ. 221.

[2] იქვე.

[3] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", სტროფი 526.

[4] „წიგნი საექიმოი", გვ. 11.

[5] იოანე ბატონიშვილი, „ალმასობა", ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი s, 5374. ფ. 235 V.

[6] „უსწორო კარაბადინი", გვ. 336.

ერნი მკურნალნი, რომელნი გამოცდილ არიედ და იციან[1] ვითარ იგი ძალსა საზრდელისა მისისასა განგებულებით განჰყოფენ სახმარსა მას დაიყენებენ განსაძლიერებლად გუამისა და ნივთსა მას ნამეტნავსა გარე განაბნევენ...“[2].

გამოდის, რომ მკურნალი, რომელმაც იცის ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია (ამ ცნებების არათანამედროვე გაგებით), და გამოცდილია, ის ითვლება მკურნალობის მცოდნედ.

იმ დროისათვის „მეცნიერი მკურნალის“ ასეთი გაგება მედიცინის განვითარების, მისი მაღალი დონის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს ძველ სამედიცინო წერილობით ძეგლებში, რომელთა ნაწილი სახელმძღვანელოდაც იხმარებოდა, ხაზგასმულია, რომ ექიმს უნდა ჰქონდეს ფართო და მრავალმხრივი ცოდნა. მას უნდა სცოდნოდა არამარტო სამკურნალო საქმე, არამედ ბუნებისმეტყველება და ფილოსოფიაც.

დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი თავის კომენტარიებში, ეხება. რა მედიცინის საკითხებს, „მდაბიურთა და უსიტყუთა მკურნალთაებრ“ მკურნალობას განარჩევს „მოძღურებულთაებრ... და ფილოსოფოსურად“ მკურნალობისაგან. „ხორცთა უძლურებამან პირველით ჰსაკითვე ვიდრე სიბერედმდე მის თანა აღზრდილმან და ღუიძლისა ბოროტ-მდებარეობამან და ამათ ზედა მოქენეობამან სენთ მოურნეობისამან საჭირო მისსა ყვეს მკურნალობაი. რომელიცა მკურნალობისა სიტყუერობით ვიდრემე მოიპოვა ფილოსოფოსებამან, ხოლო საქმიერობით ტკივილით მოუყარებამან. რამეთუ უძლურობაი ხორციაი და სენთ მოურნეობაი არა მცირედ საქებელობად ფილოსოფოსობისა მიმართ საგონებელ არს პლატონის და, და ამისთუის უკუე მიმღებელმან თავისა თუისისა სენთ მოურნეობად ანაგებად მოვიდა მკურნალობითისა ხელოვნებისა. არა მაშინ სახილველისა სენისა და ხელთა შინა ქონებულისა და უნდოისა გამოძიებასა ჰყოფდა მდაბიურთა დ უსიტყუთა მკურნალთაებრ; არამედ მოძღურებულთაებრ ჰყოფდა და ფილოსოფოსურად ესე იგი არს ვითარ იგი რაოდენსა რას მკურნალობაი ფილოსოფოსობს ბუნებათა და შეზავებათათუის, და სნეულებათა დასაბამთათუის რაითა აქუნდეს სიტყუასა და მიზეზსა გამოცხადებად თითოეულსა სენისასა მფილოსოფოსებელთა“[3]. „მდაბიურთა და უსიტყუთა მკურნალთაებრ“—ემპირიულ მედიცინას და მის წარმომადგენლებს უნდა გულისხმობდეს, ხოლო „მოძღვრებულთაებრ და ფილოსოფიურად“ — გარკვეული მსოფლმხედველობის მქონე სამედიცინო მიმდინარეობას და მის წარმომადგენლებს უნდა ნიშნავდეს.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ექიმს დიდ მოთხოვნილებებს უყენებდნენ „...აქიმი მეცნიერი უნდა იყოს, და შემტყუე,..“[4] „აქიმი მეცნიერი და ფრთხილი უნდა რომე შეიტყოს“[5]. „აქიმისა სიბრძნე ჭკუა და სიფრთხილე ამაზედა გამო-

---

[1] ხაზი ჩვენია.

[2] მარტვილი ქართველი, „სინანულისათუის და სიმდაბლისა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 299.

[3] იოანე პეტრიწი, „შრომები“, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 225—226.

[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 145.

[5] იქვე, გვ. 14.

ჩნდების რომე მართალზედა იცნას"[1]. „აქიმი უკეთ შეიტყობს თუ რისგან არის სენი"[2].

„.აქიმი მეცნიერი უნდა რომე სიცოცხლისა და სიკუდილისა საქმე ამა დღესა გადასწყდების ესე იცოდეს"[3], ვკითხულობთ XI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში. იქვე აღნიშნულია, რომ უცოდინარი ექიმი ავადმყოფის მდგომარეობას, გაუმჯობესების ნაცვლად, გააუარესებს: „და თუ აქიმი სუსტი იყოს და თათბირი და წამლები ვერა შეიტყოს ისი სენსა კიდევ გაახელებს"[4].

ექიმი უნდა ყოფილიყო დაკვირვებული, ფრთხილი, სამედიცინო ლიტერატურას გაცნობილი, პრაქტიკულად გამოცდილი, ამავე დროს უანგარო და დაუზარებელი.

„და აქიმი ეგეთი ხამს, რომელ აქიმობაი კარგად და სრულად იცოდეს, და მრავალი საქიმოი წიგნი წაეკითხოს მეცნიერთა ოსტატთა აქიმთათანა, და მრავალჯერ კურნებასა დამხუდარიყოს, და პირმართალი, და მისანდობელი, და უხარბო იყოს..და დიდის გემოი, და ზანტი არ იყოს, და გლახაკთა უნუკუარი იყოს. და უამისო თუ იქნების, სჯობს რომელ სნეულსა ზედა არა მიიყვანონ, და არავინ მიენდობოდეს"[5].

ექიმის სიბრძნისა, მიხვედრილობისა და გონების სიმახვილის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა". იგავში „ბრძენი მკურნალი" მოთხრობილია: „ჩემი გამწურთნელი დიდი აქიმი იყო, ყოვლის სენის მკურნალი. მოვიდა ჟამი, თვით დასნეულდა დიდათა. მოვიდნენ მრავალნი მკურნალნი, რომელნიცა აქიმნი შევიდიან საწამლოდ, მან სნეულმან ერთი თითი აუშვირის. იგი აქიმნი ვერას მიუხდიან, და აღარ აწამლებინებდის. გამოხდა მრავალნი დღენი და ეს ამბავი გაითქვა ყოველგან. ერთი სხვა მკურნალი მოვიდა და ნახა. მან სნეულმან რომ ერთი თითი აუშვირა, მოსულმან ორი თითი აჩვენა. იამა სნეულს, მოიხმო და მაჯა აჩვენა. უწამლა და მორჩა. მე ვიკითხე: „რად სხვა არ აწამლა მეთქი?". „მან ბრძანა „ყველა გამოვცადე და სიბრძნე არცერთს ჰქონდა, უსიბრძნო აქიმი სამსალის მშობელია". ვკითხე: „თითის ჩვენება რა იყო მეთქი?" მან მითხრა: „მე ერთის თითის ჩვენებით ამას ვეტყოდი, თუცა ასი კაცი არ გაგიმთელებია, სრული აქიმი არა ხარ მეთქი. სხვათ ვერ შეიგნეს. მან ორი თითი მით მიჩვენა, ორასი გამიმთელებიაო, იგი ამისი ცოდნა მიამა, და მით მოვრჩი. რა სნეულის გულს დადად იამოს, იგი მორჩეს უსაცილოთა"[6].

მრავალი საინტერესო ცნობა გვხვდება ექიმის შესახებ XVIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერებში. „...აწ ამას შინა ექიმი მეცნიერი უნდა იყოს რომ შეიტყოს თუ სიკვდილი, თუ სიცოცხლე ამა დღესა გარდაწყდების, ეს უნდა იცოდეს"[7]. იქვე „...აწ ერთი აქიმის ოსტატობა ესე არის, რომე ამა სენსა, რომელი წამალი მოუხდების კარგად, ან რომელი მართებს, რომელი იყოს და კარგად გუნება გაავლოს, რომე საფათერაკოდ არ მოხდეს".

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 14—15.

2 იქვე, გვ. 323.

3 იქვე, გვ. 221.

4 იქვე, გვ. 145.

5 „წიგნი საქიმოი", გვ. 9.

6 სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა", დასახელებული გამოცემა, გვ. 104—105.

7 „კარაბადინი" (XVIII ს). ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, 3045, გვ. 11.

ექიმის მოვალეობაა აბოიცნოს, როგორი პათოლოგიური პროცესი მიმდინარეობს და ბიძგი მისცეს მის მსვლელობას: საჭირო შემთხვევაში დააჩქაროს ან შეანელოს იგი ავადმყოფის განკურნების მიზნით. „აქიმისაგან ხამს რომელ ბურანი კარგად შეატყოს, თუ ბაგენი ეძროდენ და თავი მძიმედ ჰქონღეს, და გული ეშლებოდეს სარწყეველად იცოდეს რომ ბუნებასა სწადიან, რომელ მ:ს ჰავისა მანკისა სათავნოი, რომელ სნებაი მისგან ქმნილ იყოს, სწადიან რომელ რწყევითა კიდე გააყენოს ტანისაგან, მაშინ აქიმმან ბუნებასა უშველოს ეგეთითა წამლითა რომელ სარწყეველი იყოს... თუ ხედვიდეს რომელ ქარი ყურყურებს სნეულისა მუცელსა, იცოდეს რომელ ბუნებაი მას მანკსა კერძოი გააყენებს. მაშინ ბუნებასა უშველოს ეგეთითა წამლითა რომელ მუცელსა დაალბობდეს... თუ ხედვიდეს რომელ სნეულსა ქუეშე გვერდთა ემძიმებოდეს, ანუ თირკმელისა სიახლესა, იცოდეს რომელ ბუნებაი მას მანკსა და ხილტსა რომელ სნეულებაი მისგან ქმნილ არს ფსლითა გასდევნის მაშინ უშველოს სნეულსა...“[1] და სხვ.

იქვე ნათქვამია, რომ „...აქიმისა არაკი და საქმე ესრე არს: რომელი, თუ ფრთხილი და მეცნიერი იყოს წამალსა ჟამიერად მისცემს: რაი ადვილი წამალი უნდეს, ძნელი არ მისცეს და რაი რწყვისა წამალი უნდეს, გასახსნელი არა მისცეს, და რაი შარაბის მიცემა ხმდეს, ქაშქაბი არ მისცეს; და რაი ქაშქაბისა მიცემა ხმდეს, ურწყოი არ მისცეს. და რაისაცა სნეული ითხოვდეს, ჟამიერად მისცემდეს და მისისა ძალისა მისაფერსა. და თუ ესრე არა ქნას, ბუნებასა გაუსუსტებს, და ჭირი და მანკი სიმრთელესა და ბუნებასა მოერევის, და გააქცევს სიმრთელესა სნებაი მერმე ფათერაკი თუ რა წაეკიდოს, იგი აქიმისგან იქნების“.[2]

XVI საუკუნის ძეგლში „იადიგარ დაუდში“ კიდევ უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მარტო წამლის მიცემა არ ნიშნავს ექიმობას. წამლის მიცემა ყოველ კაცს შეუძლია, ამბობს ავტორი. ექიმი ის არის, ვისაც შეუძლია დაავადების არსი, მისი ბუნება ამოიცნოს: „აწე აქიმი და შემტყობი კაცი ამას ჰქუიან და აქიმის საქმე და ოსტატობა ეს რის რომე, ჯერ იმა კაცსა თავისა ავად ყოფა ვერ შაეტყოს, და აქიმმან ერთისა შახედვითა შორიდაღმან შიატყოს, თუ ამა კაცსა რა სენი ასძურია და ან იმა ოთხისა ხილთისაგან რომლისაგან არის ავად, სისხლისაგან არის თუ საფრისაგან, ბალღმისაგან არის თუ სევდისაგან, თვარა და წამლის ქნა ყოველმან კაცმან იცის“[3].

მაგრამ ექიმისათვის საკმარისად არ ითვლებოდა მარტო სამკურნალო საქმის ცოდნა. ექიმს ამავე დროს ხალხის სიყვარული უნდა ჰქონოდა დამსახურებული. მაშინ მისი მკურნალობა მეტ შედეგს გამოიღებდა. „აქიმი წყნარი და მეცნიერი, მორწმუნე და ხელსვიანი ხამს, და იქნების, რომელ მეცნიერიცა იყოს, მაგრამ ხელმძიმე და საძულელი, და არავის უყუარდეს. თუ მეცნიერება სრულიად იცოდეს და ხელსუბუქი და საყვარელი აქიმი,... რასაცა მისცემს ავადმყოფს, სნეულსა შეერგების მისისა ხელისაგან“[4].

ექიმი მეტად სანდო ადამიანად ითვლებოდა. დარწმუნებული იყვნენ, რომ ექიმს შეიძლება ყველაფერი გაანდო, რომ იგი საიდუმლოს შეინახავდა და სხვ.

---

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. 69—70.

[2] იქვე, გვ. 9—10.

[3] „იადიგარ დაუდი“, გვ. 229.

[4] „წიგნი საქიმოი“, გვ. 10.

„...მისანდობელი მით არს, რომელ ოდესცა მივიდეს მათ წინაშე, ყოველივე მიესულების და ფარდაგიანნი ხელსა მიუპყრობდნენ, და მაჯასსა უჩვენებენ და ვითა მოძღვარსა ეგრე მიენდობვიან, და რაზომცა სამალავი ჭირი და ასოი იყოს, მას არ უმალვენ და უჩვენებენ, და ხუაშიადსა არ დაუმალავენ. და აქიმი ხვაშიადისა შემნახავი, მოყვარული და ერთგული ხამს“[1].

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ მოსახლეობა არ ერიდებოდა ექიმთან მისვლას, მიუხედავად იმისა, რომელი ორგანოს დაავადებას ექნებოდა ადგილი. ეს ფაქტი, სხვა ცნობებთან ერთად, ერთხელ კიდევ მიუთითებს მოსახლეობის მაღალ კულტურაზე და ნდობის შესახებ მედიცინისა და ექიმისადმი.

XVII საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც სამეგრელოში 16 წელი გაატარა, თავის წიგნში აღნიშნავს, რომ „მთელ კოლხიდაში მეტად მიღებული არიან ექიმები და ხალხს ისე არაფერი არ ენატრება, როგორც ექიმის ხელობა“[2].

ავადმყოფი ექიმს კი არ გაურბოდა, არამედ ექიმისაგან სამკურნალო დახმარების იმედი ჰქონდა და მას ნდობით ეპყრობოდა.

ასეთი მაღალი წარმოდგენა ექიმისა და ექიმობის ანუ მედიცინის შესახებ ორი გარემოების შედეგად უნდა შემუშავებულიყო: მედიცინის წარმატებითა და ექიმის დამსახურებით. თუ მედიცინა ისეთი უძლური იქნებოდა, რომ ავადმყოფს მდგომარეობას ვერ შეუმსუბუქებდა, ცხადია, მას ასე ქებით ვერ მოიხსენიებდნენ, ამავე დროს ექიმსაც უნდა განემტკიცებინა თავისი საქმითა და ქცევით მოსახლეობის ნდობა მედიცინისადმი. „უსწორო კარაბადინის“ ავტორი ექიმს ურჩევს, რომ, თუ ჭრილობა სასიკვდილოა და ექიმის ჩარევა შედეგს არ გამოიღებს, სჯობს თავის შეკავება, თორემ შეიძლება ავადმყოფი დაიღუპოს, ექიმი შერცხვება და მედიცინასაც სახელი გაუტყდება: „თუ საკლავსა ალაგსა იყოს ისარი ასრე რომე სასასა და სატვინესა, გული და ფირტვი, ღვიძლი, ჴუშტი და ნაწლავნი და ავი ნიშანი გამოჩენილიყოს, მას ხელს ნუ მიჰყოფს აქიმი, ამისათვის, რომე საფათერაკო არის და არ შერცხვენდეს. თუ ავი ნიშნები არ იყოს და შეიტყო ვითა დარჩებისო, მაშინ მისთა მეყუისთა ეუბენ, მერმე ხელი მიყოს ბევრნი გვინახავს რომე ერთობ საშიში არის და დაკოდილი იყოს და ეწამლოს და დარჩომილიყოს“[3].

უხეირო ექიმს შეეძლო სახელი გაეტეხა იმ საქმისათვის, რომელსაც იგი ემსახურებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი ფაქტორი—მედიცინის წარმატება და ექიმის დამსახურება, ასრულებდა როლს ექიმისა და ექიმობის შესახებ აღნიშნული მაღალი წარმოდგენის შექმნაში. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ექიმი ასეთი დადებითი თვისებების მატარებელი იქნებოდა. ასეთი ექიმებიც ყოფილან: „...რომელ არ იციან ძალი აქიმობისაი და ნიეთი, და თავისადა აქიმი დაურქუამს სახელად“[4]. მაგრამ, თუ ექიმმა და ექიმობამ ქართველ ხალხში პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ უარყოფითს დადებითი სჭარბობდა. სხვანაირად ეს მაღალი წარმოდგენა ექიმისა და მედიცინის შესახებ გაუგებარი დარჩებოდა.

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 10.

[2] არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, თარგმანი ალ. ჯყონიასი. გამოცემა მეორე, თბილისი, 1938, გვ. 97.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 406—407

[4] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 10.

ექიმის მოვალეობას შეადგენდა მომსახურება გაეწია ავადმყოფისათვის. „აქიმს აგრე მართებს რომე სნეულსა მსახურებდეს და სინჯავდეს ბევრფერად საქმითა“[1].

ექიმს შეიძლება დახმარება გაეწია ავადმყოფისათვის სამკურნალო დაწესებულების პირობებში, ავადმყოფის ან თავის ბინაზე. ავადმყოფის მიყვანა ექიმის ბინაზე მაინცდამაინც არ ითვლებოდა სასურველად, რადგან ექიმი შეიძლება უგუნებოდ ყოფილიყო, მას საშუალება არ ჰქონოდა ავადმყოფი მთელი გულისყურით გესინჯა, რაც, ცხადია, გავლენას მოახდენდა დაავადების ამოცნობასა და მკურნალობაზე. „აქიმთან მისვლა მრავალფერი არის. ეგები ასეთ დროს მივიდეს, რომ გუნებაზედან არ იყოს და კაცის ნათქვამს და ფერისა, ჭირისა და ხილთის და სენის თავი ვერ შეიტყოს, და გონება ვერ მიიპყრას. და ეგების ასეთსა დროს იყოს რომე, ავადმყოფის პატრონმან რა გინდ კარგად, სწორედ უამბოს ის აქიმმან ვერ შეიტყოს, და რაგინდ რა წამალი მისცეს და არა არგოს რა და მაზედან კაცი მწოვედ დაზიანდების“[2]. იქვე ნათქვამია, რომ ასეთ პირობებში „...თუ აქიმმან ავადმყოფი და მაჯა არ ნახოს და კარგა აქიმობის საქმესა გული არ მიუპყრას, ისეე სჯობს რომე კაცი თავის ნებაზედ იყოს, ამიტომ რომ, თუ აქიმი გულსა და გონებასა არ დააპყრობს, ისეე ღვთის ანაბარაზედ იყოს ისი სჯობს, ამიტომ რომ სნეულს არ უჯობს“[3].

ექიმს უნდა დაედგინა დაავადება, მისი ხანგრძლივობა, გამოსავალი და სხვ. „...მართებს აქიმსა რომე შეიტყოს სნეულისა პირველ ჟამი და უღონობა ამისათვის რომე აქიმისაგან იქნების სნეულობისა შეტყობა სიკუდილისა და სიცოცხლისა და ადრე ადგომისა და ხანგრძლივად წოლისა. სენისა, თუ რაჟამს ადუღდების და ანუ არა ადუღდების, რომე არის თავი სნეულობისა მიზეზისა“[4].

ექიმის მოვალეობის შესახებ იქვე ნათქვამია, რომ „მართებს ექიმსა რომე ეს ნიშნები მართალზედა შეიტყოს და იცნას სენი ესე, რომე არა დასცდეს სნეულისა წამლებსა შიგან, და სნეული არ დაზიანდეს და არ მოკუდეს“[5].

საყურადღებო ცნობები გვხვდება აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ექიმი ავადმყოფის საწოლთან. ექიმი ავადმყოფთან იმაზე მეტ ხანს არ უნდა დარჩენილიყო, რაც ავადმყოფის გამოკვლევისათვის, წამლისა და რეჟიმის დანიშვნისათვის იყო საჭირო. „თუ სნეულთანა აქიმი მივიდეს დიდსა ხანსა ნუ დაჯდების, ამისთვის რომე, მისი სული ეცემის, გარდახვევისაგან საშიშარი არის. ასთენიერთსა ხანსა დაჯდე რომე მისისა სნეულისა ამბაკი შეიტყო თუ წამალი მიეცემის, თუ არა რა უნდა და რა არ უნდა საქმელი, სასმელი ყუელა კარგად გასინჯე“[6]. იქვე: „ერთობ ახლოს ნუ მიუჯდები. შორს დაჯე რომე სული არ გეცეს, აგრე შეკითხე. დიდსა ხანსა ნუ დაიყოვნი. ადრე ადეგ“.

ექიმის დანიშნულებისა და მოვალეობის შესახებ რამდენიმე მეტად ეოხდენილი შედარება არის წარმოდგენილი „უსწორო კარაბადინსა“ და „წიგნი

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 21.

[2] ფონდი H, ხელნაწერი 343, ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იგივე აზრი გვხვდება აგრეთვე Q ფონდის № 199 ხელნაწერში.

[3] იქვე.

[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 143.

[5] იქვე, გვ. 147.

[6] იქვე, გვ. 5.

სააქიმოი"-ში. ერთ-ერთი შედარება „უსწორო კარაბადინიდან" უფრო ეეტად გამაფრთხილებელი, დაავადების თავიდან ასაცილებელი ზომების მიღებას ეეხება. ექიმი მეწისქვილესთან არის შედარებული, ხოლო ადამიანის ორგანიზმი—წისქვილის რუსთან. ისევე როგორც მეწისქვილე ყოველდღიურად უნდა უვლიდეს რუს, რომ მასში მოხვედრილი საგნებით იგი არ დაგუბდეს, ასევე ექიმი უნდა უფრთხილდებოდეს ადამიანის ორგანიზმს, იცავდეს დაავადებისაგან.

„...ერთმან კაცმან რომე წისქვილი ააშენოს მისის წყლის რუ ჭალაშიგა იყოს. ასრეცა იქნების ჩამოცვივდეს ხის ფურცელი და ის წყალი დააგუბოს და წყალი უკე აყენოს. და მეწისქვილესა ასრე მართებს იმა საწისქვილოსა რუსა ჰკაზმეედეს და წყალი წმინდა მოდიოდეს, მეწისქვილემან რუ იმისთვის კაზმოს მერმე ყოველთა დღეთა მეწისქვილესა ეს მართებს რომე მოვიდოდეს და ყოველთა დღეთა რუს დახედეედეს. თუ ნაფოტი ან ფურცელი შეყრილიყოს გამოაცლიდეს..."[1].

აქვეა მოცემული კიდევ მეორე შედარება. ეს უკვე არა გაფრთხილებას, არამედ ექიმის სამკურნალო მოქმედებას შეეხება—თუ როგორი უნდა იყოს ექიმის მიდგომა ავადმყოფის მკურნალობის დროს. სნეულება ანუ დაავადება შედარებულია საბაზაზოსთან, ხოლო ექიმი ბაზაზთან. ბაზაზი აწესრიგებს საბაზაზოს, ალაგებს მას როგორც საჭიროა, ანუ გადატანით რომ ვთქვათ—ექიმი წარმართავს, თუ ეს შესაძლებელია, დაავადების მიმდინარეობას განკურნებისაკენ. მაგრამ მკურნალობის დროს ექიმი არ უნდა აჩქარდეს, თორემ შეიძლება მკურნალობამ ამაოდ ჩაიაროს და ხელმეორედ დასჭირდეს თავიდან დაწყება: „ადამის ტომისა სენი საბაზაზოსა ჰგავს, ბაზაზი რომე დაჯდომილიყოს ქულბაქზედა და მრავალი ყუმაში დაეწყოს ერთმანერთზე, და მერმე მივიდეს ვინმე ვაჭარი და ასეთი ნაქსოვი სთხოვოს რომე ყველა ქუეშეთ იყოს. აწე ბაზაზსა ამისი სიფრთხილე მართებს რომე თუ იმ ნაქსოვს ჩქარად და ძალად გამოზიდვს. ოაც ნაქსოვი დაუწყვია ყველა ჩამოეცვივის. და იმის სარჯელი გაუცუდდების და ახლად უნდა კიდევ დაწყოს და ააგოს, ასრე მართებს ბაზაზსა რომე მარცხენითა ხელით ნაქსოვსა მიაჭირვოს და მარჯვენითა ხელითა ქვეშესა ნაქსოვსა გამოზიდუნეს წყნარად რომე არ დაიქცეს, ის ქულბაქი არ დაიშალოს და ზიანი არ დაემართოს გზასა. ასევე თუ აქიმი აჩქარდეს და სნეულსა ჩქარად მიეპყროს აქიმი, დაზიანდების და კაცსა მოჰკლავს"[2].

მაგრამ ამავე დროს აღიარებდნენ, რომ ავადმყოფობას დროულად უნდა მკურნალობა, თორემ იგი შეიძლება გაგრძელდეს, ანუ, როგორც ახლა ვიტყოდით, შეიძლება ქრონიკული სახე მიიღოს: „და ესეც უნდა იცოდი სენსა გაშვება არ უნდა, ამად რომე გაგრძელდების და თუ სენი გაგრძელდების შეხორცდების და ძნელად ეშველების და ყოვლი ასო დაზიანდების"[3] იცოდნენ, რომ მკურნალობის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული იმისაგან, თუ რამდენად დროულად იყო იგი დაწყებული: „კურნებაი სენისა არის დამოკიდებულ დაწყებასვე მისსა"[4].

„წიგნი სააქიმოიში" ადამიანის ორგანიზმი ქალაქთან არის შედარებული, სნეულება ქალაქს შემოსეულ მტერთან, წამალი საომარ იარაღთან, ხოლო ექიმი

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 31.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა", ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ფონდი H, 2164, გვ. 36.

მამაც მეომართან, რომელმაც კარგად იცის „ჰომისა საქმე". მან უნდა დაიცვას მტრისაგან—სნეულებისაგან ორგანიზმი: „...ტანი კაცისა ქალაქსა გავს და ბუნებაი ტანისაი ხელმწიფე არს, ჭირი და მანკი ვითა მტერი არს, რომელი ქალაქსა შემოვიდეს საოხრებლად, და წამალი ბუნებისაი აბჯარი ჰომისა დღესა, და აქიმი კარგი ვითა მეაბჯრე იქნების, მეაბჯრე ჩაუქი და მეცნიერი, მეჰომარი და გულოვან ხამს, რომელ ჰომისა საქმე იცოდეს, შებმისა და ჭირისა დღესა მტერთაგან მშვიდობით დაიცვას ხელმწიფე"[1]

ექიმმა უნდა იცოდეს, რა დროს რა იარაღია საჭირო, თორემ „მტერი", ე. ი. სნეულება ორგანიზმს დააზიანებს „...თუ მტერი შორს იყოს და მეფემან აბჯარი სთხოვოს, თუ მტერი შორს იყოს ისარ მშვილდი მისცეს, და თუ ახლოს რე იყოს შუბი მისცეს და თუ ხელის ხელმოსრულ იყოს, ხმალი მისცეს; და თუ ესრე არა იყოს და ჰომისა ნივთი არ იცოდეს, მტერი ხელმწიფესა დაიზაბუნებს"[2].

წყაროებიდან ირკვევა, რომ ექიმს ორი ძირითადი მოვალეობა ეკისრებოდა: ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადების შემთხვევაში ბრძოლა მისგან განკურნებისათვის.

ექიმს რომ ადამიანის ჯანმრთელობა დაეცვა და დაავადების დროს ემკურნალა, ამისათვის მას „ექიმობა" ანუ, დღევანდელი გაგებით, მედიცინა უნდა სცოდნოდა: „...აქიმობაი მეცნიერებაი არს, სიმრთელისა ჟამსა კაცისა მრთლად შენახვაი, და მას ჟამსა რომელ კაცი სნეულად იყოს, და მას ჟამსა რომელ არცა მრთლად იყოს და არცა სნეულად"[3].

მედიცინის ორ მხარეს იცნობდნენ: თეორიულს და პრაქტიკულს—„აქიმობაი ორი არს, ერთი მეცნიერებაი და მეცნიერების ხმარებაი"[4]. პირველი მათგანი ადამიანის ორგანიზმის აგებულების, მისი სასიცოცხლო ფუნქციების და ჯანმრთელობის დაცვის ცოდნას გულისხმობდა, ხოლო მეორე—„მეცნიერების ხმარებაი"—პრაქტიკული მედიცინის, სამკურნალო საქმის ცოდნას: „პირველ ბუნებისა შეტყუებაი და თადბირთა შენახვაი სიმრთელისაი, მეორე სნეულისა გამრთელებაი და მისსა ტანსა შიგან შეყენებაი სიმრთელისაი და გაყენებაი მანკისაი..."[5]

აქვე გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ მეტად საინტერესო ცნობას: „..აქიმობის თავი ესე არს, რომელ იცოდეს, თუ აქიმობა და მკურნალობაი რაი არს, ერთად ესე რომელ ბუნებანი იცოდეს სიმრთელისანი, და მეორედ ესე რაისა მიზეზისაგან დასნეულდა"[6]. ცნობილია, რომ თანამედროვე მედიცინაში მკურნალობის პრინციპად მიღებულია დაავადების გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ მისი დადგენა მოხერხდა; როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ამ პრინციპის ერთგვარი ელემენტი ძველი საქართველოს მედიცინაშიც შეინიშნება.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში შეხედულება ექიმის დანიშნულებისა და ექიმობის-ანუ მედიცინის გაგების შესახებ მნიშვნელოვნად შეცვლილა. ეს ცვლილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ

---

[1] „წიგნი საქიმოი", გვ. 9.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 11.

[4] იქვე, გვ. 10—11.

[5] იქვე.

[6] იქვე.

მოჰყვა რუსეთთან საქართველოს შეერთებას. ამ დიდმა ისტორიულმა მოვლენამ თავისი დადებითი გავლენა საქართველოს მედიცინაზეც იქონია. საქართველოს კულტურისა და მეცნიერების, მათ შორის მედიცინის, მოღვაწენი გაეცნენ რა რუსეთის და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიღწევებს, დაიწყეს ძველი სამედიცინო შეხედულებების კრიტიკული გადასინჯვა.

ეს მდგომარეობა კარგად არის ასახული იოანე ბატონიშვილის „ქალმასობაში", სადაც ავტორს ძველი შეხედულებების გამომხატველად გამოჰყავს XVIII საუკუნის გამოჩენილი ექიმი იოანე ყარაშვილი და მას უპირისპირებს იოანე ხელაშვილს, როგორც ახალი შეხედულებების მატარებელს.

ექიმ იოანე ყარაშვილსა და იოანე ხელაშვილს შორის იმართება დიალოგი. იოანე ეკითხება, თუ „რა არს მკურნალობა ანუ ექიმობა?"[1] ექიმი ყარაშვილი უპასუხებს, რომ „სნეულობის წამლობა ვინც იცის, აქიმი არის". ეს პასუხი იოანე ხელაშვილს არ აკმაყოფილებს და განმეორებით ეკითხება: „არა, მე მაგას არ გკითხავ, მკურნალობა საკუთრად რა არს და ან მკურნლობისა სწავლისა ხელოვნებანი". ა ქ ი მ ი: „სნეულება უნდა შეიტყოს და წამლების გაკეთება იცოდეს, ეს არის მკურნალობის ხელოვნება." არც ეს პასუხი აღმოჩნდა იოანესათვის საკმარისი და ახლა უფრო კონკრეტულ შეკითხვას აძლევს ყარაშვილს: „მე მაგას არ გკითხავ, მე საზღვარს გკითხავ აქიმობისას და ან რაც სწავლებაი ეჭირვება იმ ექიმს, იმასა". ამ კითხვას ყარაშვილი კითხვითვე უპასუხებს: შენ თითონ მითხარი და განმიმარტე რასაც მეკითხებიო: „მითხარ, თუ რასა მკითხავ და ან რა არს ის სწავლებაი?"

იოანე უპასუხებს, რომ ექიმმა უნდა იცოდეს ანატომია ანუ აგებულება, ფიზიოლოგია ანუ „ფიზიოლოღია", როგორც თვითონ უწოდებს, შემდეგ, პათოლოგია („პათოლოღია"), თერაპია, „მატერია მედიკა", ფარმაკოპეია („ფარმაკოფია"), ქირურგია („ხირურღია"), ქიმია („ხიმია"), მეანობა („აკუშერის ხელოვნება"), სააფთიაქო საქმე („აპტეაკია"), ბოტანიკა („ბოდანიკა"), ბუნებისმეტყველება („ნატურალი ისტორია"), ფიზიკა, მინერალოგია[2].

აღნიშნულ მეცნიერებათა განმარტებამდე იოანე მედიცინის განსაზღვრას იძლევა. იგი წერს, რომ „მკურნალობა, გინა ექიმობა არს სწავლა განმრთველი განხილვითა კაცთა სხეულთასა და გამოწვლილვით ცნობა სნეულობაია და გამოკითხვა სნეულისა; და ყოვლისა მისი ცნობაი; რაიცაღა სახმარ იყოფის დაცვისათვის სიმრთელისა, და რაიცა შესაძლებელ არს ხმევად ღონიერებისა, მოქცევად მისი პირველსავე სიმრთელესა შინა, ოდესცა ვისმე შეხვდების ვითარიმე სნეულება და დაკარგულ ჰყოფს სიმრთელესა თვისსა"[3].

მედიცინაში იოანე ორ მხარეს არჩევს: „მკურნალობა განიყოფება სახედ ესე იგი: თეორეტიკებრ და პრაქტიკებრ: გინა აზნაურებითად, და გონებითად, ანუ ხედვითად და საქმითად. ხოლო თეორეტიკებრი განმსჯელობა არს თვისებისათვის სხეულთა კაცისა და სნეულებათა მისთათვის,და ეგრეთვე თვისებისათვის და ცნობისა წამალთა: ხოლო პრაქტიკებრი უკუე ხელოვნება არს, გამოცდილება წამლობათა შინა და ხმევა წამალთა და ცნობაცა მათი სახელდობრ;

[1] იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობა", ტ. I, დასახელებული გამოცემა, გვ. 271.
[2] იქვე.
[3] იქვე.

და თუ რომელსა შინა სნეულობასა, ვითარნი უკვე წამალნი იხმარებიან და სარგებლობასა აჩვენებენ სნეულთა განკურნებისათვის"[2].

შემდეგ იოანე იძლევა თითოეული აღნიშნული დარგის ცალ-ცალკე განმარტებას.

პათოლოგია, იოანეს განსაზღვრით, არის მედიცინის დარგი, რომელიც გვასწავლის დაავადებათა მიზეზებს, ნიშნებს, ავადმყოფისა და ჯანმრთელის გარჩევას და სხვ.

„პათოლოღია, ანუ პათოლოგია, არს ბერძული ლექსი, რომელიცა არს ესეცა ნაწილი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა, და რომელიცა გვასწავებს თვისებას ანუ არსებობისა ვითარებასა მტკივნეულობათა და სნეულებათასა, და განყოფით მიზეზთა და მოქმედებათა სნეულებათა მათთასა.

გარნა ამასაც მოგვითხრობს და გვასწავებს წიგნი ესე პათოლოღია, რომელ, ვინაითგან კაცნი მექონე ვართ სიცოცხლისა, სიმრთელისა, სნეულებისა, მტკივნეულობისა და სიკვდილისა, ესე ყოველნი არიან საგანნი მკურნალთანი, და თანა ამას მკურნალსა რათამცა ისწავოს ზედმიწევნილებით ცნობა სნეულებათა და მიზეზი მათი, ვინაითგან კაცნი ბუნებისა გამო თვისისა შევდგომივართ ზემოხსენებულთა საკუთართა ვითარებათა ყოველნი უკვე ამა სიმრგვლისა ქვეყნისა ზედა მცხოვრებნი. და ამისთვის თანა ამას მკურნალსა, რათა უწყოდეს, თუ რომელი სნეულება, რომელსა წამლითა განიდევნების. და ესეცა თუ ერთი სნეული მეორესა სხვის გვარს სნეულებასთანა ვითარ სხვაობს, ანუ ერთი სნეულება მეორეზედ ვითარ სხვაობს. კვალად არის ეს გვარი უკვე სნეულება, რომელიც მალე მორჩების და კიდევ გახდების იმითივე ავად. და ვინაითგან სნეულება არა სხვა რაიმე არს, ვითა წინააღმდეგობა სიმრთელისა, მაშასადამე თანა ამას მკურნალსა, სწავლად პათოლოგიისა, რათამცა უწყოდეს გამოწვლილვით, მტკივნეულობაი კაცისა, და განყოფით ცნობა შორის მრთელისა და სნეულისა, და შორის სნეულისა და მრთელის კაცისა, და ამისთვის უნდა იყოს მკურნალი სავსე ზედმიწევნილებით"[1].

ამას მოსდევს სხვა სამედიცინო დარგების განმარტება.

„თერაპია, ანუ თერაპევტიკა, გინა ტერაპია, არს ბერძული ლექსი, ესეცა არს ნაწილი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა, რომელიცა მსჯელობს კანონთათვის მკურნალობისა, და კანონიერად ასწავებს მკურნალობასა, და ეგრეთვე ასწავებს ზეთსაზომისა გარდამეტებით წამლობასა სნეულისასა და შემსუბუქებასა სენისასა, რომელიცა იქმნების განუკურნებელი უკვე სნეული"[2].

„მატერია მედიკა, ანუ მკურნალობისა ნივთებთა მოთხრობა, რომელიცა არს ნაწილი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა, რომლისა გამო ჰსწოდებს სახელიცა ესე: ნივთი მკურნალობათა, რომელიცა შეიცავს თვის შორის ყოველთა მკურნალობისა წამალთა მცნობელობასა, და რომელნიცა იხმარებიან წამალნი სამკურნალოთა შინა, რომელთა სამეფოთაგან წარმომდგარნი ესე იგი ცხოველთა მცენარეთა, და ბეტალთა ანუ მადნებთაგან სახმარნი უკვე წამლობასა შინა ნივთნი მათგანნი აღმოსახოცველად სნეულებათა. და ზომიერად სმეული მაინ და

---

[1] იოანე ბატონიშვილი, „ალმასობა", ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი s, 5374, ფ. 234 r. v.

[2] იქვე.

რიგზედ უწყება და დაწერა ნუსხისა სნეულებისათვის. წამალთა რომელსაცა მოიღებენ აფთიაქიდამ, სნეულისათვის სახმართა წამალთა"[1].

„ფარმაკოპეიჰ, ანუ დისპენსარია,- არის ბერძული ლექსი. ესეცა ნაწილი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა სახმარი, თუ ვითარ ჯერ არს შეზავება წამალთა აპტეკართ გეარზედ, და ანუ ექიმისაგან მიწერით შეზავება წამალთა თუ ვითარ ჯერ არს შეაზაონ წამალი, სნეულისათვის. და ხმევაი ჰათი. ესე სახედვე, ფარმაკოპია მოუთხობს რაოდენც სახმარ არიან, ბალახნი ანუ სხვანი ნივთნი თვისებისა მათსა და შემზადებასა, და ასწავებს ღრჩევასა წამალთასა და განსხვავებას ურთიერთსა შორის"[2].

„ღირურღია, ანუ ჯარაობა, არს ნაწილი მკურნალობისა ხელოვნებასა შინა, რომელიცა გვაძლევს კანონსა უკუნქცევად ანუ უზომერესად გამრთელებისათვის სხვათა და სხვათა მტკივნეულობათა ანუ დაცემულებათათვის. და ეგრეთვე გვცემს ჩვენ გრძნობათა გამახვილებისას ქვეშევრდომთა ტკივნეულებათათვის, ვითა დასადებელთა და წასასმელთა წამალთა, აგრეთვე მტკივნეულთა ასოთა განჭრასა ანუ მოჭრასა და შეხვევათა მათთა. და ეგრეთვე გვამცნებს რათა გამოცდილ ვიყვნეთ ანატომიასა შინა, რათამცა არა შეცთეს განჭრასა შინა ხორცთასა, და არა გაუჭრას მან ძარღვნი, ანუ სხვანი სავნებელნი უკეე წევრნი ხოლო ღირურღიული სნეულებანი განიწვალებიან მრავალთა მრავალთა აღმწერელთაგან ხუთგვარ ხარსხად ესე იგი სახელდობრ, დასიებულად, წყლულად და დაჭრილად, მუწუკად სხვადასხვა სახედ: ძვლის მოტეხილად და ამოვარდნილად ანუ ნაღრძობად ძვლისა და ამობურცულად ხოლო რომელნიმე შესძინებენ დაქექილობასა სხეულისასა, ძარღვის აყრასა, და ესე ვითართა. ხოლო ესეცა თანა ამას მკურნალსა რათა იცოდეს რიგიან აგრეთვე ჯარამან ექიმობაც იცოდეს და დაჭრილისა იარალთა მრჯვეთ ხმარება.

ამასთან უნდა იცოდეს კბილის მრგლეჯა და სისხლის გამოშვება"[3].

„ქიმია არის ნაწილი ექიმობისა ხელოვნებასა შინა, მჰსგავსი თითქმის ფარმაკოპეისა, შესამზადებლად წამალთა დახმარებად მათთა. ხელოვანი ამისი განერთავს გარდა წუვეტისაყოფად მარტივთა წამალთა წამლობითა, და შესამზადებლად ხიმიურთა წამლებითა სასარგებლოდ, რომელ აწცა... ქიმია, აგრეთვე ასწავებს დახსნასა შერევნულთა სხეულთასა, და ცნობასა მათსა, რომელთაგანცა იგინი მდგომარეობენ, განრჩევასა, ცუდთა მათ შორის ნივთთა და გამორჩევასა ანუ გამოღებასა კარგისა ნივთისასა მასვე ნივთთაგან"[4].

„აკუშერ, ფრანციცული ლექსია, ნიშნავს ბებიას, ესეცა არის ნაწილი სამკურნალო ხელოვნებისა, რათა უწყოდეს მკურნალმან, ქამსა მშობიერობისასა, მოხმარება და შეწევნა მშობიერისა, და მეტადრე მაშინ, ოდესცა გაუჭირდების შობა, თუ რაი ღონე მოიხმაროს, და იმ სახით დაიხსნას ყმაწვილი რომე დაშთეს დედაცა და ყრმაცა ცოცხლად, და სხვაცა უწყოდეს ყოველგვარ ბებიაობისა ქამსა მუცლის წახდენისასა შეწევნა. ქამსა ტყუბის შობისასა შეწევნა. ქამსა მრუდედ მოსვლისასა შეწევნა და გასწორება. ქამსა ვეღარ შობისასა გამოჭრა,

---

[1] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა". ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ფ. S, 5374, ფ. 235 r.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

და სხუანი... ხმარება იარაღთა მისთა რომელიცა არს საკუთრად მისთვის ქმნილი. და წამლობაი მისი, რაიცა თავს ეყვის მშობიარესა"[1].

იოანე ყურადღების გარეშე არ ტოვებს მედიცინის პროფილაქტიკურ დანიშნულებას. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს იგი „წინდამცველ უმჯობეს ღონიერებას" უწოდებს. მას მიაჩნია, რომ ექიმმა მკურნალობასთან ერთად უნდა იცოდეს „ყოვლისა ის ცნობა, რაიცა სახმარ იყოფის დაცვისათვის სიმრთელისა"[2].

წარმოდგენილი ცნობების მიხედვით დასტურდება, რომ XIX საუკუნის დასაწყისში შეხედულება მედიცინის დანიშნულებისა და სამედიცინო ცოდნის მოცულობის შესახებ მნიშვნელოვნად გაფართოებულა. თუ მანამდე, საქართველოს მედიცინაში შეიძლებოდა ორი ძირითადი დარგის: მკურნალობის (თერაპიის) და დასტაქრობის (ქირურგიის) გარჩევა, ახლა უკვე დღის წესრიგში დგება მთელი რიგი სრულიად ახალი დარგების დანერგვის აუცილებლობა, რომლებსაც უშუალო ან დამხმარე მნიშვნელობა აქვთ მედიცინისათვის. საქართველოს კულტურისა და მედიცინის მოღვაწეებისათვის ნათელი გახდა, რომ მედიცინის შემდგომი განვითარება ზემოაღნიშნული დარგების დაუფლების გარეშე შეუძლებელი იყო და ამიტომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ მეცნიერების ახალ მონაპოვართა მშობლიურ ნიადაგზე დასანერგავად.

1

---

1 იოანე ბატონიშვილი. „კალმასობა". დასახელებული ხელნაწერი, ფ. 235 v, 236 r.

2 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", I, დასახელებული გამოცემა, გვ. 171. ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. კ. გეგელაშვილის ზემოდასახელებული გამოკვლევა.

თ ა ვ ი VI

მკურნალობისა და სამედიცინო განათლების კერები

მკურნალობისა და სამედიცინო განათლების კერები თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებობდა. სამკურნალო დაწესებულებები ცალკეც იყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ ცენტრებთან არსებულ სამკურნალოებში პრაქტიკული საექიმო მუშაობა და სამედიცინო კადრების აღზრდაც სწარმოებდა.

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ უკვე V საუკუნისათვის საქართველოში სამკურნალო დაწესებულებები გაუხსნიათ. სამკურნალო დაწესებულებების გახსნა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი უშუალოდ დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიურ, კულტურულ განვითარებასა და მედიცინის წარმატებასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროისათვის საქართველოს მედიცინას გარკვეული მიღწევები ჰქონდა. შემუშავებული იყო წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ. ცნობილი იყო მთელ რიგ დაავადებათა დამახასიათებელი ნიშნები. დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები, მათი თავიდან ასაცილებელი ზოგიერთი მარტივი საშუალება და სხვ.

მიღწევები მოპოვებული იყო მკურნალობის დარგშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქირურგიის წარმატება ჭრილობისა და სხვა ტრავმულ დაზიანებათა მკურნალობის საქმეში.

V დიდი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერიელის ცხოვრების ასურულ ტექსტში მითითებულია, რომ მის დედას ბაკურდუხტს საავადმყოფოები აუშენებია[1]. იმავე ეპოქაში პეტრე იბერიელი და მისი მასწავლებელი იოანე ლაზი მონასტრებსა და საავადმყოფოს ხსნიან პალესტინაში: „აღაშენნეს მონასტერნი და ქსენონი"[2]. როგორც ირკვევა, მედიცინა პეტრე იბერიელს და შეიძლება მის მასწავლებელს, იოანე ლაზსაც ჰქონდა შესწავლილი. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ პეტრე იბერიელმა, რომელიც 12 წლის ასაკიდან კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორის კარზე იზრდებოდა, ბრწყინვალე განათლება მიიღო: „ვითარ მიეცა სასწავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი, და გულისხმისყოფით აღმოიკითხავენ და იწურთინ დღე და ღამე, რამეთუ ფრთხილ იყო და მახვილ გონებითა... მცირეთა ჟამთა ისწავა ენა ბერძული, და ყოველივე სწავლულება საეკლესიო და საფილოსოფოსო". იცოდა ენა და სწავლულება ასურული ზედმიწევნით, რომ თავის ცოდნით ყველას აკვირვებდა[3]. აქვე

---

1 მოგვყავს ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან: „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", თბილისი, 1946, გვ. 63.

2 „ქართლის ცხოვრება", I, დასახელებული გამოცემა, გვ. 134.

3 იქვე, გვ. 132—133.

უნდა ესწავლა პეტრე იბერიელს მედიცინაც, რადგან მედიცინა იმ დროისათვის საერთო განათლების სისტემაში შედიოდა.

ეს ის ხანაა ბიზანტიის ისტორიაში, როცა კონსტანტინეპოლის უმაღლესი სასწავლებელი საქვეყნოდ იყო განთქმული. აქ არსებობდა კათედრები: ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, გრამატიკის, რიტორიკის, მედიცინისა და სხვა: „თვით ის ფილოსოფია, რომლის სწავლება ძირითადი იყო ამ უნივერსიტეტში იმდენად ფართო ხასიათისა იყო, რომ მასში შედიოდა არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და სამკურნალო ხასიათის ლექციებიც. ასე მაგალითად, ალექსანდრიიდან კონსტანტინეპოლში მოწვეული აგაპიოსი არისტოტელისა და პლატონის ფილოსოფიასთან ერთად ითვლებოდა სამკურნალო სწავლათა მასწავლებლადაც...“[1].

მედიცინის სწავლებას საერთო განათლების სისტემაში, როგორც საქართველოსა და ბიზანტიაში, ასევე სხვა ქვეყნებში, შემდეგ საუკუნეებშიც სპეციალური ადგილი ეჭირა.

ზემოაღნიშნული სამკურნალო კერა პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მიერ სწორედ კონსტანტინეპოლიდან წამოსვლის შემდეგ იქნა დაარსებული. ისიც საყურადღებოა, რომ წყაროებში ეს სამკურნალო დაწესებულება პეტრე იბერიელის ქსენონად იწოდება—„შემდგომად განვიდა უდაბნოთა და აღაშენა მუნცა მონასტერნი, პირსა იორდანესსა მჯდომი მძუინვარე განკურნა. მოვლა ყოველნი უდაბნონი ეგვიპტისა და სკიტისანი, და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა. კუალად მონასტერსა და ქსენონსა თვისსა მოიქცა...“[2] პეტრეს ცხოვრების აღმწერელი, სასწაულად მიიჩნევს რა პეტრეს სამკურნალო ქმედების შედეგს, აღნიშნავს, რომ იგი „მრავალთა უძლურთა და სნეულთა განკურნებდა...“[3]

სამკურნალო დაწესებულებები სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებშიც არსებობდა, რომლებთანაც ქართველ მოღვაწეებს მეტად ახლო სამეგობრო ურთიერთობა ჰქონდათ.

კირილე სკვითოპოლელის თხზულებაში: „ცხოვრება საბა პალესტინელისა“, რომელიც მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ქართული კულტურის უძველესი საზღვარგარეთული ცენტრის—საბას ლავრის შესახებ, ვკითხულობთ, რომ იმპერატორს იუსტინიანეს დაუბარებია საბა და მონასტრების აშენების საკითხი უთქვამს. საბას თავის მხრივ უთხოვია: „...რაითა ერთი სასნეულოი აღაშენო წმიდასა ქალაქსა უცხოთათუის მომავალთა საზრდელად და სნეულთა განსასუენებლად...“[4], ამ თხოვნის პასუხად მეფეს უბრძანებია „...აღშენებად სასნეულოი შუა წმიდასა ქალაქსა და დადგმა ასისა ცხედრისაი“[5] ახლანდელი ენით რომ ვთქვათ, აუშენებიათ საავადმყოფო, სადაც ასი საწოლი ყოფილა. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ასი საწოლი მიუმატებიათ: „და ამისსა შემდგომად კუალად უბრძანა მასვე სასნეულოსა შინა ასი სხუაი ცხედარი...“[6].

---

1 ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, პირველი წიგნი, თბილისი, 1948, გვ. 93.

2 „ქართლის ცხოვრება“, I, დასახელებული გამოცემა, გვ. 134.

3 „პეტრე იბერიელის ცხოვრება“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი, 1946, გვ. 266.

4 „კიმენი“, ტ. II, გამოცემული კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 202.

5 იქვე, გვ. 203.

6 იქვე.

როგორც ჩანს, ეს სამკურნალო დაწესებულება საკმაოდ მოზრდილი ყოფილა, მას 200 საწოლი ჰქონია.

იერუსალიმში გახსნილი სასნეულოების შესახებ საყურადღებო ცნობები გვსვდება იოანე შეყენებულის ცხოვრებაშიც. ამ ძეგლში ვკითხულობთ, რომ იოანე „მოვიდა იერუსალიმად და დაადგრა იგი სასნეულოსა მას, რომელი ეშენა ევდოკიას... და ოდეს იყო სასნეულოსა მას შინა...“[1] და სხვ.

მტკიცება ზედმეტია, რომ ასეთ დიდ სამკურნალო დაწესებულებებს ბრაგალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალიც დასჭირდებოდა. ვინ იყვნენ იქ მკურნალნი, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ერთი კი ცნობილია, რომ ამ კერების ცხოვრებაში ქართველები უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი, ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა, სამკურნალო საქმესაც მისდევდა და ახლოს იდგა აღნიშნულ სამკურნალოებთან. ამას გვაფიქრებინებს საბას ლავრაში მოღვაწე მარტვირი ქართველის ფართო და ღრმა ცოდნა ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხებისა, მისი ინტერესი „მეცნიერ მკურნალთა“ მონაცემებისადმი, რომელთაც იგი იყენებს თავის თხზულებაში „სინანულისათვის და სიმდაბლისა“. თვით გაგება „მეცნიერ მკურნალისა“, რაზედაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი, მკაფიოდ მეტყველებს მარტვირი ქართველის განათლებულობისა და ფართო ინტერესების შესახებ.

აღნიშნული თხზულების გამომკვლევი და გამომცემელი აკად. კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ მარტვირი ქართველმა „იცის ანთროპოლოგია გრიგოლ ნოსელისა და ნემესიოს ემესელისა, აგრეთვე ვიღაც „მეცნიერნი მკურნალნი“, რომელნიც აძლევენ მას მასალას ადამიანის სხეულის შინაგან და გარეგან ორგანოთა ფუნქციების გასათვალისწინებლად“[2].

აკად. კ. კეკელიძე ნაწარმოების განხილვის საფუძველზე მაღალ შეფასებას აძლევს მის ავტორს და აღნიშნავს, რომ „სინანულისათვის სიმდაბლისა“ არის „საყურადღებო და ორიგინალური ნამდვილი მეცნიერული ტრაქტატი გვამის ასოთა ფუნქციების შესახებ“[3]. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ „ადამიანის გვამის ასოთა შესახებ პატროლოგიურსა და ასკეტიკურ ლიტერატურაში ლაპარაკი იშვიათი არაა. პირველად ამაზე ლაპარაკობს გრიგოლ ნოსელი „კაცისა შესაქმეში“ (თავი 8, 9, 10, 11, 12, 14), ლაპარაკობს აგრეთვე ნემესიოს ეპესელი („ბუნებისათვის კაცისა“) და იოანე დამასკელი, მაგრამ ესენი ლაპარაკობენ დამოუკიდებლივ იმისაგან, რაც მარტვირის მიზანს შეადგენს. ლაპარაკობს მათ შესახებ ანტონ დიდი (IV ს.) თავის პირველ ეპისტოლეში...“[4] მაგრამ, განაგრძობს იქვე აკად. კ. კეკელიძე, თუ სხვები იძლევიან თითოეულ ასოს იდეალური, ზნეობრივი თვალსაზრისით, მარტვირთან ლაპარაკია მათი ფუნქციისა და ურთიერთობის შესახებ. „მარტვირის აღწერილობა და ანალიზი უფრო ღრმა, რეალური და „მეცნიერულია“, ვიდრე სხვა საეკლესიო მწერლისა, რომელნიც ამ თემას შეეხებიან. ტყვალად ხომ არ ასახელებს ის „მეცნიერ მკურნალებს“,

---

[1] „ცხოვრება იოანე შეყენებულისაი“, იხ. „კიმენი“, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით. თბილისი, 1918, გვ. 17.

[2] მარტვირი ქართველი და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, III, თბილისი, 1947, გვ. 279.

[3] იქვე, გვ. 240.

[4] იქვე.

რომელნიც „გამოცდილ არიედ და იციან ბუნებრივი თითოებაი“ გვამის ასოთა! ჩანს, პირადი დაკვირვებისა და გამოცდილების გარდა მას „მეცნიერ მკურნალთა“ ცოდნითაც უსარგებლნია“[1].

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა გამოცდილება უნდა ჰქონოდა მარტვირი ქართველს, რომ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მსჯელობას გადმოსდგომოდა? სად უნდა მიეღო მას ეს გამოცდილება? რატომ არის იგი დაინტერესებული ისეთ „მეცნიერ მკურნალთა“ მონაცემებით, „რომელნი გამოცდილ არიედ და იციან“, თუ როგორ წარმოიშვება და განაწილდება ორგანიზმში „ძალი საზრდელისა“?

ყველა ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ მარტვირი ქართველის ბიოგრაფიაში და იმ ვითარებაში, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

მარტვირი ქართველი, როგორც აკად. კ. კეკელიძემ გამოარკვია, მოღვაწეობდა არა უადრეს მეხუთე საუკუნისა და არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრისა. მისი მოღვაწეობის ადგილად მიჩნეულია საბას ლავრა, რადგან მარტვირი ქართველი „საბაწმინდელად“ იწოდება. „საბაწმინდელის“ სახელწოდებას სპეციალურად ამ ლავრის მამასახლისები ან წინამძღვრები ატარებდნენ ხოლმე. მარტვირს რომ ასეთი თანამდებობა ჰქონდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მის თხზულებას ერთ-ერთ ნუსხაში აწერია: „საკითხავი, თქმული ნეტარისა მარტვირი მონაზონისაი სხუათა მონაზონთა მიმართ“. „ჩანს, თხზულება დაწერილია სახელმძღვანელოდ და დასამოძღვრად ბერმონაზვნებისა; მამასადამე ავტორი მისი, თუ მას ასეთი რამეს უფლება აქვს, არის წინამძღვარი, მამასახლისი“ საბა გაწმენდილის ლავრისა პალესტინაში[2].

ცნობილია, რომ პალესტინაში ქართველთა კულტურულ-საგანმანთლებლო ცენტრების შექმნა ჯერ კიდევ V საუკუნიდან დაიწყო. ქართველები, სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, პალესტინაში ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსისა და საბა გაწმენდილის ლავრაში ლიტერატურულ-მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ. ახლა ირკვევა, რომ მათ შორის ზოგიერთი პირი მედიცინაშიც მოღვაწეობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ საბას ლავრაში მოღვაწე პირნი და მათ შორის მარტვირი ქართველი ახლო უნდა მდგარიყვნენ საბას თაოსნობით დაარსებულ ზემოაღნიშნულ ორასსაწოლიან სასნეულოსთან.

მარტვირი ქართველის სპეციალური სამედიცინო განათლების შესახებ ჯერჯერობით ცნობები არ გაგვაჩნია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებებთან სიახლოვეს და იქ მოღვაწე მკურნალებთან ურთიერთობას გარკვეული როლი უნდა შეესრულებია მარტვირი ქართველის მიერ ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცოდნის შეძენაში. აქედან უნდა მომდინარეობდეს ამ მხრივ მისი გამოცდილება და ის ინტერესი, რომელსაც იგი იჩენს „მეცნიერ მკურნალთა“ მონაცემებისადმი.

მონასტრებთან არსებულ სამკურნალო დაწესებულებებში წარმოებული სამედიცინო საქმიანობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ბასილი დიდის წესდება. ამ წესდების 310-ე მუხლში ნათქვამია, რომ ფხიზელი გონება

---

[1] იხ. აკად. კ. კეკელიძის დასახელებული გამოკვლევა მარტვირი ქართველისა და მისი თხზულების შესახებ, გვ. 281.

[2] იქვე, გვ. 269.

გვიკარნახებს უარი არ ვთქვათ არც გაკვეთაზე, არც დადაღვაზე, არც მწ.რე და უსიამოვნო წამლის მიღებაზე, არც ყველა იმისგან თავშეკავებაზე, რაც კი ჯანმრთელობას აზიანებს.

პახომი დიდის წესდების 220-ე მუხლის მიხედვით ირკვევა, რომ სასტუმრო და სასნეულო ყველა მონასტერთან უნდა ყოფილიყო.

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სამკურნალო საქმიანობას და სამედიცინო კადრების აღზრდას ბითვინიაში, ოლიმპის მთაზე, IX საუკუნეში დაარსებულ ქართველთა სამოღვაწეო ცენტრშიც ეწეოდნენ. ქართული კულტურის ეს კერა დაარსებული იყო ილარიონ ქართველის მიერ, რომელიც საქართველოს წარსულის თვალსაჩინო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება. ილარიონს თავისი მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი სამშობლოს გარეთ გაუტარებია, იერუსალიმი, ბითვინია, კონსტანტინეპოლი, მაკედონია, რომი—აი ის მთავარი ადგილები, სადაც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

„...ილარიონი იყო ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით,...“[1] მას ბავშვობიდანვე საფუძვლიანი განათლება მიუღია: „ვითარცა იქნა ექუსისა წლისა მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა, რომელიც იყო დაბასა მისსა,...“[2] 12 წლის ილარიონი მიდის გარეჯის უდაბნოში და იწყებს დამოუკიდებელ მოღვაწეობას, გარეჯიდან იგი წავიდა იერუსალიმში, სადაც „...დაყო შუიდი წელი ღუაწლითა და შრომითა, რომელ ვერვინ შემძლებელ არს მოთხრობად“[3].

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ილარიონმა მონასტერი ააშენა, საღაც შეკრიბა „სამოცდაათექუსმეტნი ძმანი ღირსნი და მოღუაწენი“[4].

ილარიონის მოღვაწეობიდან ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა მისი სამკურნალო საქმიანობის გარკვევა.

ცნობები ილარიონ ქართველის სამკურნალო საქმიანობის შესახებ დაცულია მისი ცხოვრების აღწერილობაში, რომელიც ჯერ მის თანამედროვეს დაუწერია და შემდეგ თეოფილე ხუცესმონაზონს XI საუკუნეში გადაუმუტავრასტებია. მასში წარმოდგენილია ავადმყოფთა განკურნების რამდენიმე შემთხვევა, რაც აღწერილობის მიხედვით „სასწაულის“ ხასიათს ატარებს, მაგრამ სწორი არ იქნება ამ „სასწაულთა“ უკან საქმის ნამდვილი მხარე არ დავინახოთ. დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ილარიონ ქართველი სხვა მოღვაწეობასთან ერთად მკურნალობასაც ეწეოდა.

თხზულებაში მოთხრობილია, რომ საქართველოდან კონსტანტინეპოლში ჩასულ ილარიონს ავადმყოფები განუკურნავს. ეს ამბავი სწრაფად გავრცელებულა და „მრავალნი უკუე მოვიდოდეს მისსა, რომელნიმე სარგებლისათუის სულისა და რომელნიმე კურნებისათუის ხორცთასა.“[5] აქ უკვე აშკარად

---

[1] თეოფილე ხუცეს-მონაზონი. „ცხოვრება ილარიონ ქართველისა“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი, 1946, გვ. 170.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 171.

[4] იქვე.

[5] „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, მ. საბინინის გამოცემა, იხ. „საქართველოს სამოთხე“, გვ. 383.

არის განსხვავებული ილარიონის ორმხრივი მოღვაწეობა: ერთი—სულის სარგებლობისათვის, ე. ი. სასულიერო, და მეორე—„კურნებისათვის ხორცისა", ე. ი. სამკურნალო[1].

✓თხზულების ავტორი დასძენს, რომ მოსახლეობა „ხორცის კურნებისათვის" უფრო მიდიოდა ილარიონთან, ვიდრე „სულის სარგებლობისათვის". ილარიონი „სულის მკურნალი" დაჩრდილა ილარიონმა „ხორცის მკურნალმა". ნაცვლად ღმერთის დიდებისა, მისი ქება დაიწყეს. ლოცვისა და მოსვენების საშუალებას არ აძლევდნენ. ილარიონი გადაწყვეტს გაშორდეს იქაურობას: „იგი ხედვიდა რა თავსა თუისსა, რამეთუ არა უტევებენ დაყუდებად, არამედ მოვლენ და აშფოთებენ და რომელნიმე ადიდებდეს ღმერთსა, შეეშინა ნუ უკუე ბრალსა შთავარდეს უღირსებით ქებისათუის, რამე თუ იგი ნამდვილვე ღირს იყო ყოვლისა პატივისა და განიზრახა, რათა მისცეს თავი თუისი კუალად უცხოებად"[2].

✓ ილარიონი რომში წავიდა. იქ მან ორი წელიწადი დაყო. შემდეგ თესალონიკაში ჩავიდა. თესალონიკში, როგორც ბიოგრაფი გადმოგვცემს, ერთი დიდებულის ოჯახში ბავშვი განუკურნავს. როცა მშობლებს შვილის განკურნების ამბავი შეუტყვიათ, ისინი ფეხებში ჩავარდნიან ილარიონს და ითხოვდნენ „კურნებას", (ლაპარაკია „სულიერ მკურნალობაზე"). ავტორი აღნიშნავს, რომ ილარიონმა „განკურნა სულნი მშობელთანი უფროს ვიდრეცა შუილისა მის მათისა სენნი ხორციელნი"[3]. ეს ცნობა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ილარიონი სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად „ხორცის მკურნალობასაც" ეწეოდა

ბავშვის მამა, რომელსაც „აქუნდა პირუველი პატივი მთავრობის, ქალაქსა მას შინა..."[4] ეეედრებოდა ილარიონს „...მოვლად ქალაქისა მათისა და სადაცა ჰპოოს ადგილი სათნო მისი და მკუიდრებად იგი, რათა აქუნდეს მათ მარადის მ კ ურ ნ ა ლ ად წ ყ ლ ულ ე ბ ს ა ს ულ ი ს დ ა ხ ო რ ც თ ა მ ა თ თ ა ს"[5] ბოლოს მოსახლეობის თხოვნამ გასჭრა და ილარიონი მათ ქალაქში დარჩა. „მრავლსა მას უკუე ვეედრებასა მთავრისასა და მეუღლისა მისისასა და სხუისა მის ერისასა მოდრკა მორჩილებად მამა იგი..."[6] ბიოგრაფის ცნობით, აქ მას მრავალი საქმე გაუკეთებია და ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა.

ულომბოს მთაზე ილარიონს მოწაფეებიც ჰყოლია: „..სამნი ძმანი ქართუელნი"; „...ერთი მათგანი კეთილად მეცნიერ იყო... ადრე ასწავებდა სიტყუასა ჭეშმარიტებისასა წმინდა იგი მამა"[7].

ილარიონის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის იმპერატორს ბასილ I მოუკითხავს ილარიონის მოწაფეები: „ჰკითხუიდა მეფე უკეთუ დაშთომილ არს ვინმე მოწაფეთაგან მისთა და ისწავა..."[8] მოახსენეს, რომ „...ვითარმედ არიან ჯერეთ სამნი ოდენ მოწაფეთაგან მისთა მოხუცებულნი პატიოსანნი და მისთა მათ სათნოებათა ზედა მიწევნით მეცნიერნი..."[9] ეს სამი მოწაფე უნდა იყოს

[1] ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ „ხორცის მკურნალი" ექიმის მნიშვნელობით იხმარებოდა. იხ. თავი: „ექიმი და ექიმობა".

[2] „ილარიონ ქართველის ცხოვრება", მ. საბინინის გამოცემა, იხ. „საქართველოს სამოთხე", გვ. 383.

[3] იქვე, გვ. 385.

[4] იქვე, გვ. 384.

[5] იქვე, გვ. 385. ხაზი ჩვენია.

[6] იქვე, გვ. 385.

[7] იქვე, გვ. 383.

[8] იქვე, გვ. 389.

[9] იქვე.

ზემოაღნიშნული სამი ქართველი, რომლებიც ილარიონთან მივიდნენ და მასთან დარჩნენ.

საქართველოსთან კეთილგანწყობის შენარჩუნებით დაინტერესებულ ბიზანტიის იმპერატორს ბრძანება გაუცია ილარიონის მოწაფეთათვის სპეციალური მონასტერი აეგოთ. მართლაც, 876 წელს კონსტანტინეპოლში აგებული იქნა ჰრომანის მონასტერი, სადაც ილარიონის ნეშტი იქნა გადმოსვენებული და დაკრძალული. აქვე დამკვიდრდნენ ილარიონის მოწაფენიც.

მონასტრის აგებასა და მოწყობაზე იმპერატორს დიდი ქონება გაეცია. „...დადგნა საწიგნენი და სახარეანი და პაველ და სხვანი წიგნები მრავლად"[1]. როცა მონასტერი მოაწყეს, ბასილ I-ს თავისი ორი ვაჟი: ლეონ და ალექსანდრე მონასტერში მიუყვანია და ილარიონის მოწაფეებისთვის უთხოვია: „...ასწავლეთ ამათ ენაი და წიგნი თქუენი..."[2].

მკურნალობისა და სამედიცინო განათლების კერა არსებობდა აგრეთვე ათონის ივერიის მონასტერთან, რომელიც ქართული კულტურის აღმავლობის შედეგად აღმოცენდა. იგი აგრძელებდა და ავითარებდა ტაო-კლარჯეთის სკოლის ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობის ტრადიციებს.

ირკვევა, რომ ათონის ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მოღვაწეობაში საპატიო ადგილი ეჭირა სამედიცინო საქმიანობასაც, რისთვისაც აღნიშნულ კერას სამკურნალო დაწესებულებებიც ჰქონდა. „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერ აღაპებში" ვკითხულობთ, რომ „...კუალად ამან მიქელ მოგვცა პერპერაი: ი: სასნეულო საშენებლად..."[3] ე. ი. ვინმე მიქელს ქონება შეუწირავს სასნეულოს ასაშენებლად. შეგროვებული თანხით საავადმყოფო მართლაც აუშენებიათ და მას შეწირულ სახსრებით ინახავდნენ. 146-ე აღაპში ნათქვამია, რომ „...ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი განუწესენით სასნეულოს წმიდისა ირინეს ხატსა, რათა შემდგომად მისსა ვინცა მესნეულე იყოს, იგი ეურვოდეს. დასნეულებულთა ახმარებდის,..."[4] აქედან ჩანს, რომ ოქროპირის მიერ გაშენებული ზეთისხილის ბაღი სასნეულოს სარგებლობაში გადასულა.

სასნეულოს აშენება 165-ე აღაპშიც არის აღნიშნული: „...აღაშენა დიდისა ბურღოისა ბასილაითურთ ვიდრეცა სასნეულოდმდე,..."[5]

XIII—XIV საუკუნეებში ათონის მონასტერი რამდენჯერმე იქნა დარბეული, მაგრამ მატერიალური დახმარების შედეგად და, პირველ რიგში, საქართველოდან გაგზავნილი ქონებით იგი კვლავ მოეწყო: ძველი შენობები შეკეთებულ იქნა, სასნეულოებიც აღადგინეს და რამდენიმე ახალიც ააშენეს.

162-ე და 163-ე აღაპის მიხედვით ირკვევა, რომ XV საუკუნის მიწურულში ყვარყვარე ათაბაგის შვილს მზეჭაბუკს გაუგზავნია თავისი ძმის ქაიხოსროს აღზრდილი კაცი, სახელად ამბროსი და მისთვის დიდძალი ქონება გაუტანებია ქართველთა მონასტრებისათვის გადასაცემად, მათ შორის ათონზე არსებული მონასტრისათვისაც. ამ ქონებით „...საუძლურე აღაშენა მისით კაზმულობითა"[6].

---

1 „ილარიონ ქართველის ცხოვრება", ს. უბანეიშვილის გამოცემა, გვ. 175.

2 იქვე.

3 „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები". საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901, გვ. 223, აღაპი 22.

4 იქვე, გვ. 256—257, აღაპი 146.

5 იქვე, გვ. 270, აღაპი 165.

6 იქვე, გვ. 267.

ეს ფაქტი დასტურდება ამ უკანასკნელ წლებში მოპოვებული დოკუმენტითაც— „მოთხრობაი უმშუენიერესი მონასტრისათუის ივერთაისა, რომლისა თანა-ჰდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი"[1].

ამ დოკუმენტში ნათქვამია: „ესრეთ უკვე რა იქმნა მონასტერი, აჰა შუიდგზის მეათასეულესა წელსა შინა მყოფსა დასასრულსა და მერვისა საუკუნოისა დასაბამსა, რომელ არს ჩუენ, წარვიდენ ვიეთნიმე მათგანნი, რომელნიცა იპოვებოდნენ მუნ, ივერთა თუითმპყრობელობათა შინა, და მიემთხუევნენ რა კეთილმსახურსა მას ბატონსა და მეფესა, უფალსა გორგორანსა, და თანამესაუბრე ექმნეს მას ყოვლადვე მონასტრისათუის საკმაოდ, კეთილ მსმენელ ექმნა და შეეწია მათ. არამედ მეფე უფლისა მიმართ განვიდა რა, ძენი მისნი მემკუიდრენი მთავრობისა და მეფობისა იქმნეს, რომელთა სახელნი ქაიხოსრო და მზეჭაბუკ, კეთილმსახურნი მეფენი და ბატონნი, დიდად შეეწინენ მონასტრისა ამის აღდგინებასა და მისთა სანოვაგეთა და სადგურთაცა და დაცემულნი და გახრწნილნი გოდოლთა და სენაკთანი აღაგეს და წარმართეს. არამედ დიდი გოდოლიცა მაშინ აღეგო და საფუძველითგან აღშენებული იქმნა და ეკლესიაცა გუმბეთნი და გარე კარ-ისბჭე და სხუანიც ყოველნი სასარგებლონი სახმარებელნი აღმზადებულ იქმნენ..."[2]

სამკურნალო დაწესებულებები ათონის ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან, როგორც ირკვევა, შემდეგ საუკუნეებშიც არსებობდა. ზემოაღნიშნულ წყაროში ნათქვამია, რომ სასნეულოები ათონზე XVII საუკუნეშიც ყოფილა: „შუიდათას ას ათორმეტსა წელსა ადამით, ჩქდ ქრისტესით, წინამძღურობასა გაბრიელ ხუცისა ათინელისასა, რომელი მოვიდა ივერიით; ავაშენეთ სენაკები წმიდის გიორგის სასნეულოის სახლითგან ვიდრე წმიდათა უვეცხლოთა სახაროდათამდე და ყოველთა წმიდათა წარსაგებელითა უფლისა კოზმა, თესალონიკისა მიტროპოლიტისაითა, და სხუაი საქართველოსგან"[3].

1610 წელს ათონზე ახალი სასნეულო აუგიათ—„შვიდათას ას და ათვრ-მეტსა ადამით, ქრისტესით ჩქი წელსა შინა, ავაშენეთ ახალი სასნეულოი ზემო ნაკეთსაყუდელსა სახლსა და იქმნა ეკლესიაიცა წმიდისა მოდისტოსისაი, წინამძღურობასა კუალად უფლისა პართენიოს ხუცისასა, წარსაგებელითა ანგელ კაკავისაითა, და სხუანი მონასტერისანი"[4].

1670 წელს ძველი სასნეულო შეუკეთებიათ, ხოლო სამა წლის შემდეგ კიდევ ახალი აუგიათ: „შვიდათას ასსამეოცდა ათვრამეტსა, ქრისტესით ჩქო წელსა, გავაკეთეთ ქუემო ძველისა სასნეულოისა სახლისა კამერები და დავკლიტეთ. წარსაგებელი უკუე იყო მონასტრისაი,..."[5].

„შვიდათას ას ოთხმეოცდა ერთსა, ქრისტესით ჩქოგ წელსა გავაკეთეთ სასნეულოი სახლი ახალი და სასტუმროი ზემო მისა"[6].

---

[1] ეს დოკუმენტი, როგორც მისი გამომცემელი აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, არის თავისებური ქრონიკა, რომელშიც წლების მიხედვით, დაწყებული 1280-ით და გათავებული 1674 წლით, მიყვანილია ცნობები ივერთა მონასტრის წინამძღვართა, მნიშვნელოვან მოღვაწეთა და მოვლენათა, განსაკუთრებით კი სამონასტრო აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ. იხ. კ. კეკელიძის „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", III, თბილისი, 1955, გვ. 69—86.

[2] იქვე, გვ. 82—83.

[3] იქვე, გვ. 84.

[4] იქვე, გვ. 86.

[5] იქვე.

[6] იქვე.

მონასტრის მესვეურნი ცდილობდნენ, რომ, საერთოდ, მონასტერი და მასთან არსებული სამკურნალო დაწესებულებები, კარგად ყოფილიყო მოწყობილი. წყაროებიდან ირკვევა, რომ ათონის ქართველთა მონასტერს ჰქონია იშვიათ ხელნაწერ წიგნთა საცავი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მეცნიერული, ისე საგანმანათლებლო მუშაობისათვის. მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ ათონის ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა მრავალი ახალგაზრდა აღზარდა.

მარტო გიორგი მთაწმინდელს, რომელიც „...ყოველსა ერსა შემსგავსებულითა სწავლითა განანათლებდა, უსწავლელთა სწავლიდა, ხოლო სწავლულთა სწავლათა მათ აღუხსენებდა,...“[1] ქართლში ყოფნისას 80-მდე მცირეწლოვანი ბავშვი შეუკრებია და ათონზე წაუყვანია აღსაზრდელად: „...რომელნიმე ქალაქთაგან, რომელნიმე დაბათაგან, სხუანი სრულიად უდაბურთა ადგილთა პოვნა, სხუანი მონებისაგან გამოიყვანნა, ხოლო სხუანი მონებისა უმწარესისა ცხორებისაგან იხსნნა, და ესრეთ ჟამსავე სიყრმისა და უმანკოებისასა, ვიდრე ცნობადმდე კეთილისა და ბოროტისა, გამოიხსნნა ნეტარმან ამან, და ესევითართა შეურაცხთა საქმეთაგან მღდელად უბიწოდ და მნედ სარწმუნოდ ქრისტეს შეწირნა და... ესრეთ რაი ყოველსა აღმოსავლეთსა განეფინა საქმე ესე საკეთილველი, იწყეს ყოვლით კერძო შემოკრებად, რომელნიმე მშობელთა თუისთა მოიყვანიან და ეევდრებიედ შეწყნარებად, და რომელთამე წინაშე კართა დაუტევიან და ივლტოდიან, სხუანი კუალად, რომელნიმე გონებითა მახუილნი, მშობელთა თუისთაგან თუით ლტოლვილნი, წმიდისა ამის ნავთ-საყუდელსა შემოეევდრნიან, და ესრეთ აღორძნდა ღმრთივ-შეკრებული· ესე კრებული, ვიდრე-ღა აღვიდა ოთხმეოც რიცხუად“[2].

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ათონზე საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა შემდეგ საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა. განათლებამიღებული ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნებულნი „საეკლესიო სამსახურის გარდა ფართოდ მუშაობდნენ აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზზე, განსაკუთრებით ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს დ ა ც ვ ი ს ა და სახალხო განათლების დარგში“[3].

საქართველოში სამედიცინო განათლებამ განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია XI—XII საუკუნისათვის, როდესაც გელათისა და იყალთოს აკადემიები გაიხსნა და ფართო მეცნიერული მუშაობა გაიშალა.

გელათის აკადემიის შენობათა კომპლექსში უნდა ყოფილიყო შემავალი ქსენონი[4], რომლის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დავითმა „...აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრბინა ძმანი თუითო სახითა განცდილნი...“[5].

---

1 გიორგი ხუცესმონაზონი, „გიორგი ათონელის ცხოვრება“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 207.

2 იქვე.

3 გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევი პირველი, თბილისი, 1938, გვ. 21.

4 ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1948, გვ. 32.

5 „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ, თბილისი 1955, გვ. 331.

აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის წიგნში: „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორისათვის", მოჰყავს იგივე ადგილი მარიამისეული „ქართლის ცხოვრებიდან", სადაც რამდენიმე ქსენონის აშენებაზეა ლაპარაკი: „აღაშენნა ქსენონნი"[1] და დაასკვნის, რომ „დავით აღმაშენებელს არა ერთი ქსენონი აუგია"[2].

ქსენონის არსებობა უმაღლესი განათლების კერასთან გავრცელებული მოვლენა ყოფილა ბიზანტიაშიც. მაგალითად, XIII საუკუნეში კონსტანტინეპოლში არსებული პლანუდეს სკოლა შეიცავდა: სკოლას, მონასტერს, ქსენონს.

„თუ ქსენონი მართლაც გელათის სისტემაში შედიოდა, მაშინ შესაძლებელია გელათის აკადემიაში... ისწავლებოდა აგრეთვე მედიცინაც... და იქნებ შემთხვევით არ არის ის გარემოებაც, რომ იოანე პეტრიწი სწორედ იმ ადგილას, სადაც ზემორე განხილულ შვიდ დისციპლინაზე ლაპარაკობს და ფილოსოფიაზე საუბარს მოათავებს, არ ივიწყებს მედიცინასაც და მასზედაც იძლევა დაწვრილებით ცნობებს"[3].

მედიცინა იმ დროისათვის, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, საპატიო ადგილს იკერს საერთო განათლების სისტემაში. მედიცინა ისწავლებოდა მანგანის, ბაღდადის აკადემიებში. არსებობს მთელი რიგი სარწმუნო საბუთები რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვაღიაროთ მედიცინის და ბუნებისმეტყველების სწავლება გელათის და იყალთოს აკადემიაშიც. საამისოდ შესაფერისი პირობებიც არსებობდა როგორც პედაგოგიური ძალების, ისე სამედიცინო ლიტერატურის მხრივ.

ჯერ-ჯერობით სრული ცნობები არ გაგვაჩნია იმ მოძღვართ-მოძღვართა შესახებ, რომლებიც აღნიშნული აკადემიებში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ისინი, ვინც ჩვენთვის ცნობილი არიან, განსწავლული იყვნენ მედიცინაშიც. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, პრაქტიკულ საექიმო საქმიანობას არ მისდევდნენ და მედიცინის თეორიული საფუძვლების სწავლებით კმაყოფილდებოდნენ. მათ შორის უპირველესად აღსანიშნავია დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. ეს უკანასკნელი ქართულ წყაროებში ანატომადაც იხსენიება. ანტონ I კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში" არსენის შესახებ წერს:

„ღუითის-მეტყველება. ამისი არს საქებელი,
ფისიკა კუალად, ა ნ ა ტ ო მ ი ა სხუანი,
ფილოსოფია, ხედვითი პრაქტიკითურთ..."[4]. -

ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილი. იგი წერს, რომ „...არსენი იყალთოელი იყო ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი, და ფიზიკოსი, და ანატომიკოსი, ალიღორიულთა შეთხზვათა შინა ქებული, საღმრთოთა საგალობელთა კეთილად

---

[1] „ქართლის ცხოვრება", მარიამ დედოფლის ვარიანტი გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის ჰედაქტორობით, თბილისი, 1906, გვ. 295.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 34.

[4] ანტონ I კათალიკოსი, „წყობილსიტყვაობა", თბილისი, 1853, გვ. 261. ხაზი ჩვენია.

დამთხზველი, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიოთა ტიბიკონთა მეცნიერი"[1].

არსენ იყალთოელის მოღვაწეობის აქ ჩამოთვლილი ზოგიერთი მხარე, ისტორიოგრაფიაში ეჭვის ქვეშ არის დაყენებული, კერძოდ მისი საეკლესიო „ტიბიკონთა მეცნიერობა და საგალობელთა შემთხზველობა"[2]. აღსანიშნავია, რომ ანტონ I კათალიკოსი „წყობილსიტყვაობაში" არ ასახელებს არსენ იყალთოელის მოღვაწეობის იმ მხარეებს, რომლებიც საეჭვოდ არის ახლა მიჩნეული.

არსენ იყალთოელის ანატომობა სრულიად შესაძლებლად ითვლება. ნ. ცომაია თავის გამოკვლევაში: „დაავადებანი და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა ძველ საქართველოში არასამედიცინო ძეგლების მიხედვით" (1950), ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „არსენ იყალთოელის ანატომობა დასაშვებია , თუ გავითვალისწინებთ მის ბიოგრაფიულ ცნობებს და იმ ვითარებას, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა"[3].

არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უმაღლესი განათლება ბიზანტიაში, კონსტანტინე მონომახის მიერ 1044—1047 წლებში დაარსებულ მანგანის აკადემიაში, მიიღეს და შემდეგ იქვე განაგრძობდნენ ერთხანს მოღვაწეობას. მანგანის აკადემიასთან არსებობდა ქსენონი და მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად მედიცინაც ისწავლებოდა. როგორც ამ აკადემიის ცნობილი მოღვაწე მიქაელ პსელოსი იტყვის, იგი თავის მსნელებს, ფილოსოფიის გარდა, მასალას ბუნებისმეტყველებიდან და მედიცინიდანაც აწვდიდა. აქ უნდა გასცნობოდნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი მედიცინას. მათი ინტერესი ამ დარგისადმი, როგორც ჩანს, გელათისა და იყალთოს აკადემიაში მოღვაწეობის წლებშიც არ შენელებულა[5]. როგორც ერთი, ისე მეორე კერა დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. არსებობს ცნობა, რომ იოანე პეტრიწს ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა" სწორედ გელათის აკადემიაში მოღვაწეობის პერიოდში უნდა ეთარგმნა: „ელადელთა ხმათაგან გადმოიცა ესე ქართულად საკვირველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწის მიერ, იოანედ სახელდებულისა, კელლინსა შინა გაენათისასა"[6].

---

[1] იოანე ბატონიშვილი „კალმასობა", ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქტორობით, სახელგამი, თბილისი, 1948, გვ. 175.

[2] კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1951, გვ. 264—265.

[3] ნ. ცომაია, „დაავადებანი და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა ძველ საქართველოში არასამედიცინო ძეგლების მიხედვით". მოხსენებულია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე, 1950 წ. 30 მაისს, ოქმი № 9.

[4] შ. ნუცუბიძე. განათლება და საგანმანათლებლო იდეები ქართულ რენესანსში. ეუბ. „მნათობი", 1942, № 9—10, გვ. 217.

[5] ვახუშტის „გეოგრაფიის" ერთ-ერთ გადამწერს, დავით რეკტორს, არსენ იყალთოელის შესახებ აშიაზე მიწერილი აქვს: „ესე არსენი იყო გვრად ვინაძე იბადის-ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმიწევნილი. აქუნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღუარი სამეცნიეროსა დავით აღმაშენებელისა მეფისა..." (ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ფონდი H, № 934). მოგვყავს თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემული ვახუშტის „გეოგრაფიიდან", თბილისი, 1941, გვ. 341.

[6] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა"-დმი წამძღვარებული გამოკვლევა ს. გორგაძისა, გვ. XIV.

ამ ეპოქის მთელი რიგი ორიგინალური და თარგმნილი სამედიცინო ძეგლები, რომლებიც საბუნებისმეტყველო და სამედიცინო მონაცემების მრავალფეროვნებითა და სიღრმით გამოირჩევიან, შესაძლებელია სწორედ გელათის აკადემიაში და სხვა ასეთი ტიპის დაწესებულებებში იქმნებოდა, როგორც სახელმძღვანელო სწავლისა და მუშაობის პერიოდში. მათი შინაარსის განხილვა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმ დროისათვის სამედიცინო ცოდნის მოცულობის შესახებ.

„უსწორო კარაბადინსა" და „წიგნი სააქიმოიში" წარმოდგენილია ძირითადად ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც იმდროინდელ მსოფლიო მედიცინაში განიხილებოდნენ. ამაში მარტო აღნიშნული ძეგლების სარჩევის გაცნობითაც კი ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ.

სარჩევი „უსწორო კარაბადინისა":

ა. კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი: აქიმისაგან სნეულისა მოკითხვა რაგვარად უნდა.

ბ. კ ა რ ი მ ე ო რ ე: შეტყუება და ნახვა ყოვლისა ფერისა კარულისა[1].

გ. კ ა რ ი მ ე ს ა მ ე: კარი და ნიშანი განავალისა.

დ. კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე: კარი და ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის.

ე. კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე: კარი და ნიშანი სნეული რომე ფერად ფერადსა სიზჷარსა ნახვიდეს.

ვ. კ ა რ ი მ ე ე ქ ვ ს ე: კარი და ნიშანი რა ბურანსა შევიდეს კაცი[2].

ზ. კ ა რ ი მ ე შ ვ ი დ ე: სულს რომ ვერ ისულთქმიდეს.

Თ. კ ა რ ი მ ე რ ვ ე: წელიწადთა ცნობისა.

თ. კ ა რ ი მ ე ც ხ რ ე: კაცს რომე ასოები ემღეროდეს.

ი. კ ა რ ი მ ე ა თ ე: რასთენი სენი არ ეშველების კაცსა.

ია. კ ა რ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე: წამლების აღებისა.

იბ. კ ა რ ი მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე: ბრძანებითა ღვთისათა თუ ვითარ დაიბადების ანუ შეიქმნების კაცი[3].

იგ. კ ა რ ი მ ე ა თ ც ა მ ე ტ ე: წამლის აღებისა.

იდ. კ ა რ ი მ ე ა თ თ ო თ ხ მ ე ტ ე: წურილის წამლებისა.

იე. კ ა რ ი მ ე ა თ ხ უ თ მ ე ტ ე: იარაჯების გასახსნელისა.

ივ. კ ა რ ი მ ე თ ე ქ უ ს მ ე ტ ე: მათბუხისა ზაფრასა, სევდასა და ბალღამს უშველის.

იზ. კ ა რ ი მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე: ერგების ყოველთა ტკივილთა და სალმობათა და წამალი გვერდით უწერია სამკურნალო[4].

ით. კ ა რ ი მ ე ა ც ხ რ ა მ ე ტ ე: თითით სალოკელი წამლები.

კ. კ ა რ ი მ ე ო ც ე: ყურსებისა[5] გარჩევით.

კა. კ ა რ ი მ ე ო ც დ ა ე რ თ ე: სიცხის ტლეებისა დაცდილი.

კბ. კ ა რ ი მ ე ო ც დ ა ო რ ე: მაჯუნთა გაკეთებისა, რომე კაცსა სიჷრთელესა მატებს. მაჯუნებისა თარგმანთა და იარაჯთა.

---

[1] კარულა შარდის შესაგროვებელ ჭურჭელს ეწოდებოდა, ამ შემთხვევაში თავი შეეხება შარდის გასინჯვის წესებს.

[2] ვარიანტს თავში ერთი ფურცელი აკლია, აქამდე აღდგენილია ლ. კოტეტიშვილის მიერ ტექსტის მიხედვით.

[3] სარჩევში ეს კარი გამოტოვებულია, იგი აღდგენილია გამომცემლის მიერ ტექსტის მიხედვით.

[4] კარი მეთვრამეტე გამოტოვებულია.

[5] ყურსი (არაბ)—კვერი, ტაბლეტი. „უსწორო კარაბადინი", გვ. 254.

კგ. კარი მეოცდასამე: შარბათებისა რომელ არგებს ვარამსა.

კდ. კარი მეოცდათოთხე: სიქანგუბინისა და ღვიძლისათვის.

კე. კარი მეოცდახუთე: ცხროთა წამალთა შეტყობისა და ლოცვისა.

კვ. კარი მეოცდაექუსე: დედაკაცი რომ არ დაორსულდეს და წესისა.

კზ. კარი მეოცდაშვიდე: დედაკაცი რომე ძნელად შობდეს.

კᲧ. კარი მეოცდარვე: წყლით ორსულობისა რომე მართალი ორსულობა ეგენოს დედაკაცსა.

კთ. კარი ოცდაცხრა: ყმაწვილის გაზრდისა. თუ დედაკაცსა ეშვილობას სწამობდეს.

ლ. კარი ოცდაათი: დედათა წესისა.

ლა. კარი ოცდამეთერთმეტე: წესისა უკუდგომისა.

ლბ. კარი ოცდათორმეტი: თუ დედაკაცსა რძე დააკლდებოდეს.

ლე. კარი ოცდაცამეტი: საშობოსა შიგან თუ სიმსივნე დაემართოს. სენისაგან.

ლ.დ. კარი ოცდათოთხმეტი: ისთინაყი რომე ჰქვიან საშოსა.

ლგ. კარი ოცდახუთმეტი: კაცი რომ ცოლთან ვერ დაწვებოდეს სენისაგან.

აქ მთავრდება სარჩევის პირველი ნაწილი, ამას მოსდევს „კარი ცხროთა", რომელიც ოცდახუთ ქვეთავს შეიცავს.

კე. კარი ცხროთა.

ა. უძილობისაგანაც დაემართების.

ბ. ცხრო დიდისა სარჯელისაგან იქნების.

გ. ავის თვალისაგანაც დაემართების.

დ. შეშინებისაგანაც დაემართების.

ე. დიდისა საგონებლისაგან დაემართების.

ვ. სიცხისაგან დაემართების.

ზ. მთვარიან ღამეს გარეთ წვებოდეს იმისიგანაც დაემართების.

Ყ. ნამეტნავად სიცივისა და ცივის წყლისა და ცივის ქარისაგანაც დაემართების.

თ. სიმსივნისაგან და თითის ტკივილისაგანაც დაემართების.

ი. დაკოდისა და ცემისაგან დაემართების.

ია. სიმაშურალისა და ჭირისაგან დაემართების.

იბ. სისხლისაგანაც დაემართების რომე გასივდეს და მსუქანსა გვანდეს.

იგ. საფრისაგანაც დაემართების.

იდ. სევდისაგანაც დაემართების, რომელ არს შავი ნაღველი.

იე. ბალღმისაგან იქნების.

ივ. უხარშავის ბალღმისაგანაც იქნების.

იზ. შიმშილისა და წყურვილისაგანაც იქნების.

იᲧ. დიყისაცა არის ცხრო რომელ დაემართების.

ით. დიდის ღვინისაგანაც დაემართების.

კ. მსხმოსა და ავის ქარისაგანაც დაემართების.

კა. მუტბიყისა ეწოდების სახელად.

კბ. კიდევ სხვაც არის რომე მუტბიყი.

კგ. ყვავილისაგანაც დაემართების.

კდ. ხველისა და სურდოსაგანაც დაემართების.

კე. მეთერთმეტესა დღესა რომე მოუვიდოდეს, ისეთიც იქნების ცხრო.

ამ დაავადებათა განხილვას მოსდევს სარჩევის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება წიგნის იმ ნაწილს, სადაც „თავით თმითგან, ვიდრე ფერხით ფრჩხილამდის რაც სენი არის, ყველას ნიშანი და წამალნი ცალკე ცალკე გვერდს უწერიან გამოჩენითა.“

ეს სარჩევი უკვე ახალი რიგით იწყება.

ა. სწერია ყოვლისა ფერის თავის ტკივილის, ბრუსა, თავქედისა, შაკიკისა და უძილობისა, რომე ავად ყოფაშიგა და სიბერეშიგა დაემართების, ყველა ამა კარშიგა სწერია.

ბ. მანახულისა და მისი ნიშანი.

გ. სარისი და სექდასი.

დ. ფილენჯისა, ლაყვასა, რაშასა და თასანუჯისა, რომე ძარღვისა დამოკლებასა ჰქვიან.

ე. თვალის ტკივილისა

კ ა რ ი ყ ო ვ ლ ი ს ფ ე რ ი ს ყ უ რ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა.

ვ. ყურის ტკივილსა.

ზ. ცხვირისა და ცხვირთათ რომე ბოვასირი გამოვიდეს, სურდოსა და ცხვირთად რომე სისხლი სდიოდეს, დაცემისა და უკუყენებისა.

ᲗᲘ. პირისა, ბაგისა, კბილთა და ენისა და ყბისა.

თ. ყელისა, ხახისა და მაღაზისა, ხუნაყისა და ყელიდაღმან რომე სისხლი ამოსდიოდეს, და ხმისა ჩასულისა. სხუავე ყელის ტკივილისა, გარეთ რომე სტკიოდეს.

ი. წურბლისა, რომე წყლის სმასა შიგან ჩაჰყოლოდეს

ია. ხველისა და ზიუნაფაზისა, ფირტვისა სიმსივნისა, მკერდისა და სილისა, რომე ფირტვისა სწყლულსა ჰქვიან.

იბ. სტომაქისა, ბოყინისა, სლოკინისა და აიზასი, რომე საჭამადისა დამჟავდებასა ჰქვიან.

იგ. გულსა და გულის წვისა.

იდ. ღვიძლისა და ვარამისა, რომე სიმსივნესა ჰქვიან.

იე. სისხასა, დიყისა და იარაყანისა.

ივ. კარი ტყირპისა ტკივილისა.

იზ. საჯისა და ყვანისა.

იᲗ. კოლინჯისა და ჯაშასი, რომე ფირტვი არის.

ით. თირკმელთა და ქანთელისა.

კ. ბუშტისა და შირიმისა.

კა. სარცხვენელისა, ყვერის ტკივილსა და ნაწლევნი რომე ყვერშიგან ჩამოვიდენ მისი.

კბ. უკანასა კარისა, ბოვასირისა და შუყაყისა და ქავილისა.

კგ. ჭიებისა სამივე ფერისა.

კდ. არყანიასა და მუფასლისა და მიკრისისა.

კე. ახალი დასაწყისი თავით თმით ვირემ ფერხისა ფრჩხილებამდე რაც კაცს გარეთ სენი დაემართების.

კვ. პირის ფერისა შენახვისა.

კზ. ბაყისა და ბარასისა.

კᲗ. მუწუკებისა გარეთ რომე ესხას.

კთ. მაგრისა სიმსივნისა.
ლ. კისრის ტკივილისა.
ლა. მხრის თავის ტკივილისა.
ლბ. ფსელი რომე უნდომად წაუვიდოდეს.
ლგ. მოტეხილისა და ამოგდებულისა.
ლდ. დამწურისა და დამდუღრილისა
ლე. ტან შიგა რომ ქარი დაიბადოს.
ლვ. რწყევისა.
ლზ. ყვავილისა და ავი ჟამისა.
ლᲗ. ტან შიგა რომ სიმსივნე გამოჩნდეს.
ლთ. ღლია რომე უყროლდეს და ფეხები.
მ. ხადირესა რომე წელთა ქვეით მობანდებოდეს.
მა. დაულფილისა და დავალისა.
მბ. ქუსლისა და ხელფეხისა დახეთქისა.
მგ. ისრის პირისა და ეკლის გამოღებისა.
მდ. სიმუსლისა და სიმსუქნისა.
მე. მოწამლულისა წამალი.
მვ. გველების კბენისა და მისი წამალი, ბორიალისა და ღრიანკალისა, ბვემძრომთა და ბრაზიანისა ძაღლისა.
მზ. ძარღუთა გახსნისა, კოტოშისა და წურბლისა.
იᲗ. აბანოს ბანისა.
მთ. ტილი რომ თმასა და წვერში დაიბადოს.
ნ. ძილისა და ღვიძილისა.
ნა. საჰმელთა მეავეთა და ტკბილთა.
ნბ. ტანისამოსთა.
ნგ. ახლად დასახლებისა.
ნდ. ზეთებისა შექნა.
ნე. ხასიათი თევზთა და ხორცთა.
ნვ. რძის ხასიათი.
ნზ. თესლების ხასიათი.
ნᲗ. ბოსტნეულთ ხასიათი.
ნთ. ახლისა და ხმელისა ხილისა.
ᲐᲔ ტკბილთა და შაქრიანთა.
ᲐᲐ. ღვინასა და წყლისა.
ᲐᲑ. მარტო წამლებისა.

წიგნის სტრუქტურა და მთელი რიგი სხვა ნიშნები მოწმობენ, რომ სახელმძღვანელოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აგრეთვე „წიგნი სააქიმოი". ამასვე ადასტურებს წიგნის ზოგიერთი ადგილიც. მაგალითად, მეათე გვერდზე ნათქვამია: „აწ რაიზედაც სწავლაი უნდა მოსწავლესა, სრულიად ვახსენო ამა წიგნსა შინა, და მოკლედ და ნივთიანად მწადიან და აღწერად,.."[1] ან კიდევ: „მეთვითოი მისი გამოგიცხადო აგრე რომელ მოსწავლემან ადვილად ისწავლოს"[2]. „აწ მე ყოველსა ნიშანსა გამოგიცხადებ რომელ ისწავლოთ"[3]. „გაგონებით ვახსენო, რომელ მოსწავლემან გაგონებით ისწავლოს"[4].

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 39.
[2] იქვე.
[3] იქვე, 47.
[4] იქვე, გვ. 20.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „წიგნი სააქიმოის“ სახელმძღვანელოდ გამოყენება შემთხვევითი კი არ იყო, არამედ იგი შედგენისთანავე სახელმძღვანელოდ ყოფილა გათვალისწინებული: „იცოდე რომელ ბუჰრანისათვის დია შეუბნებულან აქიმნი და დია წიგნები შეუქნია ბუჰრანისა მეცნიერებისათვის, რომელ თუ ყველაი ვახსენოთ, მსწავლებელსა მოეწყინების და სარგებელსა ვერ ჰპოებს. მაგრამ მათი გამორჩეული სიტყვაი შემოგვიღია ამას წიგნსა შიგან ̈ოკლე და ნივთიანი, და მსწავლებელთათვის მოუწყინარი“[1].

ვნახოთ ეხლა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სამედიცინო ცოდნის მოცულობა „წიგნი სააქიმოის“ მიხედვით.

მოსწავლეს ასწავლიდნენ, რა არის მედიცინა, რა დანიშნულება აქვს მას, როგორ ხდება ორგანიზმის ჩასახვა-განვითარება, როგორია სხეულის აგებულება, რაში მდგომარეობს თითოეული ორგანოს მოქმედება, როგორ უნდა იქნეს აცილებული დაავადება ანუ როგორ უნდა ჯანმრთელობის დაცვა, რაში მდგომარეობს ჯანმრთელობა, რას ნიშნავს დაავადება. როგორ უნდა იქნეს ამოცნობილი დაავადება, რა საშუალებები გამოიყენება ამისათვის და სხვ. ამის შემდეგ ისწავლებოდა იმ დროისათვის ცნობილ დაავადებათა განვითარების თავისებური „მექანიზმი“, „ეტიოპათოგენეზი“ ანუ, როგორც თითონ უწოდებდნენ, „ვითარებანი“, დამახასიათებელი ნიშნები და მკურნალობა. ამის შესახებ სრულ და ნათელ წარმოდგენას იძლევა „წიგნი სააქიმოის“ სარჩევი:

ა. პ ი რ ვ ე ლ ი - ‌ კ ა რ ი აქიმობისა სწავლისა და სარგებლიანობაი მისი.
ბ. კ ა რ ი აქიმობისა ნივთისა საზომისა. სწავლაი და გაყოფაი მისი.
გ. კ ა რ ი ბუნებისა და სტომაქისაი.
დ. კ ა რ ი გარევნაი ბუნებისაი და შეტყუებაი რგებისაი.
ე. კ ა რ ი კაცისა დაბადებისა და ტანისა შეტყუებაი.
ვ. კ ა რ ი გამოჩენა ხუთთა ჰავასთა.
ზ. კ ა რ ი შენახვაი ტანისა სიმრთელისა.
ᲗᲘ. კ ა რ ი მ ა ჯ ი ს ა ს ა შეტყუებისაი.
თ. კ ა რ ი წყლისა და სილბოისა შეგებაი.
ი. კ ა რ ი ბუჰრიანისა და სიმრთელე ფათერაკისა.
ია. კ ა რ ი ნიშანი სიმრთელისა და შიშისაი.
იბ. კ ა რ ი მომავლისა სნებისა შეტყუებაი.
იგ. კ ა რ ი ქალაქთა და ჰაერთა ბუნებაი.
იდ. კ ა რ ი წელიწადისა ოთხფერად ქცევისაი.
იე. კ ა რ ი ყოვლისა მანკისა ცოდნა თუ რაისაგან იქნების.

თავის ტკივილის გამოჩენაი რაისაგან იქნების

ივ. ქ ა რ ტ ლ ი რომელსა ჰრქვიან არაბულად ხ ა ზ ა მ ი და სპარსულად...[2] საბოსაი[3].

იზ. კ ა რ ი თავისა წყლულთაი რომელსა ჰქვიან არაბულად ს ი თ ა.

ᲘᲗ. კ ა რ ი თმათა დახდისა და ბელატობისა რომელსა ჰქვიან არაბულად ა ს ლ ა.

ით. კ ა რ ი დ ა ლ ჰ ა ი ა დ ა დ ა თ ა ლ ა ბ ი არაბულად გუელთა და მელთა ჭირი.

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 14.
[2] აქ დედანში არაფერი სწერია.
[3] აღდგენილია ტექსტის მიხედვით.

კ. კარი თმისა გაპობისა, გათეთრებისა.

კა. თავის ტკივილი რომელი სიმხურვალისა ანუ სიგრილისაგან იყოს.

კბ. თავის ტკივილი რომელი სინედლისაგან იყოს და თუ სიხმელისაგან.

კგ. თავის ტკივილი სისხლისაგან იყოს და თუ ბალღმისაგან.

კდ. თავის ტკივილი ზაფრისაგან იყოს და თუ სევდისაგან.

კე. თავის ტკივილი ტფილისა ქარისაგან იყოს და თუ გრილისა ქარისაგან

კვ. თავის ტკივილი რომელი ტვინისა ფარდაგისაგან იყოს.

კზ. თავის ტკივილი რომელი არაბულად ბაიტი ჰქვიან.

კᲧ. თავის ტკივილი რომელი ნაკრავისა ანუ ისთიფრაღისა ანუ სულისაგან იყოს.

კთ. თავის ტკივილი რომელი მახმურობისაგან იყოს ანუ ბუპრიან-საგან.

ლ. თავის ტკივილი რომელი სტომაქისაგან იყოს და მისისა სიბუსტისაგან.

ლა. შაყიყაისა ტკივილი რომელ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

ლბ. თავის ტკივილი რომელსა არაბულად დავარი ჰქვიან.

ლგ. თავის ტკივილი რომელსა მესადარ ჰქვიან რომელი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

ლდ. სარსამი თუ სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან[1].

ლე. მანკი სუმბათისა და სუბათი საჰარი დაძინებაი ძძიმედ.

ლვ. შეხუსი და ჯუმუდი ორივე სიგრილისაგან იქნების.

ლზ. მალიხური რომელსა ჰქვიან სპარსულად დევანგი.,

ლᲧ. ყუტრუბი და მანიაი ორივე სიშმაგისაგან იქნების.

ლთ. უძილობაი და გულისა სიშფოთე.

მ. მიჯნურობაი და დაუთმობლობაი.

მა. დავიწყებაი და არ დასწავლაი.

მბ. ქაბუსი რომელი მძინარესა ზედა დააწვების რომელსა ჰქვიან ქართულად ხიბალიკი.

მგ. ბადაფქანი რომელსა ჰქვიან არაბულად სარიი და ქართულად მტრისა დაცემაი.

მდ. ბადაფქანი რომელი სევდისაგან იყოს ანუ გრილისა ქარისაგან.

მე. საქთი რომელსა უგრძნეულად შეექნების და მკვდარსა მიამსგავსებს.

მვ. ფილენჯი რომელი ნაკრავისაგან შეექნას ანუ ბალღამისაგან.

მზ. ისთსხოი რომელი ასოთა დაასუსტებს.

მᲧ. დაძინებაი ასოთაი რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი.

მთ. გამრუდებაი პირისა რომელსა ჰქვიან არაბულად ლაყვი.

ნ. თაშანუჯი რომელი ასოთა გაახმობს.

ნა. ქუზაზი და იმთიდადი ორივე ფერი თაშანუჯისაგან შეექნების.

ნბ. თრთოლაი ასოთაი რომელსა ჰქვიან არაბულად რაშა.

---

[1] ამ თავს მიწერილი აქვს „თავქვედა“ არა დედნის ხელით.

თვალთა ტკივილისა და ქუთუთოთაი

ნგ. მ ღ ე რ ი დ ა მ ქ ა ვ ა ნ ი რომელი თვალთა შეექნების.

ნდ. ბ ა რ ა დ ი დ ა თ ა ლ ჯ უ რ ი დ ა შ ი რ ა ი რომელი თვალთაშინა იქ-ნების.

ნე. ყ ა თ რ ი და თვალთა დაკრვაი ერთმანერთისა ზედა.

ნვ. ს ა ფ ა დ ა ვ ა რ დ ა ნ და თვალთა წამწამთა მომატებაი და გაგრძელებაი წამწამისაი.

ნზ. ქ მ ა ნ ი დ ა თ ო თ ო ა ი და წამწამისა დახდა და ჩამოცვივნა.

ნᲗ. ს ა ლ ა ი დ ა შ ო რ ნ ა ყ ი და ზ ე ლ ა ყ ი რომელი თვალთა შიგან იქნების.

ნთ. ღ ა დ ა ი დ ა პ უ რ ბ ი და ყ ა მ ყ ა მ ი რომელი წამწამსა შიგან იქნებ-ბის.

ი. თ ვ ა ლ თ ა ტ კ ი ვ ი ლ ი სისხლისაგან.

ია. თ ვ ა ლ თ ა ტ კ ი ვ ი ლ ი თუ ზაფრისაგან იყოს თუ სევდისაგან.

იბ. ზ ტ ა რ ფ ა ი დ ა ნ ა ხ უ ნ ა ი. ტარფაი ნაკრავსა ჰქვიან რომელი ეცეს თვალთა.

იგ. წ ყ ლ უ ლ ი და დაბერულობაი თვალთა, რომელსა ჰქვიან ბ ა თ უ რ.

იდ. ს ა ბ ა ლ ი და ცრემლთა დენა რომელსა ჰქვიან დ ა მ.

იე. ყ უ ა ვ ი ლ ი დ ა თ ე თ რ ი დ ა დ ი ყ ა ი რომელი თვალთა შიგან იქნების.

ივ. ს ა რ ტ ა ნ ი დ ა თ ხ ა მ ლ ი რომელი თვალთა შეექნების და ს ა რ ტ ა ნ ი კ ი რ ჩ ხ ი ბ ს ა ჰქვიან, მეორესა ფარდაგსა უკანით შეიქნების.

იზ. გარეთ სიმსივნე თვალთა ერთობით ანუ ცოტასა ადგილსა.

იᲗ. გაფართოებაი და დავიწროებაი თვალთა ხვრელისაი.

ით. ი ნ თ ი შ ა რ ი თვალის გაფართოებასა ჰქვიან.

ო. ძ ლ ი ვ ნ ა ხ ვ ა ი რომელი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

ოა. პ ი რ ვ ე ლ წ ყ ლ ი ს ა ჩამოდენა თვალთაგან.

ობ. ღამე სიბნელე და დღისითცა ეგრევე.

ოგ. ყ უ რ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

ცხუირთა და ყურთა წამალი და კურნებაი

ოდ. ყ უ რ ი ს ა გ ა ს ი ვ ე ბ ა ი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

ოე. წყალი ანუ მძრომელი თუ ყურსა ჩავიდეს.

ოვ. წ ყ ლ უ ლ ი და თხამლისა დენა ყურისაგან.

ოზ. ხმისა მოსმენაი ყივილი და შვივილი.

ოᲗ. სიყრუე და მძიმედ სმენა ხმისა. სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალი-საგან.

ოთ. ცხვირთა წ ყ ლ უ ლ ი და გაბერილობაი რომელი შიგან იყოს.

პ. თუ სული არ ეცემოდეს. სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.

პა. ცხვირისა ბ ა ვ ა ს ი რ ი და სიმყრალე.

პბ. სისხლისა დენა რომელსა ჰქვიან არაბულად რ უ ა ფ ი.

პგ. სურდოსა და ცხვირთა დენისა სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალი-საგან.

პირის ტკივილი, კბილთა და ენისა, ბაგეთა დაპობაი და ბავასირი და სიმ-სივნე.

პდ. კბილთა ტკივილი სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაგნ.
პე. კბილთა შეშმულობაი და დაცვივნა და ძვრაი.
პვ. სიმყრალე კბილისა და ღრძილისა და სიშავე და სისხლის დენა მისგან.
პზ. სიმსივნე ღრძილისა სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაი.
პთ. პირის ტკივილი და გაბერულობაი მისი.
ი. წყლისა დენა პირისაგნ დაძინებისა ჟამსა.
ია. ენისა სიმსივნე სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაი.
იბ. ენისა გაბერილობაი რომელსა ჰქვიან არაბულად ყ ი ლ ა დ.
იგ. გემოი ენისაი რომელი იქცეს.
იდ. სიწყლულე ენისა, სიმძიმე და სისუსტე.
იე. კვიკვირისა ჩამოსულა პირსა შიგან რომელსა ჰქვიან ქ ა მ ო ი, სიგრილისაგნ იყოს და თუ სიმხურვალისაგნ.
ივ. გასივებაი ქ ა მ ი ს ა ი და ჩამოსულა ორთა ბადმათა, ხორხისა და მკერდისაი და ფ ი რ ტ ვ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი.
იზ. ხორხისა სიმსივნე რომელსა ჰქვიან არაბულად ხ უ ნ ა ყ ი.

თ. ხორხისა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
ით. დეეჩა ანუ ძუალი, რომელი ხორხსა შიგან დაეჩაროს.
რ. სისხლისა ამოღებაი ხორხისაგან.
რა. ხ უ ე ლ ა ი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგნ.
რბ. ხ უ ე ლ ა ი სინედლისაგნ იყოს ანუ სიხმელისაგნ.
რგ. რ ა ბ ო ი სიმხურვალისაგნ იყოს თუ სიგრილისაგნ.
რდ. ფირტვისა გასივებაი რომელსა ჰქვიან არაბულად დ ა თ ა რ ა.
რე. ფირტვისა სიწყლულე რომელსა ჰქვიან არაბულად ს ი ლ ი.

გვერდთა ტკივილისაი

რვ. გვერდთა შიგნითისა კერძისა გასივებაი რომელსა ჰქვიან არაბულად ღ ა თ ლ ჯ ა ნ ბ.
რზ. ბარსამი რომელსა ჰქვიან არაბულად შ ო ვ ი ს.
რთ. გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისა, სიხმელისაგან იყოს და თუ სინედლისა.
რთ. გ უ ლ ს ა ფ ე თ ქ ა ი რომელსა ჰქვიან არაბულად ხაფაყანი.
რი. დ ა ბ ნ ე დ ი ლ ო ბ ა ი რომელსა ჰქვიან არაბულად ღ ა შ ე.

სტომაქისა ტკივილისა და ჭირისა ხსენებაი

რია. საჭამადისა არ მოდნობაი სიმხურვალისაგნ იყოს ანუი სიგრილისაი.
რიბ. ჰავად შერგებაჲ საჭამადთა სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაი.
რიგ. საჭამადი არ მოუნდებოდეს, სტომაქისაგნ იქნებოდეს.
რიდ. საჭამადი არ მოუნდებოდეს მანკისაგან იქნებოდეს.
რიე. არ გაძღობა ჭამადთა რომელსა ჰქვიან ყ ა თ ი ჯ ლ ბ ი ა.
რივ. მიწისა ჭამა და გაჩისა და კლდისაგნ მლაშისა ჭამა.
რიზ. სტომაქის პირისა ფეთქა რომელსა ჰქვიან არაბულად ვიჯალფად.
რიᲧ. წყურვილი და წყლისა მსუმელად.
რით. ელდაჰატი და ბარჯიაი რომელსა ჰქვიან არბულად თ უ ხ მ ა ი.
რვ. დ ა რ გ ი სილბოსა ჰქვან. რომელი გაგრძელდეს.

რკა. ზალა ყალმიდა ზალა ყალმაა რომელსა ჰქვიან ქარიოულად სტომაქისაი და წელთა სიგლესუნე.
რკბ. მანიშისა სიმრავლე რომელსა ჰქვიამ ათიანი[1].
რკგ. სისხლისა ამოღებაი სტომაქისაგან.
კრდ. რწყევაი რაი მუცელი არ ლბილ დიად იყოს.
რკე. ბოყინებაი სტომაქისაგნ, რომ ქარი ჩაჭრილი იყოს.
რკვ. სიყსარი რომელსა ჰქვიან სპარსულად ვავაყი დასაქბიაქი.
რკზ. სტომაქისა ტკივილი სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაგნ.
რკთ. სტომაქისა სიწყულელე და სისხლი რომელი შიგან გაყინულ იყოს.
რკთ. ნერწყვაი და სინედლე რომელი პირისაგნ იყოს.
რლ. სტომაქისა გასივებაი სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაგნ.

ღვიძლისა და ტყირბისა და ჭირისა ხსენებაი

რლა. ღვიძლის ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რლბ. ღვიძლისა გასივებაი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილიხაგან.
რლდ. ღვიძლის ტკივილი რომელი გზისა შეკრულობისაგან იყოს.
რლე. ისეთისყო რომელი სპარსულად მუცლისა გასივებასა ჰქვიან.
რლვ. ისთისყაი ლაჰამი რომელი გახურვებისა შემდგომად აცხროებდეს.
რლზ. ზარირი ყვითელი და შავი რომელსა ჰქვიან არაბულად იარაყანი.
რლთ. ელენთისა ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან.
რლთ. ტყირბისავე გასივებაი სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისაგან.

მაყადისა და წელთა ტკივილისაი

რმ. სისხლის დენა წელთა სიწყლულისაგან იყოს, რომელსა ჰქვიან საჰჯალამა.
რმა. წელთა ტკივილი ზაჰირი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რმბ. მალარი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რმგ. კოლინჯი სიმხურვალისაგან იყო ანუ სიგრილისაგან.
რმდ. ელაოს ერთფერია კოლინჯთაგან.
რმე. ჭია გრძელი და მოკლე და ქუდენი თარგმანი აყიროისა თესლი.
რმვ. ბავასირი და თოთაი მუყადასა შიგან იქნების, მუყადაი გუამი არს.
რმზ. ბავასირი დანაყილობასა თან გუამისასა.
რმთ. რა აჩნდეს გუამსა სიწყლულე და ძარღვისა თავი რომელი შიგან გაეხსნას გუამსა.
რმთ. გამოსვლა და სიმსივნე და სისუსტე.

---

1 შეცდომაა, უნდა იყოს „ღაშაიანი". შენიშვნა გამომცემელს ეკუთვნის.

თირკუმელისა და მათნისაი

რნ. თ ი რ კ უ მ ე ლ ი ს ა ტ კ ი ვ ი ლ ი სიმხურვალისაგნ იყოს თუ სიგრილისაგან.

რნა. ა ს ა მ ლ ი ს ა გასივებაი სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაგან.

რნბ. სიწყულულე თირკუმელისა და სისხლისა წთომაი სამამაკაცოისაგან.

რნგ. ქვაი ანუ ქვიშაი მ ა თ ა ნ ა ს ა შიგან რომელი მოკრფეს.

რნდ. ფსლისა წრედაი რომელსა ჰქვიან არაბულად ს ა ლ ა ს ა ლ ი,

რნე. ფსლისა შეკრვაი რომელსა ჰქვიან არაბულად ს ა რ ა ლ ი.

რნვ. ფსლისა დენა კაცისა უნებლიედ.

რნზ. მ ა თ ნ ი ს ა გ ა ს ი ვ ე ბ ა ი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

რნთ. ს ი წ ყ ლ უ ლ ე მ ა თ ნ ი ს ა ი და ქვისა დებაი შიგან.

სამამაცოსა ყუერისა ტკივილი და სიმსივნისაი.

რნთ. დგომაი სარცხვენლისაი უნდომლად.

რი. სისუსტე მისი და თეთრისა წყლისა მოსულა უგემურად და არ ჰამოდ.

რია. გასივებაი მისი სიმხურვალისაგნ იყოს და თუ სიგრილისაგან.

რიბ. წუვაი მისი სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაგან. ყუერისა გასივება სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

რიგ. არ მონდომაი დიაცისაი სიმხურვალისაგან.

რიე. ფ ე ტ ყ ი ს ქ ა რ ი რომელი საზარდულსა შიგან იყოს ანუ ყუერსა შიგან.

ძუძუითა და ზიჰდანისა კურნებაი

რივ. შეკრულებაი ზ ე ჰ დ ა ნ ი ს ა რომელსა ჰქვიან არაბულად ი ლ თ ნ ს ი ლ ი მ.

რიზ. დიაცისა სისხლისა ნახვაი რომელსა ჰქვიან არაბულად ნ ა ზ ფ ი.

რიმ. დ ი ა ც ი ს ა ჩ ა მ ო გ დ ე ბ ე ბ ე ლ ი ს ა სისხლისა შეკრვაი რომელსა ჰქვიან არაბულად ი ჰ თ ი ბ ა ს ტ ა მ თ ა.

რით. ზ ე ჰ დ ა ნ ი ს ა გ ა ხ ი ვ ე ბ ა ი სიმხურვალისაგნ იყოს ანუ სიგრილისაგან.

რო. ზ ე ჰ დ ა ნ ი ს ა ს ი წ ყ ლ უ ლ ე და შიგან რომელი სარატანი იყოს რომელსა ჰქვიან არაბულად[1] კირჩხიბი.

—გ ა ბ ე რ ი ლ ო ბ ა ი ბ ა ვ ა ს ი რ ი ს ა რ ო მ ე ლ ი ზ ე ჰ დ ა ნ ს ა შ ი გ ა ნ ი ყ ო ს.

— რ ჯ ა ი ეგეთი ჭირი არს რომელი დედათა ეგრე ჰგონია თუ ორსულია.

როა. გ ა მ ო ს უ ლ ა ზ ე ჰ დ ა ნ ი ს ა და სინედლისაი მოსულაი მისგან.

რობ. ყ რ მ ი ს ა მ ო გ დ ე ბ ა ი და დაქარებაი და ქარები რომელი ჩაეჭრეს ზეჰდანსა შიგან.

როგ. უშვილობის შეტყობაი თუ მამაცისაგან თუ დედაკაცისაგან.

როდ. ძნელად შობაი და მ ა შ ე მ ი ს ა ი რომელსა ჰქვიან ბუდით გამოსულაი.

---

[1] შეცდომაა, უნდა იყოს „ქართულად"; შენიშვნა ეკუთვნის გამომცემელს.

როე. ძუძუისა სიმსივნე სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან.
როვ. ძუძუისა ტკივილი და სძე რომელი შიგან შეიკრას.

ზურგისაი ტკივილი

როზ. ზურგის ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
როᲗ. სიკუზე რომელსა ჰქვიან არაბულად ჰადაბა.
როთ. ირაყანი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რპ. საქციელთა ტკივილი რომელსა ჰქვიან არაბულად ვიჯალ-მაფასილ.
რპა. ნიკრისი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რპბ. დავალი და დალფილ ესე ორივე ჭირი ფერხთა შეექნების.
რპგ. ნახუნხარ რომელი არს ფრჩხილის მჭამელი. დარიშთაი რომელსა ჰქვიან მკედი და ორივე ფერხთაგან გამოვალს.
რპდ. გაპობა ხელისა და ფერხისა და სიცივისა ცემა და ზრომაი.
რპე. ქალაფი რომელსა ჰქვიან ჭროფლი და ქუნჯიდაი და ბარი-ში და ნამიში.
რპვ. ყობაი რომელსა ჰქვიან მეჭეჭი და თუთაი რომელსა არაბულად შირე ჰქვიან.
რპზ. ხმელი და ნედლი მღიერი და ქავანი ტანისაი.
რპᲗ. ოფლისა დენაი დიაი და ოფლისა არ გამოცემა.
რპთ. წილი და ტილი რომელი დაესხას თმისა ძირსა.
რე. კეთრიანობაი რომელსა ჰქვიან სპარსულად ფესი და არაბულად ბარასი და შავი და თეთრი ბაჰაყი.
რეა. განდუმაი რომელსა ჰქვიან არაბულად თალულაი და ქართულად მეჭეჭი.
რებ. ათაში ფარსი რომლისა თარგმანი არს ცეცხლი სპარსული და გაბერილობაი რომელი გამოჩნდეს კაცისა ასოთა და ტანსა ზედა.
რეგ. ყუავილი რომელსა ჰქვიან არაბულად ჯოდრი და წითელი.
რედ. ჰომრაი სიმსივნესა ჰქვიან და ხორაი წელისა სიწყულესა.
რეე. ჯოდმი რომელსა ჰქვიან სიგონჯე.
რევ. პირისა რღუევაი და პირისა სიბნელე და ფერისა სიმ-ღრუე რაი მზისაგან იყოს.
რეზ. მხურვალე სიმსივნე სისხლისაგან იყოს ანუ ზაფრისაგან.
რეᲗ. გრილი სიმსივნე რომელ ბალღმისაგან იყოს ანუ სევდისაგან.
რეთ. სარატანი რომელსა ჰქვიან კირჩხიბი და სპარსულად ხორ-ჩანგი.
ს. ღორთელი და სალაი რომელ ასოთა შიგან გამოუჩნდეს.
სა. ტაუნი და დუბალაი რომელ ასოთა შიგან გამოჩნდენ.
სბ. დუნბალი რომელსა ჰქვიან მჯდომი და გავარსაი და ბადობი-ლაი რომელ გამოჩნდეს.
სგ. ცხროი ყოველთა დღეთა რომელ წყრომისაგან იყოს ანუ ში-შისაგან.
სდ. ყოველთა დღეთა ცხროი რომელ ჭამისგან იყოს ანუ შიმში-ლისაგან.

სე. ცხროი ყოველთა დღეთა რომელ მოვიდოდეს თუ შეპირვებისაგან იყოს და თუ ჭირთაგან.

სვ. ყოველთა დღეთა ცხროი რომელ დია სიცხისაგან იყოს ანუ დია სიცივისაგან.

სზ. ცხროი ყოველთა დღეთა რომელ სილბოისაგან იყოს ანუ სურდოსაგან.

სჱ. ცხროი რომელ უძილობისაგან იყოს ანუ სიმსივნისა ტკივილისაგან.

სთ. ღიბისა ცხროი ორფერად იქნების ლაზიმაი და ნაბიაი.

სი. ცხროი მოტბაყისა რომელ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

სია. ნიადაგ ცხროი რომელ მოჰრიყაი ჰქვიან და ბატრალღიბი.

სიბ. მეოთხე ცხროი რომელი სევდისაგან იყოს ანუ სხუათა ხილტოაგან.

სიგ. მეხუთე ცხროი და მეექვსე და მეთხუთმეტე და სხვა ემბრიცა.

სიდ. ვაშაისა ცხროი და ეგეთი ცხროი რომელ სნებათა უკან იყოს.

სიე. დიყისა ცხროი სამფერი იქნების ერთი მოფთადიაი და მეორე დაბული და მესამე თვით დიყი.

სივ. მოტეხილობაი ძუალისა და ნაკრავი რომელი ასოთა ეცეს და თავისა გატეხილობაი.

სიზ. ბალხური წყალი[1] და ახალი და ძველი წყლული.

სიჱ. ცეცხლითა დამწურობა და ერბოსა მდუღარითა და მდუღარისა წყლითა.

სით. გველცემულისა და ღრიანკალისა და ფუტკარისა ცემული რომელსა ჰქვიან არაბულად რეტაილაი და მორიალი"[2].

არსებობს წერილობითი ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ მედიცინის თეორიული საკითხების სწავლებას თან ახლდა პრაქტიკული ვარჯიში. როგორც ჩანს, პრაქტიკულად ასწავლიდნენ მაჯის გასინჯვას, შარდის დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შეფასებას იმდროინდელი დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, ამავე მიზნით ასწავლიდნენ როგორი შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა დაავადების დროს ნახველი, განავალი და სხვ. პათოლოგიაში რომ კარგად გარკვეულიყვნენ, მოსწავლეებს ჯერ ჯანმრთელ ორგანიზმს აცნობდნენ. „აწ ჩუენ მაჯასისა შეტყუებისაი ნივთი ვთქვათ, რომელ გამოუცდელისათვის ადვილი იყოს... ვისცა სწადდეს რომელ მაჯასისა შეტყუებისა მეცნიერებაი კარგად ისწავლოს, ოთხთავე თითთა მიწყით მრთელთა კაცთა მაჯასსა ზედა დასდებდეს, და ნუცა მაგრად ნუცა ლბილად, და კარგათ შეიგებდეს მათისა მაჯისა ძალსა და ფეთქასა, რომელ შეიგნეს თუ მრთელისა ვითა ფეთქს, და სნეულისა ვითა, და მაშინ გამოარჩეეს და შეიგებს, თუ მრთელი ვინ არის და სნეული ვინ"[3].

როგორც ზოგიერთი ცნობა გვიჩვენებს, მოსწავლის მიერ სამედიცინო ცოდნის ათვისების ხარისხის განსაზღვრისათვის გამოცდას აწარმოებდნენ. მეტად საინტერესო და თავისებური იყო გამოცდა. მოსწავლეს ეძლეოდა, მაგალითად, შარდი და უნდა დაედგინა, თუ ვის ეკუთვნოდა იგი: ადამიანს, ცხოველს, ბავშვს, მოზრდილს, ქალს თუ კაცს. ცხადია, საამისოდ მოსწავლეს განმასხვავებელი ნიშნები შესწავლილი უნდა ჰქონოდა: „რომელ გამოცნობაი პატარასა ყრმისაი

[1] უნდა იყოს „ბალხური წყლული".
[2] აქ ხელთნაწერს სამი ფურცელი აკლია და ტექსტი გრძელდება.
[3] „წიგნი სააქიმოი", გვ. 37.

ბრძენთმთავარი და მკურნალი ზახა ფანასკერტელი.
(ყინცვისის ფრესკის ასლი)

წყლისა, დიდისა მამაცისა, ბერისა იგი არს რომელ ყმაწვილისა უსქესი იქნების, და ცოტად სძესა ჰგავს, და ბერისა კაცისა წყალი თხელი და თეთრი იქნების. და ყმისა კაცისა თურინჯის ფერი იქნების, მაგრა სისქითა ვითა ყმაწვილთა, არ იქნების. და დედაკაცისა წყალი უსქესი არს მამაცისა წყლისა და გამორჩევა მათ შუა იგი არს, რომელ ყარურაი შესძრან, კაცისა მამაცისა წყალი დაბნელდების, და დიაცისა ეგრევე შეუცველი დარჩების. და პირუტყვთა წყალი მრავალ ფერად იქნების, მაგრამ ზოგი ვახსენოთ მისგან, ეგების რომელ მაგით გამოსცადონ აქიმნი, რომელ ესეცა იცოდეს აქიმმან და არ გააწბილონ"[1].

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ გელათის აკადემიაში, აგრეთვე ჯელტურისა და განათლების სხვა ცენტრებში ექიმთა მომზადებაც ხდებოდა. მათთან არსებული ქსენონები და სასნეულოები წარმოადგენდნენ ბაზას, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ აეთვისებინათ საექიმო ჩვეულები და პრაქტიკულად დახელოვნებულიყვნენ[2]. ამავე დროს აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში ავადმყოფთა მკურნალობაც წარმოებდა. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, ქსენონში სხვადასხვა სენით შეპყრობილი ავადმყოფები მოუთავსებიათ—„შეკრიბნა ძმანი, თუითოსახითა სენითა განცდილნი,..."[3] ეს სამკურნალო დაწესებულება, როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, მოწყობილი ყოფილა საწოლებით, თეთრეულით, ჭურჭლეულით. მათთვის ფულადი სახსრებიც ყოფილა გამოყოფილი: „განუჩინნა შესავალნი". ამ დაწესებულებებს „ზედამდგომელნიც" ჰყოლია.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამკურნალო დაწესებულებების დაარსება გავრცელებული მოვლენა ყოფილა აღნიშნულ ეპოქაში. სასნეულო და მესნეულე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტი გამხდარა. „ვაჰანის ქვაბთა განგების", ანუ წესდების მეექვსე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ „სახმარ-არს რაითა ყოვლად განკრძალული ერთი ღმრთისმოშიში მონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდეს და უძლურ-მყოფთა ძმათა მსახურებდეს"[4].

ამავე წესდებიდან ვიგებთ, რომ მესნეულეს ყოველდღიურად („დღითიდღე") სამჯერ უნდა შემოევლო, ენახა ავადმყოფები, მიეცა მათთვის რაც საჭირო იყო: წამალი, სათანადო საკვები და სხვა: „...დღითიდღე სამგზის მოჰვლიდეს და მოიხილვიდეს და საწესოსა მიართუმიდეს მათსა ტრაპეზით. და სხუაი რაიცა უხმდეს სნეულთა და უძლურთა მყოფთა ძმათა..."[5].

არსებობს საკმაო საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქართველოში XV საუკუნეში სამედიცინო განათლების გაფართოებისა და გავრცელების მხრივ გარკვეუ-

---

1 „წიგნი საქიმოი", გვ. 42. ხაზი ჩვენია.

2 უკანასკნელ წლებში წარმოებული გამოკვლევების დროს გელათში გამოვლინებულ იქნა დარბაზი, ქვის ავეჯი დასასხდომად, ქვის კათედრა, კედლებთან ჩამწკრივებული მერხები. ეს დარბაზი აკადემიის სამუშაო ადგილი უნდა ყოფილიყო. მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გალავანს იქით არის შენობა, რომელიც უკანასკნელი საუკუნის მასალებით „სოხასტერად" იწოდება. ამ მიდამოებში ივარაუდება ქსენონის არსებობა. იხ. ს. ყაუხჩიშვილის „გელათის აკადემია", გვ. 27 და შემდეგი.

3 „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". იხ. „ქართლის ცხოვრება", I, 1955 წლის გამოცემა, გვ. 331.

4 „ვაჰანის ქვაბთა განგება" (XIII ს. პირველი ნახევარი). ლ. მუსხელიშვილის რედაქციით. თბილისი, 1939, გვ. 70.

5 იქვე.

ლი მუშაობა უნდა ჩაეტარებინა ზაზა ფანასკერტელს. ამ მუშაობის დროს იგი მარტო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება იმ პირთა ვინაობის გარკვევა, რომლებიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ.

„სამკურნალო წიგნში" ზაზა ფანასკერტელი იხსენიება, როგორც „ბრძენთა მთავარი". „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ბრძენთა მთავარი ფანასკერტელი ზაზა"[1].

იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ზაზას „ბრძენთა მთავრად" მოიხსენიება იმას, რომ იგი მეცნიერთა და მწიგნობართა ჯგუფის თუ წრის მეთაური იყო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება.

ამავე ძეგლში რამდენჯერმე ზაზა მკურნალადაც იწოდება: „ქრისტე ადიდე პატრონი ფანასკერტელი მკურნალი ზაზა"[2]. „ქრისტე ღმერთო, ადიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკურნალი"[3].

„სამკურნალო წიგნის" შესწავლით ირკვევა, რომ ზაზა ფანასკერტელი მედიცინაში დიდად განსწავლული პირი ყოფილა. როგორც ჩანს, იგი იცნობდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა და ექიმთა შეხედულებებს დაავადებათა მიმდინარეობისა და მკურნალობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის შეფასება, რომელსაც ზაზა ვალენის სამედიცინო დამსახურებას აძლევს: „და უბრძანებია ბრძენთა მკურნალთა, რომელნი გალიანოზს უწინ იყუნეს, იმა სენისათუის წამლები მრავალი. ძა შინ გასინჯა და შეკრიბა გალიანოზ და შემატა ვანცა თუითო-თუითო თავად"[4].

ზაზა განსაკუთრებით წინა ხანის ქართული სამედიცინო წყაროების კარგ ცოდნას ამჟღავნებს.

„სამკურნალო წიგნში" მას წარმოდგენილი აქვს „...ყოველთა სენთა ნიშანი, რომელნი არიან კაცისა ასოთა შიგან, თავით, თმითგან, ვიდრე ფერხისა ფრჩხილთამდი. რაცა სენნი და სალმობანი არიან ყუელასი ნიშანი ცალ-ცალკე სწერია,—მათნი მიზეზნი და საქმენი, და წამალნი მათნი..."[5].

XVI საუკუნეში სამედიცინო ცოდნის გავრცელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავით ბაგრატიონის მიერ შედგენილ კარაბადინს, რომელიც „იადიგარ დაუდის" სახელით არის ცნობილი. როგორც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ამ წიგნის ვარიანტების შესწავლა გვიჩვენებს, „იადიგარ დაუდი" საკმაოდ გავრცელებული ყოფილა და პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში.

ავადმყოფთა მკურნალობა და საექიმო კადრების მომზადება მარტო აღნიშნულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში როდი ხდებოდა. ავადმყოფებს მკურნალობდნენ ბინაზე, ანდა თვითონ ავადმყოფი მიჰყავდათ ექიმთან.

ავადმყოფთა მოვლა-პატრონობას და მკურნალობას, თუ არქანჯელო ლამბერტის ვერწმუნებით, განსაკუთრებით ქალები ეტანებოდნენ. „როგორც კი ვინმე ავად გახდება, რომელიმე ამ ქალთაგანი მაშინვე მივა და დაუწყებს მოვლას. საჭმლის წესრიგს დაუნიშნავს და გაუკეთებს წამალს"[6]. ამასვე აღნიშნავს,

1 „სამკურნალო წიგნი", ფონდი Q. № 877, ფ. 177 r.

2 იქვე. ფ. 329 r.

3 იქვე. ფ. 339 v.

4 „სამკურნალო წიგნი", დასახელებული გამოცემა, გვ. 32, ხაზი ჩვენია.

5 იქვე. გვ. 3.

6 არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა", თარგმნილი ალ. ჯყონიასი. მეორე გამოცემა, თბილისი, 1938, გვ. 98.

სხვათა შორის, იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“, რომ „მკურნალნი უფრორე იყვნენ მდედრთა ნათესავნი, და აქიმობდნენ ბალახებითა და ხის ნაყოფებით. ხშირად ავადმყოფთ ჩააწვენდნენ ზროხთა ტყავში და ტლებთა შინა, ხოლო დაპრილთა ახმარებდნენ ქონით ქმნილსა ბალახთა მოხარშულსა მალამოდ, აგრეთვე სისხლის დასაწყვეტად აბლაბუდასა, გოგირდსა, ღა ესევითარნი, აგრეთვე იცოდნენ თავის პარსვა და სისხლის გამოშვება, უფრორე შუბლში“[1].

განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა საქართველოში უმაღლესი განათლების კერები აღარ არსებობდა, ექიმების მომზადება ოჯახებში ხდებოდა. უმთავრესად დახელოვნებული ექიმები, ოჯახში ან სხვაგან, ხსნიდნენ. თუ შეიძლება ასე ითქვას, „შინაურულ“ სკოლებს, სადაც ძირითადად თავიანთ შვილებს და ნათესავ-მახლობლებს ამზადებდნენ ექიმობისათვის.

კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის დროს (1574—1605 წ.წ.) სასახლის კარზე ცხოვრობდა ფრიად განთქმული ექიმი ანტონი, რომელსაც საექიმო სკოლა დაუარსებია და კარაბადინი შეუდგენია: „კარაბადინი მართალი და ჭეშმარიტი სხვათა ძველ კარაბადინებიდან ზედ დამატებით გადმოწერილი და შევსებული კახეთის მეფის ალექსანდრეს კარის ექიმის ანტონისაგან“[2].

მეფე თეიმურაზ პირველის დროს კარის ექიმად ვინმე ზურაბი იხსენიება, რომელსაც სამედიცინო სკოლაც დაუარსებია.

XVII—XVIII საუკუნეებში სამედიცინო ცოდნის გავრცელების საქმეში გარკვეული როლი უნდა ეთამაშათ კათოლიკე მისიონერებს, რომელთა შორის ზოგიერთი მკურნალობასაც ეწეოდა.

ვახტანგ VI მეფობის დროს გაშლილმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ ხელი შეუწყო, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, მედიცინის განვითარებას, სამედიცინო ცოდნის ზრდას.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობა. ჩვენ სინამდვილეში არაერთ მკვლევარს გამოუყენებია წყაროდ საბას მეცნიერული ნაშრომები, კერძოდ მისი „სიტყვის კონა“[3], XVII—XVIII საუკუნეებში ამა თუ იმ დარგის განვითარების ანდა მეცნიერული დონის დასადგენად. ეს ინტერესი აღნიშნული ნაშრომისადმი სავსებით გასაგებია. საბას „სიტყვის კონა“ მარტო ენის განმარტებით ლექსიკონს როდი წარმოადგენს. მის შემქმნელს „მოცემული აქვს აგრეთვე ცოდნის ზოგიერთი დარგიდან ძირითადი ცნებების მეცნიერული განსაზღვრებებიც“[4].

---

[1] იოანე ბატონიშვილი. „კალმასობა“, ტ. II, დასახელებული გამოცემა, გვ. 232.

[2] ივ. როსტომაშვილი, სამკურნალო ხელოვნება და განთქმული მკურნალები“. ჟურ. „ნაკადული“, 1916. № 4, გვ. 58.

[3] სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ რამდენიმე გამოცემა არსებობს. პირველად იგი 1884 წელს რაფ. ერისთავმა გამოსცა, მეორედ, 1928 წელს პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით გამოიდა. მესამედ, 1949 წელს ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით დაიბეჭდა. ჩვენ ვსარგებლობდით ამ უკანასკნელი გამოცემით.

[4] ა. ფრანგიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი „ქართულ ლექსიკონში“ მოცემულ ფსიქოლოგიურ ცნებათა განსაზღვრებების მიხედვით. „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, IV, პროფ. დ. უზნაძის რედაქციით, თბილისი, 1947, გვ. 263.

„სიტყვის კონა“, სრულიად სამართლიანად, თავის დროის ცოდნის სალაროდ ითვლება, სადაც მშვენივრად არის ასახული იმდროინდელი ქართული საზოგადოების ინტერესი მეცნიერების სხვადასხვა დარგისადმი.

ცნებათა განმარტებისათვის საბას მრავალფეროვანი წყაროებით უსარგებლია. ამის შესახებ იგი კიდეც აღნიშნავს ლექსიკონისადმი წამძღვარებულ „ანდერძნამაგში“. საბა ამბობს, რომ „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე: საღთო წერილთა და ღვთის მეტყუელებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებთაგან და ღვთის მეტყუელებათა კავშირთა პროკლეს პლატონურითა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათიღორიათაგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვწერე, რომელიმე არა მათებრ ღულარჭნილად, არამედ მათვე წმიდათა მამათაგან საადვილო ვპოვე, და საადვილონი აღვწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული შესრულებული და გავრცელებული...“[1].

„ანდერძნამაგში“ საბა, მართალია, არაფერს ამბობს, ისარგებლა თუ არა მან სამედიცინო წყაროებით, მაგრამ ლექსიკონის ტექსტიდან ირკვევა, რომ მას სამედიცინო ძეგლებიც გამოუყენებია. ზოგიერთი სიტყვის განმარტების ბოლოში საბა წყაროდ კარაბადინს ასახელებს. „აური უპეს ქუეით ნაწლევია მოკლე და ფართო და ერთი პირი აქუს: (კარაბადინი)“ (ლაპარაკია ბრმა ნაწლავის შესახებ).

იმავე „ანდერძნამაგიდან“ ირკვევა, რომ საბა ბრმად არ ენდობოდა წყაროებს. იგი ამოწმებდა, ადარებდა სხვადასხვა განმარტებებს და, თუ რომელიმე ცნების გაგებას საეჭვოდ მიიჩნევდა, ლექსიკონში არ შეჰქონდა.

„რომელნიცა ვიცოდი, დავწერე და რომელნიცა ძნელნი სიტყუანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხუათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვიპოე ადვილად, თან მოვაწერე, რომელნიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე,...“[2].

როგორც ჩანს, საბა მკაცრი მეცნიერული მეთოდითა და სინდისით ეკიდებოდა ლექსიკონის შედგენას და თითოეული სიტყვის განმარტებას.

თუ რომელიმე სიტყვის გაგება მას არ დააჯერებდა და დაარწმუნებდა სისწორეში, საბას იგი ლექსიკონში არ შეჰქონდა.

„რომელნიცა სწორეთ თქუეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დავწერე, რომელნი არა ემოწმენ, არცა მე დავწერე...“[3]. ამდენად ეს ლექსიკონი საბას საკუთარი მეცნიერული ცოდნისა და შეხედულებების მაჩვენებლადაც გვევლინება.

საბასთვის სულერთი როდი ყოფილა, თუ რომელი სიტყვები შევიდოდა ლექსიკონში. ლექსიკონის შესწავლით ირკვევა, რომ მისი შედგენის დროს საბას მიზნად ჰქონია დასახული უმთავრესად ისეთი ცნობების შეტანა, რომელთა განმარტებით მკითხველს საშუალება ეძლეოდა გასცნობოდა ფილოსოფიურ და მეცნიერულ ცოდნას სხვადასხვა დარგიდან, „საადვილოდ“ დაწერილს.

ამისთვის საბას ქართულ ენაზე არსებულ წყაროებთან ერთად გამოუყენებია ბერძნული, ლათინური, სომხური, რუსული და არაბული წიგნები. „რაოდენ

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 10.
[2] იქვე, გვ. 11.
[3] იქვე, გვ. 10.

ძალ მედვა,—სწერს იგი ანდერძნამაგში,—ვეცადე ელ ლ ე ნ თ ა, ლ ა თ ი ნ თ ა, ს ო მ ხ ურ თ ა, რ უ ს თ ა და ა რ ა ბ თ ა წიგნებისაგან და მით გამოვიღე"[1].

ლექსიკონის ავტორს სიცოცხლეშივე მაღალი შეფასება დაუმსახურებია თავის აღზრდილ მწიგნობარ მეფისაგან, რომელსაც უთქვამს:

„რადგან დაშურა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მ ე ც ა.
შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მ ე ც ა.
სად ვნახევდი ასრე კრებით ქვეყნად მევლო გინდა მ ე ც ა.
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი ვით ვინაღული კიდეც მ ე ც ა"[2].

დიდი მწიგნობრისა და ლექსიკოგრაფის ეს ნაშრომი ყურადღებას იქცევს აგრეთვე სამედიცინო და საბუნებისმეტყველო ცნებების განმარტებით. იგი, სხვა წყაროებთან ერთად, მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს საბას დროინდელ საქართველოში არსებულ სამედიცინო აზროვნებისა და ცოდნის მოცულობის განსაზღვრისათვის[3].

ლექსიკონში წარმოდგენილია მთელი რიგი ცნობები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ. აი ზოგიერთი მათგანი:

ა რ ტ ი რ ი ა არს ძარღვი მფეთქელი, რომელი გაიხსნას კაცმა მოკუდების.

ა უ რ ი უპეს ქუეით ნაწლავია მოკლე და ფართო და ერთი პირი აქუს.

ა ფ რ ა ი ა ტ ი ს ი ღუიძლს ქუეით შემკურველი ეზო ყოელთა ნაწევართა სამ ქორედად.

ა შ ა ვ ე რ ი ბაყვი.

ბ ა ბაია, თუალის შავი.

ბ ა რ კ ა ლ ი თეძოს ქუემოთი.

ბ ა ყ ვ ი მუხლის ზეითი.

ბ ე ჭ ი ზურგის კერძ ფრთა, ხორცოვანი, სამკუთხედოვანი და პრტყელი ძვალი კიდე აწეული.

ბ ო ქ ვ ე ნ ი მუცელს ქუეითი სასირცხომდე.

ბ უ შ ტ უ კ ი ბოქუენი თუ ბუშტი.

ბ უ შ ტ ი ფსლის პარკი.

გ ა რ ს ი კანივით რამ გარეგანა.

გ ო ჯ ი თითი ნაწევარი.

გ რ ძ ნ ობ ი ს ს ა ც ა ვ ი საგრძნობელი.

გ უ ა ნ ი ესე არს მარტივად მყოფი განთვისებული თვისაგან, თავით თუ-ისით შემტკიცებით მდგომარე და განყოფილი მისთანათა მათგან რიცხუთა.

გ უ ლ ი გული არს გული კაცისა.

გ ე მ ო გემო, სიტკბო, სიმწარე, სიმლაშე, სიმჟავე.

გ უ გ ა სახედველი.

დ რ უ ი ლ ი ძუძუს თავი.

---

[1] „სიტყვის კონა", 1949 წ. გამოცემა, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 576.

[3] სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში სამედიცინო ხასიათის მასალების შეკრებადამუშავება აწარმოვა 1950 წელს პროფ. მ. საკაშვილის დავალებითა და ხელმძღვანელობით ე. ე. სებისკვერაძემ. იხ. მისი ნაშრომი: „სამედიცინო ხასიათის მასალები სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომებში" (ხელნაწერი). მოხსენებულია თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე (1950 წლის 15 თებერვალი, ოქმი № 3, და 13 დეკემბერი, ოქმი № 13).

დუქი ნერწყვი.
ელელეცი ტყირპი.
ელენთა ღორთა და თევზთა ტყირპი.
ენა საუბრის ასო.
ზურგის ძვალი ხერხემალი.
თაგუნი სხვილნი ძარღვნი.
თავი არს ყოველთა ცხოველთა ყელის ზეითი.
თეძო მენჯი.
თითი ხელის რტო.
თირკმელი ადამიანს და პირუტყვსაც თირკმლები აქვს ხერხემლის აქეთ-იქით შიგნიდან მუცლის პირდაპირ. ამ თირკმელებით იბადების შარდი.
თუალი ესე არს სახედველი ცხოველთა.
თხემი ზედეთი თავი ძთათა თუ თავთა.
იდაყვი ნიდაყვი, მკლავი სადრეკი.
ინო ესე არს მგრძნობელი ძარღვი თანაშეთხზული შეშა ძარღუთა.
იპოსტასი გუამი ლათინურად.
ისქიო და იღუნიო ძარღუნი არიან, რომელთა მიერ აქუს მიდრეკილობა მუხლთა და ბარკალთა.
კათოლიკე ძარღვი მკლავის შუა ძარღვი.
კანი თხელი ტყავი.
კანჭი წვივი.
კაჩა მუხლის ძირის სადრეკი.
კელავერი მუცლის ხორცი.
კემხა კეფა, თავის უკანა კერძო.
კერტი ძუძუს თავი.
კოლინჯი ესე ნაწლევი არს უპეს ქუემოთ, რომელი მიმოვალს აქათ-იქით.
კორძი ღლიათა და საზარდულთ ჯირკუალი.
კუკუხო თეძოს ძვალნი.
კუნთი კუთი.
კუჭი მფრინველის ფაშვი.
ლავიწი ყელთან მრუდი ძვალი.
ლორწო წვენი მძაფავი.
ლოყა პირუტყვთ ღაწვი.
მალა ზურგის ძვლის ნაკვეთი.
მარაკი თხელი ტყავი ღუიძლის კერძო. მუცელში.
მაჯა ხელის სახსარი.
მენჯი კაცის თეძო.
მკერდი. ყელსა და მუცელს შუა.
მკლავი იდაყუს წინათი.
მუხლი ფერხის სადრეკი თავი.
მყესნი მომზიდველი თაგუნი ძარღუთანი.
მხარი ბეჭთ შენადგამი.
ნაწევარი სახსართ შედგმულობა.
ნაწლევი მუცლის შიგანური.
ნები ხელის სიბრტყე შინაგანი.
ნეკი ქვეითი თითი.

ნერვოს ძარღვია სისხლმცირე.
ნესტო ცხვირის ხვრელი.
ნიკაპი ყბათ შესაყარი.
ნუნა ფრჩხილთ გარემო ტყავი.
პოპოპიკი თეძოსთავის საბრუნავი ძვალი.
საკლიტე სასის ჩამონაკიდარი.
საზარდული ბარკლის სადრეკი.
სახსარი ცხოელთ ნაწევარი.
სალოკი ცერის შემდეგი თითი.
სასულე ყარყანტო.
საფეთქელი წარბის ბოლოს ქვევითი.
საშო საშვილო.
ტაბუხი მუხლის თავი.
ტანი გუამი ცხოველთა.
ტენონი ყოველი ძარღვი მგრძნობელი არს მრგვალი და უჩჩუესი და დასაწყისი ტუინიდან აქუს, ხოლო ტენონის დასაწყისი ძარღვთაგან აქუს და ძარღვთა უფიცხლესი და უგრძნობელი და ოდესმე ბრტყელ.
ტერფი ფერხის ქვეითა სიბრტყე.
ტუჩი პირთ ორივე ბაგე.
ტყირპი ფიწალა.
უპე ჭიპი.
ურჩხი უკანა ნაწლევი.
ფაშვი ნაწლევთა და შიგნაურთა ბუდე.
ფერდი ფერდის ქვეშეთი.
ქანთლი ბუშტი. პარკი ფსლისა, ხოლო სახელსდებენ ნაღვლისასა, პარკი ნავღლისა აგებულებით ქანთილისა ვინათგან ჰგავს.
ქედი კისერი.
ქუთუთო თვალის საფარი.
ქუსლი ფეხის უკანა კერძო.
ღაწვი ლოყა.
ღლია მხრის ძირი.
ღრძილი კბილთ საპყრობი ხორცი.
ყბა ღაწვის ძვალი.
ყელივი მხარის ძვალი.
ყია ყელის ყარყატო.
ყიტაწელი უკანა დიდი ნაწლავი.
ყური სასმენელი.
ყურიმალი ყურის გარშემო.
შუბლი წარბს ზეითი.
ჩერანი წვივის გნდე.
ჩობალი მუცლის ქონ ბადე.
ჩონჩხი ფერხის ზურგი.
ცერი უსხო თითთა.
ცრემლი თვალის წყალი.
ცხვირი საყნოსელი ორღანო.
ძგიდე შუა გასატიხრავი მუცლისა.
წამწამი ქუთუთოს ბეწვი.

წ ე ლ ი ნაწლევი.
წ ვ ი ვ ი კაცის კანჭი.
წ ი ბ ო ერთი გვერდის ძვალი.
ჭ ა შ ა შუბლის ზეითი ძვალი.
ჭ ი პ ი უპე, მუცლის ჩიბუტი.
ჯ ი რ კ ვ ა ლ ი ყელისა და ღლიის კორძი.
ხ ა ხ ა საყლაპავი.
ხ ე რ ხ ე მ ა ლ ი ზურგის ძვალი.
ხ ო რ ხ ი მკერდის კერძო ნაწილი ყელისა, სადა ამოდის ხმანი სამუსიკონი.

ლექსიკონში გვხვდება აგრეთვე საინტერესო განსაზღვრებანი შინაგან სნეულებათა ზოგიერთი ნიშნებისა. დასახელებულია რამდენიმე გადამდები დაავადებაც და სხვა.

ა კ მ ე ესე არის ჟამისაგან ჭირის მოსვლა, უწამლო და უკურნებელი გინა ურგებელი.
ა ც რ ა დასერვა გინა აღცრა.
ა ხ უ რ ე ბ დ ა სიცხეს აძლევდა.
ბ ი ნ ა რ ი სნეული ჩუმად მივარდნილი.
ბ ო ყ ი ნ ი მყრალის ამოქარვა.
ბ რ ყ ვ ი ლ ი მისუსტებული.
ბ რ ჭ უ ა ლ ი ხორცში განწოლილი სატკივარი ძლიერი.
გ ა გ რ ი ლ ა გააცივა, გინა ცხროება დააწყებინა.
გ ა რ დ ა ხ ვ ე ვ ა ჭირის გადადება.
გ ა ა ყ ვ ი თ ლ ა ყვითელყო.
გ ა ა ჭ ი რ ი ა ნ ა დაასნეულა.
გ ა რ დ მ ო ქ ა ნ ე ბ ა სისხლის ჩქეფა.
გ უ ლ-ზ ი დ ე ბ ა თხევას ლამობდეს.
გ უ ნ ი სიყვითლის სენი.
დ ა ძ მ ა რ ვ ა ბოყინზედ პირს მჟავე მოედინოს.
დ ი ს პ ნ ო ა ბერძულია სულის გუბების სენსა ჰქვიან.
ე ქ უ ა დიდი ქოშინი.
ვ ა რ დ-კ ო ხ ა ქუნთრუშა.
ზ ა ფ რ ა თურქთა ენაა, ქართულად მწითურთ ნაღველი ჰქვიან.
ზ ი დ ე ბ ა გაწევა, დამძიმებული კუჭი რომ აზიდებდეს სანთხეველად.
თ უ რ ქ უ ლ ი სენია ცხოველთა და ზროხათა.
კ ა რ კ ა პ ი ჩჩვილთა სენია.
კ ა ტ ა რ ა ფრანგულად სურდოს კ ა თ ა რ ო ჰქვიან და წამალი რამ არის. ქართულად კატარა სწერია. ცხვირს ცხებულსა სიმყრალის სუნი აღარ ეყნოსება.
კ ო ლ ო ნ ი ესე არს ნაწლევი, სადა სატკივარი იქნების.
მ ა ნ კ ი ვნება რამე დაშთომილი.
მ ა ნ კ ი ე რ ე ბ ა გულით ვნება ალუხოცელი.
მ უ ც ე ლ ა ყუანის სენია.
ნ ა კ რ ი ს ი სენია ავი ქარი.
ო ხ რ ი დ ე ნ ხმიან კვნესოდენ.
პ ა რ ტ ა ხ ტ ი მხურვალე სენის მსხმო.
რ წ ყ ე ვ ა ნთხევა.

ს ა ო ფ ლ ე ესე არს სნება გარდამდები.
ს ა რ ი გ ო სნება გარდამდები.
ს ა ტ ა ლ ი სენია, მუცელა მომსვრელი.
ს ა ტ ლ ი სატალი სენი მუცლისა.
ს ა ტ ლ ო ბ ა ხშირი მუცლით ყვანა.
ს ი მ ჭ ლ ე უქონობის სენი.
ს ნ ე ბ ა სნეულება.
ს ნ ე კ ვ ა კუნესა.
ს ნ ე უ ლ ი სენის მქონებელი.

ს უ ლ ი ს კ უ ე თ ა სულისავე საქმე არს მოქმედებაი, რამეთუ თაგუნა მყესნი არიან განმღებელ მკერდის თავთა საკუთართა სულის კეეთისათა ორღანოთა და იჩქითი და სულის თქმითი სულის კუეთა დიდთა ზედა წუხილთა ქმნილი აჩუენეს სულთა მოქმედებასა;

ესეცა განიყოფებიან, რამეთუ ს უ ლ თ ქ მ ა არს შეცოდებულთა მიერ სინანულის სულით კუეთა:

კ ვ ნ ე ს ა არს სნეულისაგან ლმობით სულისკუეთა;
ქ ო შ ი ნ ი არს სირბილით სულის კუეთა;
ე ქ უ ა არს დიდად მაშურალისა მიერ სულის კუეთა;
ა ხ ი ო ს და ო ხ რ ა არს გამწყრალისა მიერ მოუთმენლად სულის კუეთა;
ო ხ რ ა ა ხ ი ო ს, ა მ ო ხ ვ ნ ე შ ა სულის კუეთისა ნაწილნი არიან.
ხოლო ე ქ უ ა, ფ შ ი ნ ვ ა, ქ ო შ ი ნ ი—დაშრომისაგან სულის კუეთანი არიან.

ს უ რ დ ო საყნოსელის სენი.
ტ ა ბ ლ ი სენისაგან რა მუცელში წყალი შეიქმნების.
ტ ი კ ი ს ა მუცლის ხმიანობის სენია.
უ ჩ უ ხ ი მუცლის ჭიდება დიდი.
უ ძ ლ უ რ ი შეუძლებელი გინა სნეული.
უ ხ ა დ ი სნეულება არა ეხადოს.

ფ ა ზ ა რ ი ესე არს ქუაი ნაღველთა შინა რომელი სამკურნალო სახმარი ქუათაგანაც იქნების ფაზარი რომელთამე თემთა.

ფ ა ნ ც ქ ა ლ ი გულის ჩქარი ცემა.
ფ ე რ დ ე ლ ა სენია გვერდის ტკივილი.
ქ ო თ ა ო ცხენის ყელის ჭირება.
ქ უ ნ თ რ უ შ ა სენია წითელასა ჰგავს.
ქ უ შ ი ძველი ხველა.

ქ შ ე ნ ა ესე არს სნეულისაგან საძნელო სულის კუეთა, რომელი მხარეთა ატანებინებდეს. ექუა არს დამაშურალისა და ნარბენისა ცხოველისაგან სულის-კუეთარი, რომელსა მსოფლიონი ქოშინსა უწოდენ, ფშვინვა არს მძინარისაგან სულის ბერვა.

შ უ პ ი ლ ი მცირე სიმსივნე ანაზდეული.
ჩ ა ტ ე ტ კ ი ლ ი ანაზდად ფერ-მიხდომილი გინა ფერმკრთალი.
ჩ ხ ვ ე რ ა მუცლის გვრემა.
ც უ დ-ყ ვ ა ვ ი ლ ა სენია მსხმო ყვავილივით.
ც ხ ე ლ ე ბ ა ხურვება.

ცხრო ცივების სენი, ყოველდღე ცხროებასა ეწოდების ენამეროს და აფიკაროს; მეორის დღის ცხროებას, რომელ შუა ერთი დღე დარჩეს, ეწოდების ლევაია; რა ორი დღე გამოუშვას და მესამეს დღეს გააცხროს ეწოდების ეტრატეოს.

ძმარვა მეავის წამოწყეეა.

წამოჭეხება კაცთ გაწითლება.

წითელა სენია.

წიტი სენია გასავალთ ზიდება.

წყალ-მანკი წყლით მანკიერი.

წყლით-მანკიერი, ესე არს სრულიად განსივებული და კურნება შეუძლებელი.

წყურტი გინა ჰყურტი, სნეულება არს, რომელი მრავალს წყალს ასმევს კაცსა და განახმობს სიმჭლითა.

ჭლექი სიმჭლის სენია.

ჭუჭყუნი მუცლის ხმიანობა.

ჩარბუხა ძნელი ხველება.

ხაშმი სენია ხორცთ დამარღვეველი.

ხრინვა სნეულის გულზედ ქოშინის ხმა.

ხრინწი ხმის ჩავარდნის სენი.

ხრტიალი მოკუდავის ხვრინვასავით ხმიანობა.

ხუნაგი სასის გასივება.

ხურვება სენის დღითი დღე მომატება.

ჯილეხი ძროხის მომსვრელი სენი.

ლექსიკონში განმარტებულია აგრეთვე, ზოგიერთი ცნებები და ტერმინები, რომლებიც ნერვული სისტემის დაავადებებს, მის სხვადასხვა მდგომარეობას და ნიშნებს გამოხატავენ. მაგალითად:

ბარბაცი მთვრალის ტორტმანი.

ბეჩი გაშტერებული.

ბიჩვერი შტერი.

ბნედა ანაზდათ ცნობის მიღება.

ბნედიანი ბნედის სენის მქონებელი.

ბრაზი სიცოფე ძლიერი.

ბუბუნი ყურის გამოხმიანება.

ბღრანი არც ძილი არც ღვიძილი.

.ბორგა ესე არს მიუმყოვრებელი ნავღელი. კაცი გულის წყრომით ვერც დადგეს და ვერც დაჯდეს.

გააშმაგა შმაგ ჰყო.

გააშფოთა შფოთიან ჰყო.

გაიჩემა გაშტერა.

გაშტერებული მიუმხუდარი.

გაბუცება გაშტერებასავით.

განცოფება ჭკუის წასლუა.

განრიდება ტკივილთა და სენთაგან გაშტერება.

გულის-ტანჯუა გონებით შეჭირვება.

გულის-ყრა შებნედა.

გ ლ ი ს პ ი ოდეს გულის-წყრომასა ვერ დაითმენდეს: სიგლისპე არს ანჩხლობა.

დ ა ბ ნ ე დ ი ლ ი ბნედით მდებარე.

დ ა ბ რ ე ც ვ ა თვალ-პირთ მოგრეხა.

დ ა ბ უ ჟ ე ბ ა ესე არს მოჭირვებით ხელი და ფერხი სისხლით დაუმძიმდეს და მცირედ ხანს ვეღარა იხმაროს და ჩხვლეტდეს.

დ ა ღ რ ე ჯ ა დიდად მოწყენა.

დ ა ღ რ ო მ ა მცირედ მოწყენა.

დ ა ძ ა რ ღ ვ ა ძარღვის წაკრვა.

დ ო რ ბ ლ ი ჩჩვილთ ლოშქრი.

ე ლ დ ა ანაზდი შიშით მობნედა.

ე ფ ე თ ე ბ ო დ ა მალ-მალ ფეთი დაემართებოდა.

ვ ნ ე ბ ა ითქმის ვნებად ხორციელიცა, ვითარ იგი სნეულებაი და წყლულებაი, ითქმის ვნებაი, სულიერიცა, რომელ არს გულის-თქმა, გულისწყრომა და ეგე ვითარნი.

თ რ თ ო ლ ა ძლიერი კანკალი.

კ ა ნ კ ა ლ ი შიშით თრთოლა.

კ ა ნ ტ უ რ ი უნებურად თავის ქნევა.

ლ ო შ ქ რ ი ბნედიანის დორბლი.

ლ ე ზ ვ ი თხელი დორბლი.

მ ა გ ო ნ ა გონებად მომიყუანა.

მ ე ბ რ უ ე მარადის მთვრალი.

მ თ ვ რ ა ლ ი, მ თ ვ რ ა ლ ი პირველისა შესავალთა კაცთა სიმთვრალისათა ეწოდებან ბ რ უ ჟ ო ბ ა, მასზედ მეტსა—მ თ ვ რ ა ლ ო ბ ა და თუ ვისმე სიმთვრალე გარდაერია, ეწოდების ლ ე ქ ა და თუცა ს ი მ თ ვ რ ა ლ ე განიადგდა და მრავალ ხან სვა, ღ რ ე უ ლ ი ეწოდების, ვინათგან გ ა ღ რ ე ვ დ ე ბ ა დიდხანს მსმელი ღვინისა მიერ.

მ ი მ ო გ ო ნ ე ბ ა, ესე არს მოგონებისა ნელიად-ნელიად მოგონება ხ ო ლ ო მ ი დ მ ო გ ო ნ ე ბ ა მყის არა თანა მიდრეკა, არამედ ვითარცა ბიჯებით სლვითა მიწევნა საგონისთა.

მ ო რ ო ს ბერძნულად სულელს უწოდებენ.

მ ო ჭ ი რ ვ ა შეხუთვასავით.

მ ა ჯ ლ ა ჯ უ ნ ა ესე სენია, ძილსა შინა წაეკიდების სისხლის უძრაობისა მიერ და ესრეთ ჰგონებს, ვითარმედ დააწვა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე და განიფრთხობს.

ნ ა ღ ა ვ ე ლ ი ა ნ ი ბნედიანი.

ს ტ ე რ ი შტერი, რომელ არს მოკლებული.

უ გ უ ნ ო ბ ი გონება დაბნეული.

ფ ე თ ი ღამით საოცრისაგან შეშინება.

ფ ი ლ ე ნ ჯ ი სენია დამგრეხელი.

შ ა კ ი კ ი რიგით თავის ტკივილი დროთა და დროთ.

შ ე ხ მ უ ხ ი ჭკუიანსა და ხელს საშუალი.

შ ლ უ ჭკუა ნაკლები.

შ ე ც ბ ო ნ ე ბ ა გაშტერებასავით.

ლექსიკონში წარმოდგენილია ზოგიერთი ისეთი ცნობებიც, რომლებიც ქირურგიულ დაავადებებს, მათ ნიშნებს და მკურნალობის საკითხებს შეეხება.

ა რ ტ ა შ ა ნ ი ძვალთ შესაკრავი.
ა რ ტ ა ხ ი ბრტყელი და მაგარი შესაკრავი.
ბ ა ვ ა ს ი რ ი ბუასილი.
ბ ა ლ თ ვ ა ხშირად დაკოდვა გინა დაჭრა.
ბ რ წ ყ ა ლ ი ანახეთქი ძვალთა.
ბ უ ა ს ი ლ ი ქართული არ არის სოკოს სენს ჰქვიან.
დ ა ზ რ ო ბ ა ყინვასაგან დაწვა.
დ ა კ ო დ ი ლ ი წყლული კირჩხიბი.
დ უ დ კ ო თითთა წყლულება.
დ ა ჯ ა რ ვ ა ხელის ყინვით დაზრობა.
ვ ი დ ა იარა.
თ უ კ რ თ ა წყლულება.
თ ი ა ქ ა რ ი ფუშის ქარი.

ი ა რ ა დ ი დ ა დ გადმოითარგმანების, რომელსა გონჯსა უწოდენ სიგინ ჯის მკურნალნი.

ი ა რ ა თურქთა ენა, წყლულსა ჰქვიან.
ი ლ ა ო სენი არს, უპეს ზეით წელის ნასკულობითა.

ი ლ ა ო გადმოითარგმნების ღმერთო შ ე მ ი წ ყ ა ლ ე. ზოგი სახელს დებენ მ ყ რ ა ლ ა დ და ზოგნი ჰ ა ს ა და იტყუან სიძნელით ტკივილსა მისსა ნაწლევის გამოსკუნისათუის.

ი წ ყ ლ ა წყლული იქმნა, დაიკოდა.
კ ო პ ი დაუეჟილობისაგან კოეოეი.
კ ი რ ჩ ხ ი ბ ი მუწუკი მჭამელი.
კ ო რ ძ ი ღ ლ ი ა თ ა და საზარდულთა ჯირკვალი.
მ ა რ გ უ ლ ი წყლული უმრთელებელი.
მ ო შ უ ლ ე პ ა წყლულის პირის მოძარცვა.
მ ო ჭ ე ნ ტ ა მოგრეხა თუ ღრძობა.
მ წ ყ დ ა რ ი დაკოდილი.
მ ჯ დ ო მ ი შიგანში დიდი მუწუკი.
ო პ ო ს ტ ო ს ი სენია კაცსა ზურგსა ზედა მშვილდსავით გარდასდრეკს.
ქ ე ე ა ხორცთ დაჭეჭკვა.

ს ი მ ს ი ვ ნ ე ხორც-გასივება. ხოლო შუპილი მცირესა და ადრე საკურნებელსა ეწოდების და დაჯირჯუება ძალად რა სხეული დასივდეს და ადრე განქარდეს.

ტ ე ხ ა მოტეხა, მწარე ტკივილი.
ტ ა კ ვ ი ხელმოკვეთილის მკლავი.
უ ც ა გველმა და მისთანამ უკბინა.

ფ ა გ ე დ ა ნ ა ესე არს წყლული უმრთელებელი რომელსა სდის მარადის ბაყლი და შალალი ყვერის კაკალთან.

ფ უ შ ი ყვერი მეტი.
ღ რ ე კ ი ლ ი კაცი მოდრეკილი
ღ რ ძ ო ბ ა ფერხის და ხელის მოჭენტა.
შ ა ლ ა ლ ი სქელი და მყრალი ნადენი წყლულებისა.

შ ა რ ა ვ ი სახელი არს ყოველთა წყლულთა ნადინებისა; წალა არს შარავი ვითა წყალი; წუთხი არს სისხლნარევი მკუდართ ნადინები, ეუეღი

არს წუთხი ცოცხლის წყლულთა ნადენი, შალალი არს ზრქელი და დიაღმყრალი ნადენი: თხრამლი არს მუწუკის ზრქელი ბაყლი ნადენი.

ჩ ი რ ქ ი თათართ ენაა, ქართულად მწიკული, ბაყლი და გემსი ჰქეიან.

ძ ი რ დ ი დ ა ბჭო მუწუკი ძირდიდი.

ხ ა ო სიცივით წყლულთ გასივება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსიკონში წარმოდგენილი ცნობები, რომლებიც კანის დაავადებებს და მათ ნიშნებს შეეხებიან.

ა ბ ე ბ რ ე ბ ა კანის აბურცება.

ა ბ უ რ ც ე ბ ა კანის აწვასავით.

ა ქ ა ვ ე ბ ა ფხანის აშლა.

ბ რ ძ ვ ი ლ ი ესე სახელი არს კეთროვანების დაწყებისა, კუალად ნაკოდარისა განმრთელებულისა, გინა შალალისა დინებისა ადგილისა და მისთანანი.

გ ა მ ო რ წ ყ ვ ა მუწუკის შალალის გამოდენა.

გ ა ნ ბ ო რ ე ბ ა კეთრის სნეულება.

დ ა ბ ე რ ე ბ ა აბებრება.

გ რ გ ე ნ ა დაბაყლებულის მუწუკის გამოკვნესა.

დ ა ბ უ შ ტ ე ბ ა ბუშტ-ბუშტად აღდგომა.

დ ა მ ზ ვ რ ა ლ ი დალეწილი.

დ ა ს ხ ვ ი რ პ ლ ა ტანზე მქავანთ ამოყრა.

დ ა ხ რ უ კ ლ ვ ა შებღუნძით შეხმობა ტყავთა.

დ ა ს ძ რ ო მ ლ ვ ა მძრომლისაგან დასუნთქვით დაყრა.

დ ა ჰ ყ ა რ ა მუწუკი დაასხა.

ე ლ ქ ი მ ი სენია, გვამზე დაყრის მქავანს.

თ ე ბ ო თმის მწიკული.

კ ე თ რ ი არს ხორცთა გათეთრება და ქერტლი.

კ ე თ რ ო ვ ა ნ ი კეთრიანი.

მ უ ნ ი მღერი და ხორა სამივე მღერია უადვილეს უძნელესი.

მ ღ ე რ ი ძნელი მუნი.

მ ძ ო ა რ ი მუწუკი თმათ მაცვინებელი.

მ ე ფ ხ ა ნ ა მქავანა.

მ ს ხ მ ო მუწუკი, თუ ხორა რაიცა დაჰყარის.

მ უ წ უ კ ი მბმო.

ლ ე ვ ა ი ს ა ესე ცხროა, რომელი მოატყუებს სნეულებასა კეთროვანებისასა უკეთუ გაუნიადაგდა.

ს ა ტ კ ბ უ რ ი გართხმული მუწუკი.

ს ვ რ ი ლ ი ხორცთა მძოვარი.

ს ვ ი რ ი ნ გ ე ბ ა უკეთუ კაცსა, რომელსა ზედა იქმნას მათ შორის ნიშნები, იგი კეთროვნებისაი არს.

ხოლო რომელსამე ზედა ტყავისა შინა მისსა წყლული ხორცი დამწვარი ცეცხლითა, იგი სვირინგებაი არს.

ს ი მ ღ ე რ ე მუნიანობა.

ფ ა ქ ლ ი წყლულება არს ხორცთა ამქავებელი და განმაფიცხებელი.

ფ უ ფ უ ლ ი გართხმული მუწუკი.

ფ ხ ა ნ ა მოქავება.

ფ ე რ ი-მ ჭ ა მ ე ლ ა პირზე მსხმო რამე.

ქ ა ვ ი ლ ი ფხანის ავარდნა.

ქ ა შ ო ე თ ი ხორცის დარღვევა წყლულებითა.
ქ ე რ ტ ლ ი თმათა ანაცვენი თებო.
ღ ო რ თ ა მ გ ო რ ვ ა ლ ა სენია მსხმო.
შ ე ხ რ უ ს ტ ვ ა კანის ცეცხლში შებღუნძვა.
ჩ ა რ ა ნ დ ე ლ ი სენია პირის სახეთა გამრყვნელი.
ჭ ო რ ფ ლ ი წვრილად შავი აჩნდეს.
ხ ო რ ა ხმელი მუნი.

საბას ლექსიკონში არანაკლები ადგილი აქვს დათმობილი მეანობასა, გინეკოლოგიასა და პედიატრიასთან დაკავშირებული ცნებების განმარტებას.

გ ა ნ ს ძ ე ე ბ ა სძისაგან განყენება, ძუძუს გაშვება.
დ ა ა ბ ა დ ე ბ ი ნ ა აშობინა.
კ ე ი ტ ო ნ ი სამშობიარო სახლი.
კ ო ტ ა კ ი ჩჩვილთ საკმელი ფია.
მ ა წ ო ვ ა რ ი ძუძუს ყამსა დედას მაწოვნებელი და ჩჩუილსა მაწოვარი ეწოდება.
მ ო რ ყ უ ნ ი ლ ი ყრმა მუცელში მოწყუეტილი.
მ ო რ ჩ ი ნორჩი, ახალმოზარდი.
მ უ ც ლ ა დ-ღ ე ბ ა ყრმის ჩასახვა.
მ შ ო ბ ნ ი მშობიერი.
ტ ა ბ ა ს ტ ა სისხლის დინება.
ტ ყ უ ბ ი უკეთუ იყვნენ ყრმანი ორნი მუცელსა შინა, ეწოდების მარჩაბი; ხოლო პირუტყვთა ორთა ერთსა ბუდესა შინა ტყუბი.
უ მ რ წ მ ე ს ი მერმე შობილი.
უ ს უ ს უ რ ი სუსტი.
უ შ ვ ი ლ ო შვილ-უყოლელი.

ცნობები მხედველობის ორგანოს შესახებ.

ა ზ მ ა ი თ ი თოვლისგან თვალის ვნება.
ა მ ვ ლ ი ო ბ ო ბ ო ბ ა თუალთ ტკივნეულთა რა თუალთ მხედუარეობაი ვერა კეთილად იყოს და ნათელსა ერთსა შუქმრავლად ხედვიდეს და ხედვაში ურბიოდეს.
ა ღ ხ ი ლ ვ ა თვალის ჩენა.
ბ რ მ ა ვერას მხედველი.
დ ა ბ ღ ლ ე ძ ა ქუთუთოს ჩამოწევა.
დ ა ნ დ ა ლ უ კ ი თვალის მავნე ბინდი.
დ ა ო ლ ვ ა თვალთ საოლავის ცხება.
დ ა ა ბ ლ ა ტ უ ნ ა თვალნი ავათ დაახამხამა.
ი ნ ჯ ლ ი ვ ი ქუთუთოს ბმო (ჯიჯლიბა).
კ ა მ შ ი ესე არს სიზრქეთაგან ნოტიოსა სისპეტაკე და მფარველი თვალთა მხედველობისათა.
ლ ბ ი ლ ი ავად მხედველი თვალი.
ლ ი გ ვ ი რ ი ესე თვალი ლურჯი არს.
მ ა ნ ე ესე არს თვალთა სიბინდე, სტომაქის აღორთქლებისაგან ქმნილი.
ფ რ ჩ ხ ი ლ ი თვალში რამ მცირე შევა თეთრი ტკივილითა.
წ ი რ ა პ ლ ი თვალის ბაყლი ლბილი.

ცნობები სამკურნალ-წამლო საშუალებების შესახებ.

ა ნ ა ვ ა ს ი ა წამალი რამეა მკურნალთა შორის, რომელთა იქონებენ და

არღარა ეყნოსებათ სიმყრალე სნეულთა.

ასკილი ტყის ბალახი.

ასფოდელოს. ასფოდელტოი სახელი არს მწუანვილისა: ხენი ხენნელი და ფერი შუენიერი და ძირი მისი წამალი სარგებელი.

განსათხეველი განსახსნელი წამალი.

განძი-მეფეთა ერთი წამალია, გულ-ფილტვის ბალახი.

დანაიფრანგი თვალთა წამალია ოქროს ყანგისაგან შეიმზადებენ, მწუანეა.

დევის-ფრჩილა წამალია ერთი.

დარაჯა ესე დარაჯა სხუათ ენა არს, რომელი სამკურნალოთა წიგნთა შინა აღუწერიათ საზომის ზომისათვის წამალთასა. ორითა დარაჯითა გრილი, ანუ სამითა დარაჯითა მხურვალე ამას ქართულად ხარისხი ჰქვიან.

ემპლასტრო მალამო, სალბუნი.

ვეცხლისწყალი სინდიყი.

ზიპა თევზის ქონი (ზიპი).

ზმილი სამკურნალო ნივთია.

თერიაყი სამსალის მკურნებელი თერიაკი.

თუთია თვალის წამალი.

იაღლავაში წამლად სადები ცომი მგბარი.

კონიო სასიკვდინე ბალახი.

კაკა ერთი წამლის სახელია.

კინამო არს ყვავილი სუნნელი, ეგვიპტეს მოვა. მძინარს კაცსა რა პირსა დადავა გულის პასუხს წარმოიტყუის.

კოლლურია ესე სამკურნალოთა თუალთა საოლავთა ეწოდების შემზადებულთა, რომელი მისცემს ნათელსა და გარდაიღებს მანესა, ბუხარისაგან ქმნილსა.

კოსტოტიროს ნადირია, რომლისა საურველი წამალია საკურნებელი.

კოტოში მოზიდვით სისხლის გამომღებელი ჭურჭელი.

მალამო სალბუნი.

მანდრაგორი ბალახია, ვაშლივით მოიბამს. ვინც სჭამს ძილს მოგუარის.

ნოეს-ქონი წამალია თეთრი, ქონსა ჰგავს. ხველას არგებს.

ნურა ბალანთ გასაცუნავი წამალი.

რეტინე ხის მანანაა ხუელებას არგებს, ტკბილი და მწუანეა.

სარდიონი ესე თვალი სისხლის ფერი სენთა ჰკურნებს.

სპილნე სალბუნი გინა მალამო.

ტლე სიცხიანის სადები წამალი.

ტეტრა-ფარმაკოს რომელ არს ოთხ წამალი.

სალბილობელი ესე არს სნეულთათვის შემრგე და უწყინარი წამალი.

უშანა და კაკა, წამალია რაღაცა.

ქაშთაჯი წამალი არს მარცულედად შეზელილი. რომელსა თურქთა მკურნალნი ჰაბად უწოდენ.

ქსირიანი წამალია რომელი წყლულსა გაახმობს და მოამშრალებს.

ქ-უეუნის-გულა სოკოა წამალი.

ჩეკა გოგირდი.

წამალი ნივთი საკურნებელი.

არსებობს საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში, ისევე როგორც წარსულში, ადგილი ჰქონდა ექიმების მომზადებას სკოლებსა და ოჯახებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყარაშვილების ოჯახი, საიდანაც რამდენიმე ექიმი გამოვიდა.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, პირველად რომელ საუკუნეში გამოვიდა ყარაშვილების გვარი საექიმო ასპარეზზე, მაგრამ საყურადღებოა ზოგიერთი ცნობა რომელიც: „უსწორო კარაბადინსა" და „იადიგარ დაუდის" A ვარიანტში არის დაცული.

„უსწორო კარაბადინში" 159-ე გვერდზე, იქ, სადაც განხილულია „დედათა წესის" მკურნალობის საკითხები, დასახელებულია აგრეთვე საბინ ყარაშვილის მიერ მოწოდებული მკურნალობა—„საბინ ყარაშვილი იტყვის"[1]. ეს გვარი, როგორც აღვნიშნეთ, „იადიგარ დაუდის" ვარიანტშიც არის მოხსენებული[2]. ძნელია იმის თქმა, თუ რა ნათესაურმა კავშირია მე-18 საუკუნის ყარაშვილების გვარსა და მე-11 საუკუნეში მოხსენიებულ ყარაშვილს შორის, მაგრამ ეს ცნობები მაინც ანგარიშგასაწევია.

ყარაშვილების გვარიდან მე-18 საუკუნეში პირველ ექიმად ანტონი იხსენიება. ანტონი თავდაპირველად იმერეთში ეწეოდა საექიმო მოღვაწეობას. ერთგული სამსახურის გამო ალექსანდრე მეხუთეს ანტონ ყარაშვილისათვის მიუცია „საჯილდაოდ აზნაურობა მისი ახალის სიგელის ბოძებით"[3].

შემდეგში, ანტონ ყარაშვილს თავისი ცოდნით თეიმურაზ მეორის ყურადღებაც მიუქცევია. ამ უკანასკნელს იგი თბილისში მოუწვევია და კარის ექიმად დაუნიშნავს. ამ დროიდან იწყება ანტონის, ხოლო შემდგომ მისი შვილისა და შვილიშვილების საექიმო მოღვაწეობა აღმოსავლეთ საქართველოში.

ექიმ ანტონ ყარაშვილისადმი სოლომონ მეორის მიერ გაცემულ მოწმობის წიგნში ვკითხულობთ: „...საქართველოს მეფეს თეიმურაზს მიუწვევია თავის სამეფოსა შინა საქართველოს ქალაქსა თბილისსა თავისდა მახლობლად; და მასაც მიეღო პატივითა აზნაურობისასა და განახლებით დამტკიცებისა პაპისა ჩუენისაგან ბოძებულის სიგელისა და მის მთელთა გვაროვნობისათვის ებოძებინა ახალი სიგელი აზნაურობისა და დაედგინებინა წინაშე თვისსა პ ი რ ვ ე ლ ე ქ ი მ ბ ა შ ა დ და განევლო ერთგულებით სამსახურით დღენი თვისნი"[4].

ამასვე მოწმობს დარეჯან დედოფლის მიერ გაცემული „მოწმობის წიგნი": „...მეფე ალექსანდრეს მიუღია იგი შესაფერისი პატივითა გამოცდილებისა და მეცნიერებისა მისისათა აქიმობასა შინა და ჩვენებისათვის ერთგულებისა სამსახურისა მისისათვის და მიუბოძებია ზემოხსენებულსა მეფესა ექიმბაშისა მისთვის საჯილდაოდ აზნაურობა სიგელითა. ხოლო შემდგომად მოუწოდა სუნით ექიმბაშსა მას საქართველოდ ნეტარ სახსოვარმა თეიმურაზ მეორემ მეფემან საქართველოისამან მამამთილმან ჩემმან და განაწესა იგი წინაშე თვისსა პ ი რ ვ ე ლ ე ქ ი მ ბ ა შ ა დ და დაუმტკიცა ახლითა სიგელითა ზემოხსენებული აზნაურობა, რომელიცა იმყოფებოდა ვითარცა ჟამსა მეფესა მამამთილისა ჩემისასა ეგრეთა ჟამსა ნეტარ სახსოვარისა მეფისა ირაკლისა მეუღლისა ჩემისა

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 159.

[2] „იადიგარ დაუდი", გვ. 638.

[3] მოწმობის წიგნი სოლომონ მეორისა ანტონ ყარაევისადმი, საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის 226 ფონდი, ანაწერი 3, საქმე 8872.

[4] იქვე.

ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“
ხელნაწერის საერთო ხედი.

მარადის სამეფოსა ჩუენსა კარსა ზედა მიჩნეული შესაფერითა პატივითა ერთგული და წადილით აღმასრულებელი წოდებისა მიერ თვისისა ყოვლისა სამსახურისა მისდა დაადებულისა და ვითარსა მდგომარეობასა შინა მყოფი აქიმბაში იგი ანტონი სავსე წლით გარდაიცვალა ამიერ სოფლით"[1].

როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, ანტონ ყარაშვილს ერთგული სამსახური გაუწევია როგორც ალექსანდრე მეხუთისათვის, ისე თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორისათვის და იგი სამეფო კარზე პატივისცემით ყოფილა მიღებული. თავისთავად ცხადია, რომ ანტონ ყარაშვილს ასეთი პატივისცემა თავისი დიდი ცოდნით უნდა დაემსახურებინა. წინაღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში, სადაც ექიმებს უძველესი დროიდან მეტად დიდ მოთხოვნილებებს უყენებდნენ, ანტონ ყარაშვილი ასეთ დიდ სახელს ვერ გაითქვამდა და მით უფრო მეფის კარის ექიმი ვერ გახდებოდა.

V ანტონ ყარაშვილისადმი მინიჭებული ხარისხი—„პირველ ექიმბაშობა"—კიდევ ერთხელ ადასტურებს ანტონის საექიმო დამსახურებას. ანტონ ყარაშვილს თავისი ცოდნით არაერთხელ უსახელებია თავი. მას ერეკლე მეორე გაუგზავნავს მძიმე ავადმყოფობისაგან და უხვი ჯილდოც მიუღია[2].

ანტონ ყარაშვილის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი შვილმა იოსებმა დაიკავა.

იოსებ ყარაშვილი ისევე, როგორც მისი მამა ანტონი, ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს. „დაუცხრომლამდი გვემსახურა ვიდრე ულანსკენელ ჟამამდე სიცოცხლისა თვისისა", — ამბობს მის შესახებ ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფალი.

იოსებ ყარაშვილისა და მეფე ერეკლეს ურთიერთობას ნათელს ფენს ერთ-ერთი წერილი, რომელიც 1797 წელს გიორგი ბატონიშვილს გაუგზავნია თელავში მყოფი იოსებისათვის.

„ბატონიშვილის გიორგის პატივით სახსოვარო ბატონო ექიმბაშო ოსეფ. მრავალი მოკითხვა მოგხსენდეს. თუ შენ ექიმის ანტონას შვილი ხარ და რასაკურველია რომ მათის უმაღლესობის მეფის ირაკლის და მათთის ოჯახისა და ქვეყნის ერთგული იქნებ[3]. და მისი უმაღლესობის ბატონს არზა ვაახლოთ ძალიან სხვა ვერა მოვახსენეთ რა და აქ საჩქაროდ ჩამობრძანება მოვახსენეთ და სხვას ვერც არას შენ მოგწერთ ამის მეტ რომ თუ ანტონას შვილი ხარ და მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის და ანდისის ოჯახის და ქვეყნის ერთგული ხარ ახლა გამოჩნდება. რასაც დროს ან ბატონს მიერთვას ჩემი არზა და ან შენ ეს ჩემი წიგნი მოგვიდეს მაშინვე დიდათ გაისარჯე მათს უმაღლესობასთან რომ რაც საქმე ჰქონდესთ გაუშვან მაშინვე და წამობრძანდეს რომ მათს აქ ახლავე საჩქაროთ ჩამოუბრძანებლობას გზა არ აქვთ და ამ მცირეს მოწერით ბევრი უნდა

---

1 მოწმობის წიგნი დარიასი იოანე ყარაეევისადმი. ინახება საქართველოს სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ფონდი 226, საქმე 8877.

2 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 213, საქმე 618.

3 ხაზი აქ და ქვემოთაც ჩვენია.

სცნა და ახლა შენ იცი როგორ გაირჯები საჩქაროდ ბატონის წამობრძანებაზედ ამის მეტი რაღა მოგწერო ახლა შენ იცი"[1].

ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა, ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ანტონ ყარაშვილს ქვეყნის ერთგულების გამო დიდი პატივისცემა ჰქონია დამსახურებული.

წერილის თარიღი (1797 წ.) გვიჩვენებს, რომ გიორგი ბატონიშვილის მიერ ერეკლეს გამოწვევა თელავიდან, საომარი ვითარებით იყო გამოწვეული. აღამაჰმად-ხანი თავისი ლაშქარით ყარაბაღს იყო მოსული და საქართველოს აოხრებას უქადდა. ერეკლე იმ დროისათვის უკვე ღრმად მოხუცებული იყო და ამის გამო მისი მგზავრობა თელავიდან თბილისამდე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. როგორც წერილიდან ჩანს, ექიმ იოსებ ყარაშვილს უნდა უზრუნველეყო ერეკლეს უვნებლად ჩამოსვლა თელავიდან თბილისში. ცხადია, რომ გიორგი ბატონიშვილი ამ საქმის მოგვარებას ისეთ პირს დაავალებდა, რომელიც ერეკლე მეფის ერთგული იქნებოდა. მართლაც, როგორც ძველი სიგელ-გუჯრები გვიდასტურებენ, იოსებ ყარაშვილი ერთგული სამსახურისათვის მეფე ერეკლეს და გიორგი მეთორმეტეს არაერთხელ დაუჯილდოებია ყმებისა[2] და საეკლესიო დუქნების ჩუქებით[3]. „სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხუათა მეფემან გიორგიმ და თანამემცხედრემან ჩუენმან ციციშვილის ასულმან დედოფალმ, მარიამ და ძეთა ჩუენთა... ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ჩუენს ერთგულ და წესისამებრ მრავალგვარად ნამსახურს ექიმ ანტონის შვილს ექიმბაშს იოსებს..."[4].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე მეორისა და ანტონ ყარაშვილის, ხოლო შემდეგში იოსებ ყარაშვილის ასეთი ახლო ურთიერთობა, მარტო იმით როდი იყო განსაზღვრული, რომ ყარაშვილები ერეკლეს კარის ექიმები იყვნენ. ამ ურთიერთობაში არა მცირე როლს ასრულებდა თვით ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. ცნობილია, რომ ერეკლე მეორე დაუღალავად იღწვოდა საქართველოს გაძლიერებისა და კულტურული აღორძინებისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ იგი სამედიცინო განათლებაზეც ზრუნავდა. 1797 წელს ერეკლე მეორე ერთ-ერთი ექიმისადმი გაცემულ „წყალობის წიგნში" აღნიშნავდა: „გულმოდგინებით წადნიერ ვარ სამეფოსა ჩუენისა წარმატებისათვის და უმეტესი მზრუნველობა ამისათვის გვაქვს, რათა კ ა ც ნ ი მ ე ც ნ ი ე რ ნ ი ბ რ ძ ე ნ ნ ი დ ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი შ ე ე ძ ი ნ ე ნ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ა ჩ უ ე ნ ს ა ს ა ზ ო გ ა-

---

1 წერილი გიორგი ბატონიშვილისა ოსეფა აქიმბაშისადმი. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 226, საქმე 1256.

2 მოწმობა დავით ბატონიშვილის იოანესადმი. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 226, საქმე 6795.

3 წყალობის წიგნი გიორგი მე-12-ისა, ექიმ ანტონის შვილს იოსებ ყარაშვილს. ძველი სიგელ-გუჯრები. ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებში, ფონდი Hd, წიგნი მეოთხე, 682. წყალობის წიგნი გიორგი მეფისა იოსებ ექიმბაშისადმი. ინახება იმავე განყოფილებაში, იხ. ფონდი Hd, წიგნი მეშვიდე, საქმე 1317.

4 სიგელის ასლი გიორგი მე-12. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 227, საქმე 1137.

დ ო ე ბ ი ს ა ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა დ დ ა კ ე თ ი ლ ო ბ ი ს ა ა ღ მ ა ტ ე-
ბ ა დ“[1].

ყარაშვილების ოჯახი სასარგებლო მუშაობას ეწეოდა ექიმების აღსაზრდელად. იოსებ ყარაშვილმა სამკურნალო საქმე შეასწავლა შვილებს—იოანეს და ანდრიას[2].

მაგრამ ამ ოჯახში სამედიცინო განათლებას სხვებიც ღებულობდნენ. ამ ოჯახში მიუღია სამედიცინო განათლება ექიმ სტეფანე შარიმანაშვილს, რომელიც ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ „პატარაობიდან სამედიცინო ჰეცხიერებას მასწავლიდნენ ჩემი ნათესავები—ანტონი და მისი შვილი იოსები, რომლებიც იყვნენ ქართველი მეფეების თეიმურაზის, ერეკლეს და გიორგის კარის ექიმები“[3].

ექიმ სტეფანე შარიმანაშვილს, სამედიცინო განათლების სრულყოფის მიზნით, სწავლა გაუგრძელებია ავსტრიასა და იტალიაში. სწავლობდა ვენეციის უნივერსიტეტში. 6 წელი მუშაობდა კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ სიკვდილამდე (1836 წ.) საქართველოში მოღვაწეობდა.

შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ მე-18 საუკუნის საქართველოში ყარაშვილების ოჯახის სახით არსებობდა ერთ-ერთი ისეთი კერა, სადაც ექიმების მომზადება ხდებოდა.

ყარაშვილების ოჯახის სამედიცინო მოღვაწეობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დარეჯან დედოფლის მიერ იოანე ყარაშვილისადმი გაცემული „მოწმობის წიგნი“, სადაც ვკითხულობთ, რომ „მისცემიესთ ესე საქართველოს აზნაურთა იოანეს, პეტრეს, ანდრიას და ანტონის ყარაევთა მად, რომელ მისცემიათ მათ წინაპართა თუისგან სამკუიდროდ ღერბი ესე, რომელიც გამოხატულ არს ფარსა ზედა განყოფილ ორად, მარჯვენით კერძო ტრედის ფერს მინდორსა ზედა არს გველ ოქროისა ამაღლებულ მსგავსი რვისა ციფრისა თავზე მართვით და რაოდენმე მარჯვენით კერძო მიდრეკილ, მარცხენით უკუე შაესა მინდორსა ზედა მარჯვენისა ხელსა შინა აღმოხდილ ხრმალი ვერცხლისა განმკვეთრად მიქცეულ მარჯვენით კერძოდ: პ ი რ ვ ე ლ ს ა მ ი ნ დ ო რ ს ა ზ ე დ ა გ უ ე ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ს ა ქ ი მ ო ბ ი თ ს ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა-ს ა შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა თ ა ა მ ა თ თ ს ა: მ ე ო რ ე ს ა ზ ე დ ა ხ ე ლ ი ჰ ნ ი შ ნ ა ვ ს ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ღ ვ ა წ ლ ს ა მ ა თ ს ა ზ ე ნ ა კ ერძო თ ა რ ი-ს ა გ უ ი რ გ უ ი ნ ი ა ზ ნ ა ო ურ ობ ი ს ა რ ი გ ი თ ა დ ა ფ უ ნ ჯ ულ თ ა ფ რ თ ი თ ა გ უ ი რ გ უ ი ნ ს ქ უ ე შ ე შ ლ ე მ ი დ ა მ ას შ ინ ა ლ ა ტ ი.

ხოლო ფარი უპყრიესთ მარჯვენით კერძო ლომსა და მარცხენით კერძო მხედარსა აღუურვილსა, ესე ბეჭედი პაპასა მათსა აზნაურსა ანტონი ყარაევსა და მამასა მათსა იოსებს ანტონის ძეს მარად უხმარიესთ დასამტკიცებელად წერილთა მათთა...“[4].

როგორც ამ საბუთიდან ირკვევა, ყარაშვილებს საკუთარი სამედიცინო ბეჭედი ჰქონიათ, რომლის ემბლემური სახე მათი სამკურნალო საქმიანობით იყო განსაზღვრული. ბეჭედზე გამოხატული ყოფილა „რვა ციფრის მსგავსი ოქროს გველი“ თავზე მართვით, რაც დარეჯან დედოფლის თქმით „მნიშვნელობს

1 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 229, დავთარი 19, საქმე 73. ხაზი ჩვენია, ავტორები.

2 იმავე არქივის ფონდი 2, საქმე 75.

3 იქვე.

4 „მოწმობის წიგნი“ დედოფალ დარიასი ივანე ყარაევისადმი. ინახება საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში ფონდი 226, ანაწერი 3, საქმე 8870.

აქიმობითსა მეცნიერებასა შთამომავლობათა ამათთასა," ხოლო ხელის გამოსახულება ამოწვდილი ვერცხლის ხმლით „სამხედროსა ღვაწლსა მათსა". მაათლაც, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ანტონი, იოსები და შემდეგ მისი შვილი იოანე ყოველთვის თანხლებიან საქართველოს ლაშქარს ომებში და სამედიცინო დახმარებას უწევდნენ დაჭრილ მებრძოლებს. ერთ-ერთ ბრძოლაში იოანე თვითონ დაჭრილა[1].

იოსებ ყარაშვილის უფროსი ვაჟი იოანე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 20—22 წლისა, გიორგი მე-13 ქარის ექიმი გამხდარა, ხოლო მისი მომდევნო ძმა ანდრია მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისში მომუშავე ექიმთა შორის იხსენიება[2].

იოანე ყარაშვილი, ისევე როგორც მისი წინაპრები, მეფის კარზე დიდად მიღებულ ექიმად ითვლებოდა. ამ მხრივ საინტერესოა პლატონ იოსელიანის ნაკვეთი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა". ამ წიგნში, რომელიც გიორგი მე-13-ის ცხოვრებას აგვიწერს, იოანე ყარაშვილი მრავალგზის არის მოხსენებული, როგორც მეფის ექიმი და მეფესთან დაახლოებული პიროვნება[3].

იოანე ყარაშვილს თავისი ცოდნითა და საქმიანობით იოანე ბატონიშვილის ყურადღება დაუმსახურებია და მას იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პეტერბურგში თავის ექიმად წაუყვანია.

შემთხვევითი არ ეს არის, რომ იოანე ბატონიშვილმა „კალმასობაში" ძველი საქართველოს მედიცინის წარმომადგენლად სწორად იოანე ყარაშვილი გამოიყვანა.

მთელი რიგი საბუთები ადასტურებენ, რომ ანტონი, იოსები, იოანე და ანდრია ყარაშვილები, აგრეთვე მათ მიერ აღზრდილი ექიმები დახმარებას უწევდნენ როგორც თბილისის, ისე ქართლ-კახეთის მოსახლეობას, სადაც მათ თავისი მუყაითი შრომით მოსახლეობის ნდობა და სიყვარული ქონდათ დამსახურებული.

საქართველოს დიდებულთაგან გაცემულ მოწმობაში, რომელსაც ხელს აწერენ დედოფალი დარეჯანი, მარიამი, მეფის ძე ვახტანგი და სხვანი, შემდეგს ვკითხულობთ: „ქვემო მომწერელნი ხელისანი ვაძლევთ მოწმობასა ამას საქართველოს აზნაურ შვილს ყარაევს ექიმბაშს იოსებს, რომ ამის გამო აქიმბაში ანტონი და ეგრეთვე თუით ესე ექიმბაშივე იოსებ იყუნენ საქართველოში ექიმბაშად მიღებულნი უმაღლესთა საქართველოსა მეფეთა სანატრელისა მეფესა თეიმურაზისა, მეფესა ირაკლისა და მეფისა გიორგისაგან და სრულიად ყოველისა საზოგადოობისაგან ქართუელთასა და როგორათაც საკუთრად მკურნალობდნენ სახლსა შინა სამეფოს და როჭიკითა და ულუფითა სანატრელთა მეფეთა-თა იყუნენ განუშუენებულ, აგრეთვე საზოგადოების ზედა ჩუენ ქართუელთა და

---

1 «...находясь в службе нашей и братьев наших во время одержания победы Российским и нашим войсками на берегу реки Иори в Нихурах над Аварским Омарханом, сын твой Иоанн находясь при братьях наших Иоанс и Баграте получил в грудь рану ружейною пулею...». ხელნაწერი ეკუთვნის ერეკლე მეფის შვილიშვილს. დავითს. ინახება საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. იხ. ფონდი 213, საქმე 618, გვ. 6—7. დათარიღებულია 1801 წლით.

2 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გამომცემლობა „ფედერაცია", თბილისი, 1936, გვ. 71, 190 209.

3 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი, 2, ანაწერი 1, საქმე 75.

კახეთისა მკურნალობდნენ დ როგორც ექიმბაში ანტონი და ექიმბაში იოსები, აგრეთვე შვილნი ამათნი ექიმნი იოანე და სხუანი იყუნენ საქმესა ამასსა შინა, რომელნიც ჩუენ მათ მიერ მრავალ გზის ღრმად სნეულნი და თითქმის განწირულნი განვჰკურნებულვართ და ჩვენთვის უბიწიეროდ მოუვლიათ,...“[1].

იოანე ყარაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ვაქცინაციის დანერგვა საქართველოში.

მოსახლეობისათვის ერთგული სამედიცინო სამსახურის გაწევისა და ვაქცინაციის კარგად ჩატარებისათვის 1810 წელს იოანე ყარაშვილი თბილისის გუბერნიის ხუთი მაზრის მცხოვრებლების მიერ დასაჯილდოებლად ყოფილა წარდგენილი. წარდგენაში ნათქვამია: „...მას უფალს ყარაევს ძროხის ჩირქით უხდევინებია მრავალთათვის მშვიდობიანათ ყვავილი და უხილავთ რა ეს ხალხთა ჰქმნიათ ამისთანა მოქმედება კეთილ მაგალითად და დარწმუნებულნი მისი სიკეთისა სურვილი ჰბედვენ აწ ძროხის ჩირქით ხდასა ყვავილისასა და დაზოცვა უწინდელისამებრ შვილთა ყოვლისაგან მოკვეთილ არს...“[2]

ყარაშვილების მოღვაწეობის დახასიათებისათვის საინტერესოა აგრეთვე მეფისადმი გაგზავნილი მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ „ყარაშვილების 30 წლის მოღვაწეობა ხალხის საკეთილდღეოდ, უკვე საკმაოდ გამოცდილი მასი ერთგულება, ყოველდღიურად გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ აუცილებელი არიან ისინი ამ მხრის მცხოვრებლებისათვის, აღარაფერს ვამბობ იმ პატივისცემაზე, რომელიც მათ სამართლიანად დაიმსახურეს ყველა წოდების მცხოვრებლებში. ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილი მათგან ღებულობდა როგორც საექიმო დახმარებას, ისე სამკურნალო წამლებს ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე“[3].

1809 წელს თბილისის გარეუბანში, იმ ადგილას, რომელსაც ასპარეზი იწოდებოდა, აგებული ყოფილა საავადმყოფო. ამის შესახებ დავით ინანიშვილის მიერ 1816 წელს გადაწერილ ვახუშტის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვკითხულობთ: „ამ ასპარეზის ჩრდილოთ ჰქმნეს რუსთა სასახლე სავანტმყოფო დიდ-მშვენიერი, წელსა 1809 (რომელსა უწოდებენ ღოშპიტალს...)“[4]. ეს სამკურნალო დაწესებულება სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა, მაგრამ სამედიცინო სტაციონარულ დახმარებას სამოქალაქო მოსახლეობასაც უწევდა.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მედიცინის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო და განსაკუთრებით შესამჩნევი შეიქნა გასული საუკუნის 60-იან წლებისათვის[5].

---

1 ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. ფონდი Hd, წიგნი № 4, 5651.

2 საქართველოს სსრ ცენტრ. სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 16, საქმე 964

3 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი 20, საქმე 1602.

4 ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. გადაწერილი 1816 წელს დავით ინანიშვილის მიერ. ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი s, № 4990. მოგვყავს თ. ლომურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ ვახუშტის გეოგრაფიისათვის დართულ დამატებიდან, გვ. 334.

5. ეს პერიოდი ცალკე იქნება განხილული საქართველოს მედიცინის ისტორიის შესაბამის ნაწილში.

აღნიშნული მოვლენა უშუალოდ დაკავშირებული იყო საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების ისტორიულ აქტთან.

ქართული კულტურისა და მეცნიერების, მათ შორის მედიცინის, განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის კულტურისა და მეცნიერების გაცნობას. იმ პერიოდში რუსეთის მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი კულტურა და მეცნიერება ახალ აღმავლობას განიცდიდა. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ქართველ მოღვაწეებს და ცდილობდნენ ახალი მიღწევები საქართველოში გაევრცელებინათ: „საცნაურ უკუე არს წინაშე ყოველთა ვითარსა ზედა აღვიდა ხარისხსა სიბრძნისასა რუსეთი ერთსა შინა საუკუნესა, რომელიცა უპირველესთა ევროპიის განათლებულთა სიბრძნით ქვეყანათა არა მხოლოდ ესწორებისვე, არამედ მოკლესა შინა ჟამსა კნინღა წარუსწრობსცა ყოველსავე შინა სწავლასა"[1].

დაიწყო ქართულ ენაზე რუსული მეცნიერული შრომებისა და სახელმძღვანელოების თარგმნა; შედგენილი იქნა რუსულ-ქართული ანბანი, რაც ხელი შეუწყო ქართველთა შორის რუსული ენის გავრცელებას. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ვახუშტი, დავით და იოანე ბაგრატიონები, ანტონ კათალიკოსი, იონა ხელაშვილი, დავით ალექსის-ძე მესხიშვილი (რექტორი), ბაიოზ რექტორი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, გოდერძი ფირალიშვილი, ვასილ ჭილაძე, გაბრიელ გელოვანი, გაბრიელ ჩხეიძე და სხვები.

რუსეთსა და ევროპის ქვეყნების მეცნიერული, მათ შორის სამედიცინო, მონაპოვრის საქართველოში გავრცელების საქმეში განსაკუთრებით დიდი მუშაობას ეწეოდა იოანე ბაგრატიონი და მის ირგვლივ შემოკრებილ ქართველ მოღვაწეთა წრე.

იოანე ბაგრატიონი ფართო და მრავალმხრივი განათლების მქონე პირი იყო: ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის წლებში იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 1799 წელს იოანეს მოხსენება მიურთმევია გიორგი მეფისათვის, „...სხვადასხვა აუცილებელი რეფორმების შესახებ, სადაც სხვათა შორის, სკოლის შესახებაც იყო ლაპარაკი. მისი პროექტით თბილისსა, გორსა და თელავში უნდა გახსნილიყო უმაღლესი ტიპის სასწავლებლები, რომლებშიაც უნდა ესწავლებინათ კლასიკური (ბერძნულ-ლათინური), აღმოსავლური (სომხური, თათრული), რუსული და ევროპული ენები, სხვა სასწავლო საგნებთან ერთად"[2].

უნდა ვიფიქროთ, რომ „სხვა სასწავლო საგნებს" შორის მედიცინაც იყო ნაგულისხმები, რადგან იოანეს სწავლად მიაჩნია: ღვთისმეტყველება, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, მ ე დ ი ც ი ნ ა, რიტორიკა, პოეზია, ფიზიკა და მათემატიკა[3].

იოანე დიდ ყურადღებას ეთმობდა საბუნებისმეტყველო დარგების შესწავლას. მას ამ მხრივ სპეციალური მუშაობაც ჩაუტარებია და რამდენიმე წიგნიც დაუწერია, მათ შორის აღსანიშნავია „ბუნების მეტყველება ანუ შეკრება ლექსთა სხუათა და სხუათა".

---

[1] „საფუძვლიანი კანონი ანუ მოკლე ხელის-მძღვაველობა მზაზველობითისა ხელოვნებისადმი", ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 2375.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1941.

[3] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", ტ. I, დასახელებული გამოცემა, გვ. 41. ხაზი ჩვენია.

როგორც ახლადმიკვლეული წყაროებიდან ირკვევა, იოანე ბაგრატიონი საკმაოდ ყოფილა განსწავლული ბუნებისმეტყველებასა და მედიცინაში და პრაქტიკულ საექიმო მოღვაწეობასაც ეწეოდა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში აღმოჩნდა ხელნაწერი სახელწოდებით „სნეულთა ნუგეში"[1], რომელიც, როგორც ანდერძიდან და წინასიტყვაობიდან ჩანს, იოანე ბაგრატიონს ეკუთვნის. მასში იოანეს მოღვაწეობისა და, საერთოდ, მისი ცხოვრების შესახებ, მეტად საყურადღებო ცნობებია შემორჩენილი. იოანე მიმართავს იოანას და ამბობს: „მაშაო წმიდაო იონავ! ესერა ვიმწირე მსხემობით სამეოც და ორნი წელნი ქუეყანასა ზედა სიყვარულითა ღუთისა და მოყუასთა... ხოლო სახლსა შინა ჩემსა შევიწყნარენ შესაწყალნი მაღალნი და საშუალნი და მდაბალნი და ქვრივნი და ობოლნი... სტუმართა მსგავსად ანგელოსთასა მივღიებდი და მოსრულთა მწირთა ქართუელთათუის თავი ჩემი ნებსით განვამზადე მსახურებად საზრდელითა, სასმელითა, საცმელითა და სახლითა და სნეულთა თვითვე ეკურნებდი; ვინათგან ვისწავლე მკურნალობაც სხვადასხვა სწავლებისთანა და მხატვრობისა.

გლახაკთა დაღრეკილთა და დაკლებულთა თუალთა გინა ხელთა და ფერხთა. და გონჯთა ჯუჯათა და უძღურთა და ასაკ მცირეთა უძალოთა და სნეულთა მრუვლელთა და პყრობილთა ძალისა და მონაგებ·'ა და შემოსავლისა ჩემისა უაღრეს ვმსახურებდი ზეჭოყოველთა...[2] ეგერა თუალნი შენი სვერეტენ ოცდახუთისა წლისა უმეტეს მამაო იონავ.

მამაო იონავ! აქარე შენისა მოსვლითაგან დიდისა ქალაქსა შინა, რომელ მეფე ირაკლისა პაპისა ჩემისა ძეთა და ასულთა და შვილთა მათთაცა ვმსახურებდი მრწემობისა ჩვენებითა და ქვედგომთა და ჯდომითა და უკანასკნელობისა სიტყვითა ტკბილთა უკეთუ შამისა ჩემისა მეათცამეტისა გიორგი მეფისა ძეთა და ასულთა, ძმათა ჩემთა და დათა უსწრობდი მსახურებასა უმცროსთაცა ჩემთა.

ხოლო პირმშოსა ძმასა ჩემსა მემკვიდრეს დანიშნულსა დავით კურთხევით სახსოვარსა ვმსახურებდი ძალისაებრ ჩემისა ზემოხსენებულთა ორთა მეფეთა ნეტარებით სახსოვართა ვმსახურე ძალისა ჩემისა შინაგან ივერიისა ბრძანებელთა აღსრულებითა; ხოლო გარეგან სამძღვრებსა ზედა გარემდგომილთა მტერთა უკუქცევითა. ვიდრე გარდაცვალებამდე თელავისა ქალაქსა შინა მეფე ერეკლესა, და ტფილისსა შინა მეათცამეტე გიორგი მეფისა, რომელთა ძუალნი ღირს იქმნენ დადებად სრულიად გიორგისა კათოლიკე ეკლესიასა შინა მცხეთად წოდებულსა. მეფეთა და დედოფალთა საცხებულოსა პირმშო კათედრიანსა კათალიკოზ. საპატრიარხოსა, რადა მრავალჟამ არღა დადებულიყვნენ მეფეთა და დედოფალთა გუამნი, შინაგან სამსახედ განაწევრებისა უბადრუკებისა გამო და გარეგან სპარსთა, თურქთა, ლეკთა დ კავკასიელთაგან ოხრებისა ძალით.

---

[1] იოანე მეფის-ძე, „სნეულთა ნუგეში", ფონდი S, 254.

[2] ხაზი ჩვენია,—ავტორები.

ᲐᲛᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲨᲔᲬᲔᲕᲜᲘᲡᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲥᲐᲠᲔ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲗᲐᲒᲐᲜ II ᲐᲠᲩᲘᲚᲛᲐᲜ, VI ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲐᲠᲛᲐᲜ ᲓᲐ II ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲛᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪᲐ ᲫᲕᲐᲚᲜᲘ ᲕᲔᲠᲪᲚ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ; ᲗᲕᲘᲜᲘᲔᲠ II ᲛᲔᲤᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲗᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ.

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲡᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲗᲐ ᲩᲣᲔᲜᲗᲐ ᲓᲐᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲐ; ᲛᲔ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲐᲥᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲘ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲜᲔᲑ ᲒᲐᲠᲓᲘᲪᲘᲕᲐᲚᲔᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐ ᲗᲣᲘᲗᲝᲜ ᲫᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ... ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ, ᲑᲘᲫᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲘᲠᲛᲨᲝ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲠᲐᲐᲚ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲜᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲔ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲐᲗᲡᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲒᲣᲐᲛᲘ ᲓᲐᲘᲓᲕᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲔᲕᲔᲚᲘᲡ ...ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ... ᲐᲛᲐ ᲔᲡᲔᲠᲐ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲔᲜ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲛᲪᲘᲠᲓᲘᲗ ᲝᲠᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲜᲘ; ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ ᲩᲣᲔᲜᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ II ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲘ ᲑᲘᲫᲐᲜᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲖᲢᲐᲪᲐ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲟᲐᲛᲘᲔᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲜᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲔ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲐᲗᲡᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲒᲣᲐᲛᲘ ᲓᲐᲘᲓᲕᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ... ᲐᲛᲐ ᲔᲡᲔᲠᲐ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲔᲜ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲛᲪᲘᲠᲓᲘᲗ ᲝᲠᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲜᲘ; ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ ᲩᲣᲔᲜᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ II ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲘ ᲑᲘᲫᲐᲜᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲖᲢᲐᲪᲐ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲟᲐᲛᲘᲔᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲕᲒᲠᲙᲘᲜᲔᲑᲓᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲘ ᲛᲝᲛᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲜᲔᲑ ᲒᲐᲠᲓᲘᲪᲘᲕᲐᲚᲔᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐ ᲗᲣᲘᲗᲝᲜ ᲫᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ... ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ, ᲑᲘᲫᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲘᲠᲛᲨᲝ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲠᲐᲐᲚ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲜᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲔ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲐᲗᲡᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲒᲣᲐᲛᲘ ᲓᲐᲘᲓᲕᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲔᲕᲔᲚᲘᲡ ...ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ... ᲐᲛᲐ ᲔᲡᲔᲠᲐ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲔᲜ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲛᲪᲘᲠᲓᲘᲗ ᲝᲠᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ; ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ ᲩᲣᲔᲜᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ II ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲘ ᲑᲘᲫᲐᲜᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲖᲢᲐᲪᲐ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲟᲐᲛᲘᲔᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲕᲒᲠᲙᲘᲜᲔᲑᲓᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲘ ᲛᲝᲛᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲜᲔᲑ ᲒᲐᲠᲓᲘᲪᲘᲕᲐᲚᲔᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐ ᲗᲣᲘᲗᲝᲜ ᲫᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ... ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ, ᲑᲘᲫᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲘᲠᲛᲨᲝ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲠᲐᲐᲚ ᲓᲐ ᲡᲫᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲣᲚᲜᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲔ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲐᲗᲡᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲒᲣᲐᲛᲘ ᲓᲐᲘᲓᲕᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲔᲕᲔᲚᲘᲡ

ჩუენისა პოვნილნი კარაბადინთაგან ლათინურისაგან ნათარგმნი ქართულად რომელნიც მოიპოვებიან ქართულსა ენასა შინა.. ვთარგმნე მეფის ძემ იოანემ"[1].

სამკურნალო რეცეპტურის წიგნი იოანეს ძმას. ცნობილ მოღვაწეს დავით ბაგრატიონსაც შეუდგენია: „...ფრიად საჭირო და სამკურნალო რეცეპტები რომელიცა ანბანზედა არის გამოკრებული მისის უმაღლესობის საქართველოს მეფის გიორგის პირმშოს ძისა და საქართველოს მემკვიდრისა, ღენერალ-ლეიტენანტის დავითისაგან, სამეუფოსა ქალაქსა, სანკტ-პეტერბურღსა, წელსა 1811, იანვრის 20"[2].

იოანესთან ერთად საქართველოში სამედიცინო ცოდნის გავრცელებისათვის ზრუნავდნენ სხვა ქართველი მოღვაწეებიც, რომლებიც რუსეთში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ სამედიცინო კრებულში, რომელიც გაიოზ არქიმანდრიტის მიერ არის გადმოთარგმნილი, დარჩენილია წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ერეკლე მეორის შვილს გიორგის, წერილი მიუწერია გაიოზ არქიმანდრიტისთვის და, როგორც ჩანს, სამედიცინო წიგნის თარგმნა დაუვალებია. გაიოზს დავალება შეუსრულებია და წიგნი გაუმზადებია საქართველოში გამოსაგზავნად, მაგრამ გაურკვეველი მიზეზის გამო ვერ მოუხერხებია: „მათს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის ირაკლის პირმშოს ძეს გიორგის ყოველად მოწყალეს ხელმწიფეს უმდაბლესი მოხსენება.

უგანათლებულეს მეფის ძეო! ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ 1792 იულისს თქვენი წიგნი მებოძა პეტერბურღს, და რაც გებრძანათ თანამდებობისამებრ გონებისა მყისვე ხელ ვჰყავ გარდმოღებად, მათ ჰაზრთა, რასაც თუით თქვენი უგანათლებულესობა იხილავს ამას შინა სალრბუნის სენის დასაბამსა, განყოფასა, წამალთა და მოვლათ. სახელნი წამალთანი დასვდეე ისევ ლათინურს წერილით და იგივე ქართულის წერილით. ამისთვის რომ პირველ წამლობა უექიმოთ არ იქნება, რათგან იგინი უკეთ შეაზავებენ, და მანდაურნი ექიმნი ლათინურისა უფრო შეიტყობენ ვინემ სხუას ენას. და მერე ამისთვის, არც მე ვჰსთარგმნე ქართულად შეუცთომელობისათვის. და როდესაც ღმერთი ინებებს თქვენის ბედნიერობით მაგ ქუეყანაში ამის მეცნიერების საფუძვლის დადებას ვამინ ადვილ შეიძლება.

.....კარაბადინისა რომ გებრძანათ, მაშინვე მივჰყავ ხელი და ნახევარი ფეტი ვსთარგმნე. და თუ ღმერთი მაღირსებს თქვენს ხლებას კარგად გამართულს პოგართმევთ, და სხუებრ დავშთები იმ ერთგულების თანამდებობაში, როგორც თანამედუა და თანამეცხ...

თქვენის უგანათლებულესობის ყოვლად
მოწყალის ხელმწიფის
ერთანასანილი მონათაგანი და მლოცველი
არხიმანდრიტი გაიოსი"[3].

---

[1] ეს ნაწილი № 136 ხელნაწერში შედის.

[2] ხელნაწერი № 176 იოანე ბატონიშვილის ფონდიდან. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[3] „კრებული ახალთაგან მკურნალთა" გადმოთარგმნილი ქართულად არხიმანდრიტ გაიოზის მიერ, წელსა 1790. ხელნაწერი № 186 იოანე ბატონიშვილის ფონდიდან. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ფონდში აღმოჩნდა ერთი განსაკუთრებით საინტერესო წიგნი, სათაურით: „ნერვებისა და დამპლის საოფლისათვის“, რომლის ავტორი არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ წიგნი შექმნილი უნდა იყოს იმ მოღვაწეთა წრეში, რომელსაც იოანე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა

წიგნის „წინა უწყება“ ანუ წინასიტყვაობა გვიჩვენებს, თუ რამდენად მომზადებული იყვნენ ზემოაღნიშნული მოღვაწენი და როგორ ერკვეოდნენ ისინი სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში, ისეთ რთულ, „დახულანჯულ“ საკითხებშიც კი, როგორიც ყოფილა იმ დროისათვის საოფლის გამომწვევი მიზეზის გარკვევა.

„წინადამდები მოკლისა აღწერისა ნერვების და დამპლის საოფლისა, ვრაცხ სათანადოდ წინათვე უწყებასა მკითხველისასა, რომელიმე, რაოდენ შესაძლებელ იყო, ვეცადე, რათა წარმომედგინა აქა გამოხატუა მის სახისა, რომელსაშიაც სნეულებანი ესე აწინდელისა დროსა შინა ხშირადრე იგულისხმებიან. მჩუენებელმან განმასხუაებელთა მათთა კუეთებათა და განმაცხადებელთან უმთავრესთა მიზეზთა და ნიშანთა ბედნიერისა ანუ უბედურისა მათისა დასრულებისა, აღვსწერე ღონისძიებანიცა განკურნებისა მათისანი, გამოცდილთა მკურნალთა მიერ მოწონებულნი. ყოველმან მკურნალმან უწყის, რაოდენ სხუა და სხუა გუარ და რაოდენ დახულანჯულ არს მეცნიერება უმახლობელისასა მიზეზისაი ანუ არსებისა საოფლისა! ვგონებ რომელი არა არს, არცა ერთი წერალი რომელიც საგანსა ამას შინა სრულებით ეთანხმებოდეს სხუათა. ამისათვის განმტლველმან ყოველთა განმსჯელობითა წინადადებათაგან, შემძლებელთა ყოფად გამოუცდელთა მკურნალთათუის საშინელ შესაბრკოლებელ კლდეცა და არა შემსლუელმან თეორიულთა ცხადყოფათა შინა ვიწინამძღურე მე წესნი, გამოცდილებისაგან აღმოწბულნი“[1].

„წინა უწყება“ ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ, როგორც ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მედიცინის მოღვაწენი გაცნობილი ყოფილან ზოგიერთი გადამდები დაავადების (საოფლის) „უმახლობელეს მიზეზს“, რომელსაც ავტორი „საოფლის არსებას“ უწოდებს. იგი ნერულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ „არა არს არც ერთი მწერალი რომელიც საგანსა ამას შინა სრულებით ეთანხმებოდეს სხუათა“. ცნობილია, რომ აღნიშნულ ხანაში გაფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა დაავადების მიკრობული წარმოშობის მომხრეთა და მოწინააღმდეგე ბანაკს შორის. ავტორი შეგნებულად თავს იკავებს ამ თეორიულ ბრძოლაში შესვლისაგან და გამოუცდელ ექიმთათვის პრაქტიკული მნიშვნელობის სახელმძღვანელოს ადგენს.

წიგნის დანიშნულება განსაკუთრებით მკაფიოდ არის განსაზღვრული ბოლოსიტყვაობაში, სადაც ნათქვამია: „სახითა ამით მომქცევსა, ძალუძს დაცუა თავისა მოქმედებისაგან მიზეზთა, მაწარმოებელთა საოფლისთა; და განმათავისუფლებელსა სხუათასა მძუნვარისა ამის სენისაგან, რომელიცა ხშირად შეამოკლებს სიცოცხლეს უუმჯობესთა წელიწადთა შინა...“[2].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიმრთელის დაცვა ძველთაგანვე მედიცინის დანიშნულებაში შედიოდა, მაგრამ, როცა დაავადების ნამდვილ გამომწვევ მიზეზთა შესწავლის ერა დაიწყო, პროფილაქტიკური საკითხების ანუ, როგორც

[1] „ნერვებისა და დამპლის საოფლისათვის“, იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ფონდიდან, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, № 63.

[2] დასახელებული ხელნაწერი, ფ. 27.

იოანე ბაგრატიონი უწოდებდა, „წინდასაცავ ღონიერებათა“ შესწავლას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

იმ ხანის ხელნაწერებს შორის გვხვდება უკვე სპეციალური წიგნები „წინდასაცავ ღონიერებათა“ შესახებ, როგორიც არის „სწავლა ერისა სიმრთელისათუის მისისა“[1], „სიმრთელისა დაცვისათვის“[2] და სხვ.

ამას გარდა, იმ ხნის თითქმის ყველა სამედიცინო ძეგლებს წამძღვარებული აქვთ სპეციალური ნაწილი, სადაც პროფილაქტიკური საკითხები არის განხილული.

წარმოდგენილი მასალის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (პეტერბურგი) არსებობდნენ კერები, სადაც მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდებოდა საქართველოს მედიცინისა და სამედიცინო ცოდნის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

---

[1] „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“. ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. ფონდი H, № 2164.

[2] „სიმრთელისა დაცვისათვის“. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ხელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, ხელნაწერი № 136.

თ ა ვ ი VII

ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები

ძველ ქართულ მედიცინაში ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები ანუ სადიაგნოზო მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანი ყოფილა. მათი უმეტესობა ემპირიული დაკვირვების საფუძველზე იყო შემუშავებული, მაგრამ მათ გარკვეული სადიაგნოსტიკო ღირებულება ჰქონდა.

სწორი დიაგნოზის დასმას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზოგიერთ საექიმო წიგნში პირდაპირ არის მითითებული, რომ, თუ ავადმყოფობა ცხელებით, ე. ი. მაღალი ტემპერატურით, არ მიმდინარეობს, პირველი სამი დღის განმავლობაში ავადმყოფს არავითარი წამალი არ მიეცეს, რათა დაავადების სურათი არ შეიცვალოს და ექიმს უფრო მეტი საშუალება ქონდეს სნეულების ამოსაცნობად: „...და რომელსაცა ცხელება არა სჭირდეს, მას სამ დღემდი ნურას მისცემ წამალსა, ამისთვის რომე ექიმი უკეთ შეიტყობს, თუ რისგან არის სენი მისი“[1]. უფრო მეტიც, კარგ ექიმს ისეთი მცირე სიმპტომების აღნუსხვაც მოეთხოვებოდა, რომლებიც თვით ავადმყოფისათვის და ირგვლივ მყოფთათვისაც შეუმჩნეველი იყო.

ავადმყოფის გამოკვლევის დროს ძველი საქართველოს ექიმები, როგორც ჩანს, გარკვეული სქემებით ხელმძღვანელობდნენ.

ზოგიერთ საექიმო წიგნში სპეციალური თავიც კი არის გამოყოფილი, სადაც დაწვრილებით არის განხილული გამოკვლევის სქემა, რომელიც ძირითადად ანამნეზის შესწავლას ისახავს მიზნად.

მეთერთმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში ამ თავს ეწოდებოდა „აქიმისაგან სნეულის მოკითხვა რაგვარად უნდა“. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი ზემოაღნიშნული კარაბადინიდან: „ბევრი აქიმი ასეთი იქნების, რომე ვინც სნეულის შემნახავი არის მას ჰკითხავს, და სნეულიცა გაიკითხოს და მან შეიგნოს სნეულის აძბავი“[2].

„პირველად რომე ჰკითხო მიზეზი სნეულებისა და ტკივილისა.
მეორედ სნეულებასა უკანის სხვა რა სენი გაერთოს.
მესამე ძილი და შეძრვა ტანისა.
მეოთხე ფერი და სახე ტანისა.

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 323.

[2] იქვე, გვ. 5.

მეხუთედ თუ რომელსა დღესა გასულა ავად.
მეექუსედ ცისა ვითარებაი და ქვეყნისა.
მეშვიდედ ნივთი ოთხისა ნივთისაგან.
მერვედ ის თემი თუ რომლისა თემისაგან არის.
მეცხრედ კულა როგორი ყოფილა ავად.
მეათედ ძალი და ძლევა სნეულისა"[1].

აღნიშნული სქემის საშუალებით ავადმყოფის ან მისი მომვლელის („სნეულის შემნახავის") გამოკითხვით არკვევდნენ, თუ რა მიზეზს უკავშირებს სნეული დაავადებას, რამდენი ხანია, რაც ავად გრძნობს თავს; ავადმყოფობის პროცესში ძირითად სნეულებას ხომ არ დაერთო სხვა დაავადება, ან საერთოდ რითი ყოფილა ავად. როგორი აქვს ავადმყოფს ძილი, რომელი „თემის" (ე. ი. კუთხის) მცხოვრებია, როგორ კლიმატურ პირობებში უხდება ცხოვრება და სხვა.

ზემოაღნიშნული სქემა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მისი ზუსტი ასლი რამდენიმე საუკუნის შემდეგ შედგენილ სამკურნალო წიგნშიც გვხვდება[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ იმავე წიგნში ავადმყოფის გამოკითხვისას უფრო ვრცელი სქემაც არის წარმოდგენილი. „ოდეს ნახო სნეული, ჰკითხე, ოდეს დასნეულდი თქუა. თუ გარქუას ადრეთგან, ჰკითხე ზამთრის სჯობს ანუ ზაფხულის; და თუ გარქუას ამათ ჟამთა დავსნეულდიო, ჰრქუი დღისით სჯობს ანუ ღამით. ცისკარ ანუ მომწუხრ. სიგრილისა ანუ სიმხურვალისა. სიმღუიძარე გაშენს ანუ ძილი, შიმშილი ანუ ჭამა. წყურვილი ანუ სუმა. ჯდომა ანუ წოლა, საჭმელი ანუ სასუმელი. წამალი გაიყოფა ანუ არა. ყოველი გამოკითხე და რომლისა მაშუენობა თქუას იგიცა აყავ..."[3].

მოყვანილი სქემა რამდენადმე განსხვავდება წინათგანხილულისაგან. ასე მაგალითად, პირველად განხილულ სქემაში ავტორი კმაყოფილდება შეკითხვით, თუ როგორია ავადმყოფობის ხანგრძლივობა („ჰკითხოს თუ რომელსა დღესა გასულა ავად"). ამჯერად კი საჭიროდ არის მიჩნეული დაზუსტდეს: როდის დაიწყო ავადმყოფობა. წელიწადის რომელ დროს, დღისით თუ ღამით, კარგსა თუ ცუდ ამინდში. გარდა ამისა, გვხვდება მთელი რიგი ისეთი კითხვები, რომლებიც წინა სქემაში არ არის აღნიშნული. მაგალითად, სნეულს კითხავენ, თუ როგორი აქვს მადა, ხომ არ განუცდია ხანგრძლივი უძილობა, წყურვილი ან შიმშილი, ხომ არ იღებდა დაავადების დაწყებამდე რაიმე სამკურნალო წამალს და სხვა.

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 21.

2 ზაზა ფანასკერტელი. „კარაბადინი". ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში. იხ. ფონდი Q, № 877,

3 იქვე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაავადებათა დიაგნოსტირების დროს ძველი ქართველი ექიმები ფართოდ მიმართავდნენ ავადმყოფისა და მისი მახლობლების გამოკითხვას იმ სუბიექტურ შეგრძნებათა შესახებ, რომლებიც ავადმყოფს დაავადების პროცესში უჩნდებოდა [1]. ასე მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო ძეგლში მითითებულია, რომ უპირველესად ყოვლისა საჭირო დადგენილ იქნეს, თუ როგორი გემოს შეგრძნება აქვს ავადმყოფს. ამ გზით თითქოს შესაძლებელია გავიგოთ, თუ რა პათოლოგიური პროცესი უდევს საფუძვლად ამა თუ იმ სნეულებას ანუ, როგორც მაშინ წარმოედგინათ, რომელი ჰუმორალური კომპონენტის დაჭარბებითაა გამოწვეული დაავადება.

„აწ̃ რაგორაცა აქიმი სნეულსა ზედა მივიდეს, პირველად ესე ჰკითხოს ეთა პირშიგან გემო როგორი გაქუსო.თუ ასრე თქუას, ტკბილი მიცო, იცოდი რომე სისხლისაგან არის... თუ ასრე თქუას, მწარედ მაქსო, იცოდე ზაფრისაგან არის... თუ ასრე თქუას, მომჟაოდ მაქუსო, იცოდი სევდისაგან არი..." [2]

ექიმები ავადმყოფთა სუბიექტური შეგრძნებების აღნუსხვისა და კლასიფიცირების საფუძველზე არა მარტო ამა თუ იმ ჰუმორალური კომპონენტის „დაჭარბების" შესახებ მსჯელობდნენ, არამედ ხშირად ცალკეულ დაავადებათა დიაგნოსტირებასაც ახდენდნენ.

ავადმყოფობის დიაგნოზის დასმა გამოკითხვის საშუალებით იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ დიაგნოსტიკის აღნიშნული მეთოდი მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. აი რას ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში".

„მას მკურნალმან როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას რაცა სჭირდეს"[3]

რუსთაველი მოყვანილ აფორიზმში იმ აზრს ატარებს, რომ მკურნალს არ ძალუძს მკურნალობა, თუ სნეული არ მოუთხრობს იმ შეგრძნებათა შესახებ, რაც შას აწუხებს.

ძველი საქართველოს მედიცინაში „სემიოლოგიას" უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მას „მსწრაფლ შეხდომა" ეწოდებოდა. აი როგორ არის განმარტებული სემიოტიკის ანუ „მსწრაფლშეხდომის" არსი მეთხუთმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში: „...ყუელასა გასწავლის სნებასა გუამისასა ნიშნებითა ამით საჩინოთა. და ესე იგი არს, რომელი ასოთაგან ასო არის და მათ შინა ნიშნები არის და ამით გარეთ იცნობების და სახედსდებენ მკურ-

---

[1] იხ. გ. სარალიძის ნაშრომი: „Диагностические приемы в древней Грузинской медицине". წაკითხულია ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. 1951, ინახება თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრაზე.

[2] „უსწორო კარაბადინი", გვ. 4.

[3] „ვეფხისტყაოსანი", სტროფი 662. ბ. ინგოროყვას რედაქციით.

ნალნი: „მსწრაფლ შეხდომა და გასწავლის ნიშნითა, თუ კაცი ფერზედან ყუ-თლად იყოს და ბაგენი თეთრად ედგენ, იცოდი რომე ღუიძლი სიგრილისკენ გარდაქცეულია... და თუ თუალნი გაუყუთლდენ იცოდი, რომ ნავღლისა საკალსა შიგან ნასკუი შეჭნილა. იცოდით, რომე ესე ნიშნები გასწავლის, რაცა შიგნით გუამშიგან სენი გამოჩნდების...“[1].

ამონაწერის ავტორი „მსწრაფლშეხდომას“ ახასიათებს, როგორც დიაგნოსტიკურ მეთოდს, რომელიც სწავლობს ავადმყოფის გამოვლინების ნიშნებს („ყუელასა გასწავლის სნებასა გუამისასა ნიშნებითა ამით, საჩინოთა...“). ამონაწერში მოტანილია ზოგიერთი მაგალითი „მსწრაფლშეხდომისა“, საიდანაც შესაძლებელი ხდება გარკვეული დასკვნების გამოტანა ორგანიზმში მომხდარ პათოლოგიურ ძვრებზე. მაგალითად, ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ სკლერების ყვითლად შეფერვა ნაღვლის სადინარის დახშვაზე მიუთითებს და სხვ.

„მსწრაფლშეხდომის“ საგანს შეადგენდა: დაკვირვება სხეულის მდებარეობაზე, ავადმყოფის სახის გამომეტყველებაზე, ძილზე, სხეულის ტემპერატურაზე (ტემპერატურის გაზომვის მეთოდიკა იხ. ქვემოთ), სუნთქვის ხასიათზე, გულმკერდისა და მუცლის კონფიგურაციის ცვლილებებზე და სხვ. მაჯის გასინჯვასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა; გამოიყენებოდა ისეთი მეთოდებიც, რომლებიც თანამედროვე მედიცინაში პალპაციის, პერკუსიის და აუსკულტაციის სახელწოდებით არის ცნობილი; წარმოებდა დაკვირვება შარდის, გინავლის, ნახველის, ოფლის, ცრემლისა და სისხლის ფიზიკურ თვისებებზე.

მოვიყვანოთ ამონაწერი მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული სამედიცინო წიგნიდან, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, თუ რა ხერხები და საშუალებანი გამოიყენებოდა ავადმყოფის გამოკვლევის დროს.

„იცოდით, ესეცა რომე ცხრა ნიშანი უნდა იცოდეს მკურნალმან და მით ცნას სნება და სენი, რომელ აღშფოთებულ იყოს და დამატებულ იყოს მათ სამზღვართაგან: პირველად—მაჯასისა შეტყუებითა; მეორედ ფსლისა ნახვითა ჭიქითა; მესამედ, თუ რათა დღეთა იყოს კაცი იგი, ყრმა იყოს თუ მოწიფული, ანუ შუაკაცი ანუ ბერი; მეოთხედ—თუეთაგან წელიწდისათა; მეხუთედ განავლისაგან; მეექუსედ—ბურანისა შეტყუებითა; მეშუიდეთ—ჰაერთაგან; და თემისა და ქუეყნისა ჰაერთაგან, თუ ცივია ქუეყანა, ანუ ცხელი; მერვედ შესახედავისა, პირის ფერისა და გუამისათა; მეცხრედ მოკითხვა სნეულისა[2].

ამონაწერის მიხედვით, დაავადების სწორი დიაგნოზის დასმისათვის საჭიროა შესწავლილი და გათვალისწინებული იქნეს შემდეგი მონაცემები: ანამნეზური ცნობების შეკრება ანუ, როგორც ამონაწერშია ნათქვამი, „მოკითხვა

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 253.

[2] იქვე, გვ. 4.

სნეულისა,"; საცხოვრებელი ადგილისა და კლიმატური პირობების გათვალისწინება: ავადმყოფის ასაკის დადგენა; ავად გახდომის თარიღის დაზუსტება; ავადმყოფის შესწავლა ინსპექციით („...შესახედავისა, პირისა ფერისა და გუამისათა..."), მაჯის გასინჯვა („მაჯისა შეტყუება") და შარდისა და განავლის გამოკვლევა.

მოტანილი ამონაწერი, ისევე როგორც ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალა, ადასტურებს, რომ ავადმყოფის გამოკვლევა ძველ საქართველოში გეგმაზომიერად, დაწერილებით და შესაბამისად მეცნიერების განვითარების მაშინდელი დონისა, სრულყოფილად ხდებოდა. განვიხილოთ ცალ-ცალკე დიაგნოსტიკის ზემოაღნიშნული მეთოდები. უპირველესად ყოვლისა, შევეხოთ დაავადების დიაგნოსტიკას გარეგანი დახედვით ანუ ინსპექციით.

დაავადებათა დიაგნოსტიკა ავადმყოფის დათვალიერებით (inspectio) ანუ გარეგანი დახედვით ძველ ქართულ მედიცინაში ექიმის დოსტატების უმაღლეს საფეხურად ყოფილა მიჩნეული.

თუ როგორ ხდებოდა ასეთი ხასიათის დიაგნოსტიკა, ამას ნათელჰყოფს შემდეგი ამონაწერები.

„თუ ბალღმისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ბაგენი გაუთეთრდეს და პირისა გემო გაუმლაშდეს..."[1]. ამრიგად, ორგანიზმში ერთერთი ჰუმორალური კომპონენტის—ბალღამის დაჭარბების ნიშნად მიჩნეული ყოფილა გაფითრება და პირში ცუდი გემო; „კაცსა თუ სისხლი სჭარბობს და ან ეს კაცი სისხლისაგან არის ავად, ამის ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცს პირისა ელფერი და ენა ყირმიზი ექნების..."[1].

ინსპექციის გამოყენება დიაგნოსტიკის მიზნით მე-18 საუკუნის ერთერთ ლიტერატურული ძეგლშიც არის ასახული. სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა" შემდეგი არაკია მოთხრობილი: „ბიძა ჩემი დია ხელოვანი მკურნალი იყო. მაღლა დერეფანთა ჯდა. მის სახლის ძირს ფოლორცი იყო. ერთმა ჭაბუკმა ქვე ცხენით გაირბინა. აქიმმა ზე გარდახედა და კაცი მისწივა და ეგრე შეუთვალა: მკლავი გაიხსენ, თვარემ სისხლი მოგაკვდინებსო. მან ჭაბუკმან მოციქულს აგინა და აქიმი გაკიცხა. რა შინ მივიდა, სისხლი შემოექნა და სიკვდილს ეახლა. რა ბიძა ჩემმა იდროვა, მივიდა. ტირილი იყო, შევიდა, მტირალნი გამოასხა, ორნივ მკლავნი დაუხსნა და მრავალი სისხლი ადინა მორჩა, კაცი იგი და უქებდა სიბრძნესა და ცოდნასა მიერითგან"[2]. როგორც ვხედავთ, მოტანილი იგავ-არაკის პერსონაჟი „ხელოვანი მკურნალი" ინსპექციით ადგენს, რომ ჭაბუკი, რომელიც ლაღად მიაქანებს ცხენს და თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს, მძიმე სენით არის შეპყრობილი. იგი სათანადო დახმარებასაც აღმოუჩენს ჭაბუკს.

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 7.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა" დასახელებული გამოცემა, გვ. 103.

ფილტვის დაწყლულებით მიმდინარე დაავადებათა დიაგნოსტიკის მიზნით გამოყენებული ყოფილა კიდურების დათვალიერება, ანუ ინსპექცია. ფრჩხილების დეფორმაცია ფილტვის დაჩირქების ნიშნად ყოფილა მიჩნეული: „...ხელთა და ფერხთა ფრჩხილთა გამრუდებაი ფირტვისა სიწყლულისა ნიშანი არს"[1].

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფის ჰაბიტუსზე დაკვირვებით დაავადების პროგნოზის გათვალისწინებაც ხდებოდა:

„...თუ სნეული პირველად დამჭლდეს და ხორცი დააკლდეს და .....პირისა ფერი ეცვალოს... წითლად ანუ ყუითლად, იცოდე რომე სნეულება მოკლე იქნების. და თუ სნეულისა ტანი არა დამჭლდეს და ხორცი არ დააკლდეს და ფერი არა გამოეცვალოს იცოდე რომე სნეულება გრძელი იქნების"[2] ამ შემთხვევაში, გახდომა და პირსახის ფერის შეცვლა წამყვან სიმპტომებადაა მიჩნეული დაავადების პროგნოზის განსაზღვრისათვის.

ჰაბიტუსის, ანუ როგორც ძველად იტყოდნენ, „ხატის" შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე გადამდებ სნეულებათა დიაგნოსტიკის დროს.

ჰაბიტუსის შესწავლას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იგი დაავადების სხვა ნიშნებზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. „...და იგი არს, რომელ რაცა ტანსა შინა გამოჩნდების, ხატსა ზედა უფრო გამოჩნდების..."[5]

ამ შემთხვევაში სახე, ანუ როგორც ძველად უწოდებდნენ—ხატი, სხეულში მომხდარი პათოლოგიური ცვლილებების გამომხატველადაა მიჩნეული. ამავე სამკურნალო წიგნში ჰაბიტუსის შესწავლისადმი სპეციალური თავიც კი არის მიძღვნილი. მას ეწოდება „შეტყუება პირისა (პირისახისა, ბ. რ.) კაცისასა". ამ თავს ავტორი შემდეგი სიტყვებით იწყებს: „ოდეს შეხედნე სნეულსა და გვანდეს თვისსა სახესა, სიმრთელისა ნიშანია და თუ არა გვანდეს თვისსა სახესა საქმე მისი ძნელია"[6].

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო კარაბადინშიც აგრეთვე გვხვდება ჰაბიტუსის შესწავლისადმი მიძღვნილი სპეციალური თავი სახელწოდებით— „დ. კარი და ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის. შეტყუებისა შეხედვით პირსა კაცისასა"[7].

---

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 47.

[2] „უსწორო კარაბადინი",—გვ. 147.

[3] იქვე, გვ. 376.

[4] „სამკურნალო წიგნი", გვ. 39.

[5] იქვე, გვ. 38.

[6] ზაზა ფანასკერტელი, „კარაბადინი". ხელნაწერი № 877, ფონდი Q. ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[7] „უსწორო კარაბადინი", გვ. 17.

ყურადღებას იქცევს ამავე ძეგლში მოცემული შემდეგი აღწერილობა: „...თვალნი უკუყრილნი, საფეთქელნი ჩადრეკილნი, ყურნი ცივნი და დამჭლობილნი, ყურნი გამოქცეულნი, შუბლისა ტყავნი გადასხიპულნი, ფიცხელი და უფერო, მწვანე და მოშავო, სიკუდილისა ნიშანია.“[1]

ამ შემთხვევაში როგორც ჩანს აღწერილია მედიცინაში ფართოდ ცნობილი „ჰიპოკრატეს სახე“, რომელიც მართლაც მაუწყებელია უაღრესად მძიმე, ხშირად გამოუვალი მდგომარეობისა და მუცელში მომხდარ კატასტროფაზე მიუთითებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილია გარეგანი დახედვით, ანუ ინსპექციით შენიშნული მთელი რიგი ნიშნები, როგორიცაა სკლერებისა და პირისახის გაყვითლება (რაც ღვიძლის დაავადების ნიშნად ითვლებოდა), ქუთუთოების შეშუპება (რასაც თირკმელის დაავადებას უკავშირებდნენ), აკროციანოზის განვითარება და ცვლილებები ენის მხრივ, მასზე სხვადასხვა ფერის ნადების გაჩენის სახით და სხვ.

ინსპექციას, როგორც დიაგნოსტიკის მეთოდს, განეკუთვნებოდა აგრეთვე ავადმყოფის ლოგინში მდებარეობის, სახის გამომეტყველების, ავადმყოფის ქცევისა, და სხვა. აღნუსხვა და აღწერა.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ რამდენიმე ამონაწერი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნიდან: „იცოდეთ, რომე სნეულისა შეტყობა სიგრძე და სიმოკლე ძრვაზედა უნდა შეატყუა ნიშანი მისი, რაჟამ სნეული ნახო და ჩქარად იყოს და ფიცხლა ფიცხლათ იძროდეს და ბრუნევდეს და სიცხე მწოვედ იყოს იცოდი რომე სნეულება ფიცხელი და მოკლე იყოს. თუ სნეული გუიან იძვროდეს და წყნარად და სიცხე ცოტა იყოს, ტანშიგან ტკივილი არა დიჰ იყოს სნეულება გრძელი იყოს“[2].

ამრიგად, ძველ ექიმთა სრულიად მართებული წარმოდგენით, მაღალი ტემპერატურით გამოხატული დაავადება მწვავედ მიმდინარეობს და სწრაფად ჩათავდება ხოლმე. ავადმყოფი ამ დროს მოუსვენარია და შფოთავს. რაც შეეხება სუბფებრილური ტემპერატურით მიმდინარე დაავადებებს („...სიცხე ცოტა იყოს...“), ეს უკანასკნელები უფრო დიდხანს გრძელდება („..სნეულება გრძელი იყოს...“) .ამ დროს ავადმყოფი ნაკლებად შფოთავს და სხეულის ტკივილიც ნაკლებად აწუხებს:

„...როდეს ნახო სნეულსა პირისა სიმსივნე და არა სტკიოდეს რა, და მარცხენასა ხელსა მკერდსა ზედა იდებდეს, მოკუდეს ოცდა სამ დღემდის, იქითგან რომე დასნეულებულიყოს.“[3].

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 146

[3] იქვე, გვ. 18.

„თუ სნეული პირაღმა იდვას ხელნი და ფეხნი გაიწოდნეს, ესე ცოტა კეთილი არის.“[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი (ლოგინში მდებარეობა, კიდურების თავისებური მოძრაობა) სადიაგნოსტიკო ღირებულებას კარგავდა, თუ იგი ადამიანს ჯანმრთელად ყოფნის დროსაც ჰქონდა გამოხატული და ჩვეულებას წარმოადგენდა.

ძველი საქართველოს მედიცინაში დამკვიდრებული დიაგნოსტიკის მეთოდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთელი რიგი სამკურნალო მანიპულაციების გამოყენება დიაგნოსტიკის მიზნით.

დიაგნოსტიკის ამავე მეთოდს განეკუთვნება აგრეთვე გარკვეულ სამკურნალო ნივთიერებათა მიცემა და შემდგომ ავადმყოფის სუბიექტურ შეგრძნებებზე დაკვირვება. მოვიტანოთ ამონაწერი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებული სამკურნალო წიგნიდან: „თუ გინდოდეს რომე შეიტყო, შავი იარაყანია თუ ყვითელი, როგორცა მათბუხი მუფიდი შეასუა დახედენ ნავალსა ტაშტშიგან, თუ შავი იყოს ნავალი და ტკივილი მარცხენით იყოს; იცოდე რომე „შავი იარაყი“ არის, და თუ ნავალი შავი არ იყოს და ტკივილი მარჯვენით იყოს და ნავალი ყვითელი იყოს, იცოდე რომე ყვითელი იარაყანი არის და ღუიძლისაგან იქნების“[2]. როგორც დავინახეთ, ღვიძლის დაავადებათა დიაგნოსცირების მიზნით საკმაოდ ორიგინალური ხერხი ყოფილა მოწოდებული. ავადმყოფს შეასმევდნენ გარკვეულ სამკურნალწამლო ნივთიერებას (მათბუხს) და იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისა ან ლოკალიზაციის იყო ტკივილი და როგორი იყო გამოყოფილი განავლის ფერი, მსჯელობდნენ დაავადების ბუნებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დიაგნოსტიკის აღწერილი ხერხი ერთგვარად გვაგონებს თანამედროვე მეთოდებს, როდესაც ავადმყოფს ესა თუ ის წამალი სამკურნალოდ და ამავე დროს დაავადების ამოცნობის მიზნით ეძლევა.

გამოკვლევის ობიექტური მეთოდი, რომელიც თანამედროვე მედიცინაში პალპაციის სახელით არის ცნობილი, ძველ საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა და შეიძლება ითქვას, ერთერთ წამყვან როლს ასრულებდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პალპაციას არა მარტო მუცლის ღრუს ორგანოების გამოკვლევის მიზნით მიმართავდნენ, არამედ ხშირად ამ მეთოდის გამოყენებით აკვირდებოდნენ გულის მუშაობას ადგენდნენ სხეულის ტემპერატურას და სხვ.

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში პალპაციის მეთოდით გულის გამოკვლევა შემდეგნაირად არის აღწერილი:

„„...ხაფაყნისა ნიშანი იგი არის, გული ასრე უძგერდეს, ამას ჰგვანდეს ქათამ ფეთქსო, რომე ხელი დასდვა და მწოედ უძგერდეს...“[3]

---

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 317.

3 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 174.

პალპაცია ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე მუცლის ღრუს ორგანოების გამოკვლევის მიზნით. პალპაციის საშუალებით ხდებოდა შინაგანი ორგანოების ოდენობის (გადიდება ან შემცირება), აგრეთვე უმტკივნეულობის დადგენა.

მუცლის ღრუს ორგანოების პალპაციის დროს ავადმყოფს განსაკუთრებულ მდებარეობას აძლევდნენ, რათა მოხერხებული ყოფილიყო მისი გამოკვლევა. აი, რას ვკითხულობთ მეთექვსმეტე საუკუნის ერთ-ერთ საექიმო ძეგლში: „...ღვიძლის სიმსივნისა, სტომაქისა და ტყირპის სიმსივნისა პოვნისა საქმე ეს არის, რომე ესე ავადმყოფი კაცი გულაღმა დააწვინო, და ორივე მუხლის თავი მკერდთანა მოიტანოს და მერმე მუცელსა და სტომაქზედა ხელთა მოუნახონ...“[1].

აღსანიშნავია, რომ ორგანოთა პალპატორული გამოკვლევის მიზნით ავადმყოფისათვის ზემოაღწერილი მდებარეობის მიცემას ამჟამადაც მიმართავენ.

სამედიცინო ხასიათის ხელნაწერების შესწავლით ირკვევა, რომ ქართველი ექიმები პალპაციის სხვადასხვა სახეებს იცნობდნენ და იყენებდნენ. ისინი მიმართავდნენ, როგორც ზერელე, ისე ღრმა პალპაციას. აი სათანადო მაგალითი:

„ასრე უნდა კაცმან ტყირპზედა ხელი დაუსვას და მერმე მთლიანად ხელი დააჭიროს...“[2]

ამონაწერის ავტორი გადმოგვცემს, რომ ელენთის პალპაციის დროს საჭიროა ჯერ ზერელედ „მოვუსვათ ხელი“ ამ ორგანოს (როგორც ჩანს, ოდენობის და ფორმის დადგენის მიზნით), ხოლო შემდგომ ხელი უფრო დავაჭიროთ, რათა კონსისტენცია შევიგრძნოთ.

პალპაციის საშუალებით რომ მართლაც ხდებოდა ორგანოს კონსისტენციის, ფორმის და ოდენობის აღნუსხვა, ამაზე შემდეგი მასალა მიგვითითებს: „...ხელი დასდევ ღუიძლზედან, და რომელი იყოს ღუიძლისა შიგან, მრგუალი და მაგარი იქნების“[3].

პალპაციას ანუ ხელით შეხებას, როგორც სადიაგნოსტიკო მეთოდს, ფართოდ მიმართავდნენ აგრეთვე სხეულის ამა თუ იმ მიდამოს ტემპერატურის დადგენის მიზნითაც: „და როდეს ხელი ტანსა ზედა დასდვა, დიად უზომოდ ცხელი იყოს...“[4]

სხეულის ტემპერატურის გამოკვლევა შეხებით, სპეციალურად დადგენილ არეებში ხდებოდა. ერთ-ერთ ასეთ არეს წარმოადგენდა კუჭის საპროექციო მიდამო ე. წ. „სტომაქის თავი“, ზემო კიდურები და სხვ. აი სათანადო მასალა: „...ამრიგსა ხაფაყანსა უსათუოდ ცხელება სდევს და მწოვედ წყურვილი აუვარდების, სტომაქი და სტომაქის თავი მწოვედ ცხლად ჰქონდეს, და ხელი რომ დააჭირო ხელშიგა მწოვედ გეცხელოს...“[5]

---

1 „იადიგარ დაუდ“, გვ. 393.

4 იქვე.

3 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 196

2 იქვე.

5 იქვე.

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლებიდან ირკვევა, რომ მომატებული ტემპერატურის დასადგენად სწორედ სხეულის აღნიშნული ნაწილები ყოფილა გამოყენებული. ეს გარემოება მით უფრო საინტერესოა, რომ დღესაც სხეულის ტემპერატურას გარკვეულ არეებში (მაგ. იღლიის ფოსო, პირის ღრუ, სწორი ნაწლავი და სხვ.) ვსინჯავთ. აღსანიშნავია, რომ პალპაციით არა მარტო მთელი სხეულის ტემპერატურას იგებდნენ, არამედ მას ანთებითი პროცესის დადგენის მიზნითაც იყენებდნენ.

აი რას ვკითხულობთ მეცამეტე საუკუნის საექიმო წიგნში დაავადება „ნიკრისის" შესახებ: „ფერად წითელი იყოს და რაი ხელი შემოსდვან მხურვალი იყოს"[1]. თუ გავიხსენებთ, რომ ძველი საქართველოს მედიცინაში „ნიკრისის" ქვეშ სახსრების ანთება იგულისხმებოდა, ცხადი ხდება, რომ შეწითლებული სახსრის მიდამოში ხელის დადება ერთგვარი დიაგნოსტიკური ხერხია. პალპაციით ხდებოდა აგრეთვე ტემპერატურის გაზომვა პირისახის მიდამოში. მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში შემდეგს ვკითხულობთ: „..თუ პირზედან ხელი შემოსდვან, ერთკენ ცხელი ებას და ერთკენ ცივი, ავი ნიშანი არის"[2].

საქართველოს მედიცინაში დიაგნოსტიკის სხვა ხერხებთან შედარებით პერკუსიას არ ჰქონდა ის ფართო მნიშვნელობა, რომელიც მან შემდეგში მიიღო. როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ჩანს, აღნიშნული მეთოდით არ ხდებოდა შინაგან ორგანოთა ტოპოგრაფიული მდებარეობის ან ოდენობის განსაზღვრა, არ იყო ცნობილი პერკუსიის საშუალებით პლევრის ღრუში სითხის არსებობის დადგენა და სხვ. პერკუსია უმთავრესად მუცლის ღრუს გამოკვლევის მიზნით გამოიყენებოდა: „ესე მანკი მაგრისა სიმსივნისაგან იქნების, რომელ ღვიძლსა შიგან იყოს,... ნიშანი,... იგი არს რომელ რაი ხელი მანკისა ადგილსა შემოჰკრან, ხმა მისი ტაბლისასა ჰგვანდეს, ვითამცა დუმბულისა ხმასა, არაბულად ტაბლი ჰქვიან დუნბულსა, და შიგან ქარი იყოს..."[3]

სიტყვა „დუმბუალი" ძველ ქართულ ენაში დოლის ანუ დაფდაფის მნიშვნელობით იხმარებოდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, განარჩევდნენ აგრეთვე მუცლის ზიდამოს პერკუსიით მიღებულ ისეთ ბგერით ფენომენს, რომელიც მსგავსი იყოს წყლით სავსე ტიკზე ხელის დარტყმით მიღებული ხმიანობისა. აი როგორ არის აღწერილი ზემოაღნიშნული მეთოდი მეცამეტე საუკუნის ერთერთ სამედიცინო ძეგლში: „...და რაი მუცელსა ხელი დაჰკრან ხმაი მისი ეგრე იყოს, რომელ წყლითა სავსე კუპრიელისაი ხმაი და შიგან წყალი იყოს"[1]. დაავადება, რო-

---

1 „წიგნი საექიმოი", გვ. 251.

2 ზაზა ფანასკერტელი. „კარაბადინი", საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში დაცული, ხელნაწერი. ფონდი, Q № 877.

3 „წიგნი საექიმოი", გვ. 193.

4 იქვე, გვ. 192.

მელიც აღნიშნულ პერკუტორულ ხმიანობას იძლეოდა, ქართულ მედიცინაში „ტიკის“ სახელწოდებით ყოფილა ცნობილი[1]. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება სითხით სავსე ტიკის ხმიანობასთან ანალოგიით ყოფილა შექმნილი.

მოვიყვანოთ, მაგალითი, სადაც ერთდროულად გამოყენებულია, როგორც პერკუსია, ისე აუსკულტაცია:

„პირველად ტაბლი, რომე ქუიან, ისი არის, რომე მუცელი გაუდიდდეს და ჭიპი გამოექცეს და ხელი რომე დაჭკრა ტაბლივითა ხმა გამოიღოს და თუ ყური დასდვა, წყალსავითა ხმა გამოვიდეს მოცლით (მუცლით)“[2].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მუცლის პერკუსიის გარდა, მის აუსკულტაციასაც მიმართავენ; მუცელზე ხელის დაკვრის შემდეგ მასზე დადებული ყურით წყლის გადაადგილების ხმიანობასაც ისმენენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მეთოდი, გარკვეული მოდიფიკაციით, დღესაც იხმარება სამედიცინო პრაქტიკაში და მას სადიაგნოზო ღირებულება აქვს.

შედარებით მოგვიანებითი პერიოდის ერთერთ ხელნაწერში, სადაც ასციტის სხვადასხვა ფორმებია აღწერილი, შემდეგს ვკითხულობთ: „ასციტის სნეულებაში, ზემო ნიშნებს გარდა მუცელი ექნება გაბერილი. ერთ მხარეს, რომ შემოჭკრამ ხელის გულის მეორეს მხარეს ჭაჭყალს დაიწყებს...“[3]

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში აღწერილია მუცლის ღრუში სითხის არსებობის დასადგენად თანამედროვე კლინიკურ პრაქტიკაში ფართოდ ხმარებული დიაგნოსტიკური მეთოდი, სადაც გამოყენებულია, როგორც პერკუსია, ისე პალპაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ასციტის დადგენის მიზნით მუცლის ღრუს აუსკულტაციის მეთოდის გამოყენების მხოლოდ ორიოდე მაგალითი გვხვდება. ქვემოთ მოვიყვანთ დასახელებულ მაგალითებსაც: „ნიშანი გულის წყალმანკისანი არიან ესენი: ჩქარი და ძნელი ქშინვა უმეტესად როდესაც გულალმა წევს, ღამე უმძიმესია ვირედ დღე... ხველა ხმელი ვირედ ნედლი... მაჯა ნელად უცემს, არასწორედ და ცვლილებებით, ოდესმე ექნება უზომო წყურვილი ყ...ების სიმსივნე, ეგრეევე ტუჩებისა, ხელისა და ფეხისა... ყური რომ მიადვა გულზედა შიშინს გაიგონებს...“[4]. მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ყოველ შემთხვევაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ქართველი ექიმები იცნობდნენ გულის აუსკულტაციის მეთოდს და მას პრაქტიკულ საქმიანობაშიც იყენებდნენ.

მაჯის შესწავლა ძველ ქართულ მედიცინაში ავადმყოფის გამოკვლევის ერთერთ მნიშვნელოვან მეთოდად ყოფილა მიჩნეული. მაჯის შესწავლით არა მარტო დიაგნოზს ადგენდნენ, არამედ ხშირად დაავადების პროგნოზზეც მსჯელობდნენ. ავადმყოფის გასინჯვის დროს „მაჯის შეტყობა“ იმდენად აუცილებელ პირობად ყოფილა მიჩნეული, რომ ეს უკანასკნელი მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. აი რას ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“:

---

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 224

[2] იქვე.

[3] „წყალმანკის უწყებულობა და მისი მორჩენა ვითარი სახითა ჯერ არის“, ხელნაწერი № 134, იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[4] იქვე.

„რა აქიმი დასნეულდეს რაზომ გინდა საქებარი
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყუებარი“[1].

საინტერესოა, რომ მეცამეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში „წიგნი საქიმოი“ რამდენიმეჯერ არის ნახსენები სახელწოდება „მაჯასა შემტყუებელი“.

არ არის გამორიცხული, რომ ამ სახელწოდებას „მაჯის შეტყუებაში“ განსაკუთრებულად გაწაფული ექიმები ატარებდნენ, მით უმეტეს, რომ იმავე მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში მაჯის მიხედვით დიაგნოზის დასმა მეტად რთულ მეცნიერებად არის გამოცხადებული და მითითებულია, რომ მისი დაუფლებისათვის არტერიების („შირიანი ძარღვი“) ცოდნაა საჭირო. „და ვისცა სწადიან რომელ კარგად იცოდეს („მაჯისა შეტყუებისა მეცნიერებაი“), პირველ შირიანსა მეცნიერებასა უნდა სწაელაი და დასწავლაი რომელ ესე მეცნიერებაი ესაჰლებოდეს, მით რომელ ამის მეცნიერობისა სრულიად სწავლაი და ძნელი არს, დიდი ხანი უნდა ამისსა უკანა დგომასა...“[2]

ძველი ექიმებისათვის აგრეთვე ცნობილი ყოფილა, რომ არტერიების „ფეთქვა“ და კერძოდ პულსური ტალღის შეგრძნება, გულის მუშაობის გამოხატულებას წარმოადგენს.

„და იცოდე რომელ მაჯასი გულისა ფეთქაი არს... და მისგან შეიგების გულისა სისუსტე და სიძლიერე. და იგი მოწამე არს აქიმისათვის მანკთა, რომელ გულისა და გულისა მიდამოსაგან, და მფეთქველთა ძარღუთა იქნების“[3].

მოტანილ ამონაწერში ნათქვამია, რომ მაჯა, ანუ პულსი გულის ფეთქვის გამოხატულებას წარმოადგენს და ამდენად მისი შესწავლით შესაძლებელია დადგინდეს გულის მუშაობის ხასიათი (სუსტია იგი თუ ძლიერი). ავტორის სიტყვით, მაჯა მოწამეა ექიმისათვის გულისა და გულიდან გამომავალი „მფეთქელი ძარღვების“ (უეჭველია იგულისხმება აორტა, ბ. რ.) მანკის დადგენის დროს.

განვიხილოთ, თუ როგორ ხდებოდა მაჯის, ანუ პულსის გამოკვლევა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევის დაწყებამდე ექიმი ცდილობდა დაედგინა გარემო, რომელშიც ავადმყოფს მოუხდა ყოფნა მაჯის გასინჯვის დროს, ან უშუალოდ მაჯის გასინჯვის წინ.

მეცამეტე საუკუნის საექიმო წიგნის მიხედვით „...მაჯასა მოუმატებს, ვითამცა გაწყრომაი და სიარული, და აბანოი და საქმობაი, და რაიცა ამას ჰგვანდეს; და ამისგან დასწყნარდეს კაცი, მისსივე წესსა მივა...“[4]

„...საჭამადი და სასუამადი, სიარული და სიცხე, და წყრომაი, ესე ყოველი მაჯასა გაადიდებს და მხურვალი წამალი მაჯასა გააფიცხებს და გამხურვალებს, და შიში მრავალ ფერად აფეთქს...“[5]

ზემოთმოყვანილ ამონაწერებში ჩამოთვლილია მრავალი ფაქტორი, რომელთა ზეგავლენითაც შეიძლება შეიცვალოს პულსი. უეჭველია ეს ფაქტორები აქვს მიღებული მხედველობაში მეთხუთმეტე საუკუნის სამკურნალო წიგნის ავტორს, როდესაც იგი მკითხველს შემდეგ რჩევას აძლევს:

---

[1] „ვეფხის-ტყაოსანი“ სტროფი 662 პ. ინგოროყვას გამოცემა. 1949 წ.
[2] „წიგნი საექიმოი“, გვ. 38—39.
[3] იქვე, გვ. 37.
[4] იქვე, გვ. 38.
[5] იქვე.

„...ოდეს ნახო ძარღვი თითთა შენთა ქუეშე... გამოკითხე ყოფა და დგომა და ჯდომა, ჭამა და წოლა. და თუ ანდაზად ერბინოს, გინა შეძრულ იყოს ცხენითა, იყოს ძარღვის ცემა ფიცხლად და სავსედ...“[1] ასეთივე რჩევას იძლევა მე-18 საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერის ავტორიც: „...ავადმყოფის მაჯა ასეთ დროს უნდა ნახოთ რომ ავადმყოფი გაგულისებული არ იყოს, ან მწუედ მხიარულად იყოს. ან მარხუას და შიმშილისაგან დასუსტებული არ იყოს, ან სიმაძღრით და ღვინით დაძალადებული...“[2]

განსაკუთრებული სიფაქიზით ხდებოდა ქალის მაჯის გასინჯვა. თითქმის ყველა სამედიცინო ძეგლში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ გამოკვლევის პროცესში სირცხვილისა და მორიდების გამო, ქალი განსაკუთრებით ღელავს, რაც მაჯის აჩქარებას იწვევს[3].

„თუ დიაცსა ხელსა უნახვიდე გრძლად ნუ გაუტეობ, ვირე გუნება არ დასწყნარდეს. უცხოსა ხელსა მიყოფითა გონება შეეშლების ძარღვი აშფოთების სირცხვილითა, და აცალე დაწყნარებამდის და მაშინ უნახე მაჯა დედაკაცსა“[4].

როგორც ეხედავთ, ამონაწერის ავტორი რჩევას იძლევა, რომ მაჯა მხოლოდ მაშინ უნდა გაისინჯოს, როცა პაციენტი ქალი სრულიად დაწყნარდება და გარემოს შეეგუება. მაჯის გასინჯვა უმთავრესად მარცხენა სხივის არტერიაზე ხდებოდა; ამ გარემოებას იმით ასაბუთებდნენ, რომ გული მარცხენა მხარეს არის და გამოკვლევა უფრო ზუსტი იქნებაო: „სჯობს იგი რომელ მაჯასა მარცხენით კერძოი ჰნახონ, ამით რომელ გული მარცხენით არს“[5]. ზემოთ მოტანილი ციტატი ამოღებულია მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნიდან. ამავე წიგნში მაჯის გასინჯვის წესი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „(მაჯასა)... ზედა თითთა დადებაი სამფერად არს, ზოგსა მაგრად და ზოგსა ლბილად, და ზოგსა სწორად, და მაჯასა რომელ თითთა მაგრად უნდა დადებაი ორფერად არს, ერთი მაჯასაი ძლიერად მფეთქელი არს, რომელ თუ მაგრად ზედა ხელი (არ ბ. რ.) დასდვა მაჯასი თითთა უკუაყენებს, და მისსა ვითარებასა კაცი ვერ შეიგებს, ვიდრე თითისა თავსა ზედა მაგრად არ დასდებს. მეორე იგი, რომელ მაჯასისა პატრონისა ხელი ხორციანი და მსუქანი იყოს, მაშა თითისა თავსა მაგრადცა უნდა დადებაი...და მაჯასა რომელ თითთა ზედა ლბილად უნდა დადებაი ორფერად არს, ერთი იგი რომელ მაჯასა ლბილად და უსუსურად ფეთქდეს, მეორე იგი რომელ მაჯისასა პატრონისა ხელი დია მჭლე იყოს, მით რომელ თუ ამის ხელსა ზედა ხელი მაგრად დასდვას ფეთქაი ყოლ არ ეგების მისი. მაშა რაი მაჯასასა უნახვიდეს ვისმე ამას ყოველსა გაფრთხილებაი უნნა, რომელ მაჯასა შემტყუებელი იყოს“[6].

---

[1] ზაზა ფანასკერტელი, „კარაბადინი“, ხელნაწერი № 877, ფონდი Q, ფ. 13r. დაცულია საქართველოს სსრ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2] საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი № 1318, H ფონდი, გვ. 9.

[3] ამის და ძველ ქართულ მედიცინაში დიაგნოსტიკის რიგი საკითხების შესახებ იხილე მ. საკაშვილის სადოქტორო დისერტაცია: „მასალები ნეროპათოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში“. 1948.

[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ.

[5] „წიგნი საექიმოი“, გვ. 37.

[6] იქვე.

მოტანილ მასალაში გარჩეულია, თუ როგორ უნდა ხდებოდეს პულსის გასინჯვა და რა მომენტებს უნდა გაეწიოს ამ დროს ანგარიში. ამონაწერის მიხედვით მაჯის გასინჯვა სამი წესით ხდებოდა ზოგჯერ თითი უფრო მაგრად დაეჭირებოდა, ზოგჯერ უფრო რბილად. ზოგიერთ შემთხვევაში კი ზომიერად. ძლიერად მფეთქველი პულსის შესწავლის დროს სხვის არტერიის საპროექციო არეზე თითის დაჭერა მაგრად ხდებოდა. ასევე ხდებოდა იმ ავადმყოფთა პულსის შესწავლა, რომელთაც ხორციანი და მსუქანი ზემო კიდური აქვთ. მაჯის გასინჯვის მაზნით, თითის „ლბილად დადებაი" იმ შემთხვევაში ყოფილა მოწოდებული, როდესაც პულსი სუსტი ავსებისაა („...რომელ მაჯასი ლბილად და უსუსურად ფეთქდეს...") ან ავადმყოფი ძლიერ გამხდარია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სანამ მაჯის გასინჯვის ზემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ წესს გამოიყენებდნენ, ხდებოდა მაჯის ზოგადი შესწავლა: „პირველად ნახვა ასრე უნდა მაჯაშისა, რომ ოთხივე თითი ზედა დასდვა, ნუცა ერთობ დააჭირებ და ნურცა სუსტად დაიჭირავ..."[1]

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში მაჯის გასინჯვის წესი შემდეგნაირად არის გადმოცემული:

„თუ შეუპყრა ძარჯუენა ხელი და მარჯუენითა ხელითა გასწორნე თითნი შენი და მიახუედრო ნეკი და ცან რომელსა თითსა ქუეშე უფიცხლე იყოს, უკეთუ ნეკსა უფიცხლე იყოს ცან ვითა სისხლი არის"[2].

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მაჯაზე დაკვირვებით ძველი ექიმები გულის ფუნქციურ მდგომარეობაზე მსჯელობდნენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ გულის მუშაობის პათოლოგიური აჩქარება „ყაფაყანი" უხშირესად ამასთან დაკავშირებული მაჯის გახშირება და რიტმის დარღვევა ორგანიზმის ზოგადი პათოლოგიური მდგომარეობის გამოხატულებად იყო მიჩნეული და არა თვით გულის დაზიანების შედეგად.

„თუ სნეულსა მაჯა ამლით და არევით ჰქონდეს, ტანისა და გუამისა ავადყოფის ნიშანია და მწუედ სიძნელისა"[3]—გადმოგვცემს ერთერთი სამედიცინო წიგნის ავტორი.

მოვიტანოთ ამონაწერი მე-18 საუკუნით დათარიღებული სამედიცინო ძეგლიდან. ამ ამონაწერში ასახულია ძველი ქართული სამედიცინო წარმოდგენები პულსის შესახებ:

„მაჯის ცემა თურამეტისა ანუ ოცის წლისა მრთელისა კაცისა, ვიდრე სამოცდა ათისა წლამდე, იქმნების სამოცითგან ვიდრე სამოცდაათამდე, ერთსა შინა მინუტსა. და ესე რაოდენმე დამცირდების მოხუცთა შორის. და ყრმათა შორის ჰსკენს ჩქარა სამის წლითაგან ვიდრე ოთხს წლამდე. და შემდეგ მცირედ მცირედ დამყუდროვდების.

გონიერი კაცი ხშირად მნახუელი თვისისა და სხუათა მაჯისა, ხმად შეატყობს სხვათა ხარისხსა ცხელებისასა. უკეთუ მაჯა ჩქარობს მესამედის წილით, მაშინ იგი არაუზომოდ ძლიერი არს, და უკეთუ სიჩქარით ნახევარსა იმატებს, ფრიად საშიშ არს თქმად ვითარმედ სასიკუდილო არის. ოდეს მოიწევის აქამ-

---

[1] „უსწორო კარაბადინი",—გვ, 9.

[2] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი, ფონდი Q, № 877, ფ. 14 v

[3] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი ფონდი H, № 118 ფ. 2 v

დე, ვითარმედ ნაცულად ერთისა ჰცემს ორსა, არა სათანადო არს, რათა ვჰსჯიდეთ ოდენ სიჩქარითა მაჯისა ცემისათა. ადვილად, კარგად ძალიან და სუსტად. მაგრად ანუ ლბილად, რიგიანად ანუ არეულად ცემითა: არა საჭირო არს განსაზღურება ძალიან და სუსტად მაჯის ცემისა. ძალიანი ყოველთვის ნიშნავს თითქმის კარგსა; ვინათგან უკეთუ ფრიად ძალიან არს შესაძლებელ არს დასუსტება: სუსტი მაჯა ხშირად იქმნების სამწუხარო:

უკეთუ მაჯა ხმელად სცემს თითსა, მსგავსად ხისა ანუ სხვისა, რაისმე მეტალლისა, მაშინ იწოდების იგი გაფიცხებულად, ანუ მაგრად. ხოლო წინააღმდგომი ამასი იწოდების, ლბილად, უკანასკნელი უკეთეს არს ლბილისა.

ფრიად საიმედო არს უკეთუ მაჯა ჰსცემს ძალოვანად და ლბილად. თუმცა ჩქარიცა იყოს: და უკეთუ იგი ძალიან არს და მაგარ, ჰნიშნავს დიადსა შინაგანსა სიცხესა, და სახმარი არს გამოშუეცა სისხლისა და საგრილებელნი წამალნი. უკეთუ არს იგი მცირე ჩქარი და ხმელი, მაშინ დიდად საშიშ არს:

რიგიანი ცემა მაჯისა იქმნების მაშინ, ოდესცა ყოველსა ცემას აქუს თანასწორი შორის მდგომარეობა. ესე იგი არს, ერთი ცემა მეორისა არა იყოს უჩქარეს, ანუ ხან დადგეს და ხან აჩქარდეს, ანუ ერთი მაგარ და მეორე სუსტ...“[1]

ამონაწერში სრულიად მართებულად არის აღნიშნული, რომ ახალგაზრდებს პულსი უფრო ხშირი აქვთ, ხოლო შემდგომ, ასაკში შესვლასთან დაკავშირებით, იგი იშვიათდება. აქვე აღწერილია მაჯისცემის პათოლოგიური შეცვლის სახეები—სიხშირის, დაჭიმულობის, ავსებისა და აგრეთვე რიტმის დარღვევის თვალსაზრისით.

გახშირებული მაჯა პროგნოსტიულად „სასიკუდილოდ“ ყოფილა მიჩნეული. მით უმეტეს, თუ „ნაცულად ერთისა ჰსცემს ორსა“. ამონაწერში აღნიშნულია, რომ ნორმალური მაჯისცემა დაახლოებით, წუთში 70 უდრის გაორმაგების შემდგომ კი პულსურ დარტყმას წუთში 140-მდე უნდა მიეღწია. ასეთი ტაქიკარდია ძველი მედიცინის პირობებში, რა თქმა უნდა, თითქმის უიმედო მდგომარეობად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ მაჯისცემის სიხშირის მიხედვით მსჯელობდნენ აგრეთვე სხეულის ტემპერატურის მომატებაზეც. გარდა სიჩქარისა, ყურადღება ექცეოდა აგრეთვე პულსის დაჭიმულობას, არჩევდნენ „გაფიცხებულ“ ანუ „მაგარ“ და „ლბილ“ მაჯას („...უკეთუ მაჯა ხმელად სცემს თითსა. მსგავსად ხისა ანუ სხვისა რაიმე მეტალლისა, მაშინ იწოდების იგი გაფიცხებულად ანუ მაგრად, ხოლო წინააღდგომი ამასი იწოდების ლბილად...“).

ამონაწერში მოხსენებულია სუსტი და კარგი ავსების („ძალიანი“) პულსი აგრეთვე არარიტმული პულსი: „...არა სათანადო არს რათა ვჰსჯიდეთ ოდენ სიჩქარითა მაჯისა ცემისათა... ძალიან და სუსტად, მაგრად ანუ ლბილად. რიგიანად ანუ არეულათ ცემითა...“).

საიმედოდ მიჩნეულია ისეთი მდგომარეობა, როდესაც მაჯა კარგი ავსებისაა და არაა დაჭიმული („ფრიად საიმედო არს უკეთუ მაჯა სცემს ძალოვნად და ლბილად...“), ამასთან თითოეული პულსური დარტყმა თანასწორი დროის მონაკვეთითაა დაშორებული ერთმანეთისაგან („...ყოველსა ცემას აქუს თანასწორი შორს მდგომარეობა...“).

---

[1] „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“, ხელნაწერი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ფონდი H, ხელნაწერი № 2164.

როგორც ამავე მასალიდან ირკვევა, ძველი ექიმები არა მარტო არიტმულსა და რიტმულ პულსს არჩევდნენ, არამედ ცდილობდნენ თვით არიტმიის ცალკეული სახეებიც დაედგინათ.

ცნობილია, რომ ექსტრასისტოლური არიტმიების დროს პულსის თითოეულ დიდ ტალღას მოსდევს პულსის მეორე მცირე ტალღა (ექსტრასისტოლა), ხოლო შემდგომ კომპენსაციური პაუზა.

ზემოთ მოტანილი ამონაწერის მიხედვით „რიგიანი მაჯისცემა მაშინ იქნების ოდესცა ყოველსა ცემასა აქუს თანასწორი შორს მდგომარეობა" (ე. ი. პულსი რიტმულია ბ. რ.). ამავე აბზაცში აღწერილია აგრეთვე პულსის ისეთი შეცვლა, როდესაც ერთ პულსურ ტალღას მოსდევს მეორე, უფრო სწრაფი ექსტრასისტოლური ტალღა და შემდგომ კომპენსატორული პაუზა („...ანუ ხან დადგეს,, ხან აჩქარდეს, ანუ ერთი მაგარ და მეორე სუსტ...“). შეცდომა არ იქნება, თუ დაეუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში ბიგემინური პულსია აღწერილი, მით უმეტეს, რომ კონტექსტში რიტმის დარღვევაზეა მითითებული („...რიგიანად ანუ არეულად ცემითა...“). უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილი ვარიანტები მაჯის პათოლოგიური შეცვლისა, ქართული მედიცინის უფრო ადრეულ ძეგლებშიც გეხვდება. ასე მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო ძეგლში სახელწოდებით „ქურციკისა ხლტომაი“ აღწერილია ექსტრასისტოლური არიტმია. აი ეს აღწერილობა: „თუ სცემდეს მაჯა მარჯვენისა ხელისა ჩქარად და წურილად, დასცხრის და კიდევე ფეთქდეს და დაცხრეს დიდსა ხანსა (კომპენსატორული პაუზა. ბ. რ;) ამას ქურციკისა ხლტომა ჰქვიან და სიკვდილისა ნიშანი არის.“[1] აღწერილობის თანახმად „ქურციკისა ხლტომას“—ტიპის მაჯა სწრაფია, სუსტი ავსებისაა („...სცემდეს ჩქარად და წურილად...“) და არიტმიულია. ამავე სამედიცინო ძეგლში აღწერილია აგრეთვე ექსტრასისტოლური არიტმიის ისეთი ფორმა, როდესაც პულსი „მსხვილია“ ე. ი. კარგი ავსებისაა.

„თუ (მაჯა) სხვილი იყოს და ესრე სახედ ფეთქდეს ვითარცა ზემო სწერია (იგულისხმება პულსის ტიპი—„ქურციკისა ხლტომაი“ ბ. რ.), იმას ზიბან ჰქვიან ესეცა სიკუდილისა ნიშანი არის“ [2].

ექსტრასისტოლურ არიტმიას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე მაჯის პათოლოგიური შეცვლა, რომელსაც მეთერთმეტე და მეთხუთმეტე საუკუნით. დათარიღებულ სამკურნალო წიგნებში „მარტო“ ეწოდება. აი მისი აღწერილობა:

„თუ—ღრმად ძარღუსა ქვეშ სცემდეს, ჰფეთქდეს და ფეთქა ამოვიდოდეს მაღლა და რაგვარცა ზე ამოვიდეს დასცხრეს და კიდევ ასრე ფეთქდეს ამას მარტო ჰქვიან, სიკუდილისა ნიშანი არის“[3].

„ღრმა და ძარღუთა ქვეშე ფეთქით ამაღლდებოდეს და ვითა ზედ ამოვიდეს დაცხრეს და კუალად ესრე სახედ ფეთქდეს... მას ეწოდების მარტო“[4].

როგორც დავინახეთ, ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში პულსის თითქმის ყველა სახე არის წარმოდგენილი, ამასთან ჰუმორალური თეორიის არასწორი წარმოდგენებიდან გამომდინარე, ხშირად პულსის პათოლოგიური შეცვლა ორგანიზმში ამა თუ იმ ჰუმორალური ელემენტის დაჭარბებითაა ახსნილი.

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 10.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ზაზა ფანასკერტელი „კარაბადინი“ საქართველოს მუზეუმში დაცული ხელნაწერი ფონდი Q, ხელნაწერი № 877.

აი როგორ არის აღწერილი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში კარგი ავსების, რბილი და გაიშვიათებული მაჯა:

„თუ სცემდეს ძარღვი თითთა შენთა ქვეშე სავსედ და მსხვილად და რბილად და გუიანად, იცოდი ბალღამი დასჭარბებია“[1].

ამავე წიგნში აღწერილია აგრეთვე სუსტი ავსებისა და გაიშვიათებული მაჯაც. „თუ სცემდეს ძარღვი თითთა შენთა ქვეშე წურილად და გვიან და სუსტად... იცოდი რომე შავი ბალღამი დამეტებულა“[2].

უეჭველია, ასეთივე ხასიათის პულსი უნდა იგულისხმებოდეს სახელწოდების ქვეშ—„ჭიანჭველის ძურა“, რომელიც გვხვდება მე-11 და მე-15 საუკ. ძეგლებში: „თუ მაჯა ვითარცა ჭია ანუ ჭინჭველი ძურებოდეს ესეცა სიკუდილისა ნიშანი არის“[3]. უნდა აღინიშნოს, რომ გაიშვიათებული სუსტი ავსების მაჯა გულის კუნთის ღრმა ცვლილებებზე მიუთითებს და პროგნოზის მხრივ მართლაც არასაიმედოა. ამავე საექიმო წიგნში ვხვდებით აჩქარებული, მაგრამ სუსტი ავსების მაჯის, აგრეთვე აჩქარებული, დაჭიმული და კარგი ავსების მაჯის აღწერილობას. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ორი მაგალითი.

„თუ სცემდეს თითთა შენთა ქვეშე წურილად, მალე მალედ და ჩქარად და ძარღვი გაზიდული იყოს, იცოდი კვერცხის გული ნავღუელი დამეტებულა...“[4]

„თუ სცემდეს ძარღვი თითთა შენთა ქვეშე სავსედ, მსხვილად და ძალიანადა ჩქარად, იცოდი, რომე სიცხლი დასჭარბებია, ჩქარად და ძალიანად ცემა სიმხურვალის ნიშანი არის, სისხო და სისავსე სინედლის ნიშანი არის და ეგრეცა არის, სისხლი მხურვალე და ნედლი არის“[5].

მაჯის დახასიათების დროს ძველი ავტორები ზოგჯერ ფიგურალურ გამოთქმებსაც მიმართავდნენ. ასე მაგალითად, მეცამეტე საუკუნის საექიმო წიგნში კარგი ავსებისა და დაჭიმულობის მაჯა მშვილდის საბელთან არის შედარებული: „თუ გასხირპული იყოს ვითა მშვილდისა საბელი, და მაგრად ფეთქდეს სევდისა მორევნისა ნიშანი იქნების...“[6]

ძველი საქართველოს ექიმები არჩევდნენ ხშირ პულსს და გაიშვიათებული დაჭიმულობის მიხედვით მაგარს ანუ ფიცხელს და რბილ პულსს. ავსების მიხედვით „ძალიანს“, ანუ კარგი ავსებისას და წვრილს, ანუ სუსტს. პულსის რიტმის დარღვევის სახეებიდან უნდა ვიფიქროთ, რომ იცნობდნენ ექსტრასისტოლურ არიტმიას და შესაძლებელია ბიგემინიასაც.

შარდის ანალიზს ძველი საქართველოს მედიცინაში, განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. შარდის ფიზიკური თვისებების მიხედვით ხდებოდა არა მარტო დაავადებათა დადგენა, არამედ პროგნოზის განსაზღვრა და ხშირად მკურნალობის წარმართვაც:

„ესევე მართებს აქიმსა რომე ცხროსა მოსვლასა შიგან კარულა ნახოს და შეიტყოს ავი და კარგი, სიგრძე და სიმოკლე, აგრეთვე სნეულისა სიმსუბუქე და სიძნელე“[7]—აღნიშნულია ერთ-ერთ ძველ (11 ს.) სამედიცინო წიგნში. „კა-

---

[1] „უსწორო კარაბადინი“ გვ. 10.
[2] იქვე. გვ. 9.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] „წიგნი საექიმოი“, გვ. 38.
[7] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 144.

რულა“ ანუ „ჭიქა“ ძველად შარდის შესაგროვებელ ჭურჭელს ეწოდებოდა, კარულის ნახვა, ამ შემთხვევაში შარდზე დაკვირვებას გულისხმობს.

ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ შარდის ფიზიკური თვისებების შესწავლის საფუძველზე, შესაძლებლად ყოფილა მიჩნეული იმის დადგენა მძიმეა, თუ მსუბუქი ავადმყოფობა, აგრეთვე ხანმოკლეა იგი, თუ ხანგრძლივი. შარდის ფიზიკური თვისებების შესწავლა დიაგნოსტიკის მიზნით ძველი საქართველოს მედიცინაში იმდენად ფართოდ ყოფილა დანერგილი, რომ ეს უკანასკნელი მეთვრამეტე საუკუნის ერთ-ერთ ლიტერატურულ ძეგლშიც აისახა.

სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ იგავ-არაკში მოთხრობილია, რომ „ერთი კარგი აქიმი იყო. სნეულთან რა მივიდეს, სნეულის პატრონი ჭიქით მას შარდს მოუტანდის და რა ნახის სენი ცნის, წამალი მისცის და განკურნის. ერთი სნეულის ამბავი მოუვიდა. ჭიქა გაგზავნა, შარდი ითხოვა...“ [1].

მოტანილი ამონაწერი საშუალებას გვაძლევს მთელი რიგი საგულისხმო დასკვნები გამოვიტანოთ. პირველ ყოვლისა, საინტერესოა, რომ იგავ-არაკის ერთ-ერთი პერსონაჟი—„კარგი აქიმი“ ავადმყოფის გასინჯვის დროს იკვლევს აგრეთვე შარდს. („...სნეულთან რა მოვიდეს სნეულის პატრონი ჭიქით მას შარდს მოუტანდის...“) საგულისხმოა ისიც, რომ კონტექსტის მიხედვით, შარდის გასინჯვის მიზნით, ექიმმა ავადმყოფის ოჯახში გაგზავნა შარდის შესაგროვებელი სპეციალური ჭურჭელი, რომელსაც ავტორი ჭიქას უწოდებს. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში მრავლად გვხვდება შარდის შესაგროვებელი სპეციალური ჭურჭლის—„ჭიქის“, ანუ „ყარურას“ აღწერილობა.

მოვიტანოთ ამონაწერი მეთერთმეტე საუკუნის ძეგლიდან: „აწ კარულა მოგახსენოთ ასეთი უნდა ჭიქა რომე ძირი კუერცხსა ვითა იყოს და პირი ფართო და თეთრი, და წმინდა, ბუშტსა ვითა შექნილი იყოს, და კარგად გარეცხილი. ასრე უნდა რომე დაიჭირო ფსელი წმინდითა ჭიქითა და დასდგა ცოტასა ხანსა“ [2]. ამონაწერის ავტორი მოგვითხრობს, რომ შარდის შესაგროვებელი სპეციალური ჭურჭელი თავისი ფორმით ბუშტის მსგავსი ყოფილა. მას ჰქონია ფართო პირი და კონუსისებრი ძირი. ხმარების წინ სავალდებულო ყოფილა მისი კარგად გარეცხვა.

მე-13 საუკუნის სამედიცინო ძეგლში აღწერილია, თუ როგორ და რა წესების დაცვით ხდებოდა შარდის გასინჯვა: „...და ყარულაისა დაჭირვაი მაშინ ხამს, რომელ სნეულმან გაიღვიძოს ჭამასა უწინაით რაი წყალი დაიჭირო ცოტა ხანსა დადგას ყარურაი რომელ თუ სიბნელე ანუ სხვაი რაიმე იყოს წყალშიგა, ქვე ნავიდეს, რომელ აქიმმან მანკისა თავნი შეიგნეს, და არ მოსცთეს და ხამს რომელ წყალი თფილი იყოს, რომელ ხელი და გრილი წყალი არ შეიგების. და ხამს რომელ აქიმმან ჰკითხოს სნეულსა თუ რაი უჭამია, რომელ ეგეთი არა

---

[1] „სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 160.

[2] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 11.

ეჭამოს, რომელ წყლისა ფერი ექციოს. და წყლისა შეტყობისათვის ოთხთა ნივთა შენახვაი ხამს, პირველ ფერი და მეორე სული მესამე ყავამი, მეოთხე რუსობი...“[1]

„...ჯერ არა ესუარა და არ ეჭამოს, შარდი ქნას... მაგრა პირველსა დღესა ასეთი არა უნდა რა ესუას და ეჭამოს, რომ შარდს ფერი უცუალოს. ზაფრანა მწუანილი და ღვინო ესეები შარდს ზოგი გაუყვითლებს და ზოგი გაუმწვანებს მერე ასე უნდა ამ სნეულს არც მწუედ გაგულისებული იყოს, არც უძილობა მოაჭირუებდეს, ამ რიგად მყოფსა ერთს რაშიმე შარდი უნდა აქნევინო, რაშიაც ეს შარდი იდგეს ის ცოტა შეარხიონ, და მერმე შარდი გაშინჯონ...“[2]

ზემოთმოყვანილი ამონაწერების მიხედვით, რომელთაგან ერთი მეცამეტე საუკუნეს, ხოლო მეორე მეთერამეტე საუკუნეს ეკუთვნის, ირკვევა, რომ ძველ ექიმთა წარმოდგენით, შარდის შეგროვება უზმოზე უნდა მოხდეს; ამასთან საჭიროა ახლად გამოღვიძებული ავადმყოფის შარდის გამოკვლევა. ავადმყოფი არ უნდა იყოს უძილო ან აღელვებული („...არც მწვავედ გაგულისებული იყოს, არც უძილობა მოაჭირუებდეს“). ჭიქაში, ანუ „კარურაში“ შარდის შეგროვების შემდეგ სამ საათს უნდა ვაცალოთ, რათა მოხდეს სიმღვრივის დალექვა. გამოკვლევის დაწყების წინ შარდის ჭურჭელი ოდნავ უნდა შევანჯღრიოთ. აუცილებლად ყოფილა მიჩნეული დაზუსტება, თუ რა საკვები მიიღო სნეულმა, ვინაიდან ძველი წარმოდგენით ზოგიერთი საკვები და სასმელი (მაგალ. ღვინო, ზაფრანა, მწვანილი) შარდის ფერის შეცვლას იწვევს. შარდის გამოკვლევის პროცესში შეისწავლებოდა შარდის სუნი, კონსისტენცია („ყავამი“) და ნალექი („ტლე“, „რუსობი“).

განვიხილოთ, თუ როგორ ხდებოდა ზემოაღნიშნული მონაცემების გამოყენება დაავადებათა დიაგნოსცირების მიზნით. მე-13 საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში შარდის ფერის პათოლოგიური შეცვლის შემდეგი რვა ვარიანტია აღწერილი: „ფსლის ფერისაი რვაი ფერად იქნების: პირველ თეთრი და მეორე ყვითელი ფერი. მესამე თრუნჯული, მეოთხე ცეცხლის ფერი, მეხუთე ზაფრანის ფერი, მეექვსე არღავნის ფერი, მეშვიდე წითელი, მერვე შავფერი, და იგი რომელ ფერად თეთრი და წმინდაი იყოს...“[3]

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შარდის ფერისა და სიმღვრივის ცვალებადობის მიხედვით, საკვებით სწორი დასკვნები გამოჰქონდათ. აი ზოგიერთი მაგალითი: „რა წყალი ნახო სნეულისა ჭიქითა, გაშინჯე თუ წითელი და სქელი იყოს იცოდი სისხლისაგან არის“[4]. „თუ ფსელი ხორცისა ნარეცხსა ჰგავს იცოდი რომე ფსელსა სისხლი გარევია...“[5]. „თუ წყალი ბევრი

1 „წიგნი საექიმოი“, გვ. 39.

2 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი. ფონდი H, № 1318.

3 „წიგნი საექიმოი“, გვ. 39.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 12.

5 იქვე, გვ. 14.

ესვას მაშინ თეთრი ექნების ფსელი, თუ მწვანე ეჭამოს, მაშინ მწვანე ექ-ნების"[1].

„წყალი თეთრი და წმინდა.... .....ბერთა წაეკიდების, ანუ ეგეთთა კაცთა. რომელ წყალსა დია სმიდენ და დია ფსმიდენ"[2]. ზემოთ მოტანილ ამონაწერებში სწორადაა შენიშნული, რომ წითელი ფერის შარდი მასში სისხლის შერევაზე მი-უთითებს, ხოლო თეთრი ფერის შარდი კი ხშირად შედეგია დიდი რაოდენო-ბით წყლის მიღებისა და გაძლიერებული დიურეზისა. აღსანიშნავია რომ მეთ-ხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში მოშავო-მოწითალო ფერის (ლუდისფერი) შარდი ობტურაციული სიყვითლის პათოგნომურ ნიშნად ყოფილა მიჩნეული.

„და თუ შეიკრას სავალი ზემოთა ნავღლისა... და დაემართოს სიყუითლე. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მისისა უფლისა ფსელი იყოს ეითა" წითე-ლი თიხა და უცემდეს შავად..."[4]

შენიშნული ყოფილა აგრეთვე ისიც, რომ ღვიძლის დაავადებით გამოწვე-ული სიყვითლის დროს („ზარირი", „იარიყანი") შარდზე ყვითელი ქაფი ჩნდე-ბა: „და თუ წყალსა ზედა ყვითელი პერული იყოს, ნიშანი არს ზარირისა რო-მელსა ჰქვიან არაბულად იარაყანი"[5].

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შარდის ფიზიკური თვისებების შესწავლი-სას, შეცდომის თავიდან ასაცილებლად, ძველი ექიმები შესძლებისდაგვარად აზუსტებდნენ, თუ რა საკვები მიიღო ავადმყოფმა. მეთერთმეტე საუკუნის სამ_ კურნალო წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს შარდის ფერი მიღებული საკვების მიღების შედეგად. „მაგრა ესეცა უნდა რომე შეიტ-ყოს, ფსელისა ფერსა ბევრი რამე შესცულის და ფერად-ფერადათ შეღებავს ფსელსა. კაცსა რომე სხმარტლი ეჭამოს, მისი ფსელი შავი იქნების თუ ხიარი შამბარი შეუსვამს მაშინაცა შავი იქნების. თუ საბრი უჭამია ანუ ზაფრანი, ანუ რევანდი, მაშინ ყუითელი იქნების..."[6]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შარდის შესწავლის დროს გარკვეული ყუ-რადღება ექცეოდა აგრეთვე მის სუნს.

აი რას ვკითხულობთ ამ საკითხის შესახებ მეთერთმეტე საუკუნით დათა-რიღებულ ძეგლში: „რა ჟამსა ფსელი ნახო და მყრალი სული უდიოდეს, ას-რე რომე ფსლის სულსა არა გვანდეს, ერთობ ნამეტნეევად მყრალი იყოს, იცო-დი, რომე ფსლისა გზაშიგა გამოსულია რამე და ფსელსა თანა ბალღამი აჰ-ყუების..."[7]

---

1 იქვე. გვ. 13.
2 „სამკურნალო წიგნი", გვ. 234.
3 „წიგნი სააქიმოი", გვ. 40.
4 „წიგნი სააქიმოი", გვ. 39.
5 „უსწორო კარაბადინი", გვ. 13.
6 იქვე.
7 იქვე.

შარდის ანალიზით მიღებულ მონაცემებს ძველი მედიცინის წარმომადგენელნი სხვა სიმპტომებთან ურთიერთკავშირში განიხილავენ. აი, რას ვკითხულობთ მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში: „და რა ფსელი ნახო მაჯა თანა დაიჭირე მოწმად და თუ ჭიქასა ფერი და ნიშანი ავი იყოს, მაჯა კარგი და ძრიელი იყოს, იმედს იმისას ნუ გარდასწყუეტ თუ ჭიქა ავი იყოს და მაჯა სუსტი კარგი არ არის და მოკვდების"[1]

ამრიგად, მოტანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ დაავადების არსისა და პროგნოზის დადგენის დროს რეკომენდებული ყოფილა სხვადასხვა კლინიკური ნიშნების მხედველობაში მიღება.

ასევე მსჯელობს მეთხუთმეტე საუკუნის სამკურნალო წიგნის ავტორიც: „ფსელი შავი და მღრუიე და მყრალი სიკუდილისა ნიშანია... თუ შერეულება რამე ნახო ნაც სითეთრე შავსა თანა, ნუ გაბრკოობ მას ზედა სიკუდილსა. ორთა შინა არს საქმე მისი და გაბრკობა მის ზედა ღვთითი არს და ერთითა მოწმითა ნუ დაიჯერებ ვირე ცხრანივე ესე არ იმოწმენ, და ნუცა მოგაცთუნებს ქანთელი, რამეთუ ქანთელსა ოდენ რამე ელმოდის და ფსელმან ყუელა ტანისა ვნება გითხრას, ამისთუის გიხმს სხუათაცა მოწამეთა შეწევნა..."[2]

ავტორი აღნიშნავს, რომ შავი, მღვრიე და მყრალი სუნის შარდი პროგნოზის თვალსაზრისით სიკვდილის მაუწყებელია, მაგრამ აქვე მითითებულია, რომ დაავადების პროგნოზზე მსჯელობის დროს მარტო შარდის გამოკვლევა არ არის საკმარისი. საჭიროა გამოყენებული იყოს დიაგნოსტიკის ცხრავე ნიშანი. (ცხრა „ნიშანი" დიაგნოსტიკისა ზემოთ დაწვრილებით გვაქვს გარჩეული). შარდი მხოლოდ ერთ-ერთი „მოწმეა" დაავადებისა და მხოლოდ მასზე დაყრდნობამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, აღნიშნავს ავტორი და მაგალითის სახით შემდეგი შემთხვევა მოყავს: შარდის ბუშტში, ადგილობრივი პათოლოგიური პროცესის განვითარების დროს, შარდის მხრივ ისეთი ცვლილებები გვაქვს, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა კლინიკურ ნიშნებს, შესაძლებელია მთელი ორგანიზმის ზოგად დაავადებაზე ვიფიქროთ და არა ადგილობრივ პროცესზე, რაც არასწორი იქნება. („...ნუცა მოგაცთუნებს ქანთელი, რამეთუ ქანთელსა იდენ რამე ელმოდის და ფსელმან ყუელა ტანისა ვნება გითხრას. ამისთუის გიხმს სხუათაცა მოწამეთა შეწევნა...").

მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებულ ერთერთ ხელნაწერში აგრეთვე გვხვდება მსჯელობა შარდის სუნზე. ახასიათებს რა ნორმალურ შარდს ავტორი შემდეგს გადმოგვცემს: „...შარდის ფერი ნარინჯის ყვავილის ფერი იყოს, სული ცხელი და მხურვალი არ უდიოდეს არც მწოვედ თხელი იყოს... შარდი მარ-

---

1 „უსწორო კარაბადინი"—გვ. 15.

2 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი. ზაზა ფანასკერტელი, „კარაბადინი", ფონდი Q, № 877, ფ. 5 v.

თალი და შეზავებული უნდა იყოს...“[1] ამრიგად, ამონაწერიდან ირკვევა, რომ „ცხელი და მხურვალი“ სუნი პათოლოგიური შარდისათვის ყოფილა დამახასიათებელი.

შარდის კონსისტენცია, ანუ „ყავამი“ ერთერთ ძირითად დიაგნოსტიკურ ნიშნად ყოფილა მიჩნეული. არჩევდნენ თხელი და სქელი კონსისტენციის შარდს, აგრეთვე ისეთ შარდს, რომელიც არც თხელი იყო და არც სქელი: „წყლისა სისწორე და ყავამისაი სამი ფერი იქნების, ერთი მსხვილი მეორე თხელი, მესამე სწორი“[2]. იმ შემთხვევაში, თუ შარდი სქელი კონსისტენციისა იყო, ეჭვი შეჰქონდათ ორგანიზმის დეჰიდრატაციაზე და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ავადმყოფს წყალს აძლევდნენ. აი სათანადო მაგალითი მე-13 საუკუნის საექიმო წიგნიდან: „...წყალი სქელი იყოს, რომელიცა ფერი იყოს ნიშანი არს ორისაი. ნიშანი ერთი, რომელ სათავნოი მანკისაი სრულიად შეგბოლილი იყოს და ...სნეულსა ტანსა შიგან სინედლე არ დარჩომილიყოს. მაშა აქიმისგან ხამს, რომელ საზომისებრ სინედლე მისცეს ჰავადმყოფსა“[3].

საინტერესოა, რომ სქელი კონსისტენციის შარდი მეთერთმეტე საუკუნის საექიმო წიგნში, შარდის ბუშტის დაავადების გამოხატულებად ყოფილა მიჩნეული: „თუ (შარდი) თეთრი იყოს და სქელი და თხლეცა თეთრი იყოს და მღურიე, ბუშტისაგან არის“[4].

რაც შეეხება თხელი კონსისტენციის შარდს, ამ უკანასკნელის მიზეზად მიჩნეული ყოფილა აგრეთვე ჰუმორალური კომპონენტების „დაჭარბებით“ გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობანი.

„სწორი შარდი“, ანუ ისეთი, რომელიც თავისი კონსისტენციით არც სქელია და არც თხელი, ორგანიზმის ჯანმრთელი მდგომარეობის მაჩვენებლად ყოფილა მიჩნეული: „...და წყალი რომელ სწორი იყოს, ვითამცა არცა თხელი და არცა სქელი, ნიშანი არს მანკისა, შემგბარობისა და კარგად მყოფობის“[5].— ვკითხულობთ მეცამეტე საუკუნის საექიმო წიგნში. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შარდის ფიზიკური თვისებების შესწავლის დროს ყურადღება ექცეოდა შარდის ნალექს, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ „რუსუბს“ „ტლეს“.

აი როგორ არის დახასიათებული „რუსუბი“ მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში: „იცოდე, რომელ რუსუბაი ფიტი იქნების ყარურას ქვეშეთ შეყრილი ანუ ყარულას შუა კიდებული ანუ წყალსა ზედა ვითა ყვითელი ბანაი იარების“[6]. ფიტი საბას განმარტებით „თაფლის ნაჩენჩს“ ეწოდება. ზემოთმოყვანილ ტექსტში იგი ნახმარი უნდა იყოს ნარჩენის, ნალექის, მნიშვნელობით. შარდის შესწავლის დროს მხედველობაში იღებენ შარდით სავსე ჭურჭელში „რუსუბის“ მდებარეობას; გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე „რუსუბის“ ფერსა და კონსისტენციას.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი, ფონდი H, № 304, ფ. 14 v. (1799 წ.).

[2] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 41.

[3] იქვე.

[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 13.

[5] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 41.

[6] იქვე.

განავლის ფიზიკური თვისებების შესწავლა დაავადებათა დიაგნოსტიკების მიზნით, ძველ საქართველოს მედიცინაში ისევე ფართოდ ხდებოდა, როგორც შარდისა. ზოგიერთი დაავადების დროს განავლის ყოველდღიურ გამოკვლევასაც მიმართავდნენ: „..და აქიმთა ასრე მართებს ყოველთა დღეთა ნავალსა დახედვიდენ..."[1]—ეკითხულობთ მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში, აქვე აღწერილია განავლის ფიზიკური თვისებების შეცვლა დაავადების მიმდინარეობაში: „მისი ნიშანი ესე იყოს რომე უწინა იყვანდეს წყალსავითა, მერმე სისხლად გარდაექცეს. უკნის დანავალს რომე დახედხეს წელთა ნახუეწივითა რამე გავიდოდეს"[2].

განავლის გამოკვლევის დროს ყურადღება ექცეოდა მის რაოდენობას, კონსისტენციას, ფორმას, ფერს, სუნს, სხვადასხვა პათოლოგიური მინარევების არსებობას—ნაწლავის ჭიების, ლორწოს და სისხლის სახით, აგრეთვე მოუნელებელი საჭმლის ნაწილების სახით. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში განსაკუთრებით ფართოდ არის აღწერილი განავლის გამოკვლევა ფაღარათით მიმდინარე დაავადებათა დროს. უნდა აღინიშნოს, რომ განავლის ფიზიკური თვისებების განხილვის დროს მხედველობაში იღებდნენ კლინიკურ ნიშნებსაც, როგორიცაა, მაგალითად, დეფეკაციის ხასიათი, ტკივილის შეგრძნება დეფეკაციის დროს და სხვ. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ამონაწერი მეთხუთმეტე საუკუნის სამკურნალო წიგნიდან: „თუ ესე სატკივარი შუათა ნაწლევთა შიგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს: წელთა ნახუეწი წებოვითა იყოს. თუ ზემოსა ნაწლევსა შიგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე წელთა ნახუეწი წურილი იყოს და პატარა მუცელი და ჭიპი სტკიოდეს"[3]. მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ პათოლოგიური პროცესის დადგენის დროს, გარდა განავლის ფიზიკური თვისებებისა („..ნახუეწი წებოვითა იყოს... წელთა ნახუეწი წურილი იყოს"), შეისწავლებოდა აგრეთვე ავადმყოფის სუბიექტური შეგრძნებანი. მთელ რიგ დაავადებათა დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ეძლეოდა გამოყოფილი განავლის რაოდენობას. თვლიდნენ, რომ, თუ ავადმყოფი ცოტა საკვებს იღებს და ბევრს გამოყოფს, ეს უკანასკნელი შინაგანი ორგანოების დაავადებაზე მიუთითებს:

„თუ კაცმან ცოტა ჭამოს და განავალი დიდი იყოს იცოდი, რომე შიგნით კაცსა რამე დაჭკლებოდეს"[4].

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწლავების ქრონიკული ან მწვავე სნეულების დროს, საკვების ნაკლებად შეწოვის და ანთებითი ექსუდატის წარმოშობის გამო, განავლის რაოდენობა მართლაც მკვეთრად მატულობს.

რაც შეეხება განავლის კონსისტენციას, ეს უკანასკნელი, ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული. ნორმალურად ისეთი განავალი ითვლებოდა, რომელიც თავისი კონსისტენციით არც სქელია და არც თხელი.

„განავალი რომელი სიმრთელესა ჩუეევებასა ზედა დაჯდებოდეს, არცა დია თხელი იყოს, არცა სქელი, თუ დიდი ეჭამოს თუ ცოტა ადვილად მოიაროს,

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი ზაზა ფანასკერტელის კარაბადინის გამოუქვეყნებელი ნაწილი ფონდი Q, № 877, ფ.

[2] „სამკურნალო წიგნი", გვ. 261.

[3] იქვე.

[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 16.

ესე ნიშანი წურილად ნაწლევთა სიმრთელისა, დნებისა სისწორისა ნიშანი არის"[1]. თხელი კონსისტენციის განავალი კუჭის მონელებითი ფუნქციის დაქვეითების ნიშნად ყოფილა მიჩნეული.

„განავალი წყლისა მგზავსი იყოს, იცოდი რომე არა შეუბია სტომაქსა სნეულებისასა"[2]—აღნიშნულია მეთერთმეტე და მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნებში. უნდა ვიფიქროთ, რომ მოტანილ აღწერილობებში იგულისხმებოდა ენტერიკოლიტის გასტროგენული ფორმები, რომლებიც მართლაც კუჭის სეკრეტორული და მოტორული ნაკლოვანებითაა გაპირობებული.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლში გვხვდება აგრეთვე აღწერილობა მკვრივი კონსისტენციის განავლისა, რომელიც მრგვალი წარმონაქმნების სახით გამოიყოფა: „განავალი ხმელი ვითა სკორკლი აქლემისა"[3]. თანამედროვე მედიცინაში ასეთი ფორმისა და კონსისტენციის განავალი „თხის განავლის" სახელწოდებითაა ცნობილი და სპასტიურ ყაბზობაზე მიუთითებს. ძველი საქართველოს ექიმებს მეტად საინტერესო დასკვნები გამოუტანიათ განავლის ფერზე დაკვირვებითაც. მეთერთმეტე და მეთხუთმეტე საუკუნის ძეგლებში, მაგალითად, კუპრისებური განავალია აღწერილი და ეს უკანასკნელი პროგნოზის თვალსაზრისით სასიკვდილო ნიშნადაა მიჩნეული.

„თუ განავალი მწვანე იყოს ან შავი, ანუ მჭუარტლის ფერი სიკუდილისა ნიშანი არის"[4].

„მათ ყოველთა უვარესი განავალი რომელი სიკუვდილსა გუეთხრობ, წმინდა და შავი ანუ ვითარცა სისხლი"[5].

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში აღწერილია ნაწლავებიდან სისხლის დენით გაპირობებული კოლაფსი. აქვე მითითებულია, რომ ამ დროს „სისხლი მუცელშიგა გაშავდეს", რაც ნაწლავებში განვითარებულ სისხლის დენის შედეგად გამოწვეულ კუპრისებრ განავალს უნდა გულისხმობდეს.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ განავლის გაუფერულება (აქოლიური განავალი) ნაღვლის სადინარის დახშობის გამოხატულებად ყოფილა მიჩნეული: „...ისეთი ნავალი რომე ფერი არ ქონდეს, ამისაგან იქნების რომე ზაფრა ნაწლავის გზაშიგან არ წამოსულიყოს და ნაღულისა გზა შეკრულიყოს"[6].

გვხვდება აგრეთვე აღწერილობა განავლისა, რომელიც დაავადების მიმდინარეობის პერიოდში იცვლის თავის ფერს და ეს ცვალებადობა პათოლოგიური პროცესის ხასიათს გამოხატავს: „პირველად ყუანა დაეწყოს მოყუთალოდ, შერმე წელთა ნახვეწით დაუწყოს ყუანა, ისი ნახვეწი თეთრი იყოს ანუ სისხლად გარდაექცეს, მერმე მასუკანით ყუანა კიდევ დაუწყოს ნაცრის ფერად ესე ავისა ნიშანი არის, ნუღარა ირჯები მას უკანით ვეღარა უშველი".[7]

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] ზაზა ფანასკერტელი. „კარაბადინი". ფონდი Q, ხელნაწერი № 877, ინახება საქართველოს ეროვ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 16.

[5] იქვე.

[6] ზაზა ფანასკერტელი. დასახელებული ხელნაწერი.

[7] „უსწორო კარაბადინი", გვ. 322.

დაავადებათა დიაგნოსცირების მიზნით, განსაკუთრებით ფილტვის დაავადებათა დროს, ძველი საქართველოს ექიმები აგრეთვე ნახველის ფიზიკური თვისებების შესწავლას მიმართავდნენ.

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში პირდაპირ არის მითითებული: „...რა კაცსა მკერდი სტკიოდეს მისი ნიშანი, დუჟი ნახე...“[1].

„დუჟი“ ამ შემთხვევაში ნახველის მნიშვნელობით იხმარება. როდესაც ნახველი თავის თვისებებს იცვლიდა და ლორწოვან-ჩირქოვანი ხდებოდა, მას ბალღამს უწოდებდნენ. ასე მაგალითად, იმავე ძეგლის ერთერთ ადგილას შემდეგს ვკითხულობთ: „თუ ესე სენი ძველი იყოს, მისი ნიშანი, დუჟის მაგიერად ბალღამსა ამოიღებდეს“[2].

ამავე დაავადების დროს შესაძლებლად ყოფილა მიჩნეული ბალღამში სისხლის გარევა: „ბალღამს სისხლი ყუებოდეს“[3].

ჩირქოვან-სისხლიანი ნახველი, როგორც პათოგნომური ნიშანი „ფილტვის სიწყლულისა“[4] სხვა სამედიცინო ძეგლებშიც არის აღწერილი: „...რომე ნამეტნავად ახველდეს ,და სისხლსა და ბალღამსა ამოიღებდეს მას უშველის...“[5]

„...ხანდახან გამოვა ყვითელი ნახველი, რომელიც მესამე დღესა აირევა ცოტასა სისხლით“[6].

ნახველის ფიზიკური თვისებების შესწავლის დროს მხედველობაში იღებდნენ მის ფერს, სუნს და აგრეთვე კონსისტენციას.

მიღებული მონაცემები, როგორც წესი, სხვა კლინიკურ ნიშნებთან მჭიდროურთიერთკავშირში განიხილებოდა. ასე მაგალითად, ფილტვის აბსცესის კლინიკური სურათის აღწერის დროს, მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში ყვითელი და მყარალი (ე. ი. ჩირქოვანი) ნახველის გამოყოფასთან ერთად დასახელებულია სხვა კლინიკური ნიშნებიც, როგორიცაა წონაში დაკლება, ტემპერატურის მომატება, ხველა და ფრჩხილების ფორმის შეცვლა, (ტროფიკული ცვლილებები):

„...ცხრო ლბილად იყოს და ტანი მჭლე იყოს, და ფრჩხილნი გამრუდდენ სინედლის მოდნობისაგან და ხველის ჟამსა ჰავი თხამლი მყარალი ამოვიდეს“[7].

„...ტანი დამჭლდეს და მიწყით ლბილად აცხრებოდეს და თხამლი რომელ ხორხისაგან ამოვიდეს ყვითელი იყოს“[8].

მყარალი სუნისა და ფერშეცვლილი ნახველი სხვა კლინიკურ მონაცემებთან ერთად აღწერილია აგრეთვე მეთხუთმეტე საუკუნის სამკურნალო წიგნში:

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 263.

[2] იქვე, გვ. 261.

[3] იქვე.

[4] „სიწყლულე“, როგორც უკვე განხილული იყო თავში „ჯანმრთელობა და დაავადება“, ფართო ცნებაა. ამ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული იყო ფილტვის ისეთი დაავადებებიც, რომელთაც ფილტვის დაშლა-დარღვევა მოსდევდა.

[5] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 187.

[6] გაიოზ არქიმანდრიტი, „კარაბადინი“. ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდი. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[7] „წიგნი საექიმოი“, გვ. 161.

[8] იქვე.

ზაზა შანსკერტელის „კარაბადინი“. ერთ-ერთი გვერდი.

„...გაძნელდებოდეს ფირტუიანობა და ხველა და ამოჰყრიდეს გვერდისაგან ფერ-ფერსა შალალსა და კრთებოდეს ძილი ტკივილისაგან"[1].

„თუ ნახველი შავი ანუ ერთობ ყუითელი იყოს, რა ესე ნიშანი ნახო კაცშიგან, იცოდი ფირტუზედან მჯდომი არის..."[2].

პირველ ამონაწერში ავტორი მიუთითებს, რომ თუ „ფირტუიანობა", ესე იგი ფილტვის დაავადება გახანგრძლივდა, ავადმყოფს უნვითარდება ძლიერი ხველა და გამოყოფს მყრალი სუნის ნახველს. მეორე ამონაწერში ფილტვის „მჯდომის" ანუ წყლულის დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია შავი ან „ერთობ ყუითელი" ნახველი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნახველის ფიზიკური თვისებების განხილვის დროს მხედველობაში იღებდნენ აგრეთვე მის კონსისტენციას (სქელი იყო ნახველი თუ თხელი). განვიხილოთ ერთი მაგალითი: „თუ ამა სენსა სწამლემდე ასრე უნდა რომ წყლითა ჯამი აავსო და ისი ბაყლი წყალშიგა ჩააგდო, თუ ძირსა ჩავიდეს, ნურასფერს წამალსა ნუ მისცემ სასიკვდილო არის, თუ წყალმან ზეით ზოიგდოს სიმრთელისა ნიშანი არის..."[3]

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის დაკვირვება სრულიად მართებულია. სქელი კონსისტენციის ჩირქოვანი ნახველი მართლაც სწრაფად იძირება წყალში ხოლო თხელი, ლორწოვან-ქაფიანი კი წყლის ზედაპირზე მოექცევა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ნახველის ანალიზის მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში ცდილობდნენ აგრეთვე დაავადებათა დიფერენცირებაც მოეხდინათ. აი როგორ არის გადმოცემული ეს უკანასკნელი მეთერთმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში. „თუ ხველა რამდონი ფერია, კარგა შეტყობა უნდა, ჩვენ ყველა შეკიტყუოთ ნებითა ღვთისითა... კაცსა რომე ახველებდეს და სისხლისა ამოიღებდეს, თუ სისხლი შავი იყოს და შეკრული ის გულისაგან იქნების, თუ სისხლსა ბალღამი ერთოს იგი ფირტუისაგან იქნების..."[4]. როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, ხველის დროს შავი სისხლის ამოღება გულის დაავადების ნიშნად ყოფილა მიჩნეული, ხოლო თუ სისხლთან ბალღამი (ლორწო) იყო შერეული, ამ შემთხვევაში ფილტვის დაავადებაზე შეჰქონდათ ექვი.

რა თქმა უნდა, ნახველის ფიზიკური თვისებების შესწავლის დროს ძველად ყოველთვის მართებული დასკვნები არ გამოჰქონდათ. ხშირ შემთხვევაში ნახველის ფიზიკური თვისებების შეცვლა ჰუმორალური პათოლოგიის პრინციპების მიხედვით განიხილებოდა და, რა თქმა უნდა, ასეთი ხასიათის მსჯელობა სინამდვილიდან ძლიერ შორს იყო. მოგვყავს დამახასიათებელი მაგალითი მეთერთმეტე საუკუნით დათრიღებული სამედიცინო წიგნიდან:

---

[1] ზაზა ფანასკერტელი. „კარაბადინი". ფონდი Q, ხელნაწერი № 877.

[2] „სამკურნალო წიგნი", გვ. 187.

[3] „უსწორო კარაბადინი", გვ. 261.

[4] იქვე, გვ. 257.

[5] იქვე.

„დუეი ნახე, თუ წითელი იყოს იცოდი სისხლისაგან არის (ე. ი. ორგანიზმში სისხლის დაჭარბებითაა გამოწვეული ბ. რ.) და თუ ყვითელი იყოს ზაფრისაგან არის, და თეთრი იყოს და ქაფიანი ბალღმისაგან იქნების და თუ მოშავო და მობნელო იყოს სევდისაგან იქნების"[5]. როგორც ეხედავთ, მოტანილ ამონაწერში ნახველის ფიზიკური თვისებები, კერძოდ ფერი და კონსისტენცია გამოყენებულია ოთხი ჰუმორალური ელემენტის ურთიერთ შეფარდების დასადგენად.

ორგანიზმის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური სტატუსის დადგენის დროს გარკვეული მნიშვნელობა ეძლეოდა სისხლის ფიზიკური თვისებების შესწავლას. ამ შესწავლის დროს ხშირად მეტად საინტერესო მომენტების დადგენა ხდებოდა.

მოვიტანოთ სათანადო მაგალითი მეცამეტე საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან:

„...სისხლი რომელი ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ სწორად იყოს, არცა თხელი და არცა სქელი და ფერად ღია წითელი იყოს, და გემოი ტკბილი იყოს მისი, და რაი უსუნონ მყრალი არ იყოს, და რაი გამოიღონ ადრე გასქელდეს. და რაი სისხლი ესეთი იყოს, სიმრთელისა ნიშანი არს და ტანისა სიძლიერე, და ფერისა და პირისა სიწითლე და სიტურფე"[1].

მოტანილ ამონაწერში აღწერილია სისხლის ფიზიკური თვისებები, რომლებიც, ძველ ექიმთა წარმოდგენით, ჯანმრთელ ადამიანს უნდა ჰქონოდა. როგორც ვხედავთ, ყურადღება ექცეოდა: კონსისტენციას („...არცა თხელი და არცა საქელი..."), ფერს („...ფერად ღია წითელი იყოს..."), გემოს („...გემო ტკბილი იყოს..."), სუნს („რა უსუნონ მყრალი არ იყოს..."), სისხლის შედედებას სისწრაფეს („...რა გამოიღონ ადრე გასქელდეს...").

ძველი საქართველოს სამედიცინო ძეგლებში ფრიად საინტერესო ცნობებს ვხედებით, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ დიაგნოსტიკის მიზნით ცრემლისა და ოფლის გამოკვლევას მიმართავდნენ.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დაავადებათა დიაგნოსტიკის მიზნით იკვლევდნენ აგრეთვე ოფლსაც. აი სათანადო მაგალითიც: „რაი ოფლი ცრემლი ორნივე დამლაშდენ მეტისა სიმხურვალისაგან იქნების, რომელ მოჰრევს მათ და თუ საზომისაგან მეტი მოვიდეს ოფლი და სიმლაშე დამწარებულსა ჰგვანდეს, მეტისა სიმხურვალისაგან არს, რომელ მორეულ იყოს... და ზღვის წყლისა მსგავსი იქნების რომელ სიცხეთა გამწარდეს და რაი სიმხურვალე და სიწყნარე ტანისაგან სისშორისაგან გამოვა მაშინ დამჟავდების"[2].

მოტანილ ამონაწერში აღწერილია ოფლის გემოს შეცვლა, ნესი დამწარება და დამჟავება სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების ზეგავლენით. მოვიტანოთ კიდევ ერთი დამახასიათებელი მაგალითი იმავე სამედიცინო ძეგლიდან:

---

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 13.

[2] იქვე, გვ. 44.

„...თუ ოფლი სიცივითა და სიტფოითა სწორ იყოს კარგი არს, და თუ ტფილი იყოს სჯობს ცივსა მით, რომელ ცივი ოფლი ჰავი ნიშანი არს. და თუ ფერად თეთრი იყოს, ნიშანი სიმრთელისა არს, და თუ ყვითელი იყოს, ზაფრისა მორევნისა ნიშანი არს და თუ წითელი იყოს, ნიშანი არს სისხლისა სიმეტისაი და თუ ბნელი და შავი ფერი იყოს ნიშანი არს სევდისა მორევნისაი...

თუ მჟავე სული სდიოდეს, ნიშანი იგი არს, რომელ მანკისა დედაი ჰავისა ბალღმისაგან არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილ ყოფილ არს, და თუ სიმყრალე ფიცხელი იყოს, ნიშანი ზაფრისა მორევნისაგან არს... თუ გემოთ ტკბილი იყოს სისხლისა მორევნისა ნიშანი არს, და მწარე იყოს, ნიშანი არს ზაფრისა მორევნისა, და თუ მჟავე იყოს ნიშანი არს ბალღამისა მჟავის მორევნისა და თუ მლაშე იყოს, ნიშანი არს მლაშისა ბალღმისა სიმრავლისაი რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს"[1].

მოტანილ ამონაწერში საკმაოდ დაწერილებით არის მოთხრობილი, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ოფლის ფიზიკური თვისებების შესწავლა ორგანიზმის პათოლოგიური მდგომარეობის დადგენის მიზნით. ასე მაგალითად, ავტორი თელის, რომ ცივი ოფლი ავადმყოფის მდგომარეობის თვალსაზრისით უფრო აკის მომასწავებელია, ვიდრე თბილი ოფლი. რაც შეეხება სხვა ფიზიკურ ნიშნებს, ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ოფლის ფერისათვის. ამ უკანასკნელის მიხედვით, როგორც ჩანს, ცდილობდნენ დაედგინათ, თუ რომელი ჰუმორალური კომპონენტი არის დაკარბებული ორგანიზმში. ამავე მიზნით შეისწავლებოდა ოფლის სუნი, გემო და სხვ. საინტერესოა, რომ ოფლის შესწავლის დროს, გარდა მისი ფიზიკური თვისებებისა, ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ოფლის გამოსვლის ინტენსივობას, მის რაოდენობას და აგრეთვე იმას, თუ სხეულის რომელ ნაწილში იყო ოფლი უფრო მეტად გამოხატული.

მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია ამავე საექიმო წიგნში აღწერილი მეთოდი სიკვდილის დადგენისა[2]. ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა გასინჯულიყო სწორი ნაწლავის შესავალი. (დღევანდელი გაგებით სწორი ნაწლავის სფინქტერის რეფლექსი). მოგვყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა:

„...რა ისრე კაცი მოკუდეს მიიტანე ორი თითი და უკანის კარიდაღმან შეუყავ, და უკანა კარი ძალიანად გამოუქყლიტე. თუ უკანა კარი ან ყოლ მოუქირა, და ან დაიძრა. უსათუოდ კაცი ცოცხალი არის, და თუ უკანა კარი ვერ მოუქირა მკუდარი არის"[3].

---

1 „წიგნი საექიმოი", გვ. 45.

2 იხ. ექიმ გ. სარალიძის მოხსენება: «Диагностические приемы в древней Грузии». მოხსენებულია ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. 1951, ინახება თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრაზე.

3 „იადგარ დაუდი", გვ. 268.

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ ადამიანის სიკვდილი საბოლოოდ მაშინ დასტურდებოდა, როცა სწორი ნაწლავის სფინქტერი გაღიზიანებას აღარ პასუხობდა.

ასეთია, ზოგადად, ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები, რომლებსაც ძველი ქართველი ექიმები იყენებდნენ ავადმყოფის გამოკვლევის დროს.

თ ა ვ ი VIII

ქირურგიული დაავადებანი

ქირურგიული სამკურნალო ქმედების კვალი საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, ჯერ კიდევ II ათასწლეულიდან არის დარჩენილი.

უკვე V საუკუნიდან ქირურგიის განვითარების დონის შესახებ წერილობითი ცნობებიც გაგვაჩნია. აღწერილია მთელი რიგი ქირურგიული დაავადებანი, მათი დამახასიათებელი ნიშნები, მკურნალობის წესები და საშუალებანი.

V საუკუნეს მიეკუთვნება ბლაგვი ლითონის იარაღით მიყენებული ტრავმული დაზიანების აღწერა, სადაც ნათქვამია: „...ფერხითა თუისთა დასთრგუნვიდა მას: და აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა. და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა...“[1]. დაზიანებული ადგილი მეორე დღეს დასივებულა და დაწყლულებულა: „და ვითარ შეეედ შინა ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული...“[2]—წერს იაკობ ცურტაველი.

შუშანიკისათვის იაკობს უთხოვნია, რომ ნება მიეცა მოებანა სისხლი, თვალში ჩაცვენილი ნაცარი და ემკურნალა: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რონელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაითა ჰე, ღამე თუ განიკურნო!“[3].

აქედან ირკვევა, რომ მკურნალობის დაწყებამდე ჭრილობის გასუფთავებას მიმართავდნენ. ცხადია, ეს იყო მხოლოდ ელემენტები ჭრილობის დამუშავებისა, მაგრამ ეს ფაქტი სხვა ცნობებთან ერთად მოწმობს, თუ რამდენად განვითარებული იყო მედიცინა და კერძოდ ქირურგიული მკურნალობა საქართველოში.

ზემოაღნიშნული ადგილი „შუშანიკის წამებიდან“ ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ აქ ერთგვარად განსხვავებული მოჩანს წამალი და სალბუნი. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მოსაზრებანი.

სალბუნი მალამოს ეწოდებოდა[4], წამალი კი საბას განმარტებით არის ნივთი საკურნებელი. ყოველგვარ სამკურნალო საშუალებას, ყოველგვარი თორმით, მათ შორის მალამოსაც ღღესაც ერთი ზოგადი სახელით—წამალით აღნიშნავენ.

---

[1] იაკობ ცურტაველი, „წამება წმინდისა შუშანიკისა“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ჭრესტომათია, I, შედგენილ სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 38.

[3] იქვე, გვ. 37.

[4] იქვე, გვ. 38.

[5] სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის-კონა“.

„წამალი“ V საუკუნეშიც რომ სამკურნალო საშუალებათა აღმნიშვნელი ზოგადი ცნება ყოფილიყო, მაშინ მოყვანილ ტექსტში არ გვექნებოდა ასეთი დასახელება: „სალბუნი და წამალი დაგდვა“. გვექნებოდა, ან მარტო კერძო სახელი „სალბუნი“, ან ზოგადი სახელი „წამალი“. მათი ერთად დასახელება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სალბუნი-მალამო ადგილობრივ, წყლულების სამკურნალოდ იყო საჭირო, ხოლო წამალი, როგორც ზოგადმოქმედი საშუალება, ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გასამტკიცებლად. თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცნება „წამალი“, შემდეგ უკვე, საერთოდ ყოველგვარი სამკურნალო საშუალების გამომხატველი გახდა.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივ სამკურნალო საშუალებით—მალამოთი წყლულების მკურნალობასთან ერთად მარხულობისაგან დასუსტებულ ავადმყოფს იაკობი ღვინოში დასველებულ პურს აძლევს საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ ღვინოს ფართოდ იყენებდნენ, როგორც ჯანმომგვრელ საშუალებას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ ცურტაველი მკურნალობის საქმეში დახელოვნებულ პირად მოჩანს. სამედიცინო თვალსაზრისით მას არა ერთი საყურადღებო მოსაზრება და დაკვირვება აქვს გამოთქმული „შუშანიკის წამებაში“. იაკობი, მიუხედავად იმისა, რომ იგი სასულიერო პირია და „წმინდანს“, სარწმუნოებისათვის თავდადებულ ადამიანს (შუშანიკს) მკურნალობს, არც ერთხელ არ მიმართავს რაღაც ზებუნებრივ ძალებს, როგორც ეს სხვა ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება. წამალი და სალბუნი იაკობს მიაჩნია განკურნების მიმნიჭებლად[1]. უფრო მეტიც, იაკობი სთხოვს შუშანიკს თავი ანებოს დღედაღამ ფსალმუნების კითხვას და მარხვას, რომ არ დასუსტდეს და ადუძლურდეს: „...უღაღადებდი და ვეტყოდე, ვითარმედ „ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუმძიმებ ხორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგითმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაისმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა“[2].

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ V საუკუნისათვის ცნობილი ყოფილა ჭრილობის დამუშავების ზოგიერთი ელემენტი; ჭრილობას მკურნალობდნენ მალამოს საშუალებით; ამავე დროს, ყურადღება ექცეოდა ავადმყოფის საერთო მდგომარეობის განმტკიცებასაც.

თავში „ჯანმრთელობა და დაავადება“ აღნიშნული იყო, რომ ჭრილობას წყლულიც ეწოდებოდა, რადგან იგი მთლიანობის დარღვევას გულისხმობდა. მთელი რიგი სამედიცინო და არასამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ ჭრილობას დაკოდილსაც უწოდებდნენ. სიტყვა „დაკოდილი“ ჭრილობის მნიშვნელობით დღემდე არის დარჩენილი.

ჭრილობის მნიშვნელობისა და მკურნალობის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება სპეციალურ სამედიცინო ძეგლებში.

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია ჭრილობისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიც არის: სისხლის დენა, ჭრილობის პირი და სხვ. ცოდ-

---

[1] ნ. ცოშაია, დასახელებული ნაშრომი.

[2] იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, დასახ. გამოცემა, გვ. 41.

ნიათ, რომ განაკვეთის სახე დამოკიდებულია იმ იარაღზე, რომლითაც მიყენებულია ჭრილობა.

ამავე ძეგლებიდან ირკვევა, რომ XI საუკუნისათვის ჭრილობის დამუშავება და მკურნალობა კიდევ უფრო განვითარებულა. ჭრილობის ნაპირებს წყლით, ღვინით ან ალკოჰოლის შემცველი რომელიმე ხსნარით წმენდდნენ— „სადაც ისრის ნაკრავი იყოს ...ან წყლით ან ღვინითა ისი ადგილი დაკოდილი მობანე...“[1].

გარდა ამისა, მიმართავდნენ ჭრილობის პირის გაღებას და მის გასუფთავებას შიგ მოხვედრილი მტვერისა და სხვა უცხო სხეულებისაგან — „...პირი გაუღე რომ გარ გამოვიდეს; და თუ რამე ბეწვი ან მტვერი იყო შიგ, ამოწმინდე...“[2]

ჭრილობის ნაპირების წყლით და ღვინით მობანვას, ჭრილობის გასუფთავებას შიგ მოხვედრილი თმისა და მტვერისაგან, ცხადია, დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა ჭრილობის მკურნალობაში. როგორც უკვე ითქვა, ჭრილობის პირის გაღებასაც მიმართავდნენ; ჭრილობის პირის გაღება, როგორც ახლა შეცნიერულად დასაბუთდა, ხელს უწყობს ჭრილობაში მოხვედრილი პირველადი ინფექციის დასუსტებას.

ჭრილობიდან სისხლის დენის შესაჩერებლად სხვა საშუალებებს შორის იხმარებოდა ქელატინა (ანზარუთი), არაბეთის გუმფისი (სამყი არაბი). ამ უკანასკნელს ნაყავდნენ და ჭრილობას აყრიდნენ—„სხვა, სისხლის დაყენებისა, სამყიარაბი დანაყე და, ზედ დააყარე“[3].

ჭრილობის დამუშავების შემდეგ იწყებოდა მისი მკურნალობა. მკურნალობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჭრილობის ნაპირების სწორად დაყენებას: „...გასინჯე, თუ სწორად იყო პირი კარგა, თვარა ცერით დაუსწორე,...“[4].

თუ ჭრილობა ღრმა და პირღია იყო, მაშინ მიმართავდნენ მის გაკერვას. გაკერვას აწარმოებდნენ ფოლადის ნემსით და აბრეშუმის ძაფით: „რაჟამს კაცი დაიკოდოს ხმლითა, ისრითა, ანუ შუბითა ანუ სხვითა, გასინჯე თუ გაკვეთილი ერთი მტკაველი იყოს ან უფრო, ფოლადის ნემსით უნდა შეკეროს აბრეშუმითა ფრთხილად,...“[5].

ჭრილობებს სხვადასხვა წესით მკურნალობდნენ. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი ხასიათისა იყო ჭრილობა. მცირე ჭრილობებს მშრალი წესით მკურნალობდნენ: „თუ ცოტა იყოს გაკვეთილი, ფიცხლავ პირი შეუკარ. მაგრად შეუხვიე და სამსა დღესა ნუ შეხსნი... ნედლსა წამალსა ნურას მოახვევრებ“[6].

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 394.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჭრილობათა დასამუშავებლად ღვინის გამოყენებას ურჩევდა აგრეთვე, საშუალო საუკუნეების მედიცინის დიდი ავტორიტეტი აბულ-ალი-იბნ-სინა (ავიცენა) თავის სამედიცინო ტრაქტატებში.

[2] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 391.

[3] იქვე, გვ. 394.

[4] იქვე, გვ. 391.

[5] იქვე.

[6] იქვე.

დიდი და ღრმა ჭრილობის სამკურნალოდ იხმარებოდა სხვადასხვა სახის მალამო, მიმართავდნენ ჭრილობის შეხვევას და სხვ.

ირკვევა, რომ ჭრილობებს სხვა ნიშნითაც ყოფდნენ. სახელდობრ არჩევდნენ ზერელე და ღრმა ჭრილობებს და ამის შესაბამისად ქირურგის სამკურნალო მიდგომაც იცვლებოდა: „თუ დაკოდილი თავსა იყოს, ზარავანდი ღვინითა მოადუღე და მერმე კიდეე გაახმე და დანაყე, თუ ღრმად იყოს პატრუქით შეუდეე“[1].

მაშასადამე, ზერელე, ზედაპირულ ჭრილობას (დაკოდილი თავსა იყოს) წამალს ზეკიდან მოაყრიდნენ ხოლმე, ხოლო ღრმა ჭრილობაში იგი ტამპონის ანუ პატრუქის საშუალებით შექონდათ.

ჭრილობებს სიმძიმის მიხედვითაც განასხვავებდნენ. მძიმედ ანუ სასიკვდილოდ ითვლებოდა სასის, სატვინეს ანუ თავის ქალას, გულის, ფილტვის, ღვიძლის, შარდის ბუშტისა და ნაწლავების ჭრილობა: „თუ საკლავსა ალაგსა იყოს ისარი ასრე რომე სასასა და სატვინესა, გული და ფირტვი, ღვიძლი, ბუშტი და ნაწლევნი და ავი ნიშანი გამოჩენილიყოს...“[2]

განსაკუთრებით საინტერესოა ისრით დაჭრილის მკურნალობა. ძველად იცოდნენ, რომ საომარი ისრის წვერი უხშირესად მოწამლული იყო. თუ წამალი ხელთ არ აღმოაჩნდებოდათ, (ალბათ საველე-სალაშქრო პირობებში), დაჭრილ ადგილს მაშინვე კვეთდნენ—„სხვა წამალი თუ არ ქონდეს რა, როგორც ისარი ეცეს ის ალაგი მოკვეთე და გააგდე...“[3].

მოწამლული ისრით გამოწვეული ჭრილობის დასადგენ ნიშნებად ითვლებოდა დაჭრილი ალაგის გასივება და გაფერმკრთალება—„და ესეცა იქნების, რომე ისრის პირი მოწამლული იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ის ადგილი აუსივდეს და რაგვარაც მკვდარისფერი ეგეთა იყოს...“[4].

იმდროინდელი ქირურგიული ტექნიკის განვითარების დასახასიათებლად საინტერესოა ღრმად ქსოვილებში, ან ძვალში ჩასული ისრის ამოღების წესის განხილვა. საქართველოში ისრის პირის ამოსაღებად საგანგებო წესი არსებობდა ამ წესის ზუსტად დაცვა აუცილებელი იყო, რადგან ისარს კავები ჰქონდა და მისი პირდაპირ ამოწევა ირგვლივ მდებარე საღი ქსოვილების დაზიანებას გამოიწვევდა: „ისრის პირი ასეთიცა იქნების კავიანი იყოს და ამოღმა აბოსწიონ ამოედვას და სხაშარანთის ძარღვი ან სხვა ძარღვი გაკვეთოს, ის არ ვარგა. უკეოესი ის არის, რომე ის ადგილი, სადაც ისრის პირი სცემია გაკვეთონ და მილი ჩაუყონ ქლიბიანი და წყნარად მოზიდონ, რომე ისრის პირი არ გატეხონ, და ააჯღიონ იქით აქეთ, თუ ერთობ მაგრად იყოს დაეხსნენ რომე შეძლებს და მაშინღა ამოართვან“[5].

ჭრილობიდან ისრის პირის ამოღების შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება იმავე ეპოქის არასამედიცინო წყაროებში. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 391.
[2] იქვე ,გვ. 460.
[3] იქვე, გვ. 395.
[4] იქვე, გვ. 406.
[5] იქვე.

„კარაბადინი“, ხელნაწერი № 136.
იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფი

„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვევნა,
ისრის პირნი ამოუხვნა დაკოდილნი არ ატკივნა“[1]

როგორც ჩანს, ისრის პირის ამოღების ზემოაღნიშნული წესი, ანუ როგორც რუსთაველი უწოდებს „ამოხვნა“, საერთოდ მიღებული ყოფილა და მას წარმატებით იყენებდნენ საჭიროების შემთხვევაში.

ამავე თხზულებაში სხვა მნიშვნელოვან ცნობებსაც ვხვდებით, რომლებიც საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ რუსთაველის ეპოქაში საერთოდ სამკურნალო საქმის აღმავლობასთან ერთად, ქირურგიას მაღალი დონისათვის მიუღწევია. შემთხვევითი არ არის, რომ ცნობები „სადასტაქარო საქმის“ გამოყოფის და დასტაქრების სპეციალიზაციის შესახებ სწორედ რუსთაველის ეპოქაში გვხვდება. ქირურგიულ დაავადებებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად დასტაქრები მკურნალობდნენ.

ქირურგიის განვითარების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ცნობა, რომელიც დაჭრილი კიდურის იმობილიზაციას შეეხება. მხედველობაში გვაქვს ომიდან დაბრუნებული ტარიელის სიტყვები:

„ნაომარსა დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება“[2]

უნდა ვიფიქროთ, რომ სხეულის დაჭრილი ნაწილის იმობილიზაცია, ამ შემთხვევაში მკლავის ყელზე ჩამობმა, გავრცელებული მეთოდი ყოფილა ჭრილობათა მკურნალობაში. ალბად შემჩნეული ჰქონდათ, რომ სხეულის დაჭრილი ნაწილის უმოძრაობა დადებითად მოქმედებს ჭრილობის შეხორცებაზე.

ამავე პერიოდში ცნობილი ყოფილა, რომ ახალი ჭრილობა უფრო ადვილად იკურნება, ვიდრე ძველი, თავმინებებული. ამბობდნენ რომ ძველი ჭრილობა ხანგრძლივ მკურნალობას და დახელოვნებულ ექიმს საჭიროებს: „წყლული ახალი ადვილ საკურნებელ არს, ხოლო ძველ ქმნილ უდებებად მოსრული წამალთა დიდთა, ხელოვანთა მკურნალთა მოქენე არს...“[3]

XIII საუკუნისათვის, როგორც „წიგნი საქიმოიდან“ ირკვევა, ჭრილობის სახეებად დაყოფა, მკურნალობის წესები და საშუალებანი თითქმის ისეთივე იყო, როგორც XI საუკუნეში. სამაგიეროდ უფრო გაფართოებულია წარმოდგენა ჭრილობიდან სისხლის დენის შესახებ. ჭრილობიდან ძლიერი სისხლის დენის განვითარებას დიდი სისხლის ძარღვის დაზიანებას—გაკვეთას უკავშირებდნენ—„ნაკრავი რომელ მისგნით სისხლი დია სდიოდეს მაგისი ნიშანი არს, რომელ შიგან დიდი ძარღვი გაკვეთილი იყოს“[4].

აგრეთვე ცნობილი ყოფილა, რომ არტერიული სისხლის დენა ძნელი შესაჩერებელია—„და იგი სისხლი შირიანისაგან მოვიდოდეს ძნელად შეიკვრის...“[5]

---

[1] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, დასახ. გამოცემა, სტროფი 598.

[2] იქვე, სტროფი 481.

[3] იოანე პეტრიწისაგან გალექსილი იამბიკონი, იხ. „ქართული ქრესტომათია, ან გამოწერილ ნი სტატიები სხვათა და სხვათა მწერალთა-გან“, შედგენილი დ. ჩუბინაშვილის მიერ, ნაწ. II, 1863, სანკტ-პეტერბურგი, გვ. 152.

[4] „წიგნი საქიმოი“, გვ. 292.

[5] იქვე.

სიტყვა შირიანი, რომელიც ამ ამონაწერშია ნახმარი, გადამწერის მიერ შეცდომით შარიანი ძარღვის მაგივრად უნდა იყოს დაწერილი. შარიანი ძარღვი კი არტერიის არაბული სახელია[1].

სისხლის დენის შესაჩერებლად ჭრილობას მჭიდროდ კრავდნენ, ანუ, როგორც ჩვენ ახლა ვიტყოდით—დამწოლ ნახვევს ადებდნენ, ან დაღავდნენ—„რომელ სისხლი გამოვიდოდეს და დია ფეთქდეს და არ უკუდგებოდეს, ეგრე ხამს რომელ მაგრად შეკრან ანუ დასდაღონ"[2]. სისხლის შესაჩერებლად სხვა გზასაც მიმართავდნენ: ჭრილობის ნაპირებს ერთმანეთს მიუახლოებდნენ და ერთხანს ასე დაიჭერდნენ, რომ გამოსული სისხლი არ გადმოღვრილიყო და შედედებულიყო—„და სისხლისა კურნებაი რომელ დაკოდილისაგან არ უკუ დგებოდეს იგი არს, რომელ თუ შეეძლოს ორივე ნაპირი გაკვეთილისა ერთგან მოკრიფოს ხელთა დაიჭიროს, რომელ სისხლი შიგან შეიკრას და უკუდგეს"[3]. როგორც ჩანს, შეუნიშნავთ, რომ ამ გზით შეიძლება სისხლი უფრო ადვილად შედედდეს და გაჩნდეს კოლტი.

იმ შემთხვევაში, თუ ჭრილობის ნაპირების მიახლოება შეუძლებელი იყო და აღნიშნული გზით სისხლის დენის შეჩერება არ მოხერხდებოდა, მაშინ სხვა საშუალებას მიმართავდნენ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ დანაყილ გუნდას ან წყალსა და ძმარში დასველებულ დამწვარ მჩვარს ჭრილობას დააფარებდნენ: „და თუ ერთგან არ მოკრეფებოდეს ქსირაინი ზედა შემოსდვას ანუ დანაყილი გუნდაი, დამწვარი მჩვარი ზედ შემოსდვას კარგი არს, რაი წყლითა და ძმრითა დაასოვლოს"[4].

თუ სისხლის დენა მეტისმეტად ძლიერი იყო, მაშინ ჭრილობას გააგანიერებდნენ, დაზიანებულ სისხლის ძარღვს მოძებნიდნენ და მას სელის ძაფით გადაკვანძავდნენ—„...ნაკრავისა ადგილი გააპოს, რომელ თავი ნაკრავისა პოოს და მაშინ სელის მკედითა წმიდითა შეკრას, და ეგეთი რაიმე შემოსდვას რომელ სისხლსა უკუაყენებდეს"[5].

ეს რაც შეეხება ღია ჭრილობას და სისხლის დენის შეჩერებას. გარდა ღია ჭრილობისა, არჩევდნენ დახურულ ჭრილობას. დახურულად ითვლებოდა ისეთი ჭრილობა, რომლის პირი არ ჩანდა—„ნიშანი ასოთა ნაკრავისაი თუ კიდე ჩნდეს თვით შეიგნების, თუ არ ჩნდეს ჰკითხოს სნეულსა რომელმან უამბოს"[6].

როგორც უკვე ითქვა, „წიგნი საკიმოის" მიხედვით ჭრილობათა მკურნალობა XIII საუკუნისათვის ძირითადად არ განსხვავდებოდა XI საუკუნისაგან, მაგრამ აღსანიშნავია ერთი საინტერესო ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ ჭრილობის ადგილობრივი მკურნალობის გარდა, დაჭრილს გარკვეულ რეჟიმსაც უნიშნავდნენ. რეჟიმი დამყარებული იყო იმაზე, თუ სხეულის რომელ მიდამოში იყო მიყენებული ჭრილობა. მაგალითად, გულმკერდისა და მუცლის მიდამოში დაჭრილს ეკრძალებოდა მუშაობა და სიარული. ამავე დროს ყურადღება ექცეოდა დაჭრილის კვებით რეჟიმს. ურჩევდნენ ადვილად მოსანელებე-

---

1 იხ. „წიგნი საკიმოისადმი" დართული ლექსიკონი, შედგენილი პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ, გვ. 333.

2 „წიგნი საკიმოი", გვ. 292.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

ლი, მსუბუქი საკვების მიღებას: „თუ ნაკრავი გვერდსა ანუ მუცელსა ეცეს... ხატიფთა ჰამდეს. და საქმისა ქნასა და სიარულსა ერიჯოს“[1].

შემდეგ საუკუნეებში, კერძოდ XV საუკუნისათვის, ჭრილობის გასუფთავების წესი თითქმის ისეთივე იყო, როგორც წინა პერიოდში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჭრილობას ახლა თბილი წყლითაც ასუფთავებდნენ: „დაკოდილი პირველ გარეცხე ამა წესითა: აიღე ბამბა ანუ ქათი თბილისა წყალშიგან დაასოვლე და გაწმინდე“[2].

არც ჭრილობის შეკვრის წესი და შესაკერად ხმარებული მასალა განსხვავდებოდა წინა საუკუნეებთან შედარებით. მაგრამ აღსანიშნავია ერთი დეტალი— წამალს ჭრილობაში აყრიდნენ: „თუ დაკოდილი დიდი იყოს, შეკერე ნემსითა და აბრეშუმითა და ეს წამლები შიგან ჩაუყარე, და ძველი ბამბა დასდევ და შეუხვიე,...“[3]

ჭრილობის სახეების შესახებ წარმოდგენა XVI საუკუნის წყაროების მიხედვით შედარებით უფრო ჩამოყალიბებული მოჩანს. მართალია გარკვეული კლასიფიკაცია არ არის მოცემული, მაგრამ ჭრილობის გამომწვევი მიზეზები ისე მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, ადვილად შეიძლება გავარჩიოთ გაპობილი და გაგლეჯილი ჭრილობა: „ზოგი ეს არის, რომე ხმლითა და იარაღითა დაიკოდების, ზოგი ის არის, რომე ან ხეზედ ჩამოეხევის და ან ძვალსა და კლდეზედა დაეხევის, რომე კაცი მაღლიდაღმან ჩამოვარდეს...“[4]

ამავე ხანაში, ისევე, როგორც მანამდე, გარკვეულ ზღვარს ატარებდნენ ჭრილობებს შორის ხანდაზმულობის მიხედვით. აქედან გამომდინარე ქირურგის მიდგომა ჭრილობის სამკურნალოდ სხვადასხვაგვარი იყო. თუ ჭრილობა ახალი იყო და შეიძლებოდა გაკერვა, მაშინ მას გაკერავდნენ—„... ახლად რომე კაცი დაიკოდოს და ან ჩამოეხიოს თუ შეკერეა უჯობდეს და ან უნდოდეს, შეუკერონ...“[5]

გარდა აღნიშნულისა, ყურადღება ექცეოდა როგორი პირი და მიმართულება ჰქონდა ჭრილობას. თუ განაკვეთი სწორხაზოვანი მიმართულებისა იყო, უმჯობესად მიაჩნდათ მისი გაკერვა. საერთოდ ახალი და სწორკიდეებიანი ჭრილობის მკურნალობა უფრო საადვილოდ ითვლებოდა. „იადიგარ დაუდში“ ნათქვამია: „...რომელიც დაკოდილი ახალი არის და ან მართლად გაჭრილი არის, ისი სჯობს ასრე უნდა, დაკოდილსა ორივე პირი ერთად შეუყარონ და ამასა ეცადონ, რომე დაკოდილშიგა ან მიწა და ან ქვა არ ჩაუარდეს და ხოშკა ბანდი ქნან“[6].

„მართალი დაჭრილი“ სწორ განაკვეთს ნიშნავს. გამოდის რომ თუ ჭრილობა ახალია, განაკვეთი სწორია, მაშინ ჭრილობის ნაპირები ერთმანეთს უნდა მიუახლოვდეს და გაიკეროს შესაძლებელი სისუფთავის დაცვით.

იმ შემთხვევაში, როცა ჭრილობა არასწორხაზოვანი მიმართულებისა იყო, მაშინ გაკერვას არ მიმართავდნენ—„და თუ ესე დაკოდილი მართლად არ იყოს

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 293.
[2] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 339.
[3] იქვე.
[4] „იადიგარ დაუდი“, გვ. 533.
[5] იქვე, გვ. 533—534.
[6] იქვე.

გაკუეთილი, და ირიბად იყოს და კიდეე სხვაგნიდაცა იყოს გახიული და სამი კილო ჰქონდეს, ასეთი წამლები უნდა დააყარონ, რომე ხორცი შეკრას და ერთმანეთსა გამოაბას...“[1] როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ ჭრილობას როცა ჭრილობის კიდეებზე კანის პირისპირ დაყენება შეუძლებელია დიდი დეფექტის გამო. ამიტომ ასეთ ჭრილობას წამლებით მკურნალობდნენ, რომ დეფექტი ახალი წამოზრდილი ქსოვილით შევსებულიყო.

ჭრილობიდან სისხლის დენის შესაჩერებლად „ხოშკა ბანდს“ იდებდნენ. „ხოშკა ბანდი“ მშრალ ნახვევს ნიშნავს[2]. ჭრილობაზე მშრალი ნახვევის დადებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრეც (XI საუკუნე) მიმართავდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხოშკა ბანდი არა სამკურნალოდ, არამედ სისხლის დენის შესაჩერებლად ედებოდა: „ხოშკა ბანდი ქნან, ვითამცა იმ ხელად თუ სხვა არა დაგესწრას რა...“[3] ე. ი. სახელდახელოდ, თუ სხვა საშუალება არ გექნა, მშრალი ნახვევი დაადეო. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ „ხოშკა ბანდი“ იმავე დანიშნულებით იხმარებოდა, როგორც თანამედროვე ქირურგიაში დაწნული ნახვევი იხმარება.

გარდა დამწოლი ნახვევისა, ჭრილობიდან სისხლის შესაჩერებლად იხმარებოდა დანაყილი ელატინა (ანზარუთი), შაბი, და სხვა—„ანზარუთი დანაყეთ გაცერით და დააყარეთ, ან ამავე რიგი სხვა წამალი დააყარეთ, რომე სისხლი დასწყვიტოს...“[4]

ცნობილია, რომ ელატინი და შაბი დღესაც სისხლის დენის შემაჩერებელ საშუალებად ითვლება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში XV—XVI საუკუნეებში სისხლის დენის შესაჩერებლად და ჭრილობის სამკურნალოდ წარმატებით იყენებდნენ ცხოველის შედედებულ სისხლს: „როდეს დაასხა სისხლი ხართა წყლულსა, დააყენოს სისხლი“[5].

„იადიგარ დაუდში“ ნათქვამია, რომ, თუ კაცსა თავზედა სისხლი არ დასწყდეს, მოიტანე: შედედებული თბილი ძროხის სისხლი და დაკოდილ ზედა დაადევ და ფიცხლავ სისხლსა დასწყუეტს“[6].

სისხლის დენის შესაჩერებლად და ჭრილობათა სამკურნალოდ შედედებული სისხლის გამოყენების იდეას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ივი ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა მდიდარი ტრადიციები გააჩნდა საქართველოს მედიცინას აღნიშნულ ხანაში[7].

---

[1] „იადიგარ დაუდ“, გვ. 534.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 420.

[7] ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობა, მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემებს ლიტერატურიდან.

1942 წელს ამერიკელი მეცნიერების მურჰედისა და უნგერის მიერ ჩატარებული იყო ცდები ინფიცირებული და არაინფიცირებული ჭრილობების, დამწვრობისა და წყლულების სამკურნალოდ ადამიანის სისხლის ნახევრად თხიერი მასის გამოყენების ეფექტურობის დასადგენად. იხ. Moorhead Ionh j. and Unger Lester j. Human Red Cell Concentrate of rucrgical Dressings. Ghe American jouranl of surgery, 1943 january vol. Lix Ni pp. 104—105

იმავე პერიოდის წყაროებიდან ირკვევა, რომ ჭრილობის გასივების თავიდან ასაცილებლად ძმარში დასველებული საფენების დადებას მიმართავდნენ— „ვინცა სამოსელი ძმარშიგა დაასველოს და დაკოდილზედა გარდაჰკრას, იმა დაკოდილსა აღარ გაუსივებს და მართლსა რიგზედ ამყოფებს“[1].

ჭრილობის ადგილობრივ მკურნალობასთან ერთად ყურადღება ექცეოდა ორგანიზმის საერთო მდგომარეობას, საკვების შემადგენლობას. ჭრილობის მკურნალობის პერიოდში ავადმყოფს უმთავრესად ხილსა და ტკბილეულს უნიშნავდნენ. დაჭრილს ეკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელის მიღება: „და ნურასათვის დაკოდილს კაცსა ღვინოს ნუ ასვამთ“[2].

სხეულის ტრავმულ დაზიანებებს შორის, გარდა ჭრილობისა, იცნობდნენ ნაღრძობს, ამოვარდნილობას, ბლაგვი იარაღით გამოწვეულ დაეჟეილობას, სხვადასხვა სახის მოტეხილობას; იცოდნენ მათი დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

იმავე წელს ამერიკელი ექიმების სენდონ და იანგის მიერ აღნიშნული მიზნით გამოყენებულ იქნა ადამიანის სისხლის წითელი ბურთულების (ერითროციტები) ფხვნილი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. სრულიად განიკურნა ავადმყოფთა ნახევარზე მეტი. აღსანიშნავია, რომ მკურნალობა ჩაუტარდა ისეთ ავადმყოფებს, რომლებიც სხვა საშუალებით არ განიკურნენ. იხ. Sendon T. and Yaung H.—Proceed. Mayo Clin., 1943, vol. 18, p. 385.

ამის შესახებ პროფ. ი. თ. ლეონტიევის მიერ 1948 წელს გამოქვეყნებული იყო სტატია „შშრალი ერითროციტების სამკურნალო თვისებები,“ სადაც ავტორი წერდა, რომ აღნიშნული ამერიკელი მეცნიერების ცდები სამკურნალო მიზნით შედეგებული სისხლის გამოყენების შესახებ, თითქოს პირველი შემთხვევა იყოს. იხ. Леонтьев И. Ф.—«Лечебные свойства сухих эритроцитов». Журнал «Природа, 1948, № 3, стр. 60.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების სხდომაზე ნ. ვაჩნაძემ 1949 წელს გააკეთა მოხსენება ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალო მიზნით სისხლის გამოყენების შესახებ. იმავე წელს გამოქვეყნებულ იქნა ამ მოხსენების მოკლე შინაარსი. „იადიგარ დაუდში“ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე გაირკვა, რომ სამკურნალო მიზნით შედეგებული სისხლის გამოყენების იდეა საქართველოში ოთხი-ხუთი საუკუნით ადრე იყო ცნობილი. იხ. Вачнадзе Н. Г. «Кто первый применил кровь для лечения ран?» газ. «Медицинский работник» 1949, 16/II № 7 (819), стр. 4.

არსებობს მასალები იმის შესახებ, რომ საქართველოში სამკურნალოდ არა მარტო ცხოველის შედეგებულ სისხლს, არამედ ადამიანის სისხლსაც იყენებდნენ გამშრალი სახით, ე. ი. იმ სახით, როგორც ეს ბევრად უფრო გვიან ხმარებაში შემოიღეს ზემოაღნიშნულმა ამერიკელმა მეცნიერებმა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ექიმ ი.ი. შაბლოვსკის ჩაწერილი აქვს, რომ აფხაზეთში მკურნალი ქალი კეუტი და სამურზაყანოში ვინმე ჩხანელია ჭრილობის სამკურნალოდ იყენებდნენ დაჭრილისაგე სისხლს. მას ტაფაზე აშრობდნენ, შემდეგ ფხვნილად ქცეულს ჭრილობაში აყრიდნენ და ახვევდნენ. ექიმი ი. ი. შაბლოვსკი აღნიშნავს, რომ ასეთი წესით ნამკურნალევი ჭრილობა სწრაფად ხორცდებოდა. იხ. Шабловский И. И.—«Медикаменты и способы лечения, применяемые народными врачами Абхазии и Самурзакано», глава 2-я. Хирургические и накожные болезни, стр. 42 (Изд. имп. Кавказского медицинского об-ва. 1884, № 212).

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 537.

[2] იქვე, გვ. 533.

XI საუკუნეში, როგორც „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, ნაღრძობისა და დაჟეჟილობის დამახასიათებლად ითვლებოდა ტკივილი და დაზიანებული მიდამოს შესივება. ნაღრძობ სახსარს და დაჟეჟილ მიდამოს მკურნალობის მიზნით ცხვირის ახლადგაძრობილ ტყავს შემოაკრავდნენ ხოლმე: „წამალი მისი, რომე შეშითა გინა მათრახითა ნაცემი იყოს, ან ნატკივნები ან ნაღრძობი იყოს ამა უკეთესი წამალი ის არის, რომე ფიცხლავ ცხურის ტყავი გახადო და შემოსდვა და ორს დღეს ედვას, მერმე აიღონ ტყავი და სიმსივნე დაწყნარებული იყოს...“[1]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაღრძობისა და დაჟეჟილობის მკურნალობა ახლაც ერთნაირია. მათ სამკურნალოდ, სხვა საშუალებებს შორის, ამჟამად კომპრესსაც იყენებენ და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაღრძობ სახსარზე ან დაჟეჟილ მიდამოზე ცხვრის ტყავის შემოკვრას შეეძლო ხელი შეეწყო ჩაღვრილი სისხლის გასრუტვისათვის.

იმავე ხანაში ცნობილი ყოფილა ამოვარდნილობის დადგენა. ეს ნიშნები შემდეგნაირად არის აღწერილი: „რა ასო ამოუვარდეს ნიშანი ის არის, რომე რომელი ასო ღრმა და ჩუბუტი ყოფილიყოს ამაღლდეს, და მაღალი ალაგი დაღმავდეს დამდაბლდეს, და იმა ასოსა ვერ იხმარებოდეს...“[2] სიტყვა „ჩუბუტი“ ფოსოს, ჩაღრმავებას ნიშნავს[3]. მაშასადამე, გამოდის, რომ სახსრის ამოვარდნის დროს ფოსო ამოივსება და შემაღლებული ადგილი, ანუ სახსრის გამოდრეკილი ზედაპირი ჩაღრმავდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაზიანებული სახსარი დეფორმაციას განიცდის. ამოვარდნილი კიდური ფუნქციას ვეღარ ასრულებს („ასოსა ვერ იხმარებდეს“). ეს ნიშნები ამოვარდნილობის დიაგნოსტიკის დროს ახლაც ძალაში რჩება.

ვნახოთ, როგორი იყო ამოვარდნილობის მკურნალობა. მკურნალობა იწყებოდა იმით, რომ ავადმყოფს ჯერ სისხლს გაართმევდნენ, შემდეგ უკვე მიმართავდნენ ამოვარდნილი კიდურის ჩაყენებას. ჩაყენების წესი ასეთი იყო: „...მიზიდენ და მოზიდენ მარჯვენითა და მარცხენითა და გარ ეცადე, რომე მისსავე ადგილს მივიდეს, მერმე მაგრად შეკურა უნდა. ხმელითა მჩურითი არ ვარგა შეკურა,... ხამითა მჩურითა უნდა მაგრა...“[1].

ამოვარდნილი კიდურის ჩაყენების ეს წესი თავისი აღწერილობით, თანამიმდევრობით, რამდენადმე ემსგავსება ჩვენთვის ცნობილ როტაციულ წესს, თუმცა აქ ამ წესის ყველა მომენტი გათვალისწინებული არ არის; მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამოვარდნილი კიდურის ჩაყენება ნებისმიერად კი არ ხდებოდა, ვის როგორ შეეძლო, არამედ, არსებობდა გარკვეულად ჩამოყალიბებული წესი, რომელსაც პრაქტიკული გამოყენებაც ექნებოდა.

XVI საუკუნის ზოგიერთი ძეგლიდან ირკვევა, რომ ძვლის ამოვარდნილობისაგან არჩევდნენ ძარღვის ამოვარდნილობას—„მაგრა ბევრი ასრე იქნების, რომე ძვალი კი არ ამოვარდეს და ძარღვი ამოუარდეს“[5]. შეიძლება ვიფიქროთ,

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 407.
[2] იქვე, გვ. 389.
[4] იქვე, გვ. 389.
[3] იქვე, გვ. 529.
[5] „ადიდგარ დაუდი“, გვ. 543.

რომ ამ შემთხვევაში სახსრის იოგოვანი აპარატის გაჭიმვა-დაზიანებას გულისხმობდნენ. მის დამახასიათებელ ნიშნად ითვლებოდა ძლიერი ტკივილი—„ ამის ნიშანი ეს არის მწოვედ ტკივილს დაუწყებს“[1].

„ძარღვის ამოვარდნილობის“ მკურნალობა შემდეგში გამოიხატებოდა: „მომცრო ვაშლის ოდენი ორი ბუთსავით სამოსელი მაგრად დაასვიონ და პირველ მტკივანი ალაგი თბილსა წყალშიგა ჩაუყონ და ერბოთა კარგად დაუზილონ, და მერმე ხელით მოუნახონ და საცა მწოვედ სტკიოდეს ერთი ბურთი იქ დაადვან და ერთი ბურთი მეორეს კერძოდ დაადვან და ზედ მაგრად სამოსელი შემოუკერონ და ერთსა ღამესა ისრე ამყოფონ...“[2]

ძარღვის ამოვარდნილობის ქვეშ, თუ მართლა სახსრის იოგოვანი აპარატის დაზიანებას ვიგულისხმებთ, მაშინ მკურნალობის ზემოთ მოყვანილი წესი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მსგავს მანიპულაციებს დღესაც მიმართავენ სახსრის იოგოვანი აპარატის დაზიანების დროს.

არანაკლებ საინტერესო შეხედულებები არსებობდა მოტეხილობის მკურნალობის შესახებ.

XI საუკუნეში მოტეხილობის მკურნალობაში მთავარი ყურადღება ექცეოდა მოტეხილი ძვლების პირისპირ კარგად დაყენებას და შემდეგ უკვე მის სათანადოდ ფიქსაციას.

ქვემო კიდურის მოტეხილი ძვლის ნაპირების დაყენების შესაფასებლად საორიენტაციოდ დაუზიანებელ კიდურს იღებდნენ—„თუ მოტეხილი იყოს ძვალი ფერხისა ანუ ხელისა, კარგად და ხერხიანად უნდა დაწყობა. ფერხისა ასრე უყავ, რომე ფერხისა ცერი ცერსა დაუპირისპირე და ერთმანეთსა მიუკარე წაავლე ხელი და დაუწყე მართვა, აგრევე, ხელსა უყავ,...“[3]

მოტეხილი ძვლების საფიქსაციოდ უმთავრესად არტაშანი იხმარებოდა. არტაშანი სიგრძით დაზიანებულ კიდურზე ოთხი თითით უფრო გრძელი უნდა ყოფილიყო. ნახვევის მეტისმეტად მჭიდროდ მოჭერა საშიშად ითვლებოდა, იცოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში კიდური სისხლს ვეღარ მიიღებდა—„არტახი მოტეხილობისაგან უფრო გრძელი უყავ, ასრე რომე მოტეხილი დაიჭიროს, მთელზე და შეკრას. ოთხითა თითითა უფრო გრძელი უნდა მოტეხილისაგან, და მწვედ არ უნდა მოუკრა. ასრე უნდა, რომე სისხლი შიგ იარებოდეს, თვარა მოვარდების“[4].

რას უნდა ნიშნავდეს „სისხლი შიგ იარებოდეს, თვარა მოვარდების“? როდესაც სხეულის რომელიმე ნაწილი, ამა თუ იმ მიზეზით, სისხლის მიწოდების გარეშე დარჩება, ვითარდება ადგილობრივი სიკვდილი ანუ ნეკროზი და თუ ღრმა ნეკროზი განვითარდა, სხეულს მკვდარი ნაწილი მოშორდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სწორედ სისხლის მიწოდების გარეშე დარჩენილი კიდურის ადგილობრივ სიკვდილზე — ნეკროზზე უნდა იყოს ლაპარაკი. ამის შემჩნევა ადვილად შეიძლებოდა იმ მაგალითებზე, როცა არტაშანი ავადმყოფს არასათანადოდ ექნებოდა დადებული და დანეკროზებული ნაწილი მოვარდებოდა. ამიტომ, ძეგლის ავტორი აფრთხილებს ექიმს, მოტეხი-

---

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 543.

[2] იქვე.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 388—389.

[4] იქვე.

ლობის მკურნალობის დროს უურადღება მიაქციოს არტაშანისა და ნახვევის დადებას.

გამოდიოდნენ რა ამ მოსაზრებიდან, აკვირდებოდნენ არტაშანზე ფიქსირებული კიდურის ფერის ცვალებადობას. ცნობილია, რომ არტაშანი თუ არასათანადოდ არის დადებული და კიდური სისხლს ვეღარ ღებულობს, იგი ფერს იცვლის—ლურჯდება. ალბად ფერის შეცვლის მექანიზმი არც იქნებოდა ცნობილი, მაგრამ ფერის შეცვლა რომ ავის მაუწყებელი იყო, ეს კი კარგად შეუნიშნავთ—„უწინ ყოველთა დღეთა უნდა გახსნა და ნახვა, ამისათვის რომე ფერი არ ექცეს...“[1]

არტაშანზე დაკრულ მოტეხილ კიდურს შემდეგ დღეებშიც ხსნიდნენ დღეგამოშვებით: „მაგრამ გახსნა ერთა დღესა უნდა და ერთსა არა, და რა შვიდი დღე გამოვიდეს, მეხუთესა დღესა უნდა გახსნა, წყნარად რომე არ მოშალოს, და არ გამრუდდეს“[2].

რითი უნდა აიხსნას, რომ ასე ხშირად მიმართავდნენ ნახვევის გახსნას? ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, შემდეგი უნდა იყოს: მოტეხილი კიდურის არტაშანით ფიქსაცია დროებითია. დღევანდელ პირობებში, როცა ამის შესაძლებლობა არსებობს, მოტეხილი ძვლების სათანადო იმობილიზაციის მისაღწევად თაბაშირის ნახვევს ხმარობენ, ან დაჭიმვის წესით მკურნალობენ. არტაშანით კი საიმედო, ხანგრძლივი იმობილიზაციის მიღწევა არ ხერხდება ძლიერ მოჭერილი ნახვევის დიდხანს გაჩერებაც არ შეიძლება, რადგან კიდურის კვება დაირღვევა და, როგორც აღვნიშნეთ, ნეკროზი განვითარდება. ხოლო თუ ნახვევს სუსტად მოვუჭერთ, მოტეხილი ძვლების უმოძრაობას ვეღარ მივიღებთ. ეს გარემოება აღნიშნულ პერიოდში კარგად ცოდნიათ, მაგრამ იმ დროისათვის მოტეხილობის სამკურნალოდ არტაშანის გარდა, სხვა საფიქსაციო საშუალება არ არსებობდა. ამიტომ იმისათვის, რომ არც ნეკროზი განვითარებულიყო და მოტეხილი ძვლების უმოძრაობისათვისაც მიეღწიათ, ნახვევის დადების რაღაც საზღვარი უნდა მოეძებნათ. როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან არკვევა, ნახვევის დადების დროს უპირატესობა მაინც არტაშანის ძლიერ მოჭერას ეძლეოდა და კიდური რომ „არ მოვარდნილიყო“, ექიმს სიფრთხილე მართებდა—ნახვევს ხშირ-ხშირად ხსნიდნენ, ამით ფიქსირებულ კიდურში კვება გაუმჯობესდებოდა და შემდეგ ისევ შეახვევდნენ და ა. შ. მოტეხილობის დროს ნახვევის ხშირი შეხსნა აღნიშნულ გარემოებით უნდა ყოფილიყო გაპირობებული.

განხილულ ხანაში ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ ღია და დახურულ მოტეხილობებს. მართალია, ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არ არის დაცული, მაგრამ მოტეხილობის აღნიშნულ სახეებს შორის რომ განსხვავებას ხედავდნენ, ეს ეჭვს არ იწვევს, რადგან ღია მოტეხილობის მკურნალობა პრინციპულად განსხვავდებოდა დახურული მოტეხილობის მკურნალობისაგან. თუ დახურული მოტეხილობის შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, მოტეხილი კიდურის არტაშანით იმობილიზაციას, ყრუ ნახვევის დადებას მიმართავდნენ, ღია მოტეხილობის დროს შემდეგნაირად იქცეოდნენ: „თუ მოტეხილსა სისხლი სდიოდეს, მას ასრე უნდა, სადაც სისხლი სდიოდეს ის ადგილი მჩურისაგანაც და ფიცრისაგანაც ცარიელი ამყოფოს რომე შაშველი ჩნდეს.“[3]

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 389.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ამ შემთხვევაში, მართლაც ღია მოტეხილობის აღწერასთან გვაქვს საქმე, რადგან ძვლის მოტეხილობის გარდა, კანის მთლიანობაც არის დარღვეული, („თუ მოტეხილსა სისხლი სდიოდეს").

ღია მოტეხილობის სამკურნალოდ, როგორც აქ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, დახურული მოტეხილობის მკურნალობის მსგავსად, მიმართავდნენ დაზიანებული ძვლების უმოძრაობას, ანუ იმობილიზაციას არტაშანის საშუალებით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დაზიანებულ რბილ ქსოვილს არ ახვევდნენ და ჭრილობის მიდამოში ფანჯარას ტოვებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ღია მოტეხილობის მკურნალობის ეს წესი (ფანჯრის შექმნა), დღესაც მიზანშეწონილად ითვლება.

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ ღია და დახურული მოტეხილობის გარდა, იცნობდნენ მრავლობით მოტეხილობას. როგორც ცნობილია, მოტეხილობის ეს სახე (მრავლობითი მოტეხილობა) უმთავრესად ომის პერიოდში არის გავრცელებული. ეს მომენტი მრავლობითი მოტეხილობის განვითარებაში იმ დროისათვის შენიშნული ყოფილა, ამიტომ ასეთ მოტეხილობაზე იტყოდნენ, რომ „...ჰომსა შიგან წაეკიდოს..."[1] ე. ი. ომში დაემართებაო.

როცა მრავლობით მოტეხილობას ანუ ძვლის დამსხვრევას ჰქონდა ადგილი, ნამსხვრევები გამოჰქონდათ—„თუ ძვალი მოტეხილი იყოს მისგნით გამოიღოს"[2].

XVI საუკუნეში მოტეხილობის მკურნალობა — შეხვევა და არტაშანის დადება, რამდენადმე გაუმჯობესებული სახით გამოიყურება:

„...მოტეხილი ძვალი წყნარი და წყნარად გამოსწორონ და კარგად გაუმართონ და მერმე ერთის სამოსლითა შეუხვიონ და საცა მოტეხილი ჰქონდეს, იმა მოტეხილსა ალაგასა ძალიანად ნუ მოუჭირებენ. და მოტეხილსა ალაგსა ზემორდა ქუიმორ მოუჭირონ და პირველ ფომფედ სამოსელი შემოახვიონ. მაგრამ ასრე უნდა, პირველი სამოსელი წვერი მოტეხილისა ალაგსა დაახვიონ და მერმე მეორესა სახვევითა მოტეხილს ქუეშეთ დაახვიოთ, და კიდევ მესამე სამოსლის სახვევი მოიტანო და ამათზედა კარგად სწორად დაახვიონ, რომე უსწორო შასწორად არ იყოს. და მერმე ამაზე და რარიგადაცა წესი და რიგი იყოს, იმ რიგად არტახები წააკრან,..."[3]

XVII—XVIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერების შესწავლით ირკვევა, რომ მოტეხილობის მკურნალობის აღნიშნული წესი ძირითადად არ შეცვლილა[4].

ცალკე უნდა განვიხილოთ ჭრილობის მიყენებასთან დაკავშირებით „დამოკლებული ძარღვის" მკურნალობა, რომელიც „უსწორო კარაბადინში" არის აღწერილი: „თუ დაკოდილობისაგან ან სხვა მიზეზისაგან დამოკლდეს ძარღვი, მისი წამალი აიღეთ თელის ხის ქერქი და ტუხტის ძირის ქერქი წყლით დაალბე და ადუღე მანამდი, რომელ გასქელდეს, მერმე აიღე ორი მისთონი ცხურის დუმა და ვირის რძე, ერთმანეთსა, გაურივე და ცოტა ბარანბო შიგ გაურივე და კიდევ ადუღე რომე მოსქელდეს და სელიც შიგ გაურივე. მერმე აიღე

[1] „წიგნი საკეიმოი", გვ. 292.

[2] იქვე.

[3] „იადიგარ დაუდი", გვ. 542.

[4] „კარაბადინი" (1788). ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი A, № 760.

თიკნის ტყავი და ეს წამლები იმაზედ გააპრტყელე და შემოსდებდი. თუ დიდსა ხანსა გამოუშვებ მეტად გააგრძელებს ძარღვებს"[1].

ამ ცნობების მიხედვით არ ჩანს, სახელდობრ რომელი ძარღვების მკურნალობაზეა აქ ლაპარაკი: სისხლის ძარღვების, მყესების, თუ ნერვების შესახებ, რომელთაც აგრეთვე ძარღვებს უწოდებდნენ, მაგრამ აქ საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის, რომ ჭრილობის დათვალიერების დროს დაზიანებულ ქსოვილებს შორის არჩევდნენ ძარღვს, როგორც წარმონაქმნს და მის დასაგრძელებლად თავისებურ მკურნალობას ატარებდნენ.

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში, ისეთ ტრავმულ დაზიანებათა სამკურნალოდ, რომელთა კონსერვატიულ მკურნალობას შედეგის მოცემა არ შეეძლო, პლასტიკურ ოპერაციებს მიმართავდნენ. კეთდებოდა ჰეტეროპლასტიკა და ალოპლასტიკა, რაც კარგად არის არეკლილი სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა".

„მეზობელი ჩემი ხელმარჯვე დოსტაქარი იყო. მეზობელმან ჩემმან წვივი დაილეწა ასე, რომე ძვალი სრულებით დაიფქვა, აღარ შეერთდებოდა. ხორცი გაუპრა, ძვლები გამოუღო, წვივად ვირის წვივი ჩაუგდო. წამლები აყარა, შეადუღა და მოარჩინა"[2]. აი კიდევ ერთი მაგალითი: „კაცი ომში დამწყვდეოდა, თავის ჯაშა სრულობით დამსხვრეული ჰქონდა, იგი ძვალი აღარ მოებმოდა. სრულებით ძვალი გამოვიღე და ძვლისა წილ სპილენძი ჩაუგდევ. შედუღდა და მან კაცმან დიდი ხანი იცოცხლა"[3].

აღნიშნულ ტრავმულ დაზიანებათა შესახებ წარმოდგენილი მასალის განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ V—XVIII საუკუნეებში საქართველოში ჭრილობის, ამოვარდნილობის, დაჟეჟილობის, ნაღრძობის, მოტეხილობის გაგება-მკურნალობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა.

დამწვრობა, ცხადია, ძველთაგანვე იქნებოდა ცნობილი და უნდა ვიფიქროთ, რომ მის მკურნალობასაც ეწეოდნენ, მაგრამ დამწვრობის, როგორც სხეულის გარკვეული სახის დაზიანების შესახებ წერილობითი სამედიცინო ხასიათის ცნობები XI საუკუნიდან არის დარჩენილი. იმ დროის ძეგლში—„უსწორო კარაბადინში" აღწერილია დამწვრობის ზოგიერთი ნიშანი (ბუშტუკების გაჩენა) და მკურნალობა. უკვე შემდეგ საუკუნეების წყაროებში პირდაპირ არის გარჩეული დამწვრობის სახეები: „ცეცხლითა დამწვრისა თვით საჩინოი არს ყოველთა იციან დამწვარსა იგი უვარე არს რომელ ფიცხელითა ცეცხლითა დამწვარ იყოს ნიშანი ცეცხლითა დამწვარისაი ორფერი არს ერთი იგი არს რომელ დამწვარი ფერად წითელ იყოს"[4].

როგორც ამ ამონაწერიდან ირკვევა, სიძლიერის მიხედვით ორი სახის დამწვრობას არჩევდნენ: ერთი მათგანი, თავისი ნიშნებით დამწვრობის თანამედროვე კლასიფიკაციით პირველ ხარისხს შეესაბამება (დამწვარი ფერად წითელ იყოს), მეორე კი—მეორე ხარისხს (ტყავი დამწვარისა ყვავილივითა გაბერილ იყოს).

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 387.

[2] სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე-სიცრუისა", გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 104.

[3] იქვე გვ. 103.

[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 341.

დამწვრობის სამკურნალოდ სხვა საშუალებებთან ერთად იხმარებოდა ვარდის ზეთით შეზავებულ კვერცხის ცილაში დასველებული საფენები: „...კურნებაი მისი იგი არს, რომელი კევრცხის თეთრი ვარდის ზეთითა გაადგინოს და ტილოსა მჩვარი მით დაასოველოს მრავალჯერ და შემოსდვას ერგებისა"[1]

რამდენადმე განსხვავებული იყო მდუღარე წყლით გამოწვეული დამწვრობის მკურნალობა: „თუ ცხელის წყლითა ან მდუღარითა ერთობ დაიმდუღროს, წამალი მისი, მასვე წამსა სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური ტლედ შემოსდევ და არ უნდა გაშვება რომე გახმეს, ასრე უნდა რომე ნაადაგ მჩვარი ცივის წყლით დაასოვლო და ზედ დასდებდა მისთვის, რომე უფრო არ გაბუშტდების. და ან თუთუბოსა წყლითა, და ან ნაცრის წყლითა დაასხი ზედა ან მაზოხის წვენი, რომე ერთობ მეავე არ იყოს და თეთრი მალამაცა, მით უნდა გამთელება თეთრის მალამითა"[2].

XV საუკუნეში დამწვრობის სამკურნალოდ გამოყენებული ყოფილა ბროწეულის ქერქი. „სამკურნალო წიგნში" ვკითხულობთ: „სხეა წამალი დამწურისა.—აიღე ბროწეულის ქერქი, დაწუი და წმინდად დანაყე, და დედაკაცისა რძითა დამწუარი შემწენ, და ის დამწუარი წამლები ზედა მოაყარე"[3].

უკანასკნელ წლებში შესწავლილი იქნა დამწვრობის დროს ბროწეულის ქერქის სამკურნალო მოქმედება და სამედიცინო პრაქტიკაში იგი დღესაც წარმატებით იხმარება.

განვიხილოთ, როგორი იყო წარმოდგენა ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის გავლენის შესახებ, ანუ როგორ ესმოდათ მოყინვა, მოყინვის რა ნიშნებს იცნობდნენ, ანდა რა საშუალებებით მკურნალობდნენ მას და სხვ.

უკვე XI საუკუნეში ცნობილი ყოფილა, თუ რა პირობები უწყობს ხელს მოყინვის განვითარებას. მოყინვის განვითარებაში მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჰაერის მოძრაობას (ქარი) და სხეულის უმოძრაობას. ამავე დროს ცოდნიათ, რომ სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო ადვილად კიდურების მოყინვა ვითარდება. „წიგნი სააქიმოიში" ვკითხულობთ: „ესე მანკი მისგან იქნების, რომელ ოდესაც ბუნებაური სიგრილე იყოს ანუ ცივი ქარი, მაშინ ხელი და ფეხი დახურვით არ დაიჭიროს და შიშველად მიუშვან, მაშინ ამისითა გზითა და მოღაფლებითა სიცივე შეუვა"[4].

სიძლიერის მიხედვით არჩევდნენ ორი ხარისხის მოყინვას: „რომელ ფერად მწვანე გვარი იყოს ანუ შავი ფერი, თუ მწვანე იყოს მანკი უმცროი შეხდომილ იყოს, და შავი იყოს მანკი უძნელე იყოს"[5].

ირკვევა, რომ მოყინვის ხარისხის შესახებ სხეულის მოყინული ნაწილის ფერის მიხედვით მსჯელობდნენ. უფრო ნაკლები სიძლიერის მოყინვის დამახასიათებელ ნიშნად მომწვანო ფერი ითვლებოდა, ხოლო მასზე უფრო აღმატებული ხარისხის მოყინვისათვის კი— შავი ფერი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოყინვა, რომელიც მომწვანო ფერით ხასიათდება მოყინვის თანამედროვე კლასიფიკაციის III ხარისხს შესაბამება, ხოლო შავი ფერი IV ხარისხს, რომლის დროს

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 291.
[2] იქვე, გვ. 390.
[3] „სამკურნალო წიგნი", გვ. 341.
[4] „წიგნი სააქიმოი", გვ. 256.
[5] იქვე.

მართლაც აქვს ადგილი მოყინული მიდამოს შავი ფერის ბუშტუკებით დაფარვას.

მოყინვის სამკურნალოდ მიმართავდნენ თბილი ერბოთი დაზელვას, აგრეთვე ნავთის წასმას და გათბობას: „...ხელი და ფერხი ტფილითა ერბოთა კარგად იზელონ და შენახვით და დახურვით დაიპირონ,... და თუ ხელი და ფერხი დაბნელებულ იყოს სიცივისაგან ნავთი შესცხონ და ცეცხლზე მიუპყრას დია ერგების; და გამრთელდების და ილხენს"[1].

მოყინვის მკურნალობა მარტო აღნიშნულით არ განისაზღვრებოდა. თუ მოყინვა ძლიერი იყო, ანუ, როგორც ახლა ვიტყოდით, მეოთხე ხარისხისა იყო მაშინ მკურნალობა ქირურგიული წესით ტარდებოდა. მიმართავდნენ დანეკროზებული ქსოვილის დასერვას, გაკვეთას: „თუ ხელი და ფეხი სიცივისაგან გამწვანდეს ანუ გაშავდეს თადბირი მისი იგი არს, რომელ დაშაშრონ რომელ დია სისხლი გამოვიდეს, და მაშინ ტფილსა წყალსა შიგან ჩადვან რომელ არ გაიყინოს. და თუ სისხლი არ უკუდგეს სომხური მიწაი ძმრითა დაასოვლოს და ზედა შემოსდვას, და ერთსა დღესა და ღამესა ეგრევე დასოვლებით დაიპიროს, და მერმეღა თბილითა წყლითა დაიბანოს, ორჯერ-სამჯერ ესრე უყოს და მას უწინა რომელ დაშაშრონ დამპალსა ხორცსა დაშავებულსა რკინისა მიახლოვებაი არა ხამს, მით რომელ ევნების. ჭაკუნტლისა და კალნაბისა ფურცელი ერთგან შეაბგონ და ზროხისა ერბოითა მალჰამაივითა უყონ და ნელი ზედა შემოკრან და დღივ ორჯელ შემოსდვან, და ჰნახონ რომელ რაიცა დამპალ იყოს დაჰვარდეს და მაშინ ეგეთითა მალჰამითა რომელ ხორცსა ზრდიდეს უკურნონ"[2].

მოყინვის ნიშნებისა და მკურნალობის შესახებ ცნობები შემდეგი საუკუნეების სამედიცინო ხელნაწერებშიც გვხვდება. მაგრამ ისინი ძირითადად არ განსხვავდებიან ზემოდ განხილული მონაცემებისაგან. რაც შეეხება მოყინვის ზემოაღნიშნულ მკურნალობას: თბილი ერბოთი დაზელვას, ნავთის წასმას და გათბობას, მოყინული მიდამოს დაშაშვრას, რაც თანამედროვე ნეკროტომიას წააგავს, მას მართლაც შეეძლო გარკვეული სამკურნალო ეფექტი მოეცა.

აქვე გვინდა განვიხილოთ მოყინვის ერთ-ერთი სახის, დაზრობის, მკურნალობა. დაზრობის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ცნობები გვხვდება 1804 წლით დათარიღებულ ხელნაწერში, რომელიც სიდამონიძეს შეუდგენია იოანე ბაგრატიონის დავალებით.

იგი წერს, რომ „თუ დამზრალი ახალია და ძალიან არ არის, რომე ძალიან სრისოს ის ადგილი ამითაც განთავისუფლდება. და თუ ძალიან დასძრობია ასე რომ სულ დამწვარსავით ჰქონდეს, მაშინ ის უნდა მოიყვანოთ და ცივის წყლით დაბანოთ ის და დამზრალ ადგილას ყინული წაუსვათ. ამისათვის რომე თუ სითბო მოხვდასულ გაძვრებახორცი და მერე კარგად ზილოთ და მასუკან ბატის ქონით წაუსუათ..."[3].

წარმოდგენილი მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაზრობის მკურნალობის დროს სხეულის დაზიანებული ნაწილის გათბობა აკრძალული

---

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 256.

[2] იქვე, გვ. 256.

[3] „კარაბადინი", (1804), ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი ხელნაწერი № 136, გვ. 177, ხაზი ჩვენია, ავტორები.

ოყო. როგორც ცნობილია, მოყინვის მკურნალობის ეს პრინციპი (თანდათანობით გათბობა) დღესაც ძალაში რჩება.

XI საუკუნით არის დათარიღებული ერთი ცნობა, რომელიც ფურუნკულს უნდა შეეხებოდეს. ამ ცნობის მიხედვით „...ხობისა ნიშანი ის არის, რომე ბალღამითა აივსების და გამორწყვა უნდა"[1].

პროფ. იუსტინე აბულაძის განმარტებით ხობი ანუ ხუბი ჩირქოვან მუწუკს ნიშნავს. მოყვანილი ამონაწერიც ასეთი გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ამას ადასტურებს მისი მკურნალობა (გამორწყვა უნდა) და გავრცელების ადგილი (კისრის მიდამო). ცნობილია, რომ ფურუნკული სხეულის სხვა ნაწილებს შორის ყველაზე ხშირად კისრის მიდამოში ჩნდება.

წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XI საუკუნეში ხუბი ფურუნკულს ეწოდებოდა. ხუბის პარალელურად იხმარებოდა მუწუკი და სისხლკორძა[2]. ცნობილი იყო მისი მკურნალობა და გავრცელების ადგილი.

შემდეგი საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დაავადების სახელად უკვე მუწუკი დამკვიდრებულა, მაგრამ მის გვერდით გვხვდება აგრეთვე, ახლა კარგად ცნობილი ქართული სახელი ფურუნკულისა „ძირდიდა"[3].

იბადება კითხვა: ეწოდებოდა თუ არა ყოველგვარ გამონაყარს მუწუკი? „იადიგარ დაუდიდან" ირკვევა რომ მუწუკი ყოველგვარ გამონაყარს არ ეწოდებოდა. უნდა ითქვას, რომ მუწუკი, თუ ის ოცი, ოცდაათი დღის განმავლობაში გამოირწყოდა და მორჩებოდა დაავადებად არ ითვლებოდა. მაგრამ თუ ორმოც დღეს გადასცილდებოდა, მაშინ ასეთი მუწუკი უკვე დაავადებად მიჩნდათ: „...თუ ეს მუწუკი ან ოცსა დღესა გამოერწყო და გაუმრთელდა, იმას მუწუკი ჰქვიან. და თუ ოცდაათსა და ან ორმოცსა დღემდისინ არ გაუმრთელდა, და ორმოცსა დღესა გარდასჭარბდა, ის მუწუკი კი აღარ იქნების, და ორმოცსა დღესა უკანა სენი დაერქმის"[4].

ამავე ძეგლიდან ირკვევა, რომ მუწუკის გამორწყვისათვის მრავალი სხვადასხვაგვარი საშუალება იხმარებოდა, როგორიც არის შაბი, დანაყილი წიწმატი, ჭინჭარი და სხვა.

შაბის შესახებ ნათქვამია, რომ „ვისცა მუწუკის გახეთქვა უნდოდეს მოიტანე ყუითელი შაბი, დანაყე და მუწუკზედა დააყარე, და ერთი დაყრა ეყოფის, მაშინვე გახეთქს და გამორწყავს"[5]. ან კიდევ, „ვისაც მუწუკმან დაჰყაროს და ან დიდი მუწუკი გამოუვიდეს, მოიტანე წიწმატი, დანაყე და ზედა დაადევ, მაშინვე უშველის და გამორწყავს"[6].

მუწუკის მკურნლობას, როგორც „იადიგარ დაუდიდან" ჩანს, ორი ეტაპი გაუვლია. ძველი ექიმები მუწუკის მოკვეთას ან დადაღვას მიმართავდნენ, მაგრამ ეს მეთოდი შემდეგ მიუტოვებიათ, რადგან მოკვეთის დროს შეიძლება მუ-

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 252.

[2] იქვე, გვ. 378.

[3] „იადიგარ დაუდი", გვ. 506—507.

„კარაბადინი" (XVIII) ს), ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 3264.

[4] „იადიგარ დაუდი", გვ. 509.

[5] იქვე.

[6] იქვე.

წუკის მცირეოდენი ნაწილი ჩარჩეს და კვლავ წამოიზარდოს: „კაცსა რომე ასეთი მუწუკი გამოუვიდეს, რომე აღარას ღონითა აღარ ეშველოს, ამ რიგსა მუწუკსა პირველ სამართებლითა მოსჭრიდიანო ამას წინანდელი აქიმნი, და ზოგსა დასდაღევდიანო, მაგრამ თუ ან ერთის ფეტვის მარცვლის ოდენი დარჩა, უსათიოდ კიდევ გამოუვა, და კიდევ ახლა მეორედ უნდა ან მოსჭრან, და ან დასდაღონ, და კიდევ მეორედ გასაჯონ"[1]. ამიტომ, დავით ბაგრატიონი, ავტორი „იადიგარ დაუდისა" გამორწყვას ანიჭებს უპირატესობას.

XI საუკუნის ძეგლში „უსწორო ქარაბადინში" ცალკე თავია გამოყოფილი—„კარი ქუსლისა და ხელთა დახეთქისა, და ხელისა ფრჩხილისა ტკივილისა"[2], სადაც განხილულია ფრჩხილის წაცლა, გასკდომა, ქვემო და ზემო კიდურების თითების სხვა დაავადებანი.

„წიგნი საქიმოში" აღწერილია დაავადება ფრჩხილის მჭამელა. ამ დაავადების დამახასიათებელ ნიშნად ითვლებოდა თითების მიდამოს შესივება, დაჩირქება, ძლიერი ტკივილი და ფრჩხლის მოცილება: „...სიმსივნე თითთა ზედა გამოჩნდეს ფრჩხილისა სიახლოვესა და დია სტკიოდეს, და მაშინ ფრჩხილი დაჰვარდეს..."[3], „ესე მანკი ფრჩხილისა ძირსა გამოჩნდეს"[4].

ამ ნიშნების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ფრჩხილის მჭამელა პანარიციუმს ეწოდებოდა. ამ დაავადებას დუტკოსაც ეძახდნენ. საბა თავის ლექსიკონში აღნიშნავს: „დუტკო—თითთა წყლულება"[5].

მკურნალობა მიმართული იყო იქითკენ, რომ დაჩირქების პროცესი დაჩქარებულიყო და ჩირქს გზა მისცემოდა: „მანკისა დასაწყისსა ჟანგარაი და რკინის ბაყლი, რომელსა ჰქვიან რიმაჰანი, და ქართულად წიდაი, ძმრითა გაგადოს და შესცხოს ანუ თოვლსა და მყინვარსა შუა ჩადვას, და თუ ნელსა ერბოისა შიგან ჩაყოს კარგი არს, აგრე რომელ დაწვას, და ეგეთთა რაისმე შემოსდებდეს რომელ ათხამლიანებდეს, და მაშინ გახსნას რომელ თხამლი გამოვიდეს, ეგრე შემოაპიროს რომელ დაიცვას და გაწმედეს, და შეინახოს რომელ ფრჩხილი არ დაჰვარდეს, და თუ მანკი გაგრძელდეს ეგეთითა მოლაჰმითა რომელ ხორცსა ზრდიდეს ჰკურნოს"[6].

იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული საშუალებების ხმარებით ჩირქი ვერ გამოვიდოდა, მიმართავდნენ გაკვეთას: „და თუ თხამლი იყოს შიგან და თვით არ გაიხსნას, მაშინ შაშრითა გახსნას, რომელ თხამლისაგან დაიცალოს"[7].

ამ დაავადების მკურნალობის პრინციპი ასეთივე დარჩა შემდეგ საუკუნეებშიც, მხოლოდ შეიცვალა „დასამწიფებელი" და „გამომრწყველი" წამლების შემადგენლობა.

საქართველოში, როგორც ცხელი ჰავის ქვეყანაში, სხვადასხვა სახეობის შხამიანი გველებია გავრცელებული. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ

---

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 509.
[2] იქვე. გვ. 510.
[3] „უსწორო ქარაბადინი", გვ. 405.
[4] „წიგნი საქიმოი", გვ. 254.
[5] იქვე.
[6] „სიტყვის-კონა", 1949 წლის გამოცემა.
[7] „იადიგარ დაუდი", გვ. 508.
[8] „წიგნი საქიმოი", გვ. 254.
[9] იქვე.

გველის ნაკბენის მკურნალობის მეთოდებისა და სამკურნალო საშუალებების შემუშავებაზე ძველთაგანვე უზრუნიათ.

ვიდრე მკურნალობას შევეხებოდეთ, ვნახოთ, გველის ნაკბენის რა და რა ნიშნებს იცნობდნენ.

გველის ნაკბენის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა: ნაკბენი ადგილის შესიება, შეწითლება, გამონადენი და ტკივილი: „ნიშანი გველცემულისაი იგი არს, რომელ ნაკბენისა ადგილი გასივებული იყოს და ფერად წითელი იყოს, და სინედლე მისგნით გამოვიდოდეს, და ტკივილი ძნელი იყოს"[1].

XV საუკუნეში, როგორც „სამკურნალო წიგნიდან" ირკვევა, იცნობდნენ გველის ნაკბენის შედეგად განვითარებულ ზოგად მოვლენებსაც, როგორიც არის მოვლენები გულის მხრივ, შარდში სისხლის გაჩენა, სისხლჩაქცევები კანში: „რა გველმან უკბინოს და გესლი იგი გულისა ტუინისაკენ წავიდეს, მისი ნიშანი ესე არს, რომე ტანი გაუწითლდეს და სისხლსა ფსმიდეს და ბნდებოდეს"[2].

უნდა ითქვას, რომ გველის კბენის შედეგად, ტანის გაწითლებას (რაც კანში სისხლის ჩაქცევებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული), გულის მხრივ მოვლენებს (ბნდებოდეს) და შარდში სისხლის გაჩენას (ჰემატურია) მართლაც აქვს ხოლმე ადგილი.

ცნობილია, რომ გველის შხამი სისხლის წითელი ბურთულების—ერითროციტების დაშლას იწვევს (ჰემოლიზი) და ამიტომ შარდთან ერთად სისხლი გამოიყოფა. გველის შხამით გამოწვეული მოწამვლის დროს ჰემატურიის მექანიზმი იმ დროისათვის, ცხადია, არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო, მაგრამ მისი გამოვლინება კი შეუმჩნევიათ.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცნობილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე სხვა ზოგადი მოვლენებიც, მაგალითად, პირღებინება, გულისრევა, მოვლენები ნერვული სისტემის მხრივ და სხვ.

გველის კბენის დროს ორგანიზმში შხამის გავრცელების საწინააღმდეგოდ, თუ შესაძლებელი იყო, მიმართავდნენ ლახტის გადაჭერას: „თუ ძულიანსა ადგილსა უკბინოს თავ-ბოლო შეუკრიათ რომ არ წავიდეს..."[3]. თავსა და ბოლოში, ანუ ნაკბენის ზევით და ქვევით ლახტს ალბად იმიტომ ადებდნენ, რომ შემჩნეული ჰქონოდათ შხამის გავრცელება, როგორც ნაკბენის ზევით—პერიფერიიდან ცენტრისაკენ, ისე ქვემდებარე ქსოვილებშიც.

გველის ნაკბენის მკურნალობა ქირურგიული წესით ხდებოდა. გველის ნაკბენის ირგვლივ იკვეთებოდა ქსოვილი: „რა გველმან უკბინოს კაცსა, თუ რბილსა ხორცზედა უკბინოს, ფიცხლავ ამოსჭრას..."[4].

გარდა ამისა, შხამის ამოსაწოვად კოტოშს ჰკიდებდენ: „...ნაკბენისა ადგილი დია მაგრად შეკრას რომელ გესლი... არ დაიპანტოს. და მაშინ ჭიქა მოჰკიდოს ნაკბენსა ადგილსა და კარგად მოწოვოს,..."[5]

„სამკურნალო წიგნში" უკვე პირდაპირ არის მითითებული, რომ გველის კბენის სამკურნალოდ ქირურგიული ჩარევა თუ შხამის გავრცელებამდე არ

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 294.
[2] „სამკურნალო წიგნი" გვ. 351.
[3] „უსწორო კარაბადინი", გვ. 409.
[4] იქვე.
[5] „წიგნი სააქიმოი", გვ. 294.

მოხდებოდა, შემდეგ მას მნიშვნელობა ეკარგებოდა: „შეკარ ნაკბენსა ზეით კერძო ახლოს, რომე წამალი არ დაიფანტოს ტუინსა და გულსა შიგან და ძარღუთა ტანისათა. და თუ ადგილი იგი გამოსაკუეთელი' იყოს, გამოკუეთე... თუ თითსა იყოს ნაკბენი, ანუ სხუასა ადგილსა, გამოკუეთონ, სადამდი ავიდოდეს წამალი იგი ასოთა შიგან მთავართა"[1].

უნდა ვიფიქროთ, რომ შხამის გავლენა ტვინზე და გულზე აქ შემთხვევით არ არის პირველ რიგში დასახელებული. ამჟამად ცნობილია და, ალბად, ეს მაშინაც ექნებოდათ შემჩნეული, რომ გველის კბენის შემდეგ ზოგადი მოვლენები უპირველესად გულისა და ნერვული სისტემის მხრივ გამომჟღავნდება—ამ დროს ადგილი აქვს გულისცემის აჩქარებას დეპრესიულ მდგომარეობას ან პირიქით, ძლიერ აგზნებულობას კრუნჩხვებს და სხვ.

მოყვანილი ამონაწერის მიხედვით ირკვევა, აგრეთვე, რომ შხამის დაფანტვა ძარღვებში ხდება. ეს ცნობა, შეიძლება ორგანიზმში შხამის გავრცელების გზებზე მიუთითებდეს.

XVI საუკუნეში, გველის ნაკბენის სამკურნალოდ წინა საუკუნეების მსგავსად მიმართავდნენ ლახტის დადებას, შემდეგ ნაკბენი ადგილის ამოკვეთას: „და თუ კაცსა ავმან და აფი გველმან ეცეს, თუ მოსაკუეთელსა ალაგსა იყოს, ნაცემსა ალაგსა ზემოთ და ქვემოთ ორგანვე ირმის თასმა მოუპირონ, და თუ ირმის თასმა არ იყოს და სხვა თასმა მოუპირონ და სადამდისი გულსა ეცეს და ან დალურჯებოდეს, ისე დალურჯებული ალაგი სამართებლითა ამოსჭრან და ამას ეცადნენ, და ამას ეშურნონ და ასრე ფიცხლად უნდა ამოსჭრან, რომე ჯერ შხამი ასოსა და ძარღუშიგა არ დაფანტულიყოს"[2].

იმავე ხანაში და შემდეგაც, გარდა ამოკვეთისა და კოტოშის მოკიდებისა, მიმართავდნენ ნაკბენი ადგილის დასერვას: „და თუ ესე გველისა ნაცემი ასეთსა: საჩინოსა ადგილსა იყოს ან პირსა ყელსა და ხელსა და ან ფეხსა, რომე არ მოიპირებოდეს და ხშირად კოტოში უნდა მოჰკიდოს და კარგად დასერონ"[3].

საინტერესოა, რომ გველის ნაკბენი ადგილის დასერვას, საჭიროების შემთხვევაში, ამჟამადაც მიმართავენ.

დიდი ქირურგიული გამოცდილების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ გველის ნაკბენის მკურნალობის დროს ნაკბენი ადგილის გახსნა-გაფართოებას ცდილობდნენ და არა შეხორცებას: „ბოლო ასეთი წამლები უნდა დაადვან, რომე დააბალღამოს და პირი გაუხსნას და რა ნაკბენმა ალაგმან ერთხელ პირი ქნას, ასეთი წამლები უნდა მიაყარონ, რომე ნაცემსა ალაგსა პირი მოსჭამოს და პირი აღარ შეკრას, თვარა და ისი შხამი ფიცხლავ გულსა და სტომაქსა შეეჭიდების მაშინვე"[4].

მოყვანილი ამონაწერი სხვა მხრივაც არის საინტერესო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XV საუკუნეში შემჩნეული ყოფილა გველის შხამის გავლენა ტვინზე და გულზე ამ ორგანოების დაზიანების შედეგად განვითარებული იმ ზოგადი მოვლენების მიხედვით, რომლებიც მართლაც მოსდევს შხამიანი გველის კბენას. უკვე XVI' საუკუნეში დამატებით გვხვდება მოვლენები სტომაქის ანუ კუჭის მხრივ—„სტომაქსა შეეჭიდების". „სტომაქსა შეეჭიდების" გველის კბენის დროს განვითარებულ პირღებინებასა და გულისრევას

[1] „სამკურნალო წიგნი", გვ. 351.
[2] „იადიგარ დაუდი", გვ. 549.
[3] იქვე, გვ. 549—550.
[4] იქვე.

უნდა გულისხმობდეს. ეს ორი ზოგადი მოვლენა უნდა დასდებოდა საფუძვლად წარმოდგენას იმის შესახებ, რომ გველის შხამი „სტომაქსა შეეჭიდების“.

გველის შხამის მოქმედების შედეგად განვითარებული სიკვდილის ერთ-ერთ მიზეზად სისხლის შედედება ითვლებოდა: „...მივა გესლი გუელისა, და სადაცა სისხლი დგის, და გაასქელებს ასრე, ვითა დურიტა რძესა და მოკლავს კაცსა“[1].

XVII—XVIII საუკუნეების წყაროებში გველის ნაკბენის ნიშნების აღწერის მხრივ დამატებითი ცნობები არ გვხვდება. მკურნალობაც პრინციპულად იგივე დარჩა[2].

მთელ რიგ წყაროებში აღწერილია აგრეთვე მორიელის, ფუტკრის ნაკბენის ნიშნები, მათი მკურნალობის წესები და საშუალებანი, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით.

შემდეგი დაავადება, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ეს არის ვენების გაგანიერება. აი, როგორ არის აღწერილი ეს დაავადება „უსწორო კარაბადინში“—„...რომე წვივსა ძარღვები გაუმსხვილდეს და თითივითა ან გველებივითა გამოჩნდეს“[3]. ვფიქრობთ, რომ ეს სურათი რაიმე განმარტებას აღარ მოითხოვს. აშკარაა რომელ დაავადებაზეა აქ ლაპარაკი. დღეს ცნობილია, რომ პროფესია გარკვეულად ხელს უწყობს ვენების გაგანიერების განვითარებას. მაგალითად, ისეთ პირებს, რომლებსაც დიდხანს უხდებათ ფეხზე დგომა, სასიარულო სამუშაოს შესრულება და სხვა, ვენების გაგანიერება უფრო ხშირად უნვითარდება. ეს გარემოება კარგად ყოფილა შემჩნეული და აღნიშნულია, რომ „ესსენი ამალითა და მსახურთა და ქვეითად მავალთა დაემართების“[4].

ვენების გაგანიერებას ორგვარი წესით მკურნალობდნენ. ერთი ეს იყო „წასაცხები“ წამლების გამოყენება, ნუ ახლანდელი ენით რომ ვთქვათ—მკურნალობის კონსერვატული წესი. მეორე წესი იყო ოპერაციული. ეს უკანასკნელი უკეთეს მკურნალობად ითვლებოდა. „უკეთესი აქიმობა დოსტაქარი არის, რომე გაიკვეთოს და ძარღვი ამოართვას და კარგითა მალამითა გაუმრთელეთ“[5]. ამოკვეთის ნაცვლად ზოგჯერ გაგანიერებული ვენის დადაღვას მიმართავდნენ[6].

ვენების სანათურის მთლიან გაგანიერებასთან ერთად, გვხვდება დაავადების აღწერა, რომელიც თრომბოფლებიტს უნდა გამოხატავდეს: „..რომელ ძარღვნი ადგომილნი, მსხვილნი, მოგრეხილნი, წვივთა ზედა გამოჩნდეს და ფერად იგი ძარღვნი შავფერი იყვნენ ანუ მწვანე გუარი, და რაი ფერად შავი იყოს ძარღვი, მანკი მისი უფრო ძნელი იქნების“[7].

ამ შემთხვევაში, რომ მართლაც თრომბოფლებიტის აღწერასთან გვაქვს საქმე, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მოყვანილ ციტატში აღნიშნული ვენების დაკლაკნილობა, და გაგანიერებული ვენის მიდამოს შავი ან მომწვანო ფერი.

---

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 351.

[2] „კარბადინი“ (XVIII-ს.), ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ საჭელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 3264.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 404.

[4] იქვე, გვ. 405.

[5] იქვე, გვ. 404.

[6] „წიგნი საქიმოი“, გვ. 253.

[7] იქვე.

ზემოაღნიშნულ მკურნალობასთან ერთად, ასეთ ავადმყოფს გარკვეულ რეჟიმს და დიეტას უნიშნავდნენ. მაგალითად, უკრძალავდნენ სიარულითა და საქმით დატვირთვას, ურჩევდნენ ადვილად მოსანელებელი საკვების მიღებას და სხვ. „მძიმეთა საჭამადთა ერიდებოდეს. და სიარულითა და საქმითა ქმნითა თავსა ნუ აწყენს,... და მიწყით აბანოს მივიდოდეს და ნელსა წყალსა ზედა ისხმოდეს"[1].

ასეთ რეჟიმსა და დიეტას მართლაც შეეძლო ერთგვარად შეესუმბუქებინა ავადმყოფის მდგომარეობა.

ამ დაავადების აღწერილობაში XVI საუკუნის ძეგლების მიხედვით ზოგიერთი ახალი ნიშანი გვხვდება. მაგალითად, „იადიგარ დაუდში" ნათქვამია, რომ „ამისი ნიშანი ეს არის რომე ფერი მოშაოდ ექნების და სიმსივნე როგორაცა ქვა, ისე მაგარი იქნების"[2]. ეს უკანასკნელი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ზერელედ მდებარე ვენების თრომბოფლებიტის დროს პალპაციით მათი მდებარეობის არეში მკვრივი ზონრები ისინჯება.

იმავე ძეგლში აღნიშნულია, რომ გამკვრივებულ და გაგანიერებულ, ანთებითად შეცვლილ ვენებზე შეიძლება განვითარდეს წყლულები, ანუ „მუწუკები", როგორც მათ უწოდებს ავტორი.

მკურნალობის მხრივ საინტერესოა რჩევა: დაავადებული კიდურის ყოველდღე მარილიანი თბილი წყლით დაბანვა: „და თუ ამა სიმსივნეზედა მუწუკები არ ესხას, ყოველთა დღეთა ფესები თბილის მარილ წყლითა დაიბანოს..."[3].

ვენების გაგანიერების და ანთების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, ნიშნებისა და მკურნალობის შესახებ შემდეგი საუკუნეების წყაროებში განსხვავებული ცნობები არ გვხვდება.

ვენების გაგანიერების მონათესავე დაავადებად ითვლებოდა სპილოვნობა. ამას ისიც მოწმობს, რომ „უსწორო კარაბადინში" ორივე ეს სნეულება ერთად, ერთ თავშია განხილული.

დაავადების სახელი—„სპილოვნობა", როგორც ცნობილია, ამ სნეულებას დაერქვა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნის—ქვემო კიდურის ან კიდურების გამსხვილების გამო. ჩანს, ეს ნიშანი სპილოვნობისათვის ძველადაც ნიშანდობლივად ითვლებოდა: „...რომე ფერხნი გაუმსხვილდეს როგორც სპილოს,..."[4]

სპილოვნობის განვითარების შესახებ იქვე ეკითხულობთ: „...რომე ფერხი გაუმსხვილდეს როგორც სპილოს, ამის მიზეზი დავალის ან ნიკრისის გუარი იქნების..."[5] რა შუაშია აქ ნიკრისი, ამის თქმა ძნელია. რაც შეეხება დავალის (ვენების გაგანიერებას) დასახელებას, შეიძლება ეს იმაზე მიუთითებდეს, რომ სპილოვნობის განვითარება ზოგჯერ თრომბოფლებიტს უკავშირდება.

სპილოვნობის განვითარების შესახებ „უსწორო კარაბადინში" ერთი მეტად საინტერესო ცნობა გვხვდება, რომელიც მიუთითებს, რომ „როგორც ეს სენი დაემართოს, უწინ ფერი წითელი იყოს..."[6] რას უნდა ნიშნავდეს „უწინ ფერი წითელი იყოს", ამის გადაწყვეტით თქმაც ძნელია, მაგრამ გამორიცხული

---

[1] „წიგნი საქიმოი", გვ. 253.
[2] „იადიგარ დაუდი", გვ. 554.
[3] იქვე.
[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 404.
[5] იქვე.
[6] იქვე.

არ არის ამ შემთხვევაში წითელი ქარი იგულისხმებოდეს. მით უფრო, რომ წითელი ქარის გადატანას ხშირად თან სდევს სპილოვნობის განვითარება.

XIII საუკუნეში, როგორც ეს „წიგნი საქიმოდან" ირკვევა, შენიშნული ყოფილა, რომ სპილოვნობის დროს უმთავრესად ქვემო კიდურების გამსხვილებას აქვს ადგილი: „ესე მანკი მუხლთა და წვივთა შიგან იქნების..."[1]

სპილოვნობის სამკურნალოდ იხმარებოდა სხვადასხვა შემადგენლობის ტლე. ტლეს შემოდების შემდეგ ხდებოდა კიდურის შეხვევა. საინტერესოა, რომ შეხვევა ნებისმიერად კი არ ხდებოდა, არამედ ნახვევის დადების სრულიად გარკვეული წესი არსებობდა: ნახვევის დადება იწყებოდა ქუსლიდან და მიდიოდა ზევით, მუხლისაკენ—„...შეკრვა ქუსლით დაღმა დაიწყოს და მუხლამდე გამოვიდეს"[2].

ეს წესი ძალზე გვაგონებს სპილოვნობისა და ვენების გაგანიერების დროს სამკურნალო მიზნით კიდურებზე ელასტიკური ან ჩვეულებრივი ბანდის დახვევის თანამედროვე წესს, რომლის მიხედვით ბანდის დახვევა პერიფერიიდან ცენტრისაკენ ხდება.

სპილოვნობით დაავადებულს ენიშნებოდა დიეტა და რეჟიმი. ეკრძალებოდა ბევრი სიარული: „..ნუ იარების დია"[3].

საინტერესოა, რომ სპილოვნობა განუკურნებელ დაავადებად იყო მიჩნეული: „..თუ გაძნელდების არ იკურნების"[4].

გარდა ქვემო კიდურების ვენების გაგანიერებისა, ცნობილი იყო აგრეთვე სწორი ნაწლავის ქვემო ნაწილის ვენების კვანძოვანი გაგანიერება, რომელიც XI—XII საუკუნეებში ბუასირის ხან ბავასირის სახელით ისსენიება, ხოლო XVI საუკუნიდან ბუასილად იწოდება და შემდეგ უცვლელად დარჩა.

XI საუკუნეში ცნობილი ყოფილა ბუასილის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ნიშნები: ქაეილი სწორი ნაწლავის ანალურ მიდამოში, სისხლის დენა და სხვ.[5].

ფორმის მიხედვით არჩევდნენ გაგანიერებული ვენური კვანძების სხვადასხვა სახეებს: ყურძნის მარცვლის მაგვარს, ლეღვისებრს, ხორბლისებრს და სხვ. ეს უკანასკნელი უფრო მტკივნეულად ითვლებოდა, ვიდრე დანარჩენი ფორმები: „...იცოდეთ რომ სამფერი არის და თითოსა ბუასირისა ნიშანი თვითო არის. ერთი არის ყურძნისა მარცვალსა ჰგავს და ერთი ლეღვივით არის. იქნების რომე თაგვისავით ჩამოეკიდოს, ხვარბლის. მარცვლისა ჰგავს ისი უფრო... სატკივარიანი არის"[6].

დაახლოებით ასეთივე ფორმებს არჩევდნენ XIII საუკუნეშიც: „ბავასირი სამი ფერი არს, ერთი მათგანი გრძელი იქნების და ცოტას ფუტკარსა ჰგავს, და სხუაი მრგვალი არს ვითა ყურძნისა მარცვლი, მესამე თუთასა ჰგავს და ყოვლისაგან უვარესი იგი იქნების..."[7] გარდა გარეგანი კვანძებისა, არჩევდნენ ში-

---

[1] „წიგნი საქიმოი", გვ. 253.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 259.
[5] „უსწორო კარაბადინი", გვ. 354.
[6] იქვე.
[7] „წიგნი საქიმოი", გვ. 208.
[8] იქვე.

ნაგან კვანძებს—„იქნების რომელ გვამსა შიგნით იყოს და არ ჩნდეს“[8]. უნდა ვიფიქროთ, რომ შიგნითა კვანძების გამომქღავნება თითით გასინჯვით ხდებოდა.

დაავადების გამწვავებას ზოგიერთი სახის საკვების მიღებას უკავშირებდნენ: „...საჭამადისა მხურვალისა და ფიცხელისა ჭამისაგან, ვითა ნიორი და ხახვი, და განდანაი სპრასა და პილპილი, და რაიცა მსგავსი იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების“[1]. უნდა ითქვას, რომ დასახელებულ საკვებ-პროდუქტთა შორის ზოგიერთი მართლაც იწვევს ქავილსა და წვას უკანა ტანის მიდამოში და ამიტომ ასეთ ავადმყოფებს ახლაც ურჩევენ მოერიდონ მათ მიღებას.

აღნიშნული იყო, რომ ბუასილის დროს შეიძლება სისხლის დენას ჰქონდეს ადგილი. მაგრამ სისხლის დენის შეჩერებას არ მიმართავდნენ, თუ ის ორგანიზმს მეტისმეტად არ დაასუსტებდა. ამას იმ მოსაზრებით აკეთებდნენ, რომ სისხლის დენის შემდეგ ავადმყოფს ტკივილი უყუჩდებოდა და სიმსუბუქეს გრძნობდა. იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფს სისუსტეს შეამჩნევდნენ, მაშინვე სისხლის დენის შესაჩერებელ საშუალებებს უნიშნავდნენ: „...თუ დაუსუსურდეს მაშინ ხამს უკუყენებაი მისი“[2].

ბუასილს კონსერვატული და ოპერაციული წესით მკურნალობდნენ.

ავადმყოფს უნიშნავდნენ აბაზანას, გამობანვას; ურჩევდნენ ისეთი საკვების მიღებას, რომელიც ყაბზობას არ გამოიწვევდა. არიგებდნენ, რომ თავი შეეკავებინა სქესობრივი ექსცესებისაგან და სხვ[3].

მიმართავდნენ აგრეთვე კოტოშის და წურბლის მოკიდებას—„ორთავე მენჯთაშუა კოტოში მოჰკიდე და უკანის კარს ათიოდენ წურბელი მოჰკიდონ“[4].

უკეთეს მკურნალობად ითვლებოდა ოპერაციის გაკეთება—„...ძირით მოჰკუეთონ და თუ მაგარი იყოს ღუდედისაებრ ერთობით უნდა მოკვეთაი,..“[5]

ზოგჯერ დანით მოკვეთის ნაცვლად გაგანიერებული ვენური კვანძების გადაკვანძვას აწარმოებდნენ—„და თუ თმით ანუ აბრეშუმით: წმიდითა შეკრას კარგი არს თვით დაჰვარდების“[6].

ბუასილის ოპერაციის შემდეგ განვითარებულ სისხლის დენის შესაწყვეტად იხმარებოდა თეთრი შაბიამანი, ბროწეულის ყვავილი და სხვ.

შენიშნული ყოფილა, რომ ბუასილის ოპერაციის არასათანადოდ ჩატარების შედეგად შეიძლება ისეთი მძიმე გართულება განვითარდეს, როგორიც არის შარდისა და განავლის შეკავება: „...არ გაეშვას რომელ სისხლი გამოვიდეს, მაშინ გასივდების და ასტკივდების, ეგრე რომელ ფსელი და განავალი უკუდგეს“[7].

ოპერაციის შემდეგ სამი დღის განმავლობაში ავადმყოფს გარკვეულ კვებით რეჟიმს უნიშნავდნენ: „სამსა დღესა სასვამად საჭამადსა უმცროი ჭამდეს რომელ ფსელი და განავალი არას აწყენდეს და სიმსივნე დაჯდეს“[8].

---

1 „წიგნი საქიმოი“, გვ. 209.
2 იქვე, გვ. 208.
3 იქვე.
4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 354.
5 „წიგნი საქიმოი“, გვ. 209.
6 იქვე.
7 იქვე.
8 იქვე.

ბუასილის მკურნალობა, როგორც „იადიგარ დაუდიდან“ და სხვა სამედიცინო ხელნაწერებიდან ირკვევა, შემდეგ საუკუნეებშიც არ შეცვლილა[1].

აქვე გვინდა განვიხილოთ დაავადება, რომელსაც ეწოდება „ძარღვისა თავისა გახსნა გუამსა შიგან“. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე ეხება სწორი ნაწლავის შიგნით არსებულ ჰემოროიდალური კვანძების დაზიანებას და მის შედეგად განვითარებულ სისხლდენას.

არჩევდნენ სისხლის დენის ორ ფორმას: „ესე საქმე ორფერად იქნების. ერთი იგი არს, რომელ სისხლი მისგნით ცვარად დაწუთების. და მეორე იგი არს, რომელ სისხლი დია გამოვა მისგან და იგი სისხლისა სიმრავლისაგან იქნების, რომელ ძარღვსა შიგან სისხლი დია იყოს“[2].

შემჩნეული ყოფილა, რომ განვითარებული სისხლის დენის შედეგად ავადმყოფი სუსტდება, გულის ცემა ჩქარდება, კანი ფერმკრთალდება და სხვ.

„რაი სნეული უსუსურად იყოს მეტისა სისხლისაგან რომელ მისგნით მოსრულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ გული იფეთქდეს და ფერი ყვითლად იყოს მისი, და მუხლისა თავნი გაუსუსთდნენ სნეულსა“[3].

სისხლის დენის შესაჩერებლად იგივე საშუალებანი იხმარებოდა, რაც ბუასილის დროს[4].

პათოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, ეს არის სწორი ნაწლავის გამოვარდნა. ამ სახელით დღეს ცნობილია სწორი ნაწლავის ნაწილობრივი ან მთლიანი გამოსვლა გარეთ. ძველად ამ დაავადებას „გვამის გამოსვლას“ უწოდებდნენ[5].

სწორი ნაწლავის სრული ან ნაწილობრივი გამოვარდნა ყველა ასაკში შესაძლებლად მიაჩნდათ[6]. მის განვითარებას, სხვა მიზეზებს შორის, ფაღარათობას უკავშირებდნენ, განსაკუთრებით ბავშვებში[7].

სამკურნალო მიზნით ავადმყოფს ცხელ აბაზანებს უნიშნავდნენ.

სწორი ნაწლავის დაავადებებს შორის, გარდა განხილულისა, ცნობილი ყოფილა აგრეთვე ნაწლავის წყლული, ანუ „სიწყლულე გუამისა“ და ნასორი.

სწორი ნაწლავის წყლულის დამახასიათებლად ითვლებოდა წვა, მჩხვლეტავი ხასიათის ტკივილი, განუწყვეტლივ ჩირქის დენა: „ნიშანი გუამის სიწყლულისა ...იგი არს, რომელ ეწუოდეს მოუწყვეტელი“[8].

ამ ნიშნების მიხედვით ძნელი სათქმელია სწორი ნაწლავის რომელ დაავადებას ეწოდებოდა „სიწყლულე გუამისა“. რაც შეეხება დაავადება ნასორს, როგორც თვით სახელწოდება[9] და აღწერილობა გვიჩვენებს, სწორი ნაწლა-

---

1 „იადიგარ დაუდი“, გვ 455.

„კარაბადინი“, (XVIII ს.). ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ფონდი H, № 1318.

„კარაბადინი“, (XVIII ს.). ინახება იმავე განყოფილებაში, ფონდი H, № 1318.

2 „წიგნი საქიმოი“, გვ. 211.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 211—212.

5 იქვე, გვ. 213.

6 „იადიგარ დაუდი“, გვ. 442.

7 „კარაბადინი“ (XVIII ს.). ფონდი H, № 1318.

8 „წიგნი საქიმოი“, გვ. 210.

9 არაბული სიტყვა ნასორი ქართულად ნახვრეტს ნიშნავს. იხ. „წიგნი საქიმოი“, გვ. 320.

ვის ფისტულა უნდა ყოფილიყო. ნასორის განვითარებას დაძველებული წყლულის არსებობას უკავშირებდნენ: „ესე მანკი სიწყლულისაგან იქნების, რომელ დაძველებულ იყოს...“[1] უნდა ითქვას, რომ სწორი ნაწლავის წყლული მართლაც არაიშვიათად ხდება ამ ორგანოს ფისტულის განვითარების მიზეზი.

ვნახოთ, ამ დაავადების რა და რა ნიშნებს იცნობდნენ.

აღწერილია, რომ „ნიშანი გუამისა ნასორისაი იგი არს, რომელ მისგნით მყრალი თხამლი ჩამოვიდეს და სნეულისაგან ქარი მისდა უნებლიეთ გამოვიდოდეს...“[2] წარმოდგენილი ნიშნები ძალზე გვაგონებს სწორი ნაწლავის მთლიან ფისტულას, რომლის დროს ადგილი აქვს აირისა და განავლის გამოსვლას ფისტულის გარეთა ხვრელიდან.

ნასორს მკურნალობდნენ კონსერვატიული და ოპერაციული წესით.

კონსერვატიული მკურნალობა შემდეგში მდგომარეობდა: „...მძიმეთა და ჰავათა და უდნობთა ერიდებოდეს და მალჰამაი, რომელ ხორცსა ზრდიდეს, ზედა შემოსდვას ვითა ფისისაი მალჰამაი და მსგავსი მისი“[3].

თუ ხვრელი გარეთ იყო, მიმართავდნენ ფისტულის მოკვეთას—„მაკრატლითა მოჰკუეთოს თუ გვამსა გარეთ იყოს“[4]. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ხვრელი არ ჩანდა, ანუ შინაგანი ფისტულა იყო, მაშინ, ოპერაციას არ მიმართავდნენ, იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება სფინქტერი დაზიანებულიყო: „თუ შიგნით იყოს და კარგად არა ჩნდეს, არა ხამს მოკვეთა თუ არა მაშინ განავალი უნებლიე გამოვალს“[5].

სამედიცინო წყაროებში მეტად საყურადღებო ცნობებია წარმოდგენილი თიაქარის შესახებ. XI საუკუნეში თიაქარს „ფიტყიც“ ეწოდებოდა.

თიაქარის განვითარებაში მიზეზობრივ მნიშვნელობას უმთავრესად სიმძიმის აწევას მიაწერდნენ: „წლების ჩამოსვლა ან ცემისაგან, დიდის მოჭირვებისაგან იქნების ანუ მძიმის აღებისაგან“[6].

აღწერილია, რომ თიაქარის დროს სათესლე პარკში შეიძლება ჩამოსული იყოს ნაწლავი. სათესლე პარკი გადიდებულია, მძიმეა და ბზინავს: „ნიშანი მისი რომ წელები ყუერში ჩამოვიდეს და მისსა ადგილსა აღარ მივიდეს. ესე ერთი ქარი არის რომე ფიტყი ჰქვიან,... ყაყალი გაუსივდეს და ხელი რომ ამოსდვა მძიმე იქნების და ყუერისა ტყავი ბზინვას დაიწყებს“[7].

თანამედროვე დაყოფის მიხედვით თუ განვიხილავთ, აღწერილი შემთხვევა საზარდულის გარეთა ირიბ თიაქარს გვაგონებს.

თიაქარის დროს ავადმყოფისადმი დახმარების გაწევა იმაში მდგომარეობდა, რომ თიაქრის პარკში ჩამოსულ შიგთავსს უკანვე, მუცლის ღრუში, აბრუნებდნენ ანუ ხდებოდა თიაქარის ჩასწორება (თავისუფალი თიაქარი). ჩასწორების შემდეგ, თიაქარის კარებს (ხვრელი, საიდანაც ხდება მუცლის ღრუს ამა თუ იმ ორგანოს ჩამოსვლა თიაქრის პარკში), გარკვეული შემადგენლობის წამალს ადებდნენ.

---

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 209.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 210.

5 იქვე.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 352.

7 იქვე, გვ. 351.

„ამათი წამალი თუ ფიტყი იყოს, უწინ კაცი (პირალმა დააწვინე და ხელი დააჭირე რომე შევიდეს, ბერმე ეს წამლები ზედ დაადევ და დააკარ სადაც ხვრელი იყოს, მოიღე: გუნდა დანაყე და შრეში და გუნდა პირდაპირ ქენი ღვინით მოადუღე, ცოტათ რომე გასქელდეს და შემოსდევ და სანამდი არ დავარდეს ნუ აიღებ...“[1].

როცა სათესლე პარკში ჩამოსული შიგთავსის მუცლის ღრუში ჩაბრუნება არ ხერხდებოდა (ალბად ჩაჭედვის გამო), ავადმყოფს ცხელ აბაზანას უკეთებდნენ და ამით ჩასწორება უფრო ადვილდებოდა:

„თუ გამაგრებულიყოს აბანოშიგან ჩასვით და მერმე ცერეცო მოხარშეთ და შემოსდევით რომ დალბეს და მისი სიმაგრე გამოვიდეს, ბარკალნი დაუზილეთ და ხელითა მიაჭირეთ, რომე მისსაე ალაგს მივიდეს. მერმე ისი მაგრად შეჭკარით რომე აღარ წამოვიდეს მერმე მოიღე: მური, თეთრი საკმელი, ანძრუთი, საბრი, გუნდა, ბროწეულისა ყვავილი, მურტის ფურცელი, სამყი არაბი, იამანი, შრეში, ნანხუა, წებო, ეს ყუელა დანაყეთ, დაალბეთ, სამჯერ, ოთხჯერ ტლედ ზედ დასდევით სადამდის თავის მაგიერად არ დავარდეს ნუ აიღებთ, მ ა გ რ ა დ შ ე უ ხ ვ ი ე თ ბ უ რ თ ი თ ა ი მ ა დ გ ი ლ ს შ ე ვ ი წ რ ო ვ დ ე ბ ი ს ა ღ ა რ ჩ ა მ ო ვ ა“[2].

თიაქრის მქონე ავადმყოფს ურჩევდნენ მორიდებოდა ისეთ საკვებს, რომელსაც შეეძლო გამოეწვია გაზების წარმოშობა და მუცლის შებერვა: „...რაც ქარიანი საკმელი იყოს ყველსაგან იფარეზოს“[3]. ასეთ საკვებად ითვლებოდა: ფეტვი, ლობიო, მსხალი, ვაშლი, კიტრი, ყურძენი და სხვ.

ავადმყოფს ურჩევდნენ აგრეთვე თავი შეეკავებინა ყველა ისეთ მოქმედებისაგან, რომლებთანაც, როგორც ახლა ცნობილია, დაკავშირებულია წნევის მომატება მუცლის ღრუში: „დედაკაცთან წოლისაგანაც იფარეზოს, მაღალთა საუბრისაგანაცა და მოკვირვებისაგანაცა იფარეზოს“[4].

გარდა ზემოაღწერილი თიაქარისა, რომელსაც მონაცემების საფუძველზე შეიძლება თანამედროვე დაყოფის მიხედვით საზარდულის გარეთა ირიბი თიაქარი ვუწოდოთ, არჩევდნენ საზარდულისა შიგნითა ანუ სწორ თიაქარს.

„ ფ ი ტ ყ ი ს ა ქ ა რ ი ე რ თ ი ი გ ი ა რ ს, რ ო მ ე ლ ს ა ზ ა რ დ უ ლ ს ა ქ ვ ე შ ე თ ა რ ს... ვითარებაი მისი სქელისა ქარისაგან იქნების, რომელ მძიმე ტვირთი აეღოს. ანუ უმაღლისა ადგილისაგან ჩამოხტეს ოდესმე“[5].

შენიშნული ყოფილა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ირიბი თიაქარისაგან განსხვავებით თიაქარის ჩაჭედვა არ ხდება, სიმსივნე ოდნავი ზედწოლით მუცლის ღრუში ადვილად შებრუნდება: „...რომელ სნეული პირალმა დააწვინონ ორივე ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვან, ქარი თავისა ადგილსა მივიდეს“[6].

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 349.
2 იქვე, გვ. 352. ხაზი ჩვენია, ავტორები.
3 იქვე, გვ. 349.
4 იქვე.
5 „წიგნი საკითხოი“ გვ. 232, ხაზი ჩვენია, ავტორები.
6 იქვე.

„წიგნი სააქიმოიში“ მისი მკურნალობის შესახებ ნათქვამია, რომ „ჭირი დია არს მისსა კურნებასა შიგან, და ზოგნი კურნებენ მით, რომელ არ გაძნელდეს. კურნებაი მისი იგი არს, რომელ საჭამადსა უკანით ყოლა არ იაროს და ყოველთა ქარიანთა საჭამანდთა ერიდოს. და მაძღრად რაი იყოს, ყოლა ნურას ჭამს. და რასაც საქმესა იქმოდეს უზმამან ქნას. და რაი ქვეჯდეს მიწყით უპესა ქვეშ და საზარდულსა შეკრულიმცა აქვს. და რაი ადგეს ნუ ახტების ერთხელად და ხელი მას შეკრულსა ზედა დასდვას და შემოაჭიროს რომელ ქარი მუცელსა შიგან შევიდეს მაშინ ადგეს, და ოთხკედლითა შემოსაკრავითა მაგრად შეკრას“[1].

იქვე ნათქვამია, რომ ავადმყოფი, რომელსაც თიაქარი აქვს, საჭიროა გაფრთხილდეს: “... ნუცა ადგილისაგან სწრაფად ნუ ჩამოვალს, ესე ყოველ ფეტყისა ქარსა ავნებს“[2].

შემდეგი საუკუნეების წყაროებში თიაქრის ნიშნები თითქმის უცვლელად არის წარმოდგენილი. თუმცა გაიზარდა სამკურნალო საშუალებების რიცხვი, მაგრამ მკურნალობის პრინციპი არ შეცვლილა. საინტერესოა მხოლოდ აღინიშნოს, რომ თიაქრის შესაკრავად სპეციალური სარტყელი ყოფილა შემოღებული, რომელსაც „ამოსაკრავს“ უწოდებდნენ. საბა იტყვის, რომ „ამოსაკრავი ფუშის შესაკრავი სარტყელი“-ა[3].

მეტად საინტერესოა, რომ თიაქრის დასადგენად დიფერენციაციას ატარებდნენ რიგ დაავადებებთან, რომელნიც თიაქრის მსგავსად სათესლე პარკის გადიდებას იწვევენ. ასეთ დაავადებათა რიცხვს სამართლიანად მიაკუთვნებდნენ სათესლე ჯირკვლის წყალმანკს. „...ერთი იგი რომელ წყალი ყვერთა შიგან ჩაიკრას...“[4].

დიფერენციაციის გატარება გვიჩვენებს რომ სათესლე ჯირკვლის წყალმანკის სადიაგნოსტიკო ნიშნებს კარგად იცნობდნენ.

აი როგორ არის განსხვავებული საზარდულის გარეთა ირიბი თიაქარი და სათესლე ჯირკვლის წყალმანკი ერთმანეთისაგან:

„რაიცა წყლისაგან იყოს იგი არს, რომელ ყვერი წითლად იყოს და ხმაი ეტრატისაი იყოს, და რაიცა ქარისაგან იყოს გასხირპული იქნების ვითა მშვილდისა საბელი და ასტკივდების, და რაი ქარი დია იყოს უყურებდეს. და ამა ორთა ფერთა სხვათა ნიშანი ხელთა შეიგნების, ჰაზრითა“[5].

მაშასადამე, სათესლე ჯირკვლის წყალმანკის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა: სათესლე პარკის სიწითლე, „ეტრატის ხმა“, უმტკივნეულობა.

მოყვანილ აღწერილობაში ეს უკანასკნელი, მართალია, პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ თიაქრის ნიშნად რაკი ტკივილია დასახელებული, ცხადია, ამით გამოირიცხება იგივე ნიშანი სათესლე ჯირკვლის წყალმანკისათვის.

საინტერესოა, რომ ამ ორი დაავადების განმასხვავებელ ნიშნებს პალპაციის შედეგად ადგენდნენ („და ამა ორთა ფერთა ნიშანი ხელითა შეიგნების“), რაც ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევის მეთოდია.

---

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 232.
2 იქვე.
3 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის-კონა“, დასახ. გამოცემა.
4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 233.
5 იქვე.



ხელნაწერი № 186, პირველი გვერდი.

სათესლე ჯირკვლის წყალმანკის დროს მიმართავდნენ წყლის გამოღებას: „...კურხეაი მისი რაიცა წყლისაგან იყოს იგი არს, რომელ გახსნითა წყალი კიდე გამოიღოს...“[1].

აქვე გვინდა განვიხილოთ ნაწლავის გაუვალობა, რომელიც თანამედროვე მედიცინაში ქირურგიის საგანს შეადგენს.

ვნახოთ, გაუვალობის რა და რა გაითვალისწინებს, სახეებს, დამახასიათებელ ნიშნებს იცნობდნენ და როგორ მკურნალობდნენ.

ნაწლავის გაუვალობას ეწოდებოდა „ილაუზი“, „ყოლინჯი“, „მჯდომი“ და სხვ.

ილეუსის განვითარებაში, XI საუკუნის წყაროების მიხედვით, მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნაწლავის სიმსივნეს (საბამი გამოვიდეს), რომელსაც შეეძლო შეეფერხებინა ნაწლავის შიგთავსის გადანაცვლება, ჭიების დაგროვებას და სხვ.:

„...ილაუზ ...მისგან იქნების რომე წელშიგან ანუ საბამი გამოვიდეს, ანუ წვრილსა ნაწლავშიგან ჭია დაეჯაროს. ესე ერთობ აკი სენი არის და ძიელი“[2].

ასეთი მიზეზებით გამოწვეულ გაუვალობისაგან განასხვავებდნენ ნაწლავის შიგთავსის ძლიერი გამოშრობის შედეგად განვითარებულ გაუვალობას. ეს უკანასკნელი ნაკლებ საშიშად ითვლებოდა.

„...ილაუზ ...ერთი სხვა არის რომე წელშიგან ნავალი, გახმების და მისგანაც დაიბადების, ეს უფრო უზიანო არის“[3].

ილეუსის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა გაუვალობა, ძლიერი ტკივილი, გულისრევა და პირღებინება, ენის სიმშრალე, წყურვილი, უმადობა, გაფერმკრთალება, ფეხების გაცივება და სხვ.

„რა კაცსა კოლინჯი დაემართების, ნიშანი ეს არის რომე მუცელშიგან შეკრას და წელი ასტკივდენ და ბეჭთა შუა გასწვევდეს და პირი უშრებოდეს და უნდომათ იყოს, და იქნების რომე გულიცა ერეოდეს...“[4].

განსაკუთრებით საინტერესოდ არის აღწერილი ტკივილის ხასიათი: „...ტკივილი ერთობი იყოს ასრე რომე კედელსა და ქვათა ეჭიდებოდეს და მიწასა კბილითა ეჭიდებოდეს ფერზედა თეთრად იყოს და ტანზედა სიცხე არა ჰქონდეს და ფეხები გაუცივდეს“[5].

ილეუსისათვის დამახასიათებელი ნიშნები დაყოფილი იყო სამ ჯგუფად. ეს იმის მიხედვით, თუ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელ მონაკვეთში იყო განვითარებული შიგთავსის გადაადგილების შეფერხება, თუ შეწყვეტა:

„თუ ესე მჯდომი ზემო ნაწლევშიგან იყოს, მისი ნიშანი ისი იყოს, რომე არწყიოს, თუ ამისი ნავალი და ბოყინი მყრალი იყოს, იმისაგან იმედი გარდასწყვიტე.

თუ შუა ნაწლავშიგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის რომე ცხელება განუწყვეტლად იყოს და ერთობ ცხელი იყოს და კიდეცა არწყევდეს და მოსვენება არა ჰქონდეს.

---

1 „წიგნი საქიმოი“, გვ. 233.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 329

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 333.

თუ ქვემოსა ნაწლავშიგან იყოს, სიგრილისაგან არის, მისი ნიშანი ეს არის, რომე შარდი არ გავიდოდეს და მუცელიცა გაბერილი იყოს, და კიდეცა შეკრას, რა ეს ნიშანი ნახო ფიცხლავ უნდა წამალი. თუ ხანი გაგრძელდეს და ჟანგრის ფერსა არწყევდეს, იმედი გარდაიწყვიტე"[1].

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული ნიშნების მიხედვით გაუვალობის მიზეზის ლოკალიზაციის დადგენა, მაგრამ ისეთი ნიშნები, როგორიცაა მუცლის შებერვა, ტკივილი, პირღებინება, ენის სიმშრალე, წყურვილი, გაფერმკრთალება, ფეხების გაცივება, შარდის გამოყოფის შემცირება ან სრული შეკავება, რომლებიც ზემოთ მოყვანილ აღწერილობაში იყვნენ წარმოდგენილი, დღესაც რჩებიან ილეუსის კლინიკურ სურათში.

ილეუსის მკურნალობა კონსერვატიული იყო. ავადმყოფს უკეთებდნენ სხვადასხვა სამკურნალ-წამლო ნივთიერებისაგან შემდგარი ხსნარის ოყნას, სვამდნენ ცხელ აბაზანაში, რომელშიც სამკურნალო საშუალებების ნახარში იყო ჩასხმული. ასეთ მკურნალობას, ცხადია, უმეტეს შემთხვევაში არავითარი შედეგის მოცემა არ შეეძლო. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ილეუსი, სასიკვდილოდ ითვლებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმავე ხანაში (XI-ს). საკმაოდ განსხვავებულად არის აღწერილი ნაწლავთა შიგთავსის გამკვრივების შედეგად განვითარებული გაუვალობის ნიშნები.

„უსწორო კარაბადინში" ვკითხულობთ: „თუ ყოლინჯი ხმელის ნავალისაგან იყოს რომე გახმების ქვემოსა ნაწლავშიგან, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ამა ყოლინჯისა უფალსა ასრე ეგონოს, ვითა ნაწლავთა მძიმე რამე იარებისო, ნაწლეეთა გახევის ტკივილიო, ამას გვანდეს"[2].

აღნიშნული მდგომარეობის, ანუ როგორც ახლა ვიტყვით, კოპროსტაზის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად ითვლებოდა ბრინჯის, ხმელი პურის დიდი რაოდენობით მიღება, შარდის ან ოფლის დიდი რაოდენობით გამოყოფა: „ყოლინჯი ამა საქმელისაგან შეიქნების, ფეტვისაგან, ბრინჯისაგან, ხმელისა პურისაგან, ანაკვეთისაგან იმითაც იქნების, რომე ბევრჯერ შარდით გასულიყოს, ან ბევრი ოფლით სდენოდეს..."[3].

თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი შარდის და ოფლის დიდი რაოდენობით დაკარგვის და კოპროსტაზის ურთიერთკავშირი, ამის თქმა ძნელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დაკავშირება პრაქტიკული დაკვირვების დროს იყო შემჩნეული. ცნობილია, რომ სითხის მიღების შემცირება და ან მისი დიდი რაოდენობით დაკარგვა გარკვეულ როლს თამაშობს ნაწლავის შიგთავსის კონსისტენციის შეცვლაში.

დიაგნოზის დასაზუსტებლად დიფერენციაციას ატარებდნენ ილეუსსა და თირკმლის კენჭოვან დაავადებას შორის:

„თირკმელთა და კოლინჯისა ტკივილი ერთმანეთსა გავს, მაგრამ... თირკმელთა ტკივილი მისა ადგილსა იქნების, უძრავად და წყნარად სტკივის, და კოლინჯისა ტკივილი შიგნით მუცელსა და წელთა შიგა ყუელგან იარების. ერთი მისი ნიშანი ესე არის რომ ოყნა ააღებინო, თუ თირკმლისა ტკივილი

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 332.

[3] იქვე.

[2] იქვე, გვ. 333.

არის, მაშინ ტკივილს მოუმატებს, ამისათვის რომე წელსა აავსებს და თირკმელთა მიაწვების და ატკივებს და თუ ყოლინჯისა არის ოყნა წელთა დაალბობს და ტკივილსა დააამებს"[1].

ნაწლავთა შიგთავსის „გახმობის" შედეგად განვითარებული გაუვალობის სამკურნალოდ მიმართავდნენ გახურებული ფეტვის დადებას მტკივნეულ მიდამოზე: „ფეტვი გაახურეე და თავზედა შემოსდეე და სადაცა სტკიოდეს აქიცა შემოსდეე"[2].

ავადმყოფს უკეთდებოდა ოყნა სხვადასხვა შემადგენლობის ხსნარით. ამას გარდა, ყურადღება ექცეოდა მის კვებას. ავადმყოფს ენიშნებოდა ძლიერ ცხიმიანი საკვები, ზოგჯერ ცხიმს სუფთა სახითაც აძლევდნენ: „რაც შეეძლოს ერბოსა ჭამდეს..."[3].

ასეთ საკვებს ალბათ იმ ვარაუდით უნიშნავდნენ, რომ ცხიმს შეეძლო გავლენა მოეხდინა ნაწლავთა შიგთავსის კონსისტენციაზე და გაადვილდებოდა მისი გატარება.

„უსწორო კარაბადინიდან" ირკვევა, რომ ილეუსისაგან განასხვავებდნენ და ცალკე იხილავდნენ აირთა გაუვალობას, რომელსაც „ჯაშას" უწოდებდნენ: „ნიშანი ჯაშასი რომე ყოლინჯსა ჰგავს, ახლოს ახლავს და არ არის ყოლინჯი"[4].

აღწერილია, რომ ჯაშას დროს „...პირდაღმა ქარი ამოუვიდოდეს მყრალი ბოყინითა და ისი ქარი რომე პირით ამოვიდეს კვამლსა ჰგვანდეს..."[5].

გაზების შეკავების განვითარებას უკავშირებდნენ ლობიოს, ცერცვის, მეავე დოსა და მაწონის დიდი რაოდენობით მიღებას. ფიქრობდნენ, რომ ჯაშასი შეიძლება ილეუსად გადაიქცეს.

XIII საუკუნისათვის შეხედულება ილეუსის განვითარების მიზეზების შესახებ დიდად არ განსხვავდებოდა ზემოთ განხილულისაგან.

„წიგნი სააქიმოიში" ვკითხულობთ, რომ „...ესე მანკ: გასარევლისა მხურვალისა სიმსივნისაგან იქნების ანუ განავლისაგან რომელ გამაგრებულ იყო"[6].

ყურადღებას იქცევს გაუვალობის მიზეზად საწამლავის დალევის დასახელება: „...მომკვლელთა წამალთაგან იქნების, რომელ ეჭამოს"[7]. დღეისათვის ცნობილია, რომ ზოგიერთი ნივთიერება, რომელიც მოწამვლას იწვევს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამბლითი გაუვალობის განვითარებაში, მაგრამ ძნელია ითქვას იგივე იგულისხმებოდა თუ არა მოყვანილი ამონაწერის მიხედვით.

ამავე ძეგლის თანახმად, ილეუსის ნიშნებად ითვლებოდა: ძლიერი ტკივილი ჭიპის („უპეს") მიდამოში, პირღებინება; სრული გაუვალობის შემთხვევაში—ღებინება განავლოვანი მასით.

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 333.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 „წიგნი სააქიმოი", გვ. 206
7 იქვე.

„ნიშანი ...იგი არს, რომელ მუცელი მხურვალედ იყოს და უპეთ ქვეშეთ სტკიოდეს, და რაი მანკი გაძლიერდეს განავალი ხორხისაგან ამოვიდეს, მით რომელ გზაი მისი შეკრულ იყოს"[1].

ილეუსის მკურნალობა კვლავ კონსერვატული ხასიათისა იყო. ავადმყოფს ეძლეოდა სხვადასხვა წამლები; მიმართავდნენ გამთბარი ზეთის ოყნის გაკეთებას: „...მხურვალითა ზეთითა ჰუყნაისა იქმოდეს"[2], რასაც მართლაც შეეძლო ზოგ შემთხვევაში შედეგის მოცემა: „და თუ ჰუყნაი უყოს ერგებაᲂ"[3].

საერთოდ კი, ილეუსი სასიკვდილო დაავადებად ითვლებოდა. მიაჩნდათ, რომ მისი მკურნალობა სწრაფად და დროულად უნდა ჩატარებულიყო.

XV საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დროისათვის, ილეუსის ზემოაღნიშნული სახეების გარდა, ცნობილი ყოფილა ი„ეთი სახის გაუვალობა", რომელიც ნაწლავთა გადანასკვის შედეგად ვითარდება.

„სამკურნალო წიგნში" ნათქვამია, რომ „ნიშანი კოლინჯისა ილუზისა, რომელი წურილითა ნაწლევთა შიგან შეექნების, რომელ არს წურილნი ნაწლავნი უპესა ზემოთ მუცელსა შიგან სტომაქის კერძ. მას შიგან გამოჩნდების ესე კოლინჯი ილუზი... და არს ეს სატკივარი უბოროტესი სხეულის კოლინჯისაგან. წაეკიდებისნასკულობისაგა, რომელი იქნებისნაწლევთა შიგან წულილთა. და უკუდგებია მათთა ადგილთაგან ქუემონი ნაწლევნი საქმეთა მისთაგან, და არს ესე სნება მკვლელი უფრო სხუისა კოლინჯისაგან.

ძნელად მორჩების ამას კაცი. და წაეკიდების მისა უფალსა ყვნა და გაყრის ჰასა—აყიროს თესლსა. და იქნების ესრეთ, რომე დაეხშვას სავალნი, რომელი ჩადის განავალი ქვემოთ კერძო, ვერ შეეძლოს. ქუემონი ნაწლევნი საქმობენ და არა ერგების ამასოყნა, ამისთუის რომე სატკივარი ზემოთანაწლევთა შიგან არის. და იყოს ამის სატკივარი ნასკულობისაგან წურილთა ნაწლავთა. და კიდევ დაემართების ესე სენი მისგან, რომელ განავალი გახმეს შიგან ზემოთა ნაწლევთა. და იქნებისაც ბალღამისა სქელისა მტკნარისაგან გახმეს მისა ალაგსა და დაეკრას, დახშას სავალი და იქნების კიდევ სიმსივნისაგან და მსხუეპელისაგან, წაეკიდოს მას ნაწლავსა შიგან მიზეზი იგი, რომელი გაახმობს განავალსა მათ ნაწლევთა შიგან, იქნების სიმხურვალისაგან და სიხმელისაგან, და ანუ სიგრილისა და სიხმელისაგან. გახმების განავალი მას ნაწლევთა შიგან ან საჭმელი ხმელი ეჭამოს, მისგან დაემართების..."[4].

მაშასადამე, ცნობილი ყოფილა, რომ გადაკვანძვა უმთავრესად წვრილი ნაწლავების მხრივ ხდება. ილეუსის ეს სახე, სრულიად სამართლიანად, უმძიმესად იყო მიჩნეული, იცოდნენ, რომ მას „არა ერგების ოყნა", „ძნელად მორჩების ამას კაცი".

---

[1] „წიგნი საჭიმოი", გვ. 206.
[2] იქვე, გვ. 207.
[3] იქვე, გვ. 206.
[4] „სამკურნალო წიგნი", გვ. 277. ხაზი ჩვენია, ავტორები.

მკურნალობის პრინციპი ამ პერიოდში ისეთივე იყო, როგორც წინა ხანებში.

შემდეგი საუკუნეების წყაროებთან გაცნობით ირკვევა, რომ ილეუსის აღწერილობას ახალი ნიშნები არ შემატებია და არც მკურნალობა შეცვლილა. „იადიგარ დაუდში" ვკითხულობთ, რომ „რომე კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს და წელნი და წელები ასტკივდებიან, და კაცსა შიგნით ნაჭამი გაუჩმების და ცხურის კურკლსავითა, კურკლად გარდაექცევის და წელზედ მიეკვრის, კაცსა მწოვედ შეჰკრავს და მწოვედ დააღონებს. და ვეღარას ღონითა კაცი გარ ვეღარ გავა, და რასაცა კაცი ან სვამს და ან სჭამს, ყუელსა არწყევს, და ყუელასა პირდაღმან ამოაღებინებს, ამას სენსა ყოლინჯი ჰქუიან.

აწე რა კაცსა ესე სენი და ჭირი წაეკიდოს, იცოდი ამა სენსა ოყნის მეტი წამალი არა სძღს[1].

ცნობილია, რომ ილეუსი, გაუვალობა ნოზოლოგიური ერთეული არ არის. იგი სიმპტომოკომპლექსია, რომელიც თავს იჩენს რომელიმე დაავადების შედეგად. მაგრამ თავისი გამოხატულებით იგი უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზი და ამიტომ მას ცალკე განიხილავენ. მკვეთრად გამოხატული, წამყვანი ნიშნის მიხედვით, დაავადების გამოყოფა ძველად უფრო ხშირი შემთხვევა იყო. მთავარი ყურადღება ძირითად ნიშანს ექცეოდა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა ავადმყოფს. მკურნალობაც უმთავრესად ამ მიმართულებით იყო გამიზნული. ამიტომ ძველ სამედიცინო წყაროებში დაწვრილებით არის დახასიათებული ესა თუ ის პათოლოგიური ნიშანი და დაავადების სახელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ნიშანთან არის დაკავშირებული. მაგალითად, შარდის შეუკავებლობა, შეკავება და სხვა., რომლებიც გარკვეული დაავადების გამოვლინებას წარმოადგენენ, უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა, ვიდრე მათი გამომწვევი დაავადებანი.

XI საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ შარდის შეუკავებლობის (შარდის წაცდენის) მიზეზად ითვლებოდა ნერვული წარმონაქმნების დაზიანება (სისუსტე) ან შარდმდენი საშუალებების მიღება.

„...რომე არა უნდოდეს და წაუვიდეს, ეს მეტისა სიგრილისაგან იქნების და ბუშტისა ძარღვები გასუსტდების, მისგან იქნების და ანუ ფსლისა გახშირებულის წამლისაგან იქნების, რომე ესვას"[2].

ადამიანის სხეულის აგებულების და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ „ბუშტის ძარღვი" შარდის ბუშტთან მიმავალ ნერვს ეწოდებოდა. გამოდის, რომ შარდის შეუკავებლობას შარდის ბუშტის ნერვის დასუსტებას, დაზიანებას უკავშირებდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება შარდის ბუშტის სფინქტერის ინერვაციის დარღვევას.

XIII საუკუნისათვის შარდის შეუკავებლობა, გარდა ზემოაღნიშნულისა, მიეწერებოდა „ბუშტის ყელის ხორცის სისუსტეს", რაც ამ ორგანოს სფინქტერის დაზიანებას უნდა გულისხმობდეს. „ფსლისა დენაი უნებლივ,... ბუშტის ყელისა ხორცისა სისუსტისაგან იქნების რომელ ესე მანკი გამოჩნდეს"[3].

---

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 412.

[2] „უსწორო კარაბადინი", გვ. 346—347.

[3] „წიგნი სააქიმოი", გვ. 222.

აღწერილია, რომ „ნიშანი მისი იგი არს, რომელ ფსელი უნებლივ ჩამოვიდოდეს, ცვარცვარად არ ჩამოვიდეს, მაგრამ შეიყაროს დაჭირვაი არა შეეძლოს, გამოვიდეს“.

აღნიშნულია, რომ შარდის შეუკავებლობა უფრო ხშირად ბავშვებს და მოხუცებს ემართებათ: „...ესე მანკი უფროისი ყმაწვრილთა და ყვერულთა და ბერთა კაცთა შეექმნების“[1].

სამკურნალოდ სხვადასხვა ცხოველური და მცენარეული წარმოშობის წამლეულობას უნიშნავდნენ. გარდა ამისა, ავადმყოფს ურჩევდნენ, რომ სითხე მცირე რაოდენობით მიეღო „...წყალსა ცოტასა სმიდეს...“[2].

შარდის შეუკავებლობა მძიმე დაავადებად ითვლებოდა, განსაკუთრებით თუ იგი მოხუცებულს აწუხებდა: „ესე მანკი ძნელ. .რს და იშვითა ოდესმე ერგების კურნებაი მეტად ბერბერთა კაცთა არ ერგების“[3].

XV საუკუნისათვის, როგორც „სამკურნალო წიგნიდან“ ირკვევა, შეხედულება შარდის შეუკავებლობის მიზეზების შესახებ უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ძეგლში ვკითხულობთ, რომ „...იქნების იგი წთომა ორისა ფერისაგან, ერთად: კუთისა უსუსურობისაგან, რომელ შედგმულ არს ქანთელსა: დაფოლხუდეს და გამოვიდეს მისგან ფსელი წთომით, ვითარად გამოვიდეს საგურკლისაგან ტეხითა და ზიდვით. ოდეს დაფოლხუდეს კუთი იგი შედგმული საგურკლითა, და არს იგი, რომელ შედგმულ არს ქანთელსა და საგურკლესა, ერთი კუთი ერთმანეთისა შემწე არის სიმრთელისა ჟამსა“[4].

ვნახოთ ეხლა როგორი შეხედულებანი არსებობდა შარდის შეკავების შესახებ.

XI საუკუნეში შარდის შეკავების მიზეზად ითვლებოდა შარდის ბუშტის „თავის“ სიმსივნე, მღერი და სხვ.

„უსწორო კარაბადინში“ მითითებულია, რომ „ფსლის შეკურისა მიზეზი სიმსივნე არის ბუშტის თავისა, და მღიერი არის რომე ბუშტის თავსა გამოვა...“[5].

შარდის შეკავების დროს განვითარებულ ნიშნებს შორის შენიშნული ყოფილა მაჯისა და სუნთქვის „შესუსტება“, პირისახის გაყვითლება, გულ ირევა—„...მაჯა და სუნთქმა სუსტად იყოს, ხშირად პირისახე გაუყვითლდეს და გულის რევა გამოუჩნდეს“[6].

მკურნალობის მიზნით ავადმყოფს ვამოუღებდნენ სისხლს, შარდის ბუშტის საპროექციო არეზე ადებდნენ თბილ ტლეებს ან სათბურს, უკეთებდნენ თბილ აბაზანას და სხვ.

„ამას ბასალიყისა ძარღვი გაუხსენ, პირველად სისხლი ადინე, რბილი ტლეები შემოსდევ მარგე არის. და თუ თბილსა წყალშიგან ჩასვა. მშვენიერია ზეთითა დაზილე და მოისვენოს. და ესე ასრე არის რომე ზროხისა ბუშტი თბილითა წყლითა აავსოს და სადაც სტკიოდეს ზედ დასდვას“[7].

---

1 „წიგნი საჭიმოი“, გვ. 219.
2 იქვე. გვ. 221.
3 იქვე, გვ. 219.
4 „სამკურნალო წიგნი“, გვ.
5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 345.
6 იქვე.
7 იქვე.

ავადმყოფის მდგომარეობის დროებითი გაუმჯობესება მართლაც შეეძლო სათბურების დადებას. საჭიროების შემთხვევაში სათბურები ახლაც იხმარება.

XIII საუკუნისათვის შეხედულება შარდის შეკავების მიზეზების შესახებ მნიშვნელოვნად გაფართოებულა. ცოდნიათ, რომ შარდის შეკავება შეიძლება გასვითარდეს, არა მარტო შარდის გამომტან გზებში გასვითარებული დაბრკოლების შედეგად, არამედ თირკმლების დაავადებასთან დაკავშირებითაც.

თირკმლების დაავადების შედეგად განვითარებული შარდის შეკავების შესახებ ფიქრობდნენ, რომ იგი „ხმელისა და მხურვალისა გარევისაგან იქნების რობელ ბუნებისა ძალსა თირკმელსა შიგან ჩიკძალოს, და რაი მოეჩინოს მის ადგილსა ესე მანკი გამოჩნდების“[1].

ამ შემთხვევაში სამკურნალოდ იყენებდნენ შარდმდენ საშუალებებს: „კურნებაი მისი იგი არს, რომელ... ეგეთთა რაისმე რომელ ფსელსა ადენდეს საპამადაცა და წამლადაც იხმარებდეს“[2].

იმ შემთხვევაში, როცა ასეთი მკურნალობა შედეგს არ იძლეოდა, შარდს კათეტერით იღებდნენ: „და თუ მანკი ამით არ გარეკვიდეს და ფსელი არ გამოვიდოდეს კურნებაი იგი არს, რომელ ყათატირი სარცხუენელისა ხვრელსა შიგან შეიპყრას რომელ ფსელი გამოვიდეს“[3].

XV—XVI საუკუნეების წყაროებში შარდის შეკავების მიზეზები კიდევ უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი. მიზეზთა შორის დასახელებულია: შარდსადინარის, შარდის ბუშტის და ნაწლავის სიმსივნე, რომელსაც შეუძლია შარდის გამომტანი გზების დახშობა, ზურგის ტვინის და შარდის ბუშტის „ძარღვების“ (ნერვების) დაზიანება, რის გამო შარდის ბუშტის ავსება აღარ იწვევს მათ გაღიზიანებას, „მჯდომი“ ანუ რაიმე სახის გამონაზარდი, ჩირქის დაგროვება შარდის ბუშტში, კენჭი და სხვ.

„სამკურნალო წიგნში“ ვკითხულობთ: „სიმსივნე, რომე წაეკიდოს სარცხუინელსა შიგა და დაეხშვას სავალი და არა გამოვიდეს, და არს ესე საჩინო, არა უნდა მას სწავლა. ანუ გამოვიდეს ძირსა სარცხონელისასა შიგნით და დაეხშას სავალი ფსლისა... და იქნების მესამე თერი თსლისა შეპყრობა, მაგიერ სიმსივნე კუთისა, რომელი შედგმულ არს პირსა ქანთლისასა და გასივდეს და დაეხშას სავალი ფსლისა და ვერ შეუძლოს ფსმად დაყენებითა საქმისა ქანთლისათა.

და მეოთხე ფერი შეპყრობა ფსლისა, მაგიერ სიმსივნე, რომელ წაეკიდოს ნაწლევსა და რომელ ახლდეს ქანთელსა, სადა არა გამოვიდეს ფსელი, და მიგუასწავებს მას ზედა, რომელ შენ არა ნახო ნიშანთაგან, რომელ მიხსენებია. და მაგიერ წაკიდება, რომელ წაეკიდოს ნაწლავთა შიგა სიხმელისაგან ანუ სხუა რა.

და მეხუთე ფერი, მაგიერ უსუსურობა ქანთლისა, რომელი დაუსუსურდეს და ვერა შეძლოს, რომელ დაიჭიროს ტანი და გამოვიდეს ფსელი და არა გამოვიდეს ქანთლისაგან, ვირე არ დაიჭიროს ტანი და დაწუროს და გამოვიდეს შიგან რაცა იყოს.

და იყოს მეექუსე ფერი შეპყრობა ფსლისა უსუსურობითა ქანთლისათა. დაუსუსურდეს მის ასოსა სნებითა, რომელ გააძლიერებს მას და არა გამოვი-

---

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. 220.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 221.

დეს ფსელი, და მიგუასწავებს მას ზედა, რომე იკითხო სნეული, თუ ცემულ იყოს ანასდეულად ზურგსა მისსა, ანუ ეცეს რამე, ანუ პოებდეს ტკივილსა შიგნით, მაშინღა გითხრას, თუ ყოფილიყოს რა. მისგან საცობელ იყოს იგი, მაგიერ ზურგისაგან და ძარღვისა ხმელისაგან, იგი რომელ გააძლიერებენ ქანთელსა, და აკლებენ შიგან ძვრასა და გრძნობასა. და დაუსუსურდეს ქანთელი მისსა საქმისაგან, და არა იგრძნობს სიმძიმე, რომელი იყოს მას შიგა, და არა იპყრას მის თანა, რომე გამოვიდეს ფსელი.

და იყოს მეშუიდე ფერი ფსლისა შეპყრობა მჯდომისაგან, რომელი გამოვიდეს ქანთლისა კიდურსა შიგან და მიგუასწავებს მას ზედა, მაგიერ ნიშანი მჯდომისა და სიმძიმე მისი და ადგილი, რომელსა ჩიოდეს სნეული და რომელ გამოვიდეს შალალი რეულად ფსელთა.

და იყოს მერვე ფერი ფსლისა შეპყრობა, მაგიერ ნამეტნავი ანუ შალალი ჩამოწუელოს და შეკრფეს სავალსა ფსლისასა ღა შედგეს მას ადგილსა და არა გამოე დეს ფსელი. და მიგუასწავებს მას ზედა, რომელ ნახო. თუ გამოსრულ იყოს ქანთელსა უკანა გუამსა შიგნით მჯდომი და გაპებულ იყოს, და გამოსრულიყოს მისგან შალალი და სისხლი და მას შეეკრას წყალი. და ოდეს სცნა იგი და შეატყო, ვითა მუნით ჩამოსრულ არს შალალი და სისხლი და დამტკნარა სავალსა ფსლილსასა, ანუ ცემულ იყოს ზურგსა მას ადგილსა, რომელ ქანთელსა უკანით არს ცემულობა, ანუ გაეწყუიდოს მეკ ძარღვი და წავიდეს სისხლი და შევიდეს და დადგეს სავალსა ფსლილსასა და არ გავიდეს.

და იყოს მეცხრე ფერი ფსლისა კრულობისა, მაგიერ შირიმისაგან, რომელი ჩაიკრეს სავალსა ფსლისასა ქანთლისაგან. და მიგუასწავებს მას ზედა მით ნიშნითა, რომელი მიხსენიებია ქანთლისა კარსა, რაოდენი შირიმი იქნების თირკმელსა და ქანთელსა შიგა, და უმეტეს, რომელი შეხუდობის შირიმი ჭაბუკთა და რომელ ქანთელსა შეექნებოდის ყმასა. და მიგუასწავებს შირიმისა ქანთელსა შიგა ყრმისასა, ოდეს პირველ შეეკიდოს მას, ტკბილდეს თხელად და თეთრად მზგავსად წყლისა, და მიწყით ჰქონდეს სარცხუინელი მისი და ნიადაგ თავ-აღებულად დგეს სარცხუინელი მისი. მაშინ ოდეს ჩამოვიდეს შირიმი იგი სარცხუინელსა და დაეხშას სავალი ფსელსა და არა გამოვიდეს ფსელი, და რეულთაგან, და მიგუასწავებს ფსლისა კრულობისას, მაგირ შალისაგან ანუ სისხლისაგან, ჩამოწუელოს სავალსა ფსლისასა, დაეყენოს შიგა და დამტკნარდეს. მაშინ შეასუა ზოგი წამლები, რომელი ჩამოიღებს ფსელსა. მათგანი-სი-ქანჯაბინო და წამალი მეფისა საჭურჭლისა, ანუ ზოგი მისგან, რომელი გუიხსნებია წიგნსა შიგა, რომელ ჩამოიღებს ფსელსა. შეასუი მისგან მრავალჯერ და ერგების შირიისა. და ცან, ვითა ქანთელი იქმს ბუნებისა საქმითა და შიგან არს სულისა საქმე, რაოდენ შედგმის ერთი ფესუი და დაიჭირავს საქციელსა. და რა სწადდეს კაცსა ფსმა, დაიჭიროს და გამოვიდეს, რომელი შიგან იყოს. მაშინ უნდოდეს კაცსა, რომე დააყენოს ფსელი, და დაიჭიროს იგი ფესუი კიდურმან ქანთლისამან და არა გამოვიდეს მისგან. და ეგრე დაბადა, რომელსა დიდებულ არს სახელი მისი და ძვრა მისი ფესუისა მაგიერ ძარღვი ხმელისაგან, რომელ—იგი მივა ძას კერძ, მაგიერ ზურგის ძუალთაგან, და იგი ფესუი არს, როიელი აკლებს შიგან ძვრასა. მაშა, ოდეს ეცეს მას ძარღვი ხმელსა მას და ტუინსა, რომელ არს ძარღვი ხმელსა, რომელ აკნოს ცემულობისაგან ანუ სიმსივნისაგან, ანუ ზოგი რომელ წაეკიდოს შიგან, აკნოს მას ანუ ძუალსა ყელისასა. მაშინ მავნე მისი მოაწიოს ფესუსა ქანთლისასა და დაუფოლხუდეს, ანუ დაიჭიროს და დაეხშას. მაშინ იცნობების, რომელი შენდა



ხელნაწერი № 134, პირველი გვერდი.

მიხსენებია და გამომისახავს, რაოდენ დამჭირება ქანთლისა ფსელსა. და ზოგნი საქმენი იისინი არიან მკუდარნი, და რომელიმე არს საქმე ფესუისა, რომელ შედგმულ არს ქანთელსა თანაგრძნობისაგან, და ძვრისაგან არს სულისა საქმე. და წაეკიდების ქანთელსა დიდსა ტკივილისაგან ანუ სიმსივნისაგან, რომელსაც შიგან იყოს სიმხურვალე ძნელი. მაშინ გუეყოფის, რომელ გუიხსენებია შენდა ქანთლისა საქმე"[1].

მკურნალობდნენ კონსერვატული და ოპერაციული წესით. საჭიროების შემთხვევაში, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, მიმართავდნენ შარდის გამოღებას კათეტერით: „მაშინ, თუ ქვა დიდი იყოს შირიმი და არა დადნებოღეს ამით წამლებითა, და დაეხშას სავალი ფსელსა, მაშინ ჩაყავ მილი, ...სარცხუინელსა შიგა და უკუძალე, როიე გამოვიდეს ფსელი..."[2].

ოპერაციული ჩარევა კი მდგომარეობდა კენჭების ამოღებაში—„გაუპოს და გამოუღოს ქვა"[3].

შარდის სრული შეკავებისაგან განასხვავებდნენ გაძნელებულ მოშარდვას. გაძნელებული მოშარდვის მიზეზად მიაჩნდათ ჭრილობა, (უნდა ვიფიქროთ ისეთ არეში, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა შარდის გატარებაზე), სიმაღლიდან ჩამოვარდნა, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, შარდის ბუშტის ქვები და სხვ.

„...ძნელად მოფსმის მიზეზი ან იქნების დაკოდილობისაგან, ან მაღლიდაღმან ჩამოვარდნილისაგან, ან სტომაქისა და გვამისა სისუსტისაგან, და მეტის სიგრილისაგან, ან ძალიანის ქარის და სტომაქის აშლილობისაგან, ან ცუდისა და ავის ხილთებისაგან, რომე ამა ხილთებმან ბუშტის თავი შესტაცოს, ან შირიმის ქვა დაუდგეს, ან დამპალი და დაბეჟილი სისხლი იქნების"[4].

კენჭოვანი დაავადების შესახებ საყურადღებო ცნობები უკვე X საუკუნიდან გვხვდება. ბასილ ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", აღწერილია კენჭების დაძვრის შედეგად განვითარებული შეტევის ტიპიური სურათი, რომელიც მათი გამოდენით დამთავრებულა:

„...მოიწია კაცი ვინმე ყოვლად განხმელი, რომელი ფრიადი რაიმე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, რამე თუ სისხლი წარსდიოდა სარცხვენელსა მისა და ხმობდა ხმითა უშვერითა ...და მეყვსეულად საბილველად ყოველთა ასოსა მას თესლი მცენარესა წარსცვდეს ორნი ქვანი განსაკრთომელნი სიდიდსა, და იქმნა კაცი იგი ყოვლად მრთელ, ვითარცა არა რაი. შემთხუეოდა ვნებაი იგი"[5].

ქვების გაჩენის მიზეზად, როგორც „უსწორო კარაბადინიდან" ჩანს, მიაჩნდათ ზოგიერთი სახის საკვები, როგორიცაა დო, ძველი და ახალი ყველი, მღვრიე წყალი და სხვ.

---

[1] „სამკურნალო წიგნი", გვ. 300—301.
[2] იქვე, გვ. 302.
[3] იქვე.
[4] „იადიგარ დაუდი", გვ. 447.
[5] ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", იხ. კ. კეკელიძის გამოცემა ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1935, გვ. 177.

„ესე სენი საჴმელთაგან დაიბადების, საჴმელი ეს არის რომე, საჴმელსა მუღმად დოსა და ძველსა და ახალსა ყველსა სჴამდეს და ყორკოტსა და ხმელსა პურსა და მღვრიესა წყალსა სმიდეს, და სქელსა ღვინისაგან“[1].

შემჩნეული ყოფილა, რომ შარდის ბუშტის კენჭები უფრო ხშირად ვაჟებს უვითარდება, უპირატესად მცირე ასაკში. „...ვაჟსა კაცსა და ახალ მოწიფულსა ბუშტშიგა შეექნების, და დიდსა და ბერსა თირკმელშიგან“[2].

ცნობილია, რომ საშარდე გზების კენჭოვანი დაავადების განვითარების თავისებურებანი მართლაც არის დაკავშირებული სქესთან და ასაკთან.

ქვების წარმოშობის მექანიზმის შესახებ, შეიძლება ითქვას, სრულიად მცდარი წარმოდგენა არსებობდა.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „ესე ასე იქნების, რომე ისი ავი სასმელი და საჴმელი წავა და თსლისა გზაშიგა დადგების და იმას თირკმელთა სიმხურვალე დასწვავს და უწინ ქვიშის სახედ შეიქნების და სისხლიანი და მერმე გასქელდების და ქვად შეიქნების ანუ მგურგვალი ანუ კუთხიანამდე“[3].

XI საუკუნისათვის შარდის ბუშტის ქვებს ყოფდნენ სიდიდის, ფორმისა და კონსისტენციის მიხედვით. „ნიშანი ქვისა ბუშტისა, რომე ქვა დაიბადების, ოთხი ფერი არის: ერთი დიდი, მეორე უფრო ცოტა, მესამე რბილი იქნების ყველივით, მეოთხე მაგარი და ღოჯიანი“[4].

შარდის ბუშტის ქვებს ეს ნიშნები მართლაც გააჩნია.

დღეს ცნობილია, რომ სიმაგრითა და უსწორმასწორო ზედაპირით, ანუ ღოჯიანობით ოქსალატები, ხოლო სირბილით ფოსფატები ხასიათდებიან. ცხადია XI საუკუნისათვის არ შეიძლებოდა სცოდნოდათ შარდის ბუშტის ქვების ქიმიური შეძადგენლობა, მაგრამ მნიშვნელოვანია მათი დაყოფა სახეებად, მათი განმასხვავებელი ნიშნების ცოდნა და სხვ.

შარდის ბუშტის კენჭოვანი დავადებების ნიშნებიდან ცნობილი ყოფილა ტკივილი გავის მიდამოში, ხანგამოშვებით სისხლის დენა, რასაც ტკივილის გამწვავებას უკავშირებდნენ: „...თუ ეს ქვა ბუშტშიგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, მეჯთა შუა ტკივილი დაუწყოს და ხანჟამიერად სისხლსა მოფსმიდეს და ყოველთა დღეთა სარცხვენელსა წვერსა ქვიშის მაგიერი სისხლი გამოუვიდოდეს“[5].

მცირე ზომის კენჭი უფრო ძლიერი ტკივილის გამომწვევად მიაჩნდათ, ვიდრე დიდი ზომისა. მასვე მიეწერებოდა მოშარდვის შეწყვეტა შარდსადინის სანათურის დახშობის შედეგად: „...რომელიცა უმცროსია იგი უარესია, ამისთვის რომე, ფსელსა გზასა შესტაცებს და უფრო მწოვედ ტკივილს დაუწყებს“[6].

შარდის ბუშტის მცირე კენჭისათვის დამახასიათებლად ითვლებოდა აგრეთვე შემდეგი ნიშნები: -თუ უმცროსი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ფსელსა ერთობ უჭირევდეს და კაცი დამჭლდეს და ფერი წაუვიდეს და სუს-

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 339.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 340.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.

ტად იყოს. და თუ მარჯვენით გარდაბრუნდეს მარცხენით ეტკინებოდეს, თუ მარცხენით გარდაბრუნდეს მარჯვენა ეტკინებოდეს. ამ სენისა უფალი ერთსა ადგილსა ვერა დადგეს და ვერცა დაჯდეს იქით იარებოდეს"[1].

რამდენადმე განსხვავებულად არის წარმოდგენილი შარდის ბუშტის მაგარი და ღოჯიანი კენჭებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: „თუ მაგარი და ღოჯიანი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მისის ადგილისაგან ტკივილი დაიძრას და სხვაგან სტკიოდეს, და ტკივილი მწოვედ იყოს და ბუშტუკიცა გაუსივდეს,... ესე ავი ნიშანი არის და მისი წამალი გამოღებისაგან მეტი არ არის"[2].

შარდის ბუშტის კენჭოვან დაავადებას ოპერაციული წესით მკურნალობდნენ: „...ესე ქვა ქვემო ბუშტშიგან იყოს და ვერა ეშველოს, მეშირიმემა გამოართვას"[3].

თუ შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს სასქესო ორგანო შესივდებოდა, მიმართავდნენ მასში წამლის ჩასხმას მილის საშუალებით. „...თუ ამა სენშიგა სარცხვენელისა სიმსივნე დაემართოს ასე რომე ძნელად მოფსმიდეს და კიდეც სტკიოდეს, ასრე სტკიოდეს რომე აკივლებდეს, მერმე ზემო საზელი დავსწერეთ ისე შტვირითა ამოდ სარცხვენელშიგან საასხით რომე დაალბოს"[4].

შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების შესახებ მსგავსი შეხედულებანი გვხვდება შემდეგი საუკუნის წყაროებშიც.

„წიგნი საქიმოიში" ვკითხულობთ, რომ „ესე მანკი ყმაწვილთა უფროი შეექმნების, და ვითარებაი მისი გასარევლისა სქელისა უმგბრისაგან იქნების, რომელ ბუშტსა შიგან შეიყაროს და სიმხურვალემან შეკრას იგი. და სიმხურვალე მისი მხურვალთა საჭამადთაგან იქნების რომელ ეჭამოს და მოერიოს მისდა"[5].

ამ ხანისათვის დაავადების მიმდინარეობაში ზემოაღნიშნულ ნიშნებთან ერთობ ცნობილი ყოფილა ასოს თავის ქავილი: „ნიშანი იგი არს, რომელ ფსელი თეთრი იყოს და თხელი და მიწყით სარცხვენელი აუდგებოდეს და თუ პატარა ყრმაი იფხანდეს მას, და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს და სტკივოდეს..."[6]

შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების ნიშნები შემდეგ საუკუნეებშიც კარგად ყოფილა ცნობილი. „იადიგარ დაუდში" აღწერილია, რომ აღნიშნული დაავადების დროს ავადმყოფს გაძნელებული აქვს შარდვა, შარდავს წვეთ-წვეთად, აწუხებს ტკივილი და სხვ. „და თუ ესე შარდის დაჭირვა ან შირიმის ქვისაგან, ან სხვის საქმისაგან იყოს, რომე საფსლეშიგა ქვა დასდგმომოდეს და ესე შარდი იმას შეეხუთოს, ამა შირიმის ქვის ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა შარდი წვეთ-წვეთად სდიოდეს და მწოვედ სარჯილთა მოფსემდეს, და საფსლის ხვრელი ჭიპსავით გაღებული ჰქონდეს და პირი უკუეშალოს. რა ესე

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 340.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 343.
4 იქვე, გვ. 342.
5 „წიგნი საქიმოი", გვ. 224.
6 იქვე.

ნიშნები ნახოთ, იცოდით, ამა კაცსა დასტურად შირიმი სჭირს და მისგან არის“ [1].

მისი მკურნალობა ამ პერიოდში ისეთივე იყო, როგორც წინა საუკუნეებში. ჯერ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს აძლევდნენ, შემდეგ კი, თუ ასეთ მკურნალობას შემდეგი არ მოყვებოდა, მიმართავდნენ ოპერაციას.

გარდა შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებისა, ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილია ამ ორგანოს სხვა დაავადებანიც—ანთება, სიმსივნე და სხვ.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ „თუ ბუშტშიგა მღიერი იყოს, მისი ნიშანი ის არის, რომე მუდმად ჰქონდეს და ტკივილი ერთობ იყოს და ფსელი წვით გამოვიდეს და მისი ფსელი რომე დაიჭიროს ჭიქითა, რუსუბი ძირს სქელი იყოს ხან, სისხლი მოფსას...“[2].

წარმოდგენილი ნიშნები საკმაო საბუთს იძლევა იმისათვის, რომ აღწერილი დაავადება შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის ანთებად მივიჩნიოთ.

სამკურნალო მიზნით მიმართავდნენ ბოქვენის მიდამოს დაზელვას ზეთით, გარდა ამისა, წამალი შეყავდათ სასქესო ასოში—„ფსლისა კარშიგა ჩაწვეთება უნდა წამლებს...“[3].

აძლევდნენ დანაყილ ნუშის გულს თაფლთან ერთად: „სხვა მაჯუნი ამა სენისათვის, აიღე: ტკბილი ნუშის გული, გაფცქვნილი ნახევარ ლიტრა, ყუელა დანაყე და გაურივე და სამსამი წონა თაფლი გაურივე მოდუღებული და პერულ მოხდილთა, დაზილე და მაჯუნად შექენ და ყოველთა დღეთა ერთისა ნიგუეზისა ოდენი აჭამე...“[4]. ნუშის ზეთს დასალევადაც აძლევდნენ.

ამავე დროს ავადმყოფს ენიშნებოდა გარკვეული დიეტა. ეკრძალებოდა მეავე საჭმლის მიღება: „რაცა მეავე არის, ყველასაგან ფარეზი უნდა ქნა, მწვავის საჭმლისაგანაც...“[5].

ასეთივე ნიშნებით არის წარმოდგენილი შარდის ბუშტის ანთება XIII საუკუნის წყაროებშიც. მხოლოდ რამდენადმე მრავალფეროვანი გამხდარა მკურნალობა. შარდის ბუშტში მილის საშუალებით შეყავდათ თაფლი, რომელიც, როგორც ახლა ცნობილია, ბაქტერიციდული თვისებებით ხასიათდება. ძველად ალბად შემჩნეული ექნებოდათ თაფლის გავლენა ჩირქოვან პროცესებზე და მისი სამკურნალოდ გამოყენებაც ამ დაკვირვებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

XIII საუკუნეში შარდის ბუშტის ანთების სამკურნალოდ მიმართავდნენ აგრეთვე თბილი აბაზანის გაკეთებას[6].

ამ დაავადების ნიშნების აღწერილობაში არც შემდეგ საუკუნეებში მოხდარა ცვლილება. მკურნალობაც თითქმის ისეთივე დარჩა, როგორც წინა საუკუნეებში: იყენებდნენ ზემოდასახელებულ სამკურნალწამლო საშუალებებს

---

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 448.
[2] „უსწორ კარაბადინი“, გვ. 341—346.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 347.
[5] იქვე, გვ. 346.
[6] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 223.

და უნიშნავდნენ მკაცრ დიეტას: „და ამ რიგმან მწოედ მეავე, ტკბილი, მწოედ მლაშე, მწოედ ცხარე საჭმელები არ უნდა ჭამოს“[1].

XI საუკუნიდან მოყოლებული სამედიცინო წყაროებში მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება შარდსადენის დაავადების შესახებ, რომელიც აღწერილი ნიშნების მიხედვით ამ ორგანოს ლორწოვანი გარსის ანთება უნდა იყოს.

მის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა სასქესო ასოს თავის ტკივილი, წვა, განსაკუთრებით მოშარდვის დროს, შარდთან ერთად სისხლისა და ჩირქის გამოყოფა: „...რომე სარცხვენელისა თავმან ტკივილი დაუწყოს და წვა უფრო მაშინ რომე მოფსმიდეს, და ფსმაშიგა სისხლიცა და თხამლიცა გამოვიდოდეს...“[2].

მკურნალობა წარმოებდა, როგორც გარეგანი საშუალებების შეზელვით, ისე სასქესო ორგანოში წამლის შეყვანით.

შესაზელად იხმარებოდა დანაყილი იის ფოთოლი და იის ზეთი. იგივე იის ზეთი ასოშიც შეყავდათ: „იისა ფურცელი დანაყე და იისა ზეთითა სარცხვენელზედა შესცხე და კიდეც შეასვით, ან სარცხვენელშიგან ოყნად ჩაასხი...“[3].

ამავე დროს ავადმყოფს ენიშნებოდა მკაცრი დიეტა: „და ნურას ღონისთვის მეავეს ნუ აჭმევთ, და საჭმელიცა, ასრე რომე თირკმელთათვის გვითქვამს იგი შეუწყევით...“[4]

შარდსადენის ლორწოვანი გარსის ანთების ნიშნების აღწერა გვხვდება XIII საუკუნის წყაროებშიც.

ცნობილი ყოფილა, რომ ამ დაავადებას ახასიათებს: შარდსადენის წვა და ტკივილი, შარდში ჩირქის არსებობა და სხვ. სარცხვენელი „...დია სტკიოდეს და ეწუოდეს და ზელისაგან გახურდეს და თუ ფსელსათანა თხამლი ცოტაი გამოვიდოდეს წყლული უმცროისი იქნების, და თუ დია გამოვიდოდეს წყლული უფროისი იქნების...“[5].

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის არსებობდა გარკვეული სადიფერენციაციო ნიშნები რომელთა მიხედვითაც ადგენდნენ, თუ საიდან მოდიოდა ჩირქი: შარდის ბუშტიდან, თუ შარდსადინარიდან.

„...ნიშანი სიწყლულისა რომელ სარცხვენელსა შიგან იყოს, იგი არს, რომელ ფსელსა უწინაით თხამლი გამოვიდეს...“[6].

ხოლო თუ პროცესი შარდის ბუშტში იყო, მაშინ „ნიშანი იგი არს, რომელ ფსელსა თანა თხამლი გამოვიდოდეს“ ან „...რომელ ფსელსა უკანითა თხამლი ერთობით გამოვიდეს უფსლოდ“[7].

ავადმყოფს ენიშნებოდა სასქესო ორგანოს მობანვა თბილი წყლით, წამლების წაცხება. ამავე დროს იის ზეთი და ქალის რძე მილის საშუალებით შეყავდათ სასქესო ორგანოში.

---

[1] „იადიგარ დაუდი, გვ. 448.
[2] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 343.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] „წიგნი საქიმოი“, გვ. 228.
[6] იქვე.
[7] იქვე.

გარდა ამისა, ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა: „მხურვალთა და ფიცხელთა საჭამადთა ერიდოს ვითა ნიორსა და ხახვსა, პრასასა და პილპილსა, და მლაშეთა ერიდოს. და ნედლთა და ლბილთა საჭამადთა ჭამდეს ვითა ასფანახი და ხოხოფარასთი და ნუშის ზეთი"[1].

ავადმყოფს ეკრძალებოდა სქესობრივი კავშირი და მძიმე სამუშაოს შესრულება: „დიაცსა ნუ მოხნავს, და ძნელთა საქმეთა და საჭიროთა ერიდოს"[2].

შემდეგი საუკუნის წყაროებში შარდსადენის ანთების ნიშნების შესახებ ახალი ცნობები არ გვხვდება. აღსანიშნავია მხოლოდ „სამკურნალო წიგნში" წარმოდგენილი ნიშნები, რომელთა მიხედვით ხდებოდა იმის დიფერენციაცია, თუ სად ლოკალიზდებოდა პათოლოგიური პროცესი—შარდსადენში, თუ შარდის ბუშტში.

„და გიხმს შენ, რომე სცნა ადგილი იგი, სადა არს სნება. იგი რომე შეიტყუა, თუ ზეით არის, ანუ შუა არის, ანუ ძირსა, ვითარად ხუდების, რომე სცნა ნაწლევთა შიგა, რომელი გამოვიდეს მისგან და ადგილი იგი, რომელი იგრძნობოდეს სნეული ტკივილსა. ეგრევე მიგუასწავებს ზედა ტკივილსა ქანთლისასა, რომე გამოვიდეს მისგან, რომელ სცნა სარცხუინელისაგან გამოვალს ანუ ქანთლისაგან. და სცნა, თუ რომლისა ადგილისაგან გამოვალს, ანუ რომლისაგან იქნების შიგან. მაშინ რომელი გამოვიდეს. სარცხუინელისაგან ტკივილსა უკანის, ცან ვითა ქანთლისაგან არს. და ოდეს გამოვიდეს ფსელი და სტკიოდეს, ცან, ვითა ქანთლისა და სარცხუინელისაგან არს და მიგუასწავებს სნებათა იდუმალთა ზედა... და თუ ვერა ცნას აქიმმან ნიშანი სენისა, ვერა კურნოს"[3].

XI საუკუნეში, როგორც „უსწორო კარაბადინიდან" ირკვევა, ცალკე განიხილავდნენ შარდსადენის სისხლის ძარღვების დაზიანებით გამოწვეულ სისხლის დენას. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს აძლევდნენ წამლებს, რომლებიც სისხლის დენის შემაჩერებლად ითვლებოდა. ამავე დროს სასქესო ორგანოში შეუყავდათ წამალი ძაბრის საშუალებით. „...სასირცხოსა შიგა ძაბრითა ჩაუშვა..."[4].

აქვე გვინდა განვიხილოთ ხერხემლის დაზიანების შესახებ არსებული წარმოდგენები. ხერხემლის დაზიანების სხვა მიზეზებს შორის XI საუკუნისათვის ცნობილი ყოფილა ტრავმა. „...რომე ქ�ი მოდრკეს და ზურგი სტკიოდეს, ანუ ქარისაგან იქნების ანუ ზაფრისაგან, ანუ მაღლიდამ ჩამოვარდნისაგან, ან წიხლის კურისაგან, ცხენის წაქცევისაგან..."[5]

დაზიანების შედეგად განვითარებული ნიშნები ამ საუკუნის წყაროებში :რ არის აღწერილი, სამაგიეროდ ჭარბად არის წარმოდგენილი სამკურნალო საშუალებანი. სამკურნალოდ მიმართავდნენ ხერხემლის დაზიანებული მიდამოს ცვილითა და ზეთით დაზელვას და შემდეგ შეხვევას.

უკვე „წიგნი საქიმოში" აღწერილია მალთაშუა სახსრების და თვით მალების დაავადება, რომლის შედეგად ვითარდება მალას დაშლა და კუზის განვითარება.

---

[1] „წიგნი საქიმოი", გვ. 229.
[2] იქვე.
[3] „სამკურნალო წიგნი", გვ. 229.
[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 348.
[5] იქვე, გვ. 386.

„სიკუზე... გლუსუნისა გასარევლისაგან იქნების რომელ ზურგისა მძივთა საქციელთა შუა შეიყაროს, და მისითა სიგლუსუნითა მათ საქციელთაგან რომელიმე თავისა ადგილისაგან დასხლიტოს. ანუ ნაკრავი რაიმე ეცეს ზურგსა და მაშინ მისგნით ესე გამოჩნდეს“[1].

თუ კუზი ტრავმის შედეგად იყო განვითარებული, ამას ავადმყოფის გამოკითხვით ადგენდნენ, ხოლო მალების დაავადების მაჩვენებლად ძლიერი, განუწყვეტელი ტკივილი ითვლებოდა: „...რაიცა დაცემისა ანუ ნაკრავისაგან იყოს იგი არს, რომელ სნეულსა ჰკითხონ და მან თქვას“[2].

მკურნალობის მიზნით ავადმყოფს უწმენდდნენ კუჭ-ნაწლავს, მტკივნეულ ადგილს უზელდნენ იასამნის და სხვა ზეთებით. კუზზე ადებდნენ სხვადასხვა შემადგენლობის ტლეებს. თუ შედეგი არ იქნებოდა, მიმართავდნენ მტკივნეული ადგილის ჯვარედინად დადაღვას[3].

ტრავმის შედეგად განვითარებული კუზის დროს ამოზნექილ მალას თავის ადგილას აყენებდნენ და მაგრად კრავდნენ: „და თუ დაცემისა ანუ ნაკრავისაგან ქმნილ იყოს იგი ასოი მაგრად შეკრას და თავისა ადგილსა მიიღოს და მალჰამაი რომელ შეშაითა ფქვილთაგან ქნილ იყოს შემოსდვას“[4].

ავადმყოფს ენიშნებოდა მსუბუქი დიეტა—„ნატიფთა საჭამადთა მილტვოდეს“[5].

ცნობილი ყოფილა აგრეთვე ანკილოზური სპონდილიტი, რომლის შესახებ ნათქვამია, რომ „ზურგისა მძივნი შეკრას“[6]. აგრეთვე აღნიშნულია, რომ იგი „უცხროდ და უსიმხურვალოდ იყოს“.

ასეთ ავადმყოფს ენიშნებოდა თბილი ზეთით დაზელვა, სათბურის დადება და შეხვევა, რასაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ კარგი შედეგი მოეცა.

შეხედულება ხერხემლის დაავადებათა და ტრავმულ დაზიანებათა გამომწვევი მიზეზების, ნიშნებისა და მკურნალობის შესახებ შემდეგ საუკუნეებშიც ძირითადად ისეთივე დარჩა.

მეტად საყურადღებო ცნობები გვხვდება უკვე IX საუკუნიდან სიმსივნურ დაავადებათა შესახებ.

XI საუკუნეში სიმსივნურ წარმონაქმნებს ყოფდნენ სახეების მიხედვით. იმ ხანად სამი სახის სიმსივნეს იცნობდნენ: ხანაზირას, სალას და კუს.

მათ ერთმანეთისაგან განარჩევდნენ კონსისტენციის, ლოკალიზაციის და მოძრაობის მიხედვით.

„ხანაზირასი და სალასი, ორივე ერთმანეთსა ჰგავს მაგრამ ხანაზირი მაგარი იყოს რომე არ იძეროდეს, და სალა ხორცსა და ტყავსა შუა იქნების ის იძურის შუა“[7].

მათგან განსხვავებით კუ „...არცა სალასა გუარი იყოს და არც ხანაზირასი, სიმსივნე იყოს მაგარი...“[8]

---

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 248.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.
7 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 383.
8 იქვე, გვ. 382.

ე. ი. ხანაზირა სალაზე უფრო მაგარია კონსისტენციით, ხოლო კუ ხანაზირაზე კიდევ უფრო მაგარი, ანუ მკვრივია.

მოძრაობის მიხედვით: ხანაზირა უმოძრაოა, ხოლო სალა მოძრავია და კანქვეშ ზერელედ მდებარეობს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კუს ქვეშ რომელიმე ავთვისებიანი სიმსივნე იგულისხმება. რომ კუ მართლაც ავთვისებიანია, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს „უსწორო კარაბადინში" წარმოდგენილი სხვა ნიშნებიც: „თუ სარატანა იყოს რომე კუსა ქუიან მას ასრე შენახვა უნდა რომე არ დაიფანტოს თვარა მოკლავს კაცსა"[1]. მაშასადამე, კუს დამახასიათებელი ყოფილა დაფანტვა, ანუ როგორც ახლა ვიტყვით, მეტასტაზების მოცემა.

ხანაზირას დამახასიათებლად ითვლებოდა: „ნიშანი ხანაზირისა რომე თავით ამოვა, მაგრამ ხელითა რომ გაშინჯო არ იძურის ტყავშიგა და ხორცსა ზედა დამაგრებული იქნების, ხორცის ფერი იქნების. ამას თუ არა სწამლობ ადრე ავი სენი არის და პირსა გამოიღებს და აღარ გამრთელდების და იქნების რომე უმტკივრად იყოს, იქნების რომე სტკიოდეს. და კაცი მოწიფული იყოს უფრო ძნელია. ესე სენი მსუქანსა და ყელი მოკლეს კაცს უფრო დაემართების"[2].

წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით ძნელია ბადაწყვეტით ითქვას, რომელ სიმსივნეზეა აქ ლაპარაკი, მაგრამ სიმსივნე რომ არის, ეს ეჭვს არ იწვევს.

ხანაზირას ოპერაციული წესით მკურნალობდნენ. ოპერაციამდე დასარბილებელ საშუალებებს ადებდნენ და შემდეგ კვეთავდნენ: „პირველად გამაგრილებელი წამალი უნდა როგორაცა ქათმისა და ბატის ქონი მალამოდ ქნას და შემოსდვას, რომ დაალბოს, მერმე გაკვეთა უნდა და ჟანგარისა მალამითა გამრთელება"[3].

როგორც აღვნიშნეთ, ხანაზირისაგან ასხვავებდნენ „სალას". სალას დამახასიათებლად ითვლებოდა შემდეგი ნიშნები: „ნიშანი სალასი ის არის, რომე ხანაზირასა გავს, მაგრამ ხანაზირი არ იძურის და სალა იძურის, და ტყავს და ხორცს შუა იქნების..."[4]

„უსწორო კარაბადინში" ვკითხულობთ, რომ ამოკვეთილი სალა ხან ცხიმს გავს, ხან თაფლივით არის, ზოგჯერ მისი შიგთავსი წყალივით თხიერია: „ისი ზეთი ხორცივით იქნების, ზოგი თაფლივით, ზოგი წყალივითა და ზოგი ისეთი იყოს, რომე ფეტიყივითა გამოსცვივა"[5].

წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით ძნელი არ უნდა იყოს იმის დაშვება, რომ აქ საქმე ეხება კეთილთვისებიან სიმსივნურ წარმონაქმნს. შეიძლება ეს იყოს ლიპომა, ათერომა ან ცისტადენომა.

სალას მკურნალობდნენ ოპერაციული წესით: „ასრე უნდა რომე მარცხენითა ხელითა ტყავსა ასწევნეს, ასრე რომე სალასა მოშორდეს, ასე გაკვეთოს, თუ ტყავი მეტად მოვიდეს მოაკვეთინოს რაც მეტი იყო და შეაწყონ... მალამითა გამთელოს"[6].

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 382.
[2] იქვე, გვ. 383.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 384.
[5] იქვე.
[6] იქვე.

ცნობილი ყოფილა აგრეთვე მთელი რიგი ორგანოების სიმსივნური დაავადებანი, მათ შორის აღსანიშნავია სარძეე ჯირკვლის, ღვიძლის, ტუჩის და სხვ. „წიგნი საქიმოიში“ ნათქვამია, რომ კირჩხიბი ქალებს შორის უფრო ხშირად ძუძუსა და საშვილოსნოზე ვითარდება, ხოლო მამაკაცებს შორის ნაწლავებსა და შარდის ბუშტზე: „...ესე მანკი უფროისი დედათა ძუძუთა შიგან იქნების და სამშობელთა შიგან, და მამათა წელსა შიგან და ბუშტისა ხურელსა შიგან...“[1] იქვე აღნიშნულია, რომ მის „...დასაწყისსა იშვითა ვინმე შეატყვებს“[2].

ტუჩის სიმსივნის შესახებ „წიგნი საქიმოიში“ ვკითხულობთ, რომ „ბაგისა გასივებისა ნიშანი იგი არს, რომელ მჯდომისაებრ გამო რაიმე აჩნეს... სიბრტყით გააპოს და ხორცმეტი მოჰკეთოს და მაშინ შეკეროს, რომელ ბაგე გაიმართოს“[3].

ეს და სხვა მსგავსი ცნობები მოწმობენ, რომ იმ დროისათვის ოპერაციული ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. არსებული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ოპერაციები კეთდებოდა არამარტო სხეულის გარეთა ნაწილებზე, არამედ, როცა ეს საჭიროდ მიაჩნდათ, მუცლის ღრუს გახსნასაც მიმართავდნენ.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ აღწერილია, რომ მკურნალობის შემდგომ ელენთის დათვალიერების მიზნით საცდელი ლაპარატომია ყოფილა წარმოებული: „...და მაშინ გააპეს მუცელი მის და არა პოეს მას შიგან ტყორბი“[4]. ე. ი. გახსნეს მუცლის ღრუ და აღმოჩნდა, რომ გადიდებული ელენთა მკურნალობის შედეგად დაპატარავებულიყო: არა „პოეს მას შიგან ტყორბი“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ ის ადგილი, სადაც სოკოს მკურნალის ამბავია აღწერილი. განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა საოპერაციო ავადმყოფისათვის დასაძინებელი წამლის მიცემის შესახებ.

მოგვყავს ეს ადგილი მთლიანად.

„სოკოს მკურნალი“. „ჩემმა მასპინძელმა ქურთისტანის ბატონმა, მე წამიყვანა, დედა მისი თავად ხნიანი დიაცი იყო და მერმე ეს თქვეს: „ოცი წელიწადია ესრე არისო და ვერა აქიმმან ვერ უწამლაო“. მიველ, ვნახე, უსუსურად იყო. დამწლობილ იყო და ღონე არა ჰქონდა; ხორცი დაეყარა, ფერი წასლოდა საჭმელს ვერ ინელებდა, სვლისაგან დავრდომილიყო, სიტყვა დამძიმებოდა, მაგრამ ცნობა კიდევ კარგი ჰქონდა. გავსინჯე, დიდი ზრუნვა შემექმნა. რა მრავალი გულისთქმა შევქენ, მის სენის თავი შევიგენ. ღვიძლზედ სოკო დასხმოდა და მას გაეხადა. გამიკირდა, დავღონდი. უთხარ: „ამას ასეთი სენი სჭირან, რომ ხნიანიც არ იყოს, ძნელი მოსარჩენია; მაგრამ ჩემს ოსტატობას ვცდი მეთქი და მადლი ღმერთსა“. მათაც ნება დამრთეს. აბანოს გარ სულობით ნაბადი მოვაკარ და შიგან ფარდაგი დავკიდე, რომ ნიავი არ შემოსულიყო და ორთქლი დამდგარიყო. შევიყვანე, საძილო წამალი ვასვი, დავაწვინე. მუცელი გაუპე, შიგანი გამოუშალე. საცა ღვიძლზე ან გვამში სოკო ესხა, ამოვთალე, წამლები დავსცხე, ზეთები დავასხი. შიგანი შიგავ შეუკრიფე, მის მის ადგილს დავაწყევ, მუცელი გაუკერე, მაგრად შეუკარ. რა გაეღვიძა, წამლით ხელი შეუწყე, გავამთელე, მორ

[1] „წიგნი საქიმოი“, გვ. 273.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 134.
[4] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 250.

ჩა, გასუქდა, გაკეთდა. დიდათ მიქებდნენ ხელოვნებასა და მაქებდნენ ყოველნი"[1].

ქვემოთ დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებიდან მოყოლებული, ისეთ ფაქიზ ოპერაციებსაც კი აკეთებდნენ, როგორიც არის ოპერაციები თვალზე.

XVIII საუკუნის წყაროებში გვხვდება, აგრეთვე, მეტად საინტერესო ცნობები თირკმლის კენჭოვანი დაავადების ოპერაციული წესით მკურნალობის შესახებ: „...იმისი უმჯობესი და სასარგებლო საქმე არის გამოჭრა კარგის გამოცდილის ჯარასაგან,..."[2]

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა", დასახელებული გამოცემა, გვ. 109—110.

2 „კარაბადინი", ხელნაწერი № 136, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი.

თ ა ვ ი IX

შინაგანი სნეულებანი

შინაგან სნეულებათა კლინიკისა და მკურნალობის საკითხები ძველ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი. დაავადებათა სიმპტომატოლოგია ხშირ შემთხვევაში უახლოვდება თანამედროვე აღწერილობებს; რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებსა და განსაკუთრებით დაავადების განვითარების მექანიზმს, აქ სავსებით იჩენს თავს ეპოქისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობა ბუნების მოვლენათა ამოცნობის საკითხში.

განვიხილოთ ფილტვების დაავადებები.

საქართველოში ფილტვის დაავადება ძველთაგანვე იყო ცნობილი. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ უკვე მე-11 საუკუნეთ დათარიღებულ სამკურნალო წიგნში ფილტვების მთელი რიგი სნეულებანი საკმაოდ ზუსტად არის აღწერილი. აქვე არის ცდა ცალკეული კლინიკური ნიშნების მიხედვით. იმის დადგენისა, თუ ფილტვის რა ნაწილია პათოლოგიურ პროცესში ჩათრეული: „თუ მკერდშიგა მძიმედ იყოს იცოდი, რომე სენი ფირტუშიგან არის, და თუ მკერდი ეწვოდეს და სტკიოდეს იცოდი, რომე სენი მკერდსა და მისსა გარეშემოსა არის ...თუ სენისა ამოსულა ძნელად იყოს და ხუელითა იყოს, იცოდი რომე სენი ფირტუისა თხალხალშიგან[1] იყოს, გუიან გუიან ახუელებდეს. და თუ მწოვედ ახუელებდეს და თავიცა სტკიოდეს, იცოდი რომე სენი ფირტუისა შუაზედა არის და თუ პირისა სახე წითლად იყოს იცოდი რომე სენი ფირტუშიგან არის"[2].

მოტანილი ამონაწერის ავტორს მიაჩნია, რომ თუ ავადმყოფს სახე აწითლებული აქვს, მკერდში სიმძიმეს გრძნობს („...მკერდშიგან მძიმედ იყოს...") და დაავადების დასაწყისი მწვავეა („..ფიცხლად დაეწყოს..."), ფილტვის დაავადებას აქვს ადგილი. ავტორი ცდილობს კლინიკური ნიშნების მიხედვით გაარკვიოს პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაცია ფილტვებში და ბრონქებში.

ძლიერი („მწოვე") ხველა და თავის ტკივილი, მისი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ პათოლოგიური პროცესი ფილტვის ქსოვილში ღრმად არის ლოკალიზებული („...თუ მწოვედ ახუელებდეს და თავიცა სტკიოდეს იცოდი რომე სენი ფირტვისა შუაზედა არის..."); დაავადების თანდათანობითი დაწყება, იშვიათი და გაძნელებული ხველა მიჩნეულია დაავადების ბრონქებში („თხალხა-

---

[1] ჩვენი აზრით, ამ სახელწოდების ქვეშ ბრონქები და ბრონქიოლები უნდა იგულისხმებოდეს, ამას ამტკიცებს ამავე წიგნში არსებული „თხალთხალის" განმარტება. „თხალთხალი ამას ქუიან, რომე ფირტუშიგან ხურელ-ხურელი იქნების". რა თქმა უნდა ფილტვების ანატომიური შესწავლის დროს ძველ ექიმებს ხვრელების სახით მხოლოდ გადაკრილი ბრონქების ღანახვა შეეძლოთ.

[2] „უსწორო კარაბადინი", გვ. 254.

ლი") გავრცელების ნიშნად. რაც შეეხება მკერდის ტკივილსა და წვის შევრძნებას, მისი აზრით, ეს უკანასკნელი „მკერდსა და მისთა გარეშემოსა" არსებულ პათოლოგიაზე მიუთითებს, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგჯერ პლევრიტისა და ემპიემის სახით იყო გამოხატული.

მე-13 საუკუნით დათარიღებულ წიგნში ფილტვების დაავადებების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „ფ ი რ ტ ვ ი ს ა ს ი წ ყ ლ უ ლ ე, რომელსა ჰქვიან არაბულად სილი... სინედლითა სიფიცხისგან იქნების რომელ ფირტვისა შიგან შეიყაროს, ანუ მ კ ე რ დ ს ა შიგან ანუ ფ ი რ ტ ვ ს ა ზ ე დ ა გამოვიდეს და გაწყლულდეს, და თხამლი სდიოდეს. ნიშანი მისი... იგი არს რომელ ტანი დაძ-ჭლდეს და მიწყით ლბილად აცხროებდეს და თხამლი რომელ ხორხისაგან ამოვიდეს ყვითელი იყოს და მკერდისა სიწყლულე იგი არს რომელ ცხროი მხურვალი იყოს და მკერდი სტკივოდეს"[1]. მოტანილ ამონაწერში კლინიკური ნიშნების გამოვლინების საფუძველზე გარჩეულია ფილტვების დაავადება, რომელიც ხასიათდება წყლულის ლოკალიზაციით ფილტვის შიგნით ან ფილტვზე („ფირტუზედა"), დაავადების იმ ფორმებისაგან, რომელთა დროსაც აღნიშნული წყლული მკერდშია („...მკერდსა შიგან...").

დაავადების პირველი ორი სახე ხასიათდება ტემპერატურის მომატებით, წონაში დაკლებით და ყვითელი, ჩირქოვანი ნახველის გამოყოფით („...თხამლი რომელ ხორხისაგან ამოვიდეს ყვითელი იყოს..."). რაც შეეხება მკერდის წყლულს, მისთვის ჩირქოვანი ნახველის გამოყოფა არ ყოფილა დამახასიათებელი. ამ დაავადების ძირითად სიმპტომებად მიჩნეულია ტემპერატურის მომატება („...ცხრო მხურვალი იყოს...") და ტკივილი მკერდში

ცნება „წყლულის" ქვეშ, როგორც აღნიშნული იყო თავში „ჯანმრთელობა და დაავადება", სხეულის მთლიანობის დარღვევის სხვადასხვა ფორმებს აერთიანებდნენ. ანალოგიური მდგომარეობაა ცნება „ფირტვის სიწყლულის" მიმართ. ამ სახელწოდების ქვეშ ფილტვის ქსოვილის დარღვევით გამოწვეული სამი დაავადება უნდა იყოს გაერთიანებული. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოებაც ლაპარაკობს, რომ მე-18 საუკუნის დიდ ქართველ ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანს „სილი" განმარტებული აქვს, როგორც „სენი ხველისა", ხოლო ჭლექის განმარტება ცალკეა მოცემული. „წიგნი საქიმოის" ლექსიკონში, რომელიც პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ არის შედგენილი, „სილის" შესახებ ნათქვამია, რომ იგი არაბულად ჭლექს ნიშნავს. მთელ რიგ სხვა სამკურნალო წყაროებშიც აღნიშნული კლინიკური სურათი სილის სახელწოდებითაა მოცემული. მაშ რატომ დასჭირდა საბას სილისა და ჭლექის ცალ-ცალკე წარმოდგენა? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სილი, ანუ „ფირტვის სიწყლულე" ძველ ქართულ მედიცინაში კრებით სახელწოდებას წარმოადგენდა, ჭლექი კი მასში შემავალ ერთ-ერთ დაავადებას ერქვა. მთელ რიგ ძველ სამკურნალო წყაროებში, საბას განმარტების მსგავსად, „სილი" ხველებით მიმდინარე დაავადებათა ჯგუფშია გაერთიანებული.

მე-18 საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ სამკურნალო წიგნში „ფირტვის წყლული" კვლავ წარმოდგენილია როგორც ზოგადი ცნება, რომელიც აღნიშნავს ფილტვის სხვადასხვა ნაწილში ლოკალიზებულ დაავადებას: „მუწუკი ფირტვის

[1] „წიგნი საქიმოი", გვ. 161.

ზემოს კერძოზედ და აგრევე გულის (გულმკერდის ბ. რ.) გარეგანს კერძოზედ, რომელსაც გუერდისა და გულისა ბეუალად ეძახიან"[1].

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ზემოაღნიშნულ დაავადებათა სიმპტომატოლოგიას, საიდანაც ჩანს, რომ პირველი მათგანი ფილტვების არა-სპეციფიკურ და სპეციფიკურ დაჩირქებით პროცესებს გულისხმობს, ხოლო მეორე პლევრის დაავადებით მიმდინარე პროცესებს.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზემოთ მოტანილ ამონაწერებში დაავადების პროგნოზის ირგვლივ მსჯელობის დროს არის ცდები დაძლეულ იქნეს ჰუმორალური პათოლოგიის დოგმები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცალკეულ დაავადებათა კლინიკური ნიშნების გათვალისწინების საფუძველზე გარკვეული დასკვნები გამოაქვთ ამა თუ იმ ორგანოში მომხდარ პათომორფოლოგიურ ცვლილებებზე (წყლულის გაჩენა და სხვა).

გადავიდეთ ფილტვის ცალკეულ დაავადებათა განხილვაზე. აი როგორ არის აღწერილი მე-11 საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში ფილტვების ტუბერკულოზი:

„ნიშანი ესე იყოს მუდამად ახუელებდეს და მწოვედ აქშინვებდეს, სწყურდებოდეს და ხორცნი დნობაშიგან იყუნენ და ხანკამიერად სისხლსა ამოიღებდეს. და პირისა სახე წითელი იყოს და წყნარად აცხელებდეს. საღამოს, ჭამის უკანით უფრო აცხელებდეს... რა ესე ნიშანი ნახო, იცოდე სილი არის, ფირტუისა ტკივილსა ქუიან... ამა სენისათვის ავი არის რომე მუცელშიგა გახსნით იყოს..."[2].

ამრიგად, ფილტვის აღნიშნული დაავადების ნიშნებად მიჩნეული ყოფილა მუდმივი ხველა, სუნთქვის გახშირება, ფილტვებიდან სისხლის დენა და ისეთი ხასიათის ტემპერატურის მომატება, რომელსაც ძველი ექიმები წყნარად ცხელებას უწოდებდნენ („...წყნარად აცხელებდეს..."). თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში მართლაც ფილტვის ტუბერკულოზის აღწერილობასთან გვაქვს საქმე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოტანილ ამონაწერში ტუბერკულოზის ერთერთი გართულებაც არის აღწერილი ფალარათის სახით, რომელიც მეტად საშიშად ითვლება. ტუბერკულოზის ფონზე დისპეფსიური მოვლენების განვითარება, მართლაც ცუდი ნიშანია, ვინაიდან ეს უკანასკნელი შეიძლება სპეციფიკური წარმოშობისა იყოს.

მე-13 საუკუნეში ფილტვის ტუბერკულოზი გაერთიანებული ყოფილა დაავადებათა გარკვეულ ჯგუფში, სახელწოდებით „ფირტვის სიწყლულე".

„ფირტვისა სიწყლულე, რომელსა ჰქვიან არაბულად სილი.... იგი არს რომელ ტანი დამჭლდეს მიწყით ლბილად აცხროებდეს და თხამლი რომელ ხორხისაგან ამოვიდეს ყვითელი იყოს"[3].

ამ შემთხვევაში წარმოდგენილია შემდეგი კლინიკური ნიშნები: წონაში დაკლება, ტემპერატურის მომატება და ხველა ჩირქოვანი ნახველით.

მე-15 საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში ფილტვის ტუბერკულოზის აღწერილობა ტექსტუალურად თანხვდება მე-11 საუკუნის აღწერილობას, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

---

1 „კარაბადინი" ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 „უსწორო კარაბადინი", გვ. 261—262.

3 „წიგნი საკიმოი", გვ. 161.

მე-18 საუკუნეში შედგენილ განმარტებით ლექსიკონში[1] უკვე ჩანს ფილტვების ტუბერკულოზის სახელწოდება „ჭლექი", („ჭლექი" — სიმჭლის სენი) შესაძლებელია აღნიშნული სახელწოდების ფუძედ სიტყვა „მჭლე" იყოს გამოყენებული.

მოვიტანოთ ამონაწერი მე-18 საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან, სადაც ფილტვის ტუბერკულოზის დამახასიათებელი ნიშნები საკმაოდ ზუსტად არის გადმოცემული:

„ფილტვის მუწუკის დროს ურჩევ რომ დაუძახონ ან ექიმს და ან ჯარას და თუ არ იყუნენ ამისათვის ვიტყვი რომელსა მოკლეს ნიშნებს. ყოვლად უფრო ამას უნდა გაუფრთხილდეს, სხვა სნეულება ფილტვის მუწუკად არ ეგონოსთ და ამის სიფრთხილისათვის ვაჩვენებ აქ კულავად რომელთამე ნიშნებთა რომლითაც იცნობება ფილტვის მუწუკი, სნეულს მოსცემს სიცხეს, მძიმეს ქშენით ექნება ხმელი ხუელა, სულის გუბებით. ხანდახან გამოვა ყვითელი ნახველი, რომელიც მესამე დღეს აირევა ცოტას სისხლით. მტკივანს გუერდზედ ვერ დაწვება, და როდესაც დაწვება მტკივანს გვერდზე, თუმცა ჰგრძნობს სიძნელეს და დაჰირებას მაგრამ ტკივილი შეუმსუბუქდება, ამასთან თვალები და ლოყები გაუწითლდება"[2].

მოტანილი ამონაწერი ამოღებულია პოპულარული საოჯახო კარაბადინიდან, რომელიც ექიმთათვის არ ყოფილა განკუთვნილი. უთუოდ ამის გამო ჭლექის ნიშნების გადმოცემის დროს კატეგორიულად არის მითითებული, რომ სნეული გაასინჯონ ექიმს ან დასტაქარს („ჯარას"). კარაბადინი, როგორც ჩანს, იმ შემთხვევისათვის იყო განკუთვნილი, თუ ექიმის მოყვანა დროულად ვერ მოხერხდებოდა. დაავადების სურათი შემდეგნაირად არის გადმოცემული: ავადმყოფს ლოყები და თვალები შეწითლებული აქვს, აწუხებს მაღალი ტემპერატურა, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება და ხველა ყვითელი ნახველით, რომელშიც მესამე დღეს ცოტა სისხლი აირევა. მტკივან გვერდზე წოლა ავადმყოფს უჭირს, თუმცა ხველის მხრივ ამ დროს მდგომარეობის ერთგვარ შემსუბუქებას გრძნობს. საექიმო წიგნში აღწერილია აგრეთვე ჭლექის ისეთი ფორმაც, რომელიც სისხლის დენით არის გართულებული. აი ეს აღწერილობა: „სისხლის დენა გულიდამ ან ყელიდამ საშიშია და სიჭლექის შემომღები და ამით სნეულებენ ყმაწვილნი კაცნი, რომელთაც აგებულებით აქუსთ ფილტვი სუსტი და ეგრეთნი რომელნიც სხვათა და სხვათა მავნებელთა საქმეთა მიეცნენ ამას ესე იგი არს ან ძალიანის სიარულით, ჭენებით, ჭიდაობით, აწევით... ფილტვის მუწუკის ქონებით, ოდესმე ეს სისხლის დენა იქნება ზომიერად, და ოდესმე ასე ძალიან, რომ პირით სავსე. ეს სნეულება შემოდგომის მიზეზით იქნება, როდეს ფილტვის სისხლიერნი ძარღუნი დიდის მისწრაფებისა და განმრავლებისაგან მათ შინა სისხლისა ან გასკდებიან თავის გვერდებში ან გავრცელდებიან პირში ან სრულიად განწყდებიან. როგორც პირველი ორი მიზეზი შეხუდებათ ყმაწვილ დედაკაცებს, როდესაც სამთვარიო დაუდგებათ მაშინ ის სისხლი ამოვა ფილ-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა", სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით. სახელგამი 1949.

[2] გაიოზ არქიმანდრიტი, „კარაბადინი". ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, ხელნაწერი № 136. გვ. 35 v.

ტვებში და მისთუის ისინი ამ სნეულებიდან ვერ განთავისუფლდებიან მანამ ის სისხლი თავის ადგილას არ დაბრუნდება, და თუ ის ფილტვის ძარღვები დაწყდებიან, მაშინ დიდი საშიშია, როგორც იტყვიან კარგნი მკურნალნი ამისთვის მასუკან ფიცხლავ დალპება, ფიცხლავ გარდაექცევა ჭლექად და მალე მოასწრებს სიკუდილი[1].

მოტანილ ამონაწერში ჩამოთვლილია მიზეზები, რომელიც ხელს უწყობს ფილტვებიდან სისხლის დენას და ჭლექის განვითარებას. ამ მიზეზებს შორის დასახელებულია გადაჭარბებული სპორტული ვარჯიში (ცენება, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა და სხვა). ფილტვებიდან სისხლის დენის ობიექტად ის ახალგაზრდებია დასახელებული, რომელთაც „აგებულებით აქუსთ ფილტვი სუსტი" და დაავადებული არიან „ფილტვის მუწუკით"; აქვე განხილულია ფილტვებიდან სისხლის დენის სახეები. როგორიცაა „სისხლის დენა", ზომიერად სისხლის დენა სავსე პირით დ სხვ. ამონაწერის ავტორი ცდილობს დაადგინოს სისხლის დენის მექანიზმი და სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ სისხლის დენის უშუალო მიზეზი ფილტვის სისხლის ძარღვების დაზიანებაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფილტვებიდან სისხლის დენა, შეცდომით ფილტვის ტუბერკულოზის მიზეზად არის მიჩნეული და არა გართულებად („...სისხლის დენა გულიდამ ან ყელიდამ საშიშია და სიჭლექის შემომღებია...").

ფილტვების დაწყლულებით და დაჩირქებით გამოწვეული დაავადებანი ძველ ქართულ მედიცინაში საკმაოდ ფართოდ არის აღწერილი. აღწერილობა ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად ზუსტია, რომ შესაძლებელი ხდება დადგენა, თუ დაავადების რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე. დაავადება, რომელიც თავისი კლინიკური სიმპტომატოლოგიით ფილტვის აბსცესს ემსგავსება, სხვადასხვა ეპოქაში აღწერილია სახელწოდებით „მკერდის ტკივილი", „შავა", „ფირტვისა და მკერდის წყლული", „ფილტვის მჯდომი", „ფილტვის მუწუკი" და სხვა.

აი რას ეკითხულობთ ამ დაავადების შესახებ მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში:

„ნიშანი მკერდისა ტკივილისა... და შავასა ოთხი ნიშანი არის, პირველი ესე რომე სულსა ვეღარ იქცევდეს და ხუელა ერთობ ეყოს და გუერდი დაკოდილითა სტკიოდეს. და ისი რომე სულსა ვერა იქცევდეს, იგი სენისა სიმაგრისაგან იქნების და ნამეტნავი ხუელა სინედლისაგან იქნების, რომე მკერდსა შიგა შეგროვებული იყოს და გუერდი დაკოდილივითა რომე სტკიოდეს ისი დაკეცილისა ბუდისაგან იქნების და ერთობ სიცხისაგან იქნების, რომე ბუდესა შეიყაროს და ბუდე გააცხელოს"[2].

ირკვევა, რომ დაავადების ზემოაღნიშნული ფორმისათვის დამახასიათებელი ყოფილა ძლიერი ხველა, ქოშინი, ტკივილი გვერდში და ტემპერატურის მომატება. ყურადღებას იქცევს კლინიკური სიმპტომების თავისებური ახსნაც. მაგალითად, ხველის მიზეზად დასახელებულია „გულმკერდში „სინედლის შეყრა". უნდა ვიფიქროთ, რომ სინედლე ამ შემთხვევაში ნახველის მნიშვნელობით არის ნახმარი. გვერდის ტკივილის მიზეზად ავტორს

---

[1] გაიოზ არქიმანდრიტი, „ქარაბადინი". ხელნაწერი № 136. გვ. 49 R, იოანე ბატონიშვილის ფონდი. ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2] „უსწორო ქარაბადინი", გვ. 263.

მიჩნეული აქვს „ბუდისა დაკეცვაი". რა იგულისხმება ფილტვის ბუდის ქვეშ ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, გულის ბუდის ანალოგიით, რომელიც პერიკარდიუმს გულისხმობს, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ფილტვის ბუდის სახელწოდების ქვეშ პლევრაა ნაგულისხმევი.

ფილტვის დაჩირქებით მიმდინარე დაავადებათა გამოკვლევის ერთერთ ძირითად საშუალებად მიჩნეული ყოფილა დაკვირვება ნახველის გამოყოფაზე: აგრეთვე ნახველის ფიზიკური თვისებების შესწავლა.

„თუ პირველად ბალღამსა დაუწყოს ამოღება, იცოდი რომე დარჩება, და თუ უფრო დამძიმდეს იმისი იცოდი რომე სენი ფირტუშიგა ჩავა. მეორე ნიშანი ესე არის რომე დუეი სქელი და ბალღმიანი ამოვიდეს, ისი დამქავებული არ იყოს..."[1].

ამრიგად, ირკვევა, რომ ნახველის თავისუფლად გამოყოფა, რაც აბსცესის ღრუს გახსნაზე მიუთითებს, პროგნოზის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად ყოფილა მიჩნეული. დიაგნოსტიკისადმი მიძღვნილ თავში, ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ნახველის გამოკვლევის წესი, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამოყოფილ ნახველს წყლით სავსე ჭურჭელში ათავსებდნენ, თუ ნახველი ჩირქოვანი იყო, იგი ადვილად ჩაიძირებოდა, ხოლო თხელი ლორწონარევი ნახველი კი წყლის ზედაპირზე იწყებდა ტივტივს. მოტანილი წესი ძირითადად ფილტვების დაავადებათა შესწავლის დროს გამოიყენებოდა. აი კიდევ ერთი აღწერილობა ფილტვის დაჩირქებით მიმდინარე დაავადებისა, რომელიც იმავე მეთერთმეტე საუკუნის ძეგლში გვხვდება. „სხუაი ხუელისა, რომე ფერდი დაწყლულებული იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე გაუწყვეტლად იყოს ხუელა და ცხელებაცა სჭირდეს. მჭლებოდეს დღივ და ღამე, ბალღამს სისხლი ყუებოდეს"[2].

მეცამეტე საუკუნეში ფილტვის დაჩირქებით მიმდინარე დაავადებანი ფილტვების ტუბერკულოზთან ერთად „ფილტვის სიწყლულის" სახელწოდებით ყოფილა გაერთიანებული. მე-13 საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში ფილტვის აბსცესი განხილულია, როგორც „ფილტვის სიწყლულის" ისეთი შემთხვევა, როდესაც „ფილტვის სიწყლულესთან" ერთად „მკერდის სიწყლულესაც" აქვს ადგილი: „...იქნების რომელ მკერდიცა და ფილტვიცა ორივე აწყლულდეს კაცსა..."[3] მოვიტანოთ ამონაწერი, სადაც თვით დაავადების კლინიკური სურათია აღწერილი:

„...ცხროი ლბილად იყოს და ტანი მჭლე იყოს, და ფრჩხილნი გამრუდდენ სინედლისა მოდნობისაგან და ხველისა ჟამსა თხამლი მყრალი ამოვიდეს. და ფერხნი გასივდენ და საჭამადსა არ ინებდეს, ჰავადმყოფი კაცი ამით მანკითა"[4].

როგორც ვხედავთ, მოტანილ ამონაწერში მოცემულია ფილტვის აბსცესის ნიშნები: ტემპერატურის მომატება, წონაში დაკლება, ტროფიკული ცვლილებები კიდურებზე („... ფრჩხილნი გამრუდდენ..."), უმადობა („..საჭამადსა არ ინებდეს...") და ხველა ლორწოვანი და ჩირქნარევი მყრალი ნახველით. აბსცესის კლინიკურ სურათს არ ეგუება ქვემო კიდურების შეშუპება („...და ფერხნი გასივდენ..."), შესაძლებელია ქვემო კიუდრების შეშუპება გამოხატავდეს გულის ან თირკმლის დაავადების ერთ-ერთ სიმპტომს (ფილტვისმიერი გული, ნეფრო-

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 263—264.
[2] იქვე. გვ. 261.
[3] „წიგნი საექიმოი", გვ. 261.
[4] იქვე.

ზი), რითაც არაიშვიათად რთულდება ხოლმე აბსცესი. როგორც ჩანს, ეს სიმპტომი ავადმყოფზე დაკვირვების დროსაა შემჩნეული და შეცდომით აბსცესის ძირითად ნიშნად არის მიჩნეული.

„ფილტვის სიწყლულის“ სახელწოდებით გაერთიანებულ დაავადებათა გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა ტვინის ანთება („სარსამი“), აგრეთვე გაციება და სურდო-ხველა. ხორხიდან სისხლის ამოღება, რომელიც აბსცესის ან ტუბერკულოზის უშუალო შედეგია, „ფირტვის სიწყლულის“ გამომწვევ მიზეზად ყოფილა მიჩნეული; შესაძლებელია ეს იმის გამო მოხდა, რომ ხშირად ეს ორი დაავადება სწორედ ამ სიმპტომით მეღავნდება.

„ვითარება ფირტვისა სიწყლულისა... ესე მანკი სარსამისგან იქნების, ანუ სურდოსა უკანით რომელ დიდხანს სჭირვებოდეს და თავისგან ჩამოვიდეს, ანუ ხველასა უკანით შეექნების, ანუ სისხლისა სიმრავლისგან იქნების, რომელ ხორხისგან ამოვიდეს...“[1].

დაავადების პროგნოზი განსაზღვრულია, როგორც უაღრესად საშიში. განსაკუთრებით უიმედოდ ყოფილა მიჩნეული მისი ქრონიკული ფორმები: „და თუ მანკი ძველი იყოს არა იკურნების...“[2].

„...ესე მანკი მით ძნელი არს, რომელ ფირტვი აწყლულდეს უკვე არ გამრთელდების...“[3].

დაავადების მოურჩენლობისა და სიმძიმის მიზეზების შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: „...არ გამრთელებაი ამის მანკისა მისგან არს, რომელ ფირტვი სილითა კვეთისა სისხლი არს, და წამსა ძვირისაგან არ დასწყნარდების და სიწყლულესა ვერ ჰკურნებდე, სიწყნარე ეხმარების და არ შეძრვაი, რომელ წამალი შეუხდეს და არგოს რაიმე, დაამწიფოს და გაამრთელოს. და ფირტვი ძვრისაგან არ დასწყნარდების და ამისთვის ძნელად იკურნების...“[4].

ამრიგად, მეცამეტე საუკუნეში ცნობილი ყოფილა, რომ ფილტვში არსებული წყლულის (აბსცესი, კავერნა) შეუხორცებლობის მიზეზს ფილტვის „ძვრაი“, ანუ მისი სუნთქვითი ექსკურსია წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ფილტვის კავერნოზული ტუბერკულოზის თანამედროვე მკურნალობა პნევმოთორაქსით და კოლაფსოთერაპიით, სწორედ ამ ხელშემშლელი მიზეზის (ფილტვის სუნთქვითი ექსკურსიის) გამორიცხვას გულისხმობს.

ამავე საუკუნეში „მკერდის სიწყლულის სახელწოდებით, აღწერილია ისეთი ფორმები ფილტვების დაავადებისა, რომელთა კლინიკური ნიშნებია ტემპერატურის მომატება და ტკივილი გულმკერდში.

„...მ კ ე რ დ ი ს ა ს ი წ ყ ლ უ ლ ე იგი არს რომელ ცხრაი მხურვალი იყოს და მკერდი სტკივოდეს“[5]—აღნიშნავს ავტორი. ზემოთ ჩვენ უფრო ფართოდ მოვიტანეთ აღნიშნული ციტატი, იმის საილუსტრაციოდ, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ყოფილა ცდები დაავადებათა დაჯგუფებისა პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციისა და პათომორფოლოგიური ცვლილებების მიხედვით. ამჯერად კი ჩვენი მიზანია დავადგინოთ ზემოაღნიშნული დაავადების სიმპტომატოლოგია, რომელიც, როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, ძირითადად გამოიხატება მკერდის (გულმკერდის) ტკივილში და ტემპერატურის მომატებაში.

---

1 „წიგნი საკიმოი“, გვ. 161.,

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

„მკერდის სიწყლულის“ კლინიკურ სურათს გარკვეულად ავსებს ამავე სამედიცინო წიგნში აღწერილი დაავადების—ე. წ. „გვერდთა სიმსივნის“ შემდეგი ნიშნები: „(ნიშანი) ...იგი არს, რომელ პირი წითლად ედგას და მაჯასი ადგომილი იყოს და სული დამოკიდებულ იყოს... ტკივილი გვერდსა შიგან ვითა ისარი სცემდეს და ცხრილი ფიცხელი იყოს...“[1]

ამრიგად, დაავადებას, რომელსაც ავტორი „გვერდთა სიმსივნეს“ უწოდებს შემდეგი კლინიკური ნიშნები ახასიათებს: პირისახის შეწითლება, სუნთქვის შემოკლება, მაჯის პათოლოგიური შეცვლა („...მაჯაში ადგომილი იყოს...“), ტემპერატურის მომატება და ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი.

მოტანილ ამონაწერებთან გაცნობის შემდეგ, სავსებით დასაშვებია, რომ „მკერდის სიწყლულის“ და „გვერდთა სიმსივნის“ სახელწოდებით სხვადასხვა ხასიათის პლევრიტები ყოფილა აღწერილი. მით უმეტეს, რომ „გვერდთა სიმსივნე“ ავტორს განმარტებული აქვს, როგორც „გვერდის ფარდაგებში“ ლოკალიზებული პათოლოგიური პროცესი („...გვერდთა სიმსივნე.. მორევნისა სისხლისაგან იქნების, ანუ ზაფრისა მორევნისაგან იქნების, რომელ გვერდისა ფარდაგსა შიგან შეეყენოს, და რაი დია შეიყაროს მას ადგილსა სიმსივნედ შეიქნების“)[2]. მეცამეტე საუკუნეში „მკერდის წყლულს“ მკურნალობის დროს სხვადასხვა შესაზელ საშუალებებს ხმარობდნენ: იცავდნენ დიეტურ რეჟიმს, ზოგჯერ მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას.

მეთხუთმეტე საუკუნეში ფილტვის ჩირქოვანი დაავადება (აბსცესი) „ფილტვის მჯდომისა“[3], ანუ „მღიერის“ სახელწოდებით ყოფილა ცნობილი. აი როგორ აღწერს მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული სამკურნალო წიგნის ავტორი ამ დაავადებას:

„თუ ნახველი შავი ან ერთობ ყუითელი იყოს. რა ესე ნიშანი ნახო კაცშიგან, იცოდი რომე ფირტუზედან მჯდომი არის. და თუ გაგრძელდეს ესე სატკივარი და ცხელება და ჩხუერა არა დასწყნარდეს, ოც დღემდის ამა წესითა იყოს. იცოდი რომე ავი ნიშანი არის და რა ესე ნიშანი სენი გამოჩნდეს და შიგნით ისი მჯდომი არ გასქდეს და არცა სული უდიოდეს და ხახა შიგან ხრინვიდეს და პირი გაუწითლდეს და თუალნი ღრმად უკუსცუივდენ. იცოდი რომე სიკვდილი მოსწურვია“[4]. ამონაწერის მიხედვით აღნიშნული დაავადების სიმპტომებად მიჩნეული ყოფილა ხველა ყვითელი ან შავი ნახველით, ტემპერატურის მომატება და ტკივილი მკერდის მიდამოში. ამავე ამონაწერში ყურადღებას იქცევს დაავადების ისეთი ფორმის აღწერილობა, რომლის დროსაც აბსცესის ღრუ არ არის გახსნილი ბრონქში („...შიგნით ისი მჯდომი არ გასკდეს...“), წინადადებაში „...არცა სული უდიოდეს“ — სწორედ აბსცესისათვის დამახასიათებელი მყრალი სუნის ამოსვლა უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან ამავე სამედიცინო ძეგლში ეს სიმპტომი მრავალჯერ არის აღწერილი, როგორც ცუდი პროგნოზის მაჩვენებელი: „თუ სუნთქვა მყრალი იყოს ავი ნიშანი არის“[5].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც მეთერთმეტე და მეცამეტე სა-

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 162.

[2] იქვე.

[3] მჯდომი—შიგანში დიდი მუწუკი (საბა).

[4] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 187.

[5] ზაზა ფანასკერტელი, „კარაბადინი“, Q ფონდი, ხელნაწერი № 877, ინახება საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

უკუნის საექიმო წიგნებში, ამ შემთხვევაშიც არის ცდა ფილტვის და პლევრის დაავადებათა ურთიერთდიფერენცირებისა.

„თუ სენი და ფეთქა ერთობ იყოს და ძარღუებშიგან სიცხე არ იყოს, ამა სენისა. ძალი გასინჯე, მკერდი და გვერდი გაუსინჯე თუ სენი მკერდშიგან უფრო არს, თუ გვერდშიგან და თუ ბუდესა შიგა"[1]. ამრიგად, წინა ეპოქის ხელთნაწერების მსგავსად, აქაც გარჩეულია სენის ლოკალიზაცია, გულმკერდში და „ბუდეში" ანუ პლევრაში. ამ შემთხვევაში ჩვენ დაავადების მეორე ფორმა გვაინტერესებს, რომელიც თავისი მიმდინარეობით პლევრიტს ემსგავსება. მოვიტანოთ სათანადო ამონაწერი:

„... გუერდი სტკიოდეს და წიბოთ ქუეშე სჩხულეტდეს და ხმელად ეხუელდეს ცხლად იყოს და გუერდი წიბოთურთ სტკიოდეს"[2]. ამ შემთხვევაში დაავადების კლინიკურ ნიშნებად მიჩნეულია გვერდის ტკივილი ნეკნების ქვეშ („წიბოთ ქუეშ..."), ხმელი ხველა და ტემპერატურის მომატება.

როგორც აბსცესის ისე პლევრიტის დროს მოწოდებული ყოფილა სისხლის გამოშვება: „..ფიცხლად ყოფალი და ბასალიყე გაუხსენ იქით, სათცა სტკიოდეს...[3].

სამკურნალო საშუალებებიდან აძლევდნენ „ქერის წყალს" (ქერის გამონახარშს). იხმარებოდა აგრეთვე რთული შემადგენლობის შესაზელი წამლები: ავადმყოფს ურჩევდნენ დიეტის დაცვას, უკრძალავდნენ ე. წ. „მხურვალი" ბუნების მქონე საკვების მიღებას და სხვა. აღსანიშნავია, რომ პლევრიტის და აბსცესის მკურნალობა წამლეულით დიდი სიფრთხილით წარმოებდა.

„...უმეცარი აქიმი რა ამისთანასა სენიანსა კაცსა ნახავს, აგრე ჰგონია, თუ სიგრილისაგან არისო, მხურვალსა წამალსა მისცემს და კაცსა მოჰკლავს. ამას კარგად შეტყობა და გასინჯვა უნდა..."[4]

მეთვრამეტე საუკუნეში, ფილტვის დაჩირქებით მიმდინარე დაავადებანი, აგრეთვე პლევრიტი და ტუბერკულოზი „ფილტვის მუწუკის" ან „ბრეუალის" სახელწოდებით ერთ ჯგუფში ყოფილა გაერთიანებული.

მიზეზად ამისა (ბრეუალასი) „...იქნების განსივება, დამუწუკება ფილტვისა, რომელიც უმეტეს გარეგანსა ადგილსა დაიბყრობს"[5]—ვკითხულობთ მეთვრამეტე საუკუნის ერთერთ სამედიცინო ხასიათის ხელნაწერში. მოვიტანოთ კიდევ რამდენიმე ამონაწერი ამავე სამედიცინო ხელნაწერიდან: „...ღაწუნი სნეულისანი მწითურ, ბაგენი გამომშრალ და სწყურს. განდიდება ამათ შეხდომათა წინაღდეთ აუწყებს, რომელ ჩირქი ჩადგა, მაშინ ხუელა იქნების გაუწყუედელი, რომელიც მოძრაობისა ჟამსა უმეტეს განძლიერდების, ანუ ოდესცა სნეული მიიღებს სასმელ საჭმელს; ამ გუერდზედ ოდენ შეეძლა წოლა, რომელიც სტკივა, და ოდესმე ხშირად არ შეეძლო წოლა. და მრთელს დღეს იძულებულია ჯდომად, ოდესმე

---

1 „სამკურნალო წიგნი", გვ. 323.

2 იქვე, გვ. 187.

3 იქვე.

4 იქვე.

5 ხელნაწერი № 2164, ფონდი H, გვ. 9 v საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება.

ვერც მიეყუდების, ეშინის რომ ხუელა არ მიემატოს; არც შეუძლია ძილი. სიცხე აქუს გაუწყვეტლად...“[1]

„ბრჭუალი გუერდთა შინა ვითარმედ იცნობების. ამა ოთხთა ნიშანთა მიერ ძლიერთა ხურვებითა მძიმეთა ქშენითა, ხუელებითა და მწარითა ტკივილითა გარემოსა გულისა“[2].

„...როდესაცა შუწუკი დაბაყლდების და ვინემ სად არ გამოიცლების ჩირჭისაგან, სანამ ყოველი შეხდომა ჩემს მიერ გამოწერილი მოიმატებს, და მუწუკი განდიდების ოდესმე კერძო სნეულისა ფილტვისა იქნების პარკად ჩირქისა და შეამჭიდროვებს მრთელსა კერძოსა, სნეული მოკუდების მოშთობით საშინელს გულისყრაში, რომელიც იყო სავსე ჩირქითა...“[3].

პირველ ამონაწერში „ბრჭუალას“ ისეთი ფორმაა აღწერილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძლიერი ხველა („...ხუელა ექნების განუწყვეტლად...“) და პირის სიმშრალე.

მეორე ამონაწერში ორი სხვა სიმპტომია დამატებული—ქოშინი და ტკივილი გულმკერდში.

მესამე ამონაწერში ფილტვის „ბრჭუალას“ მეტად გართულებული ფორმაა აღწერილი. იგი თავისი მიმდინარეობით ფილტვის განგრენას ემსგავსება. ავტორის სიტყვით „ჩირქოვანი მუწუკი“ ამ დროს ისეთ ოდენობას აღწევს, რომ თითქმის მთელ ფილტვს იჭერს. („...მუწუკი განდიდების, ოდესმე ყოველ კერძო სნეულის ფილტვისა იქნების პარკად ჩირქისა...“).

სიკვდილის უშუალო მიზეზად ამ დაავადების დროს მიჩნეულია „...მოშთობა საშინელს გულისყრაში, რომელიც იყო სავსე ჩირქითა...“ თუ ზემოაღნიშნულ კლინიკურ ნიშნებს გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტანილ ამონაწერში აბსცესის სხვადასხვა ფორმაა აღწერილი. ამავე ხელნაწერ ძეგლში ვხვდებით აგრეთვე „ბრჭუალას“ ისეთ ფორმებსაც, რომლებიც თავისი მიმდინარეობით პლევრიტს ემსგავსება. საინტერესოა, რომ „ხმელი ბრჭუალას“ სახელწოდებით მშრალი და შეხორცებითი პლევრიტია აღწერილი.

„ფილტვი ბუნებისა მის მდგომარეობის სრულსა სიმრთელისსა შეეხების ნეკნების ფარსა, გარნა არ მიკრულ არს მისდამი ამისად შეხუდების შიდა გულის განფიცხებისა, შიდა ბრჭუალისა და სხუათა შეხდომათა მით, ორნი ესე ნაწილნი შეედუღდებიან ერთმანერთსა და აროდეს გაშორდებიანლა. გარნა ესე თითქმის არ არს სნეულება და ნიადაგ არ უწყიან ესე, ამისათვის ვინაითგან სიმრთელესა არასაითმე მოშლის. და არასაითმე იხმარებენ მორჩომისათვის მისისა. გარნა ვნახენ მე რომელნიმე შეხდომანი რომელთაცა მათ შეხორცებამან ცხადათ ავნო“[4].

მოტანილ ამონაწერში მოცემული მსჯელობა სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული მედიცინის წარმომადგენელთათვის მეთვრამეტე საუკუნეში ცნობილი ყოფილა შეხორცებითი პლევრიტის პათომორფოლოგიური საფუძველი.

პლევრის პარიეტალურ ფურცელს ავტორი „ნეკნების ფარს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ჯანმრთელ ორგანიზმში ფილტვი თუმცა ეხება „ნეკნების ფარს“. მაგრამ მასზე მიკრული არ არის. („...შეეხების ნეკნების ფარს, გარნა არ

1 ზემოაღნიშნული ხელნაწერი, გვ. 32 r.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.

თარს", მაგრამ მასზე მიკრული არ არის. („...შეეხების ნეკნების ფარს, გარნა არ მიკრული არს მისდამი...") ბრჭუალით დაავადების შედეგად ფილტვისა და „ნეკნის ფარის შედეგება" (შეხორცება) ხდება და ასეთი შეხორცებები ავადმყოფს მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება.

ავტორი აკრიტიკებს სხვადასხვა მკურნალთა შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს ზემოაღნიშნული შეხორცებების განვითარება არ არის დაავადების გამოხატულება („სიმრთელესა არასაითმე მოშლის...") და დასძენს, რომ მას თვითონ უნახავს, თუ როგორი ვნება მოუტანა მთელ რიგ შემთხვევებში ადამიანს ზემოაღნიშულმა შეხორცებებმა.

მოვიტანოთ მშრალი პლევრიტის აღწერილობის კიდევ ერთი მაგალითი: „ხმელთა შინა ბრჭუალთა, რომელთა შინა გულისჴიდება, ხურვება, და თავის ტკივილი ფრიად ძლიერ არს. მაჯის ცემა ფრიად მაგარი, და სავსე, ტყავი და ენა უზომოდ გამშრალი, ჯერ არს გამოშუება სისხლისა, ერთისა მცირედრე შემდგომისა, სისხლის გამოშუებანი განაქრობენ ხშირად სნეულებასა, თვინიერ ყოვლისა სხვისა წამლისა"[1].

ამონაწერის მიხედვით, „ხმელ ბრჭუალას" ახასიათებს „გულისჴირება" ტემპერატურის მომატება („ხურვება"), ძლიერი თავის ტკივილი და ენის სიმშრალე. მაჯა ამ დროს კარგი ავსებისაა, დაჭიმულია.

შეიძლება ითქვას, რომ აღწერილი სიმპტომატოლოგია ერთგვარად შეეფარდება მშრალი პლევრიტის კლინიკურ სურათს.

„ხმელი ბრჭუალის", ანუ მშრალი პლევრიტის სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა სისხლის გამოშვება.

მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერი ტექსტების შესწავლით ირკვევა, რომ ძველი საქართველოს ექიმთათვის სველი პლევრიტიც არ უნდა ყოფილიყო უცნობი, თუმცა აღწერილობაში მოცემული მისი ნიშნები არ არის ისე ტიპიური, როგორც მშრალი პლევრიტისა.

აი მასალა, სადაც აღწერილია „ხმელი ბრჭუალა" და მისი გართულება, რომელიც შესაძლებელია პლევრიტის სველ ფორმად მივიჩნიოთ.

„...ბრჭუალი არს მწარე ტკივილი, რომელიცა იგრძნობებისა ნეკნებთა ქუეშე, რომლისაგანცა მიიღო სნეულებამან გუერდის ტკივილი, ანუ ნეკნებისა ჩადრეკა. ტკივილი ესე იქმნების განურჩეველად ყოველთა შინა კერძოთა გულისათა, გარნა განურჩეველად ნიადაგ გუერდებთა შინა, ძუძუს ქუეშ. და ხშირად მარჯუენის გუერდისაკენ: ტკივილი განძლიერდების ხუელასა და ჭშენასა შინა: ესე იგი არს, ოდეს ჰაერსა შეისუნთქავს, და შიში უფრო განამრავლებს მას. რომელნიმე ავადმყოფნი, უმეცრებით, რაოდენცა შესაძლებელ არს, ეცდებიან, რომ ან არ დაახუელონ და არ ამოისუნთქონ,... ჩადგების სისხლი ფილტვებსა შინა რომელიცა მსწრაფლ აღიესების შინაგანი იგი კერძო დასივდების, სისხლი აღიწევის თავად, პირი გაულურჯდების, სნეული გაშთომაზედ მიიწევა და შევარდება საშიშსა მდგომარეობასა შინა...[2]

ამონაწერში აღწერილია „ბრჭუალას" კლინიკური სურათი. ავტორის გადმოცემით აღნიშნული - დაავადება ხასიათდება ტკივილის შეგრძნებით გულმკერდის სხვადასხვა ნაწილში („...ტკივილი ესე იქმნების განურჩეველად

[1] ხელნაწერი, ფონდი H, № 2164. ინახება აკად. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2] იქვე.

ყოველთა შინა კერძოთ გულისათა...“); ტკივილის გაძლიერებას იწვევს ღრმა სუნთქვა („ქშენა“) და ხველა. როგორც გართულება, აღნიშნული დაავადების დროს, აღწერილია ფილტვებში სისხლის ჩადგომა, მათი ავსება სისხლით („...ჩადგების სისხლი ფილტვებსა შინა, რომელიცა მსწრაფლ აღივსების მით“..); პირისახის გალურჯება (ციანოზი) და სუნთქვის მკვეთრი გაძნელება.

მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებული ერთერთ სამედიცინო ძეგლში აღწერილია გარკვეული პროფილაქტიკური ღონისძიებანი „ბრჭუალას“ თავიდან ასაცილებლად. აქვე ჩამოთვლილია ამ დაავადების ხელშემწყობი მიზეზები.

„ბრჭუალის“ განვითარების ერთერთ ხელშემწყობ მიზეზად მიჩნეული ყოფილა ალკოჰოლის მიღება ჭარბი რაოდენობით:

„ცნობილი არს ვითარმედ რომელნი კაცნი, რომელიმეთა ერთჯერ ჰსჭირდათ ეს სნეულება ხშირად მოუბრუნდებისთ, ხანდახან და უფროსღა მომთურალეთა. მე ვნახე ერთი მათგანი რომელმაც ბრჭუალი თვისი აღრიცხა ათორმეტამდე“[1]. როგორც ჩანს, ავადმყოფს ამ შემთხვევაში „ბრჭუალა“ ქრონიკული სნეულების სახით ჰქონია გამოხატული, რომელიც ალკოჰოლის მავნე ზეგავლენით პერიოდულად იჩენდა თავს. ზემოაღნიშნული ხელნაწერის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ბრჭუალასი“, გულის დაავადებებისა და სხვა „ხურვების სნეულებათა“ გავრცელებას „მსოფლელთა“ ე. ი. სოფლის მოსახლეობას შორის და ცდილობს ახსნას ეს მოვლენა: „თუით ხშირნი მიზეზნი სნეულებისანი მსოფლელთა შორის არიან. პირველი ნამეტნავი მუშაკობა გრძლად. ოდესმე მისუსტდებიან იგინი ყოველითურთ სნეულებითა და გამოლევითა ღონითა, რომლისაგანცა იშვიათ განიკურნებიან; ხშირად სნეულებენ იგინი ვითარმე ხურვებისა სნეულებითა; ესე იგი არს ყბაყურთა, ბრჭუალთა, გვერდისა და გულისა ტკივილთა. ორი ღონე არს განრომად ამის სნეულებისაგან. ერთი რომელთა უფრთხოდეთ მიზეზთა შემომღებთა მათთა, გარნა ხშირად იქმნების იგი მოუცილებლად; მეორე, ვითარმე იძულებული ვიქმნებით უზომოსადმი მუშაობისა, მაშინ ...განვაზავოთ იგი საგრილებელითა სასმელითა და უფროსღა შრატითა ანუ მაწუნითა წყალში აღრეულითა...“[2].

მოტანილი ამონაწერის გარჩევის დროს, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია სოფლის მშრომელთა აუტანელი პირობებისათვის და ეს უკანასკნელი მთელი რიგი დაავადებისა და მათ შორის „ბრჭუალას“ ერთერთ ხელშემწყობ მიზეზად დაუსახავს („...ხშირნი მიზეზნი სნეულებისანი მსოფლელთა შორის არიან.. ნამეტნავი მუშაკობა გრძლათ...“). ამ დაავადების მძიმედ მიმდინარეობის მიზეზად, აგრეთვე მიჩნეულია მოსახლეობის მასობრივი დაუძლურება. („...ოდესმე მოხუცდებიან იგინი ყოველითურთ სნეულებითა და გამოლევითა ღონითა, რომლისგანაცა იშვიათ განიკურნებიან...“).

ამონაწერში აღწერილია ისეთი გამაგრილებელი სასმელის დამზადების წესი, რომლის მიღება, მძიმე შრომის დროს, ერთგვარად იცავს ადამიანს გადახურებისაგან და დასნეულებისაგან.

---

[1] ხელნაწერი, ფონდი H, № 2164, ფ. 33 r. ინახება აკად. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2] იქვე.

ავტორი აუგად იხსენიებს ექიმებს, რომლებიც „ბრჭუალას“ მკურნალობის შიზნით სოფლურ წამლებს იყენებენ. ასეთი ხასიათის მკურნალობას იგი სიკვდილობის ერთერთ მიზეზად მიიჩნევს.

„სნეულება ესე არის, ერთი ხშირთა სნეულებათაგანი წარწყმენდელი, ვითა თავით თვისით, ეგრეთუე ავის სოფლურის წამლებით: შეცდომილება ესე ვითარმე ყოველი სნეულება ოფლით მორჩების, მყისუე ეცდებიან მას და მხურვალს წამლებს ამაშიაც, ოდესცა გამოჩნდების ბრჭუალი... და ესე მით უმავნებელეს არს, რაოდენცა სნეულება არის ძლიერ რომელსა შინა არა ჯერ არს ერთის მინუტის დაკარგვა, ვინათაგან კურნება სენისა დამოკიდული არს დაწყებისასავე მისსა“[1].

მოტანილ ამონაწერში ხაზგასმულია, რომ დაავადების მკურნალობის ეფექტი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ადრე შეეძლებთ დაავადების ამოცნობას და სწორი მკურნალობის წარმართვას. აქვე გაკრიტიკებულია ზემოაღნიშნულ დაავადებათა მკურნალობა „სოფლურის წამლებით“, რომლებიც ძირითადად იხმარებოდა, როგორც ოფლდამდენი საშუალებები. ავტორი თვლის, რომ დაავადებათა მკურნალობის პროცესში, ოფლის დენას, მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია.

სათანადო წყაროებიდან ჩანს, რომ ძველი საქართველოს მედიცინაში, გარდა ზემოაღწერილისა, ფილტვის სხვა დაავადებებიც ყოფილა ცნობილი, ერთერთი მათგანი თავისი სიმპტომატოლოგიით და მიმდინარეობით ქრონიკულ ბრონქიტს ემსგავსება.

მეთერთმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში, აღნიშნული დაავადების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ:

„...ერთობ ხუელა სჭირდეს და ხუელასა უკანით ქშინვიდეს და გაუწყვეტლად იხუელდეს, მაგრა შემოდგომასა და ზამთრის გაუხშირდეს. ამა სენსა კუამლი და ქარიცა აწყენს, რა დაწვეს მაშინ უფრო ეხულდეს, რა იდგეს და იჯდეს მაშინ არა დია. ამა სენისა უფალმან თავი ფრთხილად შეინახოს წუელისა და მჟავისა და ცივისა წყლისაგან...“[2].

ამონაწერის თანახმად, ზემოაღნიშნული დაავადებისათვის დამახასიათებელი ყოფილა ხველა, რომელიც განსაკუთრებით ძლიერდება. წოლის დროს და ნაკლებადაა გამოხატული წამოჯდომისა ან ფეხზე დადგომის მომენტში. ხველა უფრო მეტად იჩენს თავს ზამთარში და შემოდგომაზე. დაავადების გამწვავებას იწვევს ქარი და კვამლი, აგრეთვე ცივი წყლის, მჟავე საჭმელებისა და „წუელის“ მიღება. მოტანილ ტექსტში ყურადღებას იქცევს სიტყვა „წუელი“. არ არის გამორიცხული, რომ „წუელის“ ქვეშ ცხარე საჭმელებია ნაგულისხმევი, მით უმეტეს, რომ იგი მჟავესთან ერთად არის დასახელებული („...ფრთხილად შეინახოს წეულისა და მჟავისა და ცივისა წყლისაგან...“).

მეცამეტე საუკუნეში, ისევე, როგორც წინა ეპოქაში, ბრონქიტის გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა კვებითი რეჟიმის დარღვევა, კერძოდ, ხმელი საკვების მიღება; „ხველაი რა სიხმელისაგან იყოს, ვითარებაი მისი... რაიცა სიხმელისგან იყოს ფირტვისა სიხმელისგან იქნების და უფროისჯერ მისგან იქნების, რომელ ეგეთი საჭამადი ეჭამოს რომელ ბუნებად ხმვლი იყოს და მისგნით დია ეჭამოს... ნიშანი მისი რაი სიხმელისაგან იყოს იგი

[1] დასახ. ხელნაწერი, ფ. 34 r.
[2] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 256.

არს, რომელ ხველისა ჟამსა ხორხისაგან არა ამოვიდოდეს. და ზამთრის უსუბუქესი იყოს და აბანოისა შიგან სიმაძღრისა ჟამსა უკეთესი იყოს, და სული დამოკლებით იყოს... და ტანი მჭლედ იყოს და მაჯასი ფიცხელი იყოს"[1].

მოტანილ ამონაწერში ბრონქიტების ზემოაღწერილ სიმპტომატოლოგიას დაემატა სიგამხდრე და წონაში დაკლება („...მჭლედ იყოს..."). ბრონქიტის ამ ფორმას, როგორც ტექსტიდან ჩანს, ახასიათებს მშრალი ხველა, ნახველის ამოღების გარეშე. („...ხველისა ჟამსა ხორხისაგან არ ამოვიდოდეს.."). სამკურნალო საშუალებებიდან მოწოდებული ყოფილა ხაშხაში და ქერის გამონაწური. ხაშხაში თავისი ნარკოტიკული თვისებების გამო, როგორც ჩანს, ხველის დაწყნარების მიზნით იყო გამოყენებული—„...კურნებაი იგი არს, რომელ ქრთილისა წყალსა სმიდეს, რომელ შიგან ხაშხაში და სეფისთონი რეულ იყოს..."[2].

მოვიტანოთ ქრონიკული ბრონქიტის კიდევ ერთი აღწერილობა იმავე ძეგლიდან:

„ამის მანკისა გამოჩენაი უფროისი ბალღმისა სქელისაგან იქნების, რომელ ფირტვისა ყელყეკსა ჩასრულ იყოს და მუნ შეყრილი... (ნიშანი) იგი არს, რომელ მკერდსა და ხორხსა ხარხარი იყოს და სული დამოკლებულ იყოს და იხველდეს და სიცივისა ჟამსა და საქმისა ძნელისა ჟამსა სქელი ბალღამი ხორხისგან დია გამოვიდოდეს"[3].

აღწერილობაში ყურადღებას იქცევს ტერმინი „ფირიტვის ყელყეკი", რომელიც, შესაძლებელია, ბრონქებს აღნიშნავს. დაავადების სიმპტომებიდან დასახელებულია ხველა სქელი ნახველით და ქოშინი („...სული დამოკლებული იყოს..."). ზემოაღნიშნული სიმპტომები უფრო მკვეთრად არის გამოხატული ძლიერი ფიზიკური დატვირთვისა და სიცივის დროს.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნებში აღწერილია ბრონქიტის ისეთივე სიმპტომები, როგორც წინა ეპოქის სამედიცინო ძეგლებში.

გადავიდეთ გულის დაავადებათა განხილვაზე.

გულის ჭეშმარიტი ფუნქცია ჰარვეის გენიალურ აღმოჩენამდე უცნობი იყო, ამიტომ ძველ სამედიცინო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მცდარ შეხედულებებს ამ ორგანოს შესახებ; ანალოგიური მდგომარეობაა ძველ ქართულ მედიცინაშიც.

ზოგიერთი დაავადების აღწერილობა თავისი ნიშნებითა და მიმდინარეობით აშკარად მოგვაგონებს გულის უკმარისობის სხვადასხვა ფორმას; მიუხედავად ამისა, ისინი ძველ სამედიცინო ძეგლებში საკმაოდ ხშირად არა გულის, არამედ სხვა ორგანოთა პათოლოგიური მდგომარეობის გამოხატულებად არის მიჩნეული. ერთ-ერთი ასეთი დაავადება ძველ ქართულ მედიცინაში „ხრინწის" სახელწოდებით ყოფილა ცნობილი. ეს სნეულება სხვადასხვა ძეგლებში არაბული სახელწოდებითაც არის მოხსენიებული. („ზიუნაფაზი").

აი, როგორ არის აღწერილი აღნიშნული დაავადება მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო ძეგლში:

„ზიუნაფაზი ამას ქუიან, რომე კაცი მოსუენებით იჯდე და ვერა სუნთქევდეს, ეძნელებოდეს სუნთქმა, და რა მალედ წაიაროს, მაშინ უფრო ეძნელებოდეს

---

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 158

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 159.

და ვერა სუნთქვიდეს და აქშინდეს და აბრინდეს. ამისი მიზეზი აერის შეკრვისაგან იქნების, რა აერსა აღარა შეზიდეედეს; თუ ზურგზედა დაწვეს სუნთქმა მოემატოს"[1].

როგორც ვხედავთ, ავტორი გადმოგვცემს, რომ „ხრინწის" ანუ. როგორც იგი უწოდებს, ზიყნაფზის დროს, ავადმყოფს მოსვენებულ მდგომარეობაშიც აქვს ქოშინი და სუნთქვის გაძნელება, მაგრამ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ძლიერდება სწრაფი სიარულისა და ჰორიზონტალური მდებარეობის მიღების დროს.

ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების განხილვის შემდგომ ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში გულის ნაკლოვანებასთან გვაქვს საქმე. შეგუებებითი მოვლენებით მცირე წრეში; მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი დასკვნაა, რომელიც მედიცინაში ამჟამად არსებული შეხედულებებიდან გამომდინარეობს. ძველ ავტორებს კი აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობის მექანიზმი შემდეგნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: „ესე სენი ფირტვისა თხალხალშიგა შეიქნების. თხალხალი იმას ქუიან, რომე ფირუტშიგან ხურელ-ხურელ იქნების, ესე რა ბალღამითა აივსების აერსა ვეღარ შეზიდავს, სულთქმა დავიწროვდების, ზიყნაფასი მას ქვიან"[2].

ამრიგად, აღნიშნული დაავადების განვითარებაში მთავარი როლი მიკუთვნებული აქვს ბრონქებში, ანუ. როგორც მას უწოდებდნენ, „თხალხალში" ბალღამის დაგროვებას და „სულთქმის დავიწროებას", ანუ სუნთქვის შეზღუდვას უნდა ვიფიქროთ, რომ შეგუებებითმა ბრონქიტმა, რომელიც ქოშინსა და ხველას განაპირობებდა, უფრო მეტად მიიქცია ძველი ექიმების ყურადღება, ვიდრე მოვლენებმა გულის მხრივ, რის გამოც აღნიშნული დაავადება ხველებით მიმდინარე ფილტვის დაავადებათა ჯგუფში იქნა შეტანილი.

„ზიყნაფაზის", ანუ „ხრწნის" ასეთივე აღწერილობას და ამასთან მისი პათოგენეზის გაგების ცდას ვხვდებით აგრეთვე მომდევნო საუკუნეების სამედიცინო ძეგლებში. სანიმუშოდ მოვიტანოთ ამონაწერი მეთექვსმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნიდან:

„აწე ამა სენისა მიზეზი ეს არის რომე ყოვლისა სულდგმულისა... სული ფირტვშიგა ბრუნავს და რა კაცსა ბალღამი მოერევისა და ესე ბალღამი, ფირტვისა და ყირყუანტისა გზასა ასრე შეუკრავს, რომე კაცი ყირყუანტიდალმან სულს ვეღარ ამოსტეეს და ამა მიზეზით, სულს მართლად ვეღარ მოიბრუნევს და სული გუბებას დაუწყებს და ზიყნაფაზი იმა სენსა ჰქუიან და ქართველები ხრიწსა ეძახიან"[3].

ირკვევა, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში ისევე, როგორც უფრო ადრეულ ეპოქაში, „ხრინწის" საფუძვლად მიჩნეული ყოფილა ფილტვების გადავსება ლორწოთი, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ბალღამით".

გულის სნეულებათა შედარებით მძიმე ფორმები რომლებიც თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება გულის მეორე ხარისხის უკმარისობას მივაკუთვნოთ, აღწერილია დაავადებათა გარკვეულ ჯგუფში, რომელიც ძველ ქართულ მედიცინაში „წყლითორსულობის" სახელწოდებით ყოფილა ცნობილი. აღნიშნულ ჯგუფში ერთი ნიშნის, სახელდობრ, ასციტის („წყლითმაკეობის") არსებობის საფუძველზე გაერთიანებულია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სნეულებანი.

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 254.
[2] იქვე.
[3] „იადიგარ დაუდი" გვ. 348

აი, როგორ არის აღწერილი ამ ჯგუფში შემავალი გულის დაავადებანი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო წიგნში:

„წყლით ორსულობა თუ დაემართოს დედაკაცსა, დიაცსა ჰგონია, ვითა მართალი ორსულობა არისო, მაგრა არ არის მართალი ორსულობა ...მისი ნიშანი ეს იყოს, რომე გაუსივდეს ფერხნი, წვივნი და მუცელი, როგორცა სისხისა უფალსა“ [1].

„...ფერხნი და წვივნი გასივებულნი იყვნენ და სული უგუბდებოდეს...“[2].

თუ მოტანილ ამონაწერებში ჩამოთვლილ სიმპტომებს (სულის ხუთვა, ქვედა კიდურების შეშუპება) დავუმატებთ მუცლის მოცულობის მომატებას, რაც ამ ჯგუფში გაერთიანებული ყველა დაავადების დამახასიათებელ ნიშნად არის მიჩნეული, ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში გულის მძიმე უკმარისობასთან გვაქვს საქმე.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილი დაავადება „ტიკი“ ანუ „ზიყი“ [3] თავის კლინიკური მიმდინარეობით აგრეთვე მსგავსია გულის უკმარისობისა. აი, როგორ აღწერდნენ აღნიშნულ დაავადებას მეთერთმეტე საუკუნეში:

„...ფერხები და მუცელი და თუალის ქუქუთონი უსივდენ, ესეცა იქნების რომე სრულიად ტიკივითა გასივდეს და მუცელზედა რომე ხელი დაკრა, სავსესა ტიკსა რომე ხელი დაკრა, იმისთანა ხმა გამოუვა, თუ გუერდი იქციოს წყლისა ხმა გამოვიდეს. კაცი დამძიმდეს და სული უგუბდებოდეს და საჭმელი არა მოუნდებოდეს და ძილშიგა კრთებოდეს და ერთობ უძილად შეიქნას, და ეგების გულისა ძგერაცა დაემართოს და ეგების რომე ტყირბიცა შეექნას, გასივდეს და ფერიცა გამოუცვალოს. ნაღვლისა და ტყირბისა სიხმე ერთად შეიყაროს და ტანი ერთობ აშალოს. ამა სიხმისა ბედითა ღვიძლსა სინედლე აღარ მოხუდეს, წყალი ტყავსა და ხორცსა შუა დაიფანტოს და ბევრისა წყლისა სმისაგან მუცელი გაუდიდდეს, ჭიპი და ბოქუენიცა გაუსივდეს და ფერხებიცა გაუსივდეს და ყელი გაუწვრილდეს და რა თითი დააჭირო ფერხისა სიმსივნესა შიგა დაეფლას ცომსავითა“[4]. მოტანილი აღწერილობის თანახმად, ამ დაავადების დროს, ადგილი აქვს ქუთუთოებისა და ქვემო კიდურების შეშუპებას. შეშუპება მთელ სხეულზე ვრცელდება. მუცელი მოცულობაში მკვეთრად მატულობს, და მუცლის ღრუში პერკუსიით სითხის არსებობა დასტურდება. ასეთი გართულების დროს ავადმყოფის მდგომარეობა მეტად მძიმეა („...კაცი დამძიმდეს...“); ავადმყოფი ფერმკრთალია, აქვს სუნთქვის გაძნელება, აგრეთვე გულის ფრიალი („...ეგების გულის ძგერაცა დაემართოს..“). ზოგჯერ აღინიშნება „ტყირპის“ (ელენთის ბ. რ.) გადიდება. შეშუპებულ ქვემო კიდურებზე თითის დაჭერით, თითი, როგორც ცომში ისე იფლობა. როგორც ვხედავთ, მოტანილ აღწერილობაში გულის მძიმე უკმარისობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა კლინიკური ნიშანია მოცემული. საინტერესოა, რომ ზემოაღწერილი პათოლოგიური მდგომარეობა „წყლითმაკეობით“ მიმდინარე სხვა სნეულებებთან ერთად ღვიძლის დაავადების გამოვლინებად ყოფილა მიჩნეული, რაც უეჭველია, იმის გამო მოხდა, რომ გულის დეკომპენსაციის ამ ფორმის დროს განსაკუთრებით იჩენს თავს ღვიძლის ტკივილი და მისი მოცულობაში მომატება. დაავადება

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 157.
[2] იქვე.
[3] ზიყი—არაბულად შეეიწროებას ნიშნავს (იხ. „წიგნი სააქიმოი“-ს ლექსიკონი).
[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 303.

„ზიყის დროს რომ მართლაც იყო შემჩნეული ღვიძლის გადიდება, ამაზე ნათლად მიუთითებს შემდეგი ამონაწერი მე-13 საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან: „გასივებაი მუცლისა სამფერად იქნების და ხუთთა საქმეთაგან იქნების, ერთი მისაგნ რომე წყალ მუცელსა შიგან დია იყოს და მას „ზიყი“ ჰქვიან, და ვითარებაი მისი მხურვალისა სიმსივნისაგან იქნების, რომელ ღვიძლსა შიგან იყო“[1].

მეთექვსმეტე საუკუნეში „ტიკის“ ანუ „ზიყის“ კლინიკური სურათი შემდეგნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი:

„აწე თუ ესე სისხა სიგრილისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე, ამა კაცსა, ბაგე, ენა და შარდი სამივ თეთრი ექნების და ცოტად წყალიცა სწყურდებოდეს, და ელფერი წასულით და ჩაჯეკით ჰქონდეს; და მაჯის ძარღვიცა სუსტად და საბრალოდ უცემდეს. და მუცელიცა მძიმედ ჰქონდეს და როგორცა სავსე ტიკი, მუცელიცა ისრე სავსედ ჰქონდეს. რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით, ესე სენი დასტურად ზიყისა სისხა არის და უსათუოდ ბალღმისა და სინედლისაგან დამართებია“[2].

მოტანილ ამონაწერში აღწერილია · გულის დაავადების ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: სიფერმკრთალე, სუსტი ავსების მაჯა („მაჯის ძარღვიცა სუსტად და საბრალად უცემდეს...“), მუცლის მომატება მოცულობაში და სხვ.

აღნიშნული დაავადების დროს მოწოდებული ყოფილა ავადმყოფისათვის სათანადო დიეტის დანიშვნა (მაგალითად, ხორცის აკრძალვა) და წყლის მკეთრი შეზღუდვა.

„...ამ რიგსა სისხიანსა კაცსა წყალი ასრე უნდა შეხუთონ, რომე თუ თითქმის არც კი უჩვენონ, არა თუარემდა ასვან. ამისთვის რომე, ესე ზიყისა სენი უსათუოდ სიგრილისა და ბალღმისაგან შეექნების და წყალი მისთვის აწყენს, და არც პური უნდა აჭამონ და ხორცი სრულებით არ უნდა აჭამონ...“[3].

ვნახოთ, როგორ არის აღწერილი უფრო მოგვიანებით ეპოქაში გულის ნაკლოვანების ისეთი ფორმები, რომელთა წამყვან კლინიკურ ნიშანს ზემოაღწერილის მსგავსად ასციტი და ანასარკა წარმოადგენს:

„ესე სნეულება გამოჩნდება ფეხის სიმსივნით· და მსხვილ ბარკალთა, და დილაზე ოდესმე წავა ისევ, ღამით როდესაც მოვა სიმსივნე. და ხელს რომ დაჭირებ ჩაიჩურთნება და სიმსივნე წყნარა და წყნარა შეეპარება და აუა ხელში და თავში, ფსელი ექმნება ცოტა და თეთრი და ოდესმე აგურის ფერი. ჰსწყურიან ძალიან სულთქმას უჭერს... უკანასკნელ წყალი რომ შევა ფირტვში მოკვდება... ასციტის სნეულებაში ზემო ნიშნებს გარდა მუცელი ექმნება გაბერილი, ერთ მხარეს რომ შემოჰკრამ ხელის გულს, მეორეს მხარეს ჭაჭყალს დაიწყებს, შარდი ექმნება აგურის ფერი და სქელი, ფეხები საღამოს გაუსივდება თავი და ხელი დილაზედა. რომელსაც მხარზე წევს ის მხარე გაებერება, გულის კოვზთან ამოებერება, სულჰსთქმა ძნელად, სუსტად არის მეტადრე ძილის დროს. იმას აქვს ხმელი ხველა და სისხლს ამოიტანს ნახველს, პირი გაუყვითლდება გულის წვა ექმნება შინაგნით... მუცელი ასე დაეკიდება თითქმის შუხლებამდინ მისწვდება. ბარკლებიდამ და იმ ადგილებიდამ წყალდენას დაუწყებს, და ოდესმე ამ წყლის ბუნება განათავისუფლებს, და ბერს კაც მოუა ხში-

[1] „წიგნი საექიმოი“, გვ. 192.
[2] „იადიგარ დაუდი“, გვ. 396.
[3] იქვე.

რად. ამ შემთხვევაში მოუა ანტონის ცეცხლი და მჭამელი ესე და ანაზარკა. საშიშარი ჭირია"[1].

მოტანილ ამონაწერში დაავადების შემდეგი კლინიკური ნიშნებია აღწერილი: ავადმყოფობის დასაწყისში თანდათანობით გამოიხატება ქვემო კიდურების შეშუპება. შეშუპება განსაკუთრებით საღამოობით არის გამოხატული („...დილაზე ოდესმე წავა ისევ, ღამით როდესაც მოვა სიმსივნე..."). შეშუპებული არეს პალპაციის დროს მასზე ჩაღრმავება ჩნდება („...და ხელს რომ დააჭირებ ჩაიჩურთება..."). ავადმყოფს აქვს ქოშინი და სუნთქვის გაძნელება. აღნიშნულ მდგომარეობას ავტორი ანასარკას უწოდებს. როდესაც მუცელში სითხე დიდი რაოდენობით დაგროვდება, ავადმყოფს უნვითარდება ქოშინი და სუნთქვის გაძნელება („...სულჰსთქამს ძნელად..."). აგრეთვე ხველა, ზოგჯერ სისხლნარევი ნახველით. გარდა ზემოაღნიშნული სიმპტომებისა, ავადმყოფს გამოხატული აქვს ქვემო კიდურების მკვეთრი შეშუპება. შეშუპებული ადგილები სკდება და მათგან სითხე გამოდის („...ბარკლებიდამ და იმ ადგილებიდან წყალდენას დაუწყებს..."). აღნიშნულ გართულებას, ავტორის აზრით, ხშირად მოსდევს „ა ნ ტ ო ნ ი ს ც ე ც ხ ლ ი" და მჭამელი. თუ მხედველობაში მივიღებთ, იმ გარემოებას, რომ „ანტონის ცეცხლი"-ის სახელწოდებით ძველ მედიცინაში ცნობილი იყო სეფსისით გართულებული ჭრილობები, შეიძლება ვივარაუდოთ. რომ ამ შემთხვევაში შეშუპებული და დაზიანებული კანიდან, ინფექციის შეკრის შედეგად გამოწვეული გართულებაა ნაგულისხმევი.

„ასციტისა" და „ანასარკას" გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა ალკოჰოლის სისტემატურად და ჭარბი რაოდენობით მიღება, მრავალჯერ სისხლის გამოშვება და „მხურვალე" სამკურნალწამლო ნივთიერებათა ხმარება.

„წყალმაკი, იქმნების გვარითად და კიდევ მოვალს მრავალის ღვინის და არყის სმით, ეგრეთვე რომ მოძრაობა არ ექნება და ზის; მრავლის სისხლის გამოშვებისაგან, მაგარის ჯულაბისაგან მხურვალის წამლებისაგან"[2].

მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებულ ერთერთ საექიმო წიგნში საკმაოდ კარგად არის აგრეთვე აღწერილი გულის უკმარისობის თანდათანობითი განვითარება ასციტის და ანასარკას სახით: „ნიადაგ წყალმანკი დაიწყება ასე. პირველად გამოჩნდება თეთრის მაგრისა და უმტკივრის სიმსივნით, ფეხებში და იმ ადგილს საცა თითს დააჭირებ მალე აღარ ამოიწევს და დააჩნდების თითისაგან ჩაპვრეტილი. მერმე მცირედ ამოიწევს მუცლამდის, კაცი დასუსტდება მძიმედ, დაიწყებს ქშენას, პირი გაულაქავდება და გაულურჯდება. გაუწულილდება და გაუხდება ყოველი წევრი იმ ადგილს გარდა, სადაც წყალი შეგროვდება. და გაჰბერავს. ამასთან ძალიენი წყურვილი აუვარდება და შარდზე ცოცოტად გავა, ეს სენი დია საშიშია"[3].

ამონაწერის ავტორი გადმოგვცემს, რომ სანამ წყალმანკი („ასციტი", „ანასარკა") გამოიხატებოდეს, ავადმყოფს უნვითარდება ქვემო კიდურების შეშუპება. თითის დაჭერით შეშუპებულ არეში ჩნდება ჩაღრმავებანი („...და იმ ად-

---

1 „წყალმანკის უწყებულება და მისი მორჩენა ვითარი სახითა ჯერ არს", ხელნაწერი № 134, ფ. 1 R. იოანე ბატონიშვილის ფონდი. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 ხელნაწერი № 134, ფ. 1 R

3 „კარაბადინი", იოანე ბატონიშვილის ფონდი. ხელნაწერი № 136. ფ. 84 v—84 r.

გილს საცა თითს დააჭირებ მალე აღარ ამოიწევს...") ავადმყოფს გამოხატული აქვს ქოშინი („...დაიწყებს ქშენას...") და ციანოზი („...პირი გაულაქავდება და გაულურჯდება...") მუცელი თანდათანობით მატულობს მოცულობაში და მასში სითხე გროვდება, ამავე დროს იკლებს შარდის რაოდენობა „შარდზე ცოტცოტად გავა...").

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში აღწერილია არაერთი მაგალითი, როდესაც პათოლოგიური პროცესი ამა თუ იმ ორგანოში თავის გამოხატულებას პოულობს მთელი რიგი მოვლენებით გულის მხრივ. ასე, მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნეში გულის ფრიალისა და ქოშინის მიზეზად მიჩნეული ყოფილა დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა, ძლიერი ტკივილი, კუჭის გადავსება ან ზედმეტად დაცარიელება, ფაღარათი და სხვ.

მოვიტანოთ სათანადო მასალა: „იცოდი რომე გულისა ძგერა და ქშენა აგებულობისაგან შეექმნების, რომე სტომაქი ავსებული იყოს სიმხურვალისაგან და ორთქლისაგან. ამოვა და გულსა შემოედგმების და მისგან დაემართების, ანუ მეტისა ცარიელობისაგან რომე სტომაქი დაცარიელდეს, და ანუ დიდისა სისხლისა დენისაგან და ანუ ნამეტნავად მუცლისა გახსნისაგან. ანუ დიდისა ოფლისაგან ანუ დიდისა ტკივილისაგან... ანუ აბანოდაღმან სიცივეშიგან გამოვიდეს, ანუ სიცივეშიგან აბანოში შევიდეს"[1].

უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის დაკარგვით, ძლიერი ტკივილით ან ფაღარათით გამოწვეული გულის ფრიალი, საექიმო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება და ამ ფაქტის შემჩნევა ძველი ექიმებისათვის არ იქნებოდა ძნელი. მაგრამ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მითითება კუჭის ავსების ან მისი დაცარიელების შედეგად გამოწვეული გულის ფრიალის შესახებ. ამიტომ მასზე, შედარებით, ფართოდ შევჩერდებით.

ძველი საქართველოს მედიცინაში ყურადღება მიუქცევიათ მთელი რიგი ფაქტებისათვის, რომლებიც გულისა და კუჭის მჭიდრო ფუნქციურ ურთიერთდამოკიდებულებაზე მეტყველებს.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ამონაწერი მე-11 საუკუნის სამედიცინო ძეგლიდან:

„ამის გულის ძგერისა და ქშენის წამალი ესე არის: უწინ გაშინჯეთ თუ რისგან არის. თუ ცარიელობისაგან იყოს ავავსოთ სტომაქი და დაუყენოს გულის ძგერა და ქშენა ...თუ სტომაქსა შინა იყოს ავსებულობა, მაშინ ვკურნოთ სარწყეველითა წამლითა და თუ წელთა შინა იყოს, მაშინ გასახსნელითა წამლითა ვკურნოთ რბილითა..." [2].

აღნიშნულ შემთხვევებში გულის მხრივ მოვლენებს მართლაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ეს ურთიერთდამოკიდებულება კუჭსა და გულს შორის არასწორად ყოფილა გაგებული და ამიტომ გულის ფრიალის მკურნალობის

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 125—126.

2 იქვე, გვ. 126.

პრინციპად მიჩნეულია დებულება: საწინააღმდეგო — საწინააღმდეგოთი (contrario contraris). ავტორი გადმოგვცემს, რომ თუ გულის ფრიალი კუჭის დაცარიელებითაა გამოწვეული, მისი ავსება გულის ფრიალის შეწყვეტას იწვევს, კუჭის გადავსების შემთხვევაში კი სამკურნალო ეფექტს ხელოვნური პირღებინება იძლევა. ამავე პრინციპიდან გამომდინარე, ნაწლავების გადავსების შემთხვევაში, როდესაც იგი თანხლებული იყო გულის ფრიალით, საფაღარათო (გასახსნელი) წამლების მიღება ყოფილა რეკომენდებული.

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ წყაროებში, წინა საუკუნეების მსგავსად, აგრეთვე აღწერილია გულის მხრივ მოვლენები, რომელთა გამომწვევად მიჩნეული ყოფილა კუჭის გადავსება [1].

შესაძლებლად ყოფილა მიჩნეული კუჭის ტკივილთან ერთად (ან მისი მიზეზით) მთელი რიგი მოვლენების განვითარება გულის მხრივ, როგორიცაა: ტკივილი გულის არეში, გულის ფრიალი და „თრთოლა" („...გულის თრთოლა, გულეს ფეთქვა, ხაფაყანი..." [2]).

მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან, სადაც აგრეთვე ხაზგასმულია გულის ფუნქციური ძდგომარეობის შეცვლა კუჭის საკვებით გადავსებისას ან ნაწლავების გაზებით დაბერვის შედეგად: „უმსუბუქესი ხარისხი ამ სნეულების არის ის, რომელიც წარმოებს კუჭის სისავსისაგან და მაშინვე გაქრება ეს სნეულება როდესაც საჭმელი კუჭში მონელდება; რადგან ეს ქშენა გრძლად არ გასწევს და მალე გაივლის, ამის წამალი სხუა არა არისრა ვითარ ზომიერება საჭმელში. მაგრამ ამას გარდა ბევრნი არიან სნეულნი ქშენით, რომ საჭმლის მიზეზი არ არის. მაშინ იქნება, რომ კუჭი ნაზლით ან სხვით რითმე ჰქონდეს სავსე. ეს ადვილად შეიტყობა იმით რომელიც ვსთქვით ...და თუ ეს ნიშნები არიან მაშ აღარ უნდა ჰქონდეს იქვი ამისათვის, მაშ ამ მიზეზის უკუნ ქცევისათვის უნდა მიიღოს სასაქმებელი ან სარწყევი, რომლითაც გაიწმინდოს კუჭი და ნაწლავები, რომელისაც უკან სნეულება შეუმსუბუქდება... ისევე რაც აქ ითქვა უმწინდურობისათვის კუჭის და ნაწლავთა ისივ ითქმის ქარისათვისცა რომლითაც გაიტენება კუჭი და ძალიან ქშენას დააწყებინებს მოუთმენელის ზიდებით" [3].

მოტანილი ამონაწერის მიხედვით, კუჭის საჭმლით გადავსებისა და ნაწლავების დაბერვის შედეგად გამოხატული ქოშინი „გულის სნეულების" (უკმარისობის ბ. რ.) გამოხატულებად ყოფილა მიჩნეული. როგორც ამონაწერის ავტორი აღნიშნავს, ეს უკანასკნელი „უმსუბუქესი ხარისხია" გულის სნეულებისა, ვინაიდან გამომწვევი მიზეზის მოცილების შემდგომ იგი სწრაფად გაივლის.

---

1 „სამკურნალო წიგნი", გვ. 170.

2 იქვე

3 სიდამონოვი, „კარაბადინი", იოანე ბატონიშვილის ფონდი. ხელნაწერი № 136. ფ. 64 v და 65R, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

აქვე ავტორი შენიშნავს, რომ ქოშინის მიზეზი მრავალია და ამიტომ მის გამომწვევ მიზეზად ყოველთვის გულის უკმარისობა არ უნდა იქნეს მიჩნეული. ავტორი აღნიშნავს, რომ არსებობს მთელი რიგი სიმპტომები, რომელთა ხასიათი უფლებას გვაძლევს ქოშინის მიზეზად გულის უკმარისობა იქნეს მიჩნეული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში აღწერილია სხვა დაავადებებიც, რომელთა მიმდინარეობაში ძირითადია, მოვლენები გულის მხრივ, ამავე დროს ზოგიერთი სხვა ნიშნებით, ისინი ცხელებით მიმდინარე დაავადებებს მოგვაგონებენ. მეთერთმეტე საუკუნეში ცხელებით მიმდინარე გულის ერთ-ერთი დაავადება, შემდეგნაირად არის აღწერილი.

„გულის ტკივილი რომე ნამეტნავად სიმხურვალისაგან იყოს და აცხელებდეს. მისი ნიშანი: და აცხელებდეს და გული უძგერდეს და აწყურვებდეს და გული შეუსუსტდებოდეს და სტკიოდეს და პირი გაუწითლდეს და მოჭუხებით ქონდეს, რა ესე ნიშანი ნახო იცოდი რომე სიმხურვალისაგან არის"[1].

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, გულის ზემოხსენებული დაავადებისათვის დამახასიათებელი ყოფილა: ტემპერატურის მომატება, გულის ფრიალი („...გული უძგერდეს..."), ტკივილი გულის არეში, გულის შეღონება („...გული შესუსტდებოდეს და სტკიოდეს...").

მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო წიგნში დაავადების გამომწვევ მიზეზებს შორის, გარდა კვებითი რეჟიმის დარღვევისა („ვითარებაი გულისა სიმხურვალისა, მეტად მხურვალისა საჭამადისა ჭამისაგან იქნების")[2]. დასახელებულია აგრეთვე ორგანიზმის დაძაბუნება რომელიმე მძიმე დაავადების გადატანისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო („ტანისა ჭირისა ჩვენებისაგან, რომელ საჭიროი საქმე ექნას")[3].

აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ, მოწოდებული ყოფილა სისხლის გამოშვება და გულის არეში წამლებში დასველებული ჩვარის შემოდება: „...მიწყით მეშბაჰარისა წყლითა მჩვარსა დაასოვლებდეს და გულსა შემოსდებდეს..."[4].

საინტერესოა, რომ სამკურნალო საშუალებებიდან ფართოდ ყოფილა ხმარებული ქაფური („...ქაფურისა ყურსი წყლითა იხმაროს...")[5].

შეთექვსმეტე საუკუნეში გულის ზემოაღნიშნული დაავადების შესახებ შემდეგ ცნობებს ვხვდებით:

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 281.

[2] „წიგნი საკიმოი", გვ. 164.

[3] იქვე,

[4] იქვე, გვ. 165.

[5] იქვე.

გულის დაავადებათა სამკურნალოთ ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებული ყოფილა მცენარე შროშანაც. ამ ფაქტს პირველად მიაქცია ყურადღება ექიმმა გ. ბახტაძემ. იხ. მისი საკანდიდატო დისერტ. „შროშანას პრეპარატის ფარმაკოლოგიისათვის" 1953 წ.

„მწოვედ წყურვილი აუვარდების სტომაქი და სტომაქის თავი მწოვედ ცხლად ჰქონდეს და ხელი რომ დააჭირო ხელშიგა მწოვედ გეცხელოს ღა მხურვალი და ცხელი სული ამოსდიოდეს და ფიცხლა-ფიცხლა ქშინევდეს ღა მაჯაცა ფიცხლა ფიცხლად უცემდეს“ [1].

მოტანილ მასალაში, გარდა ტემპერატურის მომატებისა („...ამრიგსა ხაფაყანსა უსათუოდ ცხელება სდევს...“) აღნიშნულია ძლიერი ქოშინი („...ფიცხლა-ფიცხლა ქშინვიდეს...“). გულის ფრიალი („...კაცსა ხაფაყანი სჭირდეს...“), ხშირი პულსი („...მაჯა ფიცხლა ფიცხლად უცემდეს“).

როგორც დავინახეთ, დაავადების აღწერილობაში წინა პლანზე არის წამოწეული მოვლენები გულის მხრივ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ, როგორც წინა აღწერილობაში, ისე აქაც ძირითადად ცხელებით მიმდინარე რომელიღაც დაავადებასთან გვაქვს საქმე, რომელიც გულის სნეულებად ყოფილა მიჩნეული.

ცხელებით მიმდინარე დაავადებებიდან, რომლებიც გულის ფრიალსა და მის დასნეულებას იწვევს. მეთვრამეტე საუკუნის ერთერთ საექიმო წიგნში ტუბერკულოზი და ჭიებით დასნებოვნებაა მიჩნეული. მოვიტანოთ ამონაწერი აღნიშნული საექიმო წიგნიდან:

„...კიდევ ვიტყოდი გულის საშიშრის სნეულებისათვის. ესე იგი არს სისხლით ნახველისათვის, რომელსაც შეუდგება სილი და რადგან ამისთვის კმად ითქვა მეხუთეს და მეშვიდეს თავში, ამისათვის იქ გასინჯეთ. ამის გარდა კიდევ უფრო მძიმე გულის ტკივილი არის გულის ძგერა და თრთოლა, ოდესმე იქნება კაცი სულ მრთლად მსგავსად ჭიის სნეულებისა, როდესაც განმრავლდება ჭია მუცელში..., როდესაც ეს სნეულება დაიკარგება, დაიკარგება მაშინ გულის თრთოლაც“ [2].

მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზით და ჭიებით ინვაზიით გამოწვეული გულის ფრიალი მეტად საშიშად არის მიჩნეული, ამონაწერის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძირითადი სნეულებიდან განკურნების შემდეგ, ქრება აგრეთვე მოვლენები გულის მხრივ. („...როდესაც ეს ნეულება დაიკარგება. დაიკარგება მაშინ გულის თრთოლაც...“) აღსანიშნავია რომ გულის დასნეულება ტუბერკულოზის შედეგად და ამ დაავადების მკურნალობა აღწერილია აგრეთვე 1799 წლით დათარიღებულ ერთერთ საექიმო წიგნში („გულის წამალი სილისაგან ან სისუსტისაგან რომ იდოს, სისხლსაც რომ ატანდეს...“[3]).

გულის ფრიალით მიმდინარე დაავადებათა აღწერილობაში, ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმების გამოყოფა, რომელთა მიზეზიც თვით გულის დაავად-

---

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 377.

2 სიდამონოვი „კარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

3 ხელნაწერი № 304, (1799 წ.), H ფონდი, ინახება საქართველოს სსრ აკად. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

ბა ანუ გულის სისუსტეა: „გულის ფეთქაი... გულისა სისუსტისაგან, რომელ თვით (გული ბ. რ.) უსუსურ ქნილ იყოს“ [1].

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ ძეგლში, ისევე როგორც ძველი ქართული მედიცინისა სხვა ძეგლებში მოცემულია ადამიანის კონსტიტუციური ტიპების მეტად საინტერესო კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის ცოდნა და მისი გამოყენება გულის დაავადებათა დიაგნოსტიკის და მკურნალობის დროს, აუცილებლად ყოფილა მიჩნეული.

მოვიტანოთ სათანადო ამონაწერი:

„და ნიშანი, რომე იყოს სიმრთელესა ზედა. თუ გული სიმხურვალისკენ იყოს, მისი ნიშანი ესე არს, რომე მაჯა ჩქარად უცემდეს და შფოთად და გულმწყრალად იყოს... თუ გული სინედლისა კერძო იყოს, მისი ნიშანი ესე არს. რომე მაჯა ლბილად და მალედ უცემდეს, აჩქარდეს და არ დასწყნარდეს გულის წყრომისაგან... და თუ გული სიმხურვალისა და სიხმელისაკენ იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე მაჯა მალედ და ჩქარად უცემდეს, და წურილად და იყოს ნაფასი მისი ფიცხელი, რომელ არს ქშინვა და მკერდისა მუცლისა თმა მრავლად ესხას... და თუ მოერიოს სიგრილე და ნოტიო გულისა ბუნებისა, ესა სიმრთელისასა, მისი ნიშანი ისი იყოს, რომე მაჯა რბილად და სუსტად უცემდეს და სიარულსა და ძერაზედან მძიმედ იყოს, წყლტური იყოს ტანზედა და თმა არა დია ესხას ტანზედან და არცა მოშურნე იყოს და არცა გაგულისდებოდეს... და თუ იყოს გული სიხმისა და სიგრილისკენ, მაშინ იყოს ძარღუთა მისთა ფეთქა სწორად და წყნარად... და ოდეს გაგულისდეს ვერ დაესუას გულის წყრომისა... და იყოს თმა მისი ცოტა და იყოს წყლტური. **ესე ნიშანი არს გულისა სიმრთელისა** უფალთა და აქიმი მეცნიერი უნდა, რომე შეიტყუას გუნება კაცისა სიმრთელესა ზედან და აგრეეე სნეულისა გამოარჩიოს გუნება რომელი შესულიყოს გულსა ზედან სნებისაგანი ანუ წაკიდებისაგანი“ [2].

მოტანილ ამონაწერში მოცემულია მაჯის ცვალებადობის სხვადასხვა ვარიანტები, რომელიც შეიძლება ჯანმრთელ ადამიანს ჰქონდეს („...რომე იყოს სიმრთელესა ზედა...“). ცვლილებები მაჯის მხრივ, მიღებულია, როგორც გულის მდგომარეობის გამოხატულება.

ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია დაწვრილებით აღწეროს მაჯისა და აქედან გამომდინარე გულის მუშაობის ყველა ის ვარიანტი, რომელიც ჯანმრთელი ორგანიზმის კონსტიტუციური თავისებურებითაა გაპირობებული. კონსტიტუციური ტიპების დადგენის კრიტერიუმად, გარდა პულსის შესწავლისა, მიჩნეულია დაკვირვება ადამიანის ემოციურ სფეროზე („...შფოთად და გულმწყრალად იყოს... არცა მოშურნე იყოს არცა გაგულისდებოდეს...“) და აგრეთვე ორგანიზმის მთელ რიგ ბიოლოგიურ თავისებურებათა აღნუსხვა. („...და მკერდისა და მუცლისა თმა მრავლად ესხას... და იყოს თმა მისი ცოტა და იყოს წყლუტი...“).

---

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 170.
[2] იქვე, გვ. 170—171.

ექიმის უპირველეს ამოცანად ავტორს მიაჩნია გულისა და მაჯის მუშაობის ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტების განსხვავება ისეთი მდგომარეობისაგან, როდესაც გულისა და მაჯის ცვლილებები თვით გულის დაავადებით არის გაპირობებული.

ძველი საქართველოს მედიცინაში, გულის დაავადებანი უმეტეს შემთხვევაში განიხილებოდა, როგორც შედეგი ორგანიზმში ერთერთი ჰუმორალური კომპონენტის დაჭარბებისა, ამასთან ძველი ავტორების წარმოდგენით „დაჭარბებული" კომპონენტის გაჩენა ზოგჯერ გულის პერანგშიც ხდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში გულის დაავადების მიზეზად მასში გარკვეული პათომორფოლოგიური ცვლილებების განვითარებაც ყოფილა მიჩნეული. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ამონაწერი მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული ძეგლიდან:

„და წაეკიდების გულის ტკივილი ვითა სხუთა ასოთა ტანისათა სამთა გუართა სნებათგან: ანუ ქცევათა არეულობისათა, ანუ სიმსივნითა, რომელსა ჰქუიან სნება ჴურჭლისა, ანუ სნებისაგან რომელსა სახელი ჰქუიან გახსნა მარტივისა. და რომელი წაეკიდოს გულსა შიგან სნება გახსნისაგან მარტივისა, მაშა მოკლავს იგი ადგილადვე. და ესე იგი არს, რომელი დაემართოს გულსა ცემულობა ანუ გაპობილება რამე. და თუ წაეკიდოს გულსა შიგან მისა ანუ საბურავსა მისსა შიგან სიმსივნე მხურვალი, მოკლას მასვე წამსა"[1].

ამონაწერის ავტორი ფიქრობს, რომ გულის სნეულება, ისევე როგორც სხვა ორგანოთა დაავადებანი, სამი სახის პათოლოგიური მდგომარეობით შეიძლება გამომეღავნდეს. ესენია: ჰუმორალური კომპონენტების ჰარმონიული შერევის დარღვევა („ქცევათა არეულობაი"); გულის პერანგში, ანუ როგორც იგი უწოდებს, „გულის საბურავში" „სიმსივნის" გაჩენა („სნება ჴურჭლისა") და თვით გულის მთლიანობის დარღვევა, („დაემართოს გულსა ცემულობა ანუ გაპობილება რამე").

მეცამეტე საუკუნეში „გულის ფარდაგში" „სიმსივნის" განვითარება, შემდეგი კლინიკური ნიშნებით ყოფილა წარმოდგენილი:

„ესე მანკი სისხლისა მორევნისაგან იქნების ანუ ზაფრისა სიფიცხისაგან, რომელ ერთაგან გაერიენენ და გულისა ფარდაგსა შიგან შეიყარნენ, ანუ სხვაიებერ იქნების, რომელ გულისა ფარდაგსა შიგან გამოჩნდეს... და ნიშანი მისი რაი სიმსივნისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ სული დამოკლებით იყოს და სნეული დია დაბნედილი იყოს და ბრუი ესხმოდეს და ერთგან ვერ დამზიდეს"[2].

მოტანილ ამონაწერში, გულის ფარდაგში სიმსივნის განვითარება წარმოდგენილია, როგორც გარკვეული ჰუმორალური კომპონენტის (სისხლი, ზაფრა) დაგროვება პერიკარდიუმში. დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებიდან აღნიშნულია: ქოშინი („...სული დამოკლებით იყოს..."), გულის შეღონება, თავბრუხვევა და მოუსვენრად ყოფნა (როგორც ჩანს, სუნთქვის გაძნელების გამო). თუ ზემოჩამოთვლილ ნიშნებს დავუმატებთ ტაქიკარდიას („ზაფაყანი"), რომელიც ამ ჯგუფში შემავალი ყველა დაავადების ზოგად ნიშნად არის აღიარებული, ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში გულის უკმარისობის აღწერილობასთან გვაქვს საქმე, რომელიც, როგორც ამონაწერიდან ჩანს, შიჩნეული ყოფილა, როგორც შედეგი გულის პერანგში სითხის დაგროვებისა.

---

[1] „სამკურნალო წიგნი" გვ. 170

[2] „წიგნი სააქიმოი", გვ. 166.

აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ მე-13 საუკუნეში მოწოდებული ყოფილა სისხლის გამოშვება („...ბასალიყი გაიხსნას და სამჯერ სისხლი გაუშვას“...) [1], ქაფურის „ყურსის“ მიცემა და სხვ.

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში ზემოაღნიშნული დაავადება აღწერილია სახელწოდებით „სნება ჭურჭლის“:

„...წაეკიდოს კაცსა ბნედა ამის სნებისაგან, რომელი გუითქომს, და მივიდეს გულშიგან სატკივარი იგი და გაძლიერდეს და გადიდეს სატკივარი იგი, მაშინცა მოკუდების კაცი“ [2].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დაავადება თავისი ნიშნებით მსგავსია „გულის საბურავში“ ანუ „გულის ფარდაგში“ სითხის დაგროვებით გამოხატული დაავადებებისა, რომელთა აღწერილობანიც ზემოთ მოვიტანეთ.

მეთვრამეტე საუკუნით ან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ერთერთ საექიმო წიგნში, რომელიც მიძღვნილია წყალმანკით მიმდინარე დაავადებათა სიმპტომატოლოგიისა და მკურნალობისადმი, სითხის დაგროვება პერიკარდიუმში აღწერილია სახელწოდებით —„გულის წყალმანკი“. აღნიშნულ საექიმო წიგნის შესავალში, წყალმანკით მიმდინარე დაავადებები შემდეგნაირად არის დახასიათებული: „წყალმანკი განიყოფება სხვადასხვად. როდესაც მუცლისა იქმნება ამას ჰქვიან ასციტის, მეორე არს გულისა (იგულისხმება წყალმანკი ბ. რ.), კუალად არს ღიდროცეფალე, რომელიცა არს თავისა...“ [3].

ვნახოთ, როგორ არის გადმოცემული „გულის წყალმანკის“ კლინიკური ნიშნები:

„ნიშანი გულის წყალმანკისანი არიან ესენი: ჩქარი და ძნელი ქშინვა უმეტესად როდისაც გულაღმა წევს, ღამე უმძიმესია ვირედ დღე უმეტესად პირველ ძილში, მძიმეთ აქვს გულმუცელი; ხველა ხმელი ვირედ ნედლი შინაგნითა ნერვის ცხელება ძილში შეკრთომა მაჯა ნელად უცემს, არა ჰსწორად და ცვლილებით ოდესმე ექნება უზომო წყურვილი, ყვერების სიმსივნე, აგრეთვე ტუჩებისა, ხელისა და ფეხისა, და სიმსივნე გულისა; მუცელი გაჭიმით ექნება, ფრჩხილები გაუმრუდდება, ყური რომ მიადვა გულზედა შიშინს გაიგონებ შუცლიდამ და გულიდამ, ეს სნეულება უფრო მოუა სისხლს წამხდარს და სუსტ აგებულებიანს, ბერკაცთ და ნაფაზიანთ“ [4].

მოტანილ ამონაწერში „გულის „წყალმანკის“ კლინიკური სურათი შემდეგნაირად არის გადმოცემული: ავადმყოფს აქვს სუნთქვის გაძნელება და ქოშინი, განსაკუთრებით გულაღმა წოლის დროს. ღამით ქოშინი უფრო ძლიერ არის გამოხატული. აწუხებს აგრეთვე სიმძიმის შეგრძნება გულმკერდისა და მუცლის შიდამოში აქვს მშრალი ხველა, აწუხებს გაძლიერებული წყურვილი. ობიექტური ნიშნებიდან აღწერილია არიტმიული პულსი („...მაჯა ნელად უცემს არა ჰსწორედ და ცვლილებებით...“), სათესლე პარკის, აგრეთვე ქვემო და ზემო კიდურების შეშუპება, მუცლის დაჭიმვა, ფრჩხილების გამრუდება. ყურადღებას იქცევს დიაგნოსტიკის მიზნით აუსკულტაციის გამოყენება, ავტორი თვლის,

---

[1] „წიგნი სააქიმოი“ გვ. 166.

[2] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 170.

[3] „წყალმანკის უწყებულება და მისი მორჩენა ეითართა სახითა ჯერ არს“, ხელნაწერი № 134, ფ. 7 v. იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[4] იქვე, გვ. 7 r.

რომ გულზე ამ დროს მოისმინება შიშინი. ძნელი სათქმელია, რომელი აუსკულტატორული ხმიანობა იგულისხმება სიტყვაში „შიშინი“. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოტანილ ამონაწერში ექსუდატური პერიკარდიტის კლინიკური სურათია გადმოცემული შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში პერიკარდიუმის ხახუნის აღწერილობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჩვეულებრივ დაავადების დასაწყისში მოისმინება[1].

განვიხილოთ, თუ რა საშუალებებს მიმართავდნენ „გულის წყალმანკის“, ანუ, როგორც ჩვენ დღეს ვუწოდებთ—ექსუდატიური პერიკარდიტის, მკურნალობის დროს. მოვიტანოთ ამონაწერი ზემოთ დასახელებული საექიმო წიგნიდან:

„ამას უნდა მისცე შარდის გასაწევი, რომელიცა არის ზღვის ხახვი[2] რომელიც შემზადდება სკანჯამინად...“[3]

გულის დაავადებები, რომლებიც სახელწოდებით—„ქცევათა არეულობანი“ გაერთიანებული ყოფილა გარკვეულ ჯგუფში, ძველ ქართველ ექიმებს მიაჩნდათ ისეთ სნეულებად, რომლის გამომწვევ მიზეზს თითქოს წარმოადგენს ერთერთი ჰუმორალური კომპონენტის ან თვისების დამეტება.

აი როგორ არის აღწერილი მეთერთმეტე საუკუნეში „სიგრილის“ დაჭარბებით გამოწვეული გულის დაავადება:

„...ნიშანი ესე არის პირის სახისა ფერი მოთეთრო და ტყუვის ფერად დასცემდეს, აწოდინებდეს და მხარშიგა და ტანშიგაცა მძიმედ იყოს და ადგომა ეძნელებოდეს და წყურვილი არა მოუვიდოდეს და ცეცხლისა და მზისა სითბო ეამებოდეს და ქშინევდეს და სული უგუბდებოდეს, ბრუცა დაესხმოდეს, ჭკუაცა შეცულებოდეს ტკივილისაგან, ხანდისხან შესუსტდებოდეს და მუშკისა სული ეამებოდეს“[4].

ამრიგად, გულის ზემოაღნიშნული დაავადების კლინიკურ ნიშნებად მიჩნეული ყოფილა პირისახის გაფითრება, მოთენთილობა, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება, თევბრუ, საერთო სისუსტე და ზოგჯერ ფსიქიური მოვლენები.

მეცამეტე საუკუნის წყაროებში, გარდა ზემოაღნიშნული სიმპტომებისა, აღნიშნულია აგრეთვე მაჯის პათოლოგიური შეცვლა: „ნიშანი გულისა .სიგრილისა იგი არს, რომელ კაცი ზანტად იყოს და პირისაგან სიელვარე წარსულ იყოს... მაჯასი ზენტად ფეთქდეს და ლბილი იყოს, ეგრე რომელ თითი შიგან ჩაჯდებოდეს სილბოთა მისითა“[5].

ამრიგად, მოყვანილი ამონაწერის მიხედვით, გულის აღნიშნული დაავადების დროს მაჯა გაიშვიათებულია, სუსტი ავსებისა და დაჭიმულობისაა. („ზანტად ფეთქდეს და ლბილ იყოს“...).

მეთხუთმეტე საუკუნის სამედიცინო წიგნში აღნიშნული დაავადების აღწერილობა და მკურნალობა კიდევ უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი:

„თუ ესე გულის ტკივილი ბალღმისაგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, როტკივილსა ყოლინჯიცა დაერთოს მოიღე მუშკი დანგ-ნახევარი, და ერთი სასმელი ჯულაბი შექენ და ესე მუშკი შიგან გაურიე და შესუი...“[6].

---

1 არ არის გამორიცხული, რომ შიშინის სახელწოდებით გულზე მოსმენილი შუილია გადმოცემული.

2 ზღვის ხახვი, Bullus Scillae, ფართოდ იხმარება თანამედროვე მედიცინაშიც, როგორც საგულე და შარდმდენი საშუალება.

3 ზემო აღნიშნული ხელნაწერი ფ. 7 v.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 283.

5 „წიგნი საექიმოი“, გვ. 165.

„...ფერზედან ერთობ თეთრად იყოს და გული ნამეტნავად სტკიოდეს... ტლეად გარდააკარ“[1] „თუ ესე ხაფაანი სიგრილისაგან იყოს, და მისი ნიშანი ესე იყოს ფერზედან მუდამად თეთრად იყოს... და გულზედან მუდამად ეშინოდეს მუდამად ნაღვლიანად იყოს[2]. „თუ ესე სენი სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე პირსა თეთრი და ლურჯი იყოს“[3].

ამრიგად, გულის დაავადება, რომლის საფუძვლად თითქოს ერთ-ერთი ჰუმორალური კომპონენტის დაჭარბებაა მიჩნეული, მოტანილი ამონაწერის მიხედვით შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: სიფერმკრთალე („...ერთობ თეთრად იყოს...“), აკროციანოზი („...პირსა თეთრი და ლურჯი იყოს...“), ტკივილი გულის არეში („...გული ნამეტნავად სტკიოდეს...“), ნაღვლიანი განწყობილება და შიში გულის დაავადების გამო, გულის დაავადების აღნიშნული ფორმის დროს შესაძლებლად ყოფილა მიჩნეული მუცლის კოლიკის განვითარება („...თუ ამ ტკივილს ყოლინჯიცა დაერთო...“).

თუ ყველა ზემოჩამოთვლილ ნიშნებს მხედველობაში მივიღებთ, შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ს ტ ე ნ ო კ ა რ დ ი ი ს ერთერთი ფორმის აღწერილობასთან გვაქვს საქმე.

სამკურნალო საშუალებებიდან, რომლებიც ამ დაავადების დროს ყოფილა მოწოდებული, ყურადღებას იქცევს თბილი ტლეების შემოდება გულის არეში („...ტლე გულსა დაიდვას ტფილ-ტფილი არგებს...“).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დაავადება, რომელთა აღწერილობანი, ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება, ერთგვარად გვაგონებს ჰიპერტონიის კლინიკურ სურათს. ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჰიპერტონიით თანხლებული დაავადებანი.

„მისი ნიშანი ეს არის რომე თავი სტკიოდეს და თვალები და შუბლი, ყურები გასწითლებოდეს და პირზედა წამოვეხებით იყოს და ხელი რომ დასდვა ძარღვებსა ზედა სავსედ და ჩქარა სცემდეს. რა ეს ნიშანი ნახო იცოდი რომე სისხლისაგან არის, ამას ფიცხლავ ხელი გაუხსენ ანუ საფეთქელი ანუ შუბლი ან თავსა კოტოში მოჰკიდე. და თუ ყმაწვილი იყოს ყურნი აუცრენენ“[4].

კლინიკური ნიშნები აღნიშნული დაავადებისა, რომლის მიზეზადაც მიჩნეულია ორგანიზმში „სისხლის დაჭარბება“ შემდეგია: ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, და პირისახის შეწითლებას. მაჯა კარგი ავსებისაა და აჩქარებულია. სამკურნალო მიზნით მოწოდებულია სისხლის გამოშვება ვენსექციით და კოტოშის დასმით, ხოლო ბავშვებში ყურის აცრით.

მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ ძეგლში აღნიშნული დაავადება თითქმის იგივე ნიშნებით ყოფილა წარმოდგენილი: „თავისა ტკივილი, რომელ სისხლისაგან იყოს, ვითარებაი მისი... იგი არს, რომელ პირი და თვალნი გაუწითლდნენ და ასონი დამძიმებულ იყვნენ და დია დაეძინებოდეს და ტკივილი ძნელად იყოს და ვითა ისარი ფეთქდეს და ძარღვნი ადგომილ იყვნენ“[5] მოტანილ ამონაწერში განსაკუთრებით ხაზგასმულია თავის ტკივილი და ფეთქვის შეგრძნება თავში, აგრეთვე სისხლის ძარღვების მძაფრი პულსაცია („...ტკივილი ძნე-

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 174.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 175.

[4] „ეუსწორო კარაბადინი“ გვ. 172.

[5] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 61.

ლად იყოს და ვითა ფეთქდეს და ძარღვნი ადგომილ იყვნენ...“). სამკურნალო ღონისძიებებიდან ამ შემთხვევაშიც ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება დიდი რაოდენობით სისხლის გამოშვებას („...კურნებაი მისი იგი არს, რომელ კიფალი გაიხსნას და სისხლი დია გამოიღოს...“).

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო წიგნში, სისხლის ღაკარბებით გამოწვეული თავის ტკივილი მეტად სერიოზულ დაავადებად არის მიჩნეული. ავტორის აზრით, ამ დაავადებით შეპყრობილი მეტად უნდა გაუფრთხილდეს თავს: „...ვისცა ესე სენი და თავის ტკივილი სჭირდეს, ზენაარ ცრთხილად იყოს... ნურას ფერსა ტკბილსა საჭმელსა ნუ ჭამს, ნუცა მრღუიესა და ძნელსა ღუინოსა, სუამს თუარა დიდი ზიანი დაემართების. რაც საჭმელი ჭამოს, ყუელა სუბუქი ჭამოს... და ღუინოსა ნუ სუამს და თუ მრუნდეს საღამოჟამსა შესუას, თეთრი და წმიდა, წყალგარეული ღვინო... და ზედაზედა აბანოს შევიდოდეს და აბანო ერთობ ცხელი არ უნდა იყოს და ფიცხლა გამოვიდოდეს აბანოთ და თავზედა ნელთბილსა წყალსა ისხემდეს და წელიწადშიგან ორჯელ სელსა გაიხსნიდეს: ერთბელ შემოდგომათა და ერთხელ—გაზაფხულ, კაცის ძალსა დახედენით და სისხლი აგრე ადინეთ“[1].

მსგავსი ცნობები გვხვდება აგრეთვე მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნებშიც. საინტერესოა, რომ ამ ეპოქის ერთერთ სამედიცინო ძეგლში თავის ტკივილს უარყოფით ემოციურ ფაქტორს და საშვილოსნოს დაავადებას უკავშირებენ[2] („...რომელთაც სევდიანნი და დაფიქრებულნი კაცნი არიან და დედაკაცთ, რომელთაც საშვილოსნოს ქარი სჭირთ“).

ცნობები კუჭ-ნაწლავის დაავადებათა შესახებ ძველი საქართველოს მედიცინაში ძველთაგანვე გვხვდება.

ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, რომელიც მე-5 საუკ. ერთ-ერთ სასულიერო მოღვაწეს ეხება, კვების რეჟიმის დარღვევის შედეგად განვითარებული დაავადების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ:

„და იმარხვიდა წმინდაი პეტრე ფრიად და მიმღებად, ამისთვის ფრიადისა მარხვისაგან განიყურნა სტომაქი მისი, მაშინ ვიეთმე, რათა წარვიდეს წყალთა და განიკურნეს“[3], ამრიგად მე-5 საუკუნეში ცნობილი ყოფილა, რომ ერთფეროვანი და შეზღუდული კვება („მარხულობა“) ხელს უწყობს კუჭის დასნეულებას („...განირუყუნა სტომაქი მისი...“). კუჭის ამ სნეულების სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა „ცხელ წყლებზე“ წასვლა. საჭმუხაროდ ტექსტიდან არა ჩანს, თუ რა ხასიათის პროცედურებს ურჩევდნენ ცხელ წყლებზე სამკურნალოდ მყოფ ავადმყოფს—წყლის აბაზანებს, თუ წყლის მიღებას per os. ტექსტში აგრეთვე არ არის მითითებული, თუ რა სიმპტომებით ხასიათდებოდა კუჭის ზემოაღწერილი დაავადება. საინტერესოა, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლის ავტორი კუჭის დასნეულებას „ღვთის განრისხებას“ კი არ მიაწერს, როგორც ეს ხშირად გვხვდება ხოლმე ამ ტიპის ნაწარმოებებში, არამედ რეალურ საფუძველს უდებს მას.

---

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 9.

[2] ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდი. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[3] ზაქარია ქართველი, „პეტრე იბერიელის ცხოვრება“, გვ. 32. საბინინის გამოცემა.

კუჭ-ნაწლავის სნეულებანი, რომელნიც ზოგადი დისპეფსიური მოვლენებით ხასიათდება, შემდგომი საუკუნეების ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებშიც საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი. აღნიშნული დაავადების ზოგიერთი ფორმები ისეა აღწერილი, როგორც გადამდები სნეულებანი. ისინი ცალკე იქნება განხილული. აქ ჩვენ განვიხილავთ დაავადებებს, რომლებიც თავისი კლინიკური გამოვლინებით მსგავსია გასტროენტეროკოლიტისა და ძველი ავტორების აზრით, კვებითი რეჟიმის დარღვევით არის გამოწვეული.

აი, როგორ არის აღწერილი კვებითი რეჟიმის დარღვევის შედეგად განვითარებული გასტროენტეროკოლიტი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში:

„ნიშანი და წამალი აიაზასი, ამას ჰქუიან რომე ნამყენად ერთმანერთზედა ეჭამოს და საჭმელი სტომაქშიგა დამეკავებულიყოს და დამპალიყოს და პირსა ამოყარდეს. რა ესე ნიშანი ნახოს იმავე წამსა არწყიოს, რომე სტომაქი გამოწმინდოს“[1].

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ „იზასა“ ისეთ დაავადებას უწოდებდნენ, რომელიც ძველი წარმოდგენით საკვების ჭარბი რაოდენობით მიღების შედეგად ვითარდება. ძველი ექიმების აზრით, ამ დროს სტომაქში საკვების გადამუშავება ირღვევა, რის გამოც მიღებული საკვები მეკავდება და ლპება. ამ დაავადების დროს, უპირველესად ყოვლისა, მიმართავდნენ კუჭის განთავისუფლებას შიგთავსისაგან, ხოლო შემდგომ თბილი წყლით მის ამორეცხვას:

„...წყალი ცოტად გაათბოს, იმითა არწყიოს და ისი ნახევარზედა გამთბარი წყალი ბევრი სუას, რომე სტომაქი გამოწმინდოს“[2].

კუჭის ამორეცხვის შემდეგ რეკომენდებული ყოფილა გარკვეული დროის განმავლობაში დიეტური რეჟიმის დაცვა და კუჭის არეში რთული შემადგენლობის აპლიკაციების („ტლე“) დადება; აგრეთვე სრული სიმშვიდე და მოსვენება[3].

მოვიტანოთ კიდევ ერთი ამონაწერი იმავე საექიმო წიგნიდან, სადაც საკვების ჭარბად მიღების შედეგად განვითარებული გასტროენტეროკოლიტის სხვა ნიშნებიცაა წარმოდგენილი:

„...თუ სტომაქისა ტკივილი მრავლისა და ბევრისა საჭმლისაგან იყოს. მასი ნიშანი ესე იყოს, რომე რაცა ჭამოს არა მოქარვებდეს და მერმე სხუაცა მოინდომოს და როგორაცა ჭამოს, მეორედ მასვე წამსა გახსნას სტომაქი და ტკივილი დაუწყოს, ყურყური მუცელშიგა და მას უკანით არწყეევინოს რაცა ეჭამოს და ან ესვას ყუელა ამოაღებინოს“[4].

ამონაწერის მიხედვით, ზომაზე მეტი რაოდენობით საჭმლის მიღების შედეგად ადგილი აქვს ტკივილს ეპიგასტრიუმის მიდამოში, ყურყურს მუცელში, გულის რევას, პირღებინებას და ფაღარათს.

მწვავე გასტროენტეროკოლიტის განვითარების მიზეზად მიჩნეული ყოფილა არა მარტო საკვების ჭარბი რაოდენობით მიღება, არამედ აგრეთვე თვისობრივად არასრულფასოვანი კვებაც. არასრულფასოვან საკვებად მიაჩნდათ ცხარე

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 276.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 265.

საჭმელები და დაძველებული პროდუქტები: „...მწვავე საჭმელი ეჭამოს, ანუ ძველი ეჭამოს, ანუ დამწვარი და ხმელი პური ეჭამოს...“[1].

გასტროენტეროკოლიტის გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა კვებითი რეჟიმის ისეთი დარღვევაც, რომლის დროსაც ადამიანი, მისთვის ჩვეულებრივი საკვების ნაცვლად იღებს ნაკლებფასოვან, ძნელადმოსანელებელ და უჩვეულო საკვებს. ამ დროს, აღწერილობის თანახმად, განავალი მოყვითალო ფერისაა, შემდგომ მას ნაწლავთა ნახვეწი შეერევა; ხოლო მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში იგი ნაცრის ფერს იღებს. ნაცრისფერი განავალი პროგნოზის თვალსაზრისით მეტად არასაიმედოდ ითვლებოდა—როდესაც ეს ნიშანი გამოჩნდებოდა წამლობა ზედმეტად ყოფილა მიჩნეული[2].

მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი აღნიშნული მიზეზით გამოწვეული გასტრიტის აღწერილობისა: „თუ მხურვალი და მწვავე საჭამადი ეჭამოს, და მისგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს—მუდმად თავი სტკიოდეს და თავი უბრუნევდეს და წყურვილი მწოვედ იყოს და თავი და პირი წითლად და ცხელად ედგას და სტომაქიცა სტკიოდეს...“[3] გასტრიტის ნიშნები ამ აღწერილობაში შემდეგია: წყურვილის გრძნობა, პირის სიმშრალე, ტკივილი კუჭის არეში. ამავე დროს წარმოდგენილია ზოგადი მოვლენებიც—თავის ტკივილი, თავბრუხვევა და სხვა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ლოკალურ ნიშნებთან ერთად ექიმის ყურადღება ზოგად ნიშნებისადმიც იყო გამახვილებული. აქედან გამომდინარე, მკურნალობასაც უფრო ფართო და მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა. პირველ ყოვლისა ხდებოდა გარკვეული დიეტური რეჟიმის დადგენა. ავადმყოფს ეკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელების მიღება, ხორცეულიდან ურჩევდნენ მხოლოდ გარეული ფრინველის—დურაჯის, კაკაბის, გნოლის ხორცს და სხვა. ადგილობრივი საშუალებებიდან აღსანიშნავია კუჭის არეზე სხვადასხვა ტლეების დადება[1]. გარდა ზემოჩამოთვლილისა, ავადმყოფს აძლევდნენ აგრეთვე კომშისა და ბროწეულის წვენს, და სხვა მცენარეული წარმოშობის წამლეულობას.

გასტრიტის გამომწვევ მიზეზად, მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში მიჩნეულია აგრეთვე ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღება:

„თუ სტომაქისა ტკივილი დიდისა ღუინისაგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მუდამად გულის ბნედა მოუვიდოდეს და ჭკუა შეცულილ იყოს და მაჯა და სტომაქი რომე უნახო თუ სთქუა ცეცხლი ედებისო, ასე ცხელი იყოს და სტომაქი სტკიოდეს“[4].

მოტანილ ამონაწერში ყურადღებას იქცევს დაავადების ზოგადი ნიშნების საუხვე, როგორიცაა: გულის შეღონება, სხეულის ტემპერატურის მომატება, ფსიქიკური მოვლენები („...ჭკუა შეცულილ იყოს...“) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილი სიმპტომების გამოხატვა, გასტრიტის აღნიშნული ფორმის დროს სრულიად დასაშვებია, ვინაიდან ზოგადი ალკოჰოლური ინტოქსიკაცია, ნერვული სისტემის მხრივაც იწვევს გარკვეულ მოვლენებს.

მეთერთმეტე საუკუნეში აღწერილი ყოფილა აგრეთვე, დისპეფსიური მოვლენებით მიმდინარე დაავადებანი, რომელთა მიზეზად კუჭის ფუნქციუ-

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 321.
[2] იქვე, გვ. 322.
[3] იქვე, გვ. 266.
[4] იქვე, გვ. 267.

რი უკმარისობა მიიჩნდათ. „თუ მუცელი სტომაქისა სისუსტისაგან გახსნით იყოს, ნიშანი ესე იყოს, რომე ნავალი წყალივითა იყოს, უბალღამო და თეთრი იყოს დოსავითა...“[1]. როგორც ამონაწერიდან ჩანს, ავტორს სწორად შეუმჩნევია, რომ გასტროგენული ფაღარათისათვის არ არის დამახასიათებელი ლორწოს და სისხლის შერევა.

მოვიტანოთ სხვა ამონაწერი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან, სადაც ზემოაღნიშნულის მსგავსად, გასტრიტის ისეთი ფორმაა აღწერილი, რომელიც ძველი ექიმების აზრით თავის გამოხატულებას ფუნქციის დარღვევაში პოულობს:

„და ვინცა საჭმელსა ადვილად ვერ მოიდნობდეს მისი ნიშანი ესე არის რომე ტანსა და ხორცზედ მძიმედ იყოს და ძნელად ადგებოდეს და სიარული ეძნელებოდეს და თავზედა მძიმედ იყოს და გვიანად აბოყინოს და რა ამოაბოყინოს და გონჯი მეავე სუნი ამოვიდეს პირიდაღმე და საჭმელი არა მოუნდებოდეს და პირი ხმელი ებას...“[2].

მოტანილი ამონაწერის მიხედვით, კუქის აღნიშნული დაავადების დროს ავადმყოფი მოთენთილია, ადინამიურია, თავი მძიმედ აქვს, აწუხებს პირის სიმშრალე („...პირი ხმელი ებას...“) და უმადობა, აგრეთვე ბოყინი მეავე სუნით.

მე-13 საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში ჭარბი და აგრეთვე არასრულფასოვანი საკვების მიღების შედეგად განვითარებული გასტრიტი შემდეგნაირად არის აღწერილი:

„...დია ჭამისაგან იქნების ანუ ჰავისა საჭამადისაგან, რომელ სტომაქსა შიგან ადრე დაშავდეს. ანუ უდნობისა სქელისა საჭამადისაგან იქნების, რომელ პირველ იგი ეჭამოს, უკანის ნატიფი. ნიშანი თუხმაისი იგი არს, რომელ სნეულსა ჰკითხოს თუ რაი უჭამიაი, და რაისდენი უჭამია, და სხვაი ნიშანი მისი იგი არს, რომელ მიწყით ჰავსა და მყრალსა აბოყინებდეს და ხორხთა ამოვიდოდეს“[3].

ამრიგად, მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ გასტრიტის აღნიშნული ფორმის გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა საკვების მიღება არანორმალურად ჭარბი რაოდენობით, აგრეთვე არასრულფასოვანი („ჰავი“) საჭმლის მიღება. კლინიკური ნიშნებიდან დასახელებულია ბოყინი მყრალი სუნით.

მოვიტანოთ კიდევ ერთი ამონაწერი იმავე საექიმო წიგნიდან, სადაც კლინიკური ნიშნები უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი: „...რომელსა ჰქვიან არაბულად თუხმა და ქართულად ელდაი... ესე მანკი დია საჭამადისა ჭამისაგან იქნების... რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, ანუ ტკბილისა და ცხიბიანისაგან ქმნილ ეყოს რომელ დია, ეჭამოს და ვერ მოედნოს. ნიშანი... იგი არს რომელ ბუნებაი ეშლებოდეს და სწყურდეს და ხელნი და ფერხნი გაუცივდენ და ცივი ოფლი გამოეცეს, და უკანის დია არწყევდეს...“[4].

მოტანილ ამონაწერში, უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას იქცევს გასტროენტეროკოლიტის აღწერილი ფორმის ქართული სახელწოდება—„ელდაი“ ეს ტერმინი არაბული სახელწოდება „თუხმას“ პარალელურად იხმარება.

თუ შევაჯამებთ ორივე ამ ამონაწერში მოცემულ ნიშნებს, შემდეგ კლინიკურ სურათს მივიღებთ: ავადმყოფს აქვს გულისრევა, დაავადების გამწვავების

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 328.
[2] იქვე, გვ. 44.
[3] „წიგნი საექიმოი“, გვ. 174.
[4] იქვე, გვ. 173.

პერიოდში პირღებინება, ბოყინი მყრალი სუნით, ზოგჯერ მუცლის აშლა („ბენებაი ეშლებოდეს...“), გაძლიერებული წყურვილი, ცივი ოფლი, ქვემო და ზემო კიდურების გაცივება. თუ ყველა ზემოჩამოთვლილ სიმპტომს მხედველობაში მივიღებთ, ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მწვავე ალიმენტარული ინტოქსიკაციით გამოწვეულ გასტროენტეროკოლიტის მეტად მძიმე ფორმასთან, რომელიც პრეკოლაფსოიდური მოვლენებით ხასიათდება (ზემო და ქვემო კიდურების გაცივება, ცივი ოფლი).

დაავადება „ელდას“ სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა კუჭის ამორეცხვა თაფლნარევი წყლით, აგრეთვე, მუცლის გაწმენდა: „...სტომაქი გაწმიდოს ჰავთა საჭამადთა ნარჩომითაგან, რომელ შიგან იყოს, მით, რომელ მრავალჯერ არწყიოს თაფლისა წყლითა, მუცელიცა დაილბოს“[1]. რეკომენდებული ყოფილა თბილი წყლის აბაზანების მიღება, ხანგრძლივი ძილი და დასვენება, აგრეთვე დიეტური რეჟიმის დაცვა.

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში გასტრიტის ზემოაღწერილი ფორმები, თავისი კლინიკური სიმპტომატოლოგიით შედარებით უფრო ფართოდ და მრავალმხრივად არის წარმოდგენილი. ამავე დროს დიდი ადგილი აქვს დათმობილი ზოგადი ხასიათის მსჯელობას, რომელიც კუჭნაწლავის დაავადებათა ეტიოპათოგენეზის საკითხებს შეეხება.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ გულისა და სტომაქის ურთიერთობის საკითხს, ვნახეთ, როგორ აქვს წარმოდგენილი ეს ურთიერთობა მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული ძეგლის ავტორს:

„ოდეს დასნეულდეს სტომაქი, დასნეულდების სხუანიცა მთავარნი ასონი“[2].

„როდეს დასნეულდების სტომაქი გულიცა დასნეულდების, და ამად რომე ახლოს ახლავს სტომაქსა და სტომაქისა სინედლისაგან და მისის ბუხარისაგან დასნეულდების ტუინიცა“[3].

თუ გავითვალისწინებთ, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორგანიზმში გულსა და ტვინს („ორნი არიან ასონი მთავარნი გული და ტუინი“), გასაგები ხდება ის დიდი უურადღება, რომელიც ექცეოდა მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი კუჭის სნეულებათა ამოცნობასა და მკურნალობას.

რაც შეეხება კუჭის სნეულებათა და კერძოდ, გასტრიტების და გასტროენტეროკოლიტების ეტიოპათოგენეზის საკითხს, იგი არსებითად არ განსხვავდება წინა საუკუნეების სამედიცინო ძეგლებში არსებული წარმოდგენებიდან. ამიტომ მასზე განსაკუთრებით არ შევჩერდებით. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ გასტრიტებისა და საერთოდ კუჭის დაავადებებისათვის დამახასიათებელი დისპეფსიური მოვლენები, როგორიცაა სლოკინი და ბოყინი, აღნიშნულ ძეგლებში ცალკე თავებად არის წარმოდგენილი და ერთგვარად წინ უძღვის კუჭის დაავადებათა კლინიკური სურათის გადმოცემას. ჩვენც, უპირველესად ყოვლისა, ამ მნიშვნელოვანი სიმპტომების განხილვაზე შევჩერდებით.

სლოკინის მიზეზად მიჩნეულია კუჭის პათოლოგიური მდგომარეობის სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა კუჭის გაბერვა მასში გაზების დაგრო-

1 „წიგნი საქიმოი“, გვ. 174.
2 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 123.
3 იქვე, გვ. 122.

ეების შედეგად („ქარისაგან რომე გაბერავს სტომაქსა")[1], კუჭის გაღიზიანება ხანგრძლივი პირღებინების შედეგად[2] აგრეთვე კუჭში გარკვეული სიმსივნური წარმონაქმნის გაჩენა: „..თუ სტომაქისა პირსა სიმსივნე წაეკიდოს მისგანცა იქნების სლოკინი"[3] და სხვ. სლოკინის მექანიზმი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „...და დავარდეს კუჭი სტომაქისა ერთმანერთისა ზედა და მერე შეიძვრის და მისგან იქნების სლოკინი"[4]. მოტანილი ამონაწერის მიხედვით, სლოკინს კუჭის კედლების სწრაფი შეკუმშვა განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სლოკინის როგორც გამომწვევი მიზეზი (მაგ. კუჭის გაბერვა გაზებით), ასევე მექანიზმი ავტორის მიერ პრინციპულად სწორად არის განმარტებული. უაღრესად საინტერესოა ავტორის შენიშვნა, რომ სლოკინი ემოციური მომენტების: წყრომის, შიშის ზეგავლენით ქრება. ამ ფაქტს იგი ტვინისა და კუჭის მჭიდრო ურთიერთკავშირით ხსნის: „ეგრეცა ერგების სლოკინსა წყრომა და შიში, საურავი ესე წაიღებს დიდად რაოდენ შედგმულ არს სტომაქი ტუინითა და ტუინი ადგილ არის გაგონებისა"[5]. ამონაწერის მიხედვით, ტვინი, როგორც ცნობიერების („გაგონების") ორგანო, „შედგმულია", შეერთებულია, დაკავშირებულია კუჭთან და ამით აიხსნება სწორედ სლოკინის მოხსნა ემოციური მომენტების ზეგავლენით. აღნიშნული ცნობა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ძველი საქართველოს მედიცინაში ორგანოთა ფუნქციური ურთიერთკავშირის აღიარება აბსტრაქტულ მსჯელობას კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი პრაქტიკულ მედიცინაში ფართოდ გამოყენებული სამუშაო ჰიპოთეზი იყო. რაც შეეხება კუჭის დაავადებათა მეორე სემიოტიკურ ნიშანს—ბოყინს, მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში მისი რამდენიმე სახეა გარჩეული: ბოყინი მყრალი სუნით, ბოყინი მწარე გემოთი და ბოყინი მჟავე გემოთი („...ბოყინი მჟავე იყოს. „...ბოყინი მყრალი და მწარე იყოს..."[6]).

აქვე დასახელებულია კუჭის ბოყინის გამომწვევი მიზეზებიც, როგორიცაა: ღვინის ჭარბი რაოდენობით სმა („...დიდისა ღუინისა სმისაგან..."), ცხარე და „მხურვალე" საჭმელების მიღება, და სხვა.

ამავე წიგნში აღწერილია, კუჭის დაავადებათა ხშირი სიმპტომი—„გულქმარვა". ამ უკანასკნელს ავტორი უწოდებს „სტომაქისა წუა" („თუ სტომაქისა წუა დაერთოს და გამოუჩნდეს, ჯულაბი შეასუას ცოტა..."[7].

გადავიდეთ დაავადებათა ცალკეული ფორმების განხილვაზე. „შავი ძაღლისა", „იზა", ანუ „თუხმა" დაავადებათა იმ ჯგუფში ყოფილა გაერთიანებული, რომელთა გამომწვევ მიზეზად მიჩნეულია უზომოდ ჭარბი საკვების მიღება, აგრეთვე ალკოჰოლისა და ცხარე საჭმელების სისტემატური და ჭარბი ხმარება. აღნიშნული დაავადებები გასტროენტეროკოლიტისათვის დამახასიათებელი სიმპტომებით მჟღავნდება.

აი როგორ არის აღწერილი დაავადება „შავი ძაღლისა" მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ ძეგლში:

---

1 „სამკურნალო წიგნი", გვ. 114.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 165.
5 იქვე, გვ. 166.
6 იქვე, გვ. 167.
7 იქვე.

„...შავი ძაღლისა... იგი არს, რომე კაცი ხარბად ჭამდეს ზომისაგან მეტსა, მას სტომაქი ვეღარ მოადნობს, დამეავდების და მისგან იქნების ბოყინი და ურწყევა და ამოზიდვა ურწყულად და სლოკინი ბევრი განხსნა მუცლისა, რომელ იქნების სტომაქისა უსუსურობისაგან და მისისა სიფოლხუისაგან“[1].

ამრიგად, დაავადება „შავი ძაღლისა“-ს ნიშნებად მიჩნეული ყოფილა: ბოყინი, პირღებინება, გულისრევა („...ამოზიდვა ურწყულად...“), სლოკინი და ფაღარათი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „შავი ძაღლისა“ თავისი კლინიკური გამოვლინებით მსგავსია, ზემოთ ჩვენს მიერ განხილული დაავადებისა, რომელსაც ეწოდება თუხმა ანუ აიზა. ამ დაავადებასაც ახასიათებს გულისრევა, პირღებინება, ბოყინი, სლოკინი, ფაღარათი. ამავე დროს „შავი ძაღლისათვის“ არ არის დამახასიათებელი კიდურების გაცივება, ცივი ოფლი და პრეკოლაპტოიდური მდგომარეობის მაჩვენებელი სხვა ნიშნები. („...გახსნით იყოს და კიდეცა არწყევინებდეს და ცივი ოფლი გამოუვიდეს და ფერხნიცა გაუცივდენ. მკუდრისა ფერი დაედვას...“)[2].

ზემოთ მოტანილი მასალების შესწავლის შემდეგ ცხადი ხდება ავტორის ტენდენცია, მოახდინოს დაავადების სხვადასხვა ფორმების ურთიერთდიფერენცირება და კლინიკური სიმპტომატოლოგიის საფუძველზე მათგან ცალკე ნოზოლოგიური ერთეულები გამოყოს.

მეთექვსმეტე საუკუნით დათარიღებულ წიგნში არის აგრეთვე ცდა გასტროენტეროკოლიტის ორი სხვადასხვა ფორმის ურთიერთდიფერენცირებისა, ერთი მათგანია „აიზა“, ხოლო მეორე „ემთელა“.

„აწე კაცსა რომე საჭმელი გამოჰყუეს და ვერ მოიდნოს იმას ემთელა ჰქუიან და თუ მეორეს დღესა წინადაღმან სწორად გახსნა, იმას აიზა ჰქუიან“[3].

როგორც ჩანს, „ემთელა“ გასტროენტეროკოლიტის ისეთ ფორმას გულისხმობს, რომლის დროსაც კუჭ-ნაწლავის მონელებითი ფუნქცია მკვეთრადაა დარღვეული. ამის გამო განავალი მოუნელებელი საჭმლის ნაწილებისაგან შედგება. რაც შეეხება „აიზას“, მის შესახებ ზემოთ დაწვრილებით ითქვა; იგი თავისი სიმპტომატოლოგიით მწვავე გასტროენტეროკოლიტის კოლაფსოიდურ ფორმას მოგვაგონებს.

მეთვრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კუჭნაწლავის დაავადებათა ეტიოპათოგენეზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კვებითი და საერთოდ, ყოფაცხოვრებითი რეჟიმის დაცვას. აღნიშნული რეჟიმის ყოველდღიური, თუნდაც მცირეოდენი დარღვევა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მიზეზად ყოფილა მიჩნეული. სანიმუშოდ მოვიტანოთ ამონაწერი ამ ეპოქის ერთერთი სამედიცინო ძეგლიდან:

„იშვიათად არის ამისთანა კაცი რომ ასეთი ქონდეს კუჭი, შეცთომილება სასმელსა ან საჭმელსა მოინელოს. ყოველთვის რომ იმისგან არ იგრძნოს სიმყრალე, ბოყინი, გულის ძმარვა და მუცლის სიმძიმე და დაბუჟება ნაწლავები-

---

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 124.

2 იქვე, გვ. 137.

3 „იადიგარ დაუდი“, გვ. 363.

სა. ამ გუარნი კაცნი უჩივიან კუჭსა რომე სუსტი აქუსთ, და ვერ ინელებს და არ უნდათ რომ თვისს ურიგოს ცხოვრებას დააბრალონ"[1].

ამონაწერის აეტორი გადმოგვცემს. რომ კვებითი რეჟიმის დარღვევას ხშირად თან სდევს მთელი რიგი დისპეფსიური მოვლენები, რასაც ავადმყოფები უხშირესად „სუსტ კუჭს" აბრალებენ და ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ყოველივე ეს მათი „ურიგო ცხოვრების" შედეგია.

ენახოთ, როგორ არის აღწერილი ამავე სამედიცინო ძეგლში მწვავე ალიმენტური გასტროენტეროკოლიტი:

„პირველი ოდესმე შეხუდების ძალიან რწყევა, რომ თუ არ დადგა ორსა ან სამ დღეში მოკუდება კაცი... დიდი სისუსტე, ამღურეული და ჩაცვენილი თუალები, ხშირი გულისყრა მოასწავებენ შიშს. და თუ ეს უკანასკნელი ნიშანი არ აქვს მაშინ დია ცოტა ან სულ თითქმის იმედი არ არის.. .ოდენ-მე მიზეზი ამისა იქმნების დამძიმება სუსტისა და წამხდარისა კუჭისა მძიმის ან დამპლის საჭმელითა... და ასევე შეხუდება მრავლის მაჭრის სმით... საწამლავით ან საწამლავიანის საჭმელით ე. ი. არს საწამლავიანის სოკოთი. ამისთანა სნეულებაში ჩქარა უნდა მიაშველოს წამალი, მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ჩქარა მოჭრა ამით დია უგუნურება იქნება"[2].

ზემოაღწერილი დაავადების სამკურნალოდ, უპირველესად ყოვლისა, მიმართავდნენ კუჭის ამორეცხვას თბილი რძით, სისხლის გამოშვებას, აგრეთვე კუჭში გამხსნელი და სასაქმებელი წამლების მიცემას.

საინტერესო ცნობებია შემონახული ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში კუჭის წყლულისა და მისი გართულებების შესახებ.

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში კუჭის წყლული შემდეგნაირად არის აღწერილი:

„თუ სტომაქშიგა მჯდომი გამოუვიდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე პირისა ქარი და მისი სული უბედური იყოს, ანუ ენა და პირი უშრებოდეს ანუ რწყევა ბევრი მივარდეს და რწყევაშიგა წყლულსა ტყავი ავარდეს იმისთანა ამოყვეს"[3].

ზემომოტანილი ამონაწერის აეტორი გვამცნობს, რომ კუჭში „მჯდომის" არსებობის დროს ავადმყოფს პირიდან ცუდი სუნი ამოსდის, აქვს გულისრევა და პირღებინება, პირნალებ მასაში წყლულის ნაწილებიც ამოყვება ხოლმე. „მჯდომი" სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, წყლულს ნიშნავს. საგულისხმოა, რომ თავის განმარტებაში საბა სწორედ მე-11 საუკუნეში, იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილ ძეგლს ეყრდნობა. მე-15 საუკუნით დათარიღებულ ძეგლში აღნიშნული დაავადება „სტომაქის წყლულის" და „მჭამელის" სახელწოდებითაა მოხსენიებული—„და თუ წაეკიდოს სტომაქსა წყლული ანუ მჭამელი სტომაქსა შიგან..."[4] სახელწოდება „მჭამელი" მე-18 საუკუნის სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძირითად ფონდშია შეტანილი და განმარტებულია, როგორც „წყლული კირჩხიბი"[5]. იბადება კითხვა, ხომ არ იყო ძველ ქართულ მედიცინაში განსხვავე-

---

1 ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდი. ფ. 71 R. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 იქვე.

3 „უსწორო კარაბადინი", გვ. 273.

4 „სამკურნალო წიგნი", გვ. 128.

5 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა", 1949 წ.

ბული სახელწოდებანი კუჭის წყლულის სხვადასხვა ფორმებისათვის? კერძოდ, სახელწოდების ქვეშ—„წყლული კირჩხიბი“ სიმსივნურად გადაგვარებული წყლული ხომ არ იგულისხმება. მით უმეტეს ,რომ ძველ ქართულ ტექსტებში ასეთ გამოთქმებსაც ვხვდებით („სტომაქისა სიმსივნისა წყლული“). აღნიშნული საკითხი მეტად საინტერესოა, მაგრამ ჯერჯერობით მოპოვებული მასალა არ გვაძლევს საშუალებას უფრო ფართოდ განვიხილოთ იგი. არ არის გამორიცხული აგრეთვე შესაძლებლობა, რომ სახელწოდება „მჭამელის“ ქვეშ გაერთიანებული იყო წყლულიც და კირჩხიბიც. ვინაიდან მათ დიფერენციას ვერ ახდენდნენ.

როგორც ირკვევა, ძველი საქართველოს ექიმები არა მარტო კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების სიმპტომატოლოგიას აღწერდნენ, არამედ იცნობდნენ ამ სნეულების მთელ რიგ მნიშვნელოვან გართულებებსაც. ასე მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნეში აღწერილია მთელი რიგი დაავადებანი, რომლებიც თავისი ნიშნებით კუჭის მოტორული ფუნქციის მკვეთრი დარღვევის და პილორუსის სტენოზის სურათს გვაგონებს. აი ეს მასალა:

„დაფიასა[1] ძალისა უძლურობისა ნიშანი ესე არის, რომე მრთელისა კაცისა სტომაქშიგა საჭმელი თორმეტსა ანუ თექუსმეტსა ჟამსა დარჩეს... და ყელით, რა ქარი ამოვიდეს მჟავე ქარი ამოვიდოდეს...“[2].

ავტორი გადმოგვცემს, რომ კუჭის ერთ-ერთი დაავადების დროს საკვები ადამიანის კუჭში თორმეტი ან თექვსმეტი საათით ჩერდება. იმ დროს ავადმყოფს აქვს ბოყინი მჟავე სუნით. რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, რომ ზემოაღნიშნული სიმპტომების ქვეშ ძველი ექიმები მართლაც იმ დაავადებებს გულისხმობდნენ, რომლებიც დღეს პილორუსის სტენოზის ან კუჭის ატონიის სახელწოდებით არის ცნობილი. საინტერესო აქ ის არის, რომ ძველი ავტორები მახვილი დაკვირვების უნარს იჩენდნენ და შემჩნეულ ავადმყოფურ მოვლენებს ძირითადად სწორად აფასებდნენ.

სათანადო წყაროების შესწავლა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მე-13 საუკუნეშიც აგრეთვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ კუჭის წყლულის კლინიკურ სიმპტომატოლოგიას. კუჭის წყლულის მნიშვნელოვან კლინიკურ ნიშნად მიჩნეული ყოფილა ტკივილი კუჭის არეში. ამ უკანასკნელს ძველი ავტორები კბენის შეგრძნებას ადარებენ: „და ნიშანი მისი, რაიცა სტომაქისა სიწყლულისაგან იყოს იგი არს, რომელ ეგრე ეგონოს ნუთუ რაი უკბენს სტომაქსა“[3].

უაღრესად საინტერესოა, რომ მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ საექიმო წიგნში კუჭის ტკივილის დაწყებას შიმშილს ან საჭმელის ქიღებას უკავშირებენ: „...ერთი სტომაქისა ტკივილი იგი არს, რომელ სიმშილისაგან იქნების, და მეორე საჭამადისა ჭამისა, ჟამსა მესამე ჭამასა უკანით“[4].

---

1 „დაფია“, ძველი მედიცინის თანახმად ორგანიზმში არსებული ერთერთი „ძალაა“, რომელიც ანბორციელებს საჭმლის ეკაკუაციას კუჭიდან.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 271.

3 „წიგნი საექიმოი“, გვ. 176.

4 იქვე, გვ. 183.

მოტანილ ამონაწერში აღწერილია ერთი მხრივ შიმშილით გამოწვეული ტკივილი, ანუ როგორც ახლა უწოდებენ „მშიერი ტკივილი"; მეორე მხრივ საჭმლის მიღებიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ განვითარებული ტკივილი და ტკივილი, რომელიც საჭმლის მიღებისთანავე იჩენს თავს. ცნობილია, რომ ტკივილის სამივე ეს სახე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს გვხვდება და ამ დაავადების კლასიკურ ნიშნად ითვლება. მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ ქართულ სამედიცინო ძეგლში პილორუსის სტენოზისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნებიც აღუწერიათ, რომელთა შესახებ ცნობები წინა საუკუნეების სამედიცინო წყაროებში არ გვხვდება: „...უეარესი იგი იქნების, რომელ (ტკივილი) საჭამადს უკანით იქნების, და ვიდრე არ არწყიოს არ დასწყნარდეს"[1].

„სტომაქისა ტკივილისა ვითარებაი რაი სიგრილისაგან იყოს, იგი არს რომელ ყოლაი საჭამადსა არ მოიდნობდეს, და ვიდრე არ არწყიოს არ გამოისვენოს"[2].

თანამედროვე მედიცინაში ცნობილია, რომ კუჭის მოტორული ფუნქციის დარღვევის დროს, რაც ხშირად სტენოზით არის განპირობებული, პერიოდიზება მართლაც გარკვეულ შვებას გვრის ავადმყოფს.

ამავე ძეგლში აღწერილია აგრეთვე წყლულის გართულება, კუჭიდან სისხლის დენის სახით:

„...ვითარებაი სისხლისა ამოღებისა... ამის მანკისა ვითარებაი სტომაქისა სიწყლულისაგან იქნების ანუ სიმსივნისაგან, რომელ შიგან იყოს და გასქდეს..."[3]

მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში ვხვდებით კუჭის დაავადებას, რომელსაც „სტომაქისა პირისა ფეთქაი" ეწოდება. აი როგორ არის აღწერილი აღნიშნული დაავადება:

„...გასარეველი ზაფრაული სტომაქისა პირსა შეყრილ იყოს და მორევნილ იყოს და მას ადგილსა უკბენდეს ძნელად.. მანკი ძლიერად იყოს სნეული დაბნდეს და ფერხნი გაუწვდენ და ტკივილისა სიძნელისაგან ვერ დასწყნარდებოდეს და რა მანკი გაუგრძელდეს და არაი უკურნონ უღონოდ, მოკვდებას კაცი უცილოდ"[4].

მოტანილი ამონაწერის მიხედვით, კუჭის აღნიშნული დაავადება ხასიათდება ძლიერი ტკივილით, რის გამოც ავადმყოფი ცნობას კარგავს და თუ სწრაფად არ იქნა მიღებული ზომები, იგი იღუპება. თუ რა დაავადება იგულისხმება ზემოთ მოტანილ აღწერილობაში, ძნელი სათქმელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში კუჭის სნეულების ერთერთ უმძიმეს გართულებასთან გვაქვს საქმე.

„სამკურნალო წიგნში" აღწერილია აგრეთვე კუჭის წყლულის გართულება სისხლის დენით. სისხლის დენის მიზეზად მიჩნეულია სისხლის ძარღვის დაზიანება წყლულის, ანუ „მჭამელის" არსებობის გამო „და თუ იყოს სტომაქშიგან

---

[1] „წიგნი საექიმოი" გვ. 184.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 179.
[4] იქვე, გვ. 172.

ძარღვი გაწყუეტილი ანუ წყლული მჭამელისაგან, მას კურნე წამლითა რომელ-მან დააკავშიროს იგი გაწყვეტილი ძარღვი"[1].

კლინიკური სურათი ამ გართულებისა, რომელიც გამოხატულია მელენათი, შემდეგნაირად არის გადმოცემული:

„...სისხლის ყვანა, რომე შიგნით სტომაქსა გარეშემო წურილი და თეთრი მღიერი გამოესხას... მისი ნიშანი ესე არის რომე სტომაქით ავი სული ამოსღიოდეს და ჭამის უკნის სტომაქი ეწოდეს და სტკიოდეს. ესე მჟავისა ჭამისაგან წაეკიდების..."[2].

მოტანილ ამონაწერში, გარდა კუჭ-ნაწლავიდან სისხლის დენისა, ისეთი კლინიკური ნიშნებია დასახელებული, როგორიცაა კუჭის ტკივილი საჭმლის მიღების შემდეგ და კუჭის წვა. სისხლის დენის მიზეზად მიჩნეულია კუჭის კედლის დაზიანება მასზე „მღიერის"[3] ამოსვლის გამო. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნული დაავადების გამომწვევ მიზეზად კვებითი რეჟიმის დარღვევაა მიჩნეული („...მჟავისა ჭამისაგან წაეკიდების...").

ამ მძიმე გართულების სამკურნალოდ საკმაოდ სწორი ტაქტიკა აურჩევიათ. პირველ ყოვლისა, ავადმყოფი მკაცრ დიეტაზე გადაყავდათ, ხოლო შემდგომ თანდათანობით უფართოებდნენ საკვებ რაციონს.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ხშირად გვხვდება კუჭის დაავადების აღწერილობანი, სახელწოდებით: „სტომაქისა სიმსივნე" ანუ „დუბელაი".

აი, როგორ არის აღწერილი ზემოაღნიშნული დაავადება მეთერთმეტე საუკუნეში:

„ნიშანი მაგრისა სიმსივნისა ესე არის რომე არა დია გამოჩნდების, არცა დია ბალღამს გამოაჩენს. თუ გამოჩნდეს ნიშანი ისი არის რომე სტომაქი მაგრად და მძიმედ ქონდეს და ტანი დამჭლობოდეს, ავი საგონებელი და შიმშილი გამოუჩნდეს... ტანი დაუმჭლდეს და თვალნი უკუეყარნენ და ყვანა რწყევა გამოჩნდეს... და სტომაქი გაუმაგრდეს, ასრე რომ თითი დააჭირო არა დაეფლას შიგა, იცოდი რომე დუბელა შექნია სტომაქსაშიგა. ამაშიგა სტომაქისა ტკივილი გამოჩნდეს და ხელფეხი გაუცივდეს, სიკუიდილისა ნიშანი არის"[4].

აღწერილობის თანახმად „მაგარი სიმსივნე" ხშირად ფარულად მიმდინარეობს („...არაა დია გამოჩნდების..."), ხოლო როდესაც გამომჟღავნდება, მისი კლინიკური ნიშნები შემდეგია: ავადმყოფს აქვს უსიამოვნო შეგრძნება კუჭის არეში („...სტომაქი მაგრად და მძიმედ ქონდეს..."), წონაში მკვეთრად კლებულობს („...ტანი დამჭლობდეს"), აქვს უსიამოვნო განწყობილება და შიმშილის გრძნობა („...ავი საგონებელი და სიმშილი გამოუჩნდეს..."), აქვს დისპეფსიური მოვლენები—„ყვანა რწყევა გამოჩნდეს". „სტომაქი"—კუჭის არე იმდენად გამაგრებულია, რომ მასზე თითის დაჭერა ჩადრეკას არ იწვევს („..სტომაქი გაუმაგრდეს, ასრე რომ თითი დააჭირო არა დაეფლას შიგა..."). ტკივილი კუჭის არეში და ხელფეხის გაცივება პროგნოზის მხრივ მეტად საშიშ, სასიკვდილო ნიშნად ყოფილა მიჩნეული.

---

1 „სამკურნალო წიგნი", გვ. 128.

2 იქვე, 258.

3 პროფ. იუსტინე აბულაძეს „მღიერი" განმარტებული აქვს, როგორც ეგზემა (იხ. „უსწორო კარაბადინის" ლექსიკონი). ქართულ სამედიცინო წყაროებში „მღიერი" ხშირად იხმარება წყლულის მნიშვნელობით „...სტომაქშიგა მჯდომი იყოს, ანუ მღიერი გამოჩნდეს" „უ. კ.". გვ. 273.

4 „უსწორო კარაბადინი", გვ. 273.

როგორც მოტანილი ამონაწერიდან დავინახეთ, აღნიშნული სიმპტომკომპლექსი მსგავსია კუჭის ავთვისებიანი სიმსივნის კლინიკური სურათისა.

მე-13 საუკუნეში „სტომაქისა სიმსივნე" შემდეგნაირად არის აღწერილი: „სტომაქისა სიმსივნე, რაი სიმხურვალისაგა იყოს... იგი არს რომელ დასაწყისსა აცხროოს და სტომაქსა ზედა სიმსივნე ჩნდეს და ყოლა საჭამადი არ მოუნდების და არწყევდეს და წყურვილი დია იყოს და რაი ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვას დია უხურვიდეს... სიმსივნე რაი სიმხურვალისგან იყოს და გამაგრდეს და დუბელად შეიქნას, ნიშანი მისი იგი არს, რომელ აცხროებდეს და სტკივოდეს..."[1].

როგორც ამონაწერიდან ჩანს, სიმსივნის ზემოაღწერილი ფორმისთვის დამახასიათებელი ყოფილა დაავადების დასაწყისში ტემპერატურის მომატება, უმადობა („...საჭამადი არ მოუნდების..."), პირღებინება, გაძლიერებული წყურვილის გრძნობა და ტკივილი კუჭის არეში. ამონაწერში არსებული წინადადება—„სტომაქსა ზედა სიმსივნე ჩნდეს"—შეიძლება გავიგოთ, როგორც ინსპექციით სიმსივნური წარმონაქმნის დადასტურება. რაც შეეხება სიმსივნის პალპაციას, ამ მეთოდით დადგენილი ყოფილა სიმსივნის კონსისტენცია („...გამაგრდეს და დუბელად შეიქნას...) და სიმსივნის არეში ტემპერატურის მომატება („...რაი ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვას დია უხურვიდეს...").

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილია მთელი რიგი დაავადებები, რომლებიც თავისი ნიშნებით ემსგავსება შაქრიან დიაბეტს. ეს ნიშნებია გაძლიერებული წყურვილი და მადა, აგრეთვე ძლიერი სიგამხდრე.

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში აღნიშნული დაავადების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „ნიშანი მისი რომე კაცი ჭამდეს და არა ძღებოდეს, ოქნების რომე სიგრილისაგან იყოს..."[2] ასეთი ავადმყოფისათვის დამქანცველი მუშაობა ფრიად საზიანოდ ყოფილა მიჩნეული. („...მას მუშაობა და მოჟირვება აწყენს..."[3]).

მეცამეტე საუკუნის მასალებში აღნიშნული დაავადება უფრო სრულად არის წარმოდგენილი:

„არ გაძღომაი ჭამისაგან... ძღომილისა სიმშილი იგი არს რომე კაცი დია ჭამდეს და გაძღომაი არ ეგებოდეს და სწყუროდეს და წყლისა სმისაგან ელხინებოდეს და ნიშანი მისი რომელ მგზავრობისგან წაჰკიდებოდეს იგი არს, რომე რაი გვიანად ჭამოს დაჰბნედებოდეს"[4].

მოტანილ ამონაწერში ისეთი დაავადებაა აღწერილი, რომლის დროსაც, მიუხედავად დიდი რაოდენობით საკვების მიღებისა, ავადმყოფი დაკმაყოფილებას ვერ გრძნობს. აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობისათვის ფრიად მახვილგონიერი სახელწოდება მოუციათ—„ძღომილისა სიმშილი". დაავადების კლინიკური ნიშნებიდან დასახელებულია აგრეთვე გაძლიერებული წყურვილი და ზოგჯერ გულის შეღონება, რომელიც ავადმყოფს თითქოს მაშინ ემართება,

---

1 „წიგნი სააქიმოი", გვ. 185.
2 „უსწორო კარაბადინი", გვ. 278.
3 იქვე.
4 „წიგნი სააქიმოი", გვ. 168.

როდესაც იგი საპმლის მიღებას დააგვიანებს („...რაი გვიან სპამოს დაპბნედებოდეს...“). შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოაღწერილი კლინიკური ნიშანი, მართლაც ახასიათებს შაქრიან დიაბეტს. მეთხუთმეტე საუკუნის ძეგლში—ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინში“, შაქრიანი დიაბეტი ძირითადად იმავე ნიშნებითაა წარმოდგენილი, როგორც ეს ზემოთ იყო მოცემული. მას „წყურტი“ ეწოდება. მეთვრამეტე საუკუნის ერთერთ ძეგლში დაავადება „წყურტი“ შემდეგი ნიშნებითაა წარმოდგენილი: გაძლიერბული წყურვილი, გაძლიერებული მადა და ძლიერი სიგამხდრე—„წყურტი სნეულობა არს რომელ მრავალსა წყალსა ასმევს კაცსა და განახმობს სიმკლითა“[1].

შაქრიანი დიაბეტი, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „წყურტი“, ძველი საქართველოს მედიცინაში კუჭის დაავადებად იყო მიჩნეული, ამიტომ ამ დაავადების მკურნალობა ძირითადად ისევე წარიმართებოდა, როგორც კუჭის სნეულებისა. ურჩევდნენ გარკვეული დიეტის დაცვას, ხილის წყენების მიღებას და სხვ.

ჭიებით ინვაზია ძველ ქართულ მედიცინაში საკმაოდ კარგად ყოფილა ცნობილი. ძველ სამედიცინო წიგნებში ისეთი იშვიათი გართულებაც კი არის აღწერილი, როგორიცაა ჭიებით ნაწლავის სანათურის დახშობა და გაუვალობის განვითარება.

ჭიების სხვადასხვა სახეების გამოყოფა უმთავრესად მათი ფორმის მიხედვით ხდებოდა. არჩევდნენ გოგრის თესლის მსგავს ჭიას („აყიროს თესლის მსგავსი“), გრძელსა და წვრილს, აგრეთვე, მოკლე და მსხვილ ჭიებს:

„იცოდით ჭია მუცელშიგა რომე დაიბადების სამფერი არის, ერთი გრძელი და წურილი არის, ერთი მოკლე და უფრო მსხვილი არის, ერთი აყიროს თესლსა ჰგავს“[2].

ვიდრე ჭიების ცალკეული სახეების დახასიათებაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ძველად ჭიების წარმოშობის და გამრავლების საკითხები.

ჭიების გაჩენას უკავშირებდნენ სხვადასხვა საკვები პროდუქტების მიღებას, როგორიცაა პური, კიტრი, რძე, ხორცეული და სხვ. ექიმის უპირველეს მოვალეობად იმის დადგენა მიაჩნდათ, თუ რა საკვების მიღებითაა გაპირობებული ჭიების გაჩენა:

„აწე აქიმი მეცნიერი უნდა, რომე შეიგნოს ვითა რომლისა ჭამისაგან არის დაბადება იმა ჭიებისა... და ქერის პური, ხმიადი და კეცეულის პურისაგან და კიტრისაგან და რძისაგან და მჭლისა ზროხისა ხორცისაგან და მიწის ჭამისაგან და მსუქნისა საპმელისაგან და ოდოშისაგან და მსხვილისა ცერცვისაგან... უმწიფარის ხილისაგან და ბევრის ხახვისაგან, ამათ თუ მუდმად სჭამს ამათის ჭამისგან დაემართების ჭია“[3].

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1949 წ. ს. იორდანიშვილის რედაქციით. გვ. 882.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 359.

3 იქვე.

ჭიების გაჩენის შესახებ მსგავსი შეხედულება არსებობდა მე-13 საუკუნეშიც: „ესე მანკი უფროისჯერ ბალღმიანთა კაცთა და ეგეთთა კაცთა შეექნების, რომელ უნდობი გრილი საჭამადი დია ეჭამოს და წელთა შიგან დამპალ იყოს და მისგნით სულიერი მძრომი დაიბადების და შეიქნების“[1].

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ არაორგანულ ნივთიერებებიდან ცოცხალი არსებების შექმნა შესაძლებლად ყოფილა მიჩნეული. სხვაგვარი გაგება მეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეზე წარმოუდგენელიც იყო. ცნობილია, რომ „თვითჩასახვის თეორია“ პასტერის გენიალურ აღმოჩენამდე განუყოფლად იყო გაბატონებული მედიცინაში და ბუნებისმეტყველებაში.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა, რომ ნაწლავების სხვადასხვა მონაკვეთში უპირატესად ამა თუ იმ სახის ჭია ბუდობს:

„...გრძელი ჭია საიმა წელსა შიგან იქნების და... წვრილი და ბრტყელი ჭია, რომელ მას აყიროისა თესლი ჰქვიან იგი ყოლინსა აავარსა წელსა შიგან იქნების და აავარისა თარგმანი მრუდი არის... და წვრილი ჭია მოსთაყიმსა წელსა შიგან იქნების...“[2].

თუ რა სახის ჭიები იგულისხმება აღნიშნულ სახელწოდებათა ქვეშ, ძნელი დასადგენია, თუმცა ჭიების დასახელებული ფორმებით გამოწვეულ დაავადებათა სიმპტომები, რომლებიც ძველ სამედიცინო ძეგლებშია მოცემული, ერთგვარ საბუთს გვაძლევს, მათ სახეებზეც ვიმსჯელოთ. აი, როგორ არის აღწერილი გრძელი და წვრილი ჭიით გამოწვეული დაავადებანი მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში: „...ნიშანი მისი რომე გრძელი ჭია იყოს და წურილი... მისი ნიშანი ისი არის, რომე ხახა საჭმელსა ძნელად ჩაუშვებს, ისი ჭია გველივითა იგრიხოდეს და არცა დღისით და არცა ღამით მოსვენება არა ჰქონდეს და დასაპყარდეს, და რა ძალისაგან გაეღვიძოს თვალისა ახილვა ეძნელებოდეს“[3]. ამავე ჭიის ინვაზიით გამოწვეული დაავადება მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში რამდენადმე განსხვავებულად არის აღწერილი:

„აწ ნიშანი დავწეროთ ისი, რომე გრძელი და წითელი ჭია იქნების, ისი სტომაქშიგან იქნების და რასაც კაცი ჭამს იმასვე ისი ჭია ჭამს და კაცი მისთუის დამჭლდების, დასუსტდების“[4].

„და თუ კაცსა დიდი და გრძელი ჭია ასხია, ეს ჭია ჭიაყელა არის რომე გარგანავალსაცა ბევრჯერ გაჰყუების... აწე ამა სენისა და ამა ჭიის სხმისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე ღამ ღამით ძილშიგა კაცსა პირს წყალი მოსდიოდეს და ბაგეები ღამღამობით სოველი ჰქონდეს და დღისით ბაგეები ხმელი ჰქონდეს. და ესე კაცი გულშიგა შევიწროებით იყოს და ძილშიგა კბილებს აკრაჭუნებდეს, და რა კაცი საჭმელსა სჭამდეს გული აერეოდეს“[5].

თუ ზემოთ აღწერილ დაავადებათა ნიშნებს შევაჯამებთ, შემდეგ კლინიკურ სურათს მივიღებთ: ავადმყოფს აქვს ყლაპვის გაძნელება („...საჭმელსა ძნელად ჩაუშვებს...“), ღამით გაძლიერებული ნერწყვის დენა („...ღამ-ღამ ძილშიგა კაცსა პირს წყალი მოსდიოდეს...“) და საჭმლის მიღების შემდეგ გულისრევა. ავადმყოფი წონაში იკლებს და სუსტდება.

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 207.
2 იქვე.
3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 360.
4 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 285.
5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 422.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ზემოჩამოთვლილი ნიშნები, როგორიცაა გაძლიერებული ნერწყვის დენა, კბილების კრაჭუნი, გულისრევა და ძილის გაკრთობა, თანამედროვე კლინიკურ პრაქტიკაშიც მიჩნეულია ასკარიდოზის კლინიკურ ნიშნებად.

ზემოთ მოტანილი ამონაწერებიდან გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მეტად მახვილგონიერი მოსაზრება ადამიანის ორგანიზმზე ჭიების მავნე ზეგავლენის ასახსნელად: „...რასაცა კაცი ჭამს იმასვე ისი ჭია ჭამს და კაცი მისთვის დამჭლდების, დასუსტდების"[1].

აღნიშნული მოსაზრება ერთგვარად გვაგონებს თანამედროვე შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც მრგვალი და ბრტყელი ჭიები იკვებებიან ნაწლავების შიგთავსით და ორგანიზმის წვენებით, არღვევენ ვიტამინების შეთვისებას და სხვ., რასაც მართლაც მოსდევს ავადმყოფის წონაში დაკლება და მთელი რიგი სხვა მოვლენები. თვით ჭიის დამახასიათებელი ნიშნები: „წვრილი და გრძელი ჭია", „ესე ჭია ჭიაყელა არის", ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში ასკარიდის აღწერილობასთან უნდა გვქონდეს საქმე.

აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა „ხვარასანის" მიცემა აბების სახით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხვარასანი წარმოადგენს თანამედროვე მედიცინაში ასკარიდების საწინააღმდეგოდ ფართოდ ხმარებული სანტონინის მასალას.

მეცამეტე საუკუნით დათარიღებული ძეგლის მიხედვით, ბრტყელი და აყიროს მსგავსი ჭიით გამოწვეულ დაავადებას, უფრო ახალგაზრდა ასაკში აქვს ადგილი და მისი ძირითადი კლინიკური ნიშანია ტკივილის შეგრძნება ნაწლავების მდამოში: „ნიშანი ჭიისა ქუდედანაისი[2] იგი არს რომე ეგრე ეგონოს ჟამჟამ თუ წელსა რაიმე უკბენს და ესე მანკი უფროისჯერ ყმაწვრილთა შეექნების და ბალღმიანთა კაცთა..."[3].

ამავე წიგნში მითითებულია, რომ აღნიშნული ჭიით დასნებოვნების დროს ტკივილი უმთავრესად ჭიპის მიდამოშია ლოკალიზებული. შესაძლებლად არის აგრეთვე მიჩნეული ჭიის ამოსვლა პირიდან. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ჭია ნაწლავებიდან კუჭში მოხვდება ხოლმე.

„რაი უპე იგრეხოდეს და მუცელი სტკიოდეს და ბუნებაი ჰავად ედგას მანკი იგი არს, რომელ ჭია გამრავლებულ იყოს და საშიშოი იქნების რომელ წელთაგან სტომაქსა ამოვიდენ ჭიანი"[4].

უნდა აღინიშნოს, რომ ყრუ ტკივილი ეპიგასტრიუმის მიდამოში და ჭიპის არეში შეიძლება გამოხატული იყოს ჭიებით დასნებოვნების თითქმის ყველა ფორმის დროს, მაგრამ მოტანილ ამონაწერში ძლიერ ტკივილზეა მითითებული, ძლიერი ტკივილი კი, რომელიც ხშირად ქვემწვავე და ქრონიკული აპენდიციტის სურათს გვაძლევს, ბრტყელი ჭიებისათვის არის დამახასიათებელი. თვით ჭიის სახელწოდებაც, რომელიც ზემოთმოტანილ აღწერილობებში

1 „სამკურნალო წიგნი", გვ. 285.
2 „ქუდედანი რომლისა არს თარგმანი აყიროისა თესლი..." („წიგნი საკიმოი", გვ. 207).
3 „წიგნი საკიმოი", გვ. 208.
4 იქვე.

გვხვდება — „აყიროს თესლის მსგავსი ჭია“, აგრეთვე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ბრტყელი ჭიის ერთერთი ფორმა უნდა იყოს ნაგულისხმევი. აყიროს ძველ საქართველოში გოგრას უწოდებდნენ, ბრტყელი ჭიის პროგლოტიდები კი, რომლებიც ხშირად განავალს გამოყვება ხოლმე, თავისი ფორმით მართლაც გოგრის თესლის მსგავსია.

აყიროს თესლის მსგავსი ჭიის სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა „ხვარასანი“, აგრეთვე „ნიორი“, „ბროწეულის წვენი“, „ნიგვზის წვენი“ და სხვა.

ღვიძლის დაავადებებიდან, რომლებიც ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებშია წარმოდგენილი, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიყვითლის ნიშნით გაერთიანებული სნეულებანი.

ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში ჩვენ ვხვდებით ფართოდ გაშლილ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა მიზეზებით შეიძლება განვითარდეს სიყვითლე; მათ შორის ღვიძლის პათოლოგიური მდგომარეობით გამოწვეულ სიყვითლესაც სათანადო ადგილი აქვს დათმობილი.

ვინაიდან აღნიშნული მსჯელობა თავისი ხასიათით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს, მას მთლიანად მოვიტანთ:

„...კაცსა თუალისა სითეთრე გაუყვითლდეს და ტანზედაცა გაყუითლდეს. ესე ოთხისაგან იქნების: ერთი ნაღულის დამეტებისაგან რომე ნაღველი აივსების და აშფოთდების და გამოვა ყოველსა ასოშიგა და თვალშიგა, ყვითლად შეიქნების კაცისა ფერი, მეორე ძნელისა ზაფრისა ცხროსაგან რომე ერთსა დღესა მოუვა და ერთსა არა და კვალად მესამესა დღესა მოუვა. ესე ცხრო მხურვალე ცხრო არის და აშფოთდების და მეშვიდესა დღესა თუ გამოჩნდეს სიყვითლე, საშიშარი არის სნეულისათვის, მესამე რომე ღუიძლსა და ტყიპსა შუა სავალი ძარღვი არის ისი შეიკვრის და ღვიძლის სევდასა ტყიპსშიგა ვეღარა გაგზავნის და ღუიძლი ასტკივდების და ტყვეისა ან სპილენძისა ფერად შეიქმნების კაცი. ესე სიგრილისაგან და სიხმისაგან იქნების, მეოთხე ქვემძრომთა კბენისაგან, რომე უკბინოს და გაყვითლდეს კაცი და ან წამალმან აწყინოს, მაშინცა გაყვითლდების“[1].

მოტანილი ამონაწერის მიხედვით, სკლერებისა და მთელი სხეულის გაყვითლება შეიძლება ოთხი მიზეზით იყოს გამოწვეული. პირველი მიზეზია ნაღვლის ბუშტში ერთ-ერთი ჰუმორალური კომპონენტის, „ნაღვლის“ დაჭარბება. დაჭარბებული ნაღველი თითქოს მთელს ორგანიზმში იფანტება და მის გაყვითლებას იწვევს. სიყვითლის მიზეზად აგრეთვე მიჩნეულია ტემპერატურის მომატება—„ცხრო“, რომელიც ყოველ მესამე დღეს იჩენს თავს (უეჭველია სამდღიური მალარია იგულისხმება. ბ. რ.). მესამე მიზეზი სიყვითლისა სხვადასხვა სამკურნალო წამლებით მოწამვლაა; როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია იგულისხმება. ამავე ჯგუფშია გაერთიანებული სიყვითლე, რომელიც გამოწვეულია ქვეწარმავალთა კბენის შედეგად. ამჟამად დამტკიცებულია, რომ როგორც მედიკამენტოზური ინტოქსიკაციით, ისე შხამიან ქვეწარმავალთა კბენით გამოწვეული სიყვითლე ჰემოლიზის შედეგად ვითარდება, ძველი ექიმებისათვის კი, როგორც ჩანს, ემპირიული დაკვირვების საფუძველზე ცნობილი იყო მხოლოდ ფაქტი ასეთი სიყვითლის განვითარებისა.

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 310.

სიყვითლის გამომწვევად მიჩნეული ყოფილა აგრეთვე ღვიძლსა და ელენთას შორის არსებული სადინარის დახშვა. ეს შეხედულება იმ მცდარი ანატომიური წარმოდგენებიდან გამომდინარეობს, რომელთა მიხედვითაც ღვიძლსა და ელენთას შორის იგულისხმებოდა სადინარის არსებობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიყვითლის ის ფორმები, რომლებიც ძველ ავტორთა წარმოდგენით ნაღვლის სადინარებში „ყვითელი ნაღველის", ანუ „ზაფრის" დაჭარბებასთან არის დაკავშირებული. აი, როგორ აღწერდნენ ასეთი ხასიათის სიყვითლეს მეცამეტე საუკუნეში:

„...მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ნამეტნავად თავი სტკიოდეს, თავიცა და შუბლიცა ცხლად ედგას და დამჭლდეს და თუალები გაუყვითლდეს და პირი გაუმწარდეს და უშრებოდეს და მწოვედ სწყურდებოდეს და ძარღუები წვრილად და ჩქარად სცემდეს..."[1]. როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, სიყვითლის აღნიშნული ფორმისათვის დამახასიათებელი ყოფილა: სკლერების ყვითლად შეფერვა, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება და მთელი რიგი დისპეფსიური მოვლენები (პირში ცუდი გემო, პირის სიმწარე და სხვ.). ზემოთჩამოთვლილი სიმპტომკომპლექსი ერთგვარად ემთხვევა ღვიძლის იმ დაავადების ნიშნებს, რომელიც თანამედროვე მედიცინაში ჰეპატიტის სახელწოდებითაა ცნობილი.

მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო წიგნში ჰეპატიტის კლინიკური სურათი უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი:

„...ვითარებაი მისი, ზაფრისა სიმეტისა და მორევნისაგან იქნების, რომელ სრულიად ტანსაშიგან გაიპანტოს, ანუ ღვიძლისა სიმხურვალისგან ანუ ღვიძლისა სიმსივნისაგან ანუ ღვიძლისა გზათა შეკრულობისაგან... ნიშანი ყვითლისა ზარირისა ვითამცა იარაყანისა ნიშანი იგი არს, რომელ თვალი და ყოველივე ტანი ყვითლად იყოს, და ფსელი წითელი იყოს, და ნიშანი მისი რაიცა ღვიძლისა სიმხურვალისაგან იყოს იგი არს რომელ მიწყით ფერად ყვითელი იყოს და სიმსივნისა ნიშანი იგა არს, რომელ გვერდი სტკივოდეს"[2].

მოტანილი ამონაწერის ავტორი განიხილავს, ღვიძლის სადინარების დახშობის შედეგად განვითარებულ სიყვითლეს („...ღვიძლისა გზათა შეკრულობისაგან...") და სიყვითლის ისეთ ფორმას, რომელსაც თან სდევს ღვიძლის „სიმსივნე" და ტკივილი. ამ უკანასკნელი სახის სიყვითლის დამახასიათებელ ნიშნად აღიარებულია აგრეთვე ავადმყოფის მიერ მოწითალო შარდის გამოყოფა[3]. ამრიგად, ღვიძლის ზემოაღნიშნული დაავადების კლინიკურ ნიშნებად მიჩნეული ყოფილა სკლერებისა და მთელი სხეულის გაყვითლება, ღვიძლის გადიდება („სიმსივნე"), ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ არეში და ლუდის ფერი შარდის გამოყოფა. დაავადების სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა გარკვეული რეჟიმის დაცვა: „...და ყოველსა სიმხურვალესა (საჭმლის მხრივ. ბ. რ.) ერიდოს და დიაცსა ერიდოს და სიმღვიძარს და რაიცა ზაფრას მოუმატებდეს ერიდოს"[4].

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 173.

2 „წიგნი საექიმოი", გვ. 195.

3 ამ შემთხვევაში ლუდისფერი შარდი უნდა იგულისხმებოდეს, რასაც ადასტურებს ამავე ტექსტში არსებული შარდის აღწერილობა: „...თუ ფსელი წითელი იყოს და ბნელი".

4 „წიგნი საექიმოი", გვ. 195.

ურჩევდნენ ხილის წვენების, ყურძნის წვენის („ძუელის ყურძნის წყალი"), ბროწეულის წვენის მიღებას („და მეავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალს სმიდეს"). აძლევდნენ აგრეთვე ქერის გამონახარშს და სხვ.

მეთხუთმეტე საუკუნეში ღვიძლის დაავადებისა და სიყვითლის განვითარების მიზეზად მიჩნეული ყოფილა კვებითი რეჟიმის დარღვევა, აგრეთვე ძლიერი ფიზიკური გადაღლა და დაღლილზე წყლის დალევა.

მოვიტანოთ ამონაწერი ამავე საუკუნის სამკურნალო ძეგლიდან: „...და ფერზედან ყუითლად იყოს და ფერწმიდად იყოს, რაგუარცა პირველი და პირი უშრებოდეს და სწყურდებოდეს და პური არ მოუნდებოდეს, რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე ღუიძლისა ტკივილი არს... თუ მაშურალი მუშაობს ანუ მაშურალი და ოფლიანი ცივსა წყალსა სომს, ესე შეაქს ღუიძლსა ავსა სენსა"[1].

გარდა ღვიძლის დაავადების მიზეზებისა, მოტანილ ამონაწერში, აღწერილია აგრეთვე მთელი რიგი კლინიკური ნიშნები — როგორიცაა პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილი, უმადობა და სიყვითლის განვითარება. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ამ აღწერილობის ქვეშ ჰეპატიტი იგულისხმებოდა.

მეთხუთმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში აღწერილია აგრეთვე სიყვითლის განვითარების ისეთი ვარიანტი, რომელიც წინა პერიოდის სამედიცინო ძეგლებში არ გვხვდება:

„...და იქნებისცა კულა ყუითელი, ნავღლისა (იგულისხმება ნაღვლის ბუშტი. ბ. რ.). უსუსურობისაგან და ვეღარ შეეძლების გაყოფა, ვითა პირველ შეეძლო, უსუსურობა ამას ჰქუიან, რომე ნავღელი სავსე არ იქნების ნაკლული იქნების. მაშინ შეერთვის ნაღველი სისხლსა და დაიფანჩოს ტანსა შიგან და გაყუითლდეს მითცა ტანი..."[2].

უაღრესად საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში სიყვითლის განვითარებას საფუძვლად უდებენ ნაღვლის ბუშტის ფუნქციურ უკმარისობას („...ნავღლისა უსუსურობისაგან... და ვეღარ შეეძლების გაყოფა ვითა პირველ შეეძლო...").

ანატომიისა და ფიზიოლოგიისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნული იყო, რომ ძველი წარმოდგენების თანახმად, ღვიძლს რამდენიმე სადინარი გააჩნია, მათ შორის ე. წ. „შიგანისა ძარღვი ღვიძლისანი"[3], „ღვიძლის ქუეშე სავალი გზა", „ღუიძლის ზედა სავალი გზა"[4].

ძველი ანატომიური წარმოდგენები ღვიძლის შესახებ იმდენად დაშორებულია დღეისათვის არსებულ ცნობებს ამ საკითხზე, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება განვსაზღვროთ, რომელ ანატომიურ წარმონაქმნებს გულისხმობდნენ ძველი ავტორები აღნიშნული სადინარების ქვეშ. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია—იქ, სადაც ამ სადინარების დახშობაზეა მსჯელობა, სა-

---

[1] „სამკურნალო წიგნი", გვ. 197.

[2] იქვე, გვ. 233.

[3] „წიგნი სააქიმოი", გვ. 20.

[4] „უსწორო კარაბადინი", გვ. 311.

ნაღვლე გზების ობტურაცია უნდა ვიგულისხმოთ. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ნაღვლის სადინარების დახშობით გაპირობებულ დაავადებათა გარშემო მსჯელობის დროს საკმაოდ სწორი მოსაზრებანია გამოთქმული. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებული ძეგლის ავტორი, მაგალითად, მიუთითებს, რომ ღვიძლის „ზემო სადინარის" დახშვით, („თუ ზედა სავალი გზა, შეიკრას") გამოწვეული დაავადების დამახასიათებელ სიმპტომს წითელი თიხის ფერი შარდი წარმოადგენს, რომელსაც მოშავო ელფერი დაჰკრავს („ფსელი იყოს ვითა წითელი თიხა და მოშაოდ სცემდეს")[1].

მეცამეტე საუკუნეში ნაღვლის სადინარების დახშობის შედეგად განვითარებული დაავადება („ვითარებაი ღვიძლთა სიმსივნისა, რომელ გზათა შეკრულობისაგან იყოს")[2]. შემდეგი ნიშნებით არის წარმოდგენილი: გამოხატულია ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ არეში („...მარჯვენა გვერდი სტკიოდეს წიბოთა ძუალთა ქუეშეთ..."), მაჯა კარგი ავსებისა და დაჭიმულობისაა. ავადმყოფი გამოყოფს შავი ფერის შარდს, სხეულის ტემპერატურა ნორმალური („მაჯასი მაგრად იყოს და ფსელი შავ ფერი იყოს, და ცხროი არ ერთოს ყოლა").

ცნობილია, რომ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში და სხეულის კანის გაყვითლება ობტურაციულ სიყვითლეს მართლაც ახასიათებს, ამავე დროს მწვავე ჰეპატიტისაგან განსხვავებით, ტემპერატურა არ მატულობს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მოტანილ ამონაწერში არსებული მითითება, რომ სიყვითლის აღნიშნულ ფორმას ტემპერატურის მომატება არ ახასიათებს („...და ცხრო არ ერთოს ყოლა...").

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ ძეგლში ნაღვლის სადინარების დახშობით გამოწვეული ობტურაციული სიყვითლე შემდეგნაირად არის აღწერილი:

„...და იქნების ესე სიყუითლე მისგან, რომე ღუიძლსა და ნაღველსა შინაგან ძარღუი არის სავლელი და ისი შეიკრვის და დანასკუდების..."[3].

„...და იქნების კულა სიყუითლე ძარღუთა ნასკულობისაგან, რომ ვეღარ იაროს ნავღელმან ვითა იარებოდა უწინა. და იაროს ძარღუთა ზედათა და შეერიოს სისხლსა და გაყუითლდეს მისგანცა ტანი"[4].

„და თუ შეიკრას სავალი ზემოთა ნავღლისა და იარებოდეს ქუეშით ძარღუითკე და სავალითკე და დაემართოს სიყუითლე, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მისისა უფლისა ფსელი იყოს ვითა წითელი თიხა და უცემდეს შავად"[5].

„და ისეთი ნავალი, რომე ფერი არა ქონდეს, ამისგან იქნების, რომე ზაფრა (ნაღველი. ბ. რ.) ნაწლავისა გზაშიგა არ წამოსულიყოს და ნაღულისა გზა შეკრულ იყოს..."[6].

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 311.
[2] „წიგნი სააქიმოი", გვ. 192.
[3] „სამკურნალო წიგნი", გვ. 232.
[4] იქვე, გვ. 233.
[5] იქვე.
[6] იქვე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაღვლის სადინარების დახშობის შედეგად განვითარებული დაავადების პათოგენეზი, მოტანილ ამონაწერში საკმაოდ სწორად არის გადმოცემული.

სიყვითლის განვითარების მიზეზად ის გარემოებაა მიჩნეული. რომ ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტს შორის არსებული სადინარი იხშობა, („...ღუიძლსა და ნაღველსა შიგან ძარღუი არის საველი ისი შეიკრვის...“), სანაღვლე გზებში გამოყოფილი ნაღველი ძველი გზით ვეღარ მოძრაობს („...ვეღარა იაროს ნავღელმან ვითა იარებოდა უწინა...“), „ზემო ძარღვებში“ გროვდება, სისხლს შეერევა და სხეულის გაყვითლებას იწვევს.

სინამდვილესთან ახლოა აგრეთვე ობტურაციული სიყვითლის დროს განავლის გაუფერულების ახსნა. ავტორის აზრით, განავლის გაუფერულების მიზეზი ის გარემოებაა, რომ სანაღვლე გზების დახშობის გამო ნაღველი ნაწლავებში ვეღარ გადადის.

მეხუთე საუკუნის მოღვაწის, პეტრე იბერიელის ცხოვრებაში დასახელებულია ერთერთი დაავადება, რომელსაც ავტორი „წყლითმანკიერებას“ უწოდებს: „ეამსა ერთს მოვინმევიდა ჰურია... იყო იგი წყლითმანკიერ მუცელი მისი განსიეებული იყო სასტიკად“[1]. მოტანილ ამონაწერში წყალმანკის ერთი ნიშანია აღნიშნული, კერძოდ მუცლის მომატება მოცულობაში. მოვიტანოთ სხვა ცნობა ერთერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან: „...ძე მთავარისა... წყლით მანკიერ იქმნა და ბოროტად სალმობიერ და ესოდენ განძედა სენი იგი, ვიდრემდი განიწირა ყოველსავე მკურნალთა ხელოვნებისა“[2].

მოტანილი ციტატი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მთავარის შვილს მძიმე სნეულება შეეყარა და დაავადება იმდენად გართულდა, რომ ავადმყოფი მკურნალთა მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც უიმედო. ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ამ შემთხვევაში უსათუოდ წყალმანკით გამოვლინებულ ღვიძლის ატროფიულ ციროზთან გვაქვს საქმე. ეს მით უმეტეს ძნელი სათქმელია, რომ დაავადების სიმპტომებიდან მოტანილ ამონაწერებში მხოლოდ წყალმანკია დასახელებული;

ვრცელი და საკმაოდ ზუსტი აღწერილობა ატროფიული ციროზისა, სახელწოდებით „ასტიცე“ გვხვდება მეთერთმეტე საუკუნეში:

„...რაჟამს დაუსუსურდეს ღვიძლი სიგრილითა და ტყირბი, შეიკრვიან მათი სავალნი და ძარღუნი და მერმე სისხლი დაუშავდების... იცოდი წყლით მაკეობა ხუთი გვარი არის: სახელი მათი, ერთისა სახელი ასტიცე, მეორისა სახელი ტიბანიცე, მესამისა სახელი კაწასარკე, მეოთხისა სახელი კუპლეგამატოს, მეხუთისა სახელი დეოფოვნოს...“ „ნიშანი ასტიცესი... თითები დაუწურილდეს, მკლავნი და იდაყუნი, ბარკალნი და მკერდნი გამხმარნი იყუნე ასე რომე ძვალები და სახსრები ჩნდეს, და მუცელი დიდისა ორსულობისაგან უფროსი იყოს და მუცელზედა ძარღვები სიმსივნისაგან გაშავებულნი“[3].

ავტორი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს, რომ „წყლით მაკეობის“ განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს ღვიძლისა და ელენთის დაავადება; კერძოდ, მათში არსებული სადინარების დახშობა, შემდეგ ჩამოთვლილია

---

1 ზაქარია ქართველი, „ცხოვრება პეტრე იერიელისაი“, საბინინის გამოცემა.
2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 157.
3 იქვე.

წყალმანკის სახეები და დასასრულ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „ასციტზე“.

ღვიძლის დაავადებით გამოწვეული ასციტის კლინიკური ნიშნებიდან აღწერილია ზოგადი კახექსია („...მკლავნი და იდაყუნი, ბარკალნი და მკერდი გამხმარნი იყუნენ, ასე რომ ძვალები და სახსრები ჩნდეს...“), მუცლის მკვეთრი მომატება მოცულობაში („...მუცელი დიდისა ორსულობისაგან უფროსი იყოს...“) და მუცლის ზედაპირზე ვენური კოლატერალების არსებობა („...მუცელზედა ძარღვები სიმსივნისაგან გაშავებულნი...“).

აღსანიშნავია, რომ ამავე საუკუნეში აღწერიათ ასციტის სხვა ფორმაც, რომელიც ზოგიერთი სიმპტომებით, აგრეთვე, ემსგავსება ღვიძლის ციროზს. მას „ტაბლი სისხი“ ეწოდებოდა. აი, როგორ არის წარმოდგენილი მისი აღწერილობა: „...ამისი ნიშანი ესე არის, რომე მუცელი გაუსივდეს და ჭიპი გარეთ გამოქცევის, ასრე გაუმაგრდების, რომე ხელი დაკრა ტაბლასავით ხმასა ამოიღებს და იბერვოდეს, ესე ქარი იქნების, და ბოყინი უნდოდეს, ვერცა აბოყინოს და თუვით აბოყინოს, მოისუენოს“[1].

ამონაწერში ჩამოთვლილია ასციტისათვის დამახასიათებელი ნიშნები: მუცლის მომატება მოცულობაში, ჭიპის ამობრუნება („...ჭიპი გარეთ გამოექცევის...“) და მუცლის ბერვა („...და იბერვიდეს...“). გამოკვლევის ობიექტური მეთოდებიდან, რომელიც ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იპყრობს, აღსანიშნავია მუცლის პერკუსია, რომლითაც ტიმპანურ ხმიანობას ვიღებთ, („...ტაბლსავით ხმასა ამოიღებს...“).

მეცამეტე საუკუნეში ღვიძლის ციროზი უფრო ფართოდ და მრავალფეროვნად არის აღწერილი: „ესე მანკი მაგრისა სიმსივნისაგან იქნების, რომელ ღვიძლსა შიგან იყოს, ღვიძლისა სიგრილისაგან იქნების... ნიშანი... იგი არს, რომე თანა ცხრო და სიმხურვალე არ იყოს, და რა ხელი მანკისა ადგილსა შემოჰკრან ხმა მისი ტაბლისასა ჰგვანდეს ვითამცა დუამბულისა ხმასა, არაბულად ტაბლი ჰქვიან დუნბულსა და შიგან ქარის იყოს და ამისთუის მას ისთისყაი დუნბულური ჰქვიან“[2].

როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, დაავადება „ტაბლის“ ერთერთ კარდინალურ ნიშნად მიჩნეული ყოფილა ღვიძლის „მაგარი სიმსივნე“. ამ სახელწოდების ქვეშ შესაძლებელია ციროზულად გადაგვარებული ღვიძლი იგულისხმებოდეს. აღწერილობის თანახმად, ამ დაავადების დროს მუცელი მოცულობაში მომატებულია და პერკუსიით „დუმბალის“, ანუ „ტაბლის“ ხმას[3] გამოსცემს.

მეთხუთმეტე საუკუნეში „ტაბლა სისხის“ დიაგნოსცირების მიზნით, გარდა პერკუსიისა, როგორც ჩანს, აუსკულტაციასაც მიმართავდნენ: „პირველად ტაბლი რომე ქუიან, ისი არის, რომე მუცელი გაუდიდდეს და ჭიპი გამოექცეს, და ხელი რომ დაჰკრა ტაბლივითა ხმა გამოიღოს, და თუ ყური დასდვა, წყალსავითა ხმა გამოვიდეს მოცლით (მუცლით)“[4].

მოტანილი ამონაწერის ავტორი გვირჩევს მუცელს ხელი დავკრათ, შემდეგ მასზე ყური დავადოთ და წყლის ადგილების ხმიანობა მოვისმინოთ. ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა აუსკულტაციის მეთოდის გამოყენება. უნდა

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 307.
2 „წიგნი საქიმოი“, გვ. 193.
3 იგულისხმება ტიმპანური ხმიანობა.
4 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 224.

აღინიშნოს, რომ აუსკულტაციის ამგვარი მეთოდი გარკვეული მოდიფიკაციით დღესაც იხმარება შინაგან სნეულებათა კლინიკაში და მას ერთგვარი დიაგნოსტიკური ღირებულება აქვს.

მეთექვსმეტე საუკუნეში აღწერილია დაავადება „ტაბლი"-ს თითქმის ისეთივე სიმპტომები, როგორსაც წინა საუკუნის წყაროებში ვხვდებით. მაგრამ თვით დაავადების განვითარების მიზეზად ადამიანის ორგანიზმში „ქარი"-ს შეჭრაა მიჩნეული: „...ესე დაბლი სისხა ამისგან და ამა მიზეზით შეექნების და აუვარდების რომე, კაცსა ქარი შეექნების და მოერევის ესე ქარი კაცსა, სტომაქსა შესტაცებს და სისხლსა გააცივებს და წაახდენს, და ესე დაბლის სიხა მისგან შეექნების და აუვარდების"[1].

ამრიგად, როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს „ტაბლა სისხის" განვითარების მიზეზად მე-16 საუკუნეში მიჩნეული ყოფილა შინაგან ორგანოებში „ქარის დაჭარბება", რასაც სისხლის თვისობრივი შეცვლა მოსდევს. გარდა ამისა, აღნიშნული დაავადების მიზეზებს შორის დასახელებულია კვებითი რეჟიმის დარღვევა: „...ამა სისხებისა სენი და ქარი ყუელა ამისგან შეექნების და აუვარდების, რომე კაცი უდროოს დროსა ბევრსა ავსა და ურიგოს საკმელებსა სჭამს..."[2].

ამავე საუკუნის სამედიცინო ლიტერატურაში ფართოდ არის წარმოდგენილი ასციტის განვითარების მექანიზმი: „აწე თუ კაცსა ღვიძლი დაუზიანდა და ან კაცსა ღვიძლი ასრე დაუსუსტდა და დაუსაბრალოვდა რომე, და ან ღვიძლი ასრე გაუშრა რომე მეტის მეტის სისუსტითა ღვიძლმა ამდენი წყალი ვეღარ აიღოს, რომე ყოვლი ასო წყლითა გააღოს და ვეღარცა ღვიძლმან სხვა ასოზედა მართლად წყალი გაყოს და ვერცა სტომაქი და ასოები მართლად წყლითა გააღოს და ვერცა სასმელი და საჭმელი მართლად სისხლად გარდააქციოს და ამა მიზეზითა გული და ღვიძლი სტომაქი და ყოველი ასო და ძარღვი ასრე გაუშრეს და დაუწყურდეს რომე ყოველმან ასომან ღვიძლსა წყალი სთხოვოს, და მეტის სისუსტითა და სისაბრალოვითა ღვიძლი ამდენ წყალს ვეღარ აიღებს, რომე გული და სტომაქი და ყოველი ასო წყლითა გააღოს, და ამა მიზეზითა ღვიძლი სხვას ასოებს წყალს ვეღარ მისცემს ...და მერმე მოვა ესე წყალი სრულად ღვიძლს დააწვების და იქიდაღმა მუცლის ფარდაებშიგა დაგროვდებაზ..."[3].

ამონაწერში აღნიშნულია, რომ როდესაც ადამიანს ღვიძლი უზიანდება და ამ უკანასკნელის ფუნქცია იშლება, ღვიძლს აღარ შეუძლია კუჭიდან მოწოვილი სითხე სისხლად აქცეოს და იგი მთელ ორგანოებში გაანაწილოს. ორგანიზმში დაჭარბებული სითხე პერიტონეუმში („მუცლის ფარდაგებშიგა") გროვდება და ასციტის („წყალმანკის") განვითარებას იწვევს.

ასციტის სამკურნალოდ მე-16 საუკუნეში მოწოდებული ყოფილა ორგანიზმის განტვირთვა სითხისაგან (დეჰიდრატაცია). ამ უკანასკნელს აღწევდნენ ოფლის დენით, პირღებინების გამოწვევით და შარდვის გაძლიერებით (დიურეზის გაძლიერებით): „...რაცა კაცისა გვამსა და ასოშიგა სინედლე იყოს ყველა

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 392.
[2] იქვე, გვ. 40.
[3] იქვე, გვ. 392.

წამლით და ჰაბებითა გააქარვონ, ზოგი ოფლის გამოდენითა, ზოგი შარდის დაღურითა და ზოგი რწყევითა...“[1].

როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, ძველი საქართველოს მედიცინაში ცნობილი ყოფილა აგრეთვე ნაღვლის ბუშტის დაავადებებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამ დაავადებების აღწერილობა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. აი, როგორ არის აღწერილი ნაღვლის ბუშტის ერთ-ერთი დაავადება მეთერთმეტე საუკუნეში:

„...ღუიძლის ტკივილი რომე სიზაქბიდ ქუიან ამისი ნიშანი ნახევარ გუერდმა დაუწყოს ტკივილი და ჩხუერა, როგორაცა ნემსით ჩხუერდეს, მუდამად გაუწყვეტლად სტკიოდეს, მაძღარსა უფრო სტკიოდეს, მშიარსა უფრო არა“[2].

ამრიგად, ღვიძლის აღნიშნული დაავადების ნიშნებად მიჩნეული ყოფილა ტკივილი მარჯვენა გვერდში, რომელიც ნემსის ჩხელეტის მსგავსია. ტკივილს მუდმივი ხასიათი აქვს და უფრო მეტად გამოხატულია საჭმლის მიღების შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი მარჯვენა გვერდში მშრალ პლევრიტსაც ახასიათებს და ამიტომ შეიძლებოდა ეჭვი შეგვეტანა, რომ მოტანილ ამონაწერში მშრალი პლევრიტია ნაგულისხმევი, მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ორი კლინიკური ნიშანი. ესაა: მუდმივი ტკივილი (და არა მარტო სუნთქვის დროს) და ტკივილების ინტენსივობის გაძლიერება მაძღრობის დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც ადგილი აქვს დიაფრაგმის მაღლა მდებარეობას. ეს ორი ნიშანი, რა თქმა უნდა, უფრო ღვიძლის პათოლოგიაზე, კერძოდ ქოლეცისტიტზე მიუთითებს, ვიდრე პლევრიტზე.

ქოლეცისტიტს ემსგავსება აგრეთვე ამავე სამედიცინო ძეგლში აღწერილი შემდეგი დაავადება: „...ღუიძლი ნიადაგ სტკიოდეს და საჭმელსა მისწყდეს და მარჯუენისა გუერდისაკენ ჩხულეტდეს და ტკივილი გაუგრძელდეს“[3].

მოტანილ ამონაწერში მითითებულია მთელ რიგ პათოლოგიურ ნიშნებზე, რომლებიც შესაძლებელია ქოლეცისტოპათიებს ახასიათებდეს ამასთან ხაზგასმითაა აღნიშნული დაავადების ხანგრძლივი, ქრონიკული მიმდინარეობა. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაშიც ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების ნაცვლად ღვიძლის სხვა რომელიმე პათოლოგიასთან გვქონდეს საქმე.

მოვიტანოთ ამონაწერი მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან, სადაც ქოლეცისტიტისათვის დამახასიათებელი ყველა სუბიექტური ნიშანია აღწერილი:

„თუ სიმხურვალისგან ღუიძლი სტკიოდეს, მისი ნიშანი ესე იყოს რომე ზურგი და მარჯუენა ბეჭი და მარჯვენა ხელი მძიმედ ედგას და მარჯუენასა გვერდსა სჩხუერდეს, სადა წიბოები დაელევის იმა ადგილსა და მარჯუენასა მხარსა დაწვეს, ერთობ ტკივილი დაუწყოს გვერდმან და კიდეცა გააცხელოს“[4].

ამონაწერის მიხედვით, ღვიძლის აღნიშნული დაავადებისათვის დამახასიათებელია ტკივილი წელში („ზურგი“), მარჯვენა ბეჭში და მარჯვენა

---

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 394.

[2] იქვე გვ. 395.

[3] „უსწორო კარაბადინი“ გვ. 299.

[4] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 217.

ზემო კიდურში, აგრეთვე ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში („...სადაც წიბოები დაელევის იმ ადგილსა...“) და ტემპერატურის მომატება („...კიდეცა გააცხელოს...“).

ნაღვლის ბუშტის დაავადების გამწვავების თავიდან ასაცილებლად მოწოდებული ყოფილა მთელი რიგი პირობების დაცვა. ავადმყოფს ეკრძალებოდა ცხენით ან ფეხით ხანგრძლივი სიარული[1]. ურჩევდნენ თბილი სამკურნალო წამლებით შეზავებული აბაზანების მიღებას: „...კუირეშიგან ერთხელ ანუ ორჯერ ებანოს, ანუ ტფილსა წყალშიგან ჩაჯდეს...“[2]. ადგილობრივ, ღვიძლის არეზე შემოსადებად ხმარობდნენ სამკურნალო აპლიკაციებს, ანუ „ტლეებს“.

მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებულ ერთერთ ხელნაწერში ღვიძლის ისეთი დაავადებაა აღწერილი, რომლის დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეული ყოფილა ღვიძლის გადიდება, სახის გაყვითლება, ტკივილი მარჯვენა მხარში და ღვიძლის არეში და სხვ.

„...თუ კაცსა მარჯვენა მხარს ღვიძლის კერძოით ღვიძლი სტკიოდეს და ან უსივდეს ან ფერდი სტკიოდეს ან უსივდეს ნიშანი მისი ეს არის, რომე პირის ელფერი წაუვიდეს; პირი ან ყვითლად ჰქონდეს და ან წითლად. რა ეს ნიშანი კაცში ნახოთ, იცოდეთ დასტურად ღვიძლისგან არის ავად“[3].

როგორც დავინახეთ, აღნიშნული სნეულება ზოგიერთი ნიშნებით მსგავსია ქოლეცისტოპათიისა. დაავადების სამკურნალოდ, ძირითადად იგივე საშუალებებია მოწოდებული, რაც წინა საუკუნეებში. ავადმყოფს ამყოფებდნენ გარკვეულ დიეტურ რეჟიმზე, მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას. დაავადებული ღვიძლის არეზე ადებდნენ ტლეებს („...ესე ტლეებიც შემოსდევით საცა ან სტკიოდეს ან სივდეს, სამოსლის ნაჭრით მოუკარით...“) და სხვ.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში აღწერილია ღვიძლის გადიდებით შიმდინარე მთელი რიგი დაავადებანი; მათი აღწერილობა არასრულია, რაც საშუალებას არ იძლევა ზუსტად დავადგინოთ, თუ რომელ სნეულებასთან გვაქვს საქმე. აი როგორ არის აღწერილი მეთერთმეტე საუკუნეში ღვიძლის დაავადება „სალბა“:

„... მისი ნიშანი ეს არის, რომე ღვიძლი გამაგრებულიყოს და მაგრად იდგეს, მაგრამ მაძღრობით უფრო მძიმედ იყოს და მშიერი უფრო ადვილად, და მაძღრობით ტკივილი მოემატოს“[4].

„...სხვა ღვიძლი რომე ქვავით მაგარი შეიქნას იმა სენსა სალბა ჰქვიან[5].

„სხუაი ღუიძლისა ტკივილი რომე ღუიძლი ქვავითა შექნილიყოს აღმა და აღმართულიყოს და სიარულზედა დამძიმდეს და რაი უქმელად იყოს, მოსუენებით იყოს და რა ჭამოს, ტკივილი მოემატოს და უნდომად შეიქნას“[6].

მოტანილ ამონაწერში ყურადღება გამახვილებულია ღვიძლის კონსისტენციაზე, რომელიც პალპაციით ქვასავით მაგარია („...ღვიძლი რომე ქვავით მა-

---

[1] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 221.

[3] ხელნაწერი № 304, H ფონდი. 1799 წ. ინახება საქართველოს სსრ აკად. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 297.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 298.

გარი შეიქნას...“), მოცულობაში მომატებულია და ამოზიდული. დაავადების სიმპტომებიდან აღსანიშნავია ტკივილები ღვიძლის არეში, რომელიც განსაკუთრებით საკვების მიღების შემდეგ იჩენს თავს. დაავადების გართულებებს შორის დასახელებულია ტემპერატურის მომატება და პირღებინება („...თუ ამა სენშიგა ცხელება გამოუჩნდეს და რწყევა მოუვიდეს...“).

ღვიძლის გადიდება და გამაგრება „ღვიძლის სიმსივნის სახელწოდებით“, აღწერილია აგრეთვე მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ საექიმო ძეგლში:

„და თუ იყოს სიმსივნე ქუეშე კერძსა ღუიძლისასა, სიმხურვლისგან, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე საჴამადისა ჴამად დაკლდეს და არა ემშეოდეს... თუ სიმსივნე იგი ფიცხელი იყოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ხელი დასდევ ღუიძლზედან, და რომელი იყოს ღუიძლსა შიგან მრგუალი და მაგარი იქნების. და თუ არა გამოჩნდეს მრგვალი და მაგარი... მაშინ სიმსივნე ღუიძლისა მისისა ცოტა იყოს...“[1].

დაავადების ძირითად სიმპტომებად აქ, ისევე, როგორც მე-11 საუკუნით დათარიღებულ ძეგლში, ღვიძლის გადიდება და გამკვრივებაა მიჩნეული: ავტორი შენიშნავს, რომ ამ დროს პალპაციით ღვიძლზე მრგვალი და მაგარი სიმსივნური წარმონაქმნი ისინჯება. აქვე მითითებულია, რომ ღვიძლის აღნიშნული სიმსივნე მხოლოდ მაშინ ისინჯება, როდესაც იგი დიდი ოდენობისაა.

ჩვენს ხელთ არსებულ ძველ ქართულ სამედიცინო და არასამედიცინო წყაროებში თირკმლის პათოლოგია საკმაოდ შეზღუდულად არის წარმოდგენილი. აღნიშნული მასალა ფაქტიურად თირკმლის მხოლოდ კენჭოვანი დაავადების სხვადასხვა ვარიანტებს შეეხება. მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო ძეგლში თირკმლის კენჭოვანი დაავადების სიმპტომები საკმაოდ სწორადაა აღწერილი. ამავე დროს ავტორი ცდილობს დაავადების გამოვლინების მიხედვით მოახდინოს დიფერენციაცია თირკმლისა და შარდსადენი გზების დაავადებათა შორის: „წყნარად ჭიპსა გარეშემო სტკიოდეს და წელნიცა სტკიოდენ, იცოდე რომე, თირკმელთა ტკივილი არის, თუ ერთობ სტკიოდეს ჭიპსა ქვეშე და ფსელი წყვეტ-წყვეტად მოსდიოდეს, იცოდე რომე სატკივარი ბუშტშიგან არის...“[2]

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი აღწერილობის თანახმად, თირკმელში არსებული კენჭის დროს ტკივილი ნაკლებად არის გამოხატული და იგი უფრო მეტად წელის არეშია ლოკალიზებული. შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს კი აღინიშნება დიზურიის მოვლენები და ტკივილს უფრო მეტად ჭიპის მიდამოში აქვს ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დაკვირვება საკმაოდ მახვილგონიერია და უახლოვდება დღეისათვის ცნობილ მონაცემებს საშარდე გზების კენჭოვანი დაავადების შესახებ.

თირკმლის კენჭოვანი დაავადება ფართოდ არის წარმოდგენილი მეცამეტე საუკუნის ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში.

ამ ეპოქის ერთ-ერთ საექიმო წიგნში აღწერილია თირკმლის კენჭოვანი დაავადების დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა კარდინალური ნიშანი: „ქვაი ანუ ქეიშაი რომელ თირკმელსა შიგან იყოს, ვითარებაი მისი... იგი არს, რომელ ფსელი ცოტცოტად გამოვიდოდეს და ეწვოდეს და იქნების რომელ ქვისა ნალეწისაებრ გამოჰყვეს ფსელსა თანა და თირკმელი გამაგრდეს და ბარკალი ემძი-

[1] „სამკურნალო წიგნი“ გვ. 196.

[2] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 337.

მებოდეს"[1]. ამონაწერის მიხედვით, თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს ავადმყოფი შარდს მცირე რაოდენობით გამოყოფს, მოშარდვის დროს აქვს წვა. გამოყოფილ შარდში ზოგჯერ აღინიშნება ქვიშის არსებობა ავადმყოფი უჩივის აგრეთვე უსიამოვნო შეგრძნებას ბარძაყში. დაავადებული თირკმლის მხარეს. თირკმლის მიდამო გამაგრებულია.

ყველა ზემოჩამოთვლილი სიმპტომი თირკმლის კენჭოვან დაავადებას მართლაც ახასიათებს. ერთადერთი ნიშანი, რომელიც მოტანილ ამონაწერში არ ჩანს, ესაა ჰემატურია—ანუ შარდთან ერთად სისხლის გამოყოფა, მაგრამ ამავე სამედიცინო წიგნის სხვა ადგილების შესწავლით ირკვევა, რომ ძველი ქართველი ექიმების მახვილ თვალს არც ეს ნიშანი გამოპარვია; აი რა ცნობას გვაწოდებს ამ საკითხზე ზემოაღნიშნული საექიმო წიგნი: „...ნიშანი ქვიშისაი რომელი თირკმელსა შიგან იყოს იგი არს რომელ ფსმისა ჟამსა წითლისა ქვიშისაებრ გამოვიდეს და თავიცა ეწუოდეს სარცხვენელისა"[2].

საინტერესოა, რომ ამავე სამედიცინო ძეგლში არის ცდა თირკმლის „კოლიკის" (ე. ი. თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს განვითარებული ტკივილის) დიფერენცირებისა „ყოლინჯის" ე. ი. გაუვალობის დროს განვითარებული ტკივილისაგან: „...აქმისაგან ხამს რომელ ესე მანკი მართლაც შეიტყვას და გამოარჩიოს ამას მანკისა და ყოლინჯსა შუა, მით რომელ ორთავე მანკთა შუა ნიშანი ერთი არს, ნუ თუ ამით, რომელ ამას მანკსა უძნელესი სტკივის თირკმელი ზურგისაკე და სხვაი ნიშანი იგი არს, რომელ ფსელსა თანა ქვიშაი გამოვა"[3].

აქვე გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ გარემოებაზე. როგორც ცნობილია, ურატურია და ოქსალურია თირკმელში კენჭის წარმოშობის უშუალო მიზეზს წარმოადგენს, ამიტომ კენჭოვან დაავადებათა მკურნალობის დროს გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა დიეტური რეჟიმის დაცვას, როგორც ოქსალურიასთან და ურატურიასთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს სპეციალური დიეტური რეჟიმის დაცვას ძველ ქართულ საექიმო წიგნებში დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და იგი ფართოდ არის რეკომენდებული.

თირკმლის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ მოწოდებულია, აგრეთვე ფიზიკური და ბალნეოთერაპიული მკურნალობის მეთოდებიც:

„...და თუ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. ანუ მხტომელსა ცხენსა შეჯდეს, ესე ყოველი ქვასა თირკმელით გამოიღებს"[3].

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე უროლოგიურ პრაქტიკაშიც, მცირე ოდენობის კენჭების დროს ავადმყოფებს ურჩევენ ფიზიკურად იშრომონ, ცხენით იჯირითონ და სხვ. რეკომენდებულია აგრეთვე თბილი აბაზანების მიღებაც. თბილი აბაზანა მენჯისა და შარდსაწვეთის კუნთებს ადუნებს, ხოლო ცხენით

---

[1] „წიგნი სააქიმოი" გვ. 217.

[2] იქვე, გვ. 218.

[3] იქვე.

ჯირითი, ისევე როგორც ფიზიკური ვარჯიში, კენჭს ადგილს უცვლის და ხელს უწყობს შარდთან ერთად მის გამოყოფას.

თირკმლის კენჭოვანი დაავადების შესახებ საყურადღებო ცნობები გვხვდება XVIII საუკუნის ხელნაწერებშიც:

„...ამ სნეულების შეტყობა დიდად ძნელია ამისათვის რომ ბევრში გამოჩნდებიან ის ნიშნები, რომლებიც შირიმს დასდევს, მაგრამ შირიმი კი არ არის. და ეს არ კმარა მიზეზად რომ თავის თავს არავინ ერწმუნოს კარგს და გამოცდილს ექიმს გარდა... ვისაც ეს სნეულება გამოაჩნდება ასტკივდება მიუთმენლად ან თირკმლები ან წელები. ყამდი წამოვა ხშირად, სისხლით და ან თუ შარდს ჩაასხამ მინაში და დააცლი რომ ცოტად დადგეს, ძირს დაილექება ლორწო. ...შეკრავს შარდს და წვეთ-წვეთად გამოვა მოუთმენლის ტკივილით. ამასთან მოუვა რწყევა, მუცლის ტკივილი. თუ ქვა თირკმელში არის მაშინ იმ მხრის ფეხი გაშეშებულივით შეექნება...“[1].

განხილულ დაავადებას მკურნალობდნენ ქირურგიული და კონსერვატული წესით. მოვიტანოთ სათანადო მასალა: „იმისი (იგულისხმება თირკმლის კენჭი. ბ. რ.) უმჯობესი და სასარგებლო საქმე არის გამოჭრა კარგის გამოცდილის ჯარასაგან, რადგან ძვირად ეშოვება და ასეთი მიზეზებიც ექნება, რომ არ გამოიჭრებოდეს, მაშინ შეიქნება, რომ ამ წამლობით შემსუბუქება მისცეს სნეულს. პირველი, როდესაც დაუწყოს ტკივილი იმ ადგილს, უნდა გამთბარ რძეში დაასველოს ან შალი და ან მაუდი, მერმე გაწუროს და თბილ-თბილი ადვას სველი. მეორე თუ სნეულს ბევრი სისხლი აქვს, სისხლი გამოუშვას, მაგრამ მაშინ პირველადვე როდესაც სნეულება გამოჩნდეს, ასე რომ სნეულს თვისვე ყუათი ჰქონდეს. მესამე ხშირად მისცეს ოყნა ან სელის ზეთისა და ან თესლისა, როგორც ითქვა ებანოს...“[2].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თირკმლის პათოლოგია ძველ ქართულ მედიცინაში უმთავრესად კენჭოვანი დაავადებებით არის წარმოდგენილი, მაგრამ ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება აგრეთვე მთელი რიგი სნეულებანი, რომლებიც თავისი ნიშნებით მეტად ემსგავსებიან თირკმლის ორმხრივი დიფუზური დაზიანების კლინიკურ სურათს.

ასე მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნეში წყალმანკის („წყლითმაკეობის“) ჯგუფში გაერთიანებული ყოფილა დაავადება „ლამა სისხი“, რომლის შესახებაც შემდეგს ვკითხულობთ:

„ამა სენისა ნიშანი ესე არის, რომე სიგრილე მოერიოს და ღუძლი გაგრილდეს, პირველად ფერხნი გაუსივდენ და მერმე მუცელი და ყუერი, უკანის პირის სახე და ხელნი და სხუა ადგილიცა. სადაცა თითი დააჭირო დაეფლას, ერთსა წამსა ისრევე დარჩეს, მერმე მისავე ალაგსა ამოვიდეს. და ზიყისა და ტაბლისა

---

[1] ხელნაწერი № 136. იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2] იქვე.

სისხაშიგა პირი და ხელნი არა გაუსივდეს, ყელი გაუწურილდეს, და ძარღვები მშვილდის საბელივით გაზიდულ იყოს, და თუალნი უკუ სცუივოდნენ: „...ამისი და სხუისა სისხისა გუარი ერთი არ არის“[1].

ამრიგად, მეთერთმეტე საუკუნეში დაავადება „ლამა სისხის“ ძირითად ნიშნებად მიჩნეული ყოფილა მთელი სხეულის შეშუპება. დამახასიათებელი ყოფილა აგრეთვე მიკროჰემატურიაც, რომლის დროსაც ურჩევდნენ სისხლის გამოშვებას:

„თუ ფსელი წითელი იყოს და სქელი, ნიშანი სიმხურვალისა იყოს, ამას პირველად ხელი გაუხსენ უპრიანე არის და მარგე არის“[2].

თუ „ლამა სისხის“ ქვეშ თირკმლის ისეთ პათოლოგიას ვიგულისხმებთ, როგორიცაა ნეფრიტი, რომელსაც მართლაც ახასიათებს პირისახისა და მთელი სხეულის შეშუპება, აგრეთვე ჰემატურია, ცხადი ხდება, რომ სისხლის გამოშვება ამ დროს მიზანშეწონილ სამკურნალო რჩევად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს დაავადება უმეტეს შემთხვევაში სისხლის მაღალი წნევით მიმდინარეობს.

მეთხუთმეტე საუკუნეში „ლაჰმა სისხის“ შემდეგ აღწერილობას ვხვდებით:

„...მისი ნიშანი ესე არს: პირველად ფერხის ჩონჩხნი გაუსივდებიან და ქუქუთონი, და მერმე სრულად ტანი გაუსივდების, და რომე თითი დააჭირო დაეფლვის, და ზედა შემოჯდების სიმსივნე“[3].

ამრიგად, „ლამა სისხის“ სიმპტომკომპლექსი ამ შემთხვევაშიც გამოიხატება ქუთუთოების და ქვედა კიდურების, ხოლო შემდგომ მთელი სხეულის შეშუპებით. შეშუპებულ არეში თითის დაჭერის შემდეგ ჩაღრმავება რჩება.

მეთექვსმეტე საუკუნეში „ლაჰმა სისხის“ კლინიკური ნიშნები შემდეგნაირად ჰქონიათ წარმოდგენილი:

„აწე ამა ლაჰმის სისხისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა თავ პირისა და ტანის სახეობა ასრე წაუხდეს და აეშალოს, რომე არას კაცის ელფერსა ამის ელფერი და სახეობა აღარ გვანდეს...“[4] ავტორი მოგვითხრობს, რომ ლაჰმა სისხის დროს განსაკუთრებით იცვლება ადამიანის პირისახე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები პირისახის შეშუპებით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული.

„ლაჰმა სისხის“ განვითარების მექანიზმზე მეთექვსმეტე საუკუნეში შემდეგნაირი წარმოდგენა არსებობდა:

„...მეორე რიგი ისისხა ეს არის, რომე ლაჰამი ჰქუიან, და ესე ლაჰმის სისხა ამისგან და ამ მიზეზითა შეექნების, და წაეკიდების, რომე კაცსა ბალღამი მოერევის და ესე ბალღამი და სისხლი სრულად ერთმანერთშიგა აერევის, და რაცა ძარღვები არის ყუელა ამა არეულისა სისხლითა და ბალღმით აევსების და ამ რიგი, და ამ გვარი ლაჰმის სისხა მისგან შეექნების“[5].

ავტორის აზრით, „სისხა ლაჰმის“ პათოგენეზში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლში გრილი ჰუმორალური კომპონენტის—ბალღამის შერევას, რაც იწვევდა სისხლის თვისებების პათოლოგიურ შეცვლას.

როგორც ვხედავთ, შეხედულებანი ჩვენს მიერ ნეფრიტად მიჩნეული „ლაჰმა სისხის“ პათოგენეზის შესახებ მთლიანად ჰუმორალური პათოლოგიის

---

[1] უსწორო კარაბადინი, გვ. 307.

[2] იქვე, გვ. 308.

[3] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 224.

[4] „იადიგარ დაუდი“, გვ. 399—400.

[5] „იადიგარ დაუდი“, გვ. 399.

პრინციპებიდან გამომდინარეობს. დაავადების განყოთარების ძირითადი მიზეზი სისხლის პათოლოგიური შეცვლა ანუ დისკრაზიაა. მე-18 საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში სახელწოდებით „მუწუკი თირკმელებში“, აღწერილია თირკმლის დაავადება, რომელიც ზოგიერთი ნიშნით მწვავე ნეფრიტს გვაგონებს. აი ეს აღწერილობა: „...მუწუკი თირკმლებში გამოჩნდა ძალიანის სიცხით მენჯებში. შარდი იქნება ხან წყალსავით, ხან წითელი, მაგრამ ცოტად დაიწყებს დენას და ოდესმე სულ შეიკურის. სნეული სულ იფურთხება, ბოყინებს და ოდესმე არწყევინებს“[1].

როგორც ვხედავთ, მოტანილ ამონაწერში აღწერილია მწვავე ნეფრიტის ისეთი ნიშნები, როგორიცაა: ოლიგურია, ზოგჯერ ანურია, დისპეფსიური მოვლენები (ბოყინი, პიოლებინება) და მაკროჰემატურია.

უძველეს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, აგრეთვე სამედიცინო ძეგლებში, გვხვდება ცნობები დაავადება „ნიკრისის“ შესახებ. დაავადების ცალკეულ აღწერილობათა დაპირისპირებით ცხადი ხდება, რომ „ნიკრისი“ კრებითი ცნებაა და გულისხმობს სახსრებისა და კიდურების დაავადებებს. მეათე საუკუნეში „ნიკრისს“ „ს ე ნ ი ტ ე ხ ი ს ა ი“-ც ეწოდებოდა. „და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხუა ადარნერსეს სენი ტეხისაი წრდიალი, რომელსა ჰრქუიან ნ ი კ რ ი ს ი. და ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ, რამეთუ მუნ ჟამამდე ყოვლად უვნებელ იყო იგი“[2].

ავტორი მოგვითხრობს, რომ ადარნასეს შეეყარა „სენი ტეხისაი“ „წრდიალი“, რომელსაც „ნიკრისი“ ეწოდება. „წ რ დ ი ა ლ ი“ საბას განმარტებით ნიშნავს ძლიერ ტკივილს („ტკივილი ნამეტნაობა“).

ამრიგად, „ნიკრისის“ ძირითადი სიმპტომებია ძლიერი ტკივილი (უეჭველია სახსრებში) და ავადმყოფობის უეცარი დაწყება. დაახლოებით ასეთივე აღწერილობაა მოცემული სხვა ქართულ არასამედიცინო და სამედიცინო ხელნაწერებშიც.

მეთერთმეტე საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ დაავადება ნიკრისის კარდინალურ ნიშნად ზედა და ქვედა კიდურების ტკივილი ყოფილა:

„თუ ფერხნი და ორივე ფერხისა ცერნი სტკიოდეს მიკრისის ნიშანი არის. ვისაც ვინ ესე ნიშანი ნახოთ ფიცხლა სწამლეთ, თვარა გაუძნელდების და ძნელად ეშველების“[3].

ამ ამონაწერში, გარდა კიდურების ტკივილისა, მითითებულია აგრეთვე ნიკრისის, როგორც დაავადების ავთვისებიანობაზე. XIII საუკუნის წყაროების მიხედვით, ნიკრისი მემკვიდრეობით დაავადებად იყო მიჩნეული.

იმავე საუკუნეში ნათლად არის წარმოდგენილი, თუ რა იგულისხმებოდა სახელწოდება „ნიკრისის“ ქვეშ.

---

1 ხელნაწერი № 136, ფ. 34 v, იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, დასახ. გამოცემა, გვ. 7.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 29.

„საქციელთა ტკივილი და ნიკრისი ერთი არს და გამოცნობაი ამათ შუა იგი არს, რომელ რაი ტკივილი ყოველთა საქციელთა ტანისთა შიგან იყოს მას არაბულად ვაჯალმაფასილი ჰქვიან და რაი ტკივილი ფერხისა თითთა შუა, და საქციელთა მისთა და კოჭისა საქციელთა შუა იყოს მას ნიკრისი ჰქვიან"[1].

ამონაწერის ავტორი გადმოგვცემს, რომ „ნიკრისი" სახსართა ტკივილს გულისხმობს. მაგრამ, სახსრების დაავადებათა სხვადასხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ტკივილი მხოლოდ ქვედა კიდურთა თითების სახსრებში, აგრეთვე კოჭის სახსრებშია გამოხატული.

მე-13 საუკუნეში, აგრეთვე გვხვდება ნიკრისის შემდეგი აღწერილობა: „რაიცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად წითელი იყოს და რაი ხელი შემოსდვან მხურვალი იყოს. და ნიშანი მისი რაიცა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტკიოდეს..."[2]

ამრიგად, „ნიკრისის" ზემოაღწერილი ფორმისათვის დამახასიათებელი ყოფილა სახსრების შეწითლება, სახსრის მიდამოში ტემპერატურის მომატება და ძლიერი ტკივილი.

ნიკრისის გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა კვებითი რეჟიმის სისტემატური დარღვევა, ალკოჰოლის ხშირი და ჭარბი რაოდენობით მიღება, სქესობრივი ექსცესები და სხვ.

მეთექვსმეტე საუკუნეში „ნიკრისის" სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული ყოფილა სხვადასხვა ეტიოლოგიის პოლიართრიტები.

აი, როგორ აღწერდნენ ამ პერიოდში დაავადება „ნიკრისს": „აწე მიკრისი ისი სენი არის, რომე კოჭებიდაღმან ფეხების ცერამდისი როგორაცა სისხა ისრე გაუსივდების..."[3].

გარდა გასივებისა, ნიკრისის სიმპტომებად მიჩნეული ყოფილა აგრეთვე კიდურის ძლიერი ტკივილი, შესიება და შეწითლება.

„...თუ ესე მიკრისი სისხლის სიმხურვალისა და სიმრავლისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის: ტკივილი მწოვედ ძნელად და ძალიანად მოუვა, და ესე მტკივანი ფეხი მსივნად და წითლად ექნების და ძარღვები ლურჯად ექნების და ფეხის ცერის თითზედა ხელი მოუჭირონ, ცერის თითი ცხელი ექნების"[4]. ნიკრისის გამომწვევ მიზეზად საკვებისა და სითხის ჭარბი რაოდენობის მიღება ყოფილა მიჩნეული: „მიკრისისა და ყოვლისა მუფასილებისა მიზეზი ეს არის, რომე კაცი ბევრსა საჭმელსა სჭამს და ზედა წყალსა სვამს..."[5].

დაავადების განვითარების მექანიზმი შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: ჭარბად მიღებულ საკვებს მომნელებელი ორგანოები ვეღარ გადაამუშავებენ, ამის გამო ირღვევა ორგანიზმის მთელი რიგი ფუნქციები

---

[1] „წიგნი საჟიმოი", გვ. 250.

[2] იქვე, გვ. 251.

[3] „იადიგარ დაუდი", გვ. 477.

[4] იქვე, გვ. 476.

[5] იქვე.

მათ შორის ოფლის გამოყოფაც. ორგანიზმში დაჭარბებული ოფლი ქვედა კიდურებში გროვდება და განაპირობებს „ნიკრისის“ განვითარებას[1].

„ნ ი კ რ ი ს ი ს“ მკურნალობისათვის მოწოდებული ყოფილა მთელი რიგი ლონისძიებანი როგორც მცენარეული სამკურნალო საშუალებების მიღების, ისე სამკურნალო „ტლეების“ სახით; მკურნალობის ერთერთ ძირითად მეთოდად, როგორც სჩანს, გარკვეული რეჟიმის დაცვა—„ფარეზობა“ ყოფილა მიჩნეული. აი სათანადო საილუსტრაციო მასალა: „ასრე უნდა მიკრისიანმან კაცმან მუდმად იფარეზოს და ესე მიკრისი ფარეზობითა და შიმშილითა ეშველების და ასრე უნდა მიკრისიანი კაცი ხორცის ჭამას, ღვინის სმასა დედაკაცთან მისულას მწოვედ ერიდოს და იფარეზოს და თუ საჭმელი ჭამოს, კარგი შემრგო და მოჭთადილი საჭმელები ჭამონ და რა მზე გადაბრუნდეს მასუკან საჭმელები აღარ უნდა ჭამოს“[2].

ამრიგად, ნიკრისით დაავადებულისათვის რეკომენდებული ყოფილა დიეტური რეჟიმის დაცვა: ფრიად შეზღუდული იყო ხორცის მიღება, ღვინის სმა, სქესობრივი ცხოვრება და სხვ. ზემოაღწერილი მეთოდი უმთავრესად გამოყენებული ყოფილა დაავადების ქრონიკული ფორმების სამკურნალოდ.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება ნთელი რიგი აღწერილობანი ფაღარათით მიმდინარე დაავადებებისა, რომლებიც კლინიკური ნიშნების მიხედვით, შეიძლება დიზენტერიის სხვადასხვა ფორმებს მივაკუთვნოთ.

მეთერთმეტე საუკუნეში ერთერთი ასეთი დაავადება „რაბუს“ სახელწოდებით ყოფილა ცნობილი:

„და რაბუ ამას ქუია რომე შიგნით მჯდომი გამოვა, მისი ნიშანი მუდამად მუცელმან დაუწყოს ტკივილი, რომე ცხელებაცა მოუვიდეს, მას უკანის დაუწყოს ყუანა ბალღამან-სისხლიანსა“[3].

ავტორი გადმოგვცემს, რომ დაავადება რაბუს დროს ადგილი აქვს შიგნეულობაში (ნაწლავებში) მჯდომის ანუ წყლულის ამოსვლას, მუცლის ტკივილს, ტემპერატურის მომატებას და ფაღარათს ლორწოვან-სისხლიანი განავლით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორს სწორად შეუნიშნავს ფაღარათის ზოგიერთი ფორმების დროს წყლულების არსებობა ნაწლავებში.

ამავე ეპოქაში ცნობილი ყოფილა კუჭ-ნაწლავის დაავადების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც განავალში გვხვდება მოუნელებელი საჭმლის ნაწილები და სისხლი: „...მისი ნიშანი ესე იყოს, როგორც რას სჭამდეს აგეთსა უდნობსავე. გაიყვანდეს და ნავალისა ფერი მწვანე იყოს და ნავალი თხელი იყოს და ორთქლი აზდიოდეს და უკანის სისხლად გარდაიქცეს“[4].

მოტანილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ფაღარათის ამ ფორმას ახასიათებს თხელი, მომწვანო ფერის განავალი, რომელსაც გართულების შემთხვევაში შეიძლება სისხლი შეერიოს.

განვიხილოთ ფაღარათით მიმდინარე დაავადებათა სხვა ფორმები: „ერთი ფერი ყუანა სხვა იყოს, რომე საპონისა ხუთსა გვანდეს, თუ ამას სენშიგა ცხელებაცა იყოს და სრულად მუცელი სტკიოდეს, და სრულიად ასოსა შიგან მხურვალედ იყოს, და სიმხურვალე მორეოდეს და სიმხურვალისაგან სუსტად

---

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 477.
[2] იქვე, გვ. 477.
[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 324.
[4] იქვე, გვ. 323.

იყოს და ნავალი მწვანე კალიბი იყოს და წელთა ნახუეწი სხული სხული იყოს... აწე ამას სენშიგან აქიმს ასრე მართებს, რომე სამ დღემდი, ოთხ დღემდი წამალსა ნურას აკმევს ამისთუის რომე, წამლისა უკმელობა მართალ-ზედა დააყენებს, მერმე მასზედან დახედენ გამოჩნდების, თუ სიმხურვალისაგან არის თუ სიგრილისაგან. თუ ანასდათ პირველსა დღესა აქიმი მიხუდეს და წამალი შეასუას ვეღარას შეიგებს თუ რასგან არის და მრავალი ზიანი ეცემის...“[1].

როგორც ამონაწერიდან ჩანს, დაავადების ძირითად ნიშნებად მიჩნეული ყოფილა: ხშირი დეფეკაცია, ლორწონარევი („ნახვეწნარევი“), საპნის ქაფის მსგავსი განავლით, ტემპერატურის მომატებით და დიფუზური ტკივილით მუცლის არეში.

„ერთი ფერი ყუანა სხუა არის, რომე ნაწლევნი დაწყლულდეს და ყუანა დაუწყოს, თუ ესე ყუანა დაერთოს, ისი სიცხისაგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს მუდამად იყუანდეს და აცხელებდეს, მუტბიყი ცხელება იყოს. მუტბიყი ამას ქუიან, რომე ხორცთა ადნობდეს და თმასა აყრევინებდეს, ესეცა დააწყულულებს ნაწლევთა“[2].

ამრიგად, ფაღარათის აღწერილი სახის დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია: ტემპერატურის მომატება, წონაში დაკლება („...ხორცთა ადნობდეს“..), ალოპეციის განვითარება („...თმასა აყრევინებდეს...“), ტკივილი მუცლის არეში, ფაღარათი ქაფის მსგავსი, მომწვანო ელფერის მქონე განავლით, რომელშიც დიდი რაოდენობითაა ნახვეწი. ადვილი შესაძლებელია, რომ ავადმყოფობის მოტანილ აღწერილობაში იგულისხმება „შპრუ“, რომელსაც ზემოაღნიშნულ სიმპტომთა უმეტესი ნაწილი მართლაც ახასიათებს.

მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში ვხვდებით ფაღარათით მიმდინარე დაავადების აღწერილობას: „ერთი სისხლის ყვანა მისგან იქნების ავი ხილთი სტომაქშიგან შეიყაროს და რაცა სტომაქშიგან საჭმელი იყოს, დაალპოს და წაახდუნოს, და სტომაქმან აღარ შეინახოს და გაიშოროს, ისიცა სისხლისვე ყვანასა... შეიქს. მისი ნიშანი ესე არის, რომე ჭიპსა გარეშემო გრეხდეს, და რასთენჯერცა მოსასვლელად დაჯდეს, გონჯი და ქარიანი გაიყვანოს. და რაჟამ გამოჩნდეს ესე ყვანა, ორსა-სამსა დღესა იყვანდეს, და მერე უკუკრთეს და ხანი გამოვიდეს, და კაცსა ასრე ეგონოს, მეშუელაო. და ოც დღემდის კიდევ გამოუჩნდეს, და ასრე ეგონოს, ახალად შემექნაო, და ისევე სენი არის“[3].

როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი ყოფილა პირღებინება, სისხლიანი ფაღარათი, ტკივილი ჭიპის ირგვლივ, მუცლის ბერვა და ქარები. აღწერილობის თანახმად, ასეთი მდგომარეობა სამ

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 326.

2 იქვე, გვ. 325.

3 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 257.

ღღეს გრძელდება; შემდგომში პათოლოგიური მოვლენები სრულიად ქრება, ავადმყოფი ჯანმრთელად გრძნობს თავს, რამდენიმე დღის შემდეგ კი ავადმყოფობა კვლავ ძველი ინტენსივობით იჩენს თავს. როგორც ვხედავთ, აღწერილობა მართლაც ძლიერ გვაგონებს ქრონიკულად მიმდინარე გასტროენტეროკოლიტს.

ძველი საქართველოს ექიმების წარმოდგენით ზემოაღწერილი დაავადება შესაძლებელია განვითარდეს წვრილი და მსხვილი ნაწლავების სხვადასხვა ნაწილში. ამის მიხედვით დაავადების კლინიკური გამომჟღავნებაც სხვადასხვანაირია.

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ ძეგლში აღწერილია ნაწლავების სხვადასხვა უბანში ლოკალიზებული დაავადების განმასხვავებელი სიმპტომები. „თუ ტკივილი ქვემოსა ნაწლევშიგან იყოს, მისი ნიშანი ესე არის, მისი წელთა ნახვეწი მსხვილი იყოს“[1].

„თუ შუაშიგა იყოს, თევზის წებოვითა იყოს, თუ ზემო იყოს, წურილი ნახვეწი იყოს და პატარა მუცელი და ჭიპი სტკიოდეს“[2].

„...როგორაცა ყვანა დაუწყოს და მოუვიდეს ყუანა თუ ადრე დაურჯელად იყვანდეს, ესე სენი ქვემო ნაწლევშიგა არის. თუ ცოტად აზიდვებდეს და ჯდომისაგან რჯიდეს, შუა ნაწლევშიგა იყოს, და თუ მწოვედ აზიდვებდეს და მწოვედ რჯიდეს, ზემო ნაწლევშიგა იყოს“[3].

ზემოთ მოყვანილ ამონაწერში არის დაავადების ლოკალიზაციის დადგენის ცდა განავალის ხასიათის მიხედვით—თუ ნახვეწი მსხვილია, პროცესი ნაწლავთა ქვედა ნაწილებშია ლოკალიზებული, თუ განავალს თევზის წებოს კონსისტენცია აქვს—შუაშია, თუ ნახვეწი შედარებით თხელია და დეფეკაციას თან სდევს ტკივილი პატარა მუცლის და ჭიპის მიდამოში, მაშინ პროცესი ნაწლავთა ზედა ნაწილებშია.

XIII საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო ძეგლში მოცემულია ნაწლავების სხვადასხვა ნაწილში არსებული დაავადებების დიფერენციაცია ტკივილის მიხედვით: „თუ სიწყლულე ზემოთა წელთა შიგან იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ უპეთა ქვეშეთ სტკივოდეს და რაი მუცელი ეგრეხოდეს მაშინ არ ჩამოვიდეს, და რაი ხანი გარდვიდეს მაშინ ჩამოვიდეს. და თუ სიწყლულე ქვემოთა წელთა შიგან იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ უპეთა ქვეშეთ დია სტკიოდეს და რაი მუცელსა იგრეხოდეს ჩამოცვიდეს“[4] მოყვანილი მასალის ავტორი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ თუ წყლული, რომელიც ფაღარათს იწვევს, ნაწლავთა ზედა ნაწილშია, ტკივილი ჭიპის ზემოთაა და ჭინთვებს თან სდევს დეფეკაციის აქტი, თუ წყლული ნაწლავთა ქვედა ნაწილებშია, ტკივილი უფრო მეტად ჭიპის ქვემოთ არის გამოხატული და ჭინთვებს უშუალოდ თან სდევს დეფეკაცია.

განვიხილოთ დაავადებანი, რომლებიც თანამედროვე მედიცინაში გადამდებ სნეულებებად არის ცნობილი.

აღნიშნულ დაავადებათა შესახებ ცალკეული ცნობები არასამედიცინო წყაროებშიც გვხვდება. ასე მაგალითად „ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგს ვკი-

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 320.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 200.

თხულობთ: „და ვიდრე განთენებამდე მოავლინა უფალმან სარკინოზთა ზედა ხორშაკი ბღუარისა, და გუემნა. იგინი სატლითა სისხლისათა... გუემა სასტიკად მომსვრელი, კაცითგან მიპირუტყუთამდე... და მოსწყდა ს ა ტ ი ლ თ ა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახუილითა სამი ათასი... სარკინოზთა ცხენი დაეცა ვითარცა ჭალაკი...“[1].

ჟამთაამღწერელი გადმოგვცემს, რომ დაავადება „სატალმა“, რომელიც ბრბოქოს უფლის მიერ იყო „მოვლენილი“, საქართველოზე მოლაშქრე ოცდათხუთმეტი ათასი სარკინოზი იმსხვერპლა. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ხვნი პირუტყვსაც დარევია.

დაავადება „სატალი“ აღწერილია აგრეთვე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ამავე ძეგლში იგი „კურთხეულის“ სახელითაც იხსენიება:

„ხოლო ბასილი მამაი, იყო რაი ჭაბუკ, კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხედვიდა და ბოროტი მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა კურთხეულ უწოდიან. ხოლო ძუელად ჰრქუიან სატალი. და ბასილი მწარითა მით სენითა ქუემდება რეი, იგუემებოდა ვითარ ოთხ დღე ოდენ“[2].

მოყვანილი ამონაწერის მიხედვით, ხანძთის მონასტრის ერთერთ ბერს, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ჯორს მწყემსავდა, კისერზე „მჯდომი“, ანუ დიდი მუწუკი ამოუვიდა. თხზულების ავტორი აღნიშნავს, რომ ამგვარ მუწუკს კურთხეულს უწოდებენ, ხოლო წინად მას სატალი ერქვაო.

სნეულება „სატალის“ გავრცელების ეპიდემიური ხასიათს და ამ დაავადებით შეპყრობილთა დიდ სიკვდილობას დაწვრილებით გადმოგვცემს ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ნაშრომში, რომელიც მურვან ყრუს შემოსევას შეეხება: „...კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“[3].

საბას განმარტებით „სატალი-სენია, მუცელა მომსრველი“, ხოლო „სატლობა—ხშირი მუცლით ყვანა“.

როგორც ვხედავთ, საბას, სნეულება „სატალი“-ს ორი ნიშანი აქვს აღნიშნული—ფაღარათი და ხშირი სიკვდილობა. ამრიგად, ზემომოყვანილი ცნობების მიხედვით, სნეულება სატალისათვის დამახასიათებელი ყოფილა—ეპიდემიური გავრცელება, სისხლიანი ფაღარათი, ჩირქოვანი მუწუკის გამოსვლა, დიდი სიკვდილობა.

ამ დაავადებას ხალხურ მედიცინაში „კურთხეულს“ და „ბედნიერსაც“ უწოდებენ და ამ სახელწოდებათა ქვეშ ციმბირის წყლულს გულისხმობენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნული ხალხური მოსაზრება არ უნდა იყოს სიმართლეს მოკლებული. ციმბირის წყლულს (კერძოდ, მის კანის ფორმას) ზემო-

---

[1] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, იხ. „ქართლის ცხოვრება“, 1, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, თბილისი, გვ. 237.

[2] გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1, ს. ყუბანეიშვილის შედგენილი, 1946, თბილისი. გვ. 142.

[3] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, იხ. „ქართლის ცხოვრება“, გვ 376.

ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ექიმ ნ. ცომაიას ნაშრომი: „დაავადებანი და ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობა ძველ საქართველოში“, ხელნაწერი ინახება საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრაზე.

აღწერილი „სატალის“ მსგავსად მართლაც ახასიათებს დიდი ჩირქოვანი მუწუ-კის გამოსვლა. ხოლო დაავადების ხანგრძლივობა 3—4 დღეს უდრის, („იგუემ-ბოდა ვითარ ოთხ დღე ოდენ“).

სუმბატ დავითის-ძის და სულხან-საბა ორბელიანის მიერ მოცემული აღწ-ერილობა მოგვაგონებს ციმბირის წყლულის კუჭ-ნაწლავის ფორმას, რომელიც ფაღარათით მიმდინარეობს, ხშირად ეპიდემიურ ხასიათს იღებს და ეპიდემიო-ლოგიური თვალსაზრისით თანაბრად საშიშია, როგორც ადამიანებისათვის, ისე პირუტყვისათვის.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სულხან-საბა ორბელიანს „სატალი“ განმარ-ტებული აქვს, როგორც „სენი მუცლისა“. ამ სახელწოდებით „ქართლის ცხოვ-რებაში“ აღწერილია დაავადება, რომელიც მუსრს ავლებდა მოსახლეობას და იმდენად გავრცელებული იყო, რომ ხშირად მეფის სასახლეებშიც შეაღწევდა ხოლმე.

„...გარდიცუალა კვირიკე ქორეპისკოპოსი, და დაჯდა მის—წილ ფადლა, ძე კვირიკესი.... ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უხმობენ ხაჯობით და მოტყვევნეს კახეთი და დაწვეს ჯვარი მცხეთა... და წარიტანეს თანა ჯვარი პა-ტიოსანი დაკრილი და შემდგომად მისსა შეედვათ სნება მუცლისა და გულის ხმა-ყვეს რომელ ჯუარისაგან ევნოთ...“[1].

მემატიანე მოგვითხრობს, რომ კვირიკე ქორეპისკოპოსის სიკვდილის შემ-დეგ კახეთს მმართველად დაჯდა მისი ძე ფადლა. ამ ხანებში კახეთს სარკი-ნოზები შემოესივნენ, რომელთაც კახეთი ააოხრეს და ჯვარი შეურაცყვეს. ამ „ცოდვის“ გამო, აღნიშნავს მემატიანე, სარკინოზებს მუცლის სნება შეეყარათ.

„მუცლის სენი“ ანუ „სალმობა მუცლისაი“ შეყრია აგრეთვე ბაგრატ მეო-თხესაც და ამ სენითვე გარდაცვლილა: „...და შემდგომად მცირეთა წელიწადთა სამშვილდის ბართა მდგომსა ბაგრატს მეფესა დაეცა, „სალმობა მუცელსა“ და ჩადგა მარაბდთა და გაუძნელდა სალმობაი და ტახტითა წარმოიყვანეს... და მოიყვანეს ქართლის მეფე... და შემდგომად ამისა გარდაიცვალა მეფე ბაგრატ...“[2]

ამრიგად, სამშვილდეში მყოფ მეფე ბაგრატს „მუცლის სნება“ შეყრია. სენი იმდენად გაძნელებულა, რომ ავადმყოფი ტახტრევანით წამოუყვანიათ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ბაგრატ მეოთხე გარდაცვლილა. სამწუხაროდ, არცერთ ზემოთ მოყვანილ ამონაწერში არ არის მოცემული „მუცლის სენისა“ ნიშნები გარდა იმისა, რომ იგი მეტად საშიშ დაავადებად ყოფილა მიჩნეული და, რო-გორც „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ცნობებიდან ჩანს, უმეტეს შემთხვე-ვაში იქ იჩენდა ხოლმე თავს, სადაც ბევრი მხედარი იყო თავმოყრილი.

ასეთი ადგილი იყო მაგალითად, საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარზე მონღოლების მიერ სტრატეგიული მიზნით შექმნილი ჯარების თავშესაყარი— სიბა, სადაც მონღოლთა მოხარკე ყველა ქვეყანა ყოველწლიურად აგზავნიდა ჯარებს. ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის დროს „მუცლის სნებას“ მეფე დავითი და მისი პირმშო გიორგიც უმსხვერპლია.

„მაშინ წარვიდა ყაინი სიბას და თან წარიტანა მეფე დავით. დაჰყო ჟამი ზა-მთრისა და რა ზაფხული მოიწია, წარმოვიდეს და მგზავრ მომავალსა მეფესა შეედვა სალმობაი მუცლისა. და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ეევედრა ხატსა მარტყოფისასა და მივიდა მის წინაშე ვითარ ჩვეულ იყო. რა-

1. „ქართლის ცხოვრება“, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 285.

2 „ქართლის ცხოვრება“.

მეთუ პირველ ამისა მუცლისა სნეულებითა შეპყრობილ იყო, და ვითარ მკუდარი იდვა, უსიტყვოდ და აღედგინა ხატსა ხორც-შესხმულსა ღვთისა. ხოლო აწ არღა-რა ჰპოვა ლხინებაი, ამის—თუის რომელ მოაკლო ღვთის მსახურებაი, დაიწყო რღვევა საყდართა დაბლად, ამისთუის აღიღო ღმერთ-მან ხელი წყალობისა და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო გიორგი, სიკეთე—აღმატებული და აქა მიიცვალა მეფე დავით...“[1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მუცლის სნება“ სისხისმაგვარ დაავადებას უნდა რქმეოდა, რომელიც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფაღარათით ხასიათდება, რაც მართლაც დამახასიათებელია „მუცლის სენისათვის“ ანუ „სატალისათვის“.

„შავი ჭირი“ ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში სხვადასხვა სახელწოდებით არის აღწერილი, ესენია: „ავი ქამი“ „ტყააღუნი“, „ტაუნი“, და სხვ[2].

მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებულ ძეგლში შავი ჭირი „ავი ქამის“ ანუ „ტყააღუნის“ სახელწოდებით გვხვდება; „ნიშანი ავის ქამისა, რომე ტყააღუნი ჰქვიან. ესე ქამისა ნიშანი არის, ესე მჯდომი არის, ან გამოვა ყურის ძირს, ანუ ენისა ძირსა, ანუ ძუძუსა ძირსა, ან ღლიასა, ანუ საზარდულსა, ესე მჯდომი ნამეტნავად იქნების და საური შეიშლების და ავი ქამი შეიქნების, ქალაქებშიგა გამოჩნდების, და მწოვედ ეწვებოდეს. ის ადგილისა ფერი წაუღოს და გულისა ძგერა გამოუჩნდეს, ბნედა გამოუჩნდეს, ნიშანი მისი რომე მჯდომი გამოვიდეს, თუ ყურის ძირსა ანუ ყურსა უკანით, ან ძუძუსა ან ღლიას გამოვიდეს, ავი არის და მკულელი, და ფერი თუ მოშაოდ დაეცემოდეს ავი არის. თუ წითელი იყოს და მოყვითალოდ სცემდეს ფერი, ისი უფრო წყნარი არის“[3].

ამონაწერის მიხედვით, ამ დაავადების ძირითად კლინიკურ ნიშნად მიჩნეული ყოფილა „მჯდომის“ ანუ სხვადასხვა ფერის დიდი ჩირქოვანი მუწუკის ამოსვლა იღლიის მიდამოში, საზარდულის მიდამოში, ყურთან და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე გულის ფრიალი და ხშირი გულის შეღონება. ამონაწერში ხაზგასმულია „ავი ქამის“ გავრცელების ეპიდემიური ხასიათი, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ ადგილებში („და ავი შეიქნების ქალაქებშიგა გამოჩნდების...“).

მე-15 საუკუნით[4] დათარიღებულ სამკურნალო წიგნში „ავი ქამის“ სიმპტომატოლოგია უფრო ფართოდ და მრავალმხრივად არის წარმოდგენილი.

„ნიშანი მჯდომისა ავის ქამისა თხაღუმ ქუიან. იცოდი რომე ორფერია—ერთი დიდი და ერთი ცოტა. და სამფერად იქნების: ერთი წითელი ერთი მომწუანო ერთი შავი. ესე უფრო რბილსა ალაგსა გამოვა, ან ყურის ძირსა, ან ძუძუს, ან საზარდულსა, ან ღლიასა ან ბარკალსა; ეს ერთობ მძიმე და ავი სენი არის. კაცსა აშლის და რწყევასა დაწყებინებს, და გულის ძარღვსა დაიჭირავს. შერმე გულზედა მივა და გულის ძგერას დაწყებინებს, მწოედ გააცხელებს და თავის ტკივილსა დაუწყებს და ზოგჯერ ჭკუაცა შეეცულების...“[5]

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ზ. ჭიკინაძის გამოცემა, გვ. 597.

[2] ოთხთავში შავი ჭირი მოხსენიებულია მეტად საინტერესო სახელწოდებით—„წყუედ“. გვ. 765.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 400.

[4] მე-13 საუკუნით დათარიღებულ ძეგლში შავი ჭირი „ტაუნის“ სახელწოდებით არის მოხსენიებული. იგი მიჩნეულია მოსარიდებელ და ძეტად სახიფათო სენად: „ესე მანკი დია საკრძალაი და საშიში არს“.

[5] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 320.

ამონაწერის მიხედვით, ავი ჟამისთვის დამახასიათებელი ჩირქოვანი მუწუკი თავისი მოცულობით შეიძლება ორგვარი იყოს—დიდი და პატარა; ფერით კი სამგვარი—წითელი, მომწვანო და შავი. ჩირქოვანი მუწუკი, ანუ „მჯდომი“ უმეტეს შემთხვევაში გამოდის ყურის ძირას, სარძევე ჯირკვლებზე, საზარდულის და ბარძაყის მიდამოებში. კლინიკური ნიშნებიდან აღსანიშნავია: ტემპერატურის მომატება („...მწოვედ გააცხელებს,...“), თავის ტკივილი, გულის ფრიალი („...გულის ძგერას დააწყებინებს...“), ნერვული აგზნების მოვლენები („...ზოგჯერ ჭკუაცა შეეცულების...“), გულისრევა, პირღებინება და ფაღარათი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილი სურათი შავი ჭირის კლინიკურ სურათს გვაგონებს. ამ უკანასკნელს მართლაც ახასიათებს ტემპერატურის მომატება, ლიმფური ჯირკვლების შესივება და დაჩირქება იღლიის ქვეშ, საზარდულის მიდამოში და ყურებთან. შავი ჭირისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გულისრევა, პირღებინება და ფაღარათი. ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე მე-11 საუკუნით დათარიღებული ძეგლის ავტორის მითითება ავი ჟამის ეპიდემიური გავრცელების შესახებ, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში (ქალაქებში).

ავი ჟამის დროს ძირითადად სიმპტომატიურ მკურნალობას მიმართავდნენ: აძლევდნენ ძველი ავტორების შეხედულებით გულის ფრიალის დამაწყნარებელ საშუალებებს („...გრილი შარბათები შეუწყონ, რომე გულის ძგერა დააწყნაროს...“), სასმელად ურჩევდნენ ლიმონის, ფორთოხალის და სანდალის წვენს. ჩირქოვანი მუწუკის მკურნალობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძირითადად მის მოვლა-მოსუფთავებაში და მალამოების დადებაში გამოიხატებოდა.

მე-16 საუკუნეში „ავი ჟამი“ ფრიად საშიშ დაავადებად ყოფილა მიჩნეული: „აწ ესე იცოდით რომე სრულად ყოვლისა ავადმყოფობაშიგა ამის უძნელესი და ამის უარესი ავადმყოფობა არ არის“[1].

ძველ ქართულ მედიცინაში აღწერილია გადამდები სნეულება, რომელსაც უწოდებენ „საოფლეს“. სულხან-საბა ორბელიანი საოფლეს შემდეგნაირად განმარტავს: „საოფლე არს სნება გადამდები“. „საოფლე“ კრებითი ცნება იყო, მასში რამდენიმე სნეულება იყო გაერთიანებული.

მე-16 საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში აღწერილი „საოფლე“ ზოგიერთი ნიშნებით გვაგონებს მუცლის ტიფს.

„აწ ესე უნდა იცოდეთ, რომე ის კაცი, რომ პირველსა შეყრაზედა მწოვედ გააცხელოს და ძალიან შეყაროს და მწოვედ წაახვიოს და მართ ჭკუაცა შეუშალოს“[2]. „...ავადმყოფი პირველზედა დაწვეს და საგებლად ჩავარდეს იმა დღიდაღმან ორმოცსა დღემდისინ“[3].

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ ამონაწერებში დაავადების ხანგრძლივობა 40 დღითაა განსაზღვრული და მითითებულია, რომ აღნიშნული დაავადება მწვავედ იწყება, ცხელებით მიმდინარეობს. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მუცლის ტიფის აღწერილობასთან გვქონდეს საქმე.

---

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 528.
[2] იქვე, გვ. 527.
[3] იქვე, გვ. 145.

მე-18 საუკუნეში საოფლე უფრო ფართოდ არის აღწერილი და თავისი ნიშნებით აგრეთვე ემსგავსება ტიფს. მოგვყავს აღწერილობა: „საოფლე ესე უფრო საშიშია ყველასგან და ეს არა თუ მარტო შესაყარი არის და ოდესმე ძნელიც არის მოსარჩომად, რაც უნდა ძალიანი ღონე მოიხმარონ წამლით. ამ გუარი სახადი იცნობება შემდგომის ნიშნებით: ცივება, რომლითაც დაიწყება ეს სნეულება ასე მცირე იქნება, რომ ვერც კი შეიტყობს, მერმე მოსცემს ძალიანს სიგანგებო სიცხეს, მოუსვენებლობას და წუხილს და უფრო ცხადი ნიშანი არის ეს, რომ სნეული დაწყებასავე ზედა სნეულებისასა ასე დასუსტდება, რომ ძლივ დაუწყებს ძურას ხელსა და ფეხსა, ასე რომ ვითამ ერთი კვირის ავადმყოფი იყოს. რომელთამე პირველადვე დააწყებინებს გულის რევას და რწყევას, ასე რომ არაფრით არ დადგება, რომელნიმე ბოდვიან სხვანი, იჭიმებიან და ყოველ სხეულს იტკიებენ და ასე გულს იყრიან, რომ აღარ შეუძლიან თქვან თუ რისგანა უწუხს გული. მოკლედ ვიტყვი, თუმცა ეს ნიშნები არა ყველას შეხვდება ერთად, მაგრამ ასე დამძიმდებიან, რომ ყოველი მაყურებელი გაპკვირდება და უიმედო შეიქნებიან იმისი მორჩომისა"[1].

ამავე ხელნაწერში გვხვდება დაწვრილებითი ცნობები ავადმყოფის მკურნალობისა და მოვლის შესახებ.

ძველ ქართულ სამედიცინო და არასამედიცინო წყაროებში განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს ვხვდებით ყვავილის შესახებ.

მეთერთმეტე საუკუნეში ყვავილის კლინიკური სურათი შემდეგნაირად ჰქონიათ წარმოდგენილი:

„ცხრო რომე ყუავილისაგან იქნების.

მისი ნიშანი ესე არის: ერთობილი ტანი ცეცხლივითა იყოს და თვალნი გაუწითლდნენ და თავი ასტკივდეს, ტანისა ქავილი დაუწყოს და წყურვილიცა დაუწყოს და ჭკუაცა შეეცვალოს და გულშიგაცა შიში ჩავარდნოდეს"[2].

„ნიშანი მისი ეს არის, რომე გაცხელდეს და სამსა დღესა უკლებად მწოვეედ ზურგი და წელი სტკიოდეს და... მისი მიზეზი სისხლისა განედლებისაგ. ნ იქნების, რომე ტანშიგა მიემატების. ერთი ნიშანი ის არის, რომე პირი გაუწითლდების და თვალნი და თავი მძიმედ ჰქონდეს, რა ეს ნიშანი ნახო იცოდი რომე ყვავილი გამოესხმის"[3].

ამონაწერის ავტორი გადმოგვცემს, რომ, როდესაც ცხელება ყვავილისაგან არის გამოწვეული, ამ დროს ავადმყოფის სხეული ცეცხლივითაა, სხეულზე ჩნდება ყვავილის გამონაყარი („...ყვავილი გამოესხმის..."), თვალები შეწითლებულია, ავადმყოფი უჩივის ზურგისა და წელის, აგრეთვე თავის ტკივილს („...თვალნი და თავი მძიმედ ჰქონდეს..."), წყურვილს, აქვს ნერვული აგზნების მოვლენები („...და ჭკუაცა შეეცვალოს და გულშიგაცა შიში ჩავარდნოდეს...") ამავე საექიმო წიგნში აღწერილია ისეთი კლინიკური ნიშნებიც, როგორიცაა

---

1 ხელნაწერი № 136, გვ. 43 R. იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 „უსწორო კარაბადინი", გვ. 141.

3 იქვე, გვ. 397.

მთელი სხეულის ქავილი, გამონაყარის გაჩენა ხახაში, ძილის გაკრთომა და სხვ.:

„ტანისა ტყავიცა, ცხვირი ჰქაოდეს და ძილშიგაც ეშინოდეს და ხახაშიგა მღიერი ესხას და პირი მოტკბო ებას და თვალთა ცრემლი სდიოდეს...“[1]

არჩევდნენ ყვავილის რამდენიმე სახის გამონაყარს და ამის მიხედვით მსჯელობდნენ დაავადების პროგნოზის შესახებ:

„იცოდი, რომე (ყვავილი) ყოველი ფერადი არის: იის ფერი არის, შავი წურილი, მაგარი, ბრტყელი და ერთმანერთის მოკიდებული. ყვავილი და კალის ფერი და თეთრი. რომელი იის ფერი ან შავია, ავი არის და საფათერაკო არის“[2]. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად საგულისხმო გარემოება: ძველად, როგორც ჩანს, ყვავილით დასნეულების შემთხვევები ისე ხშირი ყოფილა, რომ იგი მიუჩნევიათ, როგორც ორგანიზმის პათოლოგიური რეაქციის აუცილებელი, კანონზომიერი გამოვლინება იმ „უწმინდური“ სისხლის მოსაშორებლად, რომლითაც ნაყოფი იკვებება მუცლადყოფნის პერიოდში. აი ამ დებულების საილუსტრაციო მასალა:

„...ყვავილისა მიზეზი იმა სისხლისაგან იქნების, რომე ყმაწვილი დედის მუცელშიგა იმას ჭამს და იმით იზდების. ისი სისხლი ისი არის, რომე დედაკაცსა წესი დაემართების, თანი იმით გაწმინდოს“[3].

მეცამეტე-მეთხუთმეტე საუკუნეში ყვავილის წარმოშობისა და განვითარების შესახებ ისეთივე შეხედულებები არსებულა, როგორც წინა საუკუნეებში.

მეთექვსმეტე საუკუნის მასალების გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდში ცნება ყვავილი უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი. იგი აერთიანებს სხვადასხვა სახის გამონაყარით მიმდინარე ინფექციურ დაავადებათა სახეებს, თუმცა მათ შორის საკუთრივ ყვავილიც არის გამოყოფილი.

„...თუ სნეულსა ასპამან და პარტახტმან დაჰყაროს, ეს იცოდეთ, რომე ასპა ვითამცა და პარტახტიო, ყუავილი და ქუნთრუშა, ყუელა ამისგან იქნების რომე კაცსა სისხლი აუდუღდების და თავისის ალაგიდაღმან დაიძურის, და ესე სისხლი წახდების და საფრად გარდაიქცევის, და ასპასა ყუავილსა და ქუნთრუშა ყუელასა მისგან გამოჰყრის და ესე ასპა და პარტახტი მარტვილებსა და ვაესა კაცსა უფრო ემტერების და ეს ასპა პირველსა გაზაფხულზედა და გულსა სიცხეშიგა უფრო ბევრი იქნების და ბერსა და მიდღევნებულსა კაცსა უფრო არ გამოესხმის“[4].

ამრიგად, პარტახტის, ოსპის, ქუნთრუშისა და ყვავილის გამონაყარის მიზეზად მიჩნეული ყოფილა სისხლის შეცვლა ამასთან ითვლებოდა, რომ აღნიშნული ინფექციური დაავადებებით უფრო ხშირად სნეულდებიან ბავშვები და სრულასაკოვნები, ხოლო მოხუცებულებს იგი იშვიათად ემართებათ. გამონაყარის ფერის და ხასიათის მიხედვით არჩევდნენ დაავადების სხვადასხვა ფორმებს, რომელთაგანაც პროგნოზის თვალსაზრისით ზოგი უფრო კეთილსაიმედო იყო, ზოგი საშიში:

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 398.
[2] იქვე. გვ. 400
[3] იქვე. გვ. 307.
[4] „იადიგარ დაუდი“. გვ. 503—504.

„აწე ესე უნდა იცოდეთ, რომ ავი და საფათერაკო ასპა პირველ შავი არის, მერმე იის ფერი და მერმე მწვანე, მერმე ყირმიზი, მერმე მწვანე და ყუითელი. ეს ასპაები საფათერაკო და მწოველ ძნელი ასპაები არის"[1].

დაავადების მიმდინარეობის და მისი პროგნოზის დადგენისათვის მნიშვნელობას აძლევდნენ არა მარტო გამონაყარის ფორმას და ფერს, არამედ იმასაც, თუ რა ინტენსივობით და სხეულის რა ადგილებში ხდებოდა ეს გამოყრა.

„...რომე კაცი გააცხელოს და არ გამოჰყაროს და მერმე სიცხემან კი გაუშვას და მას უკან გამოჰყაროს, ისიც მწოველ საფათერაკო არის. და ესე ყუავილი რომ მკერდზედა გულს პირზედა და მუცელზედა ბევრი გამოყაროს და ესე ყუავილი ხშირად და გართხბით იყოს. და კიდეცა იბარტყოს ყუელასგან ეს უფრო საფათერაკო არის, მეტადრე მაშინ რომ იმ ასპიდალმან სისხლი ედინოს. ის ასპი უსათიოდ სიკუდილისა ნიშანი არის, და ესე ასპაცა უსათიოდ საჭირო და საფათერაკო არის, რომე ბევრი გამოაყაროს და ხშირად ესხმას კიდეცა იბარტყოს, მეტადრე მაშინ რომე ამა წელიწადსა ავი ჟამიცა იყოს"[2].

მეთექვსმეტე საუკუნეში განსაკუთრებით სახიფათოდ ყოფილა მიჩნეული ყვავილის ისეთი ფორმები, რომელთა დროსაც გამონაყარის გაჩენა სიცხის გამონელების შემდგომ ხდებოდა. დაავადების პროგნოზის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ეძლეოდა გამონაყარის გავრცელებას სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, გამონაყარის სიხშირეს, სისხლის დენას გამონაყარიდან და სხვ.

მეთექვსმეტე საუკუნეში აღწერილი ყოფილა ყვავილის არა მარტო მძიმე, არამედ აბორტული ფორმებიც:

„...კარგი ნიშანი ეს არის, რომე მომსხო და ცოტა დაჰყაროს, და ტანშიგა სიცხე და სიმხურვალე ცოტა ჰქონდეს ხმა კარგად ჰქონდეს და სული მწოველ მხურვალი არ ამოსდიოდეს. და პირველ ასრე უნდა გააცხელოს და მას უკან ყუავილი იყოს, თუ ქუნთრუშაი თუ ასპა იმან გამოჰყაროს, და ამ რიგი და ეს ასპა ღვთისა შეწევნითა უსათიოდ სალხინო და საკეთილო არის"[3].

ამონაწერის ავტორი მოგვითხრობს, რომ არის ყვავილის ისეთი ფორმები, რომელთა დროსაც გამონაყარი ცოტაა და ტემპერატურა დაბალი. ასეთი კლინიკური სიმპტომებით მიმდინარე ყვავილი პროგნოზის თვალსაზრისით მიჩნეული ყოფილა კეთილთვისებიან ფორმად („...ეს ასპა ღთისა შეწევნითა უსათიოდ სალხინო და საკეთილო არის...").

აი, როგორ არის აღწერილი ყვავილით დაავადებულის კლინიკა და მკურნალობა მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო წიგნში:

„ყმაწვილის სენი არის ყუავილი და წითელა. ყუავილი დაიწყება ნიადაგ სიცხით გულის ღონებით და გულის რევით, ბექების ბჟუალით დიდის სისუსტით, ზიდებით და ხან გულის შემოყრით. ყოვლად უნდა მისცეს ყმაწვილს სასაკმეველი ზემო თქმული და მოზრდილთ ცარიელი შიგა დანაყილი რევანდი. ექვსის წლის ყმაწვილისათვის კმარა მისხლის მესამედი. ათის წლისათვის უფრო მეტი და ასრე მომატებით და როდესაც ასაქმოს, მერე სხუა არაფერი არა უნდა-

---

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 504.

[2] იქვე.

[3] იქვე.

რა იმას გარდა, რომ ისე შეინახონ სნეული, როგორც სახადიანისათუის ითქეა. და თუ მთელ დღეს არ ასაქმოს, მაშინ ოყნა უნდა მისცენ... საჭმლად უნდა მისცენ მსუბუქი როგორც სახადში ითქუა, დიდად თბილად არ უნდა ჰყუანდეს სნეული. ზომურს სითბოში და არაფერი ასეთი არ უნდარა მისცენ, სიცხეს მოუმატოს. მარტო უნდა ეცადნენ, რომ სნეული მუცელში ფაღარათად იყოს. და მაშინ იქვი აღარ იქნება, რომ ყუავილს ან მესამესა ან მეოთხეს დღეს გამოჰყრის და ავადმყოფი მოსვენებული შეიქნება. ამისათუის რამდენიც დღე იწვეს ყმაწვილი უნდა არაფრით არა უყოსრა და აგებულებას მოუცადოს...“[1].

ძველ საქართველოში ცოფი მეტად საშიშ დაავადებად ითვლებოდა. ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ცოფით დაავადებული ძაღლის დიაგნოსტიკისათვის. აი როგორ არის აღწერილი ცოფით დაავადებული ძაღლი მე-11 საუკუნით დათარიღებულ სამკურნალო ძეგლში:

„...რა ძაღლი გაბრაზიანდების, გაშტერდების, ფერი შეეცულების და რასაც იქს, ვეღარას შეიტყობს, მუდმად ირბენს, და თუ დაწვების კუდსა ფერხშიგა დაიჭერს და შორითა დამოკლებულსა გვანდეს, პირსა პერული მოსდიოდეს, ხმა ჩაუვარდების... უფრო თუ შეატყო ნაკბენი ბრაზიანი არის და თუ არა ეს უნდა, რომე ცოტა პური ძაღლს მიუგდო, თუ არც უსუნოს და არც ჭამოს, იცოდი რომე ბრაზიანი არის, ნაკბენის სისხლი დასცხონ. პურსა თუ ჭამოს არ არის ბრაზიანი...“[2]

მოყვანილ ამონაწერში გადმოცემულია ცოფის გამომჟღავნების სიმპტომები ძაღლში. ამონაწერის მიხედვით, ცოფიანი ძაღლი განუწყვეტლივ და მიზანშეუწონლად დარბის („ვეღარას შეიტყობს, მუდმად ირბენს...“), კუდი დაშვებული აქვს, ხმა ეხლიჩება, პირზე ქაფი მოსდის.

ავტორი გვაწოდებს ძაღლის ცოფით დაავადების ამოცნობის თავისებურ წესს. იგი წინადადებას იძლევა ძაღლს საკვები (პური) მიუგდონ. თუ ძაღლი არ შეჭამს და მით უმეტეს არც დასუნავს მას, იგი ცოფიანია. მეორე წესი იმაში მდგომარეობს, რომ ნაკბენი ადამიანის სისხლს შესცხებენ პურის ნაჭერს, თუ ასეთი პურის ნაჭერი ძაღლმა შეჭამა, იგი არ არის ცოფიანი.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი აღწერილობა სავსებით შეესაბამება ცოფის სურათს. რაც შეეხება დიაგნოსტიკას, ისიც ერთგვარ საფუძველს ემყარება. ცნობილია, რომ ცოფით დაავადებულ ძაღლს სათანადო კუნთების დამბლის გამო არ აქვს საკვების მიღების უნარი.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ცოფის აღწერილობა ადამიანში, რომელსაც ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში მეცამეტე საუკუნიდან ვხვდებით „ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაზომთა დღეთა უკანა ტანი მისი გაწითლდეს და ასოთაგან ოფლი სდიოდეს დია, და წყლისაგან ეშინოდეს და იქნებეს რომელ ძაღლივითა ყბედობდეს და კაცსა შემოუტეობდეს“[3]

---

1 ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდი გვ. 101 v. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 413.

3 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 296.

მოვიტანოთ ამონაწერი მეთექვსმეტე საუკუნის საექიმო ძეგლიდან. სადაც აღწერილია ცოფის სიმპტომები ადამიანში:

„და ესე ბრაზიანი ძაღლი რომე კაცსა შეეხოს და ან კაცსა უკბინოს, შვიდსა დღესა უკანა მალიხულიასავითა შეიქნების, ასრე რომ მარტოდ ყოფა მოუნდების და სინათლესა დაერიდებას, ბნელს სახლშიგა შეეარდების, ცუდმადსა ფიქრებსა იქს და რასაცა ნახავს ისივ ბრაზიანი ძაღლი ეგონების და შეშინდების. და ბევრჯუელ ასრე იქნების, რომე მიწაშიგა გაგორდების და ასოები შეეშლების და მიჭურიტინა რომე მოუშვირო, თავის სახესა მიჭურიტინაშიგა ვერ გამოიცნობს, და მიჭრუტინაშიგა რომე თავისი თავი დაინახოს, ისივ ბრაზიანი ძაღლი ეგონების და შეშინდების და იქნების რომე ხელსა და ფეხშიგა ძალი მოაკლდეს, იქნების რომე ძაღლსავითა ყუილსა დაიწყებს და ყელი და ხახა გაუხმების, ვერ დაიყეფებს, კაცის კბენა მოუნდების და ვისცა უკბენს ისიცა ამასავითა შეიქნების და სადამდისი წყალსა რიდებასა დაუწყებს მანამდისი ამისი წამალი ადვილი არის. და თუ თვისი სახე მიჭურიტინაშიგა ვერ ამოიცნას, მას უკან მისი წამალი აღარ იქნების, და უფროსი ერთი ორმოცსა დღემდისინ იქნების"[1].

ავტორის თქმით, ცოფი, როგორც დაავადება, თავს იჩენს ძაღლის კბენიდან შვიდი დღის შემდეგ. სიმპტომებიდან ძირითადად აღნიშნულია ფსიქიური მოვლენები: როგორიცაა მარტოობისა და სიბნელისადმი ლტოლვა, მელანქოლია და სხვ. („...რასაცა ნახავს ისივ ბრაზიანი ძაღლი ეგონების... ცუდმადსა ფიქრებსა იქს...").

გარდა ფსიქიკური მოვლენებისა, მოყვანილ ამონაწერში მოცემულია დაავადების სხვა ნიშნებიც, როგორიცაა კიდურების პარეზი („...ხელსა და ფეხშიგა ძალი მოაკლდეს..."), ყელისა და ხახის სიმშრალე, აგრესიულობა („...კაცსა კბენა მოუნდების...") და სხვ.

სნეულების გადადება, ავტორის აზრით, შესაძლებელი ყოფილა ღასნებოვნებული ცხოველის ან ადამიანის მიერ ადამიანის დაკბენით („...ვისცა უკბენს ისიცა ამისავით შეიქნების...").

ამონაწერის ავტორს მიაჩნია, რომ ცოფის საწყისი ფორმების განკურნება იმ დრომდე, ვიდრე ავადმყოფს წყლის შიში დაემართებოდეს, შედარებით ადვილია და ამ მიზნით გვაწოდებს მკურნალობის მთელ რიგ საშუალებებს:

„ბრაზიანმა ძაღლმან, რომე კაცსა უკბინოს, ასრე უნდა, ის ბრაზიანი ძაღლი მოკლან და ამა ძაღლის ღვიძლი მოხარშონ და ამა ნაკბენსა კაცსა აჭამონ და მაშინვე ეშველების"[2].

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება კეთრის აღწერილობა. ზოგიერთ შემთხვევაში იგი საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლში მოხსენებულია დაავადება „გ ა ნ ბ ო რ ე ბ ი ს ს ა ლ მ ო ბ ა ი". დაავადების სიმპტომები ძეგლში არ არის აღწერილი და ამდენად კონტექსტიდან მისი ამოცნობა შეუძლებელი ხდე-

---

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 546.

[2] იქვე.

ბა. სულხან-საბას ლექსიკონში აღნიშნული ტერმინი განმარტებულია როგორც „კეთრისა სნეულებაი“. სულხან-საბას არ აქვს მითითებული თუ რა ლიტერატურული წყაროთი სარგებლობს აღნიშნული ტერმინის განმარტების დროს. საგულისხმოა, რომ კეთრის უამრავ სინონიმებს შორის ტერმინი „განბორების სალმობაი“, გარდა ორი ზემოაღნიშნული წყაროსა, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არსად არ შეგვხვდა.

კეთრის პირველი სრული აღწერილობა მეთერთმეტე საუკუნეში გვხვდება. აქ იგი მოხსენიებულია სახელწოდებით „ქაშოეთი“ და „ჯუზამი“.

აი ეს აღწერილობა: „ნიშანი ჯუზამისა, რომე ქაშოეთელისა ქვიან. მისი ნიშანი ეს იყოს რაჟამს ფერი პირისა გაუწითლდეს და მერმე გაუშავდეს და გაუმსხვილდეს ხან ჩავარდეს და წამწამი და წარბი გასცევიდეს და ცხუირსა არაფერი სული არ ეცემოდეს...“[1].

მოყვანილ აღწერილობაში ვხვდებით მთელ რიგ ისეთ ნიშნებს, რომლებიც კეთრს მართლაც ახასიათებს. ესაა ალოპეცია, პირისახის კანზე წითელი და შავი ლაქების გაჩენა, პირისახის ნაკვთების გამსხვილება და დეფორმაცია („ჩავარდნა“). როგორც ჩანს, ძველ საქართველოში კეთრი გადამდებ სნეულებად მიიჩნდათ და გარკვეულ პროფილაქტიკურ ზომებსაც იღებდნენ, რათა ეს დაავადება კონტაქტის გზით არ გავრცელებულიყო.

„ესე სენი ძნელი არის და ძნელად გამოვა ამისგან კაცი. ესე ფსელსა გარყუნის კაცისასა და შვილსა გაუავებს და რაც იგი გამრთელდების. და ვინცა ქაშვეთელსა თანა იქნების, ანუ მისსა ჯამშიგა სჭამს და სუამს მასაც გაყუების, და ერთობ რიდება უნდა, იცოდით ბრძანებითა ღვთისათა“[2].

ამრიგად, როგორც ამონაწერიდან ჩანს, მეთერთმეტე საუკუნეში ყურადღება მიუქცევიათ იმისათვის, რომ დაავადების გადადება შესაძლებელია ავადმყოფის ჭურჭლით სარგებლობის დროს. როგორც ამ ამონაწერიდან და აგრეთვე მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებული სხვა მასალიდან ირკვევა, კეთრი მიჩნეული ყოფილა ისეთ დაავადებად, რომელიც მემკვიდრეობაზე გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

მეცამეტე საუკუნეში კეთრის სიმპტომატოლოგია შემდეგნაირად ყოფილა წარმოდგენილი:

„ნიშანი კეთრისა მეცნიერთა აქიმთაგან ნათქვამისაგან: იგი არს რომელ სითეთრე გამოჩნდეს სადაცა ასოთა ანუ ტანსა და ლბილი იყოს, და იქნების რომელ ძუელი და მქისეცა იყოს და ხორცსა შესრული იყოს, ზელისგან არ გაწითლდებოდეს, და რაი ნემსი შესცენ სისხლი არ გამოვიდეს მისგან ყოლა“[3].

მოყვანილ ამონაწერში კეთრის სხვა უკვე ცნობილ სიმპტომთა შორის აღნიშნულია კანის სხვადასხვა არეების დეპიგმენტაცია („...იგი არს რომე სითეთრე გამოჩნდეს...“), აგრეთვე კანის გარკვეული უბნების ნეკროზი. ეს უკანასკნელი ამონაწერის თანახმად, იმაში პოვებს გამოხატულებას, რომ დაზელვისას კანის აღნიშნული უბანი ჰიპერემიას არ განიცდის და ნემსით ჩხვლეტის შედეგად სი-

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 376.
[2] იქვე, გვ. 377.
[3] „წიგნი საკიმოი“, გვ. 262.

სხლი არ გამოდის. ამავე ეპოქაში დიაგნოსტიკის ეს საშუალება გამოყენებული ყოფილა აგრეთვე დაავადების პროგნოზის დასადგენად: „...რაიცა ნემსი შეაცენ და სისხლი არ გამოვიდეს, არ იკურნების და რაიცა სისხლი გამოვიდეს მას კარგად იკურნების და რაიცა სინედლე გამოვიდეს ძნელი იქნების"[1].

ამონაწერის თანახმად, კეთრისათვის დამახასიათებელი ყოფილა კანის აჭრელება ჰიპერემიული და ანემიური უბნებით, რომლებიც, როგორც ჩანს, ფეტვის მარცვლის ოდენობისა ყოფილა. ისევე, როგორც წინა ამონაწერში, აქაც აღნიშნულია, რომ დაზიანებული არეს ჩხვლეტა ნემსით სისხლის დენას არ იწვევს.

ამ პერიოდში კეთრის გამომწვევ მიზეზად, როგორც ჩანს, კვებითი რეჟიმის დარღვევა ყოფილა მიჩნეული.

დასასრულ გვინდა შევნიშნოთ, რომ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ სახელწოდებები „კ ე თ რ ი", „კ ე თ რ ი ა ნ ობ ა ი", რომლებიც ძველ ქართულ დამწერლობით ძეგლებში ხშირად გვხვდება, კრებითი ცნება იყოს და კანის დაავადებათა გარკვეულ ჯგუფს აერთიანებდეს. ამაზე აქ აღარ შევჩერდებით, ვინაიდან ამ დებულების დასამტკიცებლად საკმარისი საბუთები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ცხელებით მიმდინარე დაავადებათა ერთი ჯგუფი ძველ ქართულ სამედიცინო ტექსტებში „ცხროს" სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნულ დაავადებათა დიდი ნაწილი თავისი კლინიკური ნიშნებით მწვავე გადამდებ სნეულებათა მსგავსია. კლინიკური სიმპტომების გამომჟღავნების მიხედვით, ცხელებით მიმდინარე დაავადებათა მიმდინარეობაში ოთხ სტადიას არჩევდნენ: დ ა ს ა წ ყ ი ს ი ს ტ ა დ ი ა ანუ პროდრომალური პერიოდი, როდესაც კლინიკური ნიშნები არის გამომჟღავნებული („...გუნება აეშალოს კაცსა... და არცარასა ნიშანი გამოჩენილიყოს...")[2] პ ა თ ო ლ ო გ ი ურ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა მ ა ქ ს ი მ ა ლ ურ ი გ ა მ ო ხ ა ტ ვ ის ს ტ ა დ ი ა, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „ბუჰრანი" („რომე სენმა მატობა დაიწყოს, სნეულობა გაძნელდეს და გაძლიერდეს"[3]); პათოლოგიურ მოვლენათა ჩაცხრობის, ანუ რეკონვალესცენციის სტადია („...სნეული, რომე დღივ დღივ სნეულება აკლდებოდეს და კაცი უკეთა და უკეთა იყოს..."[4]).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცხელება ანუ „ცხრო" ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში წარმოდგენილია, როგორც გარკვეული კანონზომიერებით მიმდინარე პათოლოგიური პროცესი, რომელსაც მატერიალური საფუძველი გააჩნია („სისხლის დამეტება"; „ზაფრის დამეტება"). ცხელებით მიმდინარე სნეულებათა მიმდინარეობის სტადიები ზემოთ იყო დაწვრილებით განხილული (იხ. თავი „ჯანმრთელობა და დაავადება"), ამატომ აქ ამ საკითხზე მსჯელობას აღარ ვაგრძელებთ. გვინდა მხოლოდ შევჩერდეთ დაავადების მეორე პერიოდის ანუ „ბუჰრანის" შესახებ. „ბუჰრანი" ძველ მედიცინაში ისეთ მდგომარეობას ეწოდებოდა, როდესაც ორგანიზმის ბრძოლა დაავადებასთან უმაღლეს განვითარებას აღწევდა და დგებოდა საკითხი ავადმყოფის გადარჩენის ან სიკვდილის

---

[1] „წიგნი საკიმოი", გვ. 262.
[2] „უსწორო კარაბადინი", გვ. 143.
[3] იქვე. გვ. 144.
[4] იქვე. გვ. 144.

შესახებ („...სიკუდილისა და სიცოცხლისა გადამწყეტელი ბუჰრანშიგან არის...")[1].

დადგენილი ყოფილა ამ მდგომარეობის გამომქღავნების დღეებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ცხელებით მიმდინარე დაავადების დროს, გარკვეულ დღეებში, მართლაც აქვს ადგილი მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, და ამ უკანასკნელს რთული ბიოლოგიური ძვრები უდევს საფუძვლად. თანამედროვე მედიცინაში მას კრიზისს უწოდებენ. აი როგორ არის გადმოცემული მე-13 საუკუნის ძეგლში ცუდი პროგნოზის მქონე დაავადების მესამე პერიოდი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „ბუჰრანი", შემდეგნაირადაა აღწერილი: „...აგებულება ძალიან დასუსტდება. ძალიან წუხს, სიცხე შემწველი შინ შეუბრუნდეს... და სიკვდილის ნიშნები გარეთ გამოაჩნდება, მაგალითებრ ტუჩები ჩამოეკიდება, ცხვირი გაუმწვეტდება, თვალები ღიმ თამაშობას დაიწყებს, მერმე აერევა. გალურჯდება. მაჯა არეულად დაუწყებს ცემას და ხანდახან სულ დაუდგება ქშენას დაიწყებენს, აღარ ახსომს რა და ქვეშად წაუვა, რომ ვერას გაიგებს აქა იქ ხელის ჩადებას დაიწყებს უბრალოდ ეს ნიშნები სულ სიკვდილის მოახლოვებისა არის"[2] ცხელების მეოთხე პერიოდში ყველა ავადმყოფური მოვლენა თანდათანობით ქრება.

მეთერთმეტე საუკუნეში ცხელების ამა თუ იმ ფორმის გამომწვევად მიჩნეული იყო მთელი რიგი მიზეზები, რომელთა შესახებაც სათანადო წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ამონაწერი:

„(ცხრო) უძილობისაგან დაემართების; ცხრო დიდისა სარჯელისაგან იქნების, ავის თვალისაგანაც დაემართების. შეშინებისაგანაც დაემართების. დიდისა საგონებლისაგან დაემართების. სიცხისაგან დაემართების. მთვარიან ღამეს გარეთ წვებოდეს იმისგანაც დაემართების. ნამეტნავად სიცივისა და ცივისა წყლისა და ცივისა ქარისაგანაც დემართების. დაკოდილსა და ცემისაგან დაემართების. სიმაშურალისა და ჭირისაგან დაემართების. სისხლისაგანაც დაემართების რომე გასივდეს და მსუქანსა გვანდეს. საფრისაგან დაემართების. სევდისაგანაც დაემართების რომელ არს შავი ნაღველი. ...შიმშილისა და წყურვილისაგანაც იქნების. დიყისაცა არის ცხრო რომელ დაემართების. დიდისა ღვინისაგან დაემართების. მსხმოსა და ავი ქარისაგანაც დაემართების. მუტბიყისა ეწოდების სახელად... ყვავილისაგანაც დაემართების. ხველისა და სურდოსაგანაც დაემართების"[3].

მოყვანილ ამონაწერში წარმოდგენილია „ცხროს" (ცხელების) გამომწვევი მიზეზები. დაავადების გამომწვევად მიჩნეული ყოფილა შეშინება, გათვალვა, დიდი დარდი, გაცივება, ცივი წყლის მიღება, დაღლილობა, დაჭრა-დაკოდვა და სხვა სახის ტრავმის მიღება, სხვადასხვა ჰუმორალურ კომპონენტთა მოჭარბება ორგანიზმში, შიმშილი, ღვინის დიდი რაოდენობით მიღება, ხველა და სურდო „ცხროს" გამომწვევად მიჩნეული ყოფილა, აგრეთვე, ინფექციური დაავადებებიც, მაგალითად, ყვავილი, მუტბიყი და სხვ.

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 21.

2 ხელნაწერი № 136 იოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ფ. 18.

3 „უსწორო კარაბადინი", გვ. 115—116.

მე-11 საუკუნის სამედიცინო ძეგლში ცალ-ცალკეა განხილული ამ მიზეზებით გამოწვეული დაავადებანი. ცხელება, რომლის გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ყოფილა გაცივება, შემდეგნაირად არის აღწერილი:

„ცხრო რომე მთუარიანსა ღამესა გარე წოლითა წაეკიდოს. მისი ნიშანი ესე იყოს, ხუელითა და სურდოთა იყოს. წამალი მისი: აბანოს ებანოს, და გულის პირი თბილითა წყლითა დაიბანოს და მანდილი აბანოთა დაასოვლოს და თავზედა შემოიკრას...“[1].

როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, გაცივებით გამოწვეული ტემპერატურის მომატება, ხველა და სურდო მიჩნეული ყოფილა „ცხროს“ ერთერთ სახედ და მის სამკურნალოდ თბილი წყლის აბაზანებს იყენებდნენ.

მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ სამედიცინო ძეგლში მოცემულია ზემოაღწერილი დაავადების ანალოგიური სურათი. აქაც დაავადება ტემპერატურის მომატებით მიმდინარეობს და მის სამკურნალოდ მთელი რიგი საშუალებებია მოწოდებული: „რაიცა დია სიცივისაგან იყოს ანუ ციესა წყალსა შიგან ჯდომისაგან კურნებაი მისი იგი არს, რომელ ასონი დია ზელოს, რომელ ცხროი დაწყნარდეს, და მაშინ მივიდეს და ოფლი გამოიცეს და ტანი ხირისა ზეთითა, ანუ ბაბუნაისა ზეთითა კარგად ზელოს და ტფილისა წყალსა ტანსა და ასოთა ზედა ისხმიდეს... აბანოსა მივიდეს და ცხელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს და რაი გამოვიდეს ფიცხლად დაიხუროს ტანი და დია იძინოს და ოფლი გამოიცეს...“[2].

ამრიგად, გაცივებით გამოწვეული „ცხროს“ სამკურნალოდ მოწოდებული ყოფილა სხეულის დაზელვა ოფლის გამოსვლამდის, შემდგომ წყლის აბაზანების მიღება, თბილად დაწოლა და კვლავ ოფლის მოდენა.

უნდა აღინიშნოს, რომ გაცივებით გამოწვეული და სურდო-ხველით მიმდინარე დაავადების მკურნალობის ზემომოყვანილი ხერხები ამქამადაც მეზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ გარდა გაცივებისა, ცხელებით მიმდინარე დაავადების მიზეზად მეცამეტე საუკუნეში მიჩნეული ყოფილა აგრეთვე ორგანიზმზე მაღალი ტემპერატურის ზემოქმედება:

„კურნებაი ცხროისა რაი დია სიცხისაგან იყოს იგი არს, რაიცა ჰაერისა სიცხისაგან იყოს...“[3]

იმავე ძეგლში აღწერილია დაბალი და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით გამოწვეული ცხროს მკურნალობა და სამკურნალო საშუალებანი.

მეთხუთმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლის მიხედვით, გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა ცხელების გამომწვევად მიჩნეული ყოფილა „წუნწუბის[4] წყალში“ ან „ლების წყალში“ ბანაობა[5].

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 118.

2 „წიგნი სააქიმო“, გვ. 281.

3 იქვე, გვ. 280.

4 იქვე, გვ. 277.

4 სიტყვა განმარტებით წუნწუბი გოგირდს ნიშნავს.

5 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 379.

მეთერთმეტე საუკუნეში ცნობილი ყოფილა შიშისაგან გამოწვეული ცხრო საგულისხმოა აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ მოწოდებული საშუალებანი: „კურნებაი მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რასიმე შეექცეოდეს რომელ გულსა გაამხიარულებდეს ვითა ჰამოთა მუტრიბთა ხმაი, და ჰამოთა მოამბეეთაგან ჰამბავისა მოსმენაი, და კარგთა მეზღაპრეთაგან ზღაპრისა მოსმენაი, და ღვინისა სუმაი და რაითაცა შეაქცევდეს კაცსა და გულსა გაუჰამებდეს და მოუნდებოდეს და ელხინებოდეს,...“[1]

როგორც ვხედავთ, ავტორი გვირჩევს, მთელ რიგ ისეთ საშუალებათა ხმარებას, რომლებიც ფსიქოთერაპიის მრავალ ელემენტს შეიცავს.

სახელწოდება ცხროს ქვეშ გაერთიანებულ დაავადებათა ჯგუფიდან შეიძლება გამოყოფილ იქნეს რამდენიმე დაავადება, რომელთა აღწერილობა და ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ მათი სახით საქმე უნდა გექონდეს ტროპიკულ დაავადებებთან. ამ დაავადებათა შორის შეიძლებოდა გაგვერჩია ორდღიური, სამდღიური, ოთხდღიური და აგრეთვე ტროპიკული მალარია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მალარიის სახეობათა ასეთი დიფერენცირება, ვიდრე დამატებითი მონაცემები არ იქნება მოპოვებული, პრობლემატურად უნდა ჩაითვალოს.

შედარებით უფრო დამარწმუნებელი მონაცემები არსებობს იმის შესახებ, რომ მეთერთმეტე საუკუნეში, საკმაოდ კარგად იცნობდნენ მალარიის ერთ სახეს, სახელდობრ Malaria tertiana-ს (სამდღიურ მალარიას) და მისი ბკურნალობისათვის თავისებურ საშუალებებსაც იყენებდნენ.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ დაავადებას, გარდა არაბულისა, ჰქონდა ქართული სახელწოდება—„ცხრო მესამისა“. აი როგორ არის ეს დაავადება აღწერილი:

„მისი ნიშანი ესე არის: ერთსა დღესა მოუვიდეს, მეორეს არა... ეგების კიდეც არწყევინოს, წყურვილი ნამეტნავად იყოს, თვალისა თეთრი გაუყვითლდეს და ნაღვლიანად იყოს ამის პატრონი. და რაი ესე ცხრო ზაფრისაგან შეიქნების ამით ნიშნითა შეიტყუეთ, ესე ზაფრა ანუ დალპების შიგნით ძარღვთა ანუ გარეგნით. თუ გარეგნით დალპების, მაშინ მოუვა ესე ცხრო ერთობ სიცივითა და ბურძგლი ასტყდეს. ამისგან მეტად რომე ერთსა დღესა მოუვიდეს და ერთსა დღესა არა. და არს ესე ცხრო ნამეტნავად მხურვალი და ხმელი და მწველი...“[2].

ზემოთ მოყვანილ ამონაწერში გადმოცემულია, რომ „ცხრო ლიბი-“ს დროს ადგილი აქვს დღეგამოშვებით ტემპერატურის მომატებას, წყურვილს, სკლერების სუბიქტერულ შეფერვას და თვით ავადმყოფის დანაღვლიანებას („...ნაღვლიანად იყოს მისი პატრონი...“). ამ დაავადების მიზეზად მიჩნეული ყოფილა ჰუმორალური კომპონენტის—ზაფრის თვისობრივი (პათოლოგიური) შეცვლა („...ესე ზაფრა ანუ დალპების შიგნით ძარღვთა ანუ გარეგანით...“). დამახასიათებელია ისიც, რომ მალარიის გამომწვევ მიზეზად მიჩნეული ოფილა კლიმატური ფაქტორი და დიეტური რეჟიმის დარღვევა:

---

1 „წიგნი საქიმოჲ“, გვ. 278.
2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 124.

„..და ესე ცხრო უფრო დაემართების ახალ მოწიფულობისა ჟამსა დღეთა ზაფხულისათა და ვინ იყოს სიმხურვალისა ბუნებათა, ანუ შეექნების ესე ცხრო ვის შეწყენით ყოფა გაუგრძელდეს და ან საჯამადისა მხურვალისაგან ესე აბის მიზეზი ამის ცხროსა, რომელი გვითქვამს...“ [1]

„ცხრო ღიბი“ ავტორის თქმით, უფრო ხშირად ზაფხულის თვეებში ემართება ადამიანს, როდესაც მისი ბუნება მხურვალია, აგრეთვე ახალგაზრდა ასაკში და მხურვალე საკვების მიღების შედეგად.

მეცამეტე საუკუნით დათარიღებულ ერთერთ სამედიცინო ძეგლში სამდღიური მალარია შემდეგნაირად არის აღწერილი: „ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაი მოვიდეს ძნელად იყოს და სიმხურვალე ტანსა ზედა გამოჩნდეს, და ოფლი დია გამოეცეს, მაგრა მშვიდობისა იყოს, და თოთხმეტსა დღისგან უფროსი იყოს ამისი მანკი“[2].

„...იგი არს, რომელ ერთსა დღესა მოვიდოდეს და მეორესა არ მოვიდოდეს; და ესე ცხროი მის ზაფრისაგან იქნების, რომელ ტანისა ძარღვთა შიგან დამპალ იყოს და მანკიანად გასრულ იყოს“[3].

როგორც ვხედავთ, მეცამეტე საუკუნეში, სამდღიური მალარიის სიმპტომატოლოგიისათვის, აგრეთვე მკურნალობის და დაავადების გაგებისთვის ღირსშესანიშნავი არაფერი დაუმატებიათ.

მეთხუთმეტე საუკუნეში ცხელებით მიმდინარე დაავადება, რომელიც თავისი კლინიკური მიმდინარეობით ემსგავსება სამდღიურ მალარიას, აღწერილია „ცხრო ღიბი“ ანუ „კევსოს“ სახელწოდებით. აი ეს აღწერილობა: „ღიბი ჰქუიან, ანუ ცხრო, რომელსა ჰქუიან კევსოს. და არს ესე ცხრო დამწველი და ესე უმიზეზო ცხრო დღესა შეიპყრობს და დღესა არა. ცხო კევსოსი ამისგან შეიქნების და უფრო მხურვალი არს ამის უწინათისა და იყოს ბურძგლისა წატეხა, ამისთუის რომელ ეიტყუი, რაოდენ კუერცხის გულისა ნაღველი წრილი არს და ჰგავს ცეცხლსა და როდეს გამოვიდეს გარეგნით შეიქნას ბურძგლსა. და იყოს ესე ცხრო რომელ ათრევდეს კუეცხის გულისა. და უფრო ხოლო დააყოფს ესე ცხრო ჟამსა თორმეტსა გუამსა შინა კაცისასა...“[4].

ზემოთ აღწერილი დაავადების სიმპტომებად მიჩნეული ყოფილა დღეგამოშვებით ტემპერატურის მომატება. ავადმყოფობა იწყება შემცივნებით, ტემპერატურის მომატებით. ტემპერატურის მომატება გრძელდება შვიდი ან თორმეტი საათი. ამ პერიოდში ავადმყოფს ძილი უკრთება, ეკარგება საუბრისა ან საჭმლის მიღების სურვილი („...არა ჰნებავს მას კაცსა საზრახავი და არცა მოუნდების საჭმელი...“), აქვს ძლიერი თავის ტკივილი და გაძლიერებული წყურვილი. ზოგჯერ გამოხატულია ქვედა კიდურების შეშუპებაც.

მეთექვსმეტე საუკუნის სამედიცინო ძეგლში „ცხრო მესამე“ ანუ სამდღიური მალარია შემდეგნაირად არის აღწერილი: „აწე ამათი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა მწოედ წყალი მოსწყურდების და თავი ტკივილს დაუწყებს, პირი მწარედ ექნების, ენა გაუხმების. და თუ მწოვედ გააცხელოს პირველ ენა ყუითლად ექნების და მერმე გაუყირმიზდების, ბაგე დაუსქდების, ძილი არ მოუვა და საუბარი არ იამების, სანთლის ნახვა და სინათლეში ყოფა ეწყინებო-

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 124—125.
[2] „წიგნი საქიმო“, გვ. 284.
[3] იქვე.
[4] „სამკურნალო წიგნი“, გვ. 397.

დეს და არ უნდოდეს. ცხელება მწოვედ მოუვა, მწოვედ გააცხელებს და გაახურვებს, და წყურვილი, შეწუხება და სულის შეეიწრება მწოვედ ექნების, და როდისცა დროზედ გააციოს და გააცხელოს და ბორჯალი გაუთავდეს, გათავების დროს ოფლს დაასხამს და მერმე გაუშვებს და მაჯის ძარღვიცა აშლით და არევით ჰქონდეს"[1].

„...აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდეთ, ესე ცხელება ყიბი დაერას ცხელება არის ღა საფრა ძარღუს გარეთ წახდომა, და დასტურდ მისგან აცხელებს და ამის ცხელების პირველი თავის აღება ეს არის რომე, კაცსა პირველ წოდიხსა დააწყებინებს და მერე გააცივებს და თრთოლას დააწყებინებს და ცივება ცხელებისაგან უფრო ცოტა ექნების და ესე ცხელება და ხალისის ცხელება არის უსათიოდ ეშველების და ამა ცხელებისა ნობათი ოთხის საათიდაღმან თორმეტ საათამდის იქნების..."[2].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ამონაწერების მიხედვით, სამდღიური მალარიის კლინიკური სურათი ასე წარმოგვიდგება: ავადმყოფს თავდაპირველად ეწყება მთქნარება, შემდეგ შეაცივნებს და ტემპერატურა მკვეთრად მოიმატებს. ავადმყოფს ძილი უკრთება, აწუხებს თავის ტკივილი, გაძლიერებული წყურვილი, პირის სიმშრალე და სიმწარე. სინათლეზე თვალები ეწვის. აღინიშნება ენის თეთრად შელესვა. მაჯა არიტმულია („... მაჯას ძარღვიცა აშლით და არევით ჰქონდეს...") ტემპერატურის დაცემა ხდება ოფლის გამოსვლის შემდეგ. პროგნოზის მხრივ დაავადება საიმედოდ ყოფილა მიჩნეული. მეთერთმეტე საუკუნეში სახელწოდებით „ცხრო რიბი" აღწერილი ყოფილა ოთხდღიური (Malaria quartana). მოვიყვანოთ ეს აღწერილობა: „...ნიშანი ამის ცხროსა რიბისა რომე ერთსა დღესა მოუვა და ორსა გაუშვებს და მეოთხეს კიდევ მოუვა. ესე ცხრო სისხლისა ზაფრისა და სევდისაგან და ბალღმისაგან დამწუარისაგან იქნების"[3].

ცნობები იმ სნეულებათა შესახებ, რომლებიც ამჟამად ავიტამინოზით გაპირობებულ დაავადებებს მიეკუთვნება, ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში შედარებით იშვიათად გვხვდება. ამ გარემოების ძირითადი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ბოსტნეულით, ხილით და სხვა მცენარეულით მდიდარ საქართველოში აღნიშნული დაავადებანი ნაკლებად იჩენდა თავს. ერთადერთ ავიტამინოზურ დაავადებას, რომელიც თავისი დამახასიათებელი ნიშნებით შედარებით კარგად არის აღწერილი, წარმოადგენს „სკორბუტი": აღნიშნულ დაავადებას ძველ საქართველოში სურავანდს უწოდებდნენ. მოვიტანოთ სურავანდის აღწერილობა მე-18 საუკუნით დათარიღებული საექიმო წიგნიდან:

„სურავანდი არის დაძველებული წამხდარი ან დამპალი სისხლი. რომელიც სნეულება იქ უფრო მძვინვარებს საცა დაბალია ჭაობიანს და წყლის ნაპირს მდებარეთ სამოსახლეო არის. ყოვლად გამოჩნდება ეს ავის სუნით პირში, დამპალის სისხლით ღრძილებში, იისფრით და ან მეწამულის ლაქებით ფეხებში; ამას გარდა რომელიმე სურავანდი არის არა თუ მარტო სახსრები და უფრო მუხლები არამედ ყოველი ძუალი უწუხს. დამტკიცებული არის ესე რომ სურავანდი არ თუ მლაშის საჭმელისაგან წარმოებს, მაგალითებრ მლაშისა თევზისაგან და სხუებისა, არამედ ნოტიისა და დამპლის ჰავისაგან, რომ ამ ჰავისაგან

---

[1] „იადიგარ დაუდი", გვ. 491—492.

[2] იქვე.

[3] „უსწორო კარაბადინი", გვ. 133.

უნდა შეინახოს თავისი თავი, რომლისათვისაც ითქუა რაოდენიმე წინასიტყვაობასა შინა და ესრეთ გავიმეორებ მე აქა, რომ მას ადგილებში, რომელიც სავსე არიან წყლიერის და დამპალის ორთქლებით უნდა საკუთრად გაფრთხილდეს რომ ერთს სახლში ბევრნი არ იდგნენ და რადგან სურავანდიანნი ხშირად ქვეშ შევრდომი არიან. სოფლის არისაგან შეიტყობა რომ მრავალნი უნდა მოაკლდენ სიცოცხლეს ამისაგან ამასთან კიდევ უნდა ვსთქვათ თუ რისთვის ეს სნეულება გაძლიერდება უფრო შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ. თუმცა პირველი მიზეზი სურავანდის არ არის საქმლისაგან, მაგრამ ვსთქვათ, რომ იმათით თუ ვინც რიგიანს საქმელს მიიღებს, დაიცავს თავის თავს ამ სნეულებისაგან, ამიტომ რომ შეიძლება ამისთანა საქმელი მიიღოს, რომელიც წინა აღუდგება სისხლის წახდენას, ამისთანა საქმელნი არიან ვითა ველისა და ტყისანი, ეგრეეე ბაღის მჟავენი და წვეთიანნი ნაწილაკნი...“[1].

მოტანილ ამონაწერში, სკორბუტის ანუ, როგორც საქართველოში უწოდებდნენ სურავანდის კლინიკური სურათი შემდეგნაირად არის გადმოცემული: აეადმყოფს ღრძილები უსივდება, მათგან სისხლი სდის, პირიდან ცუდი სუნი ამოსდის, კიდურებზე წითელი ლაქები უჩნდება („...ინისფერი ან მეწამულის ლაქებით ფეხებში...“); აწუხებს ტკივილი სახსრებში და ძვლებში („...სახსრები და უფრო მუხლები, ყოველი ძუალი უწუხს...“). უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილი ნიშნები სკორბუტს მართლაც ახასიათებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სკორბუტის ერთერთ ხელშემწყობ მიზეზად ალიმენტური ფაქტორია დასახელებული. ამონაწერის ავტორის აზრით ხილეულის მიღება „წინაღუდგება“ დაავადებას. („...ამისთანა საქმელი მიიღოს, რომელიც წინა აღუდგება სისხლის წახდენას, ამისთანა საქმელნი არიან ვითა ველისა და ტყისანი, ეგრეთვე ბაღის მჟავენი და წვეთიანნი ნაწილაკნი...“). ამრიგად, ძველი საქართველოს ექიმებისათვის ცნობილი ყოფილა, რომ ხილეულის მიცემა ხელს უშლის სკორბუტის განვითარებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, სკორბუტის ხელშემწყობ მიზეზად სავსებით მართებულად მიჩნეული ყოფილა ერთფეროვანი კვება, აგრეთვე არახელსაყრელი კლიმატიური პირობები (ნესტიანი და ცივი ჰავა).

უნდა აღინიშნოს, რომ მეთვრამეტე საუკუნის ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში სკორბუტისადმი მიძღვნილი სპეციალური მონოგრაფიაც კი არსებობდა. ზემოაღნიშნული მონოგრაფია შედგენილია 1792 წელს, სანკტპეტერბურგში გაიოზ არქიმანდრიტის მიერ[2]. აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიაში სურავანდის ლათინური და რუსული სახელწოდებებიც არის მითითებული: „სურავანდი—ლათინურად სკორბუტს; რუსულად цинга“ [3]. ამავე მონოგრაფიაში სკორბუტის ხელშემწყობ მიზეზებს შორის („მიზეზნი წინადგამმზადებელნი“), ხანგრძლივი დროის მანძილზე, ერთფეროვანი და ბოსტნეულით ღარიბი საკვება პროდუქტების მიღებაა დასახელებული.

---

[1] ხელნაწერი № 136. იოანე ბატონიშვილის ფონდი. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2] გაიოზ არქიმანდრიტი, „საქმით ჰსჯა სურავანდის სნეულებისათვის“, ხელნაწერი № 186, ფოანე ბატონიშვილის ფონდი, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[3] იქვე, გვ. 3.

„ავი საკმელი, თუ რაოდენ სავნებელ არს იგი სიმრთელის ყოველმან უწყის, რომელთაცა შორის ვიტყვ მე და აყროლებულს ლორეს, ეგრეთვე მარილიანს და უმარილოს ლორს და ჰაერში გამხმარს ამგვარადვე თევზს. და უფროღა ოდესცა ესრეთი საკმელი გრძლად იხმარება თვინიერ ყოველის მწვანილისა, ესე იგი არს უკომპოსტოდ, სხვადასხვა მწვანილისა უძიროდ, უთელგამოდ, უმიწისვაშლოდ...“[1]

მოვიტანოთ კიდეე ერთი ამონაწერი ზემოაღნიშნული სამედიცინო ძეგლიდან, სადაც სკორბუტის კლინიკაა გადმოცემული:

„სწორენი და ნამდვილნი ნიშანნი სურვანდისანი არიან... სნეული შეიქნება მკრთალ და უვნებელ, პირი გაბერილ და ტუჩები მომწუანო. დამცონარდება უქმ და მოძილე. ეძიებს მყუდროებას და მოსვენებას.... სახე შეექნების მწუხარედ და მოწყენილად და მდუმარედ. ჰგრძნობს სისუსტეს, დაღალულობას და თითქმის ნაცემსავით ასოებს. მუხლნი აქუნ სუსტნი და მთრთოლანი ფეხები გაქუავებულ და მძიმე, რომელთაცა არა მხიარულებით ხმარობს. მცირება მოძრაობას შინა შეუმჭიდროვდება გული, გარნა რაოდენცა წევს იგი გრძლად და მყუდროდ კულა რაიმეს სიმძიმეს ჰგრძნობს, და აქუს დია კაი მადა საჭამადის: მას სნეულებას შინა სნეული ჰგრძნობს ქავილს... ღრძილებისასა, რომელ დაუსივდებიან და მერმე მცირედ გაუფერულდებიან, დაულბილდებიან მსგავსად ღრუბლის. მცირედის გამორეცხით და მცირედის თითის დაჭირებით სისხლი გამოედინებისთ, და უკანასკნელ შეიქმნების ჩირქად. სნეულს პირში ავი სუნი დაუწყებს დენას... ტანსზედ გამოჰყრის მრავალს სხვადასხვა სიდიდის ხალებს. მოყვითანოს, მოიისფეროს, მოწითანოს და ოდესმე მოშავოს. ხალნი ესე სნეულების განგრძელებაში ერთმანერთთან შეუერთდებიან და ხელის გულის ოდენად გადიდდებიან...“[2].

„მრავალთა სნეულთა ნიადაგ საღამოს გამოუჩნდება ანუ ერთის ანუ ორთავე ფერხთა სიმსივნე. პირველად წვივებთან, და მერმე სრულიად ფერხს მოიცავს და ესრეთ მცირედ მცირედ აიწევს თეძოებამდე. რომელიცა თითის დაჭირებით არა ადვილ ჩაღრმავდების და დაღრმავებული ადგილი არა ეგრეთ აღვილა ამოიწევს, ვითა წყლისმანკიერი სიმსივნე“[3].

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კლინიკური ნიშანი, რომელიც ზემოთ მოტანილ ამონაწერშია აღწერილი, სკორბუტს მართლაც ახასიათებს.

---

[1] გაიოზ არქიმანდრიტი, „საქმით ჰსჯა სურავანდის სნეულებისათვის“ ხელნაწერი № 186. თოანე ბატონიშვილის ფონდი. ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში გვ. 9.

[2] იქვე. გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 6.

თ ა ვ ი X

ნერვული სისტემის სნეულებანი

ძველი საქართველოს მედიცინაში ცნობილი ყოფილა მთელი რიგი ისეთი დაავადებანი, რომლებიც დღეს განიხილებიან, როგორც ნერვული სისტემის სნეულებანი. ზოგიერთი მათგანის წარმოშვება და ბუნება მეტ-ნაკლებად წარსულშივე იყო ცნობილი, ზოგიერთის კი მხოლოდ ნიშნები იცოდნენ.

V საუკუნიდან მოყოლებული, ძველ ქართულ წერილობით წყაროებში აღწერილია ცალკეული ნიშნები ან ნიშანთა ჯგუფი, რომლებიც დღეისათვის ცნობილ დაავადებათა ნიშნებს ნაკლებად ჰგვანან, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიშნები ნამდვილად ნერვული სისტემის დაზიანებას გამოხატავენ.

VIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში" გვხვდება ერთი ცნობა, რომელიც ნერვული სისტემის დაავადებას უნდა შეეხებოდეს.

თხზულებაში ვკითხულობთ: „...დედაკაცი, რომელსა აქუნდა ხელთა ძე თუისი მცირე ვითარ ორისა წლისაი, რომლისა ხელნი და ფერხნი მტერისაგან მიხუმული იყუნეს და პირი გარე მიქცეული იყო"[1].

წარმოდგენილ ნიშნები: ზედა და ქვედა კიდურების დამბლა, პირისახისა მოქცევა და ასაკი გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში უნდა გვქონდეს საქმე ტვინის ისეთი სახის დაზიანებასთან, რომელსაც მოჰყვა სახის ნერვისა და ზედა და ქვედა კიდურების დამბლა.

მსგავსი ცნობები გვხვდება IX საუკუნის მოღვაწის ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში":

„ესუა მას ძე მოწყლული ეშმაკისაგან და მარჯუენა კერძო ნახევარი იგი ხორცთა მისთა სრულიად განხმარ იყო და ყოვლად უხმარ ქმნილი"[2]. მაშასადამე, ბავშვს სხეულის მარჯვენა ნახევარი დადამბლავებული ჰქონდა, კუნთები (ხორცი) სრულიად განლეული. როგორც ჩანს, აქ აღწერილია რბილი დამბლის შემთხვევა.

ამავე ძეგლში აღწერილია დაავადება, რომელიც წარმოდგენილი ნიშნებით კუნთების პროგრესულ დისტროფიას გვაგონებს:

„დისწული მამა სახლისა, რომელი ყრმა დია იყო ჰასაკითა, ხოლო იყო მარჯუენე კერძო მისი განხმელი შობითგან, ხელნი და მხარნი მისნი ეზიარე-

---

[1] გიორგი მერჩულე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", დასახელებული გამოცემა, გვ. 136.

[2] თეოფილე ხუცესმონაზონი.—„ილარიონ ქართველის ცხოვრება", მ. საბინინის გამოცემა, იხ. „საქართველოს სამოთხე", გვ. 384.

ბოდეს ვნებასა მას თუალნიცა და ეგრევე ყურნიცა, მიაქუნდა ვნებასა მისგან დღესა ერთსა მივიდოდა რა კაცისა მის ღუთისა წარსცა ქუასა ფეხი იგი განხმელი მისი და ეტკივნა მას დიდათ და საწყალობლად დაეცა"[1].

ამ დაავადების მიოპათიად გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს ავადმყოფის ასაკი, მხრისა და მხრის სარტყელის კუნთების ატროფია, სისუსტე, პათოლოგიური ცვლილებები მხედველობისა და სმენის მხრივ, რასაც აღნიშნული დაავადების დღეისათვის ცნობილ სურათში მართლაც შეიძლება შევხვდეთ.

აქვე გვინდა განვიხილოთ, თუ როგორი წარმოდგენა არსებობდა ძლიერი უარყოფითი ემოციური გაღიზიანების ორგანიზმზე გავლენის შესახებ.

როგორც ირკვევა, ცოდნიათ, რომ ძლიერი უარყოფითი ემოციური გაღიზიანების შედეგად შესაძლებელია ადამიანმა გონება დაკარგოს და დაეცეს „შიშმან და ზრუნვამან შემიპყრნა მე და შეაშფოთნა გონებაი ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან"[2].

სიტყვა „საზრუნავი" საბას განმარტებით „სანაღვლო საქმეს" ნიშნავს. მაშასადამე, შიშსა და სანაღვლო საქმეს, ანუ სამწუხარო ამბავს შეუპყრია გონება, შეუშფოთებია ადამიანი და მას გონება დაუკარგავს, დაცემულა.

კიდევ მრავალი მსგავსი ცნობის მოყვანა შეიძლებოდა არასამედიცინო წყაროებიდან, მაგრამ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ერთით, რომელიც „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება. მხედველობაში გვაქვს ტარიელის სიტყვები, როცა მან ნესტანის დაკარგვა შეიტყო:

„მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა"[3].

რუსთაველმა კარგად იცის, რომ ძლიერმა ფსიქოგენურმა ტრავმამ შეიძლება ისეთი ძვრები გამოიწვიოს ორგანიზმში, რომ ადამიანს ცხელება და თრთოლვაც კი მოუვიდეს.

როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობებია წარმოდგენილი ნერვული სისტემის ისეთი თვალსაჩინო დაავადების შესახებ, როგორიცაა ეპილეფსია. უკვე IX—Xსაუკუნისათვის საკმაოდ ფართოდ და ზუსტად ცოდნიათ ამ დაავადების დამახასიათებელი ნიშნები. ამას გვაფიქრებინებს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" შემდეგი ადგილი: „...ვითარცა მდგომარე იყვნეს ეკლესიასა, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უხმოდ მდებარეი და გარდმოაგდო ენაი განსივებული საშინელთა პეროოდა დაგორვიდა. ხოლო კაცი იგი მოეგო გონებასა და გულისხმაყო ცთომილებაი თვისი დაღაცუ ენითა ვერ მეტყველებდა"[4].

მაშასადამე, ვიღაც უცნობ პირს თავი ვერ შეუკავებია და ხალხის წინაშე უგონოდ მიწაზე დაცემულა. ენი გადმოუგდია, პირიდან პერულა, ანუ დუკი, ქაფი გადმოსდიოდა და ძირს გორავდა, შემდეგ გონს მოვიდა, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მეტყველებდა.

---

1 თეოფილე ხუცესმონაზონი. „ილარიონ ქართველის ცხოვრება". მ. საბინინის გამოცემა, გვ. 382.

2 იოანე საბანის-ძე. „აბოს წამება", დასახელებული გამოცემა გვ. 56.

3 შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი", სტროფ. 585.

4 ბასილ ზარზმელი. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", იხ. კორნ. კეკელიძის გამოცემა.

ცნობილია, რომ ეპილეფსია ზოგჯერ გონების უეცარი დაკარგვით იწყება, რაიმე წინასწარი ნიშნების გარეშე ავადმყოფი ეცემა და ეწყება კრუნჩხვები, პირიდან გადმოსდის ქაფიანი ნერწყვი, შემდეგ უკვე კლონურ ფაზაში კუნთების ძლიერი შეკუმშვის გამო თრთის და უწესრიგო მოძრაობებს ასრულებს; და ბოლოს, ავადმყოფი გონზე მოდის, გამოდის გულყრის მდგომარეობიდან, ნახევრად მძინარე მდგომარეობაშია, უძნელდება ლაპარაკი და სხვ.

აშკარაა, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ სწორედ ეპილეფსიური გულყრის შემთხვევაა აღწერილი.

შემდგომი პერიოდის წყაროებში, კერძოდ „უსწორო კარაბადინში“, ეპილეფსიური გულყრის სურათი კიდევ უფრო სრულად არის წარმოდგენილი.

ეპილეფსიას იმ ხანად მტერთა დაცემას უწოდებდნენ. მის პარალელურად იხმარებოდა არაბული დასახელება „სარა“.

„სარა ამას ქვიან, რომე არა სჭირდეს რა და ანაზდად დაეცეს და დაბნდეს და პირსა წყალი და ლოშქრი წაედინოს, და ფსელიც წაუვიდეს, და ვერა შეიტყოს რა“[1].

როგორც ჩანს, ეპილეფსიის ზემოაღწერილ კლინიკურ სურათს ახალი ნიშანი მიემატა: უნებლიედ შარდზე გასვლა, რასაც მართლაც აქვს ხოლმე ადგილი ეპილეფსიური გულყრის დროს.

„უსწორო კარაბადინის“ მიხედვით ირკვევა, რომ ეპილეფსიით დაავადებულს გარკვეული დიეტა უნდა დაეცვა: არ უნდა მიეღო ტკბილეული, რძის ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები, ზოგიერთი ხორცეული და მცენარეული პროდუქტი: „ვისაც ესე სენი დაემართოს, ყოველსა ტკბილის საჭმელისაგან იფარეზოს, რძისა და მაწუნისაგანაც რაც საჭმელი შეიქმნების ყუელასაგან იფარეზოს და ბევრის ჭამისაგან იფარეზოს... ღვინის სმა ძველი და ახლისა ზიანი არის. მისთვის საჭმელი ზროხის ხორცი, თხის ხორცი, ქალამი, ოსპი და თელგამი, ბოლოკი, ხახვი, ნიორი, ბაკლა და რაც მწვანილი იყოს და უფრო ნიახური, ეს დაგვიწერია ვისაც სარა სჭირდეს მისთვის ყუელა მაზიანებელი არის. რაც სველი და ნედლი ხილი იყოს ყუელასაგან იფარეზოს,...“[2]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეპილეფსიით დაავადებულს დღესაც ურჩევენ მოერიდოს ხორცეული პროდუქტების და ალკოჰოლური სასმელების მიღებას, ხოლო ხილ-ბოსტნეულისა და რძის ნაწარმის აკრძალვა, რის შესახებ „უსწორო კარაბადინშია“ მითითებული, არამიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

იმავე ძეგლიდან ირკვევა, რომ ეპილეფსიით დაავადებულს დიეტასთან ერთად გარკვეული რეჟიმიც უნდა დაეცვა, რაც გამოიხატებოდა ისეთ გაღიზიანებათა თავიდან აცილებაში, რომლებსაც მიეწერებოდა ეპილეფსიური გულყრების გაჩნირება.

„წისქუილის ნახვისაგანაც იფარეზოს. წისქუილს ნუ ნახავს თვარა მოგვრის. და რაც ბრუნევდეს ყუელას ერიდებოდეს. და მაღლით დაბლა ნუ გარდმოიხედავს, ბევრჯელ აბანოში ნუ შევა, ქარიანსა ადგილსა ნუ ადგებინ და ნურცა ბევრჯელ დედაკაცთან დაწვების, ცხელ აბანოში თავს ნუ მიუშვერს ზიანი არის

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 192.

2 იქვე, გვ. 192—193.

მეტი სიცივეც ავი არის, მაღლა ზახილი და ქუხილი მაზიანებელი არის, დიდი ხმა ყველა მაზიანებელი არის, მისთვის არც მზის ჭვრეტა ვარგა და არცა თოვლისა"[1].

აქ ჩამოთვლილ ფაქტორთა უმეტესი ნაწილი გამღიზიანებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. მბრუნავი სხეულების ცქერას, სქესობრივ ექსცესებს და სხვ., მართლაც შეუძლია ეპილეფსიით დაავადებულს გულყრა გაუხშიროს. ცნობილია, რომ ასეთ ავადმყოფებს ექიმი დღესაც ურჩევს ხოლმე მოერიდოს აღნიშნულ გამღიზიანებელთა მსგავს ფაქტორებს, მაგალითად, ხალხმრავალ კრებებზე დასწრებას, კინოში სიარულს და სხვ.

უკვე XIII საუკუნისათვის გამომწვევი მიზეზის მიხედვით ეპილეფსიის რამდენიმე სახეს არჩევდნენ. გამომწვევ მიზეზად ითვლებოდა: სისხლის დაჭარბება, ბალღამის „თავსა და ტვინსა შიგან შეყრა", ზაფრის მომატება და სხვ.

ახლა ცნობილია, რომ ათეროსკლეროზი, ჰუმორალური ფაქტორები შეიძლება ეპილეფსიური გულყრის გამომწვევი გახდეს. ცხადია, წარსულში არ შეიძლებოდა ცოდნოდათ და არც იცოდნენ რა მიზეზობრივი დამოკიდებულება არსებობდა ამ ფაქტორებსა და ეპილეფსიას შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, შემჩნეული ჰქონდათ, რომ ეპილეფსია თავს იჩენდა სწორედ მაშინ, როცა ორგანიზმში განვითარდებოდა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ძველი ექიმები სისხლის დაჭარბებას, ზაფრის მომატებას უწოდებდნენ.

ეპილეფსიის თითოეულ სახეს თავისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა. მაგალითად, აღწერილია, რომ სისხლის დაჭარბებით გამოწვეულ ეპილეფსიას ახასიათებს: „...რომელ თავისა და პირისა და ხელისა ძარღვნი სისხლითა სავსე იყოს, და დაცემასა უწინ პირი გაუწითლდეს და მაშინღა დაეცეს და ეგებისაც რომელ ცხვირთა სისხლი წაექციოს"[2].

„...ესე მანკი რაი ბალღმისაგან იყოს მით არს, რომელ ბალღამი თავსა და ტვინსა შიგან შეყრილ იყოს და მოერივნეს და უკანის ტვინსა შიგნით გამაგრებულ იყოს, რომელ მას გზასა დაუყოფს, რომელ სულისა გზაი შემოსავალი და გასავალი იყოს. ნიშანი... იგი არს, რომელ ასონი სუსტად ედგნენ და ფერად თეთრგუარი იყოს, და ცხვირთა წვინტლი შეყრილ იყოს, და რაი დასცემდეს პერულსა დია ამოიღებდეს პირსა შიგან..."[3].

„...ესე მანკი რაი სევდისაგან იყოს უძნელესი არს, უფროი ძნელად იკურნების და იგი ზაფრისა მორევნისაგან იქნების რომელ ტვინსა გაუხდეს, და ანუ მას ძარღუთა შიგან რომელ სულითაი გზაი არს მუნ დამკვიდრდეს.

ნიშანი ...იგი არს რომელ კაცი წვრილი და ხმელი იყოს და საჭამადსა დია ჭამდეს, და პერული დაცემისა ჟამისა რომელ ამოიღოს, მჟავე იყოს, და რაი ზომიცა პერული უფროსი იყოს ჭირი უძნელესი არს"[4].

ეპილეფსიით დაავადებულის სამკურნალოდ კვლავ ძალაში რჩებოდა დიეტისა და საყოფაცხოვრებო რეჟიმის დაცვა. „წიგნი სააქიმოში" ნათქვამია, რომ ავადმყოფი „ღვინოი და ტკბილი და ცხიბიანი ყუელსა ერიდებოდეს"[5].

---

1 „უსწორო კარაბადინი", გვ. 192.
2 „წიგნი სააქიმოი", გვ. 85.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 86.
5 იქვე.

გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგებას. ავადმყოფს ურჩევდნენ ხშირად გაეწმინდა კუჭი ან მიეღო სასაქმებელი საშუალებანი. მართალია, ეს რჩევა გამომდინარეობდა იქედან, რომ რწყევის დროს ერთ-ერთი ოთხი სითხეთაგანი—ბალღამი, უნდა გამოდენილიყო წონასწორობის აღდგენის მიზნით, მაგრამ ყაბზობა, საკვების ზედმეტი რაოდენობით მიღება, საერთოდ, კუჭნაწლავის მოქმედების მოუწესრიგებლობა. თუ გავლენას ახდენს და არაიშვიათად ხელს უწყობს გულყრის გახშირებას, მაშინ კუჭნაწლავის გაწმენდას და პირღებინების ხელოვნურად გამოწვევას, შეეძლო გარკვეული შეღავათი მიეცა ავადმყოფისათვის. ეს გარემოება, ალბად, პრაქტიკულად შემჩნეული ქონდათ და ამიტომ ურჩევდნენ ავადმყოფს ასე მოქცეულიყო.

საინტერესოა, რომ ჩვილასაკოვანთა გულყრების მკურნალობას არ მიმართავდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ იგი თავისით გაქრებოდა.

„და ძუძუისა მწოარისა კურნებაი არა ხამს, რომელ რაი გადიდდეს და ასონი გაუხურდენ და გაძლიერდეს სინედლე მისგნით კიდე წავალს და გამრთელდების.“[1]

XV—XVI საუკუნის წყაროებში ეპილეფსია იხსენიება, როგორც უჩუხი[2], ბნედა.

ბნედა, დაბნედვა უფრო ადრინდელ ძეგლებში ცნობიერების დაკარგვის შნიშვნელობით იხმარებოდა. როგორც ჩანს, ეპილეფსიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი შემდეგ თვით დაავადების სახელწოდების წარმოების საფუძველი გახდა.

აღნიშნული ხანის წყაროებში დაავადების ნიშნების და მკურნალობის მხრივ ახალი ცნობები არ გვხვდება. საინტერესოა მხოლოდ აღინიშნოს, რომ ეპილეფსიის განვითარების მომასწავებლად, როგორც „იადიგარ დაუდიდან“ ირკვევა, „ალის დაწოლა“ ითვლებოდა. აღწერილია, რომ „...კაცსა ეძინოს, ძილშიგა ერთი რამე მოვა და კაცსა თავსა დააწვების და გულზედა მიაწვების და კაცსა დასცემს და დასჭუკნის და კაცი ვეღარ გაიძურის და ვეღარცა ხმასა ამოიღებს და კაცი მწოედ შეშინდების და ელფერი წაუვა.

აწე თუ კაცსა ხშირად ეს სენი დაემართებოდეს და ამ რიგად ალი დააწვებოდეს ხოლმე, იცოდეთ, უსათუოდ უჩუხის სენისა პირველი თავის აღება არის, და თუ კაცი თავსა არ გაუფრთხილდების და წამალსა არა იქს, უსათუოდ უჩუხი წაეკიდების,...“[3]

ამავე ძეგლის მიხედვით, ეპილეფსიის მკურნალობაში ყურადღება ექცეოდა ხანდაზმულობას. თუ დაავადების ხანგრძლივობა ოცდახუთ წელს გადასცილდებოდა, შემდეგ მისი განკურნება შეუძლებლად ითვლებოდა.

---

[1] „წიგნი საქიმო“, გვ. 86-87.

[2] უჩუხი ზოგ წყაროში ნაწლავის გაუვალობასაც ეწოდება.

[3] „იადიგარ დაუდი“, გვ. 424.

„...ესე ჭირი ასეთი ჭირი არის რომე, თუ ესე ოცდა ხუთსა წელიწადსა გადასჭარბდა, რომე არ ეშველა ამას უკან აღარასათვის წამალი აღარ ექნების. და არცა კაცი გამრთელდების და ამას უკან კაცის მორჩენაც ძნელი არის.“[1]

მიუხედავად ამისა, ავადმყოფს მკურნალობის გარეშე არ ტოვებდნენ, რომ გულყრა არ გახშირებოდა: „მაგრა წამალი იმისთვის უნდა უყონ, რომე კაცსა სენი დაუსუსტდეს და აღარ გაუძნელდეს და კაცმან ცოტაცა იყოს, მოიმჯობინოს, თვარამდა ამას სენისა სრულად მორჩენა და შველა არვისათვის არ იქნების“.[2]

XVII—XVIII საუკუნეებში ეპილეფსიის აღწერილობა უცვლელი დარჩა. არც მკურნალობის პრინციპი შეცვლილა, მხოლოდ ძველ წამლეულობასთან ერთად ახალი საშუალებებიც არის წარმოდგენილი.[3]

ნერვული სისტემის დაავადებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე სნეულება „საქთა“.

„უსწორო კარაბადინისადმი“ დართულ ლექსიკონში, რომელიც პროფ. იუსტ. აბულაძის მიერ არის შედგენილი, საქთა განმარტებულია როგორც დამბლა, ბნედა, გულის წასვლა[4]. იგი სხვა ადგილას საქთა სსხვაგვარად განმარტავს—„საქთა—დამბლა, ტვინის დაავადება“.[5]

რომ გავერკვეთ, თუ საქთა რა სნეულებაა, განვიხილოთ მისი გამომწვეკი მიზეზები და დამახასიათებელი ნიშნები.

„უსწორო კარაბადინში“ აღნიშნულია, რომ „საქთა ამას ჰქვიან, რომე მთელი კაცი წაიქცეს და დაეცეს. ეს სამისაგან დაემართების. ერთი სისხლისაგან, მეორე ზაფრისაგან, მესამე სევდისაგან. ამა სენისაგან პირველი ნიშანი ეს არის, რომ ჯერათ მთელი იყოს, არა სჭირდეს რა და ძილისაგან კბილთა იღრეკნდეს, და ტანთა თრთოლა მოუვიდეს და თავი და ტანი დაუმძიმდეს და ყური შემოეიოდეს, ესე ნიშანი რაცა ეამსა გამოჩნდეს, იცოდე რომე საქთისაგან არის“[6].

გარდა აღნიშნული ნიშნებისა, საქთას დამახასიათებლად ითვლებოდა ცნობიერების დაკარგვა, პირისახის მოქცევა, დაცემის დროს ყელში ხრიალი და სხვ[7].

ცოდნიათ აგრეთვე, რომ „ესე სენი მიყრილთა და ბერთა და სევდიანთა კაცთა უფრო დაემართების“[8].

---

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 270.

2 იქვე.

3 „კარაბადინი“, (1799 წ.), ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 304.

„კარაბადინი“, (1785 წ.), ინახება იქვე, ფონდი A, № 760.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 511.

5 „წიგნი საქიმოე“, გვ. 324.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 193.

7 იქვე, გვ. 194.

8 იქვე.

სიტყვა „მიყრილი“, საბას განმარტებით, ჟამთა გამოსულას და ხანთა შემოკ-ლებას ნიშნავს. გამოდის, რომ სნეულება საქთა უმთავრესად მოხეცებულობის ასაკში ვითარდება.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ საქთას დროს ადამიანი უეცრად ეცემა, ან მანამდე ჯანმრთელს ძილში ემართება კბილთა ღრჭენა, სხეულის თრთოლვა, შემდეგ თავი და ტანი უმძიმდება, ყურებში ესმის შეილა, შეიძლება გონება დაკარგოს, სახე მოექცეს და ხრიალებდეს.

ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით ყველაზე მეტად შეიძლება ვივარაუ-დოთ, რომ დაავადება საქთას ქვეშ ტვინში სისხლის ჩაქცევა და დამბლის განვითარება იგულისხმებოდა.

იგივე სნეულება საქთა XIII საუკუნის წყაროებში რამდენადმე განსხვავებულად არის წარმოდგენილი, მაგრამ იგი კი არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშ-ნულ გაგებას, არამედ კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის მას.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „რაი სისხლი გასქელდეს და თავ-სა შიგან დია შეიყაროს და მოერიოს, და ტვინისა ძარღვთა შიგნით, ანუ ფარ-დაგთა შიგნით, გამაგრდეს და შეიკრას საქთა გამოჩნდების.

ნიშანი... რაი სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ პირი წითლად ედგას და ძარღვნი სისხლითა სავსე იყვნენ, და სნეული ვითა მკვდარი იდვას რომელ ყველაი ვერ იძრვოდეს.“[1]

სამკურნალო მიზნით მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას: „...ორთავე ხელთაგან ხელნი გაუხსნან ყიფალი, და სნეულისა ძალისა მისაფერად სისხლი გამოიღონ, და წვივთა ჭიქაი მოჰკიდონ.“[2]

ამავე დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა ტკბილი საჭმელები.

საქთა მძიმე დაავადებად ითვლებოდა. შემჩნეული ყოფილა, რომ შეიძ-ლება ინსულტის ნიშნები გაქრეს, მაგრამ დამბლის მოვლენები (ფელიჯი) კი-დევ დიდხანს დარჩეს: „...რაი საქთისა მანკი ტვინსა შიგან მაგარი იყოს, სნეუ-ლი შიგან მოკვდების, და თუ ცოტაი იყოს დაეხსნების, მაგრამ დიდითა კურნე-ბითა კაცი დაეხსნების მაგრამ საქთისაგან არ დაეხსნების და თუ დაეხსნას ბო-ლოისა ჟამსა ფელიჯისაგან არ დაეხსნების.“[3]

აღსანიშნავია, რომ სახის მოქცევა, რომელიც დღეს ცნობილია, როგორც სახის ნერვის დამბლის შედეგი, ერთ შემთხვევაში, კერძოდ, ტვინში სისხლის ჩაქცევის დროს, განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი ნიშანი, ხოლო სხვა შემ-თხვევაში თვით იყო მიჩნეული დაავადებად და მას ლაყუას უწოდებდნენ: „ნი-შანი ლაყუასა, პირისა გამრუდებასა ჰქვიან. მისი ნიშანი ესე არის რომე დუევა, შებერვა ეწყინების. პირველი ნიშანი ესე არის რომე პირის ძვალი ასტკივდე-ბის, და პირის ტყავი მრუდათ ჰქონდეს, ემღერდეს, ესეცა იცოდით, თუ პირი მარჯვენით გაუმრუდდეს და თვალების დაეზიდნეს ისი სევდისაგან იქნების.“[4]

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 87.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 196,

ლაყუას მკურნალობდნენ სხვადასხვა სამკურნალ-წამლო საშუალებებით, სათბურების დადებით; მიმართავდნენ ინჰალაციასაც: „ბაბუნაჯი, სათარი და გარეული პიტნა კარგად მოხარშონ და მერმე თავი ზედა წაუშუიროს და ზედა დაბურეთ, რომე ორთქლ ცხუირშიგა შეუვიდეს.“[1]

XIII საუკუნის წყაროებში ლაყვა პირის გამრუდებად იწოდება. მის აღწერილობაში ახალი ნიშნებიც გვხვდება, რომლებიც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდიან, რომ ლაყვას სახის ნერვის დამბლას უწოდებდნენ.

„ნიშანი... იგი არს, რომელ პირისა სიღრუე გასუსთდეს და ცოტასა დაიძინებდეს, და პირისა წყალი სდიოდეს, და თვალთა ფარდაგი ჩამოზიდული იყოს, და სიტყვაი მუნით გამოვიდოდეს რომელ გასუსთებულ იყოს.“[2]

თვალის ფარდაგს, როგორც ამ ორგანოს ანატომიის განხილვის დროს იყო აღნიშნული, თვალის გარსს უწოდებდნენ. იბადება კითხვა: თვალის რომელ „ფარდაგის“ ჩამოზიდვაზე არის აქ ლაპარაკი, ან რას ნიშნავს ეს?

ცნობილია, რომ სახის ნერვის დამბლის შემთხვევაში, თვალის დახუჭვის დროს სინერგისტული მოძრაობის შედეგად თვალის კაკალი მიდის ზევით და ფერადი გარსი იმალება ზედა ქუთუთოს ქვეშ, თვალის ნაპრალში მხოლოდ სკლერა მოჩანს (ბელის სიმპტომი). შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარმოდგენილ აღწერილობაში ლაპარაკია სწორედ ამ ნიშნის შესახებ, რომელიც დამახასიათებელია სახის ნერვის დამბლისათვის.

კარგად ყოფილა შემჩნეული, რომ სახის ნერვის დამბლის დროს ავადმყოფს შეიძლება „პირისა წყალი სდიოდეს“, ანუ პირის ღრუდან ნერწყვი გადმოსდიოდეს, რასაც სინამდვილეში მართლაც აქვს ადგილი.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ პირის გამრუდება, ანუ ლაყვა საერთო დამბლის დამახასიათებელ ნიშნადაც ითვლებოდა. დამბლას ფილენჯი, ანუ ფელინჯი ეწოდებოდა.

XI საუკუნეში ფილენჯის გამომწვევ მიზეზთა შორის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დარტყმას, ცხენიდან ან სიმაღლიდან ჩამოვარდნას და სხვა სახის ტრავმულ დაზიანებას.

„და თუ ფილენჯი ანუ ნაკრავითა რომე წაეკიდოს, ანუ ცხენით ჩამოვარდეს, ანუ მაღლითა ადგილთა ჩამოვარდეს, ანუ ხმლითა ანუ არგანის ცემითა, ანუ ისრითა...“[3]

ფილენჯის პათოგენეზი ანუ „ვითარებაი“, როგორც მას ძველად უწოდებდნენ, შემდეგნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: „ფელიჯისა ვითარებაი სქელისა ბალღამისა მორევნისაგან იქნების, რომელ თავისა ნახევარსა კერძსა შეეყაროს და ფერხი დაასუსთოს“[4].

ფილენჯის დამახასიათებლად ითვლებოდა სხეულის ნახევარის სისუსტე, უმოძრაობა, მგრძნობელობის დარღვევა და სხვ.

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 197.
[2] „წიგნი საქიმო“ გვ. 91.
[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 197.
[4] „წიგნი საქიმო“, გვ. 88.

„ნიშანი... იგი არს, რომელ ტანისა ნახევარი სუსთად და გრილად იყოს, ეგრე ვერ იძვროდეს, და თუ იძვროდეს და თუ მხურვალი ანუ გრილი რაიცა შემოსდვან ვერ უგრძნობდეს, და ეგებიცა რომელ ემძიმებოდეს"[1].

ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ ასეთ ავადმყოფს დაავადების დაწყებიდან სამი დღის განმავლობაში წამალს არ აძლევდნენ, იმ მოსაზრებით, რომ ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუარესებულიყო.

ფილენჯი „...რაი გამოჩნდეს სამ დღემდის წამალი არა ჰამოს... რაი წამალი მიუცემია მანკი მოჰმატებია"[2].

უნდა აღინიშნოს, რომ ფილენჯის განვითარების წინასწარმაუწყებელ მოვლენად ითვლებოდა დაბუჟება და ოფლიანობა. „რაი სიმხურვალისაგან იყოს დაბუჟებაი", ნიშანი „იგი არს რომელ პირი წითლად ედგეს ეგრე რომელ სიშავესა კერძოი იყოს და ოფლი დია სდიოდეს, და რაი ესე გამოჩნდეს თუ არ ჯურნონ ფელიჯათ შეიქმნების"[3].

ამ შემთხვევაში სამკურნალო მიზნით მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას და ავადმყოფს უნიშნავდნენ ისეთ დიეტას, რომელსაც მიეწერებოდა სისხლმეტობის მოსპობა.

XVI და შემდეგ საუკუნეებში იცნობდნენ ფილენჯის ახალ გამომწვევ მიზეზებს. მათ შორის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა შიში, თავის მიდამოს ტრავმული დაზიანება, ძლიერი უარყოფითი ემოციური გაღიზიანება, სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვა და სხვ.

„...ფილენჯი ამისაგანაც დაემართების, რომე კაცი დაიკოდოს, და ან თავს რამე ძალიანად ეცეს, და ან მეტის მეტის შიშითა, ან მეტის წყენითა და ან ბევრის სისხლის დენითა..."[4]

განვითარების მიხედვით არჩევდნენ ორი სახის დამბლას. ერთი, რომელიც თანდათანობით ვითარდება და დამბლა სუსტად არის გამოხატული, მეორე როცა დამბლა ერთბაშად ვითარდება და სრულია.

„...ფილენჯი ორი რიგი არის. ერთი რიგი ის არის რომე, კაცსა ცოტა და ცოტა გამოუჩნდების, და კაცი თუ კარგად ხელს მიაპყრობს, და კარგს წამლებს უზამს, ეგების ეშველოს.

და ერთი რიგი კიდეე ის არის რომე, სრულიად ერთხელად გამოჩნდების და სრულიად დაგრეხს"[5].

ამ პერიოდში ფილენჯის ნიშნებად ითვლებოდა მეტყველების მოშლა, სხეულის რომელიმე ნახევარში მოძრაობის შეზღუდვა. „რომე კაცსა ფილენჯის ქარმან ან ენა, და ან ცალი ფეხი, და ან ცალი ხელი შესტაცოს, და ან ცალი კერძო მხარი, ბარკალი და ძარღვები სრულიად შესტაცოს,..."[6]

---

1 „წიგნი საკითხო", გვ. 89.
2 იქვე.
3 იქვე.
4 „იადიგარ დაუდი", გვ. 273.
5 იქვე.
6 იქვე.

იქვე ნათქვამია, რომ ფილენჯის დროს კვების დარღვევის შედეგად ადამიანს შეიძლება დადამბლავებული კიდურების განლევა განუვითარდეს: „...რომე კაცსა ფილენჯის ქარმან ცალი კერძო ხელფეხი და ენა ასრე შესტაცოს, რომე ხელსა და ფეხსა ვეღარ იხმარებდეს, და ყოველი იმა მხრის ძარღვები და ხორცი სუსტად ჰქონდეს, ამრიგი სენი უსათიოდ ბალღამისა და სიგრილისაგან დაეემართების და ამა სენისა მიზეზი და ალმით ეს არის რომე, კაცსა სიგრილე და სინედლე დასპარბდების, და მეტის მეტად ბალღამი დაუმრავლდების. და რაი-გადაცა ხესა კერძო შიახმების და ამა ხისა წყალი და სინედლე ცალის მხრისაკენ წავიდეს, და ის ცალი მხარი ხმელი დარჩეს, ისრევე ბალღმისა სიცივე და სიგრილე ცალის მხრის ძველსა და ძარღვებსა გაუცივებს, და სისხლი და სამ-ხურვალე, ორივე იმა მეორის მხრისაკენ წავა, და ამა მიზეზითა ცალი კერძო მხარი და ბარკალი მოეღების და შეახმების, და ცალი კერძო ისრევე ნედლად დარჩების.“[1]

ფილენჯის სრული განკურნება შეუძლებლად იყო მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ავადმყოფის მკურნალობას მაინც მიმართავდნენ იმ მიზნით, რომ მისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ ან რომ დამბლა უფრო არ დაძლიერებულიყო:

„...რიგი ფილენჯი არასათვის კაცსა არ ეშველების. მაგრამ აქიმთა და მეცნიერთა კაცთა კიდევე ყველასათვის წამალი დაუდებია, ამისათვის რომე, ესე სენი ცოტაცა იყოს დასუსტდეს და ან სენი აღარ გაძალიანდეს, თვარემდა სრულ შველა მწოვედ ძნელია და არცა იქნების“[2].

„ხშირად თავსა და პირსა მლაშის წყლით დაიბანდნენ, და რაც ალაგი ფილენჯის ქარისაგან შეტაცებული ჰქონდეს, ეს მარილწყალი იყოს თუ მლაშე წყალი იქ შეისვან, ან თავსა და ტანსა და დაპირულსა ასოსა და ძარღვებსა გოგირდის წყლითა, და ან შაბის წყლით დაიბანდნენ. და თუ ეს გოგირდისა. შაბისა და მლაშე წყლები არ იშოვებოდეს, მხურვალისა ბალახების წყლითა დაბანეთ.“[3]

ავადმყოფს ურჩევდნენ თავი შეეკავებინა სქესობრივი ცხოვრებისაგან: „ამ რიგი ადამიანი დედაკაცთან მისვლას უნდა ერიდებოდეს, რომე მწოედ აწყენს“[4].

გარდა სრული დამბლისა, როდესაც ადგილი აქვს სხეულის დაადმბლავებული ნაწილის სრულ უმოძრაობას, ირჩევდნენ მოძრაობის შეზღუდვას, რომელსაც „ასოთა სისუსტე“ ეწოდებოდა.

ასოთა სისუსტის გამომწვევ მიზეზებს შორის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ტრავმას, განსაკუთრებით ზურგის ტვინისას.

---

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 275.

2 იქვე. გვ. 273.

3 იქვე.

4 იქვე.

„ესე დაცემისაგან იქნების, ანუ ნაცემისგან რომელ მას ასოთა ეცეს რაიმე, ანუ ზურგისა მძიეთაგან ერთი დასხლტეს, ანუ მაღლისა ადგილიდან დაცემული იყოს ამის გნით იქნების"[1].

ნიშნები „...იგი არს რომელ ასონი დასუსტებული იყვნენ და აღარ იძვროდიან ნუ თუ თავსა და პირსა, მით რომელ ამის მანკისა დედაი თავსა და პირსა არ იქნების ანუ მუნ უმცროი იქნების"[2].

ავადმყოფს სამი დღის განმავლობაში მკურნალობას არ უტარებდნენ. სამი დღის შემდეგ დაზიანებულ მიდამოზე ტლეს ადებდნენ, ამავე დროს თუ ავადმყოფს შეკრულობა დაერთვოდა, კუჭ-ნაწლავს უწმენდნენ ოყნით: „ორსა ანუ სამსა დღესა უკანით სისუსთე გამოჩნდეს ესე ტლე შემოსდვას... და თუ ბუნებაი შეკვრით იყოს ამით ჰუყნითა მუცელი დაულბონ"[3].

გვინდა აქვე განვიხილოთ ზურგის ტვინის დაზიანების შედეგად განვითარებული მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა და მისი დამახასიათებელი ნიშნები.

მაგალითად, შარდის ბუშტისა და სწორი ნაწლავის ფუნქციის დარღვევას (გუამისა სისუსტე) უკავშირებდნენ ზურგის ტვინის ტრავმულ დაზიანებას. „წიგნი სააქიმოში" ვკითხულობთ, რომ „...სისუსტე გუამისა მისგან იქნების, რომელ საითმე ზურგსა დაეცეს ანუ დიდი ჭირი ენახოს ...დია სტკიოდეს და ფსელი იწთებოდეს..."[4]

აქ, როგორც ვხედავთ, სწორი ნაწლავის ფუნქციის მოშლასთან ერთად შარდის ბუშტის მოქმედების დარღვევაც არის მოხსენებული, რასაც აგრეთვე ხშირად აქვს ადგილი ზურგის ტვინის წელის მიდამოს სეგმენტების დაზიანების დროს.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სამკურნალოდ ისეთივე საშუალებებს იყენებდნენ, როგორც დამბლის (ფილენჯის) დროს.

„გუამისა სისუსთისა კურნებაი რაი ნაკრაკისაგან იყოს იგი არს, რომელ ქვეითსა საქციელთა ზურგთა, ჰკურნებდნენ ეგე გუარითა წამლითა, რომელ საფილენჯოთ გვეთქვა"[5].

როგორც ჩანს, სწორი ნაწლავის ფუნქციის მოშლის ბუნება დამბლის მსგავსად ჰქონიათ გაგებული.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მითითება დაზიანების ლოკალიზაციაზე („...ქვეითსა საქციელთა ზურგთა").

საქციელი, როგორც ზემოთ, სხეულის აგებულების განხილვის დროს იყო აღნიშნული, სახსარს ეწოდებოდა, ხოლო „ზურგი" ხერხემლის სვეტის გულმკერდის ნაწილს. ასე რომ „ქვეითსა საქციელთა ზურგთა" მიუთითებს გულმკერდის მალების მომდევნო მიდამოზე ანუ წელის მალთაშუა სახსრებზე. ცნობილია, რომ სწორი ნაწლავისა და შარდის ბუშტის ფუნქციის დარღვევა სწორედ ზურგის ტვინის დასახელებული მიდამოს დაზიანების დროს ვითარდება.

---

1 „წიგნი სააქიმოი", გვ. 89.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 90.
4 იქვე, გვ. 212.
5 იქვე.

ნერვული სისტემის დაზიანებას მიეწერებოდა აგრეთვე სასქესო ორგანოების მოქმედების დარღვევა („სარცხვენელისა სისუსთე და წყლისა დენაი მისგან უნდომლად და უსიჰამოვნოთ“).

ცნობილი ყოფილა, რომ ესე მოვლენები შეიძლება ახლდეს საერთო დამბლას, ანდა გამოვლინდეს, როგორც ახლა ვიტყოდით, ნევროზის საფუძველზე (ფსიქიკური იმპოტენცია).

პირველ შემთხვევაში ექიმს წინასწარ უნდა დაედგინა, შეიძლებოდა, თუ არა მისი განკურნება. ამ მიზნით ავადმყოფს ათავსებდნენ ცივ წყალში. თუ სასქესო ორგანო დამოკლდებოდა, ეს მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მკურნალობა შედეგს გამოიღებდა, წინაალმდეგ შემთხვევაში მკურნალობას არ ატარებდნენ: „კურნებად სისუსთისა მისისაგ იგი არს, რომელ ფელიჯისაგან ერთი ფერი მანკი ეს არს, ხამს აქიმისაგან რომელ ესე მანკი გამოსცადოს რომელ იკურნების ანუ არა. და მანკისა პატრონი ცივსა წყალსა შიგან ჩასვას და სარცხვენელი მისი დამოკლდეს და შეეკნეს იკურნების, და თუ ეგრეთვე იყოს ვითა წინაის და არა შესცვალოს, კურნები მისი არ ეგების...“[1]

ფსიქიკური იმპოტენციის მკურნალობა ფსიქოთერაპიის ხასიათს ატარებდა: „კურნებაი მისი, რომელ არ ქნისა მოგონებისა შეპირვებისაგან იყოს იგი არს, რომელ სხვაისა რაისმე შეექცეოდეს და დაივიწყოს მოგონებაი და შეპირვებაი ჩუჩალბილობისისა“[2].

ავადმყოფს ენიშნებოდა, აგრეთვე ჯანმომგვრელი საშუალებანი და მასაჟი. ასევე მკურნალობდნენ ნაადრევ და უსიამოვნო ეაკულაციას.

შემდეგი დაავადება, რომელსაც ამ თავში განვიხილავთ ეს არის „თავქედი“. თავქედი კარგად ყოფილა ცნობილი ჯერ კიდევ XI საუკუნეში.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ „რაჟამსა კაცსა თავქედი შეექმნას, მისი ნიშანი ესე არის, რომე პირველად ძრწოლა მოუვა და კბილსა ღრჭენა, მერმე დასუსტდეს და ენაზედა შავი რამე გამოაჩნდეს და რეგუნად უბნობდეს“[3].

როგორც აქედან ირკვევა, ამ დაავადების განვითარების დასაწყისში ადამიანს პირველად ბრძოლა მოუვა ანუ კანკალი აიტანს, შეაერჟოლებს, შემდეგ დასუსტდება, მოდუნდება, შეახურებს, ასტკივდება თავი, ზურგი და წელი; თავქედის დროს ავადმყოფმა შეიძლება გონება დაკარგოს, თავი დაუმძიმდეს და ცხელებით სნეულს დაემსგავსოს„[4].

ფიქრობდნენ, რომ „მისი სატკივარი თავსა და ტვინშიგა არის“[5].

წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავქედი ტვინის გარსების ანთებას ეწოდებოდა.

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 127.

[2] იქვე.

[3] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 184.

[4] იქვე.

[5] იქვე.

თავქედით დაავადებულის მკურნალობაში წამლების მიცემასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ავადმყოფის მოვლას. მას ყოველდღიურად ენას უწმენდავდნენ: „ყოველთა დღეთა ენა გაუწმინდე ამა წამლითა, აიღე: ბაზრაპყატუნი და ბიისა გული და სამოსელსა შიგა გამოკარ და დაალბე და მით ენასა გარდუწმენდდი“[1].

ავადმყოფს თუ უძილობა ექნებოდა, მას აძლევდნენ საძილე საშუალებებს: ხაშხაშს და სხვ.

ცდილობდნენ მას არ განვითარებოდა ყაბზობა, უნიშნავდნენ ადვილად მოსანელებელ საკვებს.

უკვე XIII საუკუნისათვის ცნობილი ყოფილა, რომ თავქედის დროს დაზიანებას ტვინის გარსები ანუ ფარდაგები განიცდიან, თუმცა დაავდების განვითარების მექანიზმი ძალზე არასწორად ჰქონდათ წარმოდგენილი.

თავქედი „...სიმსივნისაგან იქნების რომელ ტვინისა ფარდაგთა შუა გამოჩნდეს სისხლისა მორევნისა და სიმხურვალისაგან, ანუ ზაფრისა სიფიცხისაგან, და ანუ სიმხურვალისაგან რომელ ამათ ორთაგანვე იყოს რომელ ტვინსა შეუხდნენ და ფარდაგთა მისთა შიგან მივიდნენ“[2].

მის დამახასიათებლად ითვლებოდა მუდმივი მაღალი ტემპერატურა, პირისახის წამოწითლება, სავსე მაჯა და სხვ.

„ნიშანი მისი რაი სიმხურვალისა და ზაფრისაგან ქნილ იყოს. იგი არს რომელ მიწყით აცხროებდეს და თავი და თვალნი და პირი წითლად ედგას, და მაჯასი სისხლითა სავსე იყო, რაიცა ზაფრისაგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ პირი ყვითლად იდგას და ტკივილი ვითა ისარი სცემდეს“ [3].

თავქედი მძიმე დაავადებად ითვლებოდა: „...ამათ მანკთაგან რაიცა ტვინსა მიხვდეს სამისა დღისა მეტი არ იქნების, და რაიცა ტვინისა ფარდაგთა შიგან იქნას საშიშო არს, და რაიცა ტვინისა გარეთ იქნას ადვილი არს“[4].

XVI საუკუნის წყაროებში თავქედისათვის დამახასიათებელი ნიშნები უფრო სრულად არის წარმოდგენილი. წინა აღწერილობებთან შედარებით გვხვდება ახალი ნიშნები, მათ შორის, მაჯისცემის რიტმის დარღვევა, შარდის გამოყოფის ფუნქციის მოშლა-შეკავება, რასაც არაიშვიათად აქვს ადგილი ტვინის გარსების ანთების დროს.

„აწე ამას სენისა და ცხელისა ვარამისა ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ტვინსა და დამაღშიგან მწოვედ სიცხე და სიმხურვალე ექნების, და თვითან კაცი მწოვედ გაყინიანდების, და ჭკუა შეშლილსავით რაც მოეგონების, იმას დაიწყებს საუბარსა და მიდებ-მოდებასა და კაცი რომე ეუბნებოდეს ეწყინების, და სულიცა გვიბებასა დაუწყებს, და ვეღარცა მართლად დაიძინებს. და რომე ძილიცა მოუვიდეს, ძილშიგა შფოთვასა, სარჯელსა და ბრუნვასა დაიწყებს. პირველზედა ზოგსა კაცსა ენა გაუყუთლდების, და ზოგსა კი გაუწითლდების და მერმე კი გაუშავდების, და ესე ცხელი ვარამი შარდსაცა შეუხუთავს და ესე ავადმყოფი შარდსაცა წვრილად და წყნარად დაუწყებს დაღვრასა და მართლად ვეღარ მოფსამს, და მაჯაცა აშლით და ურიგოთ დაუწყებს ცემასა“ [5].

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 184.
2 „წიგნი საქიმოი“, გვ. 75.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 76.
5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 264.

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება სუბათი, რომელსაც ქართულად „მძიმედ დაძინებას“ უწოდებდნენ. „ესე მანკი მით შეიქნების რომელ ბალღამი მოერიოს ტვინსა, და წინათა კერძოთა ნახევარსა ტვინსა შეიყაროს, და დალპეს, და სუბათი სპარსულად საზომისაგან უფროი მძიმეთ დაძინებასა ჰქვიან“[1].

დაავადების უმთავრესი ნიშანი იყო ძილიანობა: „ნიშანი სუბათისა მანკისაი. მძიმე ძილი იქნების რომელ სნეულმან ეგრე დაიძინოს, რომელ ყველა მისგნით არ გაიღვიძებდეს ანუ თუ დიდითა ჭირითა, და რაი გაიღვიძოს თანვე თვალი ერთმანეთსა ზედა დასდვას, და იქნების რომელ ბედითად უბნობდეს“ [2].

წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით დაავადება სუბათი ყველაზე მეტად ლეთარგიულ ენცეფალიტს გვაგონებს.

ამავე ძეგლში აღწერილია „ასოთა თრთოლა და ასოთა მღერა“[3], რაც კანკალსა და საერთოდ სხვადასხვაგვარ უნებლიე მოძრაობებს ეწოდებოდა, რომელთა ბუნება უცნობი იყო და წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით არ ხერხდება გაირკვეს სახელდობრ რა დაავადება იგულისხმებოდა.

მთელი რიგი წყაროებიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოს მედიცინაში გარდა აღნიშნულისა, ცნობილი ყოფილა ტვინის ისეთი დაზიანებებიც, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ტრავმასთან. ტვინის ასეთ დაზიანებას „ტვინის დარყევას“ უწოდებდნენ: „ერთი ის არის რომე კაცი წაიქცეს და ან მაღლიდამა ჩამოვარდეს, ან ცხენი წაექცეს და მასზედა ტვინი დაერყიოს და თავის ტკივილი დაემართოს“[4].

ტვინის ტრავმული დაზიანების აღწერილობა საკმაო სიზუსტითა და დამახასიათებელი ნიშნებით არის წარმოდგენილი არასამედიცინო წყაროებშიც, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს.

„...ნადირთა დევნასა შინა ოდესმე წაექცა ცხენი, და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად, სამშვინველისაგან ოდენ საცნაური ცოცხლად. და შემდგომად სამ დღე ნამტკნარსა სისხლისასა აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყვა, და ძლითღა აღდგა ცოცხალი“[5].

მაშასადამე, ცხენის წაქცევისა და დაცემის შედეგად მხედარი სამი დღის განმავლობაში უგონოდ ყოფილა, სიცოცხლის ერთადერთი მაჩვენებელი იყო სუნთქვა. სამი დღის შემდეგ ავადმყოფს ამოუღია შესქელებული სისხლი, გონს მოსულა და მეტყველებაც დაუწყია. ყველა ეს ნიშნები იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ამ შემთხვევაში აღწერილი ტრავმის შედეგად განვითარებულა კონტუზია.

ძველი საქართველოს მედიცინაში განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა ცნობილი თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზები და დამახასიათებელი ნიშნები.

თავის ტკივილის გამომწვევ მიზეზებს შორის XI საუკუნის წყაროებში, გარდა ოთხი ჰუმორალური კომპონენტისა, დასახელებულია: სიცხე, ყინვა, ძლიერი ქარი, სქესობრივი ექსცესები, შიმშილი, ლოთობა, უძილობა და სხვ.

„იცოდეთ, რომე თავისა ტკივილი მრავლისაგან იქნების: ერთი სისხლისა-

---

[1] „წიგნი სააქიმოი“, გვ. 76.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 94—95.

[4] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 171.

[5] „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, დასახელებული გამოცემა, გვ. 364.

გან, მეორე ზაფრისაგან, მესამე სევდისაგან, მეოთხე ბალღამისაგან. მეხუთე სიცხისაგან რომე სიარული მისპირდეს სიცხეშიგა, მისგან დაემართების. მეექვსე მეტისა სიცივისაგან, მეშვიდე ცასა ქვეშე წოლისაგან, მერვე ძლიერის ქარისაგან, მეცხრე ნამეტნავად დედაკაცთან წოლისაგან, მეათე შიმშილისაგან, მეთერთმეტე ღვინისა ბუხარისაგან, მეათორმეტესა დავარ ჰქვიან, მეათცამეტესა ბაიზარგა ჰქვიან... ერთი უძილობა არის, რომე უძილობა სპირდეს"[1].

სისხლის დაჭარბებით გამოწვეული თავის ტკივილის დამახასიათებლად ითვლებოდა ჰარისახის სიწითლე, წამოჭეხება, დაჭიმული და აჩქარებული მაჯა: „თავის ტკივილი რომე სისხლისაგან იყოს: მისი ნიშანი ეს არის, რომე თავი სტკიოდეს და თვალები და შუბლი, ყურები გასწითლებოდეს, და პირზედა წამოჭეხებით იყოს, და ხელი რომ დასდვა ძარღვებსა ზედა სავსედ და ჩქარად სცემდეს. რა ეს ნიშანი ნახო იცოდი, რომე სისხლისაგან არის"[2].

აღწერილი ნიშნების მიხედვით საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ჰიპერტონული დაავადებისათვის დამახასიათებელ თავის ტკივილს.

მკურნალობა მდგომარეობდა სისხლის გამოშვებაში. „ამას ფიცხლავ ხელი გაუხსენ, ანუ საფეთქელი,ანუ შუბლი, ანუ თავსა კოტოში. და თუ უმაწვილი იყოს. ყურნი აუცრნენ, და ზემო თავსა, სისხლისა დამატებულისა წამლებსა შიგან სწერია ის უყავი"[3].

ამავე დროს ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული რეჟიმი და დიეტა, რასაც, თუ თანამედროვე თვალსაზრისით შევაფასებთ, მართლაც შეეძლო ავადმყოფისათვის სარგებლობის მოტანა.

„ვისაც ესე სენი სპირდეს მართებს რომე ფრთხილად იყოს ტკბილისა საჭმელისაგან და მეავისა, ძრიელისა ღვინისაგან, და საჭმელი სუბუქი ჭამოს,... და საღამოსა ყამსა შესუას და თეთრი და წმინდა წყალგარეული ღვინო და ღვინოსთან ხილი ჭამოს ბია და ბროწეული, და მერმე უზმამან იაროს ბევრი, ანუ ცხენითა, და ზედაზედა აბანოს შევიდოდეს ერთობ ცხელი არ იყოს აბანო, და ფიცხლა გამოვიდეს აბანოთა და თავზედა თბილთბილსა წყალსა ისხემდეს, და წელიწადსა შიგა ყიფალსა გახსნევდეს.

შემოდგომასა და გაზაფხულზედ სისხლი ძალზედა გამოუშვას. ესე უფრთხილდეს და საჭმელი ისეთსასა, რომე თავისა ტკივილი არ მოუვიდეს, თუ ტკივილი ერთობა მოუვიდეს ნუცა ხორცსა მისცემ, ნუცა ღვინოსა და ცეცხლისაგან და მზისაგან ფრთხილად იყოს"[4].

XIII საუკუნისათვის თავის ტკივილის ოცზე მეტ გამომწვევ მიზეზს იცნობდნენ. მათ შორის, ერთი „მზესა დია ჯდომისაგან იქნების"[5], მეორე რომე „ტვინისა ფარდაგსა შიგან სიმსივნე გამოჩენილ იყოს"[6], მესამე „ნაკრავსა და დაცემისაგან იყოს"[7], მეოთხე გლოვისა და შორეულ მგზავრობისაგან[8] და სხვ.

ცალკე გამოყოფდნენ თავის ტკივილის ერთ სახეს, რომელსაც შაკიკს უწოდებდნენ.

„ნიშანი შაკიკისა რომე ნახევარ თავისა ტკივილი ქუიან. იცოდით რომე

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ 171—172.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 172—173.
[4] იქვე.
[5] „წიგნი საქიმოი", გვ. 59.
[6] იქვე, გვ. 66.
[7] იქვე, გვ. 67.
[8] იქვე, გვ. 73—63.

სიმხურვალისაგანცა არის და სიგრილისაგანცა. თუ სიმხურვალისაგნა იყოს მისი ნიშანი ესე იყოს რომე, რომელიცა მხარი სტკიოდეს ისი მხარი, შუბლი და პირი და თუალი ყუელა წითელი იყოს და რასაცა ცივცივსა დაიდებდეს იამებოდეს და ყურის წინათ საფეთქელთა ძარღვები სავსედ და ჩქარად სცემდეს...“[1]

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ძილის რეჟიმის დარღვევა მთელი რიგი დაავადებების ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლებოდა. ამავე დროს თვით უძილობა მიჩნეული იყო სნეულებად და მას საძილე საშუალებებით მკურნალობდნენ.

XVIII საუკუნის წყაროებში აღწერილია დაავადება „თავის წყალმანკი“. ცნობილი ყოფილა, რომ ეს სნეულება უფრო ხშირად ახალშობილებში გვხვდება. მის გამომწვევ მიზეზთა შორის დასახელებულია თავის ქალას ტრავმა, თავის ტვინის სიმსივნე, „წყალ დამეტებულობა“ (ალბად თავ-ზურგტვინის სითხის მომატებაზეა ლაპარაკი), და სხვ.

„თავის წყალმანკისათვის, უფრო სნეულება ესე დაემართების ყრმათ, რომელიცა მოვა ტვინის ენებისაგან, ჩამოვარდნით, დაკვრით, დაკოდვით, გასიებით რომლითაც რომ ბუნება ანუ თვისება დასუსტდება ტვინისა, შარდის დამცირებით სისხლის სითხით და წყალ დამეტებულობით, ანუ ხორცმეტ გამოსვლით შიგნით... ოდესმე ყრმათა ესე სენი მუცელშიც დაემართების და შობასთან მოკვდება“[2].

თავის წყალმანკის დამახასიათებლად ითვლებოდა: თავის ტკივილი, გულისრევა და ხანგამოშვებით პირღებინება; ავადმყოფს არ სიამოვნებს სინათლე, მაჯა აჩქარებული და არათანაბარია, მივარდნილია, ცუდად ძინავს, ბოდავს, თავის ქალას მოცულობა გადიდებულია და სხვ.

„ნიშანი ამისინი ესენი, ნერვის ცხელება, ავადმყოფს სტკივა თავი და თვალებს ზევით, სძულს სინათლე, გულსზიდება, და ოდესმე არწყევინებს კიდეც, და მაჯა უთანასწოროდ უცემს დაღალულისავით, მოწყვეტით არის ავადმყოფი და ვერ სძინავს კარგათ, და ბოდავს, თავი ოდესმე გასივებით ექნების...“[3]

მკურნალობის მხრივ მეტად უძლურნი იყვნენ, რასაც თვითონაც აღნიშავდნენ: „ამის წამლობის ჯერ სრულიად ვერ მივხდომილვართ“[4].

ნერვული სისტემის აღნაგობის, ფუნქციის, მისი დაავადებისა და მკურნალობის შესახებ მთელი რიგი მართებული შეხედულებებისა და ჰიპოთეზების მიუხედავად, ძველ ქართულ მედიცინას არ გააჩნდა კვლევის ის მეთოდები, რომლებიც აუცილებელია ამ რთული სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ნამდვილად მეცნიერული შესწავლისათვის.

ნევროლოგიისა და ნევროპათოლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკე დარგების განვითარება საქართველოში XIX საუკუნის 60—70-იან წლებიდან იწყება, რასაც სხვა მთავარ პირობებთან ერთად ხელი შეუწყო სამედიცინო აზროვნების უძველესმა და მდიდარმა ტრადიციამ.

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 187.

[2] „წყალმანკის უწყებულება და მისი მორჩენა ვითართა სახითა ჯერ არს“. ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იოანე ბატონიშვილის ფონდი, №134.

[3] იქვე.

[4] იქვე.

თ ა ვ ი XI

ფსიქიკური დაავადებანი

სულიერი მდგომარეობის ავადმყოფურად შეცვლის გამოვლინებანი საქართველოში ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე. უკვე V საუკუნიდან ფსიქიკის პათოლოგიურ მდგომარეობათა შესახებ წერილობითი ცნობებიც მოიპოვება.

მეხუთე საუკუნის თხზულებაში „წამება წმიდისა შუშანიკისი“ მოხსენებულია სიტყვა „ცოფი“, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თანამედროვე გაგებით არ არის ნახმარი. ეს სიტყვა გარკვეულად შეცვლილი ფსიქიკის მდგომარეობას გამოხატავდა.

თხზულებაში ვკითხულობთ, რომ რჯულის მოღალატე ვარსქენი, ძმასა და ძმის ცოლს სადილად მიიპატიჟებს. სუფრასთან შუშანიკსაც მიიწვევენ, მაგრამ შუშანიკი მიპატიჟებას არ მიიღებს. შუშანიკის მოქმედებით განრისხებული ვარსქენი სულიერ წონასწორობას კარგავს. იაკობ ცურტაველი იტყვის, რომ „ვითარცა მძუინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“[1].

საბა მიუთითებს, რომ ცოფი „გიჟთან“ ნახეო. სიტყვა „გიჟის“ განმარტებაში კი ნათქვამია, რომ „ცოფი არს გონება და ცნობა მოძარცული“.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ცხადია, გონებისა და ცნობის ნამდვილ ავადმყოფურ „მოძარცვასთან“ არ გვაქვს საქმე. ვარსქენი უბრალოდ განრისხებული იყო, მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, რომ თხზულების ავტორი, იაკობ ცურტაველი, ვარსქენის მოქმედებას ადარებს გონება და ცნობაშეცვლილი ავადმყოფის — ცოფიანის საქციელს.

„ცოფის“ ქვეშ, რომ მართლაც ფსიქიკის გარკვეული ავადმყოფური შეცვლა იგულისხმებოდა, ამას ადასტურებს სხვა, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში არსებული ცნობებიც.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში—„ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისა“, ვკითხულობთ: „ხოლო დედაკაცი იგი შემასმენელი, ბოროტად ეშმაკეულად იქმნა და გ ა ნ ც ო ფ ნ ა, და ს ხ უ ა ნ ი ც ა განსაცდელნი მიიწინეს მის ზედა საქმეთაებრ მისთა უკეთურთა, და ე ს რ ე თ ი ყ ო ს ა შ ი ნ ე ლ დ ა ზ ა რ ი ს ა ს ა ხ ლ ე ლ ხ ი ლ ვ ა ი მ ი ს ი და ს მ ე ნ ა ი ს ი ტ ყ უ ა თ ა მ ი ს თ ა ი“[2].

მოყვანილი აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ ვინმე დედაკაცი „განცოფნა“ და საშინელი და საზარელი იყო იგი შესახედავადაც და ლაპარაკითაც. შეუძლებელია იმის თქმა, თუ როგორ იქცეოდა ან რას ლაპარაკობდა ავადმყოფი, მაგრამ თვით შეფასება ქცევისა და სიტყვიერი პროდუქციისა, უფლებას

---

[1] იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, გვ. 37.

[2] გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. დასახელებული გამოცემა, გვ. 139. ხაზი ჩვენია.

გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დედაკაცი ან სულით ავადმყოფი იყო ან ისე იქცეოდა და მეტყველებდა, როგორც სულით ავადმყოფი —„განცოფილი“.

საბა „განცოფებას“ ჭკუის წასვლას უწოდებს. მაშასადამე „ცოფი“ და „განცოფება“ ორივე ცნობიერების შეცვლას გამოხატავს. ცოფის ასეთი გაგება სამედიცინო წყაროებში წარმოდგენილი ცნობებითაც დასტურდება. მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“ „სიცოფის“ პარალელურად არაბული სიტყვა „ვასვასა“ იხმარება[1] რაც, თარგმანში შეშლილობას, შეცთენას ნიშნავს[2].

„წიგნი საქიმოიში“, ამ დაავადების ნიშნებიც არის აღწერილი: უძილობა, ცუდი სიზმრები, ბოდვა და სხვ.

„ნიშანი მისი... იგი არს, რომელ ძილი გაკრთეს და თუ დაიძინოს შფოთიდია ეზმანოს, და მაშინვე გაკრთეს, და ბედით ბუდითსა უბნობდეს და იგონებდესცა“[3].

აღნიშნული დაავადების მკურნალობაში ყურადღებას იქცევს საძილე საშუალებების დანიშვნა: „რომელ ასფარამთა წყლითა თავი დაიბანოს, და თუ ტირიფის ფურცელი და ხაშხაში და ბაბუნაი და აქლილალმალიქი წყლითა შეგბოლოს და მაშინ მას დილად და საღამოდ თავსა შემოსდებდეს ერგების, ტვინსა გაუძლიერებს, და იისა ზეთი და ნილოფარისა ზეთი ქალის დედისა სძესა გაურიოს და ცხვირთა უწთობდეს დაეძინების, და რაი დაეძინოს წამალთა ძალი ტვინსა გაუხდების და ერგების...“[4]

„ვასვასას“ ანუ „სიცოფეს“ აღწერას XV—XVI საუკუნეების წყაროებშიც ეხვდებით.

არსებული ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცნებები „ცოფი“, „სიცოფე“, „განცოფება“ ცნობიერების შეცვლას გამოხატავდნენ, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არ ხერხდება დადგინდეს, თუ ცნობიერების შეცვლის რა სახე იგულისხმებოდა „ცოფის“ ქვეშ[5].

X საუკუნისათვის ადამიანის ინტელექტუალური მდგომარეობის ერთგვარი კლასიფიკაციაც ყოფილა ცნობილი. ერთმანეთისაგან განარჩევდნენ გონების უმეცრებას („უმეცრებაი გონებისაი“) და გონების უძლურებას („ფრიადი უძლურებაი გონებისაი“). აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ აღნიშნავდა, რომ „უმეცრებაი გონებისაი“ ანუ შეუგნებლობა უდრის დაახლოებით ფრანგულს l'absence de discerement-ს, გერმანულ Mangel der Einsicht-ს, ხოლო „ფრიადი უძლურებაი გონებისაი“ ეთანასწორება ფრანგულ la demence-ს და გერმანულს die Krankhafte Störyng des Geistesthätigkeit-ს“[6].

ის პირი, რომელსაც გონების უმეცრება ან გონების უძლურება აღმოაჩნდებოდა, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ნაკლებად ისჯებოდა.

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 8.

2 იქვე, გვ. 487.

3 „წიგნი საქიმო“, გვ. 82.

4 იქვე.

5 ახლა კარგად ცნობილი ინფექციური დაავადება ცოფი (Hydrophobia) XV საუკუნეშიდე სამედიცინო წყაროებში „ბრაზის“ სახელით იწოდება. მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“ ცოფიანი ძაღლი მოხსენებულია როგორც „ბრაზიანი ძაღლი“. ცნობილია, რომ ცნობიერების შეცვლა ამ დაავადებასაც ახასიათებს. შეიძლება მისი სახელწოდების გენეზისიც მასთან იყოს დაკავშირებული.

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი 2, 1929, გვ. 270.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის დადების დროს ყურადღება ექცეოდა დამნაშავე პირის „ბუნებას“, ანუ, როგორც ახლა ვიტყვით კონსტიტუციურ ტიპს და აგრეთვე აფექტს. თუ დანაშაული „ბუნების მხურვალებისა“ და ვნებათა ღელვით წარმოშობილი თავშეუკავებლობით არ მოუვიდა, ან „აღტაცებით შეემთხუიათ“, არამედ დამნაშავე „ბუნებით გრილი იყო“ და ჩვეულებრივ „ბუნებით სიმხურვალეი“ მას არ ფლობდა ხოლმე, და თუ დანაშაულის ჩადენის დროს „არა ბუნებაი მძლავრობდა, არამედ ნებაი იგი ცოდვის მოყვარე“, მაშინ ასეთ პირებს ჩადენილი დანაშაულისათვის მეტ პასუხისმგებლობასაც აკისრებდნენ[1].

ზემოთ უკვე იყო აღნიშული, რომ ძველ ქართულ მედიცინაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მძლავრ უარყოფით ემოციურ გაღიზიანებებს ზოგიერთი დაავადების გამოწვევაში. მსგავს გაღიზიანებებს, ცხადია, უპირველესად შეეძლოთ გამოეწვიათ ადამიანის სულიერი მდგომარეობის შეცვლა. როგორც ახლა ცნობილია, ამას რეაქტიული მიზეზებით გამოწვეულ სულიერ აშლილობას უწოდებენ. ასეთი წარმოშობის დაავადების საინტერესო შემთხვევათა აღწერილობები არასამედიცინო წყაროებშიც გვხვდება.

თხზულებაში „სიბრძნე ბალავარისი“ ვკითხულობთ, რომ „...ზანდან მზარდული დასნეულდა შიშისაგან მეფისა, და ვითარცა ცნა მეფემან სნეულებაი, წარავლინნა მკურნალნი, რაითა შეუძლონ ცნობად, თუ რომლითა მიზეზითა სნეულ არს, ხოლო მათ, ვითარცა განიცადეს, წარვიდეს, ჰრქუეს მეფესა: „მეფეო, სენი ისი ზანდანისი არა არს სნეულებისაგან, არამედ გულის-კლებისა არს“[2].

საქმე იმაში იყო, რომ მეფის ძემ თავისი სარწმუნოება უარყო და ქრისტიანობა აღიარა. ამის გამო ზანდანი, როგორც მისი აღმზრდელი, შეშინდა, რომ მეფისგან დასჯა არ დაემსახურებინა და შიშისაგან დასნეულდა. მასთან მისული მკურნალების აზრით „სენი ისი ზანდანისი არ არს სნეულებისაგან, არამედ გულის-კლებისა არს“, ანუ, როგორც ეხლა ჩვენ ვიტყვით:ზანდანი ფიზიკურად არ იყო დაავადებული, იგი ავად იყო „გულის-კლებისაგან“ ანუ წყენისაგან.

თავისი ნიშნების მიხედვით ფსიქიკურ დაავადებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს სენი „მანახულია“.

„მანახულია“ მძიმე სნეულებად ითვლებოდა. მისი განვითარების მიზეზად მიაჩნდათ სისხლის დამეტება, შიში და სხვ.

XI საუკუნისათვის „მანახულიას“ ოთხ სახეს არჩევდნენ.

პირველი სახის მანახულიას დამახასიათებლად ითვლებოდა ცნობიერების შეცვლა, ნაირგვარი სიზმრები, შიში, პირისახის სიშავე, თვალების ჩაცვენა, განუწყვეტელი ლაპარაკი და სხვ.

„ნ ი შ ა ნ ი მ ა ნ ა ხ უ ლ ი ა ს ი. იცოდით რომე ესე ავი სენია. ესე ჭკუისაგან შესცულის კაცსა და ყოველთა ღამეთა ფერად ფერადსა სიზმარსა აჩუენებს. და ბევრსა რასმე ასეთსა მოელის რომე არა გვანდეს და მწვედ შეშინდების. ესე სამისაგან არის, ერთი რომე სასა გამხმარიყოს, ნამეტნავად სასისა სიხმე ყოველსა სტომაქსა შიგა შერეული იყოს. მისი ნიშანი ესე არის, რომე

[1] ივ. ჯავახიშვილი. დასახელებული წიგნი, გვ. 275.
[2] „სიბრძნე ბალავარისი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 292.

თვალნი ღრმად ჩასცუივნოდენ და პირი გაშავებულიყოს და დღე და ღამე მუდამად იზახდეს ქათამივითა"[1].

იმავე წყაროს მიხედვით, მეორე სახის „მანახულია", რომელსაც სისხლის მომატებას უკავშირებდნენ, ხასიათდება წონის შემცირებით, კანის შავად შეფერვით და სხვ.

„მ ე ო რ ე მ ა ნ ა ხ უ ლ ი ა, რომე სისხლისაგან იყოს და მომატებულიყოს და ყოველსა ტანსა შიგან დაფანტული იყოს, მისგა სჭირდეს, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე კაცი დამჭლობილიყოს და ორივე შაყიყა სტკიოდეს, ტანი გამხმარიყოს და გაშავებული იყოს"[2].

„მ ე ს ა მ ე მ ა ლ ა ხ უ ლ ი ა, რომე უძილოდ იყოს და ეშინოდეს, ესე ამისგან წაეკიდების, რომე ერთობ მჭამელი ყოფილიყოს და ზედაზედ ნამყენი ეჭამოს და მხართა შუაშიგან მუდმად სტკიოდეს. ესე მანახულია ხან დასწყნარდების და ხან ასრე გაშმაგოს, რომე წყალი მოხუდეს თუ ცეცხლი შიგ ჩავარდეს. მას შეკურა უნდა და სვეტსა ზედა ახვევა"[3].

„მ ე ო თ ხ ე მ ა ლ ა ხ უ ლ ი ა, რომე მუდმად არ მოეკიდებოდეს, რომე ეირემ მთვარე არ გაახლდებოდეს"[4].

მანახულიის ანუ მალახულიის ოთხივე სახის აღწერილობიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ნიშნები: ცნობიერების შეცვლა, ძილის აშლა, წონის შემცირება, შიში, განუწყვეტელი ლაპარაკი, თვალების ჩაცვენა, კანის შავად შეფერვა. ავადმყოფი ხან „წყნარად" არის, ხან კი „გაშმაგდების". ამას უნდა დაემატოს ცნობა „სისხლის დამეტების" შესახებ, რომლის ქვეშ შეიძლება სისხლის წნევის მომატების მოვლენები ვიგულისხმოთ.

ზემოთ აღწერილი ნიშნები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ XI საუკუნეში „მანიხულიას" სახელით ცნობილი დაავადება არის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი.

სამკურნალო მიზნით ავადმყოფს ენიშნებოდა კუჭ-ნაწლავის გაწმენდა, სისხლის გამოშვება, საძილე საშუალებანი — ხაშხაში და სხვ.

თუ ავადმყოფის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ იგი პირს ვერ აღებდა, მას ხელოვნურად აძლევდნენ წამალსაც და საკვებსაც.

სამკურნალო საშუალებების მიცემასთან ერთად, ავადმყოფს ურჩევდნენ ყურადღება მიექცია სქესობრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის: „თუ კაცი უცოლო იყოს, ცოლი შეირთოს, თუ ქალი იყოს, ქმარი შეირთოს"[5].

ყურადღება ექცეოდა აგრეთვე დიეტას: სასურველი იყო ტკბილი და ნოყიერი საკვების მიღება, ხოლო თევზი, ყველი და ხორცი ეკრძალებოდა: „საჭმელი მომსუქნო და მოტკბო, ნუშის ზეთითა შეურივეთ... თევზისაგან, ყველისაგან და ზროხის ხორცისაგან იფარეზოს..."[6]

როგორც აღვნიშნეთ, მანახულია ანუ მანიხულია თავისი ნიშნებით მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზის სურათს ემსგავსება. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გამოვლინების მიხედვით XIII საუკუნისათვის არჩევდნენ

---

[1] „უსწორო კარაბადინი", გვ. 190.
[2] იქვე, გვ. 191.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 192.
[5] იქვე, გვ. 191.
[6] იქვე, გვ. 190.

ამ დაავადების ორ სახეს: „სამხურვალისაგან“ და „სიგრილისაგან“ გამოწვეულს, რომლებიც დაახლოებით თანამედროვე ფსიქიატრიაში ცნობილ ციკლოფრენიის მანიაკალურ და დეპრესიულ ფაზებს შეესაბამება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მანიაკალური ფაზის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი მიკუთვნებულია დეპრესიული ფაზისათვის და პირიქით.

„ნიშანი რაი სიმხურვალისაგან იყოს. რაიცა სისხლისაგან იყოს იგი არს რომელ, რაი უყივლებდენ იცინოდეს და პირი წითლად ედგას, და ძაღუნი ადგომილ იყვნენ და რაიცა ზაფრისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ბედითსა უბნობდეს დიაი და პირი ყვითლად ედგას და ტანი მკლედ, და არ დაეძინებოდეს“[1].

მაშასადამე, აღნიშნულ შემთხვევაში ავადმყოფი დაძახებაზე იცინის, სახე წამოწითლებული, ან, პირიქით, მოყვითალო ფერისა აქვს; სისხლის ძარღვები სისხლსავსეა, ავადმყოფი გამხდარია, ლაპარაკობს არეულად, აწუხებს უძილობა.

„ნიშანი რომელ სიგრილისაგან იყოს: სევდისა ნიშანი იგი არს, რომელ ყოველივე ეშინოდეს, და უფროისჯერ კუთხესა დაჯდებოდეს და ცოტასა უბნობდეს, და ნიშანი მისი რომელ ელენთისაგან იყოს იგი არს, რომელ დია ჭამდეს და არ გაძღებოდეს და ვერ მოადნობდეს და ლბილად იყოს“[2].

ე. ი. ამ სახის „მალიხულიას“ დროს ავადმყოფს აქვს ყველაფრის შიში, ესწრაფვის განმარტოებას, ცოტას ლაპარაკობს, გაძლიერებული აქვს მადა, დაკარგული აქვს გაძღომის გრძნობა; საჭმლის მონელება დარღვეულია.

„სიმხურვალისაგან“ გამოწვეულ მალიხულიას მკურნალობდნენ სისხლის გამოშვებით („რაიცა სისხლისაგან იყოს კურნებაი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას“). ავადმყოფს თუ შეკრულობა ექნებოდა (რასაც არაიშვიათად აქვს ხოლმე ადგილი ციკლოფრენიის მანიაკალურ ფაზაში), გასახსნელ წამლებს უნიშნავდნენ: „ლბილითა გასახსნელითა მუცელი დაულბონ“[3].

ძილის მოსაწესრიგებლად იხმარებოდა საძილე საშუალებანი.

მალიხულიით დაავადებულის მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფსიქოთერაპიას.

ავადმყოფი „ეგეთსა კაცსა თანა დაჯდებოდეს რომელ ტურფაი კარგი და კარგ გული, და ჰამოდ მოუბარი იყოს“[4]. ცხადია ასეთ საუბრებს შეეძლო ავადმყოფის დამშვიდება.

„სიგრილისაგან“ გამოწვეულ მალიხულიას მკურნალობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკვების მიცემას: „ეგეთთა საჭამადთა ერიდებოდეს რომელ სევდას მოუმატებდეს“[5].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფსიქიკურ აშლილობათა მკურნალობაში მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტანისამოსს: „ტანისამოსსა ლბილსა და ფერქცეულსა ჩაიცვამდეს“[6].

ცნობები მალიხულიას შესახებ შემდეგი საუკუნის წყაროებშიც გვხვდება. ამის შესახებ „სამკურნალო წიგნში“ შემდეგს ვკითხულობთ:

---

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 78.
2 იქვე, გვ. 79.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე, გვ. 80.

„ნიშანი მანახულიასი. გუერდები გაუსივდეს და ქარი გაერიოს, და ზოგ-ზოგჯერ კაცსა ცნობა და ჭკუა შეეცულებოდეს, და ამას იტყოდეს, ვითა: არა მეშველების რაო. ასრე ეგონოს, ან მოწამლული ვარო და ან გრძნეულთაგან ვარ ავადო, და არას საქმესა არ დაუჯერებდეს, არც არას წამალსა იქმოდეს. ასრე ეგონოს, ვითა: ანუ დილასა მოვკუდები და ანუ საღამოსა ჟამსო. და ამას იტყოდეს: ვერ მოვრჩები, წამალსა რას ვაქნეო. და რა აბოყინებდეს, ხან მეავე და ხან მყრალი სული გამოვიდოდეს პირიდაღმა, და ხან სისხლისა გემო იყოს პირშიგა, და ზოგჯერ მამაცობა მოეღოს. რა ესე სენი ეცეს კაცსა ანუ დედაკაცსა, კარგად შენახვა უნდა, რომე ამა სენმან არა მოარჩოს. ბევრი იქნების, რომე თავი მოირჩოს, ამად რომე ასრე თქუას: ამა სიცოცხლესა სიკუდილი მიჯობსო... და რა ესე სენი გამოაჩნდეს კაცსა, ნიშანი ესე იყოს, რომე ძილი არ მოეკიდებოდეს და ჰკრთებოდეს ძილშიგა, თუ დღე იყოს, ღამე ეგონოს, და თუ ღამე იყოს, დღე ეგონოს, და ასრე ეგონოს, მაღლით ადგილიდაღმა ჩამოვარდებიო, ეშინოდეს და ფრთხილდებოდეს. და ესეცა ეგონოს, ვითა: წყალშიგა ჩავარდებიო, ანუ ვიწროსა ადგილასა სადმე ჩამოვარდნილვარო"[1].

წარმოდგენილი აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ XV საუკუნისათვის „მანიხულიას" მიმდინარეობაში ზოგიერთი ახალი ნიშნები ყოფილა შენიშნული. მათ შორის აღსანიშნავია მითითება იმის შესახებ, რომ „ზოგ-ზოგჯერ კაცსა ცნობა და ჭკუა შეეცულებოდეს", რაც შეიძლება ამ დაავადების პერიოდულ შეტევებს გულისხმობდეს.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე დევნის („ასრე ეგონოს, ან მოწამლული ვარო და ან გრძნეულთაგან ვარ ავადო"), თვითმკვლელობის („ბევრი იქნების, რომე თავი მოირჩოს ამად რომე ასრე თქუას: ამა სიცოცხლესა სიკუდილი მიჯობსო") ჰიპოქონდრიული ბოდვები.

იმავე საუკუნეში არჩევდნენ „მანიხულიის" რამდენიმე განსხვავებულ სახეს, რომლებიც ნაკლებმნიშვნელოვანია და მათზე აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება „მანიხულიას" მკურნალობას, იგი ძირითადად არ განსხვავდებოდა ზემოგანხილულისაგან.

როგორც „იადიგარ დაუდიდან" ირკვევა, XVI საუკუნისათვის „მალიხულიას" კლინიკურ სურათს ახალი ნიშნები არ შემატებია. აღნიშნულ ძეგლში ვკითხულობთ, რომ„ ამა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა საგონებელი წაიღებს და ცუდსა და ავსა ფიქრებსა იქს, და ასეთისა რისაგანმე შიშსა დაიწყებს რომე, არა მართებდეს, და მუდმად დაღრომით და დაღონებით და ნაღულიანად იქნების, და ბნელსა ალაგსა შიგა ყოფნა უნდოდეს, და კაცთანა ყოფნა არ უნდოდეს და არცა იამებოდეს, და ხალვათად და მარტო ბნელშიგა ყოფა უნდოდეს, და ფიცხლა გაგულისდებოდეს და ცუდ მუდსა ლაპარაკებსა და მიდ მოდებასა დაიწყებს და უცხო ფერსა ფიქრებსა იქმოდეს და მოგონებდეს"[2].

პროგნოზის მხრივ „მალიხულია" მძიმე დაავადებად ითვლებოდა, მაგრამ საინტერესოა, რომ მისი განკურნება სავსებით შესაძლებლად მიაჩნდათ.

---

[1] „სამკურნალო წიგნი", გვ. 41.

[2] „იადიგარ დაუდი", გვ. 271.

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე მითითება იმის შესახებ, რომ „მალიხულია“ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს „სიგიჟედ“ ანუ ფსიქიკურ სნეულებად, თუ სათანადო მკურნალობა არ იქნა ჩატარებული.

„...ამა სენისა წამალი ადვილი ნუ გგონიათ, და არცა ადვილი არის, და ნურცა ადვილად და აგდებით დაიჭირავთ. ესე იცოდეთ თუ ამა სენსა კაცი ადრე არ უწამლებს და წამალსა არ მიასწრობს, ესე მალიხულიას სენი ავი და მწოვედ საფათერაკო სენი არის, და მწოვედცა გაძნელდების, და უსათუოდ სიგიჟედ გარდაიქცევის და მას უკან აღარც კი ეშველების“[1].

სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ავადმყოფს ენიშნებოდა წყლის აბაზანებით მკურნალობა: „და ამრიგე კაცი ხშირად აბანოშიგა უნდა შეკიდოდეს და თავზედა ბევრი თბილი წყალი უნდა დაისხას“[2].

მალიხულიას მკურნალობაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა კარგი გუნებგანწყობის შექმნას. ავადმყოფს ესაუბრებოდნენ. ართობდნენ მუსიკითა და სხვა საშუალებებით, საყვარელ ადამიანებს აჩვენებდნენ, ლამაზ ადგილებს ათვალიერებდნენ. ყველა ამ ღონისძიებებს. სრულიად სამართლიანად, სამკურნალო მნიშვნელობა ენიჭებოდა და მათი შესრულება ავადმყოფისათვის სასარგებლოდ ითვლებოდა.

„...კაცი მუდამ გულმხიარულად უნდა იყოს. და ასეთსა მაჯუნებსა და მუფარაებსა სჭამდენ, რომე კაცი გაამხიარულოს და გულს უკუჰყაროს. და ასეთი არა უანბო რა და არც უყონ, რომე გულშიგა ეწყინოს. და კაცი მუდამ გულმხიარულად უნდა იყოს. რაცა გულშიგა იამებოდეს იმას იქმოდეს, და რაც უყუარდეს იმას ნახევდეს, რომე ამა სენსა გულმხიარულობა მწოვედ კარგად უზამს, და ნავღელი და გულს შემოყრა ყოველს ავად მყოფსა, და ავად ყოფასა მწოვედ აწყენს. და კაის საკარვისა და კაის ხმის გაგონებასა, და ლამაზის ადამის ტომის, და ლამაზის პირუტყუისა და ლამაზის ალაგის ნახვა, და ყოვლს წამლისაგან, მეტადრე თავისა საყუარლის ნახვა და ჭურეტა, ყოვლისა სენისა და ჭირისა წამალი და აქიმი არის“[3].

აღნიშნული დაავადების აღწერილობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს XVIII საუკუნის წყაროებში, რომლებშიაც მოცემულია დაავადების მრავალფეროვანი კლინიკური ნიშნები, მიმდინარეობის თანამიმდევრული აღნუსხვა და განვითარების მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების საფუძვლიანი შეფასება. აღნიშნულ წყაროებში ეს დაავადება „მელანხოლიის“ ანუ „მელანქოლიის“ სახელით იწოდება.

ცნობილი ყოფილა, რომ დაავადება „მელანქოლია“ უფრო ხშირად ემართებათ ისეთი კონსტიტუციის პირებს, რომლებსაც „სევდიანთ“ უწოდებდნენ. ისიც სცოდნიათ, თუ, რა დიდ როლს თამაშობს მის განვითარებაში ისეთი ბიძგის მიმცემი მომენტები, როგორიც არის უარყოფითი ფსიქიკური განცდები:

„ე ს ე ს ნ ე უ ლ ე ბ ა დ ა ე მ ა რ თ ე ბ ა თ უ ფ რ ო ს ე ვ დ ი ა ნ თ, ამისთვის რომ სევდაში არა თუ მარტო გულის წუხილი, სხუა და სხუა საშინელი ფიქრი სტანჯავს კაცსა, რომელიც ჟამითი ჟამად გაძლიერდება და მერე შავს

[1] „იადიგარ დაუდი“, გვ. 271—272.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 272—273.

ნაღველში ჩავარდება; და ეს მაშინ უფრო მალე შეხუდება, თუ კაცსა ამისთანა გარემოება აქუსთ, რომ ნიადაგ წუხს, მოწყენილია და ამოებას ფიქრობს...“[1].

საყურადღებოა, რომ მელანქოლიის განვითარება შესაძლებლად ითვლებოდა ისეთ პირებშიც, რომლებიც კონსტიტუციური ტიპის მიხედვით არ იყვნენ „სევდიანი“, მაგრამ გარკვეული პირობების გავლენით „დასევდიანდნენ“:

„...თვითონ მრთელს კაცსაც დაემართების სევდა თუ დიდ ხანს წუხს რისთვისმე“[2].

ცნობილი ყოფილა; რომ „მელანქოლია“ იწყება თანდათანობით. პირველად ავადმყოფი წუხს, ოხრავს, შემდეგ შეიპყრობს შიში, ჰგონია რომ მას დევნიან, ვერ ისვენებს, ცნობიერება აბნეულია და სხვ.

„ამ გუარს სნეულსა, პირველად დაწყებინებს წუხილსა და გულის წუხილს უმიზეზოდ მერმე მძიმედ დაიწყებს ოხურას, მერმე შიშსა საგონებელთა, მტერთა და მდევნელთა თვისთაგან, და იფიქრებს მრავალს, თავის უბედურებას. მერმე მოაკლდება მოსვენებას და განსჯას, ასე რომ თავისი საკუთარი მეგობრებიც ვეღარ დაიჯერებენ, რომ ცუდი ფიქრებიც აქვს“[3].

ავადმყოფი შეიძლება ისე აიგზნოს, რომ მას ვერ აკავებდნენ, რაც მოხვდება ამტვრევდეს და სხვ.

„და ესრეთ ეს სნეულება, როდესაც გაძლიერდება, უგრძნობლად გაიყვანს გონებისაგან კაცსა, მაშინ ესრეთნი იქმნებიან: ველურ ჰსცემენ, დაამტვრევენ რაც შეხუდებათ, ჰკბენენ და ჰგლეჯენ კაცთა. და იქმნებიან მეტად ძალიან დამაგარ, ესე რომ ყინვას და სიცივეს ვეღარ შეიტყობენ. როდესაც გაცივდებიან, ძლივ ოთხი ხუთი კაცი დაიჭერს“[4].

თუ აღწერილ ნიშნებს ყოველმხრივ შევაფასებთ, მაშინ უფრო მეტი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მელანქოლიის ქვეშ ცნობილი ყოფილა ფსიქიკური დაავადება, რომელსაც ამჟამად მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს უწოდებენ.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე აღნიშნული დაავადების პროგნოზის სწორი განსაზღვრა, მიაჩნდათ, რომ „სევდა სიგიჟით დაიკარგება, მაგრამ კაცი თავის სიცოცხლეში, ან გიჟად თუ არა და მოგიჟოდ და ან როგორც ეძახიან უჭკუოდ დარჩება“[5].

მართლაც ცნობილია, რომ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის ცალკეულ შემთხვევებში, როცა შეტევები ხშირია, მკურნალობის შემდეგაც შეიძლება დარჩეს ფსიქიკური აპარატის ზოგიერთი ფუნქციის დაქვეითება.

თუ ავადმყოფი სუსტად არ იყო, მელანქოლიას მკურნალობდნენ სისხლის გამოშვებით. ცდილობდნენ, რომ ავადმყოფი მოძრაობასა და შრომაში ყოფილიყო ჩაბმული და სხვ.

„ამ გუარის წამლობა დია ძნელია, ამისთვის სწორის წამლის განწესება არ შეიძლება; და რაც შეიძლება შემდგომსა შინა ვიტყვი: პირველი ვისაც ბევრი სისხლი აქუს, ამ გუარს სნეულს, და ან დასდგომიათ ბუასილი და დედაკაცთ,

---

1 ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 82v. ხაზი ჩვენია.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე ფ. 83r.

სამთვარიო[1]. უნდა სისხლი გამოუშვან ამისთვის, რომ სნეულებაში ბუნებითი სისხლის დენა დიდად შეეწევა... მაგრამ თუ დიდსა სნეულებას უკან ჯერ ღონეზედ არ მოსულან, სისხლის გამოშვება არა თუ არგებსთ, სნეულებას უფრო მოუმატებს; ამისთვის ამ დროს უნდა მოიხმაროს გასამაგრებელი წამალი, ესე იგი არს კარგი და ნოყიერი საჭმელი, მაგრამ ამასთანა რომ კუჭმა მოიდნოს მალე და ჩქარა და... ამასთან რომ სნეული შესაბამის მოძრაობასა და გარჯაში იყოს"[2].

ძველ ქართულ წერილობით სამედიცინო ძეგლებში საინტერესო ცნობები გვხვდება ასეთ ფსიქიკურ სნეულებათა შესახებ, რომლებიც ალკოჰოლური ინტოქსიკაციით გამოიწვევა.

XI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში აღწერილია, თუ რა ავადმყოფური მოვლენები მოსდევს „ბევრი ღვინის" სმას, ანუ ლოთობას.

„ბ ე ვ რ ი ს ღ ვ ი ნ ი ს სმითა გული აევსების და ძარღვებშიგა სენს შეიქს და კაცისა არარითი ღარიზი მოარჩოს. ასრე რომე ცეცხლი ენთებოდეს და კაცმან ბევრი შეშა დააყაროს ნედლი და დაავსოს, ისრევე ბევრი ღვინო სტომაქისა და გულის სინათლეს დაავსებს და კაცი მოკუდების. რა ბევრი ღვინო ჩავა დამძიმდების სტომაქი და ღვიძლი და საჭმელი შიგა დალპების, კაცი ველარ მოიდნობს და სტომაქი და ღვიძლი წახდების. ისი ავი ხილთი კაცს კიდევ მოემატების და შიგავე შერჩების სნება და სიშმაგე დაემართების და გულმწყარალი შეიქნების, თვალშიგა მღერა დაუწყოს და ძილშიგა შეშინება შეექნას. და ძილი არა დია მოეკიდოს... დიდსა ღვინოსა სვამს ტვინშიგა შევარდების და იქიდაღმა შეიქნების ყველა"[3].

ამ აღწერილობაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ლოთობის შედეგად განვითარებული პათოლოგიური მოვლენების მრავალფეროვნება და მათი აღწერის სიზუსტე. ავტორი თანმიმდევრულად და კონცენტრირებულად აღწერს ჯერ შინაგანი ორგანოებისა და შემდეგ ფსიქიკის მხრივ განვითარებულ ცვლილებებს.

ცნობილი ყოფილა, რომ „ბევრი ღვინის სმითა" სტომაქი ანუ კუჭი და ღვიძლი დაზიანდება, „კაცი ველარ მოიდნობს" — საჭმლის მონელება დაირღვევა. შენიშნული ყოფილა, აგრეთვე, „გულის სინათლის დავსება", რაც ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს გულის მხრივ განვითარებულ პათოლოგიურ მოვლენებს უნდა გულისხმობდეს.

ფსიქიკის მხრივ შენიშნული ყოფილა სიშმაგე, უძილობა, შიში; ავადმყოფი ადვილად იგზნება („გულმწყარალი შეიქმნების").

აღნიშნული მოვლენები ავტორის თქმით, იმის გამო ვითარდება, რომ ავადმყოფი „დიდსა ღვინოსა სვამს ტვინშიგა შევარდების და იქიდაღმა შეიქნების ყველა".

XV საუკუნის სამედიცინო წყაროებში, გარდა ზემოთ განხილული მდგომარეობისა, აღწერილია მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც თეთრი ცხელებისათვის დამახასიათებელ სურათს გვაგონებს.

---

1 ცნობილია, რომ ამ დაავადების დროს ადგილი აქვს მენსტრუაციის შეჩერებას, როგორც ჩანს. აქაც ეს მოვლენა უნდა იგულისხმებოდეს.

2 ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 83г.

3 „უსწორო კარაბადინი", გვ. 457—458.

„და რაცა ღუინისაგან სხუა სენი იქმნების... ერთი, ფილენჯი, რომე ხელ-ფეხი აუთრთოლდეს და თავი და მაჯაში წაახდინოს, და ღუიძლსა სნება შეჰ-ქნას... თუ ის თავსა ბნედასა დაუწყებს, თუ ამას ცოტა სიხმე ჰქონდეს, რომე თავშიგან მისულა, მაშინ მილახური შეჰქნას (მას ჰქუიან, რომე ანასდად კაცი ბნელსა საუბარსა და სხუასა რასმე ოცნებაშიგა ჩავარდეს). თუ კაცისა გული და კეფა ცხელი იყოს, ძუელი და ახალი ღუინო რომე მოდუღებული იყოს, ისი მხურვალი და ხმელია, და იმისი ბუხარი იმა დამღაშიგა გავა. მისგან თავ-ქედი შეექნების, ასრე რომე კაცი რასა უბნობდეს, არა იცოდეს“[1].

მაშასადამე, „ბევრის ღვინის სმითა“ შეიძლება ადამიანს განუვითარდეს სნეულება, რომელსაც ახასიათებს კიდურებისა და თავის უნებლიე მოძრაობა, მაჯისცემის შეცვლა (მაჯაში წაახდინოს), მოვლენები ღვიძლის მხრივ, ბოდვები.

ანგარიშგასაწევია მითითება „ფილენჯის“ შესახებ.

„ფილენჯი“, როგორც ნერვული სისტემის დაავადებათა განხილვის დროს იყო აღნიშნული, დამბლას ეწოდებოდა და ამ შემთხვევაში თეთრი ცხელები-სათვის დამახასიათებელ ჰემიპარეზის მოვლენებს უნდა გულისხმობდეს.

ზემოთ აღწერილი დაავადება შეიძლება მივიჩნიოთ თეთრ ცხელებად. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს, აგრეთვე „თავქედის“ დასახელება.

„თავქედი“ ძველ ქართულ მედიცინაში მენინგო-ენცეფალიტისათვის და-მახასიათებელი ნიშნებით მიმდინარე დაავადებას ეწოდებოდა. ცნობილია, რომ მსგავსი ნიშნები არაიშვიათად თავს იჩენს თეთრი ცხელების შემთხვევაშიც.

„ბევრის ღვინის სმითა“, ანუ როგორც ახლა ვიტყოდით, ქრონიკული ალ-კოჰოლიზმით გამოწვეული ინტოქსიკაციის მოვლენები შემდეგი საუკუნის წყა-როებშიც არის წარმოდგენილი და ძირითადად არ განსხვავდებიან უკვე განხი-ლულისაგან, ამიტომ მათზე აღარ შეეჩერდებით.

რაც შეეხება მწვავე ალკოჰოლურ მოწამვლას, ცხადია, მისი დამახასიათე-ბელი ნიშნები ძველთაგანვე იქნებოდა ცნობილი, მაგრამ ძველ ქართულ სამე-დიცინო წყაროებში მათი აღწერილობა არ გვხვდება. როგორც ჩანს, დათრო-ბა დაავადებად არ იყო მიჩნეული.

მწვავე დათრობის საკმაოდ ზუსტი აღწერილობა მოცემულია იოანე ბატო-ნიშვილის „კალმასობაში“.

იგი ყურადღებას იქცევს ალკოჰოლის მიერ გამოწვეული მოვლენების მრავალფეროვნებით და მეტად საინტერესოა სამედიცინო თვალსაზრისით.

„...ღვინისა თვისება წინააღუდგება გრძნობათა ჩვენთა და დაასუსტებს, და ვერღა მიართმევს რიგიან ტვინსა საგრძნობელსა მას. მაშინ კაცი იგი რო-ტავს და ბოდავს, და ვერღა განსჯის ღვინის აღსრულის ორთქლისა გამო სტო-მაქით, რომელიც შეეხება ტვინისა წვრილთა ნერვებთა; და ამისთვის დააბნე-ლებს ცნობასა მისსა. გარნა ასეგვარი სიმთვრალე არა გასწევს ერთისა ანუ ორისა ჟამისა კიდე, ვინაიდგან მალე დაცარიელებულ იქმნებიან ბუღნი იგი და მოინელებს სტომაქიცა და ისევ ეგება კაცი იგი პირველსავე მდგომარეობასა შინა“[2].

---

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 439.

2 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. II, დასახელებული გამოცემა, გვ. 68.

ავტორი სრულიად მართებულად მიუთითებს, რომ ალკოჰოლის მიღება იწვევს მგრძნობელობის დაქვეითებას, ცნობიერების „დაბნელებას“, ანუ ინტელექტუალური პროცესების დაკნინებას. ამ უკანასკნელ მოვლენას იგი ხსნის ღვინის გაელენით ტვინის ნერვებზე.

ასეთი სიმთვრალის შემდეგ ადამიანი უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. „ესეე ეგება კაცი იგი პირველსავე მდგომარეობას შინა“.

ავტორი ამ გარემოებას ალბათ იმიტომ უსვამს ხაზს, რომ ალკოჰოლური მოწამვლის აღნიშნული სახე ავადმყოფობად არ მიიჩნია.

ცნობილია, რომ ფსიქიკის აშლის მოვლენები შეიძლება ინფექციურ ან სხვა დაავადებებსაც ახლდეს. ასეთი სახის ფსიქოზების სრული აღწერილობები ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში არ გეხვდება, მაგრამ აღნიშნული დაავადების ცალკეული გამოვლინებანი კი კარგად ყოფილა შენიშნული. მაგალითად, გადამდები სნეულებით დაავადების „ბურანის“ ანუ კრიზისის პერიოდში, სხვა ნიშნებთან ერთად, თუ „საუბარი არა შესცლოდეს, ჭკუაზედ არ შეცულილიყოს, ესე ყუელა კარგისა ნიშანი არის“[1].

ან კიდევ, „თუ ცხრო და თავქედი არა სჳირდეს და წაღმა უკუღმა სიტყვას სტყორცნიდეს...“[2].

როგორც ზემოთ ითქვა, „ცხრო“ მაღალი სიცხით მიმდინარე დაავადებაია ჯგუფს ეწოდებოდა. გამოდის, რომ „წაღმა უკუღმა სიტყვის ტყორცნა“, ანუ ბოდვა „ცხროს“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ყოფილა.

მსგავსი ცნობები შემდეგი საუკუნის წყაროებშიც გეხვდება. მაგალითად, „იადიგარ დაუდიში“ ვკითხულობთ: რომ „...ის კაცი რომ პირველსა შეყრაზედა მწოედ წაახვიოს და მართ ჭკუაცა შეუშალოს, ამა ავად მყოფისა ბურანი უსათუოდ მეოთხეს დღესა იქნების“[3].

ცნობილია, რომ ტემპერატურის დაცემისა და დაავადების ჩათავების შემდეგ ფსიქოზის მოვლენები ავადმყოფს ერთბაშად არ უქრება. საყურადღებოა, რომ ეს გარემოება საქართველოს მედიცინაში კარგად ყოფილა ცნობილი.

„თუ ავადმყოფსა ეუბნო და პასუხის თქმა ეძნელებოდეს, და ამა სნეულმან პასუხი არ მოგცეს, და თავისა არა იცოდეს რა თუ რას იქმოდეს, იცოდი ესე ნიშნები და ამ რიგი ალამათები ჭკუა კლებისა არის, და ამ ავადმყოფისა საქმე დასტურად საფათერაკოდ ძეს“[4].

ტემპერატურის დაცემის შემდეგ, თუ ავადმყოფი კვლავ ნაღვლიანი და ფიქრებში შესული დარჩებოდა, ეს უკვე ცუდი პროგნოზის მაჩვენებელი იყო.

„თუ კაცსა სიცხე ჰქონდეს და ის ავად მყოფი კაცი თვითონ სუსტად კი არ იყოს და მწოვედ ნავღული და ფიქრი ჰქონდეს, და ანასდათ სიცხემან კი გაუშვას და ფიქრი ისრევე ჰქონდეს, უსათუოდ სიკვდილისა ნიშანი არის“[5].

ეს ცნობები ძალზე გვაგონებს პოსტინფექციური ასთენიის მძიმე მსვლელობას, რომელიც ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება.

---

[1] „უსწორო კარაბადინი“, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 186.

[3] „იადიგარ დაუდი“, გვ. 145. ხაზი ჩვენია.

[4] იქვე, გვ. 147.

[5] იქვე.

XI საუკუნის წყაროებში საინტერესო ცნობები გვხვდება ფსიქიკის პათოლოგიის ისეთ გამოვლინებათა შესახებ, როგორიც არის მეხსიერების შეცვლა.

„კაცსა რომე სიტყუაი ავიწყდებოდეს და რაცა შეინახევდეს ისიცა დაავიწყდებოდეს".

XIII საუკუნეში არჩევდნენ მეხსიერების შეცვლის ორ მხარეს: „დავიწყებას" და „არ დასწავლას" ანუ დღევანდელი ენით რომ ვთქვათ: გახსენების, რეპროდუქციისა და მიღებული შთაბეჭდილების შენარჩუნების, ფიქსაციის უნარის დაქვეითებას.

იმ დროისათვის უცნობი იყო, თუ რა წარმოადგენდა მეხსიერების შეცვლის ნამდვილ საფუძველს, მაგრამ საყურადღებოა, რომ მეხსიერების დაქვეითებას უკავშირებდნენ ორგანიზმში მომხდარ ისეთ პათოლოგიურ ძვრებს, რაც „...გონებასა დასწავლა არა მიუშვებს"[1].

მეხსიერების თანდაყოლილი სისუსტე უკურნებლად ითვლებოდა.

„ესე მანკი რაიცა დედის შობითგან იყოს კურნებაი მისი არ ეგების..."[2].

ამისგან განსხვავებით შესაძლებლად მიაჩნდათ მეხსიერების ისეთი სისუსტის განკურნება, რომელიც რომელიმე სხვა დაავადებით იყო გამოწვეული.

„...და რაიცა სხუასა მანკისაგან ქმნილ იყოს მისგნით ეგების მოჯობინებაი"[3].

მეხსიერების დაქვეითების ნიშნებად მიჩნეული იყო ძილიანობა, თავის სიმძიმე, შუილი ყურში, ბოდვა, ზოგჯერ ტემპერატურის მომატება და სხვ.

„ნიშანი მოვიწყებისა იგი არს, რომელ დია დაეძინებოდეს, და გაღვიძებაი უწყინებოდეს და თავი მძიმედ ჰქონდეს და ყურთაგან ჟუვილი ესმოდეს, და გასივებული იყოს და ბედითსა უბნობდეს, და ეგების რომელ აცხროებდეს"[4].

წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ „მოვიწყება", ანუ მეხსიერების დაქვეითება ცალკე დაავადებად განიხილებოდა, რაც დღევანდელი თვალსაზრისით სწორი არ არის. მაგრამ საყურადღებოა, რომ აღწერილ სიმპტომკომპლექსში სრულიად დასაშვებია, რომ მეხსიერების სისუსტე გამოვლინდეს.

როგორც აღვნიშნეთ, „მოვიწყებისაგან" განსხვავებით, ცალკე გამოყოფდნენ მეხსიერების შესუსტების მეორე სახეს, რომელსაც „არ დასწავლას" უწოდებდნენ. მისი განვითარება წარმოდგენილი ჰქონდათ შემდეგნაირად: „არ დასწავლისა ვითარებაი... იგი არს, რომელ ბალღამი პირსა შიგან შეიყაროს და დასწავლაი შიგან შეჰხდებოდეს, ბუნებასა და გონებასა დასწავლად არ მიუშვებს"[5].

ეს წარმოდგენა მეხსიერების სისუსტის განვითარების შესახებ, მართალია, ჰუმორალური პათოლოგიის თეორიიდან გამომდინარეობს, მაგრამ საყურადღებოა, რომ „დასწავლის" უნარის დაქვეითებას გონების, ანუ ტვინის მდგომარეობას უკავშირებდნენ.

---

[1] „წიგნი სააქიმოი", გვ. 82.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 83.

ძველ ქართულ მედიცინაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძილის ხასიათს. არჩევდნენ ძილის გაუკუღმართების ორ სახეს: უძილობას და ძალიანობას

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ უძილობის დროს ავადმყოფი შფოთავს, წონაში კლებულობს, საკვებს ვერ ინელებს და სხვ.

„უძილობამ კაცი მოუსვენებლად ამყოფოს და დადნობისა ძალი და უკუაყენოს და სენისა გვარი მოუხარშავად ამყოფოს და მოხარშვისაგან უკუაყენოს. და გახსნას მოუმატებს და სიხმესა მატებს. და სნეულება სიხმისა და ზაფრისა გამოაჩინონ. და სუსტსა და ხმელ გუნებასა უფრო აზიანებს. და როდესცა. სნეულმან ძილშიგან ვერა მოისვენოს საშიშარი არის“[1].

XIII საუკუნეში უძილობას განიხილავდნენ, როგორც ცალკე დაავადებას:

„ნიშანი... იგი არს, რომელ მაჯასი ფიცხლად უფეთქდეს და სწყუროდეს, და ცხვირი ხმელად ედგას და პირი ყვითლად, და უძილობაი და სიმღვიძარე-დია იყოს“[2].

უძილობის სამკურნალოდ ავადმყოფს ენიშნებოდა სხვადასხვა ძილმომგვრელი საშუალებანი და მათ შორის ხაშხაში.

ავადმყოფობის მაჩვენებლად ითვლებოდა, აგრეთვე, უძილობის საპირისპირო მდგომარეობა — ძილიანობა.

XI საუკუნის ერთ-ერთ წერილობით სამედიცინო ძეგლში ვკითხულობთ, რომ „თუ მრთელსა კაცსა ძილი ერთობ მოუვიდეს და ან ძილშიგან ღრმად ჩავარდეს, დასტური იყოს, რომე სნეულობისა სენშიგან არის“[3].

ფსიქიკურ დაავადებათა შესახებ ძველ საქართველოში არსებულ შეხედულებათა შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცნობებს, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშია“ დაცული.

ფსიქიკის ავადმყოფურად შეცვლის აღსანიშნავად საბა ხმარობს სიტყვას „გიჟი“. ეს სიტყვა იმავე მნიშვნელობით XVI—XVIII საუკუნეების სამედიცინო წყაროებშიც გვხვდება. „სრულად გიჟობის წამლები ეს არის, რომე ამა წიგნშიგა დამიწერია...,“[3] „მელანხოლია-სიგიჟე“[4] და სხვ.

საბა სიგიჟის თერთმეტ სახეს განიხილავს და მათ ერთმანეთისაგან გარკვეული ნიშნებით განასხვავებს. წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით იმის დადგენა, თუ ფსიქიკური დაავადების რომელ სახეებთან გვაქვს საქმე, თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ყველა განხილულ შემთხვევაში ფსიქიკური აპარატის დაზიანების ნიშნებია აღწერილი.

„სიგიჟეცა განიყოფება ათერთმეტად: შ მ ა გ ა დ, ხ ე ლ ა დ, ს უ ლ ე ლ ა დ, ც ო ფ ა დ, ნ ა ღ ვ ე ლ ი ა ნ ა დ, რ ე გ უ ნ ა დ, ტ ე ტ ე რ ა დ, შ ლ ე გ ა დ, შ ტ ე რ ა დ, ფ ე თ ი ა ნ ა დ და შ ე თ ი ა ნ ა დ.

შ მ ა გ ი არს სიგიჟით თავსაცა თუისთა ავნებდეს და სხუათაცა მავნებელ ექმნებოდეს.

ხ ე ლ ი არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არც თუით იგვემდეს და არცა სხუათა ავნებდეს.

---

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 418.
2 „წიგნი საქიმოი“, გვ. 82.
3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 418
4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 272.
5 ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, გვ. 827.

ს უ ლ ე ლ ი არს, რომელი არცა სრულიად ცნობა მიღებული იყოს და არცარა სასარგებლო ქნას რამე.

ც ო ფ ი არს, გონება და ცნობა მოძარცული.

ნ ა ღ ვ ე ლ ი ა ნ ი არს, ოდესმე ცნობასა იყოს და ოდესმე უცნობო.

რ ე გ ვ ე ნ ი არს, რომელსა სიბრძნე აკლდეს და მცირედ ხელურსა იქმოდეს.

ტ ე ტ ე რ ი არს, რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს.

შ ლ ე გ ი არს, არა ხელი, არცა ცნობა მიღებული, არამედ დაუცადებლად თავ გაწირვით განუსუენებელი.

შ ტ ე რ ი არს, ფრიადისა აღორთქლებათა შინაგან ნივთთა მიერ საგრძნობელთა ორღანო მიღებული და საქმისა ვერა კეთილად მქნელი.

ფ ე თ ი ა ნ ი არს ღამით საოცართა და ფეთებათა მიერ მცირე ხანს ცნობა მიღებული.

შ ე თ ი ა ნ ი არს სნეული, რომელი ხელურად იქცეოდეს და ჩქარა დაწვეს და წამოდგეს და უგვანად უბნობდეს"[1].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველ საქართველოში, არჩევდნენ ფსიქიკის ისეთ მდგომარეობას, რომელსაც ახლა, მედიცინაში, „მოსაზღვრე მდგომარეობას" უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ფსიქიკის მხრივ არ ითვლება არც ჯანმრთელად და არც ნამდვილ ავადმყოფად. ფსიქიკის ასეთ მდგომარეობას „შეხმუხი" ეწოდებოდა. „შეხმუხი ჭკუიანსა და ხელს საშუალი"[2].

განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ მეცნიერების განვითარების გარკვეული პერიოდისათვის, ფსიქიკური აპარატის დაზიანებათა კვლევისთვის საჭირო სათანადო მეთოდებისა და ხელსაწყოების უქონლობის პირობებში, მთელი რიგი ფსიქიკური დაავადებების მიმდინარეობის ნიშნები საკმაოდ ყოფილა ჩამოყალიბებული და ზოგიერთ დაავადებათა მიმართ მიზანშეწონილ სამკურნალო ღონისძიებებსაც მიმართავდნენ.

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა", 1949 წ. გამოცემა.
2 იქვე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა		5—16
შ ე ს ა ვ ა ლ ი		17—44
თ ა ვ ი I.	საქართველოს მედიცინის განვითარების ძირითადი საფეხურები V—XVIII საუკუნეებში	45—84
თ ა ვ ი II.	ზოგად-ბიოლოგიურ შეხედულებათა განვითარების საკითხისათვის	85—93
თ ა ვ ი III.	წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ	94—144
თ ა ვ ი IV.	ჯანმრთელობა და დაავადება	145—170
თ ა ვ ი V.	ექიმი და ექიმობა	171—185
თ ა ვ ი VI.	მკურნალობისა და სამედიცინო განათლების კერები	186—235
თ ა ვ ი VII.	ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები	236—264
თ ა ვ ი VIII.	ქირურგიული დაავადებანი	265—310
თ ა ვ ი IX.	შინაგანი სნეულებანი	311—388
თ ა ვ ი X.	ნერვული სისტემის სნეულებანი	389—404
თ ა ვ ი XI.	ფსიქიკური დაავადებანი	405—418

МИХАИЛ ГЕОРГИЕВИЧ СААКАШВИЛИ
АВТАНДИЛ ПЕТРОВИЧ ГЕЛАШВИЛИ

ИСТОРИЯ МЕДИЦИНЫ ГРУЗИИ

Т. III

Грузмедгиз
Тбилиси
1956

გამომცემლობის რედაქტორი კ. გეგელაშვილი

მხატვარი რ. რევაზიშვილი

ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XII-56 წ. ანაწყობის ზომა 7×12. ქაღალდის ზომა 70×108 1/16. სააღრ.-საგამომც. თაბახი 33,85. საავტორო თაბახი 31,99. ქაღალდის თაბახი 15,0. ნაბეჭდი თაბახი 32,88. შეკვ. № 978 ტირაჟი 2000. უე 01311

ფასი 15 მან. 40 კაპ.

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქე

შემჩნეული შეცდომების მასწორება

გვ.	სტრიქონი ზემ.	სტრიქონი ქვ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
15	—	6	ყინწვეულის	ყინცვილის
1[illegible]	—	5	ზედაპალეოლითი	ზედაპალეოლითელი
36	5	—	ᲨᲔᲛᲪᲔᲚᲔᲚᲘᲐ	Შემცველია
48	14	—	თემისტი ოს	თემისტიოსს
49	—	[illegible]	თბილსი	თბილისი
77	—	1	გრებ[illegible]ლი	კრებული
7[illegible]	10	—	ლექსიკოგრ ეისა	ლექსიკოგრაფისა
120	—	6	ადარებდსენ	ადარებდნენ
151	—	17—18	დაავალების	დაავადების
158	22	—	IX	XI
19[illegible]	20	—	მსნელებეს	მსმენელებს
247	[illegible]	—	იხმოა	უხმოს
247	2	—	მაჯისაცა	მაჯაშისა
253	—	4	ხელი	ნელი
25[illegible]	1—2	—	ნიკთა	ნი თთა
262	—	19	საქელი	სქელი
274	4	—	ცხვირის	ცხვრის
29[illegible]	—	22	ᲬᲚᲔᲑᲘᲡ	წელების
3[illegible]0	[illegible]	—	contrario contraris	contraria contariis

272 გვ. ბოლო 2 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: Moorhead John J. and Unger Lester J.—„Human Red Cell Concentrate for Surgical Dressings" The American Journal of Surgery, 1943, January, Vol. LIX, № 1, pp. 104—105.